

XIX-XX საუკუნეების ქართულ მწერალთა ეპისტოლური მეტყვიანობა

ტომი I

ალექსანდრე ჭავჭავაძე
სოლოძონ დოდაშვილი
ნიკოლოზ ბარათაშვილი



გამომცემლობა „ნიონისალი“
თბილისი 2011

იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართული ფილოლოგიის კათედრა

ტომი მომზადდა სამეცნიერო პროექტის
„XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური
მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემა“ –
ფარგლებში

ტომის რედაქტორები:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ქეთევან გიგაშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი მარიამ ნინიძე

© XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური
მემკვიდრეობა, 2011

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2011

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19. ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-435-3

შესავალი

წინამდებარე პუბლიკაციით სათავე ედება XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიურ გამოცემას. I ტომში წარმოდგენილია ალექსანდრე ჭავჭავაძის, სოლომონ დოდაშვილისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილები. ქრონოლოგიური თვალსაზრისით, გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობა, რა თქმა უნდა, უსწრებს ნიკოლოზ ბარათაშვილისას, მაგრამ მისი ამავე ტომში შეტანა ვერ მოხერხდა მოცულობის გამო. მას მკითხველი მრავალტომეულის სახით მიიღებს.

ეპისტოლური ჟანრი მსოფლიო ლიტერატურაში უძველესი დროიდან იღებს სათავეს. საუკუნეებს ითვისებს ქართული ეპისტოლეც. უძველესი ნიმუშები ჩართულია ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებში: „აბო თბილელის მარტვილობა“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, „ვეფხისტყაოსანი“ და სხვ. აქ წერილებს მხატვრული ფუნქცია აკისრია.

„ეპისტოლე“ ბერძნული სიტყვაა და ქართულად წერილს, შეტყობინებას ნიშნავს. უცხო სიტყვათა ლექსიკონში იგი ასეა განმარტებული: „ეპისტოლე საეკლესიო წერილი, რომლითაც სასულიერო პირი მიმართავს თავის სამწყსოს სადღესასწაულო დღეებში“ (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 2007, 279). დღეს ეპისტოლე, ძირითადად, ამ შინაარსით გამოიყენება, თუმცა ლიტერატურის ისტორიაში იგი საერო მნიშვნელობასაც მოიცავს.

ეპისტოლეს ქართული შესატყვისები ჩვენს ისტორიულ წყაროებში, ასევე ფოლკლორსა და მხატვრული ლიტერატურის ძეგლებში „ნიგნის“ სახით დასტურდება. გვაქვს „ნიგნი ქებისა და ნუგეშისცემისა“, „ნიგნი სიყვარულისა“, „ნიგნი ლოცვისა და კურთხევისა“, „ნიგნი გლოვისა“. „ამირანიანის“ პერსონაჟ ცამცუმის წერილი ნიგნის სახელით არის მოხსენიებული: „თითებსა და თითებს შუა ნიგნი უდევს ქალაღდისიო.“

„წმინდა ნინოს ცხოვრებაში“ ჩართულია ანტიოქიელი ებრაელი მღვდლების ეპისტოლე აბიათარისადმი და წმინდა ნინოსი – მირიან მეფისადმი. გარდა ამისა, ნახსენებია ელენე დედოფლის, პატრიარქისა და ფრანგთა მეფის წერილები წმინდა ნინოსადმი.

ქართულმა ეპისტოლურმა ჟანრმა განვითარების მაღალ საფეხურს XIX საუკუნეში მიაღწია. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს რომანტიკული მწერლობის ორი წარმომადგენლის, ბიძა-დისწულის – გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის – პირადი წერილები. ამავე საუკუნის II ნახევრიდან ქართულ პრესაში იწყება ჩვენი მწერლების პირადი ბარათების გამოქვეყნება. 1873 წელს ყურნალ „კრებულში“ ილია ჭავჭავაძემ დაბეჭდა ნიკოლოზ ბარათა-

თაშვილის მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილი 4 წერილი, რითაც სათავე დაედო პრესაში ეპისტოლური მწერლობის ნიმუშების გამოქვეყნების ტრადიციას.

საინტერესოა ილია ჭავჭავაძის მოსაზრება პირადი წერილის პუბლიკაციის თაობაზე: 1872 წლის 9 დეკემბერს კირილე ლორთქიფანიძესთან გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „გიგზავნი ბარათაშვილის წიგნებს. შენ იცი და შენმა რიგიანობამ, როგორ კარგად, შეუშლელად და შეუმცდარად დაჰბეჭდავ, მართლწერა და ნიშნების ხმარება სრულად და შეუმცდარად დედანისა არის და აგრეთვე უნდა დაიბეჭდოს“ (ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. 10. თბ., 1961, 27).

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიამ „ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსის“ სერიით 58-ე წიგნად დაბეჭდა XV-XVIII საუკუნეების ეპისტოლური ნიმუშები (შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო მამისა ბერძნიშვილმა, თბ., 1989).

XVIII საუკუნის ქართველ მოღვაწეთა პირადი წერილების ნიმუშები შეისწავლეს და გამოაქვეყნეს მიხეილ ქავთარიამ და ლალი ძონენიძემ.

ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის შესწავლა-გამოქვეყნებას დიდი ამაგი დასდეს გიორგი ლეონიძემ, პავლე ინგოროყვამ, აკაკი განურელიამ, იოსებ ბოცვაძემ, ლევან ასათიანმა, სოლომონ ხუციშვილმა, კონსტანტინე მეძველიამ, სოლომონ ცაიშვილმა, შალვა გოზალიშვილმა, ელისო აბრამიშვილმა, გულნარა დედაბრიშვილმა და სხვებმა.

1986 წელს გამოიცა ალექსანდრე ჭავჭავაძის თხზულებები, სადაც მისი წერილებიც შევიდა (შეადგინა, რედაქცია გაუკეთა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ირაკლი კენჭოშვილმა, გვ.: 201-204). წერილებს ბოლოში ახლავს მოკლე განმარტებები (გვ.: 309-311).

1945 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა გამოსცა „სოლომონ დოდაშვილის წერილები“ (წინასიტყვაობა და შენიშვნები სოლომონ ხუციშვილისა).

1961 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ სოლომონ დოდაშვილის თხზულებებში მისი 59 წერილი დაბეჭდა (სარედაქციო კოლეგია: ანგია ბოჭორიშვილი, სოლომონ ხუციშვილი (პ/მ რედაქტორები), გიორგი აბზიანიძე, მაქსიმე ბერძნიშვილი, მიხეილ გოცაძე, ივანე ქავთარაძე, ალექსანდრე ქუთელია, გვ.: 231-312).

სოლომონ დოდაშვილის თხზულებები კვლავ გამოიცა 1989 წელს, სადაც იგივე 59 წერილი შევიდა (შემდგენელი და წინასიტყვაობის ავტორი თამარ კუკავა, რედაქტორები: ს. ხუციშვილი, ო. გაბიძაშვილი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ.: 245-324).

ორივე გამოცემას ერთვის სოლომონ ხუციშვილის პენიშვნები, რომელშიც გაერთიანებულია საკომენტარო და საძიებო მასალა. როგორც გამომცემელი მიუთითებს, სოლომონ დოდაშვილის წერილები 1944 წლამდე გამოქვეყნებული არ ყოფილა, მხოლოდ აქა-იქ იბეჭდებოდა ზოგიერთის ნაწილი, როგორც საილუსტრაციო მასალა სოლომონ დოდაშვილის საქმიანობისა.

თავის დროზე სხვადასხვა ჟურნალსა და კრებულში წერილები გამოაქვეყნეს მის. პოლიევქტოვმა, გ. გოზალიშვილმა, ს. ხუნდაძემ და სხვებმა, ხოლო 1935 წელს დაიბეჭდა გ. გოზალიშვილის დიდტანიათი გამოკვლევა სათანადო საბუთების დართვით - „1832 წლის შეთქმულება“ (გამოიცა სამი ტომი).

ნიკოლოზ ბარათაშვილის 17 წერილი და ერთი წერილი-მიძღვნა პავლე ინგოროყვამ 1968 წელს მის თხზულებებში გამოაქვეყნა (თხზულებანი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, სარედაქციო კოლეგია: გრიგოლ აბაშიძე, პავლე ინგოროყვა, დევი სტურუა, ვახტანგ ჭელიძე) გიორგი ლეონიძის კომენტარებით. ამ შემთხვევაშიც ერთადაა წარმოდგენილი საკომენტარო და საძიებო მასალა. მიუხედავად აღნიშნულისა, ამ გამოცემებმა დიდი სამსახური გაგვინიეს სამეცნიერო აპარატის მომზადების დროს.

ქართული ეპისტოლური მემკვიდრეობის შესწავლისა და გამოქვეყნების საქმე დღეს სათანადო დონეზეა. წერილების ნიმუშები ხშირად ქვეყნდება გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის კრებულში „ლიტერატურული მატრიანე“ და საქართველოს საარქივო სამმართველოს კრებულში „საისტორიო მოამბე“. ყურადღება ექცევა ქართული ემიგრანტული მწერლობის წარმომადგენელთა პირადი წერილების გამოქვეყნებასაც.

ამჯერად მკითხველს პირველად ვთავაზობთ ალექსანდრე ჭავჭავაძის, სოლომონ დოდაშვილისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიურ გამოცემას სრულყოფილი სამეცნიერო აპარატით: პასპორტებით, პენიშვნებით, კომენტარებით, საძიებლებით, ლექსიკონითა და ლინგვისტური გამოკვლევით. ტექსტები იბეჭდება ავტოგრაფების, მათი ფოტოპირებისა თუ ნაბეჭდის ჩვენების მიხედვით.

წერილები დალაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, აკადემიური გამოცემის მოთხოვნების შესაბამისად. დაუთარილებელი წერილები მოთავსებულია თარიღიანების შემდეგ.

დავათარილეთ სოლომონ დოდაშვილის 9 დაუთარილებელი წერილი და დავაზუსტეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის 2 წერილის თარიღი. აღდგენილი თარიღი, წესისამებრ, კვადრატულ ფრჩხილებში მოვათავსეთ (დათარილება ეკუთვნის მარიამ ნინიძეს). დათარილების საფუძველი ახსნილია კომენტარებში.

წინა გამოცემისაგან განსხვავებით, ჩვენს გამოცემაში არ შევიტანეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილი-მიძღვნა (ადრესატი მაიკო ორბელიანი) და დავამატეთ გრიგოლ ორბელიანისადმი 1831 წელს გაგზავნილი წერილი, რომელიც რუსულადაა შესრულებული.

რუსულად დაწერილი ეპისტოლეები დაბეჭდილია ძირითად ტექსტად, ხოლო ქართული თარგმანები მათ შემდეგაა წარმოდგენილი. ტექსტში ვარსკვლავებით აღნიშნულია ქართულ წერილებში ჩართული რუსული სიტყვები თუ ფრაზები და მათი თარგმანები მოცემულია წერილის ბოლოს.

ასევე წინა გამოცემისაგან განსხვავებით, სოლომონ დოდაშვილის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში დავამატეთ ალექსი პეროვსკის, სტიფანესა და დავით ბატონიშვილისადმი გაგზავნილი წერილები. ეს წერილები, მართალია, დაბეჭდილია ხსენებულ გამოცემაში, მაგრამ სხვადასხვა ადგილას, არა წერილთა ქრონოლოგიურ რიგში.

ეპისტოლურ მემკვიდრეობაში, ამ სიტყვის ფართო გაგებით, ხშირად მოიაზრებენ საქმიან ქალაქდებსაც, როგორცაა ოფიციალური მიმართვა, განცხადება, თხოვნა და სხვ. წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება მხოლოდ პირადი წერილები.

ტომი მომზადდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის კათედრის სამეცნიერო პროექტის ფარგლებში, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით, რისთვისაც სამეცნიერო ჯგუფი უღრმეს მადლობას მოახსენებს უნივერსიტეტის ყოფილ რექტორს, ისტორიის დოქტორს, პროფესორ გიორგი გოცირიძეს, რომელიც ყოველ სასიკეთო წამოწყებას მხარს უჭერდა და ყოველდღიურად იღვწოდა უნივერსიტეტის კეთილდღეობისათვის.

პროექტის სამეცნიერო ჯგუფს შეადგენდნენ: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ჯავახიშვილი (პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი), ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ქეთევან გიგაშვილი (პროექტის მენეჯერი), ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის სექციის გამგე, პროფესორი მაია ნინიძე (პროექტის მეცნიერ-კონსულტანტი), ფილოლოგიის დოქტორი, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საარქივო ფონდების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი

ეთერ ქავთარაძე, ფილოლოგიის დოქტორი, ასოც. პროფესორი ნანა რჩეულიშვილი, ფილოლოგიის დოქტორი, ასოც. პროფესორი ნინო გიორგაძე, ფილოლოგიის დოქტორი, ასოც. პროფესორი ნინო კოჭლოშვილი, ასისტენტ-პროფესორი მზია გიგაშვილი, ასისტენტ-პროფესორი, მამა ილია (ნუგზარ) ჩიკვაძე, დოქტორანტი თინათინ თუშაბრამიშვილი, სამეცნიერო-კვლევითი დეპარტამენტის სპეციალისტები: მანანა გვენცაძე და ნინო ფარსადანიშვილი.

1 ტომში წარმოდგენილი ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, პასპორტები, შენიშვნები, პირთა, გეოგრაფიულ და წარმომავლობის სახელთა ანოტირებული საძიებლები დაურთო ქეთევან გიგაშვილმა, კომენტარები ეკუთვნის მარიამ ნინიძეს (საძიებო და საკომენტარო მასალაზე იმუშავეს აგრეთვე გიორგი ჯავახიშვილმა, ნანა რჩეულიშვილმა, ნინო გიორგაძემ, ნინო კოჭლოშვილმა, მამა ილია (ნუგზარ) ჩიკვაძემ), ლექსიკონი და ენის საკითხები – ქეთევან გიგაშვილსა და მზია გიგაშვილს, ინფორმაცია ეპისტოლეთა პირველი პუბლიკაციის შესახებ – ნანა რჩეულიშვილს, ნინო კოჭლოშვილს, მარიამ ნინიძესა და ქეთევან გიგაშვილს, წერილები შეადარეს და ხელნაწერები აღწერეს ეთერ ქავთარაძემ, ნანა რჩეულიშვილმა, ქეთევან გიგაშვილმა და თინათინ თუშაბრამიშვილმა. ოპერატორის საქმიანობა შეასრულეს მანანა გვენცაძემ და ნინო ფარსადანიშვილმა.

გიორგი ჯავახიშვილი
ქეთევან გიგაშვილი

ალექსანდრე ჭავჭავაძის

წერილები



ՅԵՅԻԱՔԻՆԻՆ ՅԼՅԸԸԼԵՄԵՅՅՐԻՆՏԸՅԻ

Ваше Святейшество,
Милостивый Архипастыр!

Въ почтеннѣйшемъ письмѣ Вашего Святейшества отъ 10 го сего Маія, коимъ призывая благословеніе Божіе и утѣшеніе на меня и все семейство мое, увѣдомляете о почестяхъ, отданныхъ въ первопрестольномъ Эчмеадзинскомъ монастырѣ прошу незабвеннаго зятя моего бывшего полномочнаго министра въ Персіи Александра Сергеевича Грибоедова.

Не находя достаточныхъ вырѣжений для изъявленія Вашему Святейшеству совершенной моеи признательности за оказанную честь и поминаваніе о успокоеніи души любившаго моего зятя, крайне сожалею только отакъ, что оставивъ службу свою въ Армянской области, некому стало засвидѣтельствовать Вашему Святейшеству мою искреннѣйшей зато благодарности, съ живыми чувствами останусь впрочемъ навсегда,

Вашего Святейшества
Милостивый Архимандр
[Князь] Александр Чавчавадзе
Маія, 31 дня, 1829 года.

ეჩმიაძინის მღვდელმთავრისადმი

თქვენო ბრწყინვალეზე, მონყალო არქიმანდრიტო!

თქვენი ბრწყინვალეების მიერ ამა წლის 10 მაისს გამოგზავნილი წერილით, რომლითაც ვცან ჩემზე და მთელს ჩემს ოჯახზე კურთხევა ღვთისა, მაუწყებთ თქვენს უპირველეს საყდარში, ეჩმიაძინის მონასტერში, ჩემი დაუვიწყარი სიძის, სპარსეთში ყოფილი სრულუფლებიანი მინისტრის, ალექსანდრე გრიბოედოვის, ნემტი-სადმი მიგებულ პატივს.

ვერ ვპოულობ საკმარის სიტყვებს თქვენი ბრწყინვალეებისადმი ჩემი სრული აღმსარებლობის გამოსახატავად განეული პატივისათვის და ჩემი უსაყვარლესი სიძის სულის მოხსენიებისათვის და დიდად ვწუხვარ, რომ, ვინაიდან აღარ ვმსახურობ სომხეთის ოლქში, არ შემიძლია ყოველივე ამისათვის პირადად მოვახსენო თქვენს ბრწყინვალეებას უგულწრფელესი მადლობა, თუმცაღა მარად დავრჩები თქვენდამი საუკეთესო გრძნობებით.

თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე

მაისის 31, 1829 წ.

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ჩავესკისადმი

11-го января, 1830 г. Тифлисъ.

Милостивый Государь Николай Николаевичъ!

Спешу отвечать на почтеннейшее письмо Вашего Превосходительства, что, по предложению Главнокомандующаго, я не могъ въ то-же время къ вамъ присхать, какъ посредникъ, единственно по причине долговременной моей болезни; по выздоровлении-же, я былъ задержанъ Его Сиятельствомъ.

Не смотря на невыгодность возложенной на меня порученности, не находя себя въ правъ отъ оной уклониться, я и теперь совершенно готовъ приступить къ исполнению по первому приказанию. Трудно мне надяться, чтобы я могъ успеть согласить Ваше Превосходительство съ Княземъ Андрониковымъ во всѣхъ предметахъ, почему я долженъ ожидать, что по крайней мерс одна сторона испременно останется мною недовольною; но чемъ тому помочь? Обязанность каждаго изъ насъ стараться не заслужить ничьего гнева, а сделать, чтобъ на насъ не гневались, не въ нашей состоитъ власти. Что касается до меня, смело могу уверить Ваше Превосходительство, что не въ правилахъ моихъ вводить разчеты личности въ исполненияхъ обязанностей моихъ по службе. И мысль, что предстоящий случай можетъ тому послужить яснымъ доказательствомъ, облегчаетъ некоторымъ образомъ неприятность моего положения въ отношении посредничества.

Съ истиннымъ почтениемъ и совершенною преданностию имею честь быть

Вашего Превосходительства покорнейшимъ слугою,
Князь Александръ Чавчавадзе

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რაევსკისადმი

მისწავლეთ ხელმწიფე, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე! ვჩქარობ, სასწრაფოდ გაგცეთ პასუხი თქვენი აღმატებულების უპატივცემულეს წერილზე და გაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო ვერ შევძელი თქვენთან ჩამოსვლა, როგორც შუამავალმა, მთავარსარდლის დავალებით, ხოლო გამოჯანსაღების შემდეგ მისმა ბრწყინვალეობამ შემაყოვნა.

ჩემზე დაკისრებული ვალდებულების უხერხულობის მიუხედავად, რამდენადაც უფლება არა მაქვს, თავი ავარიდო მას, მე ახლაც სავსებით მზად ვარ, ბრძანებისთანავე შევუდგე დავალების შესრულებას.

ძნელია, იმედი მქონდეს, რომ შევძლებ ყოველ საგანზე სრული თანხმობის ჩამოგდებას თქვენს აღმატებულებასა და თავად ანდრონიკოვს შორის და, ამდენად, უნდა მოველოდე, რომ ყოველ შემთხვევაში ერთი მხარე მაინც უკმაყოფილო დამირჩება, მაგრამ სხვა რა გზა მაქვს? ყოველი ჩვენგანის ვალია, ვეცადოთ, რომ არ დავიმსახუროთ არავის მრისხანება, მაგრამ შევძლებთ თუ არა ამას, ეს ჩვენს ნება-სურვილზე არაა დამოკიდებული. ჩემი მხრივ, თავს ნებას ვაძლევ, დავარწმუნო თქვენი აღმატებულება, რომ წესად არა მაქვს პირადი მოსაზრებებით ვხელმძღვანელობდე სამსახურობრივ მოვალეობათა აღსრულებისას. ის აზრი, რომ შექმნილი ვითარება ამისი ნათელი დადასტურება იქნება, რამდენადმე მიმსუბუქებს, როგორც შუამავალს, ჩემს უხერხულ მდგომარეობას.

ჭეშმარიტი პატივისცემითა და სრული ერთგულებით, პატივი მაქვს, დავმთე თქვენი აღმატებულების უმორჩილეს მსახურად.

თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე

11 იანვარი, 1830 წ.

ფილადელფოს კიკნაქისადმი

ღირს მამას ფილადელფოს, მოწყალეს ჴელმწიფეს
შუამთის მონასტერში

მამაო ფილადელფოს!

წერილმან თქვენმან მშვიდობისა თქვენისა სწავებითა
მახარა და ხსოვნისა ჩემისა დამტკიცებითა დამსდვა ვალი სა-
ამო მადლობისა. ესრეთვე ნაღვანმან თქვენგან ხატმან ქვისა
ალექსანდრე ნეველისამან, რომელიცა დამშთებისა სამარა-
დოდ ნიშნად მტკიცედ ჩემდა მომართისა თქვენგან სიყვარუ-
ლისა.

ასტრონომიისა იარაღნი, გარნა მათ¹, რომელნიცა მო-
გართვი, არლა მქონან და საათი მზისა გარდასალეებლად
თუთ მომირთმევია ჴელითა დიაკონისა თქვენისათა.

რევეულთა თქვენთა წარვიკითხავ და შემდგომად² მოგახ-
სენებ, რადსაცა ვპოვებ მას შინა³ სასარგებლოსა.

ღვინო მოგართვი საუკეთესო, მაგრამ სიმცირისათვის
ნუ დამგმობ. ღვინის თუხებისათუს ასე იტყვიან:

ღვინო თუხებას არ ჰსცვალებს,

არამედ⁴ უმატებს ძალებს.

კეთილთ თუხებათ მქონემან

ჯერარს სვას, კეთილს უმრავლებს.

ეს ლოთური ლექსია. ნუ გამიწყრები დიდმარხვაში მო-
წერისათუს.

შენს მადლსა, როცა მოიცალო, დაგვხედე. რომლითაც
დია ვალდებულ მყოფთ თქვენს უმორჩილესს მოსამსახურეს
თ. ალექსანდრე ჭავჭავაძეს.

მარტის 22, ნელს 1832, წინანდლით.

ნიკოლოზ იოსების კი ფალავანდიშვილისადმი

მონყალევ ჳელმნიფევ, თავადო ნიკოლოზ იოსების ძევ!

პარასკოვა ნიკოლაევენასაგან ვსცან გუშინ ჩემზედ მონევილი უბედურება¹, რომელისაც გაგონებას ყოველდღე² მოველოდდი და თქვენი წიგნიც იმისგანვე მივიღე. რასაცხანში დედა ჩემი იყო, იმ წელიწადებში მყოფმა ერთხელ სნეულეზისაგან დასუსტება, მობრუნება ძნელილაა. ვჰმადლობ ყოვლის³ შემოქმედს, კაცისათვის სიკვდილი რა გასაკვირვებელია! -- ეს არის ჩემთვის სანამეტნაოდ სამწუხარო, რომ უკანასკნელ დღეებში დედის ჩემის მოვლა და სამსახური არ მელირსა და ვერც პირდაპირ კურთხევა და მიტევება მივიღე იმისგან, რომლისაც წინაშე, რა გზა აქვს, მრავალი ბრალი არა მქონდეს, ზოგჯერ ნებსით და უნამეტნავეს გზის უნებლიეთად⁴ მწუხარების მიყენებით.

სხვებრ, თქვენმა მონანილეობამ⁵ და მართებულობის სიყვარულმა უჩემობა არ დაატყო⁶. მირწმუნეთ, არ ვიცი, რა მადლობა მოგახსენოთ გარდაცვალებულის დამარხვაზედ თქვენგან მიღებულის შრომისა და მზრუნველობისათვის, მაგრამ კეთილი არა ს[ა]დ[ა] დაიკარგვის.

მანანას წინანდალში ყოფნა დიდად მიხარიან. დარწმუნებული ვარ, რომ დიდს ნუგეშად ექმნებათ სალომესაც და ქალეზსაც.

გთხოვ, მიიღო ჩემი გულითადი აღმსარებლობა და ჭემმარიტი პატივისცემა თქვენის ბრწყინვალეების უმორჩილესის მსახურის, თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძის.

22 ივნისს, 1836.

ს. პ.

სოლომონ დოდაშვილის

წიგნები



იონა ხელაშვილისადმი №1

ღირსო¹ მამაო, მღუდელ-მოძღუარო იონა და სულიერო სულისა წმიდისაო!

სიტყუანი თქვენნი, სიტყვისა მის ჩემისა გება, მივიღე ჴელითა ეკლესიის მცუჭლისათა და იყავნ ესრეთ. გარნა მაქუს მიცემული სიტყუა პროფესორთან, რათა ყოველს შაბათს მიიღოს შრომისათუს სრულად თხუთმეტი რუბლი. მე ვინყე სწავლა ამ თთუს ექუსსა. მაძლევს სამშაბათს და შაბათს, ორ ორ ჟამსა. ორის კვირისა ვივასხე და შემდგომისათუს არ ვუნყი, რად ვჰქმნა და აქ არა ძალ-მიძს ვისგანმე ვასხებად, არამედ თქვენ გთხოვ, ჩემთუს იზრუნოთ ვიდრე შესრულებადმდე სწავლისა, გინა კაცად შემოსლვადმდე ჩემსა. ყოველი შრომა თქვენი და წარსაგებელი ჩემზედა, რანიცა დათესილან და იქმნებიან დათესილ, ყოველნივე კეთილად მოიმკიან და არა ბოროტად წარხდებიან. ჭეშმარიტებით ირწმუნეთ, რომელ სახელის დადება თქვენი ჩემზედა უკუნითი უკუნისამდე იქმნების ხსენებულ ქუწყანასა ზედა და უმეტეს ცათა შინა.

წინამდებარე წიგნი ესე, აღსრულდების ჭეშმარიტი სიტყუა ღმრთისა² და აღინერების იგი მას ჟამადმდე, რომელ თქუჴნ გიბრძანებიათ, ესე იგი, ვ[ი]დრე შობის მარხუადმდე. და ადამსა ზედაცა ვმეცადინებ განმხნობად, გინა განლვიძებად. ესე ვითარისათუს აღვსწერე ვიდრე ას მეთ ჩვიდმეტე პარალრაჴადმდე.

ჟამსა წიგნისა მიღებისასა იმყოფებოდა იოანე ბატონის-შვილი აქა და ყოველივე მიუთხარ მისად შესაბამნი, გინა რანიცა ეკუთვნოდნენ მას წიგნსა, ანუ ავთრათსა შინა თქვენსა და მიიღო კეთილად. მაგივრად მანცა თაყუანისცემა გიძლუნათ და ეგრეთუჴ სხუათაცა უგანათლებულესთა, რომელნი იყუნენ ერთბამად ბაგრატ ბატონის შვილის მოსახელის დღესასწაულსა შინა.

სხუჴბრ, აქა ყოველი კეთილ და ეგე თქუჴნცა მშვიდობით. ვითხოვ მოტევებასა დიდ სულობისა თქვენისა მიერ ჩემ

ზედა და კუალად ვითხოვ, რათა არა განგრძელდეს დრო, ვიდრე მოსლვადმდე თქუშნისა.

თქვენი ღირსების³ პატივისმცემელი, მონაფე თქუშნი სოლომონ დოდაევი

ივლისის 10-სა, 1825-სა წელსა.

იონა ხელაშვილისადმი №2

თქუშნო ღირსებაე მამაო, მლუდელ-მოძღუარო¹ იონა² და მზრუნველო მამობრივ!

დიდ ფრიად აღმამკობელი და განმალვიძებელი სულისა, მარგებელი გონებისა და განმანათლებელი გულისა ჩემისა, ავთრათი თქუშნი მივიღე ჳელითა მათის უგანათლებულესობის, მეფის ძის³ ბაგრატის ძის ნიკოლოოზისათა, რომელმან მიჩუშნა ჭემარტი ყოვლადი⁴ მოძღუარება სიბრძნისათეს, რომელი იპყრობს შიშსაცა ლუთისასა და მტკიცედ დადგრომასა ჩემსა სარწმუნობასა ზედა და სხუათა მრავალთა მაგალითთა შეიცუამს იგი ცნობისათეს ჩემისა.

ყოველთა ამათ ცნობათა აღადგინეს გულს-მოდგინება, წარმოადგინეს გონება და აღძრეს ძალნი გულის-ჳმის-ყოფისა ჩემისანი განვრცობად ძვირფასისა ამის საქმისა წინარე ამისსა. პირუშლსა ავთრათსა შინა თქუშნსა მაცნობეთ პირი ყოვლისა ქუშყანისა, რომელნიცა იქადიან⁵ დაფუძნებულთა სწავლათა სასიბრძნოთა და ყუავილოვნობს ყოველი ქრისტეს-მოსახელე ერი, ესრეთ ვსთქუა, რომელი ქუხს და სჭექს. ამასთან, ყოველთა დაბადებულთა სიტყვიერთა და უსიტყოთა ცხოველთა შრომანი მამხილეთ, რომელნი იღვნიან დღითი დღედ და ჟამითი ჟამად, მაღიდებელნი ლუთისანი იკრეფენ თავთა თესთათეს და საზოგადოობისათეს ყოველთა საქმეთა.

აწინდელსა ავთრათსა შინაცა მაცნობეთ ესე ვითარნი და ბევრეულნი ცნობანი სწავლისანი, ისტორიებრ აღწერილნი, ფილოსოფიისა, ლუთისმეტყუშლებისა და მატემატიკისა გამოხატუანი. ორთავე ამათ ავთრათთა შინა გარდმოცემულნი

ვსცან იგინი ყოველნივე. და ესრეთ დაიდუა საფუძველი თქუენ მიერ ჩემ-შორის სწავლისანი და მზრუნველობანიცა თქუენნი არიან დიდ ფრიად⁶ კეთილნი ჩემ-ზედა, რომელთაცა ვგრძნობ ჩემ-შორის და ესრეთითავე ხატითა ნიადაგ ინარმოებს შთაბეჭედითა ხატებთა შინა ჩემთა დიდ-ძვრფასნი საქმენი თქუენნი, რომელი მივმღებელობ ცნობასა სიბრძნისასა საკუთრითა მზრუნველობითა და გზასა-ზედა ძლომითა თქუენითა და მეცა აღვსთქუამ წინაშე თქუენსა ქრისტიანებრ, რათა მოძღურებათა თქუენთა და საქმისა ცნობათა შთავიბეჭდავ სულსა შინა ჩემსა და შეუდგები მას ყოველთვის.

კუალად, მოწყალეო მამაო! მიბრძანებთ სოლომონის ძის მიხაილის აღზრდასა. უკეთუ ღმერთსა ნებავს, არა თუ მას, არამედ ყოველთა შთამამავლობათა სახლისა თქუენისათა სიცოცხლესა შინა ჩემსა მივიღებ მეცადინეობასა, შეძლებისამებრ ჩემისა და აღვასრულებ მათ-ზედა წინადადებასა ამას თქვენსა, სარწმუნოდ ბრძანდებოდეთ.

ამ⁷ თთვის 13 იწყო ადამიან ქადაგებისა წერაჲ ჩემთანა. მივეც გეგმი, წარგზავნე თუსად სახლად და აღმიტეუა მეცადინეობა და გულს-მოდგინეობა. წარმოგზავნილი ხუასტაგი⁸ სრულად მივიღე, თუმცა მე მაქუნდა საჭიროება, გარნა ადამსაც ესე ვითარივე და თუს თუსი ნაწილი მივიღეთ, რომლისთვის დიდსა მადლობასა ვავლენთ. მეცა აღვსწერე ლუთისმეტყუილება ვიდრე ასოცდათურამეტადმდე, პარალრაფი 138. ვაქებ და ვადიდებ⁹ სამებასა პირებით და გუამოვნებით დამტკიცებასა, რომელმან მიჩუენა ცხადად მაგალითებითურთ და ვიმეცან მტკიცედ.

17 ივლისს¹⁰ უნივერსიტეტსა შინა იქმნა შემთხუცვა საზოგადოებსა გამოცდისა აღსაზრდელთა კეთილ-შობილთ პანსიონისა. მინისტრნი იყუნენ მუნ და სხუანი მრავალნი ჩინებულნი კაცნი. ცერემონიამან ინარმოვა ესრეთ: ჟამსა მინისტრის მოსულისასა იქმნა ჳმა ბგერისა საყვირთა და მას ზედა გალობა, შემდეგ¹¹ შესხმა რუსული, ამასთან, საგანი სჯულისა ლუთისა¹², კუალად¹³ სტატისტიკა, რიტორიკა, გინა რუსული სიტყვიერება, როსიის ისტორია, კანონნი რომისა და სამოქა-

ლაქო მატემატიკა, ფიზიკა, სამკედრონი სწავლანი, ლათინური ენა, ნემეცური და ფრანციცული.

შემდგომად საგანთა ამათ სთქუა შესხმა მღუდელმა მალისტრმან მალოვმა (შესხმა რუსული). კუალად აღსაზრდელთა მიიღეს, რომელნიც მუნვე დაშთენ, ჯილდოდ წიგნები და, რომელთაც შეასრულეს კურსი, ექვსს მიეცა მეათე კლასის ჩინი და ოთხმა მათგანმან ოქროს მენდალიცა და რუამან მეათორმეტე კლასის ჩინი. უკანასკნელ იქმნა გალობა და საკრავნი მშუწნიერ-ხმად ესრეთ შესრულდა და ერნი მიიქცნენ თუს თუსად.

მონყალეო მამაო და მზრუნველო, სხუშბრ, დავშთები თქუწნის ღირსებისა მორჩილი მონაფე ს. დოდაევი[ი]

[1825 წლის 17 ივლისიდან 15 ნოემბრამდე]

იონა ხელაშვილისადმი №3

თქუწნო ღირსებავ მამაო, მოძღუარო¹ იონა², უუმონყალესო მამაო და მზრუნველო საღმრთოო!

გამოიხატებიან სულსა შინა ჩემსა ესოდენ დიდნი უხუშბანი სოფლის შემოქმედისანი და მისი მიუნთომელი განგებულება, რომელიცა დანთხეულ-არს ყოველთუს კაცსა ზედა და უმეტესად ჩინებულსა ამას დღესა, რომელსაცა ინება მოვლინება მხოლოდ შობილისა უნინარეს საუკუნეთა ძისა თუსისა სოფელსა ამას-შინა, არა მხოლოდ გამოხსნისათუს კაცობრივისა ნათესავისა ცოდვისაგან, არამედ ყოფადცა ჩუწნისა ნაწილად საუკუნოსა თუსისა დიდებისა.

ვგრძნობ გულსა-შინა ჩემსა ესრეთთა უსასიამოვნესთა აღტაცებათა და მყოფსა აღვსილითა არა ძალ-მიძს, რათა ვანუცხადო ესოდენ დიდნი და ძლიერნი ჳმანი სიხარულისა და განცხრომისანი. უკეთუ არა მას, რომელსა ესმის ფასი დღისა ამის, არა მასაა? რომელი უხვითა მონყალეობითა სიბრძნისა და სიმართლისათა, სიყუარულისათუს მამულისა, სარგებლად სულისა და კეთილ-დღეობისათუს მემამულეთასა გარდაჰფენს

თუსსა მზრუნულობასა და მფარველობასა. და ესრეთ, სიბრძნის-მოყუარეო, ლუთის-მეტყუშლო და ქართუშლთა სიტყვერებისა მამაო! აღმასრულებელი დღესა ამას-შინა მიუნთომელისა სიხარულითა მოვართმევ თქუშნსა ღირსებასა უუმნუჭრვალესსა მოლოცვასა ჩემსა, რათა ამის-მიერ განვაცხადო ვალი მადლობისა და ვსთხოვ აწინდელსა ამას დღესა შინა შობილსა ქრისტეს ღმერთ-კაცსა, რათა იხაროთ დაუღვენელითა მოწყალებითა მისითა განმრავლებასა-შინა დღეთასა და აღყუავებასა წელთასა ბედნიერებისათუს ჩუშნ მექუშყენეთასა უკუნითი უკუნისამდე, მრავალ ჟამიერ.

თქუშნისა ღირსებისა³, მოწყალისა მოძღურისა უუგულითადესი მსმენელი, მონაფე სოლომონ იოანესი დოდაევი.

1825-სა დეკემ. [25], სანკტ-პეტერბურლსა.

ინებე, რომელი შენ-მიერ ჩემდა სულიერ-ჭეშმარიტ-მზისა მხილება,
ორობა მის ბრძნისა, სოფლად ჩუშნება,
ნეტარი ჩუშნთვის კსნად სოფლისა-მოქმედება,
არსება უზესთაესი არს თქუშნდა ყოველი უწყება,
სიტყუა პირუშლი მამისა-თანა ერთ-ღუთაება.

დოდაევი

იონა ხელაშვილისადმი №4

ღირსო მამაო, მღუდელ-მოძღუარო¹ იონა და ბრძენო ყოვლად² ბრძნისაო!

სულისა-მიერ განათლებულს და ნმიდას მარჯუნასა ზედა ამბორ-ვჰყოფ სიტკობებითა სიყუარულისათა და სურვილითა სულისათა და ჩემს სრულიადსა გულითად პატივისცემასა განვაცხადებ თქუშნდა, მამაო.

შემდგომად იუნყებთ ჩემ შენყალეზულისა, ესრეთვე ვჰგიე, ვითარცა უწყით. სასმენელი ჩემი შეკრულ-არს მსგავსადვე უწინარესისა და ტკივნეულებაცა მცირე მცირედუშ ამასთანა.

უკანასკნელ, თქუშნ ბრძანდებოდეთ სიცოცხლით უკუნისამდე, მშეიდობისათჳს და კეთილ-შემთხუშვისა, ანუ დიდებისათჳს და სახელ-ყოფისა მემამულეთასა, გინა მექუშყნეთასა და მე ვსდგე გზასა ზედა თქუშნსა.

თქუშნი სულიერი შვილი

ს. დოდაევ[ი]

9 ფებერუალს, 1826.

იონა ხელაშვილისადმი №5

ღირსო მამაო, მღუდელ-მოძღუარო, მონყალე¹ იონა², უმონყალესო ჳელმნიფეჳ!

მომლოდე ვიდრე აქამომდე, აქარე ხილვისა თქუშნისა ვარ ოცნებასა³ შინა. ვინაფთგან დამიტევეთ უხილავ მე, მდებარე სარეცელსა ზედა, სნეული სენისაგან სენთასა, რომელსა მაკლის სასმენელი და სახილველი მტკივნეულებისა-გამო თავისა, ათი დღე შეუძლებელი საქმობისა, გუშინდელისა დღი-დამ ლამესა ამას მკურნალმან დამაკრა შჰანსკი მუხა, რომელი

იდუა ჟამსა ცამეტსა და მეათოთხმეტესა აღილეს, მივიღე მწუხარება დიდ ფრიადი და მრავალი წყალი და სისხლი მედინა. ნივთიერება ყურიდამ მოდის, მსგავსად უწინარესისა, გარნა თაბრუ არ მეშუშბა და დიდად მიშლის საქმობასა და ხილვასა⁴, წამსა ერთსა ვიხილავ და მეორესა ვერა. უკანასკნელ ვსთქუა, ესრეთ მიბნელდება თუალი, რომელ არ ძალ-მიძს ერთი მეორისაგან განრჩევა და ერთის სახლიდამ მეორესა შინა განსულა არა ძალ-მიძს თაბრუხუჭვისა-გამო. უკეთუ ინებებთ გამობრძანებასა, ვითხოვ ლუთის-მეტყუჭლებისათჳს ქალღალდსა.

მონყალე⁵ მამაო, მარადის მორჩილი მონაფე
ს. დ⁶.

მარტის 9, 1826 წელსა.

იონა ხელაშვილისადმი №6

ღირსო¹ მამაო, მღუდელ-მოძღუარო, მონყალე² იონა³, უუმონყალესო კელმნიფევ!

გუშინ, ჟამსა მეშვიდესა, შემდგომად საშუალისა დღისა-სა, ესმა ყურსა ჩემსა ჳმითა მჳედარ[თ]ასასათა ჳმაჲ ფრიად⁴ ჩემდა სამწუხარო, რომლისა-გამო გამოჩნდა მსწრაფლ გრძნობათა შინა ჩემთა ნიშანნი მწუხარებისანი. უკეთუ მართალ-არს შემთხუჳვა თქუჳნდა, მამაო, სნეულებისა რაასამე, თუმცა ჟამსა მასვე მსურდა ჳემშარიტნი ცნობანი, გარნა არათუ მაშინ, არამედ დღესაც ვერ შემძლებელ-ვიქმენ რომლისა-მე წარმოგზავნასა და ვერა რაამე საშუალობა მოვიძიე, გარდა უმაღლესისადმი თხოვისა და ესრეთ მცირედ გამოვხატავ მხოლოდ თხოვასა, რათა ჳყოთ ცნობა ჩემდა მონაფისა.

თქუჳნო ღირსებაჲ⁵, თქუჳნი მორჩილი და მსმენელი
ს. დოდაევი

მარტის 22-სა, 1826 წელსა.

თქუშნო ღირსებაჲ მამაო, მღუდელ-მონაზონო და მოძღუარო¹ იონა, უუმონყალესო ჳელმწიფე!

მაკურთხეველსა ჩემსა წმიდას მარჯუწინას უამბორებ!

აჰა, უმაღლესნი ძალნი გონებისა და სულისანი აღსდგნენ და წარმოსდგნენ მიდრეკილებისადმი ფილოსოფიურთა სწავლათა, განათლებისათჳს გულის-ჳმის-ყოფისა და სიტყუათა სამჭევროთა გამოხატვისათვის გულისა, რომელიცა სიმდიდრე ენისა არს, სიმდიდრე გულის-ჳმის-ყოფისა, წარმატებანი სწავლათანი ჰმონმობენ საზოგადოდ აღმატებასა კაცობრივისა გონებისასა და წარმატებანი ენისა და სიტყუერებისანი ჰმონმობენ აღმატებასა ერისასა, გამოცხადდებიან ხარისხნი განათლებისანი, აღივსებიან გრძნობანი, განვრცელდებიან სიმგრგვლენი გონებისანი შეხედვთა მოქმედებულთა მშუშნირებათადმი.

კაცო ბრძენო, მოძღუარო და მასწავლელო ჩემო სწავლათა სხჳსა და სხჳსა ტალანტითა, ზეცისა და ქუშყანისაო! თქვენ დამერწმუნებით, რომელ მე მტკიცედ მიპყრიეს და ნამდვილ აღვასრულებ ყოველთა სწავლათა თქუშნთა კეთილმოქმედებითა და სიმჳდითა და შეუდგები კანონთაცა და რჩევათა. მე განღვებულ-ვარ თქუენისა მეტყუწლებითა, ვითარცა სიტყუერ, ეგრეთუჳ წერილთა მიერცა მიმართუად ესოდენ მაღლისა და კეთილშობილურისა სწავლისადმი, მზრუნველობითა თქუენითა ვიზრდები, გარდა მოძღვრებისა თქუენისა ბუნებითსა ენასა ზედა ჩემსა, სხუათაცა მოძღვართა დაკავებითა საგანთათჳს ენასა ზედა ევროპიისასა, რომელნი საჭიროებენ მაღალნი ცნობანი უნივერსიტეტსა შინა.

მე განღვიძებულმან მივხედე რა ჩინებულთა ამათ საქმეთა, რომელნიცა ამაღლდებიან და განდიდნებიან, თხზულებათა შინა თქუშნთა ვიხილე ჳეშმარიტება სიბრძნისა, რომელი მისწრაფებით აღამაღლებთ ზენა ქრისტიანებრსა სარწმუნოებასა და გამოავლენთ დარღვევასა განდგომილთასა. ვიხილე ღვთის-მეტყუწლებასა-შინა თქუშნსა სული ამაღლებული, გო-

ნება განდიდებული და გული განცხადებული და ხარაკტერი მარცვლისა მშუწნიერ-მსიტყუწლი ჭეშმარიტებისა. მომეცა ცნობა საშუალობითა თქუწნითა და იუნყა სულმან ჩემმან გარეგანთა გრძნობათა მიერ გარდაბეჭვდითა სოფელი ესე და მიზეზი ამისი, მდგომარეობა ერთა საზოგადოობისა პოლიტიკებრი, ზნეობითი მოქცევა ურთიერთა-შორის, ხარაკტერი სხვსა და სხვსა ნათესავისა.

მოქმედებანი მათნი გამობრწყინდებიან უუმაღლესსა ხარისხსა-შინა სიბრძნისასა, რომელნი აღაშენებენ მეცნიერებასა და განაშუწნებენ ენასა დიდითა სიმდიდრითა ლექსათათა. ქუხს და სჭექს მათსა ზედა მაღალსა ჩინებულება მწერალთა და პირსა ზედა ყოვლისა ქუწყანისასა განითესების ჳმა უკვდაებისა მათისა, ესე იგი ძუწლსა ზედა² ენასა ბერძენთასა: არისტოტელი, ლონდინ, დიონვისიოს ღალიკარნასელი, ათინელი დემოსფენ; რომაელთა: ციცერონ, კვინტილიან; ახალსა ენასა ზედა; ფრანციისა: როლლენ, ბიტტე, ღალარნ; ანგლიისა: ბლერ; ნემეციისა: ეშენბურღ, მოას; რუსეთისა: ლომონოსოვი, რიჟსკი, კარამზინ და სხუანი ჩინებულნი მწერალნი იწმევიან უკუდავითა სახელითა.

ხოლო საგანი ჩემი მხოლოდ არს ესე, რომელ მიმხედმან სულმან ჩემმან სიბრძნისა მათისა და ესე ვითართა სხუათაცა ჩინებულთასა განიღვძა მწყურვალისა სურვილითა, წარმოსდგა გამოხატუასა-შინა ჩემსა ძალი მის სულისა, რათა სდგეს მხოლოდ გზასა ამას ზედა.

მამაო სულისა ჩემისაო! მე სათნო შემდეგი სწავლისა თქუწნისა, თუმცა ვარ დადგენილ თქუწნ მიერ მათისა უგანათლებულესობის მეფის ძის ბ[აგრატის] ძეთა-ზედა მასწავებლად, კეთილ-მოქმედება ესე ჩემთვს სასეფურო და სახალისო არს, რომლითაცა ვრაცხ თავსა ჩემსა ბედნიერად ესე ვითარისა მოქმედებისათვს და აღვასრულე თანამდებობა ესე ჩემი ამ დროდმდე, რომელი მდგომარებს მეორესა წელსა. შრომამა ჩემი მაქუნდა უშურველ მეცადინეობასა შინა, გარნა აწინდელნი შემთხუწულებითნი მიზეზნი მომცემენ დაბრკოლებასა მზგავსადვე მოქმედებად და, უკეთუ იწებებთ თქუწნ და მშობელნი მათნი, შრომასა ჩემსა არარად აღვრაცხ

მათთვის და მუნიტგან ვპვლი მისაცემად სწავლისა არა ნაკლებითავე საქმითა ორჯელ და, ოდეს მეცალება, სამჯერცა კვირაში.

მიზეზნი: 1) სიშორემან გზისამან შემამთხვია ვნება სნეულობითა; 2) სნეულობისა ამის გამო ვიქმენ შეპყრობილ სამი თთუშ და უმეტესცა; 3) ამის გამო დაეშთი უკან და მოვცდი საგანთა, მასწავლელნი მოუთხრობენ, „დღისა დაკლება განავრცობს წელიწადსაო“; 4) ყოველსა დღესა თანამდებ[ვ]არ მუნ ყოფად; 5) მრავალნი საგანნი გარდამოიცემიან და წელსა ამას მომატებულ; 6) დროა შემოკლდა და უკანასკნელისა ეგზემენიისა მომზადება თანა-მადს. და დასასრულ ვთქუა, მე ვარ კაცი და მეშიშვის, რათა სული ჩემი არა იცუალოს სხუა და სხუათა გარემოებათა მიერ, რომელსაც ეწინააღმდეგების თვსებანი პირმოთნეთა კაცთანი.

ამისთვის გავბედავ თქუწნისა ღირსებისადმი, მამაო! ინებეთ ცხოვრებაჲ ჩემი იმპერატორის სასწავლებელსა-შინა, რათა ვისმინო გარდამოცემანი სხუა და სხუათა პროფესორთანი³ ყოველსა-შინა დღესა.

და ესრეთ იპყართ სწავლაჲ ჩემი სადიდებულად სახელისა თქუწნისა, ვითარცა ცათა შინა წინაშე მეუფისა, ეგრეცა ქუწყანასა ზედა წინაშე ყოველთა შემდეგთა სიბრძნისათა.

ამასთან, წარმოვაველენ დაწერილსა ხუთსა რუეულსა ღვთისმეტყველებისასა. ვგიე სრულიადსა ჭეშმარიტებითსა პატივისცემასა შინა ყოველთვის მონაფე თქუწნი

სოლომონ დოდაევი

მარტის 27 დღესა, 1826 წელსა, სანკტ-პეტერბურღი.

იონა ხელაშვილისადმი №8

თქვენო მაღალღირსებაჲ! ქრისტე აღსდგა!

სიხარული იგულისხმევის ჩუჭულებითად ჟამსა მას, ოდესცა მივიღებთ სასურუშლსა კეთილსა, ანუ განთავისუფლებასა რომლისამე უბედურებისასა.

დღეს არა ესე ვითარი ხუცდრი გამობრწყინდებისაა? არა ღირს ვიქმენითა ჩუენ¹ სიმრთელით ხილუასა დღესასწაულისა ამის ძლიერისა და დიდებულისასა? ვინაათგან უმაღლესობს დღესასწაული ესე ეკლესიისა ჩუენისა გამოხსნისათეს ცოდვისა ჩუენისა და მომზადებისათეს საუკუნოასა ცხოვრებისა ჩუენისა. აწინდელსა ამას დღესა აღსდგა გუშინდელი ვნებული, აღსდგა საფლავისაგან ყოვლითა ძალითა და დიდებითა და ყოველი სული განსუჭნებული მისთანა, ყოველნი ქრისტიანენი ვიხილავთ სიტკობებასა გრძნობისა ჩუენისასა, სიხარულსა სულისა და გულისასა, რომელი დღეს შთაიბეჭდების მას შინა განმალვიძებლად ზნეობითისა განათლებისა, დღეს მივიღებთ ზეციურსა სიხარულსა და გამოუთქმელსა კმაყოფილებასა, დღეს მიუთხრობენ ყოველნი სულნი ურთიერთ დიდებასა აღდგომისასა მშუჭნიერთა კმითა სიხარულისათა, დღეს შეემთხუჭვიან აღტაცებულნი გრძნობანი შეერთებულად. შემოკლებულად ვსთქუა: დღე ესე დღესასწაულთ დღესასწაული არს დიდებულ და ამაღლებულ ყოველთა ქრისტიანეთათვის. იხილეთ, გუშინ რა იქმნა, ხოლო დღეს რა გვესმის, რას ვიხილავთ, რას ვგრძნობთ? მაცხოვარი ჩვენი აღსდგა.

აჰა, კმაცა ჩემი მეტყუშლებს მიუნთომელსა სიხარულსა ესე ვითარისა სმენისათეს, წინაშე თქუენისა მაღალ-ღირსებისადმი მოლოცვთა თქუენისა განთავისუფლებისათა და ყოველთა² ბუნებათა მოყუასთა ჩუენთასა. და მან ძალმან აღდგომისამან აღაყუავოს დღენი თქუენნი სიხარულსა და კმაყოფილებასა შინა ჩუენისა ნუგეშისცემისათეს უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

თქუენისა მაღალ-ღირსებისა მორჩილი მონაფე
სოლომონ დოდაევი

აპრილის 18-სა დღესა, 1826-სა წელსა,
სანკტ-პეტერბურლით.

იონა ხელაშვილისადმი №9

მაღალ ღირსო მამაო, მღუდელ-მოძღუარო¹, უუმონყა-
ლესო ხელმწიფე იონა!

მყოფი აღრეულობითა, ანუ აღშფოთებითა მოძრაო-
ბასა შინა სხეულისა, ყოველთა კერძოთასა მიზეზთა გამო
სხუა და სხუათა უსიამოვნოთა კუჭთებათათა, ე.ი., პირველად
შედგენასა შინა ჩემსა მდგომარებითა სნეულებისათა, მეორედ
გარემოთა შემთხვეულებათა მიერ, რომელნიცა მომცემენ
საქმეთა შინა ჩემთა დაბრკოლებასა, წარვჰსწერ თქუწნადმო
უნყებასა ამას მოკლედ, მამაო!

ვინათგან თქუწნ მიერ, ანუ გამო, მიყვანილ ვიყავ სა-
სოებასა შინა (იმედსა), რომელმანცა ვიპყარ საქმეცა ეგრეთ,
მე ვჰგონებ, უწყით, რომელ ყოველი საქმე ჩემი არს მას სა-
განსა შინა², რათა არა იცუალოს არცა ერთითა წერტილითა,
გარნა გამოხატუასა ამას შინა შინაგან სულისა ჩემისასა ვიქ-
მენ მრავლითა ცთომითა ცვლილებათათა, რომელნიცა ვნე-
ბად შემერაცხებიან მრავალთა გარემოებათა შინა³; 1) გან-
სჯასა შინა სიბრძნისასა: მომავალსა სამშაბათსა იწყების გარ-
დამოცემა საგანთა და, ამასთან, რეპეტიციანიცა, გინა ეგზა-
მენნი, რომელიცა დაჰვეშთი უქონელობასა⁴ შინა მრავალთა
საგანთასა მოუმიზადებულ; 2) განსჯასა შინა⁵ მომცემთა სიბ-
რძნისათა, იგინი არა კმაყოფილი არიან ჩემ მიერ, ვინათგან
ჯერეთ არა რადსა სამსახურსა ჩემსა იხილვენ საქმითა
რადთამე; 3) განსჯასავე შინა⁶ ვასხ მომცემთასა: ესე შეად-
გენს ფრიადსა უპატიობასა კაცისასა. ზნეობით და ბუნებით
მე ვჰყავ დებულ მათთჳს ნიშნად დრონი და ვჰცუალე მრა-
ვალჯერ, ხოლო მათ ვიხილავ თვით იწროსა მდგომარეობასა
შინა⁷ და არა ესრეთ იგინი აზმნობდენ ჩემ ზედა⁸, რომელთა
არლარა დარწმუნება ექმნებათ ჩემდა (იხილეთ, რამეთუ მკერ-
ვლისა და სხუათა ვასხი შესდგების ვიდრე ათხუთმეტ ნითე-
ლადმდე). ესევეითარითა წარმოებათათვის მოვმართავ
თქუწნისა მაღალ-ღირსებისადმი ვედრსა ამას, რათა ჰყოთ
სული ჩემი თუსსა მდგომარეობასა შინა⁹, რომელიცა არს გან-

კუთვნილი საკუთრად თქუწნდამო, ყოველსა ჟამსა თვისისა მოქმედებისასა.

თქუწნისა მალალ-ღირსებისა მორჩილი მოსამსახურე, ჭეშმარიტითა პატივისცემითა დაეშთები მონაფე თქუწნი, სტუდენტი სოლომონ დოდაევი

აგვისტოს 14, 1826 წელსა, ს.პ.ბ.

იონა ხელაშვილისადმი №10

მალალ ღირსო მამაო, მლუდელ-მოძღუარო, მონყალე¹
იონა, უმონყალესო ჳელმნიფევე!

იქმენ ბრძენ ნათელ ბრწყინვალე სწავლათა,
ოვბაბ წყაროო, მომფენელო კეთილთა,
ნაყოფ გამომღებ, მეცნიერ წყურვილ-მომდინარედ,
არსთა არსებამან გყოთ სათნოებ სავსედ,
სახენი კეთილთა მომდინარებულ,
ურიცხველ ჩემდა არიან ხილულ,
ძალსა ბუნება და ზნეობა გულსა,
ღმრთისადმი აღძრავს ვედრებად თუს თქუწნისა,
ვერ შემძლებელ ვარ, არა ვჳყო ცხადად,
ნუგეშსაგრძნობელ ჩემდა მოქმედად,
იღია ჩემი მდგომარეობს მისად,
სიტყუთ წარმოვადგინო თუსება თუსად,
ოდესმე იქმნას კეთილი მემამულეთა საცნობლად,
ლოცუად ზეცად ჳყონ და თუთ ჳქმნან მსგავსად,
ოცად [ს]ტრიქონად მოკლედ აქ წარვსწერ,
მაშინცა ჳსცნობენ მხოლოდ სახიერ,
ოდესმე აღრიცხუწნ სათნოს სახეთა,
ნადებსა თანა ვასრულებ ყოველთა დღეთა,
ამათდა ვავლენ მოლოცუასაცა,
წინაშე თქუწნსა და ზემო წმიდას თხოვადცა.

სოლომონ დოდაევი

სეკდემბრის 21-სა, 1826 წელსა, ქალაქსა პეტრეს დიდისასა.

მაღალ-ღირსო მამაო, მღუდელ-მოძღუარო იონა, უმოწყალესო ხელმწიფე!

შემდგომ დიდ ფრიად¹ ძლიერისა გრძნობათა შინა² აღტყინებულისა მწუხარებისა, მაქუს პატივი უწყებად თქუენდა ამისთვის მოკლედ: დღესა ხუთშაბათსა ამ კვირისასა სასმენლად ლექციისა დაეჰყავ უნივერსიტეტსა შინა³. მუნ მიხილა მკურნალმან ნ. მკითხა, რაღაა ჰსტიკინეულობო! მიუგე ოდესმე მტიკინეულება თავისა. მან მიითხოვა ქალაღი და დასწერა რეცეპტი, ხოლო მუნიტგან წარმოსრული მტიკინეულებითა თუსითა მოვედ სადგომად თუსად, წარვეგზავნე ბარაკიელი რეცეპტითა მოტანად სამკურნალოდასა. მოტანილი ვიხილე, რომელ იყვნენ შპანსკი მუშკი, აბები და ზეთი. ღამესა მას ვიდრე განთიადმდე მაქენდა კისერსა ზედა⁴ მუშკი, რომელმან მაცრემლა დიდად და აღძრა შედრგენილება სხეულისა ჩემისა, აღყარა ტყავი კისრისა. იწვის მსგავსად ცეცხლისა, მიდის ყვითელი წყალი მოუნყვეტელ, მსგავსად მდინარისა და მე ვმწუხარებო უმეტეს შავისა დღისა, დიდ ფრიადსა სუსტობასა შინა⁵ კუჭისასა. კისერი გამოუთქმელად აღრეულ არს და ესოდენ ვალს მატერიაალრეული, რომელ მეოთხედ სამოსი სავსე ვჰცუალე, ვჰცუალე და არა განიკურნების მსწრაფლიად, რომლისა გამო კიდევ ვიშიშვი ვნებულებასა, ვინაითგან საშიშრად მჭურვალე არს, აღბორგებულ ანუ აშლილ, რაღა ყოფად ძალ-მიძს მოკლებული საქმისა და არა რაფობისა ცალიერ, ყოვლით ურგ.

და ესრეთ გთხოვ, ჰყოთ, მაღალღირსო მამაო, ყურადღება ჩემზედა, რათა განვიკურნო და არა წარინყმიდოს ღვანლი და შრომა თქვენი ჩემზედა. დღეს წირვაზედ უკეთუ გახლდეთ, უბრძანეთ ერისთოვს შანშეს ძეს, რათა მწერალნი წარმოგზავნოს ჩემთან. მე წერად არა ძალმიძს ამ შემთხუევასა შინა, ეგების საქმე ესე სრულ ვჰყოთ და მივმართო სხუათა და გრძლად არა დაშთეს.

მამაო იონა, ამას მცირაკისა ავთრათსა შინა⁶ აღმახსენდა შეკითხუად ცალიერობისათუს. კარტეზიანნი იტყუან ლოლიკებრ ესრეთ: უკეთუ არს ბუნებასა შინა ცალიერობა, მაშა

სათანადო არიან, რათა არსებანი იყვნენ თუნიერ შინაგანთა ვითარებათა, გარნა ესრეთთა არსებათა არა ძალ-უძს ყოფად ბუნებასა შინა⁷. მაშასადამე, შედგების, რომელ არა არიან ცალიერობანიცა. ხოლო⁸ ღასსენდი ესრეთ შეიცავს: უკეთუ არს ბუნებასა შინა მოძრაობა, ჯერარს, რათა იყოს ცალიერობა, გარნა მოძრაობასა შინა⁹ არავინ არა იიჭუჭბის, ამის გამო შესდგების, რომელ არს ცალიერობაცა.

ან უკუშ განსაჯე ტალანტითა თქვენითა წინააღმდეგ დადებადნი ესე. მე ვჰგონებ შემდგომსა ჭეშმარიტად. უკანასკნელ, მშუდობით და მას შინა¹⁰ მტკიცედ ვსასოებ, რომელ ყოველთვის თქვენს ლოცვასა შინა დაუვინყებელ ვარ.

მორჩილი მსმენელი, მარადის მონაფე თქუშნი, სულიერი შვილი სოლომონ დოდაევი

ოკდომბრის 3-სა, 1826 წელსა.

იონა ხელაშვილისადმი №12

მაღალ-ღირსო მამაო, მოძღუარო¹ იონა, უმონყალესო ჳელმწიფევ!

ფიზიკო-მატემატიკებრი ავთრათი თქვენისა მაღალ ღირსებისა მივიღე, რომელსა² შინა³ ვისმინე მაღალნი ტალანტნი გონებისა თქვენისანი⁴, ზეგარდმო ნიჭებულნი გამოხატვთა უძღურებისათუს სრულიად⁵ შემცუშლისა, ერთისა ყოვლადისა⁶ სხეულისა სხუა და სხუა სახეებრ, კერძოებრ და შევემცენ გარდამოცემულისა გარემოებისა ყოვლით კერძო მოქმედებისასა, ესე იგი, ვითარცა ფიზიკებრისა სჯულისა შედრგენასა შინა⁷ კაცისასა, ეგრეთვე მათემატიკებრისა მოქმედებასა განფენილებასა შინა⁸, რომელთა⁹ გამო დამერთო დიდ ფრიადნი მნუხარებანი, მომატებულ მნუხარებასა ზედა¹⁰, მათ კუშთებათათუს გარეგანთა მავნებელთა, გარდა¹¹ შინაგანისა მდგომარეობისადმი გარდამეტებულად შესრულთა მისსა, რომელნი გამოვალნ მქისენი, ურგებნი, გინა მავნებნი მატე-

რიალნი საშუალობითა გრძნობათა კაცისათა, რომელთა გამო მოჰკლებიათ ძალნი მოძრაობათა აღვსითა ძარღვთა ძარღვაკთა, მუსკულათა და სხუათა.

გარნა მტკიცე მსასოებელი წმიდისა წმიდათასა, მოხარულ-ვარ ერთკერძ თქვენსა და ჩემსა მხოლოდ ჳორცისა უძლურებასა და სისუსტესა და არა მას შინა მთავრისასა, უმაღლესი და უდიდებულესი ძალი ყოველთა¹² ძალთა ფრიად¹³ გვჰსწყალობს, ვინაითგან ესე ვითარისა ჳორცისა მოუძღურებითა უმეტეს მორჩილებს სულისადმი და სულსა უმეტეს და უმეტეს განაძლიერებს და განამტკიცებს მოქმედებასა და გრძნობასა მისსა, ხოლო ჩუენ მოგუანიჭა გონებამან გონებათამან ნუგეში და მოთმინება ლოცვისა და დიდებისა მის მხოლოდსა და უშორეს საქმენი თქუენნი, რომელთაცა¹⁴ მე ვჰგრძნობ, მარადის უკუნისამდე გჰყოფთ (იგი) ცხოველობითსა ცხოვრებასა შინა.

მაღალ ღირსო მამაო, ჩვენ განვჰსაჯეთ ქვეყანისა ცალიერება მატერიათა შინა¹⁵, ვითარცა¹⁶ იხილვების შეკითხვასა მიგებასა ზედა თქუენსა და ან უკუჰ მივმართავ ყურადღებასა ჩემსა, მცნობელი ქუჰყანასა ზედა¹⁷ ცალიერობისა სულთა შინა¹⁸ არსა, ანუ არა? კითხუასა ამას ზედა¹⁹ მოკლედ ვიტყვი, მამაო!

ცალიერობა არს ადგილი ცალიერი, ხოლო²⁰ სულთა და ანგელოსთა არა ძალა-უძსთ ადგილისა ქონებად და არცა მოძრაობისა, არამედ მოქმედებისა, ვინაითგან, მაშასადამე, არცა სულთა ანგელოსთა ჩვენთა და დემონთა არა ძალუძსთ ცალიერობისა ქონებად.

მამაო წმიდაო, დასასრულ გთხოვ, რათა ინებოთ და გამობრძანდეთ ვასილის ჭალაკში მეთათორმეტესა მწკრივისა შინა²¹ საქმისასა რადსათუცამე.

თქუენი მაღალ-ღირსების ჭეშმარიტისა პატივისცემითა მორჩილი მოწაფე სოლომონ დოდაევი

[1826 წლის 8 ოქტომბრიდან 18 დეკემბრამდე]

თქუწნო მაღალ ღირსებავ, უმონყალესო კელმნიფევ, მამაო იონა, მამაო სულისა ჩემისაო!

ავთრათი თქუწნი ზეციური, სავსედ შედრგენილი, განსხუაებისათვს სულისა სხუათაგან და ბასრებითი, წინააღმდეგ მეტყუშლთადმი, მივიღე, რომელმან აღადგინა და განახუნა ძალნი სულისა ჩემისანი ზრახუად მისთვს ესევითარითავე ხატითა, ესე იგი, თანაჴმად თქუწნდა:

1) ზრახუა ლოქისა სულისათვს დიდ ფრიად მცდარ არს, თუ სადამე იტყვის სხეულევანად, ანუ რთულად და ამასთანა სხუანიცა მედროენი მისნი სჯიან დიდ ფრიად უნაყოფოდ, რომელსა ეუნოდთ ჩუშნ სულადო. იგი იზრდების, მოხუცდების და ივნებისო, ვითარცა ჴორცი. ლოქი ჴსჯის – ყოველნი არსებანი იბადებიან ერთ სახედ თვისთა წინა ნაყოფთაგანაო, ცხოველი ცხოველისაგან, პლანეტი პლანეტისაგან და სულნი სოფლის დასაბამითგან იმყოფებიან ორღანოებრთა დასაწყის ნაყოფთა შინაო. სხეულისა თანა არს. ერთიო იბადების მსგავსისა თვსისაგანო და მათთანა სცნობს თავსა თვსსაო, უკეთუ ჴეშმარიტად მან მოუთხრა თვს კერძო სხეულად სული თვსი, მისცემია სიბნელესა და ფრიადსა სულისა სუსტობითა საუკუნოსა სატანჯუშლსა;

2) განცოფებულისა კაცაკისა მის ვოლტერისა სიტყუა არარად შესარაცხ არს წინაშე სულისა მექონისა კაცისა და მაღლისა მკუშთებელისა გონებისა ზეცად, ვინადგან ისტორია მისი სისტემასა შინა ფილოსოფიისასა მაცნობებს, რომელ იგი არა რაღსა განმრჩეველ იყო. არცა უწყოდა კაცი, არცა სული, არცა ჴორცი, არცა შემოქმედი და არცა შექმნილი, ვინადგან არა განასხუაებდა მათ ურთიერთისაგან და ამოო რწმუნებითა თვსითა შთავარდა უწმინდურობასა შინა უსაძაგელ – შესარაცხად ყოველთათვს სულისა მამტკიცებელთა. მის თანამზრახუშლთა რუსსო და მარკიზა დარჴანმან¹ ავნეს, ვიდრელა მისცეს სარგებლობა თვსთა განზრახვთისა დეკლამაციითა. იხილეთ, თუ ესე ვითარნი მარცხენა მზრახუშლნი და მეტყუშლნი ამავე ნივთიერსა სოფელსა შინა დასჯილად

გამოჩნდებიან, ყოველნი ტარტარნი ტარტარად მიიქცევიან და ჩვენთვის კაცაკ ზრახუად დაშთებიან;

3) ხოლო კაცი ჰგრძნობს ყოველთა მკარეთა შინა და ყოველსა შინა დროსა თვს შორის განხუნასა ამაღლებულთა ძალთასა გონიერისა სულისასა, სრული ნათელ ჭეშმარიტებისა სოფელსა შინა მკუთებელიცად ბრწყინავს ყოველსა მდგომარეობასა შინა და ჰსცნობს გონიერებასა, ამოვნებასა და გრძნობილებასა, რომელნიცა გამოცხადდებიან სხუა და სხუა ხარისხსა შინა², სხუა და სხუასა სახესა, მარადის დანესებულთა ჰსჯულთაებრ თვისისა ნათესავისათა, სადაცა მოკიდულად ხარისხსა შინა დადგენილ არიან სოფელნი, ქუწყანა და მთავარი კაცი მას შინა. სულმან დაჰბადა ყოველნივე ხილულნიცა და უხილავიცა, სხეულიცა და უსხეულოცა, ქალაქიცა და მეფეცა, რთულიცა და მარტივიცა – ჳორცი და სული, უკეთუ უკანასკნელ შეინანა ვოლტერმან თვს შორის, მაშა, სარწმუნოებამან მისგან აცხოვნოს იგი;

4) უკეთუ³ ვიეთსამე კაცსა შინა⁴ არა შთანერგილ არს ჭეშმარიტება, კეთილობა და მაღალი გრძნობილება, არამედ წინააღმდგომ არს იგი შემჭვალული ბინისა, ანუ ესრეთ ვჰსთქუა, არა მეძიებელ არს ცისა, არამედ ქვეყნისა, იგი მარადის მეცადინეობს ანგაარებათა შეძინებასა ნივთთასა განმდიდრებად თავისა თვისისა და გამოზრდად მის მიერ, ხოლო მარცხენისა მეძიებელი, თუ არა ცრუობითა რაფსამე და ტყუილისა მოთხრობითა, სხუაგუარ ვითარ ძალ უძს სოფელსა შინა გამოჩინება და ესრეთ პირუშლთა წარმოჰსთქუშს სული სხეულად, ხოლო მეორეთა სხეულები სულად. სუსტი ესე აზმნობა მათი ერთ კერძოდ არ ღირს არს პასუხგებად მათდა. ვინაიდგან, ვჰგონებ, თუთვე⁵ უწყოდენ ორისავე არსებობა და ვითარცა თქვენ მამცნებთ, შემჭვალულნი დემონთანი სიმდიდრისათვს ჰყოფენ თავისუფალნი იგი მზრახველნი ესრეთსა შეჰსწავებასა ერთადმი, ვითომც ახლისა რაფსამე გამომცნობელნი, ანუ მპოვნელნი და აღიმაღლებენ წინაშე უგუნურისა კაცისა თავსა თვსსა;

5) შეუძლებელ არს სოფელსა შინა, რათა ყოველთა საგანთა აქუნდესთ იგივეობა, მიუცილებლად სხუაობენ ურთიერთისაგან, არა თუ ყოველნი, არამედ ორი არს ერთი და იგი-

ვე. ვინააღდგან, უკეთუ იყვნენ სულნი, ჩვენ ვჰსცნობთ ნივთებად და წინააღმდეგ ჩვენსა ვიეთნიმე იტყვიან სულებად, მაშინ ურთიერთა შორის შეირკინებდნენ სამსახურისათჳს და ხმარებისა, ვითარცა სულისა ჩვენისა ორღანებრი სხეული ითხოვს მათგან ხმარებასა. უკეთუ არა იყოს ორღანებრი სხეული, არცა შესაძლებელი იყო განხილვად შინაგანთა ჩვენთა წარმოდგენათა და გარეგანთა. ყოველი ფორმითი მოქმედება სულისა ჩვენისა მდგომარეობს მატერიალთა ზედა. უკეთუ არა იყუნენ მატერიალნი, არცა იქმნებოდნენ ფორმანი. მაშასადამე, ორნივე საჭიროდ არიან.

[1826 წლის 13 ოქტომბრიდან 18 დეკემბრამდე]

იონა ხელაშვილისადმი №14

მაღალ ღირსო მამაო იონა, უმონყალესო ხელმწიფეე!

უხვსა¹ მაკურთხეველსა, სულისა მიერ წმიდისა განათლებულსა მარჯუწმნასა თქუწმნსა თაყუანსა ვჰსცემ. მამაო, ჩუწნ წარსულთა ჟამებთა შინა გუაქუნდა აზმნობა არსებისათვის სულისა. შემდგომ მისსა ვიაზმნე რაოდენიმე წამი, რომელსა წარმომიდგა ცნობა მისთვის შემდგომითა ხატითა და ძალისაებრ ჩემისა მოკლედ ვსჯი ესრეთ: ფილოსოფოსობა ჩუწნი ყოვლისა საგნისათვის მდგომარეობს თეორიასა შინა, პრაქტიკასა და ესტეტიკასა. პირველი არს ცნობა, მეორე – ქცევა და მესამე – კელოვნება.

კუალად იგივე² პირველი, ე.ი., თეორია, არს ჰსწავლა გონებისა, მეორე გულისა და მესამე გრძნობისა. ჩუწნ ვუწყით, რომელ თეორიასა აქუს ნაწილნი: ლოღიკა, ფსიხოლოღია და მეტაფიზიკა; პრაქტიკასა აქუს: ზნეობითი სწავლა (ითიკა), კანონითი სწავლა და სარწმუნოებითი სწავლა; ხოლო ესტეტიკასა შინა იპყრობიან: გემოვნება, მჭევრმეთქობა და პოეზია. და ამის გამო ვიკითხავ – სადა არს სულისათვის სწავლა? იგი არს პსიხოლოღიასა შინა, ხოლო პსიხოლოღია სადა არს? თეორიასა შინა. თეორია რაღსათვის არს სწავლა? კაცი-

სა თავისათვის, საიდამაცა ინყებიან ყოველნი ზრახუანი, რომელიცა არს დასაბამი, ანუ ხატოვან დასაბამი ძალთა სულისათა და სხეულისა ძარღვთა. გარნა ყოველნივე ნაწილნი იგი შეკრულ არიან ურთიერთა შორის, ესე იგი, გონება, გული და გრძნობა არიან ღარმონიებრ მოქმედნი, ანუ თანჯმანი, მაგალითად, იზრახავს სული, იტყვის გული, რომელ, რაიცა აქუნდა სულსა გრძნობისა მიერ მიღებული და ესრეთ სულისა მოქმედებანი ინყებიან ტვინსა შინა, გარნა თვთ სული არს ყოველგან და იქმნების ყოველთათვის.

აჰა, მოკლე თეორია შემეცნებისათვის სულისა, უკეთუ ვინყო ამისთვის სჯა, შესდგების სრული ფილოსოფია და მე დრო არა მცემს ნებასა, გარნა თვსსა დროსა განიმარტებინა კურსსა შინა ფილოსოფიისა ჩემისასა.

სოლომონ დოდაევი მაღაროელი

[1826 წლის 18 ოქტომბრიდან 18 დეკემბრამდე]

იონა ხელაშვილისადმი №15

მაღალ ღირსო მამაო, მღუდელ-მოძღუარო¹ იონა, მონყალეო მამაო!

აჰა, აღმომკითხული უუპატივცემულესისა ავთრათისა თქუენისა და მხილუელი აზმნობათა გამოხატულთა მას შინა მივიღებ არა ნამდვლ გამოცხადებად, გარნა განმაფრთხილებლად და განმამკაცრებლად და მივმართავ მოკლედ ყურადღებასა ჩემსა გამოცდილებასა ზედა თქუენსა, თუმცაღა წარმოსდგებიან მრავალნი ძალნი სულსა შინა² ჩემსა ძმათათვის.

იხილეთ, მამაო სამარადისოო, აქ განსაზღვრებასა შინა³ ჩემსა წარმოებულისათვის რაფსამე შემთხუეულისა, ნიადაგ ლიტონად აღმოჩენილარს და ესრეთ ნამყოფსა ავთრათისათვის, რომელსა შინა⁴ იხილვების ზმნა „ვიყავ“. ლექსი ესე ამას ჟამსავე მესმოდა, გარნა იგი დაიდების არა საზოგადოსა

მნიშვნელობასა შინა⁵, ვითარცა თქუენ⁶ აზმნობთ, არამედ კერძობითსა მხოლოდ საქმესა შინა, ე.ი., დროისა მნიშვნელი აგვისტოს პირუელისა რიცხვსა. იგი ნიშნავს ერთსა ნამყოსა და არა მრავალსა, რომელმან განვლო. იგი ჰნიშნავს ერთსა თქუენსა ლექსსა, რომელი აღმითქუთ მის დროდსათუცს და არა ვრცელსა აზმნობასა.

წერილი იგი იყო კერძობითი და არა საზოგადო. აჰა, მნიშვნელობა მისი ნამდვილი: ოთხნი ბრალნი, თქვენ მიერ დადებულნი ჩემდა, არიან უსაფუძვლო და უმიზეზო.

1) იმპერატორის უნივერსიტეტი საკუთრად წოდებული არს ფრიად⁷ მაღალი სასიბრძნო ადგილი, რომელთაცა აქა აღრიცხუად შეუძლებელ არს. სადაცა სიძნელე სწავლათა მიიღებს მცირეთა მოსწავლეთა და ამის სიმცირისა გამო ეგზამენი სტუდენტი არს ყოველთვის მმართველობასა⁸ შინა უნივერსიტეტისასა, რომელიცა არს ვასილის ჭალაკსა შინა, მეექვსესა მწკრივსა და სცხოვრებენ მუნვე პროფესორნიცა და მეუფროსენი მისნი. ხოლო ორნი ესე, განსუენებისა თთუჴნი წარსრულნი, დატევებულ იყვნენ უმუშაკოდ და არცა ერთი ვინმე თანა მოსწავლეთა ჩემთაგანნი იმყოფებოდენ უნივერსიტეტსა შინა და ამათდამი გარემოებაცა ჩემი იცვალნენ, ვინათგან ვედრი ვჰყავ, რათა ეგზამენი მივცე და ამისთუცს ვამზადებ სწავლათა, რომელი შემთხვეულ იქმნების აქავე. გარდა ამათსა, მუნ დგომისათუცს წარსაგებელი ჩემი არს, რომელიცა არა მხოლოდ მისთუცს, არამედ უმეტესთა მრავალთა დიდ ფრიად⁹ საჭიროთათუცს, მცირაკიცა არა არის შემოსავალი ჩემი. ერთისა მხოლოდ სიტყუთა არარაჲ იმოქმედებს, ანუ გამოხატუთა მოქმედებანი საქმენი და გარემოებანი მიზეზითურთ მიიღებიან განსჯასა შინა;

2) შვიდეულისა დღეთა და ჟამთა ყოვლის დღისათუცს ვიხილავ და, უკეთუ გნებავსთ გარდაბეჭვდა ვჰყო ამათი სულსა შინა ჩემსა, მაშინ უნივერსიტეტსა შინა ათი წელი ყოფად ჯერარს.

შესაძლებელ არსა, რათა კაცმან თუხისა ცხოვრებისათუცს ყოვლისა წლისა შეიკრიბოს ერთსა წელსა, რაიცა საჭიროდ შეემთხვევის, ვგონებ შეუძლებელ არს. მაშასადამე, ყოვლისა მისთუცს მცირესა ამას დროსა შეუძლებელ არს გარდა-

ბეჭვდად. თვით უწყით, მდევნელმან ორისამან ვერცა ერთი შეიპყრა. ესენი თვისისა დროსათუს დაიდებთან, ესე გუარნი დიდ ფრიად¹⁰ საჭირონი არიან სემინარიისათუს, ვინაჲთგან მისი მთავარი საგანი არს, ხოლო უნივერსიტეტს თუსი საგანი აქვს, დალათუმცა ყოველსა აღმსარებელსა სარწმუნოებისასა ესაჭიროების, გარნა მას თვისი ჟამი აქვს; აქ ვარ გონებით წარმომადგენელ, პირითა მალაღებელ და საქმითა მსახურებელ მის მალლისა. ესე კმა იყავნ ამისთუს;

3) ახლისა გასაღებისათუს ორი დღე არის, მიბოძეთ და ჰბრძანებთ ზიზღებასა, რომელი დამტკიცებასა არა რაჲსა ვიხილავ ესე ვითარისა უსაფუძვლო, უმიზნო, უკიდუროსა მეტყველებისათუს. განჰსჯა ჩემი მომცემს გაბედვასა მართლად წარმოთქმად, რამეთუ ტყუილ არიან. უკეთუ მე მაქუს მეცადინეობა, რათა მემამულეთათუს ვჰპრომოზ და საქმესა შინა ჩემსა ვაცხადებ თხზულებასა თქუწნსა, რათა შეემცნენ ყრმანი ენისა ჩვენისანი, მაჲა, ჰსჩანს არა სიმართლე ენისა ჩემისა სიძულელი;

4) თქუწნნი ნაყოფნი იგი, უმაღლესნი და უჩინებულესნი, ჩემ შორის ფრიად უუტკბილესად გოლისა და ვერსადამე ფასისა დებად შეუძლებ მე და გამომიხატავს მე, რათა თხზულებათა გამო თქვენთა ფასვდა ივერიასაცა, ვინაჲთგან სხუათა ენათა ზედა არა არიან იგინი და ჩვენ საკუთრად მთხზველი აღმოგვჩნდების ნათიად ივერიისა. ინებოს უმაღლესმან, რათა იქმნან სხუათა მსგავს თქვენსა, რამეთუ ივერიას უმეტეს სრულება მიეცემის, რომელ ნაცია სიბრძნისა გამო სურიელ არს. მე ვჰგონებ, ყოველსა ცხოველსა ძალ-უძს ცხოვრება სოფელსა შინა¹¹ და მეცა შემედლო საქართველოსა შინა¹² ცხოვრება, გარნა სიყვარულმან მამულისამან განმალვძა, რათა სარგებლად ამისსა ოდესმე ნებითგან მამულისათა ვიქმნა სწავლისა გამო და უხვება მონყალებისა თქუწნისა, ქმნილნი ჩემზედა, მტკიცედ გარდაბეჭვდითა დამტკიცებულარს გონებასა ზედა¹³ ჩემსა აღმოუფხვრელად, რომელი ვიკრეფ სიბრძნესა მამულისათუს.

შემდეგი თქვენისა მოძღვრებისა, თუმცა ჯერეთ ყოველნი მოქმედებანი ჩემნი იმყოფების თეორიულსა ჭემმარიტება-

სა შინა დაფუძნებულ, გარნა, უკეთუ ბრძენი ბრძენთა ინებებს, პრაკტიკებრსა შინა აღმოჩნდების ხელმძღვანელობითა თქვენითა და სახელისა თქვენისათვის თვისად დროსა გონება ჩემი წარმოადგენს გამოხატუასა ღმრთისასა¹⁴ სულისა და ამოვნებასა, ხოლო ნება სიმართლესა, სიმშუდესა, სინრფობასა, წმიდასა ჭეშმარიტებასა და სათნოებასა.

აი, თვისება სულისა ჩემისა, რომელნი მიმიღია თქუჴნ მიერ და ამათ გამო იდიასა შინა ჩემსა. თქუჴნ ჴართ ბრწყინვალე სანთლად წინაშე ღმრთისა¹⁵. უმეტესად ვიტყვი, არა თავისა თვისისათვის მხოლოდ, გინა ბედნიერებისათვის ვჴმუშაობ, არამედ სიყვარულისათვის მამულისა, რათა ევროპამან ოდესმე ჰსცნას ივერია საშუალობითა წერილთა სარწმუნოთა. მომიტევეთ უკანონო მოწერისათვის, ვინაჲთგან ვჴსწერ არა სხუასა, არამედ მამასა ჩემსა სამარადისოსა, ყოველთვის მსასობელი და მონა

სოლომონ დოდაევი

განსჯასა შინა¹⁶ ჩემსა აწინდელსა საუკუნესა მეძიებელი კაცთა მამულისა ჩვენისათა, წარმოვადგენ მე მხოლოდ თქვენთვის უაღმატებულესსა ხარისხსა შინა¹⁷ ჩინებულებისა ღირსებასა და სრულებასა შემძლებელობისასა სიბრძნეთა შინა¹⁸ ნამდვილ ვიტყვი: ვარ მწუხარე სიხარულისა თქუჴნისა.

ნოემბრის 14-ს, წელსა 1826-სა.

უილადელჴოს კიკნაქისადმი №1

თქუჴნო ღირსებავ, მონყალეო ჴელმწიფევ, მამაო ჴილადელჴოს.

ღირს-ქმნილი მიღებად უუპატივცემულესისა ავთრათისა თქუჴნისა, შემდგომად განგრძობისა მოლოდებასა შინა მათ დროთასა, რომელთცა განვლეს საშუალ პირისპირ თქუჴნთა-ნა ხილვისა ჩემისა ვიდრე აქამომდე, ვჴრაცხ თავსა ჩემსა

ბედნიერად გარდამოფენისათვის კურთხევისა თქუწნისა ზეცით ჩემზედა და დიდ ფრიად მოხარული სიმრთელისა თქუწნისა სმენისა, მივიქეც ყოვლითა ძალითა ჩემითა ნათლისადმი ნათელთა მადლობად და ვედრებადცა პირის-პირ ხილვისა თქუწნისა.

ნინაალმდეგ წიგნისა თქუწნისა წარმომიდგებიან იდიანი, გარნა მხოლოდ ესეცა კმა არს მართლებად თავისა, რომელ ჩემ-მიერ რაოდენთამე წარმოგზავნილთაგან, მაშინც ერთი მოგრთმევიათ და მე კი არცა ერთი მბოძებია, მხოლოდ პირუშლი ესე არს, რომელი მივიღე ნიჟნილოროდით დეკემბრის 15-სა. მე მსუროდა შეერთება აზმნობისა ჩემისა უმეტეს თქუწნდამი, ვიდრელა სხუათადმი, რამეთუ თქუწნ ხართ ჭეშმარიტი გულითადი იგი მეგობარი, რომელსაცა გსურდათ ნათელი ჩემდა¹ მომართ და კეთილისა მოცემა, რომელნიცა წარმოგიდგებიან ესტეტიკებრსა გრძნობასა შინა მარადის ყოველთადმი. ვიკითხვდი მონერისა თანა საქართუშლოსა შინა ვითარებასა თქუწნსა და მდგომარეობასა. არცა ერთჯერ არა მიცნია არა რომლისაგან. განკურნებასა შინა ვიყავ დადუმებული. არა მამა-პაპური მოთხრობა მიზეზად აღმოჩნდების, ვინაათგან ორკერძ განხილვად სათანადო არს ყოვლისა კაცი ყოველთა მკარეთა შინა და ყოველსა დროსა ჰგრძნობს თვის შორის განხვნასა, ამალღებულთა ძალთასა გულისკმეირისა სულისასა, უმთავრეს გულისა კაცსა შინა არს დასაბამი რამე, ანუ გონება და ესრეთ ვუტევეთ ყოველი ზრახუა, უკეთუ მე მაქუს ბრალი. გვედრი მოტევებად წარსრულთათვის და განახლებად ძუშლისა სიყვარულისა.

შემდგომ მოიხსენებთ ჩემს მდგომარეობას, ტაძარსა შინა აღნთებულისა სწავლისასა გახლავარ მეძიებელი სიბრძნისა სახელდებით იმპერატორის უნივერსიტეტსა შინა. მესამე უკუშ წელი მივლის, რაოდენიცა შესაძლებელ არს, უკეთილესად წარმატებით მადლობასა შინა განგებულისასა. კურსისა შესრულება ჩემი მომავალს იანვარს იქნების. კურსნი, ანუ საგანნი სწავლათანი ურიცხვ არიან, ესე იგი, მრავალნი, ანუ ბევრნი.

ტფილისში მაღალი საკეთილშობილო სასწავლებელი გაიხსნება² 1827. უნივერსიტეტის მზრუნველმა წარმადგინა მინისტრთან განათლებისა უფროს³ მასწავლებლად ქილოსოქიისა და რიტორებისა რუსულს ენაზედ. უკეთუ ღმერთი ინებებს, იქმნება, მინისტრმან წარმგზავნოს ტფილისად, მე კი ჯერეთ არა მსურს წარსვლა. ჩემს კერძო არა სასიამოვნოდ არს თქუწნი აქ დაახლოება. მე ვაზმნობდი სხუასა რამსამე და ოდეს მთავრობისა თანა სრულ-ვჰყოფ, მაშინ ძალ-მიძს ცნობად თქუწნდა, რომელი ანცა მაქუს იგივე და მსურდა თქუწნი მყოფობა ამის მიზეზისათჳს საქართუშლოსა შინა არა შესახებელად მისსა, სადაცა მე მანესებენ, არამედ სხუა აზმნობა არს სარგებლად მამულისა.

გთხოვ, მიიღოთ რუკა ესე წიგნი, გარნა ლექსი იგი ავთრათსა შინა თქუწნსა (მენდე) შემანუხებს, ნუ უკუჴ ესე ვითარნი მცირაკნი რამენი შესარაცხ არიან წინაშე ჭეშმარიტისა მეგობრისა? და კუალად გიზრახავთ, ფულის წარმოგზავნა მისთჳს, ესეცა გამოხატუა უტევეთ და გთხოვ, სხუანიცა სამსახურნი მიბრძანოთ, რომელსაცა მარადის სეფურობით აღვასრულებ. მომიტევეთ, უადრეოს ამისსა ვერ წარმოვგზავნე, მდინარესაზედ გზა არ მაქვენდა.

უკანასკნელ, ნუ მომაკლებთ თქუწნისა ვითარებისა, სიმრთელისა, ცხოვრებისა და მდგომარეობისა წარმოებასა წერილსა.

მონყალეო ხელმწიფევ! თქუწნის ღირსების მორჩილი მოსამსახურე, დეისტვიტელნი სტუდენტი იმპერატორის უნივერსიტეტისა სოლომონ დოდაევი

დეკემბრის 20-ს, 1826 წელსა.
ს. პეტერბურლი.

ბაგრატი მეფის ძემან გთხოვათ, თქუწნ მიერ თხზული ქადაგება რომლისამე დღესასწაულისა და სიყუარულით მოგიკითხათ. თუმცა პირისპირ არა მაქვს ცნობაო, გარნა სული კი ჩემი გიცნობსო. მას ხელმწიფემ უბოძა ღენერალ-ლეიტენანტობა და სენატორობა.⁴

დღეს აღსრულდა მოლოდება სიტყვისა¹ მის, რომელსა მოველოდით თქმულისა წინასწარმეტყუწლთასა. გამოცხადდა დუბესა ზედა ქუშყანისასა თავადი სოფლისა, მამა მყოობადისა დიდებისა, მოვიდა ნათელი ნათლისა განათლებად სოფლისა. აჰა, თუ ვითარ თანამდებ ვართ დღესასწაულობითა კაცობრივნი ნათესავნი მადლობად, დიდებად და ღალადებად მოფენისათჳს მშჳდობისა ჩუჴნ შორის და ჩუჴნთანა საუკუნოდ.

გამოუთქმელსა და მიუწომელსა მას მშვიდობასა, ყოვლად² ბრძნისა სათნოებასა ვიხილავ თქუჴნ შორის, მამაო, ნიჭებულად, რომელსაცა მომდინარებულ ყოფთ ჩემდა. მე, მგრძნობელი ურიცხვთა კეთილთა თქუჴნთა, ვრაცხ მარადის და ვედრებად დღესასწაულისა აწინდელისა დღისასა საუკუნოისა ცხოვრებისათჳს თქუჴნისა და წინაშე თქუჴნსა მადლობად. რაოდენიცა ძალა მიც ყოველსა შინა დროსა მყოფობისა ჩემისასა, მოლოცვასა თანა ქრისტეს შობისა ვკადრებ თხოვასა, რათა ურიცხვსა მოწყალებასა თქუჴნსა აღსრულება სიტყვისა და პირველი ნაყოფი ჩემი დაბეჭდილ ყოთ წარსაგებელითა თქუჴნითა ვალად ჩემდა სახელისა თქუჴნისათჳს, ვინაჲთგან ამის გამო შემდგომნიცა ნაწილნი დაიბეჭდებიან და იქმნებიან დიდ ფრიად სარგებელ მამულისა.

ესე ვითარნი დიდ კეთილ მოქმედებათანი ნივთიერისა სოფლისანი გამოცხადდებიან სულიერსა სოფელსა შინა და არა რაი სხუანი; იხილეთ, რამეთუ საქმენნი ჩუჴნნი არიან: 1) დიდება სარწმუნოებისა განშვენებითა ეკლესიისათა;³ 2) სწავლა მისი გამოცემითა წიგნთათა და 3) აღშენება სხოვლასა, უკეთუ ინებოს ნებაჲმან ნებათაჲმან. ჩუჴნ კერძო ვაცადოთ, ყოველი ძალი ჩუჴნი აღსრულებად ზემოხსენებულთა კეთილთა. გარნა მხოლოდ მე არა ძალმიცს მოქმედება მათი, უკეთუ თქუჴნმან მალალ ღირსებაჲმან არა ინებოს.

დასასრულ, დარწმუნებულ ვარ, რომელ თქუჴნ მათ არა შეურაცხყოფთ მამულისათჳს და საუკუნოსა ცხოვრებისათჳს.

[1826 წლის 25 დეკემბერი]

ანა დედოფლისადმი №1

უმაღლესო¹ დედოფალო ანნა! უმონყალესო ჯელმნი-
ფვე!

ვინაძთგან² ყოველთა მთხზუშლთა აქუსთ ჩუშულება
ევროპასა შინა, წინა პირველ უწყებად უმაღლესთა გუამთად-
მი, ამის მიხედვისამებრ, მეცა გავბედავ წინაშე თქუწნისა
უმაღლესობისა, რომელ სარგებლად მამულისა შვილთა იქმნე-
ბის თხზულება ფილოსოფიისა ნებისა განგებულისათა, რო-
მელთაგან ან იბეჭდების პირუწლი ნაწილი ლოლიკა, ვითარცა
ქართულად, ეგრეთუშ რუსიულადცა, ჩემ მიერ თხზული.
ორივე ფასობს ორ თუმნად ასიგნაციად, რათა სხუანიცა დაი-
ბეჭდოს და ესრეთ, უმაღლესო³ დედოფალო! უკეთუ ინებებთ
მონერასა, მიღებისათვის ტიტულითა თქუწნისა უმაღლესობი-
სა სახელითა, დაიბეჭდების ყოველსა შინა წიგნსა და, რაო-
დენსაცა წიგნსა ინებებთ, მიუცილებელად მიიღებთ.

თქუწნის უმაღლესობისა მორჩილი მოსამსახურე
სოლომონ დოდაევი

[1826 წლის 18 დეკემბრიდან 1827 წლის 8 თებერვლამდე]

დავით გატონიშვილისადმი №1

უკეთილშობილესი სისხლი ეგე შენი აღევლინების ღირსებისა ხარისხად, უკეთუ ყოველი სარწმუნოებითი, კეთილი კანონი იმარხო და აღასრულო ყოველი იგი, რაეცა გასწავოს მოძღვარმან შენმან ყოვლითა გულსმოდგინებითა და სასოებითა შენითა.

მიხედე ერთმოსახელესა შენსა დავითს,¹ რომელი² უწინარეს ჩუწნსა იყო კაცთა-თანა და აწ არს მამისა თანა,³ აღასრულე მსგავსად მისსა სჯული და სარწმუნოება, რათა მოგეცეს მა[დ]ლი და შეგემოსოს ძლევა მისი.

ჰსდგე ღვთისადმი,⁴ რათა იგივე უწინარესი სიხარული, იგივე ნათელი, იგივე დღესასწაულობა ჰყო ჟამსა შინა⁵ შენისა დღისასა, ტირილი და გლოვა შესცვალო სიხარ[ულად], დაბნელება ივერიისა – ნათლად.⁶

მე და ყოველნი სხუანი ერნი ივერიისანი არიან ერთხმობით მღალადებელნი და იქმნებიან მთხოველნი, რათა ძუელათ მომდინარებული მეფობა თქუენი განახლდეს თქუენ მიერ და ჰყოს კურთხეულ უკუნისამდე.

[1827 წლის 26 იანვარი]

იონა ხელაშვილისადმი №17

მაღალ ღირსო¹ მამაო იონა!²

მე³ გუშინ ვჰსცან უნივერსიტეტისაგან, ამ წელსა იქმნება, შემდგომად ეგზემენიის შესრულებისა, გამოშვება ჩემი სრულის ატესტატიითა. დეკანმა მითბრა, დროზედ წარმოადგინე ლოლიკაო. ამისათვის გთხოვ, იმეცადინოთ მოსწრაფებით მოძიება წარსაგებელისა, რათა რუსულს ენაზედ ახლა დავაბეჭდინოთ და ქართულზედ შემდგომ მისსა. ადამის მიღებისათვის ვიკითხე და ყოველნი მისაღებელნი წარუდგენიათ

მინისტრთან, რომელთა რიცხვში ისიც ჰსწერია და ერთის კვირის შემდგომ იცნობება ლი[მ]ნაზიაში.

თქუშნის მაღალღირსების მოწაფე სოლომონ დოდაევი

[1827 წლის 8 თებერვლიდან 8 მარტამდე]

იონა ხელაშვილისადმი №18

თქუშნო¹ მაღალ ღირსებავ,² მამაო მოძღუარო³, მღუ-
დელ-მონაზონო⁴ იონა,⁵ უმონყალესო ხელმწიფევე!

ბევრის ბევრი უხვება თქუშნი, ჩემზედა მოღებული, დიდ ფრიად საგრძნობელ არს ყოველსა ჟამსა შინა, არა მხოლოდ ჩემ შორის ან, არამედ ყოველთათვის იქმნების მარადის და თვსსა დროსა გამ[ო]ჩნდების ყოველნი მოქმედებანი, წარმოე-
ბულნი თქუშნისა მაღალღირსებისანი,⁶ სიბრძნისათვის ჩუშნთა შემდეგთა ბრძნისადმი.

წყაროო სიბრძნისაო! ადრე იქმნება თუ გვიან, ნათესა-
ვი ჩუშნი ჰსცნობს შრომასა ჩუშნსა და ყოველთვის ძალგვიძს მათდამი შეერთება წერილითა ჩუშნითა, ხოლო, რა ბევრის ბევრობს სიბრძნე ნათესავეთა სლავიანისათა, ამისთვის შევაერთოთ პირუშლისა ნაწილითა სიბრძნისა სიყუარული, სახელი თქუშნი და ჩემი ცნობად, რომელ ნათესავენი ჩუშნნი მახვლობენ გონებითა სწავლასა შინა,⁷ ვინადგან იგინი მთავრობენ ჩუშნზედა და მით გზა გუშქნების ყოველგან მემამულეთა.

და ესრეთ გთხოვ სახელისა თქუშნისათვის, ინებეთ, მამაო⁸, დაბეჭუდად წიგნისა მის, რომელიცა აღინერა ბრძანებითა თქუშნითა და წარსაგებელი იგი შევკრიბოთ შემდეგად⁹ დაბეჭდისა სარგებლობისათვისვე მამულისა. მომიტყვეთ არა სრულებისათვის ამის ავთრათისა. ვინადგან არა მაძლევს ნებასა იგი, რომელიცა უწყით თქვენ, ე. ი., მათემატიკა.¹⁰ გთხოვთ უმორჩილესად, მაკურთხოთ ჩუშულებისაებრ თქვენისა მაღალ ღირსებისა, რომელიცა მარად ვარ კურთხეულ თქვენ მიერ.

თქვენისა მაღალ-ღირსების¹¹ მორჩილი¹² მოსამსახურე¹³
ს.¹⁵ დოდაევი

მარტის 8-სა, 1827 წელსა, ს.პ.პ.

იონა ხელაშვილისადმი №19

თქუშნო¹ მაღალ-ღირსებაჲ, მამაო, მღუდელ-მონაზონო²
იონა,³ უმონყალესო⁴ ხელმწიფეჲ!

იხილეთ⁵ მოკლეთ შემთხუშვა ესე, რომელიცა აწარმოვა
მცირისა გამო მოქმედებისა სარგებლობისათვის მათისა და
რომელი⁶ მათ მიერ მიღებულ იქმნა უსარგებლოდ და დიდ -
ფრიად გულ-ძვირებულად. მე⁷ ვინყებ უწინდელისა და აწინდე
ლისა დროთა გარემოებასა, საქართველოდამ მოველ მზრუნ-
ველობასა შინა⁸ თქვენსა, მიღებისათჳს სიბრძნისა და თქვენ
ჰპო[ვ]ეთ ადგილი, სადაცა მიღებულ ვიქმენ, რომელსაცა⁹ მო-
მეცა მუნვე სადგომიცა და მივიღე განვითარება შემწეობითა
თქუენითა.

თქუშნო¹⁰ მაღალ-ღირსებაჲ! წინადადება თქუშნი პირ-
ველ¹¹ მოსვლასა შინა¹² ჩემსა, სწავლისათჳს ბაგრატ ბატონის
შვილის ძეთასა მივიღე და აქამომდე არა დაეზოგე ძალისაებრ
ჩემისა შრომა და მეცადინეობა. შემდგომად გამოსვლისა, წი-
ნასწარისა სადგომითგან ცხოვრებასა შინა¹³ მათ თანა ჩემსა,
შემემთხვა დიდნი ვნებანი, მოუსვენებლობანი და ამათ გამო
სნე[უ]ლებანიცა, რომელნი ვითმინე აქამომდე, ვითარცა¹⁴
სიტყვითა, საქმითა და მრავლის მოტყუებითა მათგან.

თქვენ უწყით, უკეთუ ამათ არარაჲ იციან, რომელ¹⁵
სწავლასა შინა¹⁶ დიდის კაცისა და მცირისა ერთნი და იგივე
არიან, ე. ი., ერთად შესარაცხ არიან მასწავლებლისა თანა.
და ესრეთ უფროსსა შვილსა მათსა ვასწავე რუსული¹⁷ ღრამ-
მატიკა,¹⁸ ქართული¹⁹ ღრამმატიკა,²⁰ არიხმეტიკა, ჰსჯული²¹
ღმრთისა,²² ანუ კატეხიზმო,²³ სამღვდელო²⁴ ისტორია²⁵ და ეგ-
რეთვე რაოდენნიმე მსოფლიო ისტორია²⁶ და ლეოლრაფია, სა-

შუალსა და უმცროსსა საეკლესიო²⁷ და სამოქალაქო კითხუა, რუსული და ქართული, ეგრეთვე ასოებისა დასხმა.

პირველს მოსვლაში აღმითქუა ყოვლისავე²⁸ კმაყოფილება და მეცა თანხმა ვიქმენ მისი, ვითარცა²⁹ მეფის³⁰ ძეს ვერნმუნე. ვგონებდი, მოაქცევდა ყურადღებასა შვილთათვის მისთა მასწავლებელთა ზედა. შემდგომად ერთის საგნის შესრულებისა აღმითქუა საყამე და, რაოდენს წიგნს შეასრულებინებო, ესოდენსა საყამეს მოგცემო და შენს ხვასტაგს მოგაგებო, შესაბამსა საცმელსა და სახურავსაო, – აღმითქვა ფიცით.

არცა ერთს დღეს არ გაგზავნი ქვეითიო თანამდებობას შინა და ესე ვითარნი ურიცხვნი აღთქმანი აღუსრულებელ იქმნა და სრულიად მოთმინებით ვმყოფობდი. წარსრულთა დროთა შინა³¹ რაოდენჯერმე წარმოუთქუამს, შვილებს მივოცაო. არა მხოლოდ მასწავლებელს, არამედ არა რომელსამე არა ეთქმის ესე ლექსი, რომელიცა წინააღმდეგ არს ყოვლისა³² ჰსჯულისა³³ და სარწმუნოებისა უმიზეზოდ.

უკანასკნელ, დღესა ამას ერთმან შვილთა მათგანმან წარმოიდგინა ნიშანი ტირილისა და ამისთვის თუსი მართველი მოგზავნა, ჩემი შვილები მოსაკლავად არ მომიბარებიაო, ხვალვე გადიო! უგუნურება არ არის? რომელ³⁴ ხვასტაგის აღრიცხუა არ მოუციათ ესოდენთა ყამებთა შრომისათუს და წარმოიტყვიან კი ლექსსა ამას. უმორჩილესად³⁵ გთხოვ: ვინაიდგან თქვენ ბრძანდებით მიზეზი ჩემისა მათსა სახლსა შინა³⁶ ცხოვრებისა, რათა იხილოთ შვილნი მათნი და გამოიძიოთ, თუ რამე აკლიათ შვილთა მათთა ჩემგან, პასუხი მიილოთ, თუ არა, რადსათუს ჰბედვენ³⁷ ესრეთსა ლექსსა, მძიმესა და გამოთქმულსა სავენებელად სიმრთელისა ჩემისა. იგი არს სენატორი და ნებავესაა, რათა ლექსსა ამას ზედა სტატივები უსამართლობისა წარუდგინო სენატსა, რომლისაცა³⁸ მთქმელი მიეცემის კანონითა სამსაჯულოსა ქვეშე? და კუალადვე გთხოვ, ჰკითხოთ³⁹ მათ და პასუხი მიგოთ.

თქვენი სულიერი შვილი და მარადის სათნო
სოლომონ დოდაევი⁴⁰

მარტის 16 დღეს, 1827 წელსა.

იონა ხელაშვილისადმი №20

ქრისტე¹ აღსდგა!²

მოვმლოცველობ დღესა ამას სიხარულისასა და ვჰსთხოვ თქუენს კეთილდღეობასა, ვითარცა დუბესა ამას ზედა, ეგრეთვე ცათა შინაცა. ხოლო მე გახლავარ გაციებისა გამო დიდსა შეუძლებლობასა შინა და ამისთვის გთხოვ, მომიტეოთ, თუ რაიმე არა შესაბამი,³ ანუ შეცთომა იხილვების ჩემ შორის და ამისთვისვე მოვიქცევი სახლად, გინა სადგურად.

თქვენი შვილი სოლომონ დოდაევი

1827-სა, აპრილის 3-ს.

იონა ხელაშვილისადმი №21

ქრისტე აღსდგა!¹

თქვენო² მაღალ-ღირსებაე, მონყალე მამაო³ იონა!⁴

მომლოცველი აღდგომისა და მგრძნობელი უუნმინდესისა ამის დღესასწაულისა, მიუნთომელისა და გამოუთქმელისა, ვლალადებ და აღვამალლებ დიდებასა და სულ-გრძელებასა ღვთისასა.⁵ ვინაიდგან დღეინდელსა ამას დღესა ყოვლად⁶ შემძლემან მეუფემან იხსნა კაცი ვაებათაგან და ცოდვათა და მოანიჭა სოფელსა მაღლი და მშვიდობა. ოჰ, თუ ვითარ საგრძნობელ-არს აღურაცხელნი ძალნი და მოქმედებანი სულისა და გულისათვის. ყოველნი ქმნილნი ადიდებენ მას, ყოველი სოფელი ღალადებს სიხარულითა და დღესასწაულობითა.

ხოლო მე რაე ვჰსთქუა ამისთვის, უკეთუ ხელ-ვჰყო აღრიცხვად სიყვარულისა და მონყალებისა მისისა ჩვენ⁷ ზედა⁸ არა ესოდენ ძალ-მიძს აღწერად, რაოდენიცა იცის და უწყის მან, ვისდამიცა გამოხატუად მნებავს გრძნობისა⁹ ჩემისა მილოცვად და მადლობად. გარნა აღვაველენ მადლობასა ქრისტესსა აღდგომასა, რამეთუ მიგებებულ გყოთ წმიდასა დღესასწაულსა სიმრთელითა და კეთილ-დღეობითა, ვმადლობ და კუალადცა ვჰმადლობ, რამეთუ მოგანიჭათ ნიჭი კეთილმოქმე-

დებისა უპატიოსნესი და უსამღუდელოესი განზრახუა და საგანი საქმეთა, რომელი ვრაცხ ვალად ჩემდა მარადის წარმოთქმად საქმეთა შინა, ვინადგან ვიხილავ თქვენ¹⁰ შორის უუტკბილესსა პირსა სიბრძნისასა, ბრწყინვალესა კაცთ-მოყვარებასა, კეთილობათა, უხვსა ჴელსა მონყალეებისასა და ყოველთა თვისებათა სათნოებისათა.

სამართლად ჰსთქუა არისტოტელმან – გვამი კაცისა შეიქმნების უბრწყინვალეს და უუკეთილშობილეს მაშინ, ოდეს მიიღოს ცნობა და სიბრძნე. მხილველსა ესრეთთა ხარაკტერთასა მომეცა სიყვარული აღუსპობელი არცა მახვლითა, არცა მოტყინებითა რადთმე და უმეტესად მისთვის, რომელ მიღებულ გაქუსთ საკუთარი მფარველობა და დიდნი კეთილმოქმედებანი, რომელნიცა დაშთებიან გულსა და განზრახუათა შინა ჩემთა და თვისსა დროსა გამოჩნდებიან თითეულად ისტორიისა შინა, ჩემ მიერ აღწერილსა.

სიბრძნის მოყვარეო მამაო! ყოველთა კეთილთა მგრძნობელი მოვმლოცველობ აწინდელსა ამას დღესასწაულსა დღესასწაულთასა და ვჰსთხოვ რა სიმრთელესა შინა და კეთილდღეობასა, განგაგრძოს დღენი თქუჴნნი, ვიდრე მიხრწნილადმდე სარგებლად მამულისა და მემამულეთასა.

თქუჴნის მალალ-ღირსებისა¹¹ მორჩილი სულიერი შვილი სოლომონ დოდაევი

აპრილის 3-სა, წელსა 1827-სა, ს.პ.ბ.

იონა ხელაშვილისადმი №22

მალალ ღირსო¹ მამაო,² მონაზონო მღუდელ-მოძღუარო,³ უმონყალესო ჴელმწიფევი!

ნიავეთა⁴ ცვლილებამან მომცა გრძნობა სნეულებათა ყოვლისა კერძოჲსა და უმეტესად თავისა, გუშინდელსა დღესა⁵ შინა, ხოლო აწინდელსა დღესა ამას მივიღე რწყევისა მკურნალება, რომლისაცა მოქმედება გარდამოვიდა რვაჯერ და ფრიად სუსტებულყო სხეული ჩემი და მწუხარებულ. გარნა გული ჩემი შფოთავს და არა უწყი, ვითარ დასრულდება

მდგომარეობა ესე. მე ვჰგონებდი, თქუნი მალალ ღირსება ინებებდა აქარე მობრძანებასა და ესრეთ უმორჩილესად ვითხოვ, საქმენი ჩემნი სრულ ჰყოთ, რათა კურთხევითა წარვემართო უვნებელად, ვინაიდგან ვჰგრძნობ ფრიადსა ვნებულებასა და დროცა დანიშნულ არს განსვლისა ოცამდი, ამ თთვის რიცხვისა.

სხუტბრ, მარადის თქუნი სულიერი⁶ შვილი დავშთები უჭემმარიტესსა პატივისცემასა შინა.

სოლომონ დოდაევი

მაისის, 1827-სა.

იონა ხელაშვილისადმი №23

მალალ ღირსო მამაო იონა, მოწყალეო ხელმწიფევ!

შაბათს გამომგზავრებული მანდიდგან ვიქმენ დიდად შენუხებულ განშორებისათვის, მომეცა სიცხე და თავის ტკივილი. მერწმუნეთ, მე ვსცრემლეოდი ორ დღესა განუწყვეტელ, ვინა[ე]თგან ყოველსა¹ წამსა შინა² მზად იყავით კმაყოფილყოფად ჩემდა და მათ საქმეთა. არა თუ მხოლოდ ვგრძნობ გარეგან, არამედ სული ჩემი განმსჯელი შინაგან დიდ ფრიად განცუფრდების. ან უკუშ ვითარი განშორება არს ესე! გარნა სული ჩემი არს თქვენთანა და სიყუარულსა ჰზრახავს და შემდგომთა დღეთაცა ვგოდებ, უკეთუ არა დაატკობთ წერილითა თქუნითა სული ჩემი.

კვირას, მეათესა ჟამსა, მოველ ნოვლოროდში. რაილა მრავალი განვაგრძო, ერთი ბრმა ცხენების პატრონი შემხუდა ნოვლოროდით, აცთუნა თუალმან და ერთი კერძო ხევისა მისცა და გარდამიბრუნდა საკდომი. მე მსწრაფლ უსწარ გარდახდომასა, გარნა კაცი იგი მცირედ მოემწყედა. აღსდგა იგი ფრიად მწუხარე, შეჭმუნვილი და, ვგონებ, უმეტეს შიშისაგან, რათა არა ვგვემო იგი, ვინაითგან შემდგომ რაოდენისამე მიწუტისა იქმნა მრთელ და არა რაისა მტკივნეულ.

შემდგომად მოვუნოდე კაცთა რაოდენთამე შორით, ჩავანყობინეთ და წარვემართე გზად, თუმცა მუნ არა რად გატ-

ყდა, გარნა შემდგომად ერთისა დღისა მოუნდა წინა გორგოლებსა გაკეთება და წინა დაკიდებულისა რკინასა. შემთხუცვანი ესე, მადლობა ღმერთსა,³ ლოცუთა და კურთხევითა თქვენითა კეთილად იცუალა და აქამომდე მოველ სიცოცხლით მე და უვნებლად ქონებულთა.

დასასრულ, განვკვირდები თუხებასა ერისასა, ვითარნიცა გზასა ზედა ვიხილე. თუთ ვერ მოგშორდებოდი ქონებათა, ვთხოვდი წყლის მოტანასა. არა ოდეს არ აღასრულებდნენ, უკეთუ არ მივსცემდი ორ შაურს. ყოველსა ადგილსა გორგოლების დასბმისათვის მთხოვდნენ ფულსა. უკეთუ თბილს წყალს მხოლოდ მოვატანიებდი, მისთუცცა ორ აბაზსა მთხოვდნენ და გამომართმევდნენ და ესე ვითართათვის. უკეთუ როსნი არიან და ქრისტიანნი, რათა იქმან ამას, ვკითხავდი მათ და მომიგებდნენ მართლმადიდებლობასა, გარნა საქმენი ესე ვითარნი მოგზაურსა ზედა არა არიან მორწმუნეთა.

ყოველნი ესე არა რად, გარნა მწუხარება მაქუს დიდი განშორებისა თქვენიისა. დღეს გახლავარ მოსკოვსა იენისის 2-სა. ბაგრატ ბატონის შვილის სახლში მსუროდა დადგომა და სახლი ვერ ვპოვე. განმამორა ცხენების მეურნემან ადგილსა მას, მივახლოვდი დედოფლის სახლსა. პირველად⁴ ვიკითხე – შესაძლებელი არსა აქ სადგურობად? მომიგეს – ძალგიძსთო. მიმიღეს კეთილად. მათმან უმაღლესობამან რაოდენსამე ჟამსა იმეტყველა ჩემთანა, ეგრეთვე ბატონის შვილმან ოქროპირმან და თამარმან, ილია კი თუხის ცხოვრებით ბრძანდება ზაფხულის სახლსა შინა⁵ და დედოფალიცა დღესვე წაბრძანდა. დიმიტრი მღუდელმან თაყუანისცემა მოგახსენათ.

აქაურთა ყოველთავე მოკითხუა მოგახსენეს და თაყუანის ცემა. მამა ტარასის რუსულის ვრცელის კატეხიზმითგან ნათარგმნი იბეჭდება აქ, რომლისათვის დოსითეოსს არხიეპისკოპოსს ხელი მოუწერია და პავსკისათვის დაურწმუნებია და მას ნება ურთავს, სხუა ახალი არა რად არს. კვალად⁶ ფილადელფი შეპყრობილი ჰყოლიათ ერთი თთუე აქა და აქითგან ქვევითი ნიჟნი ნოვლოროდს წარუყვანიათ, რომელიცა დიდ ფრიად შესანუხარ არს. ღმერთმან⁷ ინებოს, იხსნას თავი თუხი ამ განსაცდელისაგან. ჩემთან მანდ მოუწერია ავთრათი და თქვენ მიიღეთ, ბაგრატ ბატონის შვილის სახლში იქმნება.

ადამ ღირსივეს და სხვათა სიყუარულით ვიკითხავ. უკანასკნელ, ხუალ თუ ზეგ განვალ გზასა ზედა⁸ და თქვენი მშუდობით, მამაო, სამარადისოო სულისა ჩემისა მამაო!

მონყალეო ხელმწიფევე, თქვენი მალალ ღირსების მორჩილი შვილი, ყოველგზით ს. დოდაევი

1827, ივნისის 2, მოსკოვი.

იონა ხელაშვილისადმი №24

მალალ ღირსო¹ მამაო იონა,² უუმონყალესო ხელმწიფევე! წმინდასა³ და ნათლით შემოსილს, მაკურთხეველსა ჩემსა მარჯვენასა ზედა ვეამბორები, მოსრული ძველსა სამეფოსა ქალაქსა შინა.⁴ ვიდრე აქამომდე სიმრთელესა შინა⁵ გახლავარ ესრეთ, რომელ სიცოცხლე იპყრობების, ანუ იცუშების. აქაურნი ბრძენნი ვიხილე და შემთხუშულებათა გამომცდელნი. მიმიღეს დიდ ფრიად⁶ კეთილად. მთხოვეს მეგობრობა კეთილი და შეერთება მათდამი წერილისა და სხუათა გარემოებითა შემთხუშვათა თბილისით, რათა აცნობონ საზოგადოობასა ჟურნალსა შინა⁷ დაბეჭდითა. ჩემ მიერ აღუთქვი ესე ვითარისა მოქმედება. ვიხილე უნივერსიტეტი, თეატრი, ბიბლიოტეკა⁸ და სხუანი ჩინებულებანი.

ყოვლით კერძო გამოვიძიე მოსკოვი, ვრცელი ესე და ჩინებული ქალაქი, თუმცალა აღმომიჩნდა საამო სახილველად, გარნა ყოველივე კეთილ-გუარობა ს. პეტერბურლისა უწარჩინებულეს არს ქალაქისა მის, ანუ ვიდრელა აქა, გარნა მე ვსწუხვარ განშორებასა თქუშნსა, არა რაა არს ჩემთვის საამო ესრეთ, ვითარცა⁹ თქვენი ხილვა და ვითარებისა თქვენისა ხილვა, მამაო. მე დამიხანდება აქა კიდევ შაბათამდინ, ანუ კვირამდინ. ნივთები ძრიალად ამძიმებდა ბრიჩკას, ამისთვის სრულიად ერთს ყუთში შევკრიბე და განვისტუმრე, რომელიცა მოვიდა თორმეტი პუდი. თითო პუდი თბილისამდინ წარიღეს ცხრა რუბლად, ვითარ სხუათაცა, ესრეთ განისტუმრეს. ნაკლებ ვერ მოვიძიე.

მეორე მიზეზი ესე არს, რომელ ბრიჭკის უკან ყუთში სრულიად ნაბლალულიყო ყდები და უყდონი წიგნები. დიდად შევსწუხდი მის ნარხდენისათვის (სიმძიმისათვის და ნარხდენისათვის ნარვგზავნე წყნარის მოგზაურისა თანა ნივთები, პირობითა ტფილისად).

ნიავე აქა არს მძიმე, წვიმიანი და უსიამოვნოდ ღრუბლიანი, რომლისა გამო მტკივა თავი დიდად შესაწუხებელად, გარდა სმენისა, ხედუაცა დამაკლდა. დაკლებასა ამას ვგრძნობ გამოცდილებისა მიერ და არ ვუნყი, ვითარ შეიცულების საქართველოსა შინა.¹⁰ თუალების ძარღუნი მტკივა და სრულიად თავისა ჩემისა სისტემა მოშლილია და დიდ ფრიად სუსტი.

დასასრულ, რაჲ მრავალი ჰაზრი ვითარებისა და გარემოებისა ჩემისა მოგახსენო, რამეთუ არა სახლსა შინა¹¹ ჩემსა ვსცხოვრებ საკუთრად, რათა აღვსწერო კანონიერად და შესაბამად ყოველივე გრძნობა და ზრახუა, ვითარნიცა ინარმოებიან ჩემ შორის. ჰბრძანდებოდეთ სიცოცხლით და სიმრთელით, რათა ლოცუამან თქუწინისა მაღალ ღირსებისამან განმკურნოს განზრახულისა საგნისა აღსრულებისათჳს, სარგებლობისათჳს და აღზრდისათჳს მემამულეთა.

მშუდობით, უუმონყალესო მამაო!

თქუწინის მაღალღირსების მორჩილი მოსამსახურე

ს. დოდაევი

ივნისის 9-სა, 1827, მოსკოვი.

ადამ ღირსიევს და სხუათა – გიორგი პაიჭაძეს, პეტრეს – მოკითხვას მოვახსენებ.

მაღალ ღირსო მამაო, უუმონყალესო ხელმწიფევ, მამაო, მღუდელ-მოძღუარო¹ იონა.

ბალტიის ნისლისაგან გამოლტოლვილი შეპყრობილ ვიქმენ, ვიდრე აქამომდე გარემოებათა მიერ სხუა და სხუათა მოსკოვსა შინა.² ესე ვითარისა შემთხუცვისა მიზეზნი არიან შემდგომნი:

1. შეუძლებელ-იყო, რათა არ წარმეგზავნა წყნარისა მგზავრითა ქონებულნი ნივთნი, რომლისა სიმძიმისა გამო ბრიჩკას წინა ხეები შემუსრვილ-იყო და მასცა უნდა განახლება;

2. გაკეთებისათვის მოუნდა წარსაგებელი ათი თუმანი მრავალსა ადგილსა გატეხილსა;

3. წარსაგებელი შემემთხვა არა მცირედი წარგზავნისათუს, გაკეთებისათვის და ხამუთების მოვაჭრებისათუს და ამისთუს მგზავრსა შეუცადე. ალექსანდრე წარმოვალს ლინიამდინ და მუნ დაშთების იგი;

4. მგზავრმან, ჩემთანა წარმოსასვლელმან, მოიგვიანა, ბრიჩკის გაკეთებამან და ამათ შორის მე განვიხილე ჩინებულეზანი და განათლებულეზანი, მოსკოვსა შინა³ წარმოებულნი, ესე ვითართა მიზეზთა გამო აქამომდე უძვირფასესისა დროსა წარმგებელ, რომელსაცა მრავალნი მძიმენი ტვირთნი კეთილთა საქმეთანი მიმელიან. აქამომდე მაქუნდა ჩინებულსა პოეტთან და მწერალთან[ნ] საუბრობა, რომელნიცა იქებოდნენ პეტერბურლსა შინა⁴ თუსითა საქმეებითა და ყოველსა ქვეყანასა ზედა ისმიან პატიოსნეზანი მათნი. მათ მთხოვეს თბილისიდამ წერილისა შეერთება. ერთი მათგანი მიდის ევროპასა შინა⁵ უმეტეს განათლებისათვის. მე ვსთხოვე მუნითგან მოწერა ავთრათისა და ღირსი ხსოვნისა ცნობა. მან აღმითქუა. დასასრულ, დღეს მე განვალ გზასა ზედა. თქვენ გთხოვ უმორჩილესად, რათა ხარებულ-მყოთ მე მშკდობითა უძვრფასესსა ავთრათსა შინა⁶ გამოხატუთა. მერწმუნეთ, მამაო, მე არარაა მომცემს სასიამოვნოსა კმაყოფილებასა, ვითარცა სმენა თქვენისა სიმრთელისა და სიცოცხლისა. უკანასკნელ, ყოველთა კაცთაგან ვიქმენ კეთილად მიღებულ, მომცეს კმა-

ყოფილება ზნეობითითა მიღებითა და უმეტესად პოლიტიკებ-
რისა ქცევითა, გარნა არა რასა შემწეობითა.

პარმენ⁷ მლუდელმან კეთილისა გულითა მოხარულითა
მისტუმრა აქამომდე, რომელსაცა ვმადლობ დიდად და თქვენ-
დამო მთხოვა თვისისა პატივისცემისა განცხადება. თბილისის
სამჭედრო ლუბერნატორის მეუღლემან, სიპიალინისამან, მი-
მილო ფრიად⁸ კარგა, წარსაგზავნი და ავთრათი წარმატანა
მასთან. და ესრეთ მშვიდობით, მამაო! გთხოვ, ბრწყინვალესა
თავადთან, ფარსადან თეიმურაზიჩთან, ჩემ მიერ პატივისცემა
განაცხადოთ და ყოველთა სხუათა კეთილის-მყოფელთა თანა.

მაღალ ღირსებისა თქვენისა უუმორჩილესი მოსამსახურე,
სულიერი შვილი თქვენი ს. დოდაევი[ი]

იენისის 15, 1827, მოსკოვი.

ალექსი ალექსის ძე პეროვსკისადმი №1

მის აღმატებულებას,

ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტისა და მისი
სასწავლო ოლქის ბატონ მზრუნველს, ნამდვილ სამოქალაქო
მრჩეველს და კავალერს ალექსი ალექსის-ძე პეროვსკის

თქვენო აღმატებულებაგ, მონყალეო ხელმწიფე!

მას შემდეგ, რაც რუს მეფეთა ბრძნული მმართველობის
მზემ ძველი კოლხეთის ჰორიზონტი გააცისკროვნა, წესრიგი-
სა და კეთილდღეობის შუქი საგრძნობლად ვრცელდება კავ-
კასიის კურთხეულ ქვეყანაში.

ამჟამად საჯარო აღზრდა, რამაც თქვენი აღმატებუ-
ლობის მფარველობით და დაულალავი ზრუნვით, თქვენდამი
რწმუნებულ ოლქში ბედნიერი მიმართულება მიიღო, უეჭვე-
ლია, ამ აზიურ ქვეყანას ევროპული განათლებულობის საფე-
ხურზე აიყვანს. კავკასიის ჭაბუკ შვილთა აზრი და გონება
საზრდოს ეძებს და ამ წმინდა მისწრაფებით გამსჭვალული,

მოაპყრობს თქვენკენ თავის თვალს და თქვენი აღმატებულებისაგან მოელის ამ საზრდოს.

სურვილი, სასარგებლო ვიყო ჩემ თანამემამულეთათვის, მუდამ წმინდა მოვალეობა იქნება ჩემთვის, ისევე როგორც იგი ამ ჩემი ძალღონის შესაბამისი შრომის სტიმულიც იყო; ხოლო მწყალობლობა და მფარველობა, რასაც თქვენი აღმატებულება ყოველი სასარგებლო წამოწყებისადმი იჩენს, მამხნევებდა მე, შემესრულებინა ეს საქმე და ამანვე გამაბედვინა, დამემშვენებინა თქვენი სახელით ეს პირველი ცდა, იმ უღრმესი ერთგულების დასამტკიცებლად, რომლითაც სასახელო პატივად ვრაცხ დავრჩე მარად.

მონყალეო ხელმწიფევ, თქვენი აღმატებულების უმორჩილესი მსახური სოლომონ დოდაევი

[1827 წლის ივნისის ბოლო]

იონა ხელაშვილისადმი №26

მალალ ღირსო¹ მამაო² იონა,³ უუმონყალესო ხელმწიფევ!

შემდგომად⁴ მიღებისა იმპერატორის ხარკოვის უნივერსიტეტის წევრთაგან (ვითა მოგახსენე, ხარკოვიდამ მოწერილსა წიგნსა შინა⁵), მეორესა დღესა, შემდგომად შუადღისა, ჟამსა მეოთხესა, იწყო დღესასწაულობა სლობოდო-უკრაინსკის ღიმნაზიასა შინა,⁶ ხარკოვის ქალაქსა. მუნ მიმითანჯმეს უნივერსიტეტისათა, სადაცა პირველი მჭვრეტელი იყო ყოვლად⁷ სამღუდელო, მეორე – რექტორი უნივერსიტეტისა – ივან იაკოლიჩი კრონბერლი, ხოლო მე მამულისათვის არა მიმსახურია და არცა ღირს ვარ ესოდენსა მათსა პატივისცემასა, რაოდენიცა რექტორმან ჩემზედ აჩუჭნა საშუალ საზოგადოობისა და სხუათაცა მუნ ჳმისა მქონებელთა.

პირველად შესვლისა ჩემისა ზალასა შინა⁸ (საკრებულსა) კარებთან მომეგება ინსპექტორი ღიმნაზიისა. მე ქვემო ყოველთასა⁹ მნებავდა ჯდომა, გარნა რექტორმან გარდამიყუანა და თჯსთან დამაჯდინა. საზოგადოობა იყო დიდ ფრიად¹⁰ მრ-

ვალი ორისავე სქესისა. თავადი ალექსანდრე რიფსიმასიც მუნ მყოფობდა. დღესასწაულება ესე შესრულდა შემდგომითა ხატიითა: პირველად იწყეს საამოს ჳმასა ზედა კონცერტი. ამის შემდგომ ერთმა მასწავლებელთაგანმან სთქუა შესხმა ლათინურსა ენასა ზედა სიყუარულისათვის მამულისა. ჰსჯული¹¹ ღმრთისა, როსსიული¹² რიტორიკა, ლათინური ენა, ბერძნული, ნემენცური და ფრანციცული, მატემატიკა, ისტორია, დეოლორაფია, ფიზიკა ჰკითხეს.¹³ დასასრულ მუზიკა გუასმინეს და, ამასთან, მიჰსცეს მოსწავლეთა რომელთამე¹⁴ ჯილდოჲ, მედალი და რომელთამე წიგნნი ატესტატიითა.¹⁵

უკანასკნელ, მასწავლებელმან არტილერიისა¹⁶ წარმოსთქუა და საჭიროება მხედრობისა სახელმწიფოსა შინა.¹⁷ ამასთან, იყო სასიამოვნო ჳმა გალობითა. ესრედ შესრულდა საგანნი ამის დღესასწაულობისანი.¹⁸ ლოლიკა¹⁹ განჰყვეს სხუა და სხუა ჰსწავლად: შინაგანად, გარეგანად და ბუნებითად, გამოცდილებითად, ანუ ხელოვნებითად და სხვად მრავლად. ლოლიკა²⁰ არაოდეს განიყოფების, იგი არს ჰსწავლა²¹ გულისჳმისყოფისა, ხოლო გულისჳმისყოფა განიყოფების თვისსა მოქმედებასა ზედა არა გარეგან, არამედ შინაგან ფორმაული არს. სხუჭბრ, მხილველნი კმაყოფილ იყუნენ და მეცა.

შესრულებისა შემდგომ რეკტორი ადგა, თავი დაუკრა ყოვლად²² სამლუდელოსა, მე ხელი გამომართვა და მკითხა, ვითარ (მოგენონაო) გესიამოვნაო? მივუგე: მადლობა ღმერთსა,²³ საკმაო კარგად. ინსპექტორმან ღიმნაზიისამან მთხოვა მუნვე თერმონიისა და სხუათა სასმელებთა მიღება. გიახელით რა იგინი, რეკტორმან წარმიყუანა კალასკითა სახლად თვისად. მასთან ვიმეტყუწლე ყოველივე საჭიროება მამულისა, ჩვენისა ჰსწავლისთვის²⁴ სხუათა მრავალთა მოთხრობათა შორის. სხუათა შორის სიტყუათა მითხრა: ეცადე მამულისა შენისათვის სარგებლად და სახელისა შენისა პატივად. რაჲსაცა ითხოვ, ყოველსავე²⁵ აღგისრულებთო, მასწავლებელს უნივერსიტეტიდამ გამოგიგზავნითო. ფრიად²⁶ მსთხოვა, მე საკუთრად მომწერდეო შენს წერილსა და ყოველთვის²⁷ შეწევნასა შენსა ვიმეცადინებ აღსრულებად და დირექტორსაც მოვჰსწერეო შენთვის.

პირველს მისულაში, ოდეს წარიკითხა ჭილოსოქია, მკითხეს სახელისა თქუშნისათჳს, განათლებული არსო, ანუ სადა არსო? მივუგე მათ: ნევსკის მონასტერში, აკადემიაში სრულჰყო²⁸ ჰსწავლა და ჰსცხოვრებს²⁹ მათს უმაღლესობას, დედოფალს მარიამისა თანა. მრავალნი თხზულებანი არიან მისნი, რომელნი³⁰ სახელდებით მიუთხარ, რომელმანცა³¹ ფრიად მრავალნი მოქმედებანი აღმოაჩინა ჰსწავლისა³² ჩემისათჳს და განმალვიდა სიყუარულსა ზედა მამულისასა. ნუ განმირისხდებით მასზედა, რომელ³³ არ სრულიად ქებასა გნერ ეგზემენიისასა, კარგი იყო, გარნა მე უკუეთუ არ ვგრძნობდე შეცტომასა მათსა, არაოდეს არ ვიტყოდი.

მამაო სულისა ჩემისაო და მარადის მზრუნველო! ყოველივე დიდ ფრიად კეთილი, ყოველივე დიდ ფრიად³⁴ წარმართება არს, გარნა სული ჩემი მწუხარებს განშორებასა თქვენსა და ჰგრძნობს³⁵ არა სრულად სიმრთელესა. ხარკოვიდამ გამოთხოვებული გამოვედით ხუთშაბათს საღამოზედ.

მრავალს³⁶ ადგილს გაგვიტყდა ბრიჩკა, თუმცა ჯერედ არ მაძლევდენ ნებასა გამოსვლისასა, მთხოვდნენ რაოდენსამე დღესა მუნ ყოფნასა, გარნა მიზეზნი წარუდგინე. დიდად მსურდა, რათა მგზავრობა ჩემი სრულეჰყო.

თქუშნი მალალ ღირსების სულიერი შვილი

სოლომონ³⁷ დოდაევი³⁸

ხარკოვიდამ³⁹ გამოვლე ქალაქნი: ჩუგუევი და იზიუმი, ბახმუტი, ეკატერინოსლავი, როსტოვი და ნახჩევანი, სადაცა ახალნი, მდიდარნი სომეხნი კრიმიდამ გარდმოსახლებულან და ჰსცხოვრებენ⁴⁰ უკეთილესად. კურთხეულ⁴¹ აღექსანდრე პირველს უსადგურია მუნ სამჯერ. სიმრთელე ჩემი, ლოცუთა თქვენითა, უკეთილესდების, გარნა ჯერეთ ეგრეთვე არს, ვითა⁴² პეტერბურლსა⁴³ შინა⁴⁴ იყო. მიზეზი ხარკოვსა შინა დაუდგომლობისა არს: მრავალნი საქმენი, ქიზიყს წარსულა და უმეტესად მოსკოვიდამ მეუღლემან ლუბერნატორისამან ტფილისს წარმატანა ავთრათი და წარსაგზავნი, ხოლო მე მოვიგვიანე. ეგრეთუშ მოსკოვიდგან ჰსწავლულთაგან მოვიდოდა ტფილისს ვითარისამე ჰაზრისა⁴⁵ შეერთება და მათ უნდა პასუხი და სხუანი.

გთხოვ, სულისა ჩემისა მამაო ბრძენო, მახსენოთ ყოველთა⁴⁶ პირთა თანა ადგილისა და დროასამებრ.

დოდაევი⁴⁷

ნელსა 1827 года, ივლისის 9 დღესა.

იონა ხელაშვილისადმი №27

თქუწნო¹ მაღალო ღირსებავ, მღუდელ-მოძღუარო, მამაო² იონა,³ უმონყალესო ხელმწიფევი!

წმიდასა მარჯვენასა ზედა ამბორს მოგახსენებ და ვისურვებ სიმრთელესა და პირისპირ ხილვასა თქუწნსა. კუალად მოგახსენებ შემდგომსა განზრახვასა:⁴ ესე ჯერ იყო ყოფად და იგი არა დატეებად. აქამომდე მეცადინეობამან ჩემმან და ლოცვამან თქუწმან დამფარა და მსურს, რათა არა რაა უკანონო შენემთხუას შემდგომადცა და არცა მოქმედება ჩემი სიბრძნისადმი დასცხრების.⁵ აქაურსა აეროვანებასა შინა მოიძნელებს დაცხრომა ბუნებისა და ამის გამო გთხოვ უმორჩილესად, ნება მართოთ ქორწინებად. უკეთუ ინებოს მაღალმან და თქუწმან მზრუნველობამან განვრცელებად ესე ვითარისა, გამობატვისა ნება არა მაქვს საქმეთაგან კლასისათა, მხოლოდ ნებასა ზედა თქუწნსა დამოკიდებულ-არს. კუალადცა,⁶ უკეთუ შეიძლებოდეს, ვედრი ჩემი სრულ ჰყავით, ანუ შეიღისა მისისა სიზმარი ჩართეთ, ვინაათგან ერწმუნებიან ადვილად.

შემდგომად სიღნაღელთ სწავლის გახსნა განვუცხადე.⁷ მათ აღმითქუწს და სიხარულით მიიღეს სახელსა ზედა თქუწნსა და ზაფხულში მე წარვალ და მიუცილებელად შევასრულებ. გარნა მე, უკეთუ არა მარჯუწნამან თქვენმან, არაა ძალმიძს. გთხოვ უმდაბლესად, აზრი თქუწნი შ[ე]პერთოთ ჩემთანა. უკანასკნელ, უკეთუ ინებებთ ტფილისსა შინა და მომცემთ შემწეობასა, აღვაშენებ დუქნებს და ზედა სახლებს, რათა შემოსავალი⁸ განმდიდრდეს სარგებლად მამულისა.

რადცა წარეგება, მალე შეკრება და გთხოვ, ინებოთ, განზრახვათა ამათთვის მალე მიბრძანოთ აზრი თქუქნი.

მდაბლად ყოველთავე კელს კოცნას, თაყვანისცემას და პატივის ცემასა ჩემსა განუცხადებ. მშუღობით, მიგვიანდება კლასში.

მორჩილი შვილი თქუქნი სოლომონ დოდაევი
თქუქნ მიერ წარმოგზავნილი გლარძი მებოძა და დიდად გმადლობ, უკეთილესნი გახლდენ.

სეკდემბრის 5-სა, 1827-სა.

იონა ხელაშვილისადმი №28

თქუენო მალალ ღირსებაე, უმონყალესო ხელმწიფეე, მამაო, მლუდელ-მოძღუარო¹ იონაე!

მაკურთხეველსა ჩემსა მარადის, მარჯვენასა ზედა² ამბორებას მოგახსენებ და სიმრთელით განსვენებას ვისურვებ ყოვლითა³ ძალითა სულისა ჩემისათა. აჰა, მამაო სამარადისო, ვითარება გარემოებისა ჩემისა: შემდგომად⁴ სამის დღისა, დროსა მოსვლისა ჩემისასა, მხედართმთავარმან, მმართველმან სამოქალაქოდასა წარმოებისამან, სადილად მიმითანჯმა თუსთან და დამსუა და შეაერთა აზრნი თუსნი განათლები-სათუს მემამულეთა. მე ჩემ კერძო ყოველივე⁵ მივუთხარ სარგებლად და მოჰსწერა განათლებისა მინისტრს. გარდა ამისა, რაოდენჯერმე გახლდით სადილად და დიდ ფრიად⁶ კარგა მიმილო, რასაცა⁷ განჰკურდებიან ყოველნივე⁸ აქაურნი თავადნი და ნიშოვანნი კაცნი და არიან გაოცებასა შინა.⁹

კვალად¹⁰ სობორისა შინა¹¹ ეკზარხმან შემდეგ¹² შენირუსა მიჰსცა სეპისკვერი და მან მე, სხუათა შორის¹³ მხედართა ლექსითა ამით: „მიიღეო, რათა უმეტესად განათლდეო და ასწავლო ჰსწავლანიო“ და ესევეითარნი სხუანი ლექსნი, რომელსაცა¹⁴ დავეთხოვე კახეთსა და მომცა ნება შემდგომ¹⁵ ერთისა კვირისა ტფილისიდ განსუალადმდე და შემოსულადმდე ქა-

ლაქსა მას შინავე.¹⁶ და ესრეთ¹⁷ გახლდი მქისიყს, მამულსა შინა¹⁸ ჩვენსა. სამი დღე ყოველგან¹⁹ მოველე და მოვეფინე ვითარება თქვენისა კეთილობისა. წარმოტანებულნი მივე თვს თვსსა ადგილსა, რომელთათვს არიან და იქმნებიან ლოცუასა ვედრებასა შინა²⁰ ნეტარებისათვს სუფევისა თქვენისა, ნათელსა შინა²¹ სოფლისასა.

გახლდი სახლსა შინა ძმისა თქვენისა სოლომონისსა. ყოველნივე²² ვიხილე სიმრთელით. იგი წარმოვიყუანე ჩემთან და მივუთხარ სოფლისათვს, რომელ²³ მას შინა²⁴ კაცი უსწავლელი რად არს და ჰსწავლული და ვითარსა განსხუაებასა შინა არიან! იგი ჩემს ლექსებს დაემორჩილა განღვიძებული, მომიტხრა²⁵ – ყოველსავე თქმულსა შენსა აღვასრულებო. აჰა, ცნობა ცხადა სახლეულთა ძმისა თქვენისათა. უფროსის ძმისა იობისა არა რად არს დაშთომილი შვილი და ცოლი, რომლისაცა²⁶ იქმნა სხვსადმი ცოლად.

მეორისა ძმისა, გარდაცუალებულისა იოსებისა, გახლავსთ ერთი ნინველი, წლისა ცამეტისა, რომელსა²⁷ სახელად გრიგოლ და ორი ქალი. უფროსი არს ათორმეტის წლისა და სახელი მაია, მეორე – წლისა ხუთისა და სახელი მისი მარიამ. დედა მათი ქვრივი გახლავსთ სახლსავე მას შინა,²⁸ რომელსაცა²⁹ ეწოდების მართა. მესამის ძმისა, სოლომონის, არიან შემდგომნი: ცოლის სახელი³⁰ მაია; შვილნი მამრისა სქესისანი არიან³¹ სამნი: უფროსი არს წლისა ცამეტისა,³² რომელს³³ სახელად ეწოდების იოანე, მეორე – წლისა ოთხისა და სახელად მიხაილ, ხოლო მესამე – წლისა და ნახევრისა, სახელად ნოდარ.

მდედრისა სქესისა შვილნი არიან³⁴ ორნი: პირველსა³⁵ ეწოდების კონია და არს წლისა ათორმეტისა, მეორესა – სოფიო, არს წლისა ექუსისა. გიორგი ვერ ვიხილე. მოგახსენეს, რომ წამოსულა თქვენთანა უწინარეს მოსელისა ჩემისა. ცოლსა მისსა ეწოდების ნატალია და შვილსა – დიმიტრი, რომელიცა³⁶ არს წლისა და ნახევრისა. იოსების შვილსა გრიგოლს და თვსს შვილს იოანეს მოგაბარებო სასწავლებლად, – სოლომონმან მომიტხრა და შემეგვედრათ³⁷, რათა მწუხარებათაგან განმათავისუფლოთო. პირველად³⁸ ესოდენთა სულთათვს მე ერთი გახლავარო პატრონი ცხოვრებისათვს მათისა

და მართლად³⁹ სხუათაცა მითხრეს მის შეწუხება შრომათა შინა⁴⁰ ამის გამოხსნისათვის.

საჭირო გახლავს, რათა მოიკავოს კაცი ვინმე და ნინველი იგი მოიყუანოს ჩემთან. ამისთვის მეც აღუთქვ წარსაგებელისა მიცემა და მათთვის აღსრულება, რაოდენიცა⁴¹ შეიძლება ჩემ კერძო; მეორედ⁴² გახლავს გასაღებსა შინა,⁴³ რომელთაცა⁴⁴ ვერ ძალ-უდვა დამტკიცებად აზნაურობისა. ხელის მოწერისათვის ნიკოლაოზ არხიმანდრიტს ხელაევს უთხოვნია ოცი თუმანი თეთრი ფული, რომელიცა⁴⁵ მე ვერ ვიხილე ჯერედ თელავს შინა⁴⁶ მყოფობისა გამო მისისაჲ. მესამედ, ფრიად⁴⁷ გთხოვენ მამულისა მოვაჭრებისათვის, რომელიცა⁴⁸ ამას წინათ⁴⁹ მანდ მყოფობასავე შინა⁵⁰ ჩემსა მოგხსენდათ. დიდად სურს სოლომონს მამულისა მის ქონება. იგი ფასობს ოცს თუმან თეთრ ფულად, სივრცე სიგანისა და სიგრძისა მისისა არს ორმოცი ადლი და ათი ადლი ვენაჰი არს გვერდსა ზედა⁵¹ თვისისა ვენაჰისასა.

მეოთხედ, მთხოვა სოლომონმან,⁵² რათა მოგახსენო დროსა გარდაცულებისა ძმათა ჩვენთაო. დამიტევეს ანდერძი შემდგომითა⁵³ ლექსითა: „რათგან არ აღსრულდა სიცოცხლესავე შინა⁵⁴ ჩვენი სურვილი ხილვისა თქვენისა, მაშინც ინებოს და საფლავი ჩვენი აკურთხოსო.“ ლექსნი ესე გამოხატულნი სიტყვთა მიუთხრობიათ გარდაცულებულთა დროსა სულის განსვლისასა. მეხუთედ, ქალთა ჩვენთა თხოულობენ ჩინებულნი აზნაურნი მამულისა ჩვენისანი და შეუძლებლობასა შინა⁵⁵ გახლავართო გასტუმრებად მათსა. მცნობი ყოვლისა⁵⁶ სამთა შინა⁵⁷ დღეთა საქართველოს იტალიასა შინა,⁵⁸ ანუ⁵⁹ მქისიეყსა, მოვიქეც ქალაქად ტფილისად.

ერთსა დღესა გამოვცხადდი ლუბერნატორთან⁶⁰ და მივიღე თანამდებობა, გარნა უბედურება შემემთხუა სნეულებისა, რომლისა⁶¹ გამო მკუდართან შეჰსწორებულ ვიქმენ. ხუტმეტი დღე არ რაღსა სანოვაგისა მიმღებელი, სიმწარემან ესრეთმან მიმიყუანა დიდსა სისუსტესა შინა.⁶² მკურნალნი ეცადნენ და ორის გზით მიჰსცეს გზად განსვლისა ბალღამთა და შემწეობითა ლოცვისა თქვენისათა მოვბრუნდი განმრთელებად არსებისა ჩემისასა და თანამდებობამან უმეტესად შემანუხა: ვინაიდგან⁶³ ორშაბათიდგან ვიდრე შაფათადმდე,

თვთოეულსა დღესა რუა-რუა ჟამი მაქუს კლასი ესრეთ, რომელ⁶⁴ მონაფეთათუს ვერ მომისწვრია, რათა შევადგინო ჰსნავლანი რუეულთ შინა.⁶⁵

სნეულებასა შინა⁶⁶ მრავალი, ანუ ბევრი წარსაგებელი მომივიდა. გარდა ამისსა, ცხოვრებისათუს ხუასტაგი არა საკ-მაო არს სიძვირისა გამო. ყოველთა⁶⁷ საზრდოთა ხუთი რუბ-ლი ასიგნაცია⁶⁸ და ოდესმე უმეტესიცა. მხოლოდ ნუგეში თქვენისა მაღალ-ღირსებისა ამტკიცებს სულსა ჩემსა და ყოველად⁶⁹ კურთხევა თქვენი, რომელიცა⁷⁰ მოუკლებელ არს ჩემთუს საზრდოდ ორისავე ცხოვრებისა.

დასასრულ, უუსასურველესო მამაო და მოყუარეო მამულისაო! ხუთს სეკდემბერს ნათელნი გონებისანი და წყარონი სიბრძნისანი, ე.ი., ავთრათი უუძვრფასესი ჯელითა თარხანოვისათა, რომლითაცა⁷¹ განვიკურნე სნეულებათა მწუხარებათაგან და შევსჰწირე მადლობა ნათელსა ნათელთასა. მე მარადის ვიპყრობ მოძღურებათა თქვენთა ჰსნავლისა გარდაცემათა შინა.⁷² ჭეშმარიტი ქება, პატივასრულება და თვით დიდებაცა მიენერების მიზეზსა, ანუ მოქმედსა⁷³ მიზეზებულისა და მოქმედებულისასა, ხოლო თქვენ ხართ დასაბამი ჩემისა კაცობრიობისა და შემყუანელი საზოგადოობასა შინა,⁷⁴ რომელიცა⁷⁵ ვაძლევე სიბრძნეთა მემამულეთა ჩვენთა სასოებითა მით, რომელ⁷⁶ იგინი თუსსა დროსა აღვლენან ხარისხსა ზედა⁷⁷ განათლებისა, სადაცა მე მაქუს სახესა შინა⁷⁸ სიყუარული მამულისა და მაგალითად, არათუ ოდენ მხოლოდ მონაფეთა თანა წარმომიდგება თვისება თქვენის მაღალღირსებისა, არამედ⁷⁹ ყოველსა შეკრულებასა შინა⁸⁰ განძლიერდება მოქმედებანი. გარდა ამისსა, არათუ ოდენ ლექსებითა, არამედ სიტყუაობითა ქარტასა ზედა.⁸¹

მაშასადამე, ვისნი ჰსნავებანი მექმნებიან მე განმალვიძებელად, უკეთუ არა მისი, რომლისაგანაც⁸² მიმიღიეს ჰსნავლანი გასანათლებელად გულისკმის ყოფისა. ვის მიენერებიან ესეოდენნი მოქმედებანი, უკეთუ არა თქვენ. ამის გამო მაქუს სასოება და მექმნების მარადის, რომელ⁸³ არა დამიტეებთ, რათა არა განახაროთ სული ჩემი ტალანტებითა ნიჭებულთა მალლით გამო. გარნა ოჰ, ცაო! ოდეს ვიქმნები ბედნიერ ხილვითა თქვენითა და სადა? უკეთუ მექმნების შემთხვევა ესე,

რაოდენ მადლობას მივჰსცემ მომნიჭებელსა ცხოვრებისასა გამოუთქმელისა და მიუწთომელისა ამის ბედნიერებისათვის.

თქვენი მაღალღირსებისა მარად მორჩილი შვილი და მსმენელი სოლომონ დოდაევი

1827 წელსა, სექტემბერს 10 დღესა.

იონა ხელაშვილისადმი №29

მაღალ ღირსო მამაო, მღუდელ-მოძღუარო იონავ, უმოწყალესო ხელმწიფევე!

განმანათლებელი სულისა ჩემისა, შემამკობელი გულისა და აღმნთებელი გამოხატვისა, ავთრათი თქვენი მივიღე და მათ თანა განმახარებელი გრძნობისა და მასიამოვნებელი სულისა და სასურველი ნებისა. რაოდენ საგრძნობელ არს ჩემთვის და რაოდენ სამადლობელ, გარნა კეთილობანი და სათნოებანი თქვენი გამოუთქმელ არიან და ყოველსა საუკუნესა შინა¹ სახსოვარ და შეუძლებელ მადლობად ესოდენთა საქმეთა, რომელთა მიერცა ნიჭებულ მყავით მე, არა მხოლოდ ჩემ მიერ, არამედ ივერიისა ნათესავთა მიერცა, განუმარტებელ და მიუწთომელ, ვინაითგან პირველსავე² მოსვლასა ჩემსა იქუხა ქალაქმან თბილისისამან, საცა მიუთხრობენ ერთი მეორისა სიბრძნისათჳს მხილველნი რვეულთა შინა წარწერილთა და კანონთა სისტემატიკებისა წყობილებითა, რომელნიცა მოქმედებენ სულიერთა ძალთა ზედა³ უმეტეს სხუათა წარმოებათა.

მე აღვწერე ახალსა ფრაზასა უმეტეს სიტყვიერებითი სწავლა, სადაცა მივეც თუსი განსაზღვრება შესაბამი და წესიერი და ეგრეთუჴ განყოფილებანიცა საკუთარსა, წესიერსა გვარსა ზედა დავანყე. თვით ღრამმატიკასა მოუმატე და ნაკლნი განუტევე მეტნი. ყოველსა წამსა შეკრულ ვარ საქმეთაგან, ყოველსა შემთხვევასა ვმეცადინეობ, რათა მივსდრიკო მსმენელნი ჩემნი ჭეშმარიტებასა და სიყვარულსა სათნოდ ღვთისასა. მე არა ოდეს არა მაქვს ცნობა არა რომლისა⁴ უსაქმოდსა კაცისა და არცა საქმიანთანა, უკეთუ არა არს

მზრახველი ზეციურთა საქმეთა, მქონებელი და დამწყობელი მალლით.

ავთრათი იგი თქვენი მივიღე სექტემბრის 16 დღესა მაშინ, ოდესცა ვიჯექ კათედრასა ზედა და ვმარტებდი აღსაზრდელთადმი მათემატიკურისა და ფიზიკურისა მდგომარეობისათუს სოფლისა საზოგადოდ,⁵ გარნა სიხარულმან ავთრათისა თქვენისამან მიმცუალა ფერი, რომელიცა⁶ ჰგრძნეს მონაფეთაცა ჩემთა. და ესრეთ მოსრული კლასთაგან პირველსა⁷ ჟამსა წარვჰსწერე ესე მოკლედ და მუნვე მივიქექე. ამის გამო გთხოვ, მომიტე[ვ]ოთ⁸ მოკლედ წერისათუს, ვინაიდგან⁹ ყოველი¹⁰ გარემოება წარსრულს დროსა მოგართუ, ვითარცა¹¹ სახლეულთა ძმისა თქვენისათა, ეგრეთუჴ ჩემნიცა, სოლომონ და სახლეულნი თქვენი¹² უვნებელად მყოფობენ, გარნა მოელიან ჩემ მიერ მოხსენებულისა პასუხსა.

მამაჩემმან, მგრძნობელმან თქვენისა ჩემდა სიყუარული-სამან, მდაბლად გულითადი პატივისცემა და თაყუანისცემა მოგახსენათ. ეგრეთვე მორჩილმან ჩემმან ძმამან სტეფანემ მოგახსენათ მარჯვენასა ზედა¹³ ამბორება. უმორჩილესად გთხოვ, მიბრძანოთ თქვენი ვითარება, მამაო სულისა ჩემისაო! ჩემს ვითარებას მოიხსენიებთ, ვმადლობ ღმერთსა,¹⁴ სიმრთელით გახლავარ.

თქვენი შვილი სოლომონ დოდაევი

სექტემბრის 17 დღესა, 1827 წელსა, თბილისით.

იონა ხელაშვილისადმი №30

მაღალღირსო მამაო, მღუდელ-მოძღუარო¹ იონა, უმონყალესო ჴელმწიფევ!

სიყვარული, დანერგული გულსა შინა ჩემსა, არა ძალმიძს, წარმოვადგინო წინაშე განათლებულისა გუამისა თქუჴნისა და არცა შემძლებელ-ვარ გამოთქმად თვისებათა თქუჴნისა მაღალ ღირსებისათა, თუმცალა კი ვჴგრძნობ, გარნა ვერ მოვსწვდები. ხოლო შეძლებისაებრ ძალთა ჩემთასა,

ზრახუასა ამის საგნისათვის გამოვხატავ ისტორიასა, ანუ ცხოვრების აღწერასა შინა, მოთხრობითა ყოველთა გარემოებათა და შემთხვევულობათასა. არა რომელსა ნამსა არა ძალმიძს დადუმება, რათა არა წარმოვსთქუა ზრახუა ჩემი სათნოებათა და სიბრძნითა მოქმედებათათვის თქუშნისა უხვებისათა, გარნა ტვირთი სქეთა შრომათათა არა მაძლევს უფლებასა, რათა ყოველი გამოხატუა და აზრი შევაერთო სხვათა² თანამდებობათაგან.

სულგრძელებითა თქუშნითა მომიტყევებთ ბრალსა ჩემსა მცირაკისა ქარტისათვის, რომელსა ზედაცა წარვსწერე ჩემ შორის დანერგულისა სიყვარულისათვის და შევაერთებ თქვენდამო აქარე წარმოებისათვის.

თითოეულსა მზის მოქცევასა შინა, მღვძარებასა და მძინარებასა შინა გული ჩემი და უმეტესად სული არს თქუშნთანა, რომელიცა შემდგომად განღვიძებისა ჩემისა ძილისაგან ვჭვრეტ ცასა და ვიტყვი მარადის ესრეთ: „ვის განვშორდი, სადა ვარ და, ოდეს ვიხილავ მას, რომლისაგან ვიყავ და ვარ ნეტარებასა შინა კურთხევითა, გარნა უხილაობითა მნუხარე შევსთხოვ³ უძვირფასესსა⁴ დროსა ხილვისასა მომცემელსა თქუშნსა ჩუშნთვის.“

დაუფასებლო, სამარადისოო სულისა ჩემისა მამაო! ნუ დამიტყევებთ მე მხოლოდ ერთსა თვინიერ შეერთებისა მოქმედებათა თქუშნთასა, მომეცით მაღალნი ტალანტნი, ნიჭებულნი თქუშნდა ზეცით გამო, მამაო! აჰა, ქართულის ლიტერატურისათვის ჰსცანით, თუ ვითარი ვანარმოე ცვლილება: 1) ღრამატიკასა შინა: თვთ დანყებითგან ვანარმოე განსაზღურებანი საზოგადონი და მოუმატე ნაკლნი, რაოდენიცა ძალმედუა. დანყებითი ბრუნვა განუტევე დამტკიცებითა, რომელ არა არს საჭირო ცნობისათვის ცვლილებათა ლექსთათა და სხუანი მრავალნი, რომელიცა დაიბეჭდება და მუნ სცნობთ; 2) სიტყუერებისა შინა უმეტესად, რომელსაცა მივეც შესაბამი სისტემატიკებრი ნყობილება და განყოფილება განსაზღურებითა. უკეთუ ინებოს ღმერთმან და დაიბეჭდა, მაშინ⁵ ჰსცნობთ სარგებლობასა მისსა კეთილმზრახუელნი მკითხუშლნი.

გარნა სახლეულთა ჩემთა დიდად შემანუხეს. და ჩემი მისცეს ხირსელაშვილს ანაგაში, შეუძლებლობისა გამო მათისა მოვიდნენ დიდის თხოვითა სავაჭროდ ნივთებთა წარსატანებელად და ჩემზედ ოცდაათი თუმნის თეთრი ფულისა წარიღეს ვაჭართაგან, რომელიცა იქმნების ასოცი თუმანი ასიგნაცია.

საზრდოდ და სწავლისათვის ოთხი სული ჩემის სახლისა გახლავთ და ერთი სოლომონის შვილი იოანე. ძმისწული თქუშნი ჩემთან არის, ათორმეტის წლისა გახლავთ და ისწავებს სწავლათა გონებითა და საქმითა. ბრძანებისაებრ თქუშნისა, პური და ღვინო სოფლიდგან შევიკვეთე, რომელსაცა მომიტანენ თუსსა დროსა, გარნა ფრიად ძურობს.

სხუშბრ, ყოველივე მშვიდობით არს, მკედრობაცა ჩუშნი წინაშე მტრის გმირობს და იმარჯულებს. რვა სული იზრდების ჩემთანა მოწყალებითა თქუშნითა. მამა ჩემმა⁵ თაყვანისცემა მოგახსენათ, სოლომონიც ამან ჩამოიყუანა თავისის შვილითა. რაოდენიც შემეძლო, მივეც შეწვენა სოლომონის სახლსა მცირედ და, სხუშბრ, თქუშნს ბრძანებას მოველი. სოლომონ, ძმა თქუშნი, იყო ჩემთან ერთი კვირა, რომელმან მოიყვანა შვილი თვისი იოანე ჩემთან, რომელსაცა დიდად სურის და სწყურის სწავლა. არვის უმეცადინებია მათთვის, ამათ არარაი ბრალი აქუსთ მოუსვლელობისა სწავლასა შინა. ახლა მე ვითარ ვსცდილობ, ვგონებ, თქუშნ სცნათ.

თქუშნის მაღალ ღირსების სულიერი და მსმენელი შვილი სოლომონ დოდაევი

ოქტომბრის 8, წელსა 1827.

იონა ხელაშვილისადმი №31

მაღალ ღირსო მამაო, უმოწყალესო ჳელმწიფევ, იონა!
წმიდასა და განათლებულს მარჯუწნასა ზედა ამბორებას მოგახსენებ, სულითა და გულითა ვისურვებ თქუშნის მაღალ ღირსების ხილვასა და ვსთხოვ ყოვლითა გულითა ჩემი-

თა მომნიჭებელსა ყოველთა კეთილობათასა, თქუშნს სიმრთელესა და მშუდობასა, გარნა განკურნებულ გახლავარ უხვებისა თქუშნისა სიბრძნეთაგან, რომელ და ადროეთ ნყარონი ნიჭთანი შეერთებად ჩემდა მიცემისათუს, გონებათადმი მემამულეთა ჩუშნთა ჭურეტანი, მარადის მიმართებულ არიან ჩიგრიკთადმი, ანუ მსლველთადმი, და არარაჲ ვიხილე გამოზრდისათუს მშეირისა და მწყურვალისა სულისა ჩემისა, რომელიცა ეკუჭთების უძვირფასესთა სიტყუათა, ანუ ჰაზრთა, განათლებისათა თქუშნ მიერ მოღებულთა.

და ესრეთ გთხოვ უმდაბლესად, მამაო, რათა არა დამიტეოთ თქუშნ მიერ წარმოებული საზოგადოობასა შინა. მე მარადის ვმეცადინებ მინდომისათუს საგნისა ჩემისა, გარნა ვერცა ერთსა ვიხილავ მემამულეთაგან, რათა ეძიებდეს სარგებლობასა მამულისასა, მხოლოდ თავის თავის გამოზრდას სცდილობენ დღიურად, არცა ეძიებენ სწავლასა, არცა სწავლულთა, არცა წიგნთა სწავლითთა, არა მოყუარე არიან შრომისა, უკანონოდ და უნესოდ და ფრიად შერევენილად მდგომარეობენ. მზად არიან ვნებისათუს რომლისამე პირისა უბედურებისათუს და სხუათა, ხოლო მე ჯერეთ დადუმებული გახლავარ სხუა და სხუათა წარმოებათათუს და განხსნათა სასწავლოთა ადგილთა, ვეძიებ ღონესა და ვსჭურეტ მდგომარეობათა და გარემოებათა. არა უწყი, ვითარითა ხატითა ვანარმოო საგანნი ჩემნი.

აქაური სასწავლებელი თბილისისაცა ჯერეთ უნესობასა შინა არს, მოსწავლენი მრავალ არიან და მასწავლებლნი მცირე, არავინ მიაქცევს ყურადღებასა და არცა სჭერეტენ სწავლათა, გარნა იმის შემდგომ ვგონებ, იმეცადინოს მთავრობამან განვრცელებისათუს სწავლათა, ვინათგან ინება ღმერთმან მშუდობისა მონიჭება, მტერნი განივლტნენ ძალისა გამო მხედრობათა ჩუშნთა და საჭურველთა. ასან ხანი ერევნისა დღეს მოიყუანეს, ოკდომბრის 23-სა, თბილისის ციხეში და სხუანიცა ოთხი ათასი კაცი სპარსთა. მადლობა ღმერთსა!

დასასრულ, ძისწული თქუშნი იოანე მეხსიერ არს და კარგათ სწავლობს. მამაო, უმდაბლესად გთხოვ, განუსვენოთ

სულსა ჩემსა შეერთებითა ვითარებათა თქუშნისა მაღალ ღირსებისათა. მშუდობით!

მიმიტევეთ სულგრძელებითა თქუშნითა ცთომანი ავთრათისანი! ვინაითგან ვჰსწერ მამასა და არა სხუასა. თქუშნის მაღალ ღირსებისა მორჩილი მოსამსახურე სოლომონ დოდაევი

ოკტომბრის 24-სა, 1827-სა.

იონა ხელაშვილისადმი №32

თქვენო მაღალო ღირსებავ, მღუდელ-მოძღუარო,¹ მონყალო² მამაო იონა! უმონყალესო ჳელმნიფევ!

ავთრათნი, გარდამოცემულნი სხუა და სხუაის იდეაჲს მჰყრობელნი, ესე იგი, თვითეული თვისისა საგნისა თქუშნ მიერ მივიღე ნოემბრის 20, რომელთაცა ძალისაებრ ჩემისა შევემცენ მჭურეტელი რაოდენისამე ჟამისა და გამოვიხატე სულსა შინა ჩემსა. მაღალნი იგი დიდ ფრიად წყარონი ზრახვისანი მომცემენ დიდსა შუშბასა, მხიარულებასა და კნინლა აღტაცებასა, ანუ აღფრენასა უკეთილესისა საგნისადმი. მარად მზრუნველო მამაო ჩემო! უკეთუ არა კეთილთა მოქმედებათათა, სარგებლად სულისა და სხეულისა, საუკუნოჲსა ცხოვრებისათჳს თქუშნ, რომელნიცა არა კმად იმყოფებიან გარდახდად ვალთა ჩემთა მათ მოქმედებათათვის ზეციურთა, რომელთა მიერცა მარად ვსარგებლობ თქუშნ მიერ კეთილისა ცხოვრებისათჳს, ვითარითა ხატითა ძალ-მიძს სრულყოფად მათ ყოველთა სათნოებისა სახეთათჳს, რომელთაცა თქუშნ მიერ მე ვგრძნობ ყოველსა შინა წამსა.

ირწმუნეთ, მამაო, რომელ მე ყოველთჳს მზად გახლავარ აღსრულებად ბრძანებათა თქუშნთა და თანამდებობათა ჩემთა. აჰა, ლიტურდიისათჳს ქართულისა მიიღეთ მოკლეჲ ესე განსჯა ჩემი, აზრისაებრ თქუშნისა. ღრამატიკას შინა შესაძლო-არს უადვილესად და უცხოვლესად წარმოდგენა ყო-

ველსა შინა საზღვრებასა და განყოფილებასა შესაბამად წესიერად და უმეტეს კანონიერად ყოველნი კუთვნილებანი და პყრობილებანი მისნი (ვითარცა მე გარდავეც მოწაფეთადმი ჩემთა ცხადითა განმარტებითა).

ღრამატიკა განარჩევს ლექსთა ჳმარებულთა ჩუჳნსა ენასა ზედა. ყოველსა ლექსსა აქუს სხუა და სხუა მნიშვნელობა, მაშასადამე, სათანადო არს, რათა მიუწეროთ თუთოეული ლექსი თუთოეულსა კლასსა აღმნიშვნელსა საგანთათასა. რომელნიმე გარდაეფინებიან ყოველთა მყოფობათა საზოგადოდ, რომელნიმე თუთოეულად კერძობითად. ნოდებანი, კუთვნილობანი და რაოდენობანიცა და ნიშნენ სხუა და სხუასა, უმეტეს და უმეტეს დანანევრდებიან იგინი შეცვალებითად ნოდებულნი ნაწილნი და შეცვალებულნიცა შეერთდებიან მათ თანა, ეგრეთცა ნათესავსა შინა, რომელიცა ღრამატიკასა შინა ჳნიშნავს განსხუავებასა სახელთასა განსჯასა შინა სქესისასა...

შეერთებისა გამო ლექსთასა წარმოსდგების სიტყვა, ანუ წინადადება, რომელნიცა იქმნებიან ესოდენ ურიცხვნი, რაოდენცა ურიცხვ არიან საგანნი სოფელსა შინა. წინადადებანი განვრცელდებიან წყაროთაგან პოვნისათა, რომელნიცა არიან საზოგადონი ადგილნი და არიან შემდგომნი: ყოვლადი და კერძონი; ნათესავი და სახე; მოქმედი და ვნებული; ადგილი და დრო, კუთვნილებანი არსებითნი, ვითარებანი, მიზეზნი უმთავრესი, ნივთიერებითი, საჭურველითი და კმა მიზეზი: გარემოებანი, განსაზღურება და აღწერა. პოვნილთა და განვრცელებულთა წინადადებათა მიეცემის განკარგუა და შესაბამსა თუს თუსსა ადგილსა ზედა აღიწერებიან.

უკანასკნელ, გამოცდილი ორატორი იხმარებს შესაბამსა ჟრაზსა წინადადებისასა და თუსებასა ენისასა სასიამოვნოდ, კეთილ-გუაროვნად, ცხადად კეთილ-წყობილებითად, კეთილ-ჳმოვანად, მჳურვალეობითად და ბუნებითად. განწმედილად და თავისებითად, მიჳედუსაებრ აზრისა იხმარებს ანუ მალალს, ანუ საშუალს და ანუ დაბალსა ჟრაზსა, გინა შტილსა. საგანთა შორის ბუნებითთა, ხელოვნებითთა და შერევილთა ორატორი უმეტესად მიჳმართავს აღმკობილსა, ანუ მშუჳნიერსა,

ვინაიდან იგი უმეტესად მოქმედებს გრძნობასა ზედა და ყურადღებაცა მიმართავს განჰსჯითად.

საზოგადოდ, ორატორი გულისცემისყოფითა (თეორეტიკებრ) ეკუთვების ჭეშმარიტსა, ნებითა (პრაკტიკებრ) კეთილსა. ხოლო გრძნობითა (ესტეტიკებრ) ეკუთვების აღმკობელსა, ანუ შუწნიერსა კელოვნებასა. მხოლოობა ესე კანონთა განსაზღურებითა და განყოფითა გარდაეფინების ყოველთა გრძნობითთა და გონებითთა თხზულებათა განმარტებითურთ და აღმოჩენით, ანუ დამტკიცებით.

გარდა ამათსა, იქმნებიან საკუთარნი კანონნი თუთეულისა თხზულებისათვის კერძობითად, მაგ., ავთრათათვის, ქებათათვის. დიდ ფრიად სანუხარ-არს ერთ კერძო ჩემთვის, რომელ დრო მცირე მაქუს შეერთებისათვის აზრისა ჩემისა განათლებულისა გუამისა თქუწნისადმი.

მოქმედება ჩემი, გარდა სასწავლებელისა, სადაცა ოცდაათექუსმეტი ჟამი მაქუს კვირაში სწავლა, მმართველის საქართუელოდსა, მკვედართ ლუბერნატორის, ღენერალ სპიადინის, შვილებს ვასწავლი კვირაში ოთხჯერ ორორ ჟამს როსიულსა ენასა ზედა ღრამმატიკასა და რიტორიკასა, ორნი შვილნი მისნი – ერთი ათორმეტისა და მეორე ათისა – ისწავებენ.

სასწავლებელსა შინა როჭიკი მაქუს ორმოცდაათი (თუმანი). გარნა პირველსა შემთხუწვასა შინა არა საკმაო გახლავთ გამოზრდისათვის ყრმათა და ნინველთა, რომლითაცა ათი სული იზრდების და იმოსების ჩემთანა. გარდა ამისსა, დამან ჩემმან იქორწინა და შეუძლებლობამან მათმან განსტუმრებად მიიტაცა ჩემგან ოცდახუთი თუმანი (25) თეთრი, ესე იგი, ათასი რუბლი ასიგნაცია.³ მგზავრობამან და ესევითარმან შემთხუწვამან დიდ ფრიად მწუხარე მყო.

სოლომონ, ძმა თქუწნი, გახლდათ ჩემთან ნოემბრის 26-სა და დაყო ერთი კვირა ჩემთან. შვილი მისი იოანე იზრდების. წერილნი, ანუ ავთრათნი, თქუწნისა მაღალ-ღირსებისანი, წარუკითხე. ობოლი იგი არს ავათაო და შემდგომ განთავისუფლებისა მიუცილებელად მოვიყვანო. ყოველნი ავთრათნი თქუწნნი წარვატანე მქისეიყად და განვისტუმრე.

და ესრეთ, მონყალეო მამაო, უკეთუ ინებებთ ყოვლით კერძო განთავისუფლებასა მწუხარებათგან მათთა და გასტუმრებასა ქალთასა, წარმოგზავნეთ ჩემდა ათასი რუბლი ასიგნაცია და აწინდელსა მდგომარეობასა მათსა მე გავმართავ მონყალებითა ამით თქუწნითა და შემდგომად – მე ჩემ კერძო.

სხუჭბრ, თუნიერ შეწუხებისა თქუწნისა, ვეცდები მათსა შემწეობასა. მე ვგონებ, ამ შემთხუწვაში კმად ზემოსხენებულსა. მე დიდად ვსწუხვარ მათთუს, რომელნიცა მრავალსა მომითხრობენ, გარნა ჯერეთ ღონე არა მაქუს კმაყოფად მათდა.

[ს. დოდაშვილი]

[1827 წლის 3 დეკემბრიდან 1828 წლის 1 იანვრამდე]

იონა ხელაშვილისადმი №33

მაღალ ღირსო მამაო, მოძღუარო¹ იონა!

ყოვლად ნათლისაგან ნათლით შემოსილო ნათელო ჩემო და ბრწყინვალეზაო! რაა ძალ-მიძს წინაშე მოძღვრისა მონაფესა და მამისა ძესა თქმადა. უკეთუ ვსთქუა მაღლობა, შეუძლებელ-არს, სრულ-ვჰყო იგი, ვინაფთგან მოქმედებანი ბევრეულ არიან ყოველთა დროთანი, ესე იგი, ნამყოფსა, ან-მყოფსა და მყობადისაცა, რომელთაცა მარადის ვგრძნობ მე მათ თქუჴნ მიერ და არიან გამოუთქმელ და განუსაზღვრებელ. მაშასადამე, მაღლობაცა მიუწერელ-არს, გარნა შრომანი და ძალის ჴმევანი ჩემნი სარგებლობისათჴს მემამულეთა ჩუჴნთა, რომელნიცა გარდიცემიან სწავლითად მიმდინარეობასა შინა ერთისა კვირისასა 46 ჟამი, არიან ზეცისა სასუფეველისათჴს გუამისა თქუჴნისა, გარდა ჟამთა ამათ ზემოხსენებულთა თხზულებათათჴს, სხვანი დრონი შენიშნულ არიან.

მე არა ძალ-მიძს, უკეთილესად ვიჴმარო პირველი წამი თავისუფლებისა ჩემისა, რათა არა ცხად ვჰყო მაღლობა ჩემი თქუჴნდა. მრავალნი მონანილეობანი და კეთილობითნი ღონენი თქუჴნ მიერ, მოღებულნი არიან უმაღლესნი ხარისხნი კეთილმოქმედებისანი, კურთხეულ-არს წარსრული იგი დროა, ოდეს მოვიპოე მე რაამე უძვირფასესი, ესე იგი, თქუჴნი მფარველობა და სიყვარული ესრეთ. ესრეთთა ჩემთა გარემოებათა შორის ვითხოვ მოტეებასა სულ-გრძელებითა თქუჴნითა, უკეთუ ბრალეულ ვიყო წინაშე გუამის თქუჴნისა.

მაკურთხეველო ჩემო! მოვმლოცველო² ახალსა წელიწადსა და ყოვლითა გულითა ჩემითა ვისურვებ აღყუაებასა და განგრძელებასა წელთასა ბედნიერებისათვის მემამულეთა ჩუჴნთა საზოგადოდ და საკუთრად ჩემისა წარმატებისათვის და საზოგადოობასა შინა. იყავნ და იქმნის მაკურთხეველისა ჩემისა დღენი და ჟამნი საუკუნოდ განკეთილებულ-განცხოველებულ-განზეციერებულ-განბრწყინებულ-განძლიერებულ-განუფლებულ და განჴელმწიფებულ.

აჰა, მოიხსენეთ მდგომარეობა ჩემი: მეცადინეობა ჩემი თხზულებათა და გარდაცემათა შინა და ქცევა შეკრებულებათა შინა და საზოგადო ცხოვრებათა შინა განსხუაებულ არიან, სხუათაგან მნათებარეობენ იგინი. გარნა რაყსათვის არა მოვიქცევი ჩუელებისამებრ უსაქმთა კაცთა, ნარმომთქმელთა უსარგებლოთა ლექსთა, მავნებელთა და ლიზლთა, ვითარცა უწყით რომელთამე ქართუშლთი?

ამის მიზეზისათჳს გარეგანნი კერძონი პირნი მიმღებულობენ შურითსა ძიებასა და მტერობითსა, უმეტესად სომეხნი და რომელნიმე მცირედ მოსაქმენი რუსნი. ხოლო მაღალნი გუამნი მოყვარეობენ ცნობასა ჩემსა, მეტადრე, რომლისთჳსცა ვისურვე ნებისა მოცემა თქუშნისა მაღალ ღირსებისაგან, ესე იგი, მეგობრისა, ანუ ცოლისა. ქალი იგი ესრეთ არს აღზრდილი, რომელ ძნიად იპოების ღორიზონტსა ზედა საქართველოსასა, რომლისაცა საქმე აჩუშნებს. იგი არს პოლკოვნიკისა ქალი. მამა გარდაცვლილა და დედა ჰყავს ქართუშლი რომლისამე ჯავახოვისა.

მოდღვარმან მისმან მარნმუნა პატიოსნება მისი და საქმენიცა ამტკიცებენ ესრეთ. ქალმან იცის რუსული, ქართული და ფრანციცული ენები, ღრამატიკა, რიტორიკა, არიტმეტიკა და ლეოღრაფია, ტოკვა (ტანცაობა). საკეთილშობილო შეკრებულებაში იმყოფებოდნენ ყოველნი გუამნი, მან იტანციავა და შემდგომად შესრულებისა, მკედართ ლუბერნატორი და მმართუშლი საქართუშლო[სა] დაჯდა მასთანა და იმეტყუელა რომელთამე საგნებთათჳს, რომლისაცა საუბრობა მოენონა და ჩემთანაცა ლუბერნატორმან მრავალნი აზრნი შეაერთა დროსა შეკრებულებისასა. ქალი იგი არს ჯერეთ ათოთხმეტის წლისა და უმეტესად განათლდების. მრავალნი მკედარნი მეცადინეობენ დაწინდვასა მისსა, გარნა დედასა ჰსურს, რათა მე ნიშნულ-ვჰყო, მხოლოდ მივეცი სიტყუა და ნებასა თქუშნსა მოველი. მე, თჳნიერ კურთხევისა თქუშნისა, არა ძალმიძს. და ესრეთ იყავ ნება თქუშნი ჩემზედა.

რაცა შეეხების ცხოვრებასა ჩემსა, თუმცალა ხუასტაგი კმა იქმნების და კიდევ დაშთების შემდგომად, გარნა მყოობადმან და აწინდელმან მდგომარეობამან სახლისა ჩემისამან

და თქუწნისამან მყო დიდ ფრიად გლახაკად. მგზავრობასა შინა წარსაგებელი არა კმა იყო, რომლისთვისაც მოვივასხე ამასა ზედა ორასი რუბლი. მეორე დროსა მოსვლისა ჩემისასა არა რაი მაქუნდა, მოვივასხე ორასი რუბლი, გახელ მქისე-იყს, მუნ ვიხილე შენუხება ნაკლულევანებისა საზრდოთა შინა, მუნიდგან მოვიქეც ქალაქად და ვიქმენ ავად, რომლისათვისცა წარეგო ხუასტაგი ჩემი, შემდგომად ჩამოიყვანეს აღსაზრდელად ოთხნი სულნი და საზრდო დაბათა შინა არ იშობის.

ვვაჭრობ და დიდ ფრიად ძურად, იმოსებიან და იზრდებიან რუა სულნი ხუასტაგითა ჩემითა. დაა ჩემი განისტუმრეს და ოცდახუთი თუმანი წარეგო. ან უკვე ძმაა ჩემი სტეფანე ფრიად მნუხარედ ავად გახლავსთ და დიდად ვსნუხვარ. გთხოვ უმდაბლესად, რათა მომცეთ ღონე შემოსავლისათვის, კარგი დროშკა მოივაჭრეთ, თუნდ ათასი რუბლიც წარეგოს, შემოსავალი კარგი იქმნება და ჩემთვისაც საჭირო გახლავთ.

უმალლესთა: მარიამ დედოფალს, ანნა დედოფალს და ნინა დედოფალს გაუბედავ ხელზედ კოცნას უგანათლებულესთა: იოანე მეფის ძეს, თეიმურაზს, მიხეილს, ირაკლის, მირიანს, ფარნაოზს, ლუარსაბს, დიმიტრის და სხუათა ეგრეთუჴ ჳელს კოცნას მოვახსენებ.

მწყალობელთა ჩემთა, ბატონის რძლებს, ეგრეთუჴ და სხუათა და სხუათა მდაბლად ამბორებას მოვახსენებ. თავადს დავით ციციშვილს მდაბლად თავის დაკერას და სიყვარულით მოკითხუას მოვახსენებ.

თავადმან ალექსანდრე ჩოლაყევმან თაყვანისცემა მოვახსენათ. გუშინდელ რიცხვს წარვიდა კახეთს და ისევ მალე მოიქცევა თბილისად. ზაქარია ორბელიანოვი და იოანე მომიამბორეთ, უკეთუ ინებოთ.

ს. დოდაშვილი

[1828 წლის 1 იანვარი]

მაღალ ღირსო მამაო, მღუდელ-მოძღუარო,¹ მონყალე² იონა, უმონყალესო ჳელმნიფევ!

წარსულთა დღესასწაულთა მომლოცველი და მვედრებელი თქუშნის ნეტარებისათუს, ვისურვებ ყოვლითა გულითა და სულითა სიმრთელესა და სიცოცხლესა, უმეტესად წმიდასა მარჯვენასა ზედა თქუშნს ამბორებას. სული ჩემი დიდ ფრიად მწუხარე არს უსმენელობისათუს თქუშნისა ვითარებისა და დატევებისათუს მიმდინარეობასა შინა რაოდენისამე დროსასა, თუნიერ ყურადღებისა თქუშნისა და მზრუნველობისა, მფარველო სულისა ჩემისაო! უკეთუ მაქუნდეს ცთომილებაჲ რამე წინაშე თქუშნისა მაღალ ღირსებისა, ინებეთ მხილება ჩემი.

ყოველსა მდგომარეობასა შინა ჩემსა გამოხატულ-არს გუამი თქუშნი, თუნიერ რომლისაცა არა რაჲ არს ჩემთუს სოფელსა შინა, რომლისაც მოქმედება მაცნობებს საზოგადოსა მამასა. წარსულთა ავთრათთა შინა ცხად ვჳყავ გარემოება ცხოვრებისა ჩემისა, ესე იგი, ცოლოსნობა, გარნა განმხილველმან ესრეთისა ბიჯისამან წარმოვადგინე სავესესა შემეცნებასა შინა, განვესაჯე და აღმოვაჩინე, რომელ იგი ჯერეთ არა მეთვისების მე, ვინათგან ნუგეში სიბრძნისა მალლობინ და უმეტეს არს მყოფობა სიტკბოებასა შინა ჭილასოჭიისასა. ვიდრელა და დამორჩილება ესე ვითარისა სუსტობისა, გარნა მორჩილება ჩემი არა დასც[ხ]რების და შეჩუჭულება ჩემი მარადის იქმნების ყოველთა სხუათა შორის.

მე გახლავარ ესევითარსა სიმგრგულესა შინა საზოგადოობისასა, სადაცა ვერა რაჲსა ღირსებასა ვერ ვიხილავ, არა არს მათსა სულსა შინა ჭუმმარიტება, არამედ დანერგილ-არს ყოველი ვნება, არა არს მიდრეკა მათ შორის სიბრძნისადმი, არა არს მეცადინეობა, არა არს სიყვარული სწავლისა და სწავლულთა, არამედ ყოველი სიძულილი და მტერობა.

რაჲ ვჳყო მუნ, სადაცა ვერ მომიძიებია არა რაჲ ღონე და საშვალობა. ყოველსა წინააღმდეგსა მეტყუშლებასა შინა პირთა თანა სხუად საშვალობა არა რაჲ მაქვს, გარდა ღუმი-

ლისა, ქართულნი ცუდ მოშურნეობასა შინა არიან, ხოლო რუსნი უმეტესად: ვინადთგან ღენერალ ლუბერნატორმა რადსათუს აღმირჩია მასწავლებლად შვილთათუს თუსთა, რამეთუ არიან მრავალნი როსნი, როსსიულისა ენისა შემძლებლნი სწავლად.

გარნა ტვრთთა, ჩემდამო მოღებულთა, უმთავრესისა მართებლობისაგან, ვასრულებ უადვილესად შემწეობითა ნათლისა ნათელთათასა და თქუშნისა კურთხევეითა, მხოლოდ უსმენელობა ყურისა ჩემისა და სნეულებანი, რომელნიცა შინაგან ჩემსა მდგომარე არიან. ბალტიისა სენნივე მამწუხარებენ და ჯერეთ არა თავისუფალ-მყოფენ. უკეთუ ღმერთს³ ნებაეს, საგანნი ჩემნი არიან იგინი, რომელნიცა უწყის თქუშნმან მალალ ღირსებამან და, ოდეს ინებოს მანვე განთავისუფლება სენთაგან და ლოცვამან თქუშნმან, აღსრულდების.

დასასრულ ვჰსთქუა ერთის სიტყვით: ყოველსა წამსა ვიზრახავ და ვიტყვი ვედრებასა მალლისადმი, მადლობასა თქუშნდამი აღზრდისათუს, აღსრულებასა საგნისასა, რომლისათუსცა განმსწავლეთ და ლტოლვასა ბოროტთა პირთაგან, საშუალ რომელთაცა ვჰკიე მე. ცვლილება იმყოფების არა მხოლოდ ერთსა შორის, არამედ⁴ ყოველთა კერძოთა შინა სოფლისათა, ბუნებათათა, არსებათა, ანუ ფიზიკებრსა მდგომარეობასა შინა სოფლისასა. იხილეთ, მრავალი იყუნენ საქართველოსა შინა შემდგომად მკედრობისა, ანუ აღრეულობისა მკედართასა და ან არს ნანდვილ ჩრდილოეთის ყინვა გიორგიასა შინა შიმშილი, ვაება და მსგავსნი.

არა უწყი, რადსა მივანერო, ანუ ვითარ ვიზმნო, ხოლო მე ესე ვითართა სანუხართა სნეულებათა და შემთხუჭულობათა შინა დიდ ფრიად მტკივა გვერდი ესრეთ, რომელ არღა ძალმიძს მრთელსა ჟამსა წერა, შრომათა ჩემთა დიდად სნეულ მყუშს, რომლისაცა (სიმრთელისა) მოქცევა შეუძლებელ არს. არარად არს ჩემთუს უსასიამოვნეს, ვითარცა ავთრათი თქუშნის მალალ ღირსებისა და ცნობა სიმრთელისა თქუშნისა.

არა მაქუს მიმოსვლა სახლად არავისადმი, გარდა დღესასწაულისა, განთიადიდგან ვიდრე მიმწუხრადმდე, თანამდეობობასა შინა გახლავარ, ხოლო დღესასწაულსა დღესა ვეზი-

ტით გაიხლები ჩინებულთა გვაშებთა თანა, ესე იგი, ლუბერ-
ნატორთან სასწავლებელში სადგომი არ გახლავთ, ფრიად
განშორებულად ვცხოვრებ. ჩემთვის დიდად საჭირო გახლავთ
დროშკა, უკეთუ ინებოთ მოვაჭრება, ვითარცა მიბრძანებთ,
შემოსავალი კარგი იქმნება და სიმრთელესაცა ჩემსა შეენე-
ვის, ვინაჲდგან მიმოსვლისაგან მკერდი მტკივა და შრომისა-
გან. ცხენები მზად გახლავთ, გარნა უკეთუ მოივაჭრებთ, სა-
თანადო არს მოვაჭრება ესე ვითარისა, რათა წარსაგებელი
თუსი ყოველს დროს აქენდეს.

თომა ენდროვიკოვმა მარჯუშნას ამბორება მოგიძ-
ღენათ, ნიკოლოზ არხიმანდრიტმა და სხუათა ყოველთავე.

ძმა ჩემი სტეფანე სნეულობს დიდად და გახლავსთ მქი-
სეიყს, სხუანი მშვიდობით გახლავან, სახლობა თქუშნი
მშუდობით არს. სოლომონმა აღმითქუა ამ იანვარში მეორის
ჩამოყვანა, ესე იგი, ობლისა. შვილი მისი კარგათ სწავლობს.
სასწავლებელი ჩვენი უნესოსა მდგომარეობასა შინა არს, არა-
ვინ მეცადინეობს განვრცელებასა სწავლათასა და დატეე-
ბულ-არს თვინიერ ყურადღებისა. მე სიმშვიდით გახლავარ.
მრავალმა კაცმან იმეცადინა ჩემთან ძვირის შემთხვევა, ხო-
ლო მე უტეებ თვნიერ ყურადღებისა.

უკანასკნელ, ვითხოვ მოტეებასა ყოველთა ჩემთა შე-
ცოდებათასა, მაკურთხოთ და განმათავისუფლოთ ყოველთა
წინააღმდგომთა შემთხუშულებათაგან და მიბრძანოთ თქუშნი
ვითარება და აზრიცა ყოველი შეაერთოთ ჩემდამო. ვეშურები
კლასსა შინა ლექციისა გარდაცემად და იყავნ მოტეება ჩემდა
და იყავნ ნებისაებრ თქუშნისა! მშვიდობით, მამაო ჩემო!
თქუშნის მაღალ ღირსებისა უმონყალისა კელმწიფისა, მფარ-
ველისა და მზრუნველისა ჩემისა მორჩილი მოსამსახურე და
მონაფე სოლომონ დოდაევი

იანვრის ე-სა, 1828-სა წელსა, თბილისით.

თქუენო მაღალ ღირსებავ, ნმიდაო და განათლებულო მამაო, სამარადისოო მოძღუარო სულისა ჩემისაო, მლუდელ-მონაზონო¹ იონა!

სიყვარულით მარჯუენასა ზედა მაკურთხეველსა ჩემსა გაიმბორებ. ჭემმარიტნი, კეთილნი და საამოდ აღმკობილნი ავთრათნი თქუენისა მაღალ ღირსებისანი მებოძა მარტისა 5-სა. პირველსა შინა მიბრძანებთ ცნობისათუს იოანესა თუსებინ-სა და მეორესა შინა მეულლეობისასა და ეგრეთუჴ გამოჴხა-ტავთ ზრახუათა სხუა და სხუათა საგანთათუს. აჴა, ხარაკტი-რი იოანესი: იგი არს წყნარი, მშუდი, ერთის ლექსით, კეთი-ლისა თუსებისა არს, გარნა ძალნი სულისანი მძიმე საზოგა-დოდ, მქისე და ბლაგვი აქეს, უყუარს სწავლა და აქუს საშუა-ლი მეცადინეობაი, რუსუ[ლ]სა და ქართულსა კითხულობს და ასოებსაცა სხამს მიხედვისაებრ დროჴსა. სვინიღისი კარგი აქუს და მორჩილ არს თუსისა უფროსისა. თმა ბნელ-ნითელი, სახე ნაყვავილარი, მონითლო, თვალები მოჭრელო, ტანი მოს-ქე მცირედ და ჴელები მსხული. აჴა, საზოგადონი ხაზნი მისი-სა ფიზომნიომიისანი, გარნა განათლება გონებისა და განვითა-რება გულისა ხშირად შესცვლის ყოვლადობასა კაცისასა.

გრიგოლ ავადმყოფობს² და არს სახლსა შინა მამისა ჩე-მისასა, სტეფანე ასწავებს. ვიდრე განთავისუფლებადმდე წარმოვიყუანე სოლომონიდგან და მაისამდე დაუტევე მუნ. ყოველნივე საგანნი თქუენ მიერ მოძღვრებულნი ჩემდამი აღ-სრულდებიან ადრე თუ გვიან, გარნა მეცადინეობა ჩემი ყო-ველსა ჟამსა შინა მოქმედებს. ნუ ერნმუნებით ტყუილსა არა კეთილ მსურველთასა, არამედ ჭემმარიტსა ლექსსა და სიტყ-ყუასა ჩემსა, რომელნიცა მართალ არიან და საქმეცა აცნო-ბებს კაცსა. რომელიცა მოსამსახურე მყავს, ესრეთ ემსახუ-რება იოანესა, ვითარცა მე. არა რაჴ საქმე არა აქეს რა ძმის-წულსა თქუენსა, თუნირ სწავლისა, სახლსა, გინა სადგომსა შინა ჩემსა.

ვუტეოთ, რომელ სიბრძნე ვერ მიიღოს მაღალი, ხოლო განვითარება ექმნების კეთილ გუარობითი, ცნობა ღვთისა და

კაცთა, რაოდენცა საჭირო არს საზოგადო ცხოვრებასა შინა თუთულის კაცისათჳს. დიდად საჭირო გახლავსთ ღრამმატიკა რუსული ნიკოლოზ ღრეჩისა, ახალი გამოცემული და განვრცელებული. ინებეთ გამოგზავნა ორისა, ანუ სამისა ეგზემპლიარისა. ეგრეთვე ადამს უბრძანეთ, კარგი რვაულები ლეოლრაფიისა გარდაწეროს და წარმოგზავნოს, უკეთუ სხუათა სწავლათა რვაულებსა გარდასწერს და წარმოგზავნის, დიდად მადლობელ მყოფს.

მეუღლეობისათჳს წარსულთა ავთრათთა შინა მოგახსენე აზრნი და გრძნობანი ჩემნი, რომელ ჯერეთ დაუტყვევებრახვა იგი წარსრული მყოობადისათჳს. ვითარცა ღმერთს ენებოს, ესრეთ აღსრულდეს, თუმცაღა ყოველით კერძო მომითხრობენ, რათა ვიქორწინო, გარნა შეუძლებელ არს აღსრულება. დრო არა მაქუს და ყოველი წინაგანზრახული ჩემი შეიცვლების, რომელთაცა მიზეზისა მის გამო ვერ ძალ-მიძს მიწდომა და ესრეთ ნუგეში სიბრძნისა უუსასიამოვნეს არს, ვიდრე სხუანი მიღებულნი, სუსტნი შემთხუშვითნი გარემოებანი და წარმოებანი.

კატეხიზმო³ ჩემთანა არს და ჯერეთ გადუნერელია. ვინცა იწყო წერა, ვერ შეასრულა მიღებისა გამო სწეულებისა. ეგრეთვე ლექსიკონიცა ვიწყე, გარნა თანაშემწე და მწერალი არა მყავს, ხოლო ქადაგება წმიდის წინას მონასტერსა შინა ითხოეს გარდასაწერად და მუნ არს. არცე[რ]თი წამი არა არს ჩემთჳს თავისუფლებითი, უმეტესად ეგზემენიამდი. ყოველთა მოქმედებათათჳს საკუთრად წარმოვსწერ.

აღექსანდრე ჩემთან დგას, რიფსიმა მეფის ასულისა, თაყუანისცემა მოგახსენათ და თუთონ სიმრთელი[თ] იმყოფება. ზაქარიასაგან წარმოგზავნილი წიგნი მომივიდა, გარნა ჩვენ აქავე ტელელრაფსა შინა ვიხილეთ ქება ლოლიკისა, ხოლო თავადს ზაქარიას მოვახსენებ. ღენერალ სპილინმან გახსნა კომიტეტი, სადაცა გამოიცემა როსსიულსა, ქართულსა და სომხურსა ენასა ზედა სხუა და სხუანი ცნობანი, ანუ გაზეთნი და სხუანი. წარსრულსა ავთრათსა შინა მოგწერე, მამაო, ოსიბ იაკოლიჩის დუქნებისათჳს. მე მითხრეს, ორი დუქანი დაიქცევაო პლანისაგან და, თუ ინებებთ, ეცადენით დროზედ, ანუ მსწრაფლად, წარმოგზავნა, რათა მიიღოთ

თუკი საკუთარი. წინააღმდეგსა შემთხუჭვასა შინა შემდგომად არღარა იქმნების მისაღებელი, მოვალეცა მიიცვალა.

მსურველი ხილვისა თქუწნისა და სიმრთელისა
სოლომონ დოდაევ-მალარელი

მარტის 10-სა, 1828 წელსა.

იონა ხელაშვილისადმი №36

მალალ ღირსო მამაო სულისა ჩემისაო იონა, უმონყა-
ლესო კელმწიფევ!

დღესასწაულთა დღესასწაულისა მომლოცველი და
მლალადებელი მისდამი სურვილისა ჩუწნისა, აღსრულები-
სათუს წარმოვსნერ მაკურთხეველისა ჩემისადმი მცირესა შემ-
თხუჭულებასა: დღესა მესამესა ქრისტეს აღდგომისასა, მეე-
ქუსესა უამსა განთიადისასა, იყო ძლიერი ძრვა მიწისა ტფი-
ლისსა შინა, რომლისა გამო ყოველნი მძინარენი განღვიძე-
ბულ იქმნენ, გარნა არა სულითა, არამედ სხეულითა.

მეორე: უკეთუ ინებოს ნათელმან ნათელთამან თთუშსა
მაისსა გამოცხადება, მოკლე თხზულებაჲ ჩემი როსსიულსა
ენასა ზედა სიბრძნისათუს რომლისამე შემთხუჭულებისა, ესე
იგი, ოთხისა მდგომარეობის საქართუჭლოის შინა ძუჭლისა
დროჲსა, უკანასკნელისა აქამომდე, აწინდელისა და მყოობა-
დისა, რომელსაცა იხილავთ სრულიადსა შედრგინებასა მისსა
ცხადად. მაისის გასულს, ვგონებ, ქართულადცა იქმნას. უძ-
ნელესი თანამდებობა ჩემი, მიმჭდელი უფლებისა, არს შესა-
წუხებელი სულისა ჩემისა, რომლისა გამოცა არა ძალ-მიძს
ყოვლისა სურვილისა აღსრულება.

მონაფეთა ჩემთა არა აქუსთ სული აღძრული და გან-
ღვიძებული, მისწვდნენ ჭეშმარიტსა კეთილსა და საამო აღ-
მკობილებასა, არა აქესთ მიდრეკილება განათლებისადმი
ზრახვისა, ცნობისადმი (სურვილისა) ნებისა და განვითარები-
სადმი გრძნობისა (გულისა). არა შესაბრალებელ არსა კაცი,

მყოფი სიმგრგუალესა შინა ესევითართა ერთასა, სადაცა არა იხილვების არცა განათლებულნი, არღა ღონენი, ანუ საშუალობანი მისნი და სადაცა არა ისმის სათნოებანი. კაცი ესე ვითარი შესაბრალებელ არს, რომელიც ეკუჭთების მალალსა რაფსამე და არა ჰპოებს ღონესა და დროსა ადგილსა შინა.

და ესრეთ, მამაო ნმიდაო და განათლებულო! გთხოვ უმდაბლესად, მომცეთ შემწეობა კარგისა წიგნებითა შესანევენელად და ნუგემად სულისა ჩემისა ყოველთა სხუათა ამათ წარმოებათა შინა, ოდეს მექმნება მე უსიამოვნესი სიხარული პირისპირ ხილვისა, ინებოს მალალმან მონიჭება მის დროფსა და აღსრულებად კეთილისა სურვილისა და ღირს-ყოფად პირისპირ მეტყუშლებისა თქუშნდა. სიყვარულით ძმასა თქუშნსა, ადამსა და სხუათა მიულოცავ დღესასწაულსა. ადამ ყავით განღვიძებულ, რათა დრონი არა წარსწყმიდოს და წარსაგებელნი ამაო არა იყუნენ, ნუ უკეე არა ჰგრძნობს არსებობასა თვსსა და მოქმედებათა თქუშნთა.

აწინდელსა დროსა მამულისა ჩუშნისათვს დიდ ფრიად საჭირო არს სწავლა, რომელნიცა ყოველით კერძო იხილვებიან თვალით. მე აქა არა საჭიროდ ვრაცხ დამკიცებასა, ვინაფთგან პეტერბურლსა¹ შინა მყოფი, ვინაცა ჰზრახავს და გრძნობს, უმეტესად მეტყუშლებანი თქუშნნი, აღმოჩინებისათვს მისისა არა სახილველ არს მისთვს.

მიბრძანეთ ვითარებანი თქუშნნი, რომლითაცა მახარებთ. იოსებ იაკოვლევჩის მოანერინეთ წერილი, ანუ ავთრათი, დარწმუნებითა ღუბერსკის პრავლენისთა მიღებისათვს ვასხისა, რომელიც იღებს ფულსა, ესე იგი, პლეშჩეიევი, არღა ემსახურების სუდსა შინა რომლისამე შემთხვეულებისათვს. მან მითხრა, ექვსის თთვსა აკლიაო ექვსი თუმანი. ეშურეთ დროსა, უკეთუ ინებოთ.

თქუშნი მალალ ღირსების მორჩილი შვილი და მსმენელი სოლომონ დოდაევი

1828-სა, მარტის კ-სა.

თქუწნო მაღალ ღირსებაე მამაო, წმიდაო მოძღვარო მამაო იონა, უმოწყალესო ჳელმწიფეე!

განწმედილსა და მაკურთხეველსა მარჯვენასა ზედა ამბორებას მოგახსენებ და დაცვასა სიმრთელით და მშუდობით გულითადურ ვისურვებ და უბესა ამას ზედა ქუწყნისასა ბედნიერებისათუჯ ჩუწნისა, რომელნიცა¹ მოველით მზრუნველობითსა ყურადღებასა თქუწნისა² მაღალ ღირსებისასა და ვმადლობ წმიდასა წმიდათასა ორისაე კერძო, ესე იგი, მეფითა და ქალაქითა თქუწნისა კეთილდღეობისათუჯ, რომელმანცა ვისმინე, მიმღებმან ავთრათისა თქუწნისამან, შემდგომ მქისეიყით მოსლვისა ჩემისა ქალაქად ტფილისად ივლისის 2-სა.

ამასთანავე მებოძა ღილნი წარმოგზავნილნი, გარნა არა ფორმისა ჩემისა და არცა იხმარებიან ჩემ მიერ, რომელთაცა მისაბრუნებელად წარმოგზავნი მანდვე მძიმე ფოჩტაში, ანუ შიკრიკში, ვინადგან ღილნი ესე არა არიან ხორკოვის უნივერსიტეტისა, არამედ ხორკოვის ღუბერნიისა. უნივერსიტეტის ღილთა აქესთ ღერბად არწივი.

მიბრძანებთ გამოცდასა აქაურის შკოლის თავადთა და აზნაურთასა. წარმოსრულთა მაგათ თავადთა და აზნაურთა არა აქუსთ მიღებული სული იგი, რომელიცა მიმიღიეს მე თქუწნ მიერ. აქაცა უმრავლესი რიცხუ მათგანნი მიმოდაეგებიან იქიქა, არა მცნობნი არცა თავისა თუჯისა და არცა სოფლისა, ანუ არსებისა და ბუნებისა. მოთმინება და სულგრძელება მათთუჯ, რომელთაცა არა აქუსთ განმრჩეველობა თავისა თუჯისა პირუტყყვთაგან და არა უწყიან საგანი თუჯი, მამავო სასურველო, უტეევოთ თავადნი იგი შემოსრულ სხუა მამულიდგან.

ან რაფსათვის იქადიან მამულსა შინა ჩუწნსა, რაფ აქუსთ, ანუ მუნ ძუწლსა მამულსა და ანუ ახალსა შინა საქადელი, ვინადგან არა რაფ იხილვების საკუთრება მათი და არცა მოქმედება გონებით და ჳელოვნებით. ყოველთავე იმათ გუარისა, ანუ სქესისა მაქებელთა მიუგოთ ესრეთ: არა გუა-

რითა იქების კაცი, არამედ³ გონებითა და მოქმედებითა
ველოვნად. იგინი უსარგებლო ლექსებით წარაგებენ ღირსე-
ბასა თვისსა და არა რაჲ დაშთებათ. მე ესე ოდენ განშორე-
ბულ-ვარ ტრაბახთაგან, ვითარცა ტფილისი პეტერბურხისა-
გან სივრცითა. ცუდ და უსარგებლო მეტყუშლებისათჳს დრო
არა იპოება ჩემ შორისა და არცა მსურს.

საგანი ჩემი არს სიბრძნე, ვითარცა უწყით და ვსარგებ-
ლობ ესრეთ თქუშნ მიერ, ვითარცა ვსარგებლობდი თქუშნ
წინაშე, რომლისათჳსცა მადლობასა ჩემსა არა აქუს საზღუა-
რი და არცა ექმნების. ყოვლისა რაჲს მიმართობითა, ანუ
ყოვლითა გარემოებითა ძალისაებრ მოქმედებათა სულისა ჩე-
მისათა, ყოველთა კეთილობათათა თქუშნთათჳს ვგრძნობ მა-
რადის და აღვაველენ ვედრსა უმაღლესისადმი საუკუნოსა
ცხოვრებისათჳს თქუშნისა, ვინაჲთგან მზა ხართ წარმართე-
ბად მარადის საქმეთა ჩემთა.

შემდგომ ეგზემენიისა შესრულებისა, ივნისის 6-დგან
ორს კვირას დავეყავ თბილისსა შინა. სხუა და სხუათა საქმე-
თათჳს წარველ მქისეიყად, სადაცა წარვმართე სახლისა
ჩუშნისა, ესე იგი, მამისა ჩემისა და ძმისა თქუშნისა საქმენი
სხუა და სხუანი. სოლომონის მარანში გახლდი ერთი დღე და
დიდ ფრიად მხიარულებით და სიყვარულით და მიხუდა⁴, მრავალჯერ
თქუშნი ვჰსუთ და ძმისა თქუშნისა გიორგისა სად-
ღეგრძელონი. სიღნაღის ნაჩაღნიკთან მიუწოდე ვაქირის ქევ-
ხას და უთხარ, რათა სახლსა ძმისა თქუშნისასა არა რაჲ უსი-
ამოვნება არა მისცეს, რომელმანცა ფიცით აღმიტყუა.

ვიდრე ჩემს მისვლადმდე სოლომონს ქალი თჳსი დაე-
ნიშნა ვაქირსა შინა მცხოვრებს დემეტრაშვილზედ, რომელიცა
არის მღუდლისა შვილი. მე მოუწოდე და განვიხილე იგი,
ვსცან ფრიად კეთილად და განვითარებულად, ჩვეულებისა-
ებრ ივერიისა. ძმა თქუშნი სოლომონ და სახლეულობა მისი
გთხოვსთ შემწეობასა ქალის მზითვისასა. ესე ესრეთი, გარნა
ერი მის მაზრისა ფრიად მწუხარე და მტირალი ვიხილე, ნახე-
ვარი მცხოვრები არღა იპოება, რომელნიცა გარდაეგნენ სხუა
და სხუასა მხარესა, ანუ კერძოსა ამის ქუშყანის ნაწილისასა
შიმშილისა გამო. მრავალი არ მოვიდა, ახალი არა რაჲ და

ძველი ხომ არღა იყო: კოდი ფქვილი ოთხ მანეთათ თე[თ]რ ფულად კახეთში და, მადლობა ღმერთსა, ქალაქში უფრო იაფია. გლახთა ვინ მისცათ, რათა მოივაჭრონ ფასითა ამით. ესე ვითარმან მდგომარეობამან სახლეულთა ჩუწნთა და მემამულეთამან დიდ ფრიად მწუხარე მყო და შეჭირვებულ, მოვაჭრებით ვზრდი თავსა თვსსა და მოყუასთა ჩემთა და თქუწნთა.

შემდგომ, მუნ რაოდენისამე დღისა ყოფნისა ჩემისა, სიღნაღს მობრძანდნენ ლუბერნატორნი: მკედართი და ქალაქთი, განიხილეს ერისა მწუხარება და ადგილისა მდებარეობა. მე მიბრძანა მსწრაფლ ქალაქად ტფილისად ჩამოსვლა, მხოლოდ დავყავ მუნ ორი კვირა, დაუტევე ძმანი ჩემნი და ძმისწულნი თქუწნნი სახლსა შინა ჩვენსა,⁵ ვიდრე კანიკულის შესრულებადმდე, თხოვისაებრ მშობელთა მათთა. დროსა მისვლისა ჩემისასა ტფილისსა დამნიშნა ლუბერნატორმან, კომიტეტსა შინა, გამოსაცემად ვედომოსტებისა, ანუ გაზეთებისა, სადაცა იქმნებიან სხუა და სხუანი გუარნი თხზულებათა წარმოებათანი, რომელნიცა შემთხუჭულან, ანუ შემთხუჭულ იქმნებიან. ჩუწნ ვინყეთ გამოცემა ამ ივლისის თუწში, ომარხნის ომიდგან, გარნა რომელნიმე ძუწლნი თავნი იმყოფებიან კომიტეტსა შინა⁶ და ვერა რაჲ შემისმენია ქართულისა ფრაზისათუს.

შეკითხუანი თქუწნნი ათვრამეტნი და მეორე ბოლოს შუდნი ღვთის ცნობისათუს მივიღე და ვსასოებ. უკეთუ ინებოს მაღალმან, რათა განვმარტო ძალისაებრ ჩემისა, მოცემულთა უამებთა შინა მამულისათუს. გთხოვ, ხშირად მიბრძანებდეთ თქუწნს ვითარებას, რომლითაცა ფრიად მახარებთ. ადამ ღირსიევს მოვიკითხავ სიყვარულით და ვახარებ მშუდობასა სახლეულთასა.

მდაბლად თავის დაკვრას მოვახსენებ მათ, რომელთადმიცა ძალმიძს. მამა ჩემმა მდაბლად თაყვანისცემა მოგახსენათ და ძმამან ჩემმან სტეფანემან. შემოდგომასა ჰსურის წარმოსვლა რუსეთად და რაჲსა მიბრძანებთ.

მე ყოველთვის მზად გახლავარ შემოდგომად რჩევისა თქუწნისა და ვჰგონებ, აქამომდე სცნობდით ყოველსა თვისე-

ბასა სულისა ჩემისასა და მოქმედებასა, ვითარცა ჰსცნობდით პეტერბურხსავე შინა. მაკურთხეთ მწოდებელმან შვილად სულისად, უკეთუ ინებებთ ხვასტაგისა⁷ დადებასა ტფილისის ლომბარდსა შინა, იგი იქნების არა ერთისა სულისათჳს, არამედ მრავალთათჳს და საუკუნოდასა ნეტარებისათჳს თქუშნისა. უკეთუ არა მაქუნდეს ნაკლი ხვასტაგისა,⁸ მაშინ უმეტესი საქმენი ინარმოებდა ჩემ მიერ მამულისათჳს.

დროსა მყოფობისა ჩემისასა სიღნაღსა შინა გამოუცხადე განხსნა სასწავლებლისა, რომელთაცა ვამხილვე სარგებლობა, გარნა რომელნიმე თანჯმანი იქმნენ და უმრავლესი ნაწილი არა. მომიგეს, შიმშილი გვანუხებსო. თანჯმულნიცა სიტყუთა ჰო ჰო და საქმითა არა რაა, გარნა თუთ მთაფრობასა ჰნებავეს ყოველსა უჭზდასა შინა განხსნა სასწავლებლისა.

თქვენის⁹ მაღალ ღირსებისა სულიერი შვილი სოლომონ დოდაევი

1828-სა, ივლისის 6.

იონა ხელაშვილისადმი №38

თქუშნო მაღალ ღირსებავე, მამაო წმიდაო და ნათლით შემოსილო, მაკურთხეველო სულისა ჩემისაო იონა!

ამ ჟამს ჩიკრიკი (ფორცია) წარმოვალს და ვეშურეები წერასა მოკლედ, სადაცა გამოვხატავ შემთხუჭულებასა მდგომარეობისა ჩემისასა. დღეს შესრულდა ჩემზედა საიდუმლო ქორწინებისა შემდგომითა წესითა: ლუბერნატორმან ინება პირველად წინადადება, რათა მივიღო მეუღლეობა აღრჩეულისა მის მიერ სძალსა ზედა. ესე იგი, მან აღარჩია ჩემთჳს ნათესავით ქართველთა კეთილშობილთაგანი კობიევისა და შვილობილი ლუბერნიის არხიდეკტორისა, რომელსაცა აღუზრდია უკეთილესად ორსავე ენასა, ესე იგი, რუსულად და ქართულად, წლისა ათოთხმეტისა, რომელიცა შესაძლო არს უმეტეს განვითარებად ამისსა, ვითარცა ჰსთნდეს მეუფესა.

სახელი მისი არს ელენა ქეოდორესი. ვიცი, რომელ თქუშნსა მაღალ ღირსებასაცა ჰსთნდა და მაქუნდა კურთხევა ამის სჯულიერისა შეერთებისათჳს და უმდაბლესად ვითხოვ, რათა კვალადცა¹ მაკურთხოთ, რომელიცა შემემთხუა მსწრაფლად, თუმცაღა მაქვნდა მისი ადრე, გარნა არა ზრახვა.

კვირიაკესა დილით ლუბერნატორმან მიბრძანა და საღამოზედ ღამით ჯვარისწერა იქმნა ჩემი. მეულლეობისა ამის ჩემისა მე კმაყოფილი გახლავარ და ესრეთ ესე ჯერ იყო ყოფად და იგი არა დატეებად. ამის გამო, მამაო უსაყვარლესო და უძწრფასესო სულისა ჩემისაო, ნუ იზრახავთ, რათა სხუანი საქმენი ჩემზედა რწმუნებულნი იყუნენ ამის შემთხუშვის შემდგომ დაყოვნებულ. უმეტესი ძალისცმევა და შრომა მოუწყვეტელი მექმნების კომიტეტსა შინა.² სამხედრო ლუბერნატორმან და მზრუნველმან კომიტეტისამან მარწმუნა საკუთრად მე გაზეთებისა და ჟურნალებისა გამოცემა. საქმისა ამის გამო არა მაქვს არცა ერთი წამი თავისუფლებითი, არცა ღამე და არცა დღე მოსვენება არა მაქვს. მერწმუნეთ ყოველსა ამას და შემიბრალეთ ესოდენისა საქმისათჳს, რომელ საკუთარნი საქმენი ჩემნი და სახლისანი დაშთომილ არიან ჯერეთ, უმეტესად სხუა და სხუანი თხზულებანი ჰშთებიან შეუსრულებლად და დიდად ვჰსწუხვარ. თქუშნ ბრძანდებოდეთ სიმართლით და მშუდობით და ყოველივე აღსრულდეს, ვითარცა ენებოს მაღალსა ბრძენსა.

აგარის დაკავებისათჳს, ანუ დაგირავებისათჳს, გებრძანათ წარსრულსა ავთრათსა შინა. ესე დიდ ფრიად კეთილი და სასარგებლო მარად ცხოვრებისათჳს ჩუენისა³ და კეთილთა საქმეთათჳს ფრიად საჭირო არს და ცნობისაებრ ჩემისა კაპიტალი, რაოდენიცა იქმნების ერთსა წელსა, ათად შეიქმნების და გთხოვ უმდაბლესად, აღასრულო ბრძანებული იგი თქუშნი და მომცეთ კეთილ შემთხუევა და სარგებლობა სახლეულთა ჩვენთათჳს.⁴ დიდად ვჰსწუხვარ, რომ გიორგი პაიჭაძე აქ არ იმყოფებოდა ამ შემთხუშვაში ტიპოლრაფიისათჳს, რომელიცა კომიტეტსა შინა საჭირო იყო. ერთი სომეხი განანესეს და მისცა ოცდა ათი თუმანი თეთრი ფული ლუბერნატორმან.

მომიტვეთ, რომ არა ყოველი გარემოება გამოხატულ არს ამა ავთრათსა შინა, ვინათგან არღა არს უამი და არცა წამი დროსა. მშუდობით მიბრძანეთ ვითარება მამისა თქუშნისა და სხუათა ვითარებანი და მოიკითხეთ ყოველნივე სახლეულნი. ჩუშნი მშუდობით არიან. დროშკა მოივაჭრეთ და დროზედ წარმომიგზავნეთ, რომლისათვისცა ვალი განმრავლდების ჩემზედა.

მდაბლად თაყვანისცემა მოგახსენეს ბარბარე ბატონის-შვილმა და სხუათა. დიაჩოქი კახაბრიძე მდაბლად გთხოვს, რათა უბრძანოთ მის ბატონისშვილს ჯორჯაძეს, რომ დაიბაროს თვსთან.

თქუშნი მალალ ღირსებისა უმორჩილესი მოსამსახურე, შვილი თქუშნი სოლომონ დოდაევი

აგვისტოს 4, 1828-სა, ტფილისით.

იონა ხელაშვილისადმი №39

თქუშნო მალალ ღირსებაე მამაო იონა, უმონყალესო კელმნიფეე!

„სულო ჩემო, ყურად იხუშნ სიტყუანი ტკბილნი, სავსენი მადლითა, ვეტყუ მე მარტივსა ცხოველ არსებასა და ჰსცან გამოხატული აზრი მამისა შენისა. ჰგრძენ, გულო ჩემო, კეთილი მზრუნველობა მაკურთხეველისა შენისა, რომელიცა ყოველსა წამსა მოლუანებითა თუსითა არა დასცხრების, თუნიერ შრომისა და ძალისკმევისა თუსითა, მოქმედებათა შინა სარგებლობისათუს საყვარელთა მემამულეთა თუსთა თავისა შენისათუს, რომელიცა მზად გყო შენირვად მამულისა, ანუ სასარგებლო წერად საზოგადოობისა.“

მამაო ბრძენო, მიმღები ავთრათთა თქუშნთა აგვისტოს 8-სა და მოხარული სასიამოვნო ცნობათათუს სიმრთელისა თქუშნისათა და სხუათა ზრახუათათუს კეთილთა, გამოხატაე თავსა თუსსა ზემონარწერილსა. მე მაქუნდა ბედნიერება სამისა ავთრათისა თქუშნისა მიღებად: პირუშლი თავადის ფარ-

სადან ციციანოვთან, ყოფილის კაცისაგან, რომლისაცა სახელი მიმეფარა აგვისტოს 3-სა, ივნისის ე-თგან წარმოგზავნილი, ხოლო ორნი ავთრათნი ერთს და ერთსა დღესა, ესე იგი, 8-სა აგვისტოს, ერთი ათისა და მეორე კდ-სა ივნისისა, მოყვისისა ჩემისაგან, რომელსაცა მიელო პოჩტასა შინა.

პირველსა ავთრათსა შინა თქუწნსა ვიხილენ განხილვანი თქუწნნი. სხუა და სხუათა გუამთანი, რომელნიცა ჭემმარიტ არიან აქაცა მამულსა შინა ჩუწნსა ეგრეთ. ბრძანებთ კუჭითა და ტანტალითა გავითარებულნი, ხოლო ორთა მათ ავთრათთა შინა შეიცვებიან მიღებისათჳს ავთრათთა¹ ჩემთა პასუხნი და სხუანი ტალანტნი სულისა თქუწნისანი, რომელთაცა სული ჩემი გარდაიტივფრავს საზრდოდ თავისა თჳსისა და სასარგებლოდ მოსწავლეთა მიმართ. მიბრძანებთ რა სოლომონისთჳს, ძმისა თქუწნისა, ხვასტაგისაგან ჩემის ათის თუმნის მიშვილებასა მოვაჭრებისათჳს საზრდოთა.

მე ესე ვითარისა შემწეობისათჳს მზად გახლავარ. ამას წინათ ეთხოვნა ორი თუმანი თეთრი ფული და წარუგზავნე. ამასაც ვეცდები, მსწრაფლად აღვასრულო. ამ წელიწადსა შინაცა მოსავალი არ გახლდათ მქისეიყში და ფრიად დრტვინვაში იმყოფებიან და დიდს მწუხარებაში ყოველნი მცხოვრებნი ჩუწნის უჭზდისანი. მეც თვთ ვაჭრობ საზრდოსა და ფრიად ძვირად. უკეთუ სხუა ღონისძიება არა ვპოე, მოიძნელებს ხვასტაგითა² ცხოვრება. ვითარცა წარსრულს ფოჩტაში მოგახსენე, ბედი ჩემი სრულ იქმნა და ვიქო[რ]წინე ნათესავით ქართუწლსა ზედა და რუსულად აღზრდილსა, რომლისათჳს მაქუნდა კურთხევა თქუწნისა მაღალ ღირსებისა. მე თუმცა არა ფრიად ჰმსურდა, გარნა ნება ღმერთისა აღსრულდა, თქუწნი, მშობელთა და ღუბერნატორისა. ხოლო მე ესე შემთხუწულეა არას დამაბრკოლებს საქმეთა შინა, არამედ უმეტეს წყნარ, მშუდ და სრულმყოფს გონებითა და გულითა.

გარდა სასწავლებლისა, კომიტეტისა საქმენი მრავალნი მარწმუნა პრეზიდენტმან სამკვედრო ღუბერნატორმან. მოუთმენელსა და უძლეველსა შრომასა შინა გახლავარ, რომელიცა შეუძლებელ არს, რათა აღსრულებული იქმნას რომლისამე მამულისა შვილისაგან და ჩემთჳსცა მოიძნელებს, გარნა

ლოცვითა თქუწნითა და შემწეობითა მღვთისათა ჯერეთ ვასრულებ რწმუნებულსა ამას თანამდებობასა.

მრავალნი მიჩვენდნენ, რათა არა თანჯმა მექმნა ამას ზედა სიძნელისა გამო. გარნა არა ვისმინე რჩევა მათი და მივიღე თანამდებობა კომიტეტისა, სადაცა ყოველსა დღესა მაქვს ფრიადი შრომა და ღამე საქმენი სადგომსა შინა მომაქუს. მიმხედი ესრეთთა ჩემთა შემთხუჭულებათადმი, ვიცი, ყოველსა წამსა შემობრალეობთ და კეთილ მიდრეკილებით მოხედუა გექმნებათ ჩემზედა. გარდა ამათსა, ორი მრთელი კვირა მოუთმენელთა სიცხეთა შინა გახლდი ფრიად ავით თავის ტკივილისა, სიცხისა და მუცლის ტკივილისა გამო და ან, მადლობა ღმერთსა, განვთავისუფლდი, გარნა საქმენი დაშთომილნი მას დროსა შინა არიან გარემოს ჩემსა და ტფილისის უწყებანიცა დარჩნენ ორ კვირას გამოუცემელად და ამის მიზეზისა გამო მათს უგანათლებულესობას ბაგრატი ბატონის შვილს დაუგვიანდა და არა მიერთო.

სახლეულნი ჩვენნი, ე. ი., ძმათა თქუწნთა და მამისა ჩემისა, მშუდობით და სიმრთელით გახლავან, რომელთაცა თავიანის ცემა მოგახსენეს. ეგრეთვე ადამისა სახლეულნი სიმრთელით მყოფობენ: სრულიად კეთილდღეობით იმყოფებიან. სოლომონის შვილს იოანეს ჰსურს მანდ წარმოსვლა, უბნობს, შეუძლებელ არსო, უკეთუ არა წარვედიო. გარნა, ჯერეთ აქ იმყოფებოდეს, უმჯობეს არს და, უკეთუ ინებებთ, უკეთუ ენებოს ღმერთსა,³ დავეთხოები ერთს წელს შემდგომ მთავრობასა სამისა, ანუ ოთხის თუთ წარმოსლვად თქუწნთანა და მაშინ თან წარმოვიყვან. ფრიად სასარგებლო და საჭიროცა არს დაგირაება აგარისა, ანუ, ვითარცა ჰბრძანებთ, ტფილისის ლომბარდსა შინა. აქა შესაძლო იყო დაბეჭდა რომლისამე წიგნისა, უკეთუ ხუასტაგი⁴ გახლდესთ მზად. თუ სადამე ინებებთ, ანუ ძმათათუს, ანუ სხვათათვის რაჟსამე წარმოგზავნასა, ინებეთ, ჩემს სახელსა ზედა ჭოჩით წარმოგზავნეთ.

გლარზი არ მომივიდა, ხოლო ღილნი გიახლათ, გარნა არა ფორმისა. იგინი ღუბერნიისა და არა უნივერსიტეტისა. ჰბრძანდებოდეთ მშვიდობით და მახარებდეთ ავთრათითა თქუწნითა თქუწნის ვითარებისათვის.

უკეთუ რომელნიმე მემდურებოდნენ მოუწერლობასა ავ-
თრათისასა, მდაბლად თავის დაკრვა უბრძანეთ და ბოდიში
მომხადეთ, რომ ვერ მომისწვრია მიწერა. მერწმუნეთ, არა
მაქვს დრო.

თქუჲნი უმორჩილესი შვილი სოლომონ დოდაევი

1828-სა წელსა, აგვისტოს 10-ს.

იონა ხელაშვილისადმი №40

თქვენო მაღალ ღირსებაჲ, მღუდელ-მოძღუარო¹ მამაო²
იონა, მონყალეო ჴელმწიფეჲ!

მწყურვალითა გულითა წმიდასა მარჯუწნასა ზედა თაყ-
ვანსა გცემ. აჰა, ჴეშმარიტო ბრძენო, მამაო მაკურთხეველო
და ძკრფასო მზრუნველო! ჴეშმარიტი ზრახვა, კეთილი
გრძნობა, მაღალი გამოხატუა და ყოველნი ძალნი სულისა ჩე-
მისანი ეკუთვებიან მაღალსა რაასამე უხილავსა, ეძიებენ ნა-
თელსა საუკუნოსა ცხოვრებისათჳს, განმანათლებელისა ჩემი-
სა მზრუნველობითა, ანუ ესრეთ ვჰსთქუა, მაცხოვრებელისა
ჩემისათჳს ეძიებენ უმთავრესნი ძალნი ჩემნი საუკუნოსა ნა-
თელსა.

ნუ იზრახავთ, მამაო, რომელ ძალისაებრ ჩემისა ყოველ-
სა წამსა არა ვგრძნობდე, ანუ არა ვზრახვდე თქუჲნსა კე-
თილმოქმედებასა და მზრუნველობასა, ეგრეთვე თქუჲნსა
მოძღურებასა, რომელნიცა მტკიცედ გარდატყფრულ არიან
გონებასა შინა ჩემსა, გარნა საჭირო არს მიუცილებელად სა-
განთა მათოჳს, რომელნიცა დანიშნულ არიან თქუჲნ მიერ,
განმრავლება საშვალობისა, რომლისა გამოცა უადვილესად
ძალმიძს აღსრულება მისი ადრე თუ გვიან შემწეობითა ღვთი-
სათა.

ინებეთ, რათა მომცეთ საშუალობა და ღონის ძიება და-
ნიშნულებისაებრ თქუჲნისა, ნებითა ღმრთისათა, ანუ რაასა-
ცა ინებებთ, მიბრძანეთ. აწინდელი შრომა ჩემი მდგომარეო-
ბასა შემდგომთა მუჯლთა შინა: საკეთილშობილო სასწავლებ-

ლებსა შინა ორშაბათს, განთიად, ორის ყამის, მეხუთეს კლას-ში გარდავსცემ რიტორიკასა – ქართულსა და რუსულსა ენებ-ზედ, მეოთხეში ორს ყამს – ქართულს ღრამატიკასა, ლექ-სთხზულებასა და მარ[თ]ლწერასა.

დაშთომილს დროში ვჰმზავ რომელთამე საგანთა, რომელნიცა იქმნებიან ქუშმო აღწერილნი. სამშაბათს დილით ორი ყამი მაქვს მესამეში და ოთხი მეხუთეში – ლეოლრაფიისა და რიტორიკისათვის. ორშაბათს მესამეში დილით – ორი ყამი დანიშნულის საგნისათვის და ორი ყამი მეხუთეში საღამოზედ – რიტორიკისათვის. ხუთშაბათს ორ-ორი ყამი 3, 4, 5 და 6 კლასებში – ლეოლრაფიისათვის. პარასკევს ეგრეთვე ორორი ყამი 3, 4, 5 და მეექვსეში – რიტორიკისა და ლოლიკისათვის.

გარდა ამათს, ოთხშაბათს და შაბათს კომიტეტში ვსაქ-მობ, დაშთომილს ყამებში და ლამით, თხზულებასა შინა ვატა-რებ დროსა, ესე იგი, ქართული რიტორიკა სრულ ვჰყავ ქარ-თულსა ენასა ზედა და ვჰსთარგმნი რუსულად. სისტემა მისი არს შემდგომი:

1. შეყვანებასა შინა რიტორიკისასა არს განსაზღვრება სიტყვერებისა, განყოფა მისი, განსაზღვრება რიტორიკისა და მტკიცება, რომელ არს სწავლა და არა ჰკლოვნება, განსხუა-ვება ძუშლისა და ახლისა რიტორიკისა, საგანი რიტორიკისა, ანუ დასასრული – საჭირონი თვსებანი ორატორისანი, შესა-წევნელნი სწავლანი მისნი, განსხუავება რიტორიკისა და პიი-ტიკისა, სარგებლობა მისი, ისტორია მისი და განყოფა ამას-თან წინადადებათათვის, განვრცელებისათვის მათისა, პერიოდ-თა და ხრიათათათვის.

2. პირველი ნაწილი რიტორიკისა – პოენისათვის, მეორე ნაწილი – განკარგვისათვის და მესამე – გამოღებისა, ანუ ფრა-ზისათვის, ესე იგი, თვსებისათვის ფრაზისა, ტროპთა და ფი-ღურათათვის, რომელთათვის, რომელთა შინაცა იპყრობიან სა-ზოგადონი კანონნი პროზაიკებრთა თხზულებათანი.

3. საკუთარნი კანონნი სხუა და სხუათა თხზულებათანი: ავთრათათვის, საუბრობათათვის, შესხმათათვის და სხუათა. ამასთან, იქმნება ისტორია თქუშნ, ე.ი., ცხოვრება, თვსებანი და მოქმედებანი თქუშნნი. მხოლოდ შესაწუხარ არს ესე, რო-

მელ ქართულს წიგნს არა ჰბეჭვდენ, თუ არა არს ქართულად ნათარგმნი, ანუ თარგმნილი და ფრიად მიძნელდების³ ლექსი-კონისა თარგმნა.

ძმისწული თქუჴნი იოანე იმყოფება ჩემთან და სწავ-ლობს. სოლომონ, ძმა თქუჴნი, იმყოფებოდა ჩემთან სამი დღე, რომელმანცა მთხოა ფული და ერთი თუმანი თეთრი ფული მივეც. შვილი შიშველი, ხოლო მეორე გრიგოლ გაიპარა გზიდამ. მე მყავს ცხრა სული შესანახად დიდ ფრიადსა ამას ძურობასა შინა. წარმოიდგინეთ, წარგება თუ რაოდენი არს. ესოდენტა სულთა ზედა ჩაცმა, დახურვა, ჭამა და სმა, ჩემთვის და მათთვის, უკეთუ იშოებოდეს სადმე სოფელში, მა-შინ არა ესრეთ შესაწუხ იქმნებოდა. თუთ სახლეულთაცა ჩუშნთა აქუს სასოება ჩემზედა, რათა მოუაჭრო იფქლი, გარ-ნა საიდგან? არა სადა ძალმიძს მიმართვა, არა სადა იშოება და, თუ იშოება, დიდ ფრიად ძურად, ხვასტაგაცა⁴ მცირე არს.

წარსრულსა ავთრათსა შინა⁵ მიბრძანეთ ლომბარდსა ში-ნა დადება ხვასტაგისა,⁶ მამაო! მე გახლავარ ბედნიერ თქუჴნ მიერ და გახლდები მარადის თქუჴნ მიერვე ბედნიერ. წინაშე მღვთისა თუნიერ თქუჴნსა არავინ მივის და, თუ სადამე დამი-თესიეს, ანუ დავჴსთეს კეთილსა მემამულეთა თანა ჩუშნთა, არს და იქმნების თქუჴნ მიერ დაუძინებელი მზრუნველობა თქუჴნი, კეთილისათუს მოსცემს ნაყოფსა და უკუჴ მოსცა საგრძნობელად ნაყოფი მამულსა, მოქმედება ესე საამოდ დაშთების დაუვიწყებელად შთამოებათათუს.

ბრძენო კეთილ მზრახველო! უკეთუ ინებოთ აღსრულე-ბა ბრძანებისა თქუჴნისა, ანუ პრაექტისა თქუჴნისა, ანუ ჩე-მისა და წარმოჴგზავნოთ ხვასტაგი⁷ ფორტით, ჩემ სახელზედ ინებეთ, რომელნიცა განკარგულ იქმნებიან და დანიშნულები-საებრ თქუჴნისა და ყოველთუს წარმოგზავნილნი ფორტაში სრულიად და თუსს დროს მომივა, ანუ ძმისათუს, ანუ სხუა საგნისათუს. ვჴგონებ თქუჴნ, ბრძენსა, გექმნებისთ სრული ცნობა ჩემი, რადცა წარმოგზავნება⁸ თქუჴნ მიერ, იგი შეიქ-მნება ერთსა წელსა შინა ერთი ორათ, თავნი თქვენნი უძრავად იქმნების და მას ერთსა და ორს წელს დაერთუს რაოდენნიმე

შეძინებანი, რომელიცა აღადგენს ცხოვრებასა ჩუშნსა და წარმართებს ყოველსა საგანსა.

იოანე, ძმისწული თქუშნი, ისურვის მანდ წარმოსვლასა, ეგრეთვე ძმა ჩემი სტეფანე მონერისაებრ მეფის ძის ბაგრატიისა. ვითარ მიბრძანებთ ამისთვის? ხოლო მე ვგონებ, მეორეს წელსა შინა გიახლო თქუშნთან რომელთამე საქმეთათვის შესაერთებელად მთავრობისა. ღენერალს გიორგი ერისთავს ჰსურს, უკეთუ დაითხოვეს, წარმოვა პეტერბურღში.⁹

აჰა, ესეცა, უკეთუ მიბრძანებთ და წარმოჰგზავნით ხვასტაგსა,¹⁰ მე მსურს სახლებისა აღშენება ქალაქს ტფილისში, რაოდენიმე დუქანი ძირს და ზედ სადგომი სახლი. უსახლობისაგან დიდად შეწუხებული გახლავართ, რომლისაგან შემოსავალიც იქმნება მშუდობით, მამაო ძვირფასო!

სახლობანი ჩვენნი, ეგრეთვე ღირსიევისა, სიმრთელით და სიცოცხლით გახლავან. ძმასა თქუშნსა, ადამს ღირსიევისა და სხუათა სიყვარულით ჩემს პატივის ცემას განუცხადებ.

მორჩილი შვილი თქუშნი სოლომონ დოდაევი

სეკდემბრის 21-სა, 1828-ს წელსა.

იონა ხელაშვილისადმი №41

თქუშნო მაღალ ღირსებავ, მამაო სიბრძნის-მოყვარეო იონა, უმონყალესო მზრუნველო!

მაკურთხეველსა მარჯუშნასა და ნათლით მოსილსა ზედა ამბორებას მოგახსენებ... ავთრათნი სიცოცხლისა ჩემისანი მებოძა თქუშნისა მაღალ ღირსებისაგან სეკდემბრის 26-სა, მომცემელი ცნობისა განსვლისათვის ამიერ სოფლით მეფის ძის ასულის ნინასი ნათელსა შინა და კლება¹ მისი და მწუხარება თქუშნი მომცემს მე დიდ ფრიადსა მოწყინებასა და მსგავსსავე მწუხარებასა კეთილისა და სათნოდს მის სული-სათვს.

შუშნიერი გული მისი განალვიძებს ყოველსა გრძნობასა მცნობთა მისთასა მწუხარებისადმი. მწუხარება ჩუშნნი არს

უმეტეს დალ[მ]ობისათვის ნათესავთა მისთა და უმაღლესისა, ვინაფთჳან იგი იყო ანგელოსი და წარვიდა ცათა შინა უწმიდესსა და უბრწყინვალესსა სოფელსა შინა, ამისთვის არა ჯერ არს ტირილად და მწუხარებად, არამედ ლოცვად და მოთმინებად. სარწმუნოება, სასოება და სიყვარული მამისა მოსცემს ნუგეშსა და მოთმინებასა ყოველთა ქრისტიანეთა. და ესრეთ ინებეთ წინაშე ღვთისა მაღლობად და წინაშე უმაღლესობისა ნუგეშად, რათა ძვირფასი ეგე გვამი ნუგეშად ჩუშნდა კეთილდღეობდეს სიმრთელითა და უმეტეს თქუშნ ჩემთვის, ძვირფასო მამაო სასურველო, დაიცეთ სიმრთელე თქუშნი.

სეკდემბრის კე-სა მისმან ბრწყინვალეზამან, საქართუშლოს მთავარმართებელმან, ღრაფმან პასკევიჩმან ერევანსკიმან მომწერა და მასთან წარმოავლინა ყოვლადი წიგნი როსიულსა ენასა ზედა³ დაბეჭდილი ცხენის სრბოლისათჳს, ანუ ჭენებისათვის და მდგომარებისათვის მისისა სხუა და სხუათა საკელმწიფოთა შინა, რათა ვსთარგმნო ქართულსა ენასა ზედა. ეგრეთვე, გარდა ამისსა, ორი დიდ ფრიად ვრცეელი წიგნი, რომელსაცა შინა⁴ იპყრობის სამოქალაქო სჯულნი, სასამართლოდსა და პოლიციისა კანონი და მოქალაქეთა ვალნი და თანამდებობანი.

მომცა ლუბერნატორმან, ღენერალ ადიუტანტმან სპიადანმან, სათარგმნელად ქართულსა ენასა ზედა, რომელთაცა დააბეჭდინებენ აქაურთა მცხოვრებთათვის: ორნი ესე წინადადებანი, თუმცალა ჩემთჳს არა მოიძნელებენ, გარნა ითხოვენ მრავალსა დროსა, რომელსაცა არცა ერთი წამი მაქვს თავისუფლებითი.

ქილიკს უბრძანეთ, რომელ ძმისწული მისი ისწავებს სასწავლებელსა შინა და მე მაქვს მას ზედა საკუთარი ყურადღება. ყოველთა საგანთა ზედა მაქვს ფრიადი მზრუნველობა მოძღვრებისამებრ თქუშნ[ისა]. იოანესა ძალისაებრ ჩემისა ვასწავებ, რომელმანცა უკუშ უწყის ორსავე ენასა ზედა კითხუა კარგად და წერა საშუალოდ, ეგრეთუშ რუსული ენა ესმის. შევემოსე სახლითგან ჩამოსული შიშველი, ხოლო გრიგოლ გაიპარა გზიდგან და მოველი, რომ მალე ჩამოიყვანონ. ყოველნივე სახლეულნი მშვიდობით და სიმრთელით და კეთი-

ლად მყოფობენ. ეგრეთუშ ნათესავნი და მცნობნი. ძმაჲ ჩემი მყოფობს სიღნაღს და მოველი ჩამოსვლას ტფილისად.

ოსიჲ იაკოლიჩის საქმისათვის, უკუეთუ არა თვით მისი წერილი, ანუ ავთრათი არ მოიწერეთ, არ შეინწყნარებენ, ანუ ჯერ-არს, რათა ლუბერსკის პრავლენიდან წარმოიგზავნოს წერილი, ანუ დოვერენიის დარწმუნება თქუშნ მიერ და მის მიერცა, რათა მე მივიღო მისის დუქნების ფული, რომელიცა არს დარწომილი ამათ ზედა, რომელნიცა ავაჭრებენ საქონელსა. თქუშნ ინებეთ გამოცხადება მისის წერილისა, ესე იგი, ვექსილისა, და ესეცა, რომელ იგი ფარულად წარსრულ არს ანლიასა შინა და ამის მიზეზისა გამო დაშთა გამოუცვლელი ვექსილი. უკეთუ იქმნების კმასაყოფელნი წერილნი მმართველობისა მანდიდგან, მაშინ მე ძალმიძს ალება აქა თვინიერ დაბრკოლებისა.

უკანასკნელ, ლოცვითა თქუშნითა სიმრთელით გახლავარ და ამ წამს კომიტეტიდამ კაცი მომივიდა მუნ წარსვლისათვის და სასწავლებელსა შინაცა მეშურება წასლვა. ამის გამო მომიტევეთ, რომელ არა ძალ-მიძს ამა ქარტასა ზედა გამოხატუა ზრახვსა და გრძნობისა ჩემისა სრულიად: ერთისა სიტყვით, სული და გული ჩემი არს თქუშნთან. ერთს ყამს წინ ზრახვათა ჩემთა წარმოქადგინეს მიუწდომელობა განმგებელისა და სიბრძნისა ყამსა შინა შესვენებისასა და ვსცრემლეოდი მე დიდ ფრიად.

მემცხედრემან ჩემმან სიყვარულით თაყვანისცემა მოგახსენათ წმიდასა მარჯვენასა ზედა. ძმასა თქუშნსა სიყვარულით მოვიკითხავ და ეგრეთვე ადამ ლირსიევს და სხუათა და ვარწმუნებ სიმრთელესა მშობელთა და ნათესავთასა.

მამაო, მოძღუარო⁵ ბრძენო! გთხოვ უმდაბლესად, უკანასკნელი ესე ვედრი ჩემი აღასრულოთ, რომელიცა არს ფრიად საჭირო სამისა, ანუ ოთხის თუმნის ასიგნაციის ფასისა, მოივაჭროთ სანაწილე ვეცხლისა მცირაკი, სადაცა არს ბარძიმი და სხუანი, რომელსაცა ვალად მყოფთ ამის აღსრულებისათვის და წარმოგზავნისათვის.

თქუშნი მალალ ლირსების მორჩილი შვილი
სოლომონ დოდაევი

სექტემბრის 28-სა, 1828-სა წელსა.

თქუშნო¹ მაღალო ღირსებაე, მამაო² იონა,³ უმონყალესო
 ჳელმნიფეო, მზრუნველო ჩემო!

ავთრათი თქუშნი მებოძა სეკდემბრის 28-იდგან ოკდომ-
 ბრის⁴ 23-სა, რომელსა შინაცა ვსცან წარმკითხულმან ყო-
 ველნი გარემოებანი სამწუხარებელად სულისა ჩემისა, გარნა
 მაქუს სასოება, რომელ შემოქმედი და მფარუშლი აქამომდე
 დაგიხსნით ყოვლისა ბოროტებითისა განსაცდელისაგან, ყო-
 ველსა წამსა შინა საუკუნოდ და კეთილ მოქმედებისათჳს
 თქუშნისა მოგცემსთ საუკუნოსა უკუდავებასა და ჩუშნ აღ-
 ვავლენთ მანუმენტსა თუთ გულთა შინა მემამულეთა ჩუშნთა-
 სა უკანასკნელს მდგომარეობადმდე ამის სოფლისა აღყვანე-
 ბითა სახელისა თქუშნისათა, ხოლო მას სირცხული და უპატი-
 თობა, რომელმანცა იკადრა შენუხება თქუშნი, რომელიცა თა-
 ნამდებ იყო დიდ ფრიადის მაღლობით მიღება მონყალებისა
 თქუშნისა.

მე ძალმიძს თქმად სიმართლით, რომელ მოქმედსა ეგე
 ვითართა საძაგელებათა და შეურაცხებათასა არა ეკუთვნის⁵
 არცა ეგე მონყალება, რომელიცა დაგინიშნავთ. უსარგებლეს
 მაგისსა არიან სხუანი და უმახლობელეს თქუშნდა, რომელ-
 თაცა უმეტეს ეყუთ თქუშნ მიერი მონყალება და მზრუნველო-
 ბა სასარგებლოდ თავისა თჳსისა და საზოგადოობისა.

ღმერთმან⁶ დაიფაროს შემანუხებელი თქუშნი, გარნა
 განმწარება თქუშნი არა არს სასარგებლოდ მისდა, ნუ ინებოს
 ბრძენმან განსელა ბრძნისა და კეთილმოქმედისა ამისა სოფ-
 ლისაგან, რომელიცა იღვნის ყოვლისა მამულისა სარგებლო-
 ბისათჳს. თქუშნ მიბრძანებთ, მამაო სამარადისოო, ანდერძის
 დაწერასა და თჳსსა დროსა შინა ჳელითა ფრისტავისათა აქ
 მონყვასა. არა ინებებთა უადრესს შეერთებად ჩემდა? ვითა-
 რისა საგნისათჳს და სადა არს დანიშნულ, ინებეთ სასამარ-
 თლოსა შინა დამტკიცება განზრახვსა თქუშნისა და დანიშვნა
 წიგნთა სასარგებლოთა, თქუშნ მიერ თხზულთა, და ჩემ მიერ
 სახელსა ზედა თქუშნსა, ანუ თქუშნისა ცხოვრების აღწერი-
 სათჳს დასაბეჭდად.

წარსრულს ავთრათთა შინა თქუშნთა იცნობების ტფილისის ლამბარდსა შინა ხვასტაგის⁷ დადება. ოდეს იქმნების აღსრულება, ამის მოწყალების მონებება, მიბრძანეთ. ნინველთა ამათ ზედა მზრუნველობა ჩემი მაშინ არლა იქმნების, ოდეს ზრახუა და გრძნობა ჩემი განქრების. მე არა ვგრძნობ მზრუნველობასა თქუშნსა და სოფელსა შინა⁸ შემოყუანასა ჩემსა თქუშნ მიერ? ნუ უკვე მე არა მესმის კეთილი და ვალი კაცისა! ძმისწულმან თქუშნმან, იოანემან, ოდეს ჰსცნა ჩემ მიერ ავთრათისა თქუშნისა გამო განცხადებული მზრუნველობა თქუშნი მასზედა და მასთან უგუნურებითი მოქცევა ბიძისა მისისა თქუშნთანა, გარდამოუვიდა ცრემლი მწუხარებისანი შენუხებისათჳს თქუშნისა. უმეტეს ჩემსა მეცადინეობს ამისთჳს მონაფა თქუშნი ელენა.

ოდესცა მე გართულვარ საქმეთა შინა თანამდებობისა ჩემისათა, ჩუშნ, სულიერნი შვილნი, არა დაესცხრებით ვედრებად და აღვლენად ლოცუათა ჩუშნთა სიმრთელისათჳს, განრინებისათვის ყოველთა ეშმაკეულთა განსაცდელთაგან და განგრძნობისათვის ჟამთა და ნელთა თქუშნისა მაღალ ღირსებისათა. ვჰმადლობთ წმიდასა⁹ სულსა ნუგეშის მცემელსა, ვჰმადლობთ და ვადიდებთ მეუფებასა მისსა მშვიდობისათვის, რომელიცა არს ერთი უმთავრესთა სათნოების სახეთაგან.

რადცა შეეხების მდგომარეობასა ჩუშნსა, მოწყალებითა თქუშნითა ვსცხოვრებთ კეთილად, მადლობა ღმერთსა,¹⁰ და ვსასოებთ კეთილად ყოველნივე სიმრთელესა შინა. უსახლობა გუანუხებს, სადაცა არასადა იშოების საკმაოდ, არცა თუთ სასწავლებელსა შინა. უკეთუ მაქუნდეს ღონე, აღვაშენებდი სადამე რაოდენსამე დუქანსა და ზედ სადგომსა სახლსა, რომელიცა არს ფრიად საჭირო და სასარგებლო.

ყოველთავე თაყვანის მოგახსენეს. მთავარმართებელი ბრძანდებოდა სასწავლებელსა შინა ამ დღეებში და განგვიცხადა დიდ ფრიადი შემწეობა სასწავლებლის კეთილებისათჳს და სხუა გზის მიცემისათჳს. მხოლოდ თქუშნ ეცადენით რუსულის ენისათვის, – გვითხრა. ჩუშნი¹¹ სამკედრო ლუბერნატორი გარდაიცვალა ოკტომბრის¹² ათსა. კეთილ მზრახველო-

ბა თქუწნი განაგებს ყოველსავე კეთილსა და განსაზღვრის სამარადისოსა სარგებლობასა.

მშუდობით! ჰბრძანდებოდეთ სიმრთელით და გვახარეთ მშვიდობა და სიმრთელე თქუწნი. ამ წამს გიახლები სამოქალაქო ლუბერნატორთან, სადაცა დაბარებული გახლავარ.

თქუწნი სულიერი შვილი სოლომონ დოდაევი

ოკტომბრის 25 დღესა, ჩყკმ-სა.

ადამ ღირსიევს მოვიკითხავ დიდის სიყვარულით და ვსთხოვ უმდაბლესად, რათა შეიტყოს უნივერსიტეტში, იაკობ კრუპსკი, რომელიც იყო სტუდენტად, სადა არს, ვითარ სცხოვრებს და რატომ წიგნს არა მწერს? ხომ არ მიდის ფრანციაში? და ვითარება მისი წვლილად მომწეროს, რომელსაცა ფრიად დაუმაღლებ. მშობელნი მისნი მშუდობით არიან.

იონა ხელაშვილისადმი №43

სულისა მიერ წმიდისა ნათლით შემოსილს მარჯუწნასა გაამბორებ და სულით-გულით ვისურვებ თქუწნსა სიმრთელესა და ხილვასა.

აჰა, ყოველსა ცხოველსა არსებასა აქვს მისწრაფება, ანუ მიმართება, სხვსა მის მიერ არახილულისა საგნისადმი, რათამცა აღიხილნოს თვალნი სხუა და სხუა სახილველებათა შინა, წარმოებისათვის ცხოვრების დასასრულისა (საგნისა) და წყაროდსა კეთილშემთხუწვისა მისისასა. არა სხუწბრ, არამედ თანჯმობითა კეთილმოქმედთა კაცთათა და შემწეობითა კაცთმოყუარეთა და კეთილმოსურნეთათა – ესე ვითარსა საგანსა კეთილ შემთხუწვისასა ეძიებს ძმაჲ ჩემი სტეფანე შემწეობითა თქუწნისა კეთილ-მოქმედებითის ჴელთმძღვანელობისათა, ვინაითგან კეთილობა თქუწნი ჰსჩანს არა მხოლოდ ჩემ შორის, რომელიცა ვიქმენ ბედნიერ მზრუნველობითა თქვენითა და ანცა ვარ და ვიქმნები მამობრივითა სიყვარულითა და

მზრუნველობითა თქუშნითა კეთილშემთხუვასა შინა, კურთხეულ და წარმატებულ უმაღლესსა ხარისხსა შინა, არამედ სხუათა მემამულეთა შორისცა იხილვების კეთილობა ეგე თქუშნი ზომითისა ხარისხისამებრ ღირსებისა მათისა.

თუმცა მათმან უგანათლებულესობამან, მეფის ძე ბაგრატიმან, ინება რაოდენითამე წარმოწერილითა ავთრათითა წარმოგზავნა ძმისა ჩემისა, რომელიცა მიბრძანებს გაბედნიერებასა ამისსა, გარნა მდგომარეობა მათი თქუშნ უწყით. უკეთუ არა იყოს მზრუნველობა თქუშნისა მაღალ ღირსებისა, ვერა მისწვდების თვისსა საგანსა, რომლისაცა არს განსაზღვრა სამსახურსა შინა და მიღება მაშინც პირველისა ჩინისა, რომელიცა იქმნების პირველს საფუძვლად კეთილშემთხუვებისა მისისა.

მამაო ბრძენო! მიიღეთ მზრუნველობა, ასწავეთ კეთილი, აღუხილეთ თვალნი და დაადგინეთ მტკიცესა გზასა ზედა. ეგრეთვე განაცანთ უმაღლესნი და უგანათლებულესნი. უკანასკნელ, ნუცა მე მიმცემთ დაეინყებასა შინა, უწინარესი მზრუნველობა გარდამოავლინეთ ჩემზედა. სახლეულთა ვითარებისათჳს ყოველსავე მოგახსენებთ ძმა ჩემი სტეფანე.

ჩემს ვითარებას მოიხსენებთ. იწროსა მდგომარეობასა შინა გახლავარ და არაცა სრულიად სიმრთელით. უმეტესად მანუხებს უსახლობა, რაღა მრავალი განვაგრცელო, ყოველსავე გაცნობებთ ესე.

დღეს, ნოემბრის 20-სა, გახლდი მთავარმართებელს ღრაფ პასკევიჩ ერევანსკისთან, რომელმანცა მიბრძანა, რომელ ტფილისის საკეთილშობილო სასწავლებელსა შინა დაანყობს სხუასა კანონებსა, მრავალს ცვლილებასა ჰყოფს და ეგრეთვე უეზდებში ჰგახსნის სასწავლებლებს და მისცემს თვისსა წესს და მდგომარეობას. მე მოვახსენე ესრეთ: დიდ ფრიად საჭირო არს ესრეთი საფუძველი სიბრძნისა მკარესა ამას შინა და მან მიბრძანა, მალე იქნება ესრეთ და, რაიცა შეუდგება წინადადებასა ამას, მე მალე ვაცნობებ თქუშნს მაღალს ღირსებას.

ობლის ქალის გათხოებისათჳს არღარა მიბრძანეთ რა, ერთსა სემინარიის ფილასოფიის მონაფესა ჰსურს ქორწინება და მიგზავნის ხშირად კაცს, გარნა თქუშნ მიერ მოელის ნე-

ბართვასა და წარსაგებელსა, რომლისათჳს ძმა ჩემი მოგახსენებსთ.

მემცხედრე ჩემი სულიერი შვილი თქუჴნი ელენა მდაბლად თაყვანისცემას მოგახსენებსთ. გთხოვ უმდაბლესად, რათა ხშირად მიბრძანოთ თქუჴნის სიმრთელისათჳს, რომელიცა ფრიად მახარებს.

თქუჴნის მაღალ ღირსების მორჩილი სულიერი შვილი
სოლომონ დოდაევი

ნოემბრის 22-სა დღესა, 1828 წელსა, ტფილისით.

სტიჟანესადმი №1 პასუხი ტფილისიდან

უსასიამოვნესი წერილი შენი მივიღე, რომელსაცა შინა ვსცან მისვლა შენი ჩინებულსა მაგას ქალაქსა და სხვანი. დიდად მოხარული ვარ. გარნა მსურდა მე, რათა ყოველივე მოგეწერა ჩემთვის. თუმცალა მიხილავს აღმკობილი ეგე ქალაქი, გარნა სრულებით მიმეფარა და შემდგომ ჩემსა მრავალი ცვალება იქმნა. მე უბნების წოდებაც არლა მახსოვს, მაშასადამე, სასიამოვნო არს და სახალისოცა გაცნობა ჩემი ქვეყნისა მაგის, სადაცა საყვარელნი მემამულენი ჩვენნი იმკიან განათლებათა და მდიდრდებიან ცნობათა მიერ. ხოლო მე აღგინერ აწინდელსა მდგომარეობასა საყვარლისა მამულისა ჩვენისასა, რომელიცა ფრიად გახარებს, ვითარცა შვილსა ამის ქვეყნისასა.

კარგათ იცი, რომელ ბუნებამან არა უარგვეო ზნეობითთა და ფიზიკებრთა ნიჭთა შინა თვისთა. მამული ჩვენი ნაყოფიერ არს, ჰაერი კეთილგანხმული და შეზავებული, თვისებანი გონებისა და გულისანი არიან მიუღებელნი ღირსებანი, მსგავსად შვილთა ძველისა ელლადისათა. გარნა არა განხმულ იყო ჭურჭელი მდიდრისა ბუნებისა, არა ძალგვედვა სარგებლობა ნიჭთა მიერ მისთა და გონებითთა მოქმედებათა ჩვენთა მარადის შეუდგებოდა საჭიროებანი გარემოებათანი და არა იწარმოებოდა თავისუფლებითი სული, წმინდა სიყვარული სწავლათა, სიბრძნისმოყვარებითა კვეთება სრულებისადმი ზნეობითისა ბუნებისა ჩვენისა. ორთა წარსულთა წელიწადთა შინა ჩინებულთა ბრძოლათა სამძღვართა ზედა ჩვენთა, რომელთაცა დაგვიმტკიცეს ჩვენ, რომელ მტკიცე მარჯვენა მეფისა ჰზრუნავს უშიშროებისათვის ჩვენისა, ყოველივე დაბრკოლება აღხოცეს.

შემდგომ დიდისა მისა მშვიდობის დამტკიცებისა სარძნობელად ჰსჩანს განცისკროვნება სხივთა ჭეშმარიტისა განათლებისათა მამულსა შინა ჩვენსა.

გარდა ამისა, რომელ ტფილისსა შინა არს ღიმნაზია და სემინარია, ყოველთა სხვათა ამიერკავკასიის მხარესა ქალაქთა შინა დაწესებულ არიან საერონი და სასულიერონიცა სასწავლებელნი. მოწაფენი, რომელნიცა ან იზრდებიან ხსენებულთა სასწავლებელთა შინა, აღგვიტქმენ ფრიად მრავალსა სარგებლობისათვის მამულისა. შესაძლებელ არს, რომელ მზისა მაგის ნაბერწკალი მცირე-მცირედ განვრცელდეს და ოდესმე აღვიდეს მაღალსა ხარისხსა ზედა სრულებისასა.

მე აწინდელისა მდგომარეობისათვის მამულისა ჩვენისა ესრეთ მოხარული ვარ, რომელ მომატებული შეუძლებელ არს. გული ჩემი მარად დღე ტრფიალებს, ვინაჲთგან მრავალთა ახალგაზრდათა კაცთა ინყეს თხზვა შევნიერთა სტიხთა და აღწერა პროზად სხვა და სხვათა საგანთა, რომელთაცა იხილავ ქართულსა გაზეთსა შინა.

ყოველმან მემამულემან ჩვენმან ჰსცნა, რომელ განათლება არს უუმტკიცესი და უუსაიმედოესი საფუძველი კეთილმდგომარეობისა ყოვლისა საზოგადოებისა; ყოველმან უწყის, რომელ საზოგადოება, შემდგარი კეთილალზრდილთა ნევრთაგან, შეიქმნების განწმენდილის წყაროდ საეროთა კეთილმოქმედებათა, დიდებისა და შემძლებელობისა; მას შინა ჰსცნობს წმინდა ეკლესია ჭეშმარიტთა ძეთა, მოქალაქეობა – მამულის მოყვარეთა, ხოლო მშობელნი – თვისსა ნუგეშსა; ერთის სიტყვით, გითხრა: აწინდელსა განსვენებითსა მდგომარეობასა შინა მამულისა ჩვენისასა ყოველმან კაცმან მიაქცია ყურადღება განათლებასა ზედა; მაშასადამე, ყოველი ნოდება, ყოველი მდგომარეობა უნდა მოელოდეს, რომელ მათ ეყოლებათ კაცთმოყვარენი, სარწმუნონი და ერთგულნი თანმეშრომენი, შემწენი და მფარველნი.

ჭეშმარიტად გამოუთქმელ არიან ზომანი კეთილდღეობათანი, რომელნიცა მოჰფინა ქვეყანასა ზედა ჩვენსა დიდსულმან ერთმთავარმან ჩვენმან, რომელსაცა ჰსურს, რათა მხოლოდ ვისარგებლოთ ჩვენ კეთილობითა მისითა, განვინათლოთ გული და გონება, რომელიცა არს დაწყება ბედნიერებისა ჩვენისა.

გარდა ამისა, შენ იცი, რომელ ქართველთა აქვსთ თვისებითად მხიარულება; უმეტეს აწინდელსა შემთხვეულებასა

შინა გული ყოველისა კაცისა განიხსნა და სახესა ზედა მათსა გამოიხატა მიუნდომელი სიხარული და შვება. ბედნიერება ესე ჩვენი ჯერეთ არ ძალმიძს, სახელდობრ გამოგიცხადო და არცა საჭირო არს, ამისთვის რომელ მაინდამ მივიღეთ, მაშასადამე, შენ იცი. ან ზედმიწევნით ჰსცნეს მემამულეთა ჩვენთა, რომელ, უკეთუ განათლებულ იყვნენ, მიანევენ უმაღლესს ხარისხადმდე ბედნიერებისა, ამის გამო მიიქცნენ მის საშუალობისადმი, რომელიცა ანარმოებს ალყავებასა სამშობლოსა ჩვენისასა.

დასასრულ, გაცნობებ, რომელ ჩვენს ქალაქში წარსრულს კვირას იყო თეატრი ერთსა ჩინებულსა სახლსა შინა. საკურვლად წარმოადგინეს, მერნმუნე, უკეთესად არღა შეიძლებოდა. გარნა რა წარმოადგინეს და ვითარ, ამას ყოველსავე საკუთრად მოგწერ.

მომიკითხე ყოველნი მემამულენი ჩემნი, მანდ მოსწავლენი, და ამხნევე იგინი სწავლათა შინა, რომელთაგანცა მამული ჩვენი მოელის ბედნიერებასა და მაცნობე ყოველი ვითარება შენი, მემამულეთა და სხვათა. მშვიდობით.

შენი ძმა ს...

[1829 წლის 22 თებერვლის შემდეგ]

იონა ხელაშვილისადმი №44

მამაო, ძვირფასო იონა!

წარმოგზავნილი თქვენ მიერ ეკლესიური¹ და მოქალაქური განმარტება² მივიღე. წარმკითხულმან³ მისმან ვცან მას შინა განვრცელებული⁴ გონება, ბედნიერი აღსარება და ღრმანი ცნობანი თქუჴნი. მადლობელი ვიტყვი ესრეთ: აღვედ, ბრძენო განათლებულო, დიდებით ზეცათ და იქ შთამოებასა შინა⁵ უკუნისამდე. მიუცილებელად მოგანიჭათ გონებამ გონებათამან ორკერძო სოფელი კეთილგონიერებითნი. დაუცხრომელნი შრომანი თქუჴნი არიან ღირსნი დიდისა ყურადღებისანი.

ყოველსა კეთილმზრახველსა მემამულისა თანა⁶ ამას ღმრთისადმი ლოცვად და ვედრებათ კეთილალყუავებისათვის⁷ დღეთა სიმრთელისა თქუჴნისათა და თქუჴნდამი მადლობად შრომისათვის და ნიჭებულისათვის სიტყვიერებასა⁸ ზედა⁹ ჩუჴნსა ძვირფასისასა საუნჯისა და უმეტესადვე, რომელმანცა მივიღე უძვირფასესი თხუზულეა ესე, [ვ]გრძნობ, მამაო უძვირფას[ეს]ო, კეთილმიდრეკილებასა თქუჴნსა და გმადლობ ყოვლითა გულითა და სულითა.

ამასთან, მივიღე პირველად: 1) სამღუდელო სანანილე, 2) ბარძიმი, 3) კოვზი, 4) განსაზავებელი, 5) ოთხი მოქროული ყელის ჯუარი, 6) ოცდაოთხი დიდროვანი ლილები და 7) ოთხი წერილი.

სახლობა ძმისა თქუჴნისა სიმრთელით ცოცხალან და კეთილათ სცხოვრებენ, ხოლოდ ჰსწუხვან მოუს[ვ]ლელობასა გიორგისასა. მეცა, დოდაევიც კი თქუჴნი, ვცხოვრებ კეთილათ შრომასა შინა თხუზულებათსა.

იოანე მეფის ძეს უკეთუ შეესრულებინოს ქართული ღრამმატიკა, წარმოჴგზავნეთ. მე ქართულათ სრულ ვყავ და ვთარგმნი რუსულათ. სხუანი მთავრობისაგან დარწმუნებულნი საქმენი მაბრკოლებენ, რათა ადრე სრულ ვყო. სულიერი შვილი თქუჴნი ელენა მდაბლათ თაყვანის ცემას მოგახსენებთ და მადლობასა მოკითხვისათვის. გთხოვთ, უმდაბლესად მახართ ვითარებითა სიმრთელისა თქუჴნისათა. მდაბლად თავის დაკურას მოვახსენებ¹⁰ მათ, რომელნიცა მეცნავ არიან ჩემნი. მშვიდობით.

თქუჴნი სულიერი შვილი სოლომონ დოდაევი მალრისა

1829-სა წელსა, აგვისტოს 15-ს დღესა, ტფილისით.

იონა ხელაშვილისადმი №45

მამაო,¹ ღირსო² მოძღუარო³ იონა!⁴

საყუარელსა, წმინდასა და განათლებულსა მარჯუჴნასა ზედა⁵ გეამბორები და თქვენს სიმრთელეს და კეთილდღეობა-

სა ცხოვრებისა თქვენისასა ვისურვებ ყოვლითა გულითა და სულითა. აჰა, უცნაური და უგულისწმიებითი წარმოება ძმისა და ძმისწულთა თქუწნთა.

მინერისაებრ ჩემისა, ოკდომბრისა გასრულსა ჩამოვიდნენ ძმა თქვენი სოლომან, შვილი მისი იოანე და ძმისწული თქუწნი გრიგოლ. მივიღე შესაბამისა ხატითა, შეჰვეკითხე ყოველივე გარემოება მდგომარეობისა⁶ თვისისა და მოუცდენელობა მათი. აქამომდე, რომელ შესრულ არიან ვაჟკაცობასა შინა⁷ ასაკობასა და კინილა გარდასრულ და გარდახრულ სწავლისა⁸ დრო. ჩუჭულებრივ მომიგო: სწეულება მათი და შეუძლებლობა. ახლაცა ვსცანიითო, რომელ მამა იონასაგან მოგვსცელია ფული ორმოცდა ათი თუმანი თეთრი ფული. ამისთვის ჩამოვედით, რათა მივიღოთო, რომელსაცა შემთხვევასა მას შინა⁹ მაქენდა ესრეთი მდგომარეობა, რომელ ერთი მანეთის მეტი არ იპოებოდა ჩემს სახლში. ვინაიდგან ღმერთმან ინება შვილისა მოცემა, გარდავიხადე ნათლობა, სადაცა რუა თუმანი თეთრი ფული წარეგო. ნათლ[ი]ად იყვნენ: დირეკტორი სასწავლებლებისა და ბარბარა ბატონის შვილი – მეფის ძის ბაგრატის ასული. თუმცა ვჰსცხოვრებ ფილოსოფიურად, გარნა შემთხვევასა ამასა შინა¹⁰ მიუცილებელ იყო წარუგებლობა.

მეფის ძე ოქროპირ ბრძანდებოდა დროსა ამას, ექვსი უამიდგან, ვიდრე შუალამიდგან მესამე საათამდე. სხუა დროსაცა ბრძანდებოდა რაოდენჯერმე და მრავალნი მამულისა სასარგებლონი და საჭირონი დიდნი კაცნი – ეს იყო ოკტომბრის 20-სა. შემდგომ ამისა სულიერი შვილი თქვენი, მემცხედრე¹¹ ჩემი ელენა ქ[ეროდოროვნა] შეიქმნა დიდ ფრიად სწეულ. მკურნალთა და სამკურნალოცა ზედა¹² წარეგო და ჯერეთცა არ განთავისუფლებულა სწეულებისაგან. ძკრობასა ამას შინა¹³ ჭამა-სმა, ჩაცმა და ხურვა შეანუხებენ კაცსა მას, რომელსაცა არა რაჲ შემოსავალი აქუს, გარდა ხვასტაგისა.¹⁴

ძმამან თქვენმან ს[ოლომონ] მიჩუწნა წარმოგზავნილი ავთრათი თქუწნი ხუთასის თუმნისა. ვუთხარ მე მას ლოცუა და მოთმინება. რაბამ მიიღებს, მსწრაფლ წარმოგიგზავნის მეთქი, მცირეს დროს მოითმინე. არ დავაყენებო ამათ არცა

სწავლაში და არცა აქაო, ვიდრე ფულსა არ მივიღებო. უკეთუ აქ არ დააყენენ, იანვარში სასწავლებელს გავხსნით სიღნაღს და შენს ახლო მივაბარებ მეთქი; მან მითხრა: ერთი საყამე გამოუგზავნია სვმონ მღვდლის კელით, რომელმანცა გამომართვა ხუთი მანეთის თამასუქიო, თვნიერ, რომლისაცა არ მაძლევდაო, შენი ძმა გზიდან დამიბრუნდა და ნაცვლად მისსა, მეურმე[ე]ბს ქირა მე მივეციო და ერთს თუშს შემდგომ მომთხოვსო.

საყამე იგი მიჩუშნეს, რომელიცა დაუმტ[ვ]რევიათ სრულებით. უცნობელ ჩემსა წარმოგზავნეთ საყამე და ხვასტაგის¹⁵ ავთრათი მათდამი. ესე არა ეკუთვნის მრთელსა განმსჯელობასა, არცა ძმა და არცა ძმისწულნი არა ღირს არიან მოწყალებებისა თქვენისანი, უმადლობასა და უგრძნებელობასა შინა¹⁶ არიან.

მამაო საყუარელო და სასურველო, სიყუარულითა თქუშნითა განვუსვენე მათ დღე იგი, ხოლო ღამესა მას თქვენ მიერ წარმონეროილნი ავთრათნი ფარულად წარიპარეს და განთიად წარსულან უცნობლად ჩემდა, აზრითა მით, რომელ ავთრათ[თ]ა შინა¹⁷ თქვენთა ჰპოვონ წარმოგზავნით ხვასტაგი,¹⁸ თუ არიან. შემთხვეულ[ე]ბამან ესრეთმან მომცა წარსვლამან მათმან, რაოდენცა ავთრათებისა თქვენისა წარტყვენამან, არა ჰგრძნობენ მზრუნველობასა ჩემსა და თქვენსა.

აჰა, მჭმუნვარება! მე ვგონებ, აზრისა ჩემისა თანა ინებებთ თანკმობასა. მზრუნველობა თქვენი ძმისწულთა თქვენთა იოანესა და გრიგოლისთუს ფუჭი და უსარგებლო იქნება, ვინადგან იგინი არიან პირველად მქისენი, ესე იგი, რააცა გამოუხატავთ ძალთა შინა¹⁹ სულსათა, მათ მიუღიათ ძირი ესე ვითარი, რომელ ძნელად აღმოიხვრებიან მათგან, ვინადგან გარდასრულ არიან იმ წლისაგან, რომელსა შინაცა უნდა მიიღოს ჰსწავლანი გულისკმეიერმან არსებამან.

მეორედ, წარმოდგენილ აქესთ თხოვნა მეუღლისა, რომელთაცა წვერი და უღვაში პირსა ზედა მათსა იმყოფებიან. სოფელსა შინა საკმაო არს იგი იოანესათუს, რააცა ისწავლა, ხოლო შემდგომი განვითარება მისი შეუძლებელ არს. იცხოვრონ მათ სოფელსა შინა,²⁰ ანუ, თუ ინებებთ, იანვრიდგან მივაბარებ სიღნაღის სასწავლებელსა შინა²¹ ორთავე მათ, ხოლო

მე, ვითარცა აღმითქვამს, აღვზრდი შენვენითა ღ[ვ]თისათა სოლომანის შვილს მიხეილს, რომელიცა არს ექვსის წლისა, ვინადგან მცირეს წლიდგან მიიღებს ყოველსა სიბრძნესა საფუძვლიანად და შეურყეველად.

თქვენ მიერ²² წარმოგზავნილი ავთრათი მებოძა, რომელსა ზედაცა დიდ ფრიად ვიხარე და, ამასთან, თავადს სიმონ სოლომონიჩს ვაჩიძესთან მოწერილი ავთრათი წარვეუგზავნე არზრუმს, სადაცა პოლკი მათი იმყოფების. დიდ ფრიად ვწუხვარ, ორი თვე არის, ჩემის ძმის სტეფანეს ავთრათი არ მიმიღია, არ ვუწყი მიზეზი მდუმარეობისა მისისა. გთხოვ, მამაო, მაცნობოთ, ვითარცა თქვენი, ეგრეთვე ძმისა ჩემისა სტეფანეს გარემოება.

უმორჩილესი სულიერი შვილი სოლომონ დოდაევი

ნოემბრის 7-სა, 1829-სა წელსა, ტფილისით.

იონა ხელაშვილისადმი №46

თქვენო მაღალ ღირსებავ, მონყალე¹ მამაო,² მოძღუარო³
იონა!

უმონყალესო მაკურთხეველო და მზრუნველო!
ბრძენსა უნდა ბრძნული სიტყუა,
გონებას ზესთა აღსლუა,
ღმერთმან ინება ქუჭ შთამოსვლა,
კაცისა მამასთან მისლუა!
ენა ჩემი ვერ იტ[ყ]ვისა
ამის შესაბამს სიტყუასა,
ჰგონებს მას განკვირვებასა,
წინა უდებს ღთის მეტყუძლსა.⁴

დ.

ქრისტეშობის დღესასწაულს და მომავალს ახალს წელიწადს მოვ[მ]ლოცველობ და თქვენს სიმრთელეს ვისურვებ ყოვლითა გულითა და სულითა. განმტკიცდეს კაცობრიობა თქვენი ძალითა სულისა წმინდისათა და აღსრულდეს საგანი

სურვილისა თქვენისანი. მამაო, შემდგომ ამ ავთრათის დაწერისა მივიღე ავთრათი თქუშნი, რომელსა შინაცა⁵ ვსცან მშვიდობა თქუშნი და ვიქმენ [სი]ხარუელ. მას შინა⁶ ჰსჩანს, რომელ თქუშნ არა კმაყოფილ ხართ მას მეცადინეობასა ჩემსა, რომელიცა დავშვერ.

იოანე, ძმისწული თქვენი, განვასწავლე და კაცობრიობასა შინა⁷ მოვიყუანე მიმდინარეობასა შინა⁸ ორისა წლისა, გარნა მაკლდა საშუალობა ღონის ძიება. მიბრძანეთ, როგორ დაჯდება. ამასთან, უმდაბლესად გთხოვ, ჩემ მიერ მოცემული ბარათი წარმოგზავნოთ, ე. ი., ფულის წერილი და, ამასთან, თქვენის შეთხზულის ლექსიკონისათვის მიბრძანეთ და რაოდენიმე წარსაგებელი იზრუნეთ, დავაბეჭდინებ. ნურღარა გარდავაგდებთ შემდგომის დროდსათვის.

აჰა, მამაო საყუარელო! რიცხვნი მოქმედებათა ჩემთანი:

1) შევადგინე ქართული ღრამატიკა სასწავლებლისათვის;

2) სრულვეყავ რიტორიკა ქართულსავე ენასა ზედა;⁹

3) ვჰსთარგმნე, რწმუნებისამებრ მთავრობისა, სჯული, ვალდებულებანი სასამართლოებისანი;

4) ვსთარგმნე ბრძანებითა მთავრობისათა ცხენის სრბოლისათვის წიგნი;

5) შევადრგინე რეესტრი ქართულის წიგნებისა რიცხვით¹⁰ ექვსასადმდე: ვისგან, სადა და ოდეს! და თვითოეული რას იპყრობს თვის შორის;

6) შევადრგინე სხუა და სხუანი ზნეობითნი ნან[ყ]ვეტობანი (ოტრიეკი) შესკმანი, ავთრათნი და სხუანი;

7) შევადრგინე მოკლედ ძილოსოფიისა ძალნი საზღვროებითა და განყოფილებითა მისითა;

8) ისტორიული აღწერა ვინყე რომელთამე მწერალთა და რომელიმე სრულ ვყავ.

ესენი არიან შინაურნი, გონებისა ჩემისა შრომანი წარსულისა დროდსანი და მომავალნი ღმერთმან უწყის. ძმამან თქვენმან დაიგვიანა მოსვლა, ვიშიშვი, რათა უკუნ არ მოიქცეს. სახლობანი ძმისა¹¹ თქვენისა¹² სოლომონისანი მშვიდობით ჰცხოვრებენ. მეცა სახლობით ვსცხოვრებ ლოცვითა და სასოებითა და სიყუარულითა თქვენითა.

მათ უგანათლებულესობამ, მეფის ძემ ოქროპირმან, მოგილოცათ დღესასწაული და ლოცუა კურთხევა თქვენი ისურვა.

მამაო სასურველო იონა,¹³ სასურველ არს ჩემთვის და მრავალთა მემამულეთათვის ხილვა თქვენი. თუ შესაძლო იყოს, ინებოთ თქვენმცა განხილვა სამშობლოს მამულისა თქვენ[ი]სა და მობრძანდით. თუ გსურსთ¹⁴ წ[მინდა] პ[ეტრეს] ქალაქსა შინა¹⁵ მყოფობა, შესაძლებელ არს უკუნ მიქცევა. განგუანათლებთ მოსვლითა თქვენითა.

და ახლა ამას გვეედრებით, რომ თქვენი ვითარება მიბრძანოთ და მახაროთ მე. სულიერი შვილი თქვენისა მაღალ ღირსებისა

სოლომონ დოდაევი

თუ შეიძლებოდეს, ერთი ხელი ტანისამოსი, ე. ი., ფრაკი და ბრუკი კარგათ შემიკერვინოთ კარგის მაუდისა და წარსაგებელს მოგართმევ[თ].

მიხეილისა და დიმიტრის ჩამოყუანასა მსთხოვთ. ვითარცა მე მოგწერე, ესე არა თხოვა თქვენი, არამედ ბრძანება არს ჩემთვის, ვინაჲდგან მამა ჰბრძანდებით და მზა გახლავარ თქვენის ბრძანების აღსრულებისათვის.

დეკემბრის 28-ს, 1829-სა წელსა, ტფილისით.

ფილადელფოს კიკნაქისადმი №2

უსაყვარელესო მეგობარო ფილადელფოს!

ორივე მონშობა, თარგმნილი რუსულად, ორშაბათს მივართვ, წარიკითხა და ჰსთქუა: ОЧЕНЬ ХОРОШО. უნდა წარვადგინოვო, შეიტანა შინ და სტოლს წინ დაიდუა. ვჰგონებ, მალე წარადგინოს, მეც ვჰსთხოვე და ან არ ვუწყი. სიღნაღს წარსვლა, არ ვიცი სწორეთ, რომელს რიცხვში მოგვიხდება. ვჰგონებ, იენისში წარვიდეთ, ანუ ნახევარს, ანუ გასულს.

თქვენი უერთგულესი და მყვარებელი მეგობარი
სოლომონ დოდაევი

30 მაისს, 1830-ს.

იონა ხელაშვილისადმი №47

თქუენო¹ მაღალ ღირსებავ,² მოძღუარო³ იონა!⁴

წმინდასა მარჯვენასა ზედა⁵ ამბორებას მოგახსენებთ და თქვენს სიმრთელეს და წელთა განგძობ[ბა]ს ვისურნებ. ძმანი თქვენი და სახლეულნი მშვიდობით ბრძანდებიან. ძმასა თქვენსა გიორგის რაოდენჯერმე წერილითა ვსთხოვე ჩემთან მოსვლა და არ ინება. თუთ მეც გახლდი მის სახლში. დამემალა. სოლომან და შვილი მისი იოანე გახლდნენ ჩემთან, რომელთაცა მომითხრეს გიორგისა მიერ⁶ მრავალჯერ შეურაცხება და არა რაფსა შემწეობა მისგან.

ყოველივე თქვენ მიერ წარმოტანებული მიიტანა თუც სიმამრთან – ონისიძე მღდელთან და არა სახლში. მრავალი მწუხარება მომითხრეს: უკეთუ სტუმარი მომივიდეს, ანუ ნათესავიო, და საფენი მისი დავუფინოთო, მაშინვე აიღებს და არ დაგვანებებს. ფრიად შემანუხა მოთხრობამან სოლომანისამან. მე ვუთხარ: „ძმასა შენსა წავართმევ და შენ მოგცემ.“ მან მომიგო: „შენ რომ ნახვალ, მომკლამსო.“ ფრიად ცუდი

ძმობა არს, ერთი შაურიც არ მიუცია. იოანემ, ძმისწულმან თქვენმან, მთხოვა თქვენთან გამოსტუმრება. უკეთუ მიბრძანებთ, წარმოვგზავნი.

მქისიყში სიმრთელე გახლავსთ, გარნა⁸ ტფილისში, განჯაში და ქარბელექანში გაჩნდა ხოლერა, რომელიც ხოცს მრავალსა მასწრაფლად. მოსავალ[ი] ფრიად მრავალი და კეთილი გახლავსთ. სხვებ[რ], თქვენ კეთილ დღეობით ბძანდებოდეთ ჩვენთვის სანუგეშოთ და მზრუნველად.

მამაო, გთხოვ, მიბძანოთ, იოანე წარმოვგზავნო, თუ სიღნაღის სასწავლებელში მივაბარო, რომელიცა იხსნება სექტემბერში.⁹

დოდაევი

ავვისტოს 7-სა, 1830-სა, მაღარო.

იონა ხელაშვილისადმი №48

თქუენო¹ მაღალ ღირსებავ,² მოძღუარო³ იონა!⁴

წმინდასა და ნათლით შემოსილსა მარჯუენასა თქუენსა ვეანბორები და თქვენს უძვირფასეს[სა] სიმრთელესა ვისურვებ ყოვლითა გულითა ჩემითა და სულითა. ამასთან, მოვახსენებ⁵ თქვენს მაღალ ღირსებას ჩემს სიმრთელესა ყოვლითურთ სახლეულით და ყოვლითა მონათესავეთა თქუენთა.

სტამბა გავმართე დიდ ფრიად კარგა ქართულის ასობისა. ღრამატიკა იბეჭდება და, ამასთან, ინყების, უკეთუ ინებოს ღმერთმან და შეგვენიოს იგი, ლექსიკონიცა თქუენიცა, ეგრეთვე გამოიცემა ყოველსა თთუჴს ყურნალი ქართული, წელიწადში ათორმეტი წიგნი. გთხოვ, ჴელი მოანერინოთ ბატონისშვილებს და ბატონის რძლებს მიღებისათვის ყურნალთა. ამ ყურნალში იქმნება მოდაცა ქართველთა. ფასი მთელის წლისა არს ოცი რუბლი ასიგნაცია წარმოგზავნითა.

ბარბარე ბატონის შვილმა, ბაგრატ მეფის ძის ასულმან, თაყუანის ცემა მოვახსენათ. ყოველნივე სახლეულნი მათნი სიმრთელით არიან.

მუხრანის ბატონმა კონსტანტინემ გამომიცხადა, რომელ ჩემის შვილის იოანესაგან აღებულს ვალს მაშინ მოგცემო, როდესაც ვექსილს მომიტანო. ამის ინებეთ გამოგზავნა ვექსილისა ფოჩტით, შემდგომ მიღებისა ამის. ვიდრე ვექსილი არ მივუტანო, არას მოგვცემენ. მაშასადამე, საჭირო არს, რათა წარმოგზავნოთ აქა მისგან მოცემული ვექსილი. მე უთხარ: სულ ერთია, მე მივწერ მიღებასა ფულისასა და ვექსილს, თუ ინებებთ, თქვენ წარმოგიგზავნით, თუ არა, იქ ბატონის რძალთან დახევს. არაო, შენთან წარმოგზავნოსო, მოიტანე და ფული მიიბარეო.

ვსახებ, რომელ ოცს ჴელის მომწერს იშოვით მანდ ყურნალის მისაღებად. ეგრეთვე ვითხოვ, რათა ყოველთავე ქართველთა გამოვუცხადოთ, რომელ თჴსი თხზულება,⁶ ანუ გასჯა, რომელსამე საგანსა ჴედა,⁷ სტიხათ, გინა უსტიხოთ, წარ-

მოგზავნონ ჟურნალსა შინა⁸ დასაბეჭდად. ეგრეთვე გთხოვთ უმდაბლესად, რათა წარმოგზავნოთ ოდა ღთისა (ოდა ბოლა). ვგონებ, ქართულად ნათარგმნი აქვნდეს ბატონის შვილს მირიანს, თქუენ არ დაგიჭერს. გადაანერინეთ და წარმოგზავნეთ. ეგრეთვე მაცნობეთ სახელნი ქართულთა წიგნთა, რომელნიც მანდ ქართველთაგან შეთხზული,⁹ ანუ ნათარგმნი იყ[ვ]ნენ, სახელებიცა მთ[ხ]ზუველთა და მთარგმნელთა, განრჩევით, რომელს ნაწილს ეკუთვნიან: ღთისმეტყუწლებასა, ფილოსოფიასა, თუ ისტორიასა და სხუათა.

მომიტვეთ, მამაო სასურველო და უსაყუარელესო, ესრეთისა ვმელისა ავთრათისა და მოკლედსა მოწერა. დღეს ექვსი ჟამი კლასში მაქვს გარდასაცემად სწავლათა და ავთრათსა ამას გწერ დროსა სანოვაგისა მიღებისა და ვეშურები კლასშიაც. მშვიდობით. თქვენი სულიერი შვილი ს. დოდაევი

იანვრის 15-სა, 1831-სა, ტფილისით.

იონა ხელაშვილისადმი №49

უმადლესო¹ მამაო,² მოძღუარო³ იონა!⁴

უსაყუარელესო მამაო! მოქმედებათა მიერ⁵ თქუენთა, რომელთა მიერცა სული ჩემი მღვიძარეობს, ყოველი კეთილი საქმე სასარგებლოდ თავისა ჩუშნისა, მამულისა და ყოველთა მემამულეთა დაგვირგვინდების სრულითა წარმატებითა.

სიღნაღს სასწავლებელი გაიხსნა, გარნა იოანე, ძმის წული თქვენი, განწესდა ტფილისის ღმინაზიასა შინა⁶ თხოვითა ჩემითა თანთან.⁷ მე არას ვაკლებ, ყოველსავე საშუალობასა და ღონის ძიებასა ჩემსა ვაძლევ მწრაფლისა წარმატებისათვის. მცირეწლოვანი ძმა მისი ჯერეთ არ მოუყუანია, გარნა ჩამოიყუანს მოკლეს დროებში. ყოველნივე სახლობანი ძმათა თქუენთანი სიმრთელით გახლავან.

წარსულის ავთრათის პასუხს მოველი, რომელსაცა შინა მოგახსენე გარ[დ]მოგზავნა ხვასტაგთა⁸ კავკასიის აქეთ. ირწმუნეთ, მამაო, რომელს აქა აწინდელსა მდგომარეობასა შინა⁹

საქართველოსასა, უკეთუ კაცი მოიქცა კეთილგონიერებითა და შეუდგა საქმეთა კეთილთა და სასარგებლოთა, მიუცილებლათ მიიღებს ყოველსა სასურველსა, გარნა კრედიტურთა ძმათ საქმეთათვის საჭირო არს პირველისა დაფუძვნებისათვის საშუალობა, რომელიცა მდგომარეობს ფულთა შინა.¹⁰

თვით თქვენ განსაჯეთ კეთილ გულის წმიერებითა საქმე ესე, ვინააღგან ნიჭებულხართ ყოვლითა სიბრძნითა და განიხილავთ ცხადად და ნათლად. ქალაქში, ტფილისში, ყოველი შემძლებელი კაცი აშენებს სახლებს, მრავალნი რუსნიცა, სომეხთა თანა, ხოლო ქართველნი ვართ დაშთომილნი, გარნა სხუათა თანა მეც გამოვითხოვე საჯელმწიფო ადგილი მთავარმართებლის სასახლის სიახლოვეს, ოცდათერთმეტი საყენი სიგრძე და ოცდა ხუთი საყენი სიგანე.

უკეთუ ინებებთ თქუშნცა, ავაშენებ სახლებს და დუქნებს, რომელთაცა ფრიად მრავალი შემოსავალი ექმნებათ. ამ ადგილსა აქვს სააგურე. უკეთუ ინებებთ და შემენევით ხვასტაგითა,¹¹ რომელსაცა ოთხს წელს ერთი ორად აღვადგენ და დავსდებ დანიშნულებისამებრ თქუშნისა ადგილსა,¹² გავაკეთებ... გთხოვ, უმდაბლესად მაცნობოთ აზრი თქუშნი. განმრავლებითა ესრეთითა ხატითა შემოსავალთათა განმრავლ[დ]ების ბეჭდანი წიგნთანი¹³ და სხუანი. მუხრან ბატონის შვილის ვექსილი გთხოვე, რათა მსწრაფლად წარმოგზავნოთ¹⁴ და აქამომდე არა სჩანს. მამა მისი არას იძლევა უვექსილოთ. ინებეთ წარმოგზავნა ფოშტით.

ოსიფ იაკოლიჩის დუქნებისასა რას ბრძანებთ, ანუ თვითონ პატრონი რატომ არას ჰზრუნავს, რომ დაუქციეს?

მომლოდინე თქვენის ყოველთა გარემოებათა ცნობის, სულიერი შვილი თქვენი სოლომონ დოდაევი

თებერვლის 26-სა, 1831-სა წელსა, ტფილისით.

თქვენო¹ მაღალ ღირსებავ,² მოძღუარო³ იონა!⁴

უწინარეს ყოველსა, ვისურვებ უძვირფასეს[ს]ა სიმრთელესა თქვენსა, შემდგომ მოვახსენებ თქვენს მაღალ ღირსებას მდგომარეობასა და ვითარებასა ძმისა თქუჴნისა და ძმისწულთასა.

მარტის 6-სა ჩამოვიდა ძმა თქუჴნი სოლომონ ჩემთან ივანეს სანახავად, რომელმანცა მომითხრა ყოველივე მშვიდობა და სათნოება. ძმანი, რძალნი, ძმისწულნი და ყოველნი ნათესავნი თქვენნი მშვიდობით და სიმრთელით იმყოფებიან. იოანე, ძმი[ს]წული⁵ თქუჴნი, ტფილისის ღიმნაზიაში მივაბარე. სწავლობს კეთილად, გარდა მისსა, მე შინ ვასწავლი. შინელი შევეუკერე და ყოველნი საჭირონი სწავლისათჴს წიგნი მოვეუვაჭრე. აჰა, მიზეზი სიღნაღისა სასწავლებელსა შინა⁶ მიუბარებლობ[ისა]: მასწავლებელმან მის სასწავლებლისამან მთხოვა ასი ოქრო წელიწადში, ე. ი., ას ოცი თუმანი ასიგნაცია. მე ნაკლებს ფასად არავის მივიბარებო.⁷ ყოველს წელიწადს რომ ეძლიოს ას ოცი თუმანი, შეუძლებელ არს ჩუჴნგან. ამის გამო აქავე მივაბარე და თუთ ქ[ეო]დოროვნა[ს] და მე ვასწავლი[თ] საკუთრადცა, ხოლო ძმა ამისი მიხეილ ფრიად მცირეწლოვანი არის, ექვსი წლისა არის, შეუძლებელ არს ჯერეთ მისი სწავლისა დაწყება, არა რომელს სასწავლებელში ექვსის წლისას არ მიიღებენ. ყოველნივე მიებარებიან რვიდან თორმეტ წლამდინ.

მართალია, მე წარსულს ავთრათში მოგახსენე, რომ ჩამოიყუანეს ძმა თქუჴნი სოლომონ, გარნა ახლა ჩამოვიდა და მითხრა ესრეთ: მცირე არისო და დედას ვერ მოჰშორდებაო, მერვე წელიწადში როდესაც გადადგება, მიუცილებელად ჩამო[გ]გვრიო. მე თანხმა მისი შევიქმენ. მართალიც არის, ვითარცა ამტკიცებენ სხუანიცა ყოველნივე მსწავლულნი. თქვენც, საყუარელო მამაო, თანხმა შეიქმნებით, რომელ ესრეთს მცირეწლოვანსა არ უნდა დააწყებინონ სწავლა. თუთ თქუჴნ უწყით მიზეზი ამისი.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომელ მიხეილ, ძმის-
წული თქუწნი, შეწევნითა ღვთისათა განსწავლულ იქნების
ყოვლითა ჰსწავლ[ი]თა, უმჯობეს ჩემსა და სხუათა. ნურაო-
დეს წარმოიდგენთ,⁸ რომელ მე არა ვგრძნობდე⁹ კეთილობათა
თქუწნთა და მზრუნველობათა. მიუცილებელად აღვასრულებ
ყოველსა აღთქმასა ჩემსა, უკეთუ შემწე მექმნას მეუფე ღი-
დებისა. რაოდენიცა შეიძლება ჩემგან, დავზოგ მეცადინეობა-
სა შინა¹⁰ არა რომელსა ღონისძიებასა კეთილობათათჳს მათ-
და უმეტესად, რომელთაგან მე ვარ ესრეთსავე მდგომარეო-
ბასა შინა.¹¹

ავთრათთა თქვენთა მოუთმენელად მოველი ყოველსა
დღესა, ვინაადაგან იგინი სულსა ჩემსა მწყურვალესა ჰზრდიან
ტკბილითა მანანათა – გოლითა. წარსრულთა ავთრათ[თ]ა
შინა¹² ჩემთა გთხოვე სახელნი თქვენთა თხზულებათანი და
სხუათაცა წიგნთა¹³ ქართულსა ენასა ზედა¹⁴ თხზულთა, რო-
მელნიცა საჭირონი არიან ჩემთჳს ისტორიასა შინა¹⁵ ქარ-
თველთა¹⁶ მწერალთასა და საკუთრად ისტორიასა შინა¹⁷
თქუწნსა. ეგრეთვე იყ[ვ]ნენ სხუანიცა ვედრნი, მიბრძანეთ, ვი-
თარ ინებეთ.

მე, თქვენის ლოცვით, მშვიდობით გახლავარ სახლობი-
თურთ. თქვენი სულიერი შვილი სოლომონ დოდაევი

1831 წელსა, მარტის 14 დღესა.

იონა ხელაშვილისადმი №51

ქრისტე აღზდგა!

თქუენო მაღალ ღირსებავ მღუდელ-მოძღუარო,¹ მამაო²
იონა, უუმონყალესო ჳელმწიფე!

ოჰ, თუ ვითარითა სიხარულითა წარმოვიტყვი ლექს[ს]ა
ამას „ქრისტე აღზდგა“ და მოულოცავ თქუწნსა მაღალსა ღირ-
სებასა დღესასწაულობითსა დღესა ამას. სიხარული გამოიხა-
ტების გულსა შინა³ ყოვლისა ქრისტიანისასა და უმეტეს ხა-
რისხად ჰგრძნობს კაცი იგი სიხარულსა და შუშბასა, რომელი-

ცა ახლოს არს ქრისტესა თანა. უკეთუ ვსჰწერდე სხუასა და არა თქუჲნ, მაშინ ძალმედუა სრულებით წარმოდგენა დღისა ამის, ხოლო, რა ვჰსწერ კაცსა ბრძენსა და მეცნიერსა, მახლობელსა ქრისტეს თანა, თანამდებ ვარ მხოლოდ თქმად: მოვმლოცველობ და ვისურვებ სულითა განგრძნობასა წელთა თქუჲნთასა სიმრთელით და კეთილდღეობით და ვევედრები მას, ვითარცა ყოველსა დღესა, რათა დაგიცვასთ სიცოცხლით ორკერძოსა ცხოვრებისათჳს ამას სოფელსა შინა,⁴ ფსალმუნისამებრ ბედნიერებისათჳს ჩუჲნ სულიერთა შვილთა თქუჲნითა და შემდგომ საოხად სულთა ჩუჲნთა ყოველთა წმიდათა თანა.

დიდმარხუაში წარმოვიდა თქუჲნის ძმის, სოლომონის, სიძე პეტერბურღში, უკანასკნელ კვირაში. მე მრავალი ვურჩივე წამო[უ]სვლელობა და ვჰკითხე საგანი, რისთვის მისდინხარ. არც მითხრა და არც დამიჯერა. მე მივდივარ ბატონის შვილებთანაო, საქმე მაქვსო. მე მრავალნი მიზეზნი წარმოვუდგინე, რომ ტყუილი შრომა გექნება, გ[რ]ძელი გზა არის, იქ ვინ გაცხოვრებს, მამა იონა აქა მობრძანდება, ბატონის შვილები სხვა ლუბერნიაში მიბრძანდებიან და სხუანი. გარნა არა რაა შეისმინა ჩემგან და წამოვიდა. ეგე ვითარი უსმენელი ღირს არს უკანვე წარმოგზავნისა⁵ ეგრეთითავე ხატითა, ვითარცა წარმოვიდა თქუჲნის უკითხავათ. სხუშბრ, იყავნ ნება თქუჲნი.

ძმის წული თქუჲნი იოანე აღდგომის კვირაში შინ დამეთხოვა. მეც ვაპირებ სასწავლებლების განსაჩხრეკათ⁶ სიღნახს და თელავს ამ კვირას წარსულას. ყოველსავე გარემოებასა საქმეთა ჩემთასა და მდგომარეობასა ჩემსა, ეგრეთვე სახლეულთა თქუჲნთასა წვლილათ მოგახსენებ შემდგომ კახეთიდამ უკუნმოქცევისა ჩემისა.

მთავარმართებელი ჩუჲნი ივან ფეოდოროვიჩი, ღრაფი პასკევიჩი ერივანსკი, დღეს გამობრძანდება თბილისიდამ ს. პეტერბურღად. მონყალე, მზრუნველი და სწავლის მოყვარე, არღა ვუნყით, უკეთუ მოვაკლდეთ გმირსა, მფარველსა ჩუჲნსა, იყავ ნება უფლისა საქართველოსა ზედა.

მამაო საყუარელო და სასურველო! მიბრძანე ყოველივე ვითარება თქუენი, მახარეთ ამბითა თქუჲნითა გულის ჩემი-

სათუხს სასიამოვნოა. გარდამოავლინეთ კურთხევა თქუჴნი მწყურვალსა სულსა ზედა ჩემსა და ჰყავნ შენდობა კაცობრიობისა ნაკლებობისა, უკეთუ იხილოთ აზრთა შინა ჩემთა. მშვიდობით.

სულიერი შვილი თქუჴნი ელენა, მემცხედრე ჩემი, მოგილოცავსთ დღესასწაულსა აღდგომისასა და თქუჴნს სიმრთელეს ისურვებს.

თქუჴნის მაღალღირსებისა უუმორჩილესი სულიერი შვილი თქუჴნი სოლომონ დოდაევი

აპრილის 28-სა დღესა, 1831 წელსა, თბილისი.

იონა ხელაშვილისადმი №52

ნმინდისა და მაკურთხეველისა მარჯუჴნასა ზედა¹ თქვენსა ვეამბორები და სულით ვისურვებ თქუჴნსა სიმრთელესა და მრავალსა წელსა სიცოცხლეს, ვინაადგან² ყოველივე კეთილი მდგომარეობა და ცხოვრება მაქვს თქვენგან და შემდგომცა მოველი ამას. ყოველი კაცი ესრეთ ჰზრახავს.³ აჰა, ჰაზრი,⁴ რომელიცა განმეცხადა დიდსა შეკრებულებასა შინა და თუთ მე ამას ვგრძნობდი და მარადის ვჰგრძნობ, მხოლოდ ეს მენუხება, რომელ ვერ შემძლებელ ვარ თანასწორისა მადლობისა გამოთქმად დიდ ფრიადთა მონყალეებათათუხს, მზრუნველობათათუხს, კეთილობათათუხს, მფარველობათათუხს.

შანშე⁵ ერისთავთან და სხუათა თავადთა და აზნაურთა მეცა ვიმყოფებოდი სტუმრად მინვეული. მუნ შემოვიდა დეკანოზი აარონ, რომელიცა⁶ შემდგომ რაოდენისამე წამისა შეუდგა ფარულად გამოკითხვას შინა⁷ ჩემსა და მოვიდა. ინყოკოცნა ჩემი. შენ ხარ ნაშვილები მამა იონასიო? – მკითხა. მიუგე – მე ვარ შვილობილი. ღმერთმან გაკურთხოსო, – სთქუა ამან. მამა იონა არს ბრძენი. შენს მოსვლამდე მრავალნი ქართველნი იყ[უ]ნენ და არავინ იშვილა, შენ შორის იხილა მან შიში ღვთისა და სიბრძნე, ამისთუხს გიშვილა. მრავალი წარაგო

შენს ჰსწავლაზედ და ყოველი მოგებული თვისის კონდაკით შენ მოგცა და ყოველი შენთვის უნდა. ეს სრულიად საქართველომ იცის. ძმებიცა ჰყავს, ძმისწულნიცა, გარნა ურჩნი.

ღმერთმან აკურთხოხს მამა იონა, ღმერთმან გაკურთხოხს, სოლომონ დოდაევ, და სხუანი. შემდგომ იწყო ძმისა თქვენისა შემთხვეულებანი, თუ ვითარნი მწუხარებანი მოგცათ, თუ ვითარ მე მემუქროდა და სხუა. საგნად საუბრობის შეკრებულებასა შინა⁸ შეიქმნა თქვენი⁹ და ჩემი სიყუარული ურთიერთა შორის. მე აქამომდე აარონს ვერ ვიცნობდი და ვერცა იგი მემრავალჯერ მსუროდა შენთან მოსვლა, შენი გაცნობა, – მითხრა მან. მე ვსთხოვე, ინებებდეს მობ[რ]ძანებასა და სხუანი.

მოდღვარებათათჳს, მამობრივთა სიყუარულთათჳს და სხვა. მე სრულებით ყოველი თვისით თქვენგან ვარ და თქვენი ვარ. გარნა განმაკვირვა¹⁰ დაგვიანებამან თქვენის ავთრათისამან. განვლო მრავალმან დრომან და არ მივიღე ცნობანი თქვენის ვითარებისანი. დამივიწყეთ, მამაო საყუარელო? ნუ ინებოს ღმერთმან, არა რომელსა შემთხვევასა შინა¹¹ არა მოველი მე ამას, რომელ თქუჴნი ინებოთ ჩემი დატევება, დავინწყება, ვინაჲდგან თქუჴნი ვარ და თქვენგან ვცხოვრებ და დიდნი იგი მოწყალებანი და კეთილ მოქმედებანი, რომელთა მიერ მე ვსარგებლობდი და ვსარგებლობ, არ განიკვეთებიან, არამედ განგრძელებიან და განმრავლებიან უმეტეს აღმოცენებად ნაყოფთა.

უსაყუარელესო მამაო! ორი კვირა მგზავრ[ა]თ გახლდი¹² გორს და დუშეთს, ამასთან, მთიულეთს, სადაცა ვიხილე მთიერნი, ვსცან თჳსება მათი, ზნე და მდგომარეობა და აღვწერე გაზეთებისათვის. დროსა ამას იყო დღესასწაული წმინდის გიორგისა, ლომისად წოდებულისა, 12-სა ივნის[ს]ა. ვილოცე მთასა ზედა¹³ ლომი[სი]სასა და მოვიქეც ქალაქად. გზაზედ ვგონებდი, რომელ, მოვალ რა, დამხვდება თქუჴნი ავთრათი, გარნა არა შევწუხდი. ავიღე რა კალამი, გწერ ავთრათსა ამას და ვის გწერ და ანუ¹⁴ გეზრახები!

ჰოი, მამაო! ნუ დამივიწყებ, მახარე ამბითა თქვენიითა.

მქისე[ი]ყიდგან არავინ მოსრულა და სახლეულთა ჩუჴნთათჳს არარაჲ ვუნყი. მომავალსა კვირას გაიხლები მუნ

და ყოველსავე განცნობებ ძმათა და ძმისწულთა თქუშნთათვის. მე სიმრთელით გახლავართ სახლობითურთ.

რომელიც თქუშნთუს,¹⁵ ცენზურობის პრაექტი, მთავარმართებელმან წამოიღო და არ ვიცი, მალე დაამტკიცებენ თუ არა. მაგას ველით. რა რომ მივიღებთ, მყის მე ლექსიკონის ბეჭდას ვიწყებ.

მშვიდობით. თქვენი სულიერი შვილი
სოლომონ დოდაევი

ივნისის 19-სა დღესა, 1831-სა წელსა.

იონა ხელაშვილისადმი №53

თქუშნო მაღალ ღირსებავ, მღუდელ-მოძღუარო,¹ მამაო იონა! უუმონყალესო ჳელმნიფევ და მზრუნველო!

წმიდასა და მაკურთხეველსა მარჯუწნასა ზედა² თქუშნსა ვეამბორები და სიმრთელესა თქუშნსა ვისურნებ გულითადიერ.

ოჰ! რა მწუხარებაში ვარ მსმენელი გამოჩენილისა ხოლერისა. მგლოვარე გულითა ვევედრები მეუფესა ყოველთასა, რათა დაგიფაროთ თქუშნ. ყოველსა წამსა, მღვიძარე და მძინარე, გამოხატვასა შინა³ მაქუს გარემოება თქუშნისა მდგომარეობისა და ვევედრები და მით ნუგეშსა ვცემ თავსა თვისსა.

აქამომდე, შემდგომ მანდ ხოლერის გამოცხადებისა, მოველოდი ავთრათსა თქუშნსა და ვერ მივიღე, ხოლო მე ვიყავ დაშთომილ მდუმარედ ლოცუასა შინა.⁴

მშვიდობით, ღმერთმან დაგიფაროსთ განსაცდელისაგან.

გევედრები, მიბრძანო, მამაო უსაყვარელესო, ყოველი ვითარება და გარემოება თქუშნი და ძმისა ჩემისა სტეფანესი, რომლისაცა მფარველათ, ნუგეშად და მზრუნველათ თქუშნ ბრძანდებით. ჩუშნ ყოველნივე თქუენნი აქ, საქართველოსა შინა⁵ მყოფნი, სიმრთელით და სიცოცხლით გახლავართ. ეგ-

რეთუშ საქართველოსა შინა⁶ მშვიდობა არის და კეთილდღეობა. ღმერთმან⁷ ინებოს მანდაც ყოველი კეთილი და თქუშნ გამოგისნათ⁸ უფალმან ყოვლისა სნეულებისაგან.

[მ]შვიდობით იყავნ წყალობა უფლისა თქუშნ ზედა,⁹ ვითარცა მე ვესავ მას. მშვიდობით, თქუშნი სულიერი შვილი სოლომონ დოდაევი

ოსიპ იაკოლიჩის დუქნების¹⁰ ნამდვილი დოკუმენტები გამოგზავნეთ, კოპიოს მთავრო[ბა] არ ერწმუნება. კუალად¹¹ მითხრეს, რომ დუქნები კი არ არს დაგირა[ვ]ებული, მხოლოდ დოკუმენტები მიუციაო.

ივლისის 30 დღესა, 1831 წელსა, თბილისი.

ოქროპირ ბატონიშვილისადმი №1

თქუშნო უგანათლებულესობავ, საქართუშლოს მეფის ძე
ოქროპირ, უმონყალესო ჳელმნიფევე!

მდაბლად თავის დაკვრას და ჳელზედ კოცნას მოგახსენებ, თქუშნს უძვირფასეს სიმრთელეს ვისურვებ ყოვლითა სულითა ჩემითა და მრავალს წელს სიცოცხლეს. ბატონიშვილო! არ ვიცი, რომელი დრო იქმნება, განგრძელდება ეს დრო, თუ ახლო არს, რომელსაც ყოველი გონება ჳზრახავს მოძრაობასა შინა და მოქმედებასა არს... როდის გიხილავთ მამულსა შინა. თუმცა აქამომდე გახლდი მდუმარე და არ ვაცხადებდი წინაშე უგანათლებულესობისა თქუშნისა სიყუარულსა თქუშნსა, გარნა ამის გამო ნუ ჳგონებთ, რომელ თქუშნ დავინყებული ჳბრძანდებოდეთ ჩემგან. მე ყოველთვის მახსოვხართ და მაქვს გულსა შინა დამარხული წინადადებანი თქუშნნი ყოველსა დროსა შინა სწავლათა გარდაცემისასა.

ამ წიგნის მომრთმევი გახლავსთ მღვდლის შვილი, ამისი მამა ბატონისშვილს ალექსანდრეს ახლავს. ეს გიახლებათ ჳე-

ტერბურ[გ]ს ფარნაოზ ბატონისშვილთან და ინებეთ, უბრძანოთ თქუჴნს მოსამსახურეთ, უჩვენონ გზა წარსვლისა.

უკეთუ ინებებს თქუჴნი უგანათლებულესობა და მაბედნიერებს ამბითა, ჩემთჴს იქმნება დიდი სიხარული.

თქუჴნის უგანათლებულესობისა მოწყალისა ხელმწიფისა მარადის მსურველი სიმრთელისა, უმორჩილესი მოსამსახურე და მონა სოლომონ დოდაევი

სექტემბრის 18-სა, 1831-სა, ტფილისი.

ფილადელფოს კიკნაძისადმი №3

მამაო ნმიდაო ჭილადელქოს!

უსასიამოვნესი წერილი თქვენი მებოძა, რომელმანცა ფრიად მახარა უძვირფასესი სიმრთელე თქვენი. თქუენის საქმისა მე წარსრულს წელს მოგწერე და არ ვუწყი, მოგერთვათ თუ არა? არქიერთან რაოდენჯერმე გახლდათ დირექტორი, გარნა არ ინება, წარმოედგინა მიზეზნი სხუა და სხუანი. შემდგომ არ ვიცი, რა იქმნება. გაზეთები და ჟურნალი გამოდის, წელიწადში რუა მანეთი თეთრი ფული გახლავსთ იმისი ფასი. უკუეთუ თქვენ აღწერთ რასმე სტიხად თუ პროზად, დაჰბეჭდენ ჟურნალებში. მე გირჩევ იყიდოთ ამისთვის, რომელ მრავალი სასარგებლო აღწერა იქმნება იმაში და უკუეთუ თქვენ შეჰნიშნავთ რასმე ცუდსა, ძალგიდსთ წინააღმდეგომი დასწეროთ, რომელიც დაიბეჭდება.

ორს ნომერს ეხლავე გიგზავნი. რუა მანეთი გამოგზავნეთ. თუ გნებავდესთ, მანდაურს ნაჩაღნიკს მიართვით და ის გამოჰგზავნის, რათა შემდგომი ნომრებიც კომიტეტმა გამოგიგზავნოს, სხუათაცა ჰსთხოვე და კიდევ ეცადენით, რათა ჴელი მოაწერონ. მე ფრიად დამავალებთ ამისთვის, რომელ ცოტანი არიან ჴელის მომწერნი და ხარჯი მრავალი უნდა. თუ დადგეს, დაბეჭდუა მთავრობისაგან ქართველთათვის სირცხვილია, როგორ არ უნდა ვისურვოთ ენის განმდიდრებისათვის, მამულის დიდებისათვის და გონების განათლებისათვის ესრეთი სასარგებლო საქმე.

გთხოვ, ეცადნეთ, ათიოდ მსურველი იშოვოთ. თუ მეტს იშოვით, უფრო უკეთესი, ნურვინ დაჰზოგავს რუა მანეთს. ყოველთავე ურჩიე. თქვენი და ელენა მდაბლად თავის დაკვრას და ხელზედ მთხვევას მოგახსენებს, ვანაცა ეგრეთვე.

ჩუჴნ ყოველნივე სიმრთელით გახლავართ. თქვენს ამბავს ნუ დაგვაკლებ.

თქუენი მეგობარი სოლომონ დოდაევი

თებერვლის 6-ს, 1832 წელსა, ტფილისი.

[დაკეცილი წერილის მეორე გვერდზე ავტორის ხელით მიწერილია]

უფად მასღა მასოვს არა იქნებო
ეს, არს ეს ხათა ვის რ

იქნებო ეს უფადი

უ წესა ზედა ყთიო

ნებავსთ ნებავსთ წარა ცნებათ თვა

ნებავსა ^ტ ლაქსაუ ვაგზასა

ეს,

ეს იქნებო
ხათათი უფადი

ფილადეფოს კიკნაქისადმი №4

საყვარელო ფილადეფი!

მცირედ შეუძლოთ გახლავარ და ამისთვის არ ძალმიძს ხლება, უკუწითუ ინებებთ და თქუწნ აქ გამობრძანდებით, დიდად დამავალებთ და სასიამოვნოთაც განვატარებთ დროსა.

თქუწნი მყვარებელი სოლომონ დოდაევი

ნიკოლოზ ბარათაშვილის

წერილები



გრიგოლ ორბელიანისადმი №1

Его Сиятельству, Милостивому Государю
Григорию Орбелянову

Дражайший дядя!

Я получилъ ваше пис[ь]мо, съ которымъ я очень обра-
довался, и жслаю вамъ всякаго благополучия, что васъ видеть
здоровымъ. Но, что о своихъ успехахъ писать, когда вы самы
знаете; а [и]нструменты ежели пришлете, очень благодарень
буду. Чтожь дал[ь]ше писать, дрожайший дядя, только что
желать васъ благополучнымъ съ частливымъ и проч.

Имею честь, прибыть любящий васъ племянникъ Н. Ба-
ратов.

[1831 წლის 3 სექტემბერი]

მის ბრწყინვალეობას, მონყალე ხელმწიფეს,
გრიგოლ ორბელიანოვს

ძვირფასო ძია!

მივიღე თქვენი წერილი, რომელმაც ძალზე გამახარა. გისურ-
ვებთ ყოველივე ბედნიერებასა და ჯანმრთელობას. ჩემს წარმატე-
ბებზე რალა მოგწეროთ, რომელიც თქვენც იცით. თუ ხელსაწყობს
გამომიგზავნით, დიდად მადლობელი დაგწერებთ. მეტი რალა მოგ-
წეროთ, ძვირფასო ძია! ვისურვებ თქვენს კარგად ყოფნასა და ბედ-
ნიერებას და სხვ.

დავშთები პატივისცემით თქვენი დისწული ნ. ბარათოვი.

[1831 წლის 3 სექტემბერი]

ბრიგოლ ორბელიანისადმი №2

ტფილისი, გარეთუბანი, 1837-სა წელსა, თებერვლის...
საყუარელო ძიავ!

გთხოვთ, მომიტეევთ ესდენს ხანს ჩემგან მოუწერელობა; ეს გარემოების ბრალია: ხან არ ვიცოდი ადგილი, თუ სად იმყოფებოდით, ხან საქმეებში გავერთოდი სამსახურისა გამო¹ (я чиновникъ экспедиціи суда и расправы) და ამობაში ორბაბათი გამომეპარებოდა ხუალმე, როდესაც მანდაური ფორტა მოდის. ასე, ძიავ, ვიცი, მომიტეევებ.

აგერ, წელიწად ნახევარია, რაც მე გიმნაზიაში კურსი დავასრულე და ვიმყოფები სუდაირასპრავაში. წარდგენილი ვარ ჩინზედ და ჩქარაც მოველი, მაგრამ უნდა აღვიარო, რომ არც პანციონში ყოფნის დროს, когда быдушнось моя представлялся мне в радужныхъ мечтаніяхъ", და არც მერმე, ვიდრე სამსახურში შევიდოდი, სულ არ მომსვლია ფიქრად სამოქალაქო სამსახური: ჩემი სურვილი იყო ჯარის-კაცობა, იგი მზრდიდა მე აქამომდენ და ახლაც ხანდისხან კიდევ შთამომეპარება ხუალმე გულში. მაშ, რალამ დამიშალა, თუ კი ჩემი სურვილი იყო? აი, რამ დამიშალა: ჩემთა მშობელთა მიზეზად ეს მომიდეს, რომ კოჭლი ხარო და, თუ არ ინვალიდის კომანდაში, სხუაგან არ მიგიღებენო. მაშინ, როდესაც ფერჯი უკეთ² მქონდა და კარგადაც მაქვს. ასე რომ, ჩემებურად კიდევ ვჰხტი და კიდევ ვტანცაობ. მაგრამ, რადგანც შევიტყე უარი მათი და მით უამოვნობა, ვჰსთხოვე უნივერსიტეტში მაინც გაგზავნა, რომ, თუ შტატსკი ვიყო, ვიყო... არც ეს შემისრულეს. უბედურებისა გამო³ მამაც ამ დროს ავად შეიქნა და ავადმყოფი ჩემს თხოვნაზე ასე მეტყოდა: „შკლო, ხომ ჰხედავ შენის სახლის გარემოებასაო, იქნება მე ველარც კი გავანოო ამ სნეულებასაო, შენს სახლს არ უპატრონებო?“ ამის⁴ შემდეგ გული აღარ იყო, რომ კიდევ შემეწუხებინა მამა ჩემის თხოვნით. დავრჩი ისევ ჩემს მამულში, განვჰსწესდი სამსახურში და დაუმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა, თუმც ხანდისხან ჯავრით დავაპირებ ხუალმე მასთან შებმას: ან ჩემი ბედი

და ან ჩემი სურვილის აღსრულება. რადგანაც ასე მოხდა, მაშ აქ ეკსპედიციის კარგს ადგილს ვერ ვიპოვნე. უნდა მართალი ითქვას, რომ ეს ადგილი ყრმანვილის კაცისათვის, ვისაც კი სამოქალაქო სამსახური უნდა, პირუტყლი შკოლაა; ეს არის. რომ *кругъ чиновниковъ не выгоденъ для образованія нравственности,**** მაგრამ ეს თავიზედ არის დამოკიდებული.

ამისთვის გაცნობებთ ჩემს ვითარებას, რომ ჩემი აქ დარჩომა სიზარმაცეში არ ჩამომართოთ, ღმერთმა დამიფაროს! ეგ თვისება სხვსაც მეჯავრება. ჭეშმარიტად არა, ზარმაცი არა ვარ, მაგრამ რა ვჭენა, რა გაენყოფა სოფლის ბრუნვას... მახლას!..

ამ წარსულს ზაფხულში, ერთს შუტნიერს, მთვარიანს ღამეში ყაბახზედ დავიარებოდი, სადაც მისმან შუტნიებამ, სატრფოთ მარაქამ, მათმან უნინდელებერ კიდევ დარდიმანდობამ სრულიად განატყბეს სახედუტლი, აღმიტაცეს ფიქრნი, წარმიღეს გონება! კოჯრის ნიავის ქროლაზე, ძიავ, მერნმუნენით, თქუტნ მომაგონდით, მაშინ მომაგონდა: „განცეცხლებულთა ღვინისგან შუბლთა კოჯრის ნიავი განგვიგრილებდეს“ და მაშინვე განვიზრახე, რომ ამ ღამეს უთუოდ აღვწერ და გაუგზავნი ძია გრიგორის მეთქი და კიდევ აღვასრულე; მით უფრო ჩქარად, რომ ერთმა საგანმა პირველ დამასო გულს კაეშანი.

შენი არს ყაბახი, ძიავ, შენ გიყუარს იგი და ამისთვის მასზედ წარმოებული შემთხვევაც შენ მოგეძღვნის. აი:

ძიავ, ყაბახი, სამშობლო შენი,
წაგართო ავის ენისა გესლმან;
სატრფონი მისნი შემოგარენი
გარდახვენილსა დაგიხშო ეტლმან!
მაგრამ გაჩნს კიდევ გულში მის არე;
გიყუარს ყაბახის კარგიც და ავი,
თუმც უცხო და შორს თემად იარე,
მრავალი კარგი ჰნახე ამბავი.
მაგრამ რას ჰხედავ ან კრული ჩრდილოს?
აჰა, ის ღამე, ოდეს სატრფონი
ალამაზებდენ შენს ყაბახს ამოს,
შენი სიყრმისა თანზრდილნი, ჰსწორნი!

ლამე ყაბახზედ

მიყუარს, ყაბახო, მყუდროება ღამისა შენის,
თალხად ბნელისა მაისის დროს ნყნარის და ტფილის,
ბევრჯერ მინახავს სახე შენი შუჭნიერებით –
ძუჭლის ახალთან, ახლის ძუჭლთან შენობაებით;
მაგრამ უმეტეს მიყვარს ღამე, როს მთვარე შუქით
მოჭვენს შენს არეს, თვით ბუნებით სავსეს სიამით,
და მომდინარე მჭველებითა ხუვილით მტკვარი
ზვირთთა ალატყუტვლს შორით სმენად დასამტკობბარი!
ამ გუარი იყო ის ღამეცა, ოდესცა გარე
ფიქრით მოცულმან ჩუჭულებრივ ყაბახს ვიარე,
სადაცა მწყობრად დარაზმულნი აქა-იქ ქალნი
პირად-პირადად სეირნობდენ კეკლუც მოსილნი,
და მათ გარემო შეჭფრფინვიდენ ყრმანვილნი კაცნი,
ზოგნი დამძნილნი, ზოგნი ტრფიალ და ზოგნი ანცნი.
თვითონ ცის მთვარეც მონინებით ღრუბელთ ეფარა,
რომ ქუჭყნის მთვარეთ შეეტრფოდენ და მას კი არა! –
„ჰსთქვ რამ,“ – იტყვიან, – „ყაფლან, ყაფლან,“ ზოგნი
ქალები,
„თუნდ თავსა უფლად; ახლა პრანჭვას ნუ კი მოჰყვები,“
ყაფლანც მორჩილი სატრფოთა მათ დაილილინებს,
გულის საკუდავად და თან-და-თან ყელს მოიღერებს.
ვის არ გსმენიათ მის ღმობით თქმა, როს მყის სევდები,
კეკლუცნო ქალნო, არ აგშლიათ გულად მკვდრები?
კილოს და კილოს ხორხში ამოდ დაირაკრაკებს,
და მას ნიავი არე-მარეს შეამუსიკებს.
უეცრად მარჯუნივ დავინახე თეთრკაბიანი,
მათ შორის მდგომი, ვინ მიმჰჰადა მჰსწრაფლად
ცნობანი,
არ ვიცი, ამ დროს რად აღვიგზენ უფროს ცეცხლისა,
სად არს გაბედვა, სად არს ძალი გრილის გულისა?
ვნახე სადღაცა ქალთ კრებაში როდისღაც ერთი,
მას აქეთ⁵ თვალი ველარ მოვჰკარ და ახლა ერთი

ჰსდგას აქა მწყაზრად, ვით ქურციკი ვეფხვთა შორისა; ყელი ყელყელობს, დამფანტველი მსწრაფლ გონებისა! თვალი შემასწრო მან ამ დროს მე და შემომლინა; ამან გამამხნო – და გულს-ძგერით წარეჰსდეგი წინა. და ასე ვუთხარ: „ნეტარ რომე მეღირსა კუალად სანატრი ჩემთჳს ნახვა თქუწნი ან მხიარულად.“ „გმადლობთ, – მითხრა მან, – რომ თქუწნ მანინც გახსოვართ კიდევ,

ახლა მოდაა: ვინც ვის იცნობს, ივინყებს ისევ.“ „დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ვერც მოდები ვერ მამიშლიან თქუწნსა ხსოვნას და ვერც დროები.“

ამა სიტყუაზედ ვარდი ღანვთზედ მყის აეფურცლა, ამ დროს ნიაგმანც თეთრი კაბა მიმოუქროლა.

და – ბუდეშური მის ფეფები ღამაზად მოჩნდა, რომელთ სიამით ცნობა ჩემი მიმჰჳადეს თჳსდა.

ამ დროს მთოვარემც შუქს მის ხალი აღუგზნობინა, რომელმან ჩემს გულს სანდომობით შუცბა მოჰფინა.

მაგრამ სხუა მუნით მიიჰჳმობდა სატრფოსა ქალსა, რომელი მყისვე მიეფარა, ნათელი – თვალსა!

ძიავ, ეს ლექსები, დიდი ხანია, დანერილი მქონდა, მაგრამ ფოჩტას ვერ ვანდე კიდევ, რა ვიცი, როგორ მომხდარიყო, იქნება, დაკარგულიყო⁶ და მერმე: 3.

„არ ვინ იცის, რა გამოვა რისაგან.“

სხუცბრ, გთხოვთ, თქუწნის წიგნით მასიამოვნოთ რაიმე, იგი ჩემთჳს ძვირფასია. მშვიდობით! ღმერთმა ინებოს, რომ კუალად მამულში გიხილოთ.

თქუწნი უმორჩილესი ნ. ბარათაშვილი

⁶ მე ვარ მოხელე სამართლისა და განჩინების ექსპედიციისა.

⁷ როდესაც ჩემი მომავალი წარმტაც ოცნებებში წარმომიდგებოდა.

⁸ მოხელეთა ნრე არ არის შესაფერისი ზნეობრივი განვითარებისათვის.

მისიონერული მუშაობის აღწერა №1

6-го августа, 1838,
г. Тифлисъ

Милый другъ! Не пеняй меня за молчаніе. Право, въ нашемъ скучномъ отъ жаровъ, душномъ отъ пыли городе негъ ничего любопытнаго. Я оживляюсь только по вечерамъ луннымъ, такъ прекраснымъ въ Тифлисе! Вчера, въ одинъ изъ этихъ вечеровъ, пошелъ я бродить къ Московской заставе; вдругъ я очутился на кладбище. Признаюсь, немного смутился, когда я взглянулъ на это онемение: 11-ть часовъ ночи. Ни души! кругомъ пустота вечная; луна тускло освещаетъ могилы, какъ догорающая лампада усопшаго. Тихо и медленно протекаетъ Кура, какъ будто боясь нарушить покой въ этомъ уныломъ мире... Ты теперь въ раздолье, и я не хочу смущать тебя мрачными думами, которыя навело мне на душу это зрелище небесно-земное! Но скажу, что прекрасное изобретение кладбище, а это необходимо, чтобы смертный порой читываль бы по нему свою жизнь: утешение несчастнаго - конецъ счастью!

Ну, обратимся къ тебе. Спасибо, братъ, за письма, за удовольствіе. Последнее изъ нихъ читали мы съ Захаріемъ Орбеліановымъ. Это было критика, или лучше посланіе къ сочинителю „ასტრა“.

Прекрасно! Только, кажется, оно не достигнетъ цели, то есть, ты не узнаешь, кто это неведомое „ასტრა.“ Это тайна сочинителя. Онъ писалъ ни для тебя, ни для света; писалъ для нея одной; Она его понимаетъ и онъ этимъ доволенъ. Чтожъ ему больше? Нужды нетъ, понялъ ли ты его или нетъ? Мы все знаемъ только, что предметъ украшаетъ стихи. А если хочешь знать одно только значеніе слова „ასტრა“, то это очень просто: оно взято съ французскаго *astre*, которое по нашему, ძმათ თავუაბა, значить: „მთიებში“. ასე, ჩემო ბატონო!

Скажу тебе новость, თუ არ გაჯავრდები. Я еду сегодня всчеромъ въ д. Цкнети¹, зачемъ? А затеми, что она тамъ. Мать ея просила меня провести с ними несколько дней. Каковы должны быть эти дни? Ахъ? მაშ, მოჰკვიდი, ბზ!

Однакожь кончимъ беседу, а то прозеваю на почту. Ты знаешь, я не люблю заготовлять заранее письма.

Прощай, пустынный Алазанской долины! Поведай мне, что нибудь о дсве твоей долины!

всшь твой Н. Баратовъ

P. S. Не успель написать особо къ Варламову. Если увидишьсѣ съ нимъ, скажи ему, что дело его обработано, какъ онъ хотель, и представленъ къ чину. Пусть теперь примирится с светомъ.

6 აგვისტო, 1838.

ქ. ტფილისი.

საყვარელო მეგობარო! ნუ გამიჯავრდები დუმილისათვის. მართალი გითხრა, ჩვენს ქალაქში, რომელიც სიცხეებისაგან მოსაწყენი გამხდარა, ხოლო მტვრისაგან – სულის შემხუთველი, საყურადღებო არაფერია. მხოლოდ თბილისის მშვენიერი, მთვარიანი საღამოები გამომაცოცხლებს ხოლმე! გუშინ, ერთ-ერთ ამგვარ საღამოს, წავედი სახეტილოდ მოსკოვის საგუშაგოსკენ. უცებ სასაფლაოზე აღმოვჩნდი. უნდა გამოგიტყდე, ცოტა შეეშფოთდი, როცა თვალი მოვაველე ამ უდაბურებას: ღამის 11 საათია. არც ერთი სული. ირგვლივ მარადიული სიცარიელეა. მთვარე საფლავებს მკრთალად ანათებს, როგორც მბუჟტავი ღარპარი მიცვალებულისა. წყნარად და ნელად მოღელავს მტკვარი, თითქოს ეშინია, დაარღვიოს მყუდროება ამ მჭმუნვარე ქვეყნისა... შენ ახლა გალალელებული ხარ და არ მინდა, შეგაშფოთო შავ-ბნელი ფიქრებით, რომელიც გამოიწვია ჩემში ამ ზეციურ-მინიერმა სანახაობამ! გეტყვი კი, რომ მშვენიერი გამოგონებაა სასაფლაო. იგი

აუცილებელიცაა, რათა მოკვდამა მასში ხანდახან თავისი ცხოვრება ამოიკითხო: ნუგეშისცემა უბედურისა, ბედნიერების დასასრული!

ახლა კი შენ მოგმართავ.

გმადლობთ, ძმაო, წერილებისათვის, სიამოვნებისათვის. ბოლო წერილი მე და ზაქარია ორბელიანმა ერთად წავიკითხეთ. ეს იყო კრიტიკა, ანუ უკეთ ეპისტოლე, „ასტრას“ ავტორისადმი. ძალიან კარგი! ოლონდ, მე მგონია, იგი მიზანს ვერ მიაღწევს, ესე იგი, შენ ვერ გაიგებ, ვინაა ეს უცნობი ასტრა. ეს ავტორის საიდუმლოა. იგი არც შენთვის წერდა და არც ქვეყნისათვის. მას ესმის დამწერისა და დამწერი ამით კმაყოფილია. სხვა რაღა უნდა? შენ გაუგე თუ არა მას, ეს არც არის საჭირო. ჩვენ ყველამ მხოლოდ ის ვიცით, რომ საგანი ლექსს ამშვენებს. ხოლო, თუ გინდა, იცოდე მნიშვნელობა თვით სიტყვისა „ასტრა“, ამის გაგება სულ ადვილია – იგი აღებულია ფრანგულიდან „astra“, რაც ჩვენებურად, ძმაო თავყანა, ნიშნავს: მთიები. ასე, ჩემო ბატონო!

ახალ ამბავს გეტყვი, თუ არ გაჯავრდები. დღეს საღამოს წყნეთში მივემგზავრები. რატომ? იმიტომ, რომ ის იქ გახლავთ. დედამისმა მთხოვა, რამდენიმე დღე მათთან გავატარო. როგორი იქნება ეს დღეები? ახ? მაშ მოკვდი, ბზ!

დროა, საუბარი დავამთავრო, თორემ ფოჩტას ვერ მივუსწრებ. შენ ხომ იცი, წერილების წინასწარ დამზადება არ მიყვარს.

მშვიდობით, ალაზნის ველის მეუღაბნოევ! მაუნყე ხოლმე რამე შენი ველის ქალწულისა.

შენი ნ. ბარათაშვილი

P.S. ვერ მოვასწარი საგანგებოდ მიმენერა ვარლამოვისათვის. თუ შეხვდები, უთხარი, რომ მისი საქმე ისე მოგვარდა, როგორც თავად სურდა და წარდგენილია ჩინზე. ახლა მაინც შეურიგდეს ქვეყანას.

გრიგოლ ორბელიანისადმი №3

საყუარელო ძმაო გრიგოლ, დამნაშავე ვარ შენთან დიდი, მაგრამ შენ რომ ჩემ ადგილს იყო, აღარ გამამტყუნებ. დიმიტრიევსკის ლექსები გეთხოვნა, — მთელი ქალაქი სულ შევაჯერე და ვერსად ვერ ვიშოვნე. ნოტები ხომ თავის დღე-შიაც არ ყოფილა. შევიტყუეთ, რომ თურმე ჭრანციცულს ჰსწავლობ. ერთმა ქალმა შემოგიტვალა, „სპარსულად ნათქვამი: ოც და ათ ნელინადს უკან რომ კაცი ჩონგურს ისწავლის, საიქიოს დაუკრავსო!“ რაზლოვორს და ღრამმატიკას დამპირდა ერთი ჩემი ნაცნობი, ჯერ არ მოუტანია. ამას უცდი, თუარემ აქამდისინ გამოგიგზავნიდი. თუ ქალაქის ამბავი გინდა, ჰსწორე გითხრა, ბევრი ჭორიანობაა და ჭირიანობა. ორივე ერთია, მაგრამ ჭირი ტყუილია ამ ჴელად და ჭორი კი — მართალი.

დიდი დაძგერებებია ქალებისა, დიდი აყალ-მაყალი, დიდი ტირილი, დიდი ღამის თევები, დიდი წვეულებები ერთმანერთის ჯავრით. დაწვლილებით მოგწერდი ყოველს ფერს, მაგრამ კვლავ იყოს, როცა მოცლით ვიქნები. ამ ამბავს დიდი აწერა უნდა. ამ წიგნსაც საჩქაროთა ვწერ პალატაში. ჩვენც ახალს სახლებში გადავედით, ანჩისხატის უბანში, უწინ რომ აბხაზი იდგა.

ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა: კიპიანმა გადმოთარგმნა „Ромео и Джулиетта“,⁶ შექსპირის ტრალედია და მე ვთარგმნე „Юлий Тарентский“,⁷ ტრალედია ლეიზევიცისა. თუ წაგიკითხავს, ბიბლიოტეკაში იყო დაბეჭდილი. მე ძალიან მამეწონა და ჩვენმა განათლებულმა ქალებმაც, ასე გასინჯე, იტირეს.

მაიკო ძალიან გწყევლის, არ ვიცი, რა მოგიწერია. ბალაშოვის სიკვდილს აქ ასე გლოვობენ, რომ ეს არის, შავები არ აცვიათ, თორემ სხვა აღარა აკლიათ რა.

სბვა? სხვა ამ ჴელად ეს იყოს. ნუ კი შემომწერები.

შენი მარად და მარად და მარადის იქითაც ნიკოლაი

წელსა 1841-სა, მაისის 28-სა დღესა, ქ. ტფილისი.
„რომეო და ჯულიეტა“
„იულიუს ტარენტელი“

ბრიგოლ ორბელიანისადმი №4

საყუარელო ძმაო გრიგოლ, შენი წიგნი მომიტანა დ[ი-
მიტრი] ჯ[ორჯაძე]მ. დიდად მაამა ამ წიგნმა, მეტადრე ქარ-
თველების ქებაჲ. მაინთ თქვენ და იქით ანდრონიკოვი! მილი-
ციამ, როგორც იტყვიან, ასახელა თავისი სახელი და ზღაპ-
რული გმირობის კმა დაიგდო მრთელს მხედრობაში, თუარემ
შენ თვითონ შეიტყობ დანვლილებით. მითამ როდის და რაში
არა ვპყოფილვართ კარგნი, მაგრამ ჩიმი ქუნნიმ!

მჯერა სარდლობა არღუთინსკისა, ს[აგინოვი]ისა და გუ-
რამოვისა, რადგანც შენ აქებ, მაგრამ მინდა ერთი ჩაგიხვე-
ლოთ. შენი დიპლომატობა ხომ ადრევე ვიცოდ: ხუმრობა არ
არის, რომ ქართველმა კაცმა გურულებს შეაგონოს ყოველივე
უბედურება, რომელიც შეუდგების აღშფოთებას. შაბაშ,
მკლავთა და განკარგულებათა თქვენთა!

ძმაო გრიგოლ, ტფილისის ამბავი მაგთენი არაფერია.
ცოტას ხანს დაჰყვეს აქ ადღერბერლის შვილებმა და, რაღა
განგიმარტო, შენ მიხვდები, რაც ადღერბერლის შვილები აქ
იქნებოდენ. პოლკის კამანდერი გამოგიცვალებს, მაგრამ ეს
განკარგულება მოხდა უწინარეს, ვიდრე გამოიძიებდენ ჩილა-
ევის სიმართლეს, რომელიც, ვჭკონებ, არ დადუმდეს.

ყაფლანს ვაჟი ჰყავს, დიდს ნათლობას აპირებს ხანუ-
რად, თუმცა ხანებმა ნათლობა არ იციან. ჩვენს დიდს პ[ლა-
ტონ]ს ძილში კატა დაჰსწოლოდა ბაკენბარდზედ და ასე გაე-
თელა, რომ ველარას გზით ვერ გაუწნორებია. ეს ერთი ბაკენ-
ბარდი ასე გათელილი დარჩა. ვურჩევთ, რომ მოიპარსოს,
მაგრამ არ გვიჯერებს. ეს აკლდა ამის ფილოსოფოსურს სა-
ხეს!

სხვა, ტფილისი ისევ ის ქალაქია, უსარგებლო გონებისა
და გულისათეს. ერთი ნუგეში ეს არის, რომ მშვენიერი დარე-
ბია.

ლიტერატურა ჩვენი, ღვთით, დღე და დღე შოულობს ახალთა მოყვარეთა. მრავალნი ყმანვილნი კაცნი, მოცლილნი სამსახურიდგან, მყუდროებაში და მარტოობაში შეენვეიან მამეულს ენას, რაოდენიცა ძალუძთ. ესე საზოგადო სული ბუნებითის ენის ტრფიალებისა ყმანვილთ-კაცთ შორის აღმოაჩენს, რომ ქართველთ არა ჰსძინავთ გონებით!

ამ მცირეს ხანში ერთი ლექსი დავენერე, რომელსაც ამასთანავე გიგზავნი. შენი ჰაზრი ჩემთვის მარადის სასიამოვნოა.¹

გიორგი მომიკითხე, ვასილ და სხუანი ჩუწნნი ნაცნობნი. მამა ეგნატიმ შემოგიტვალა: „ქრისტემ გა-კურ-თხოოს!“ ჩვენთანებმა ყველამ მოგიკითხეს. მშვიდობით. ძალიან მინდა შენი ნახვა.

შენი ნ. ბარათაშვილი

წელსა 1841,
ოკტონბრის 18-ს,
ქ. ტფილისით.

გრიგოლ ორბელიანისადმი №5

საყვარელო ძმაო გრიგოლ! ილია მართლა ტყვედ არის შამილთან! ეს ამბავი ადრევე მინდა, მომენერა შენთვის, მაგრამ ჯერ კიდევ ყველას იმედი გექონდა, რომ ან ეს ჳმა ტყუილი იქნებოდა, ან ყაზიყუმუხელები შეინახავდენ დამშვიდებამდე. По официальному донесению Фезе известно только то, что адъютантъ его, Князь Орбеліани, 20-го Марта былъ посланъ въ Андалалъ съ порученіемъ и что его взяли тамъ въ пленъ. ხოლო ლეკმა, რომელმანც ეს ამბავი მოიტანა და რომელიც დამსწრე ყოფილა ილიას დაჭერაში, აი, რა ილაპარაკა: ილიკო რომ დაუჭერიათ, სინაქსაროვი და ყაზიყუმისხის ხანი დაჭერილები ყოფილან. მეორეს დღეს შემოსულა ანდალალში თვითონ შამილ. ტყვეები წარუდგენიათ. ილიკოს თანა ჰყოლია ოცი, სულ დანკეპილი ყმანვილი ბიჭები, ავარელები, ახმეტ ხანისგან გამოტანებულები. შამილს ოცისავესთვის ილიას თვალთ წინ თავები დაუყრევინებია. ახტელელები კი, რომელნიც სინაქსაროვს მოჰყოლიან, დაუშიშვლებია და ისე გამოუყრია.

შამილ ახმეტ ხანზედ ძალიან გაბრაზებული თურმეა და ასე უწყალოდ იმიტომ მოქცევია ავარელებს. აი, ილიკოს რა უთქვამს შამილისათვის: „შამილ! როგორ ეკადრება შენს სახელს მაგისტანა უწყალოება! თუ გინდა, მაგით შეაშინო ვინმე, ვინ უნდა შეაშინო? ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. ჭეშმარიტად ახლა მეც სიკვდილი მიჩვენებია შენს ჳელში ყოფნას!“ – ვითომც შამილს ჰსდომნებია ილიას გამოშვება, მაგრამ ესე ყოჩაღად რომ უნახავს და ამის გვარის შვილობაც შეუტყვია, უფიქრია, რომ ეს კარგი აფიცერი უნდა იყოსო და იქნება, რუსებმა ჩემს შვილში გამიცვალონო. მაშინ შამილს უთქვამს ტყვეებისთვის, ილიასა და სინაქსაროვისათვის, რომ თქვენ ნუ რა გეფიქრებათო, მაგრამ თქვენს მამულს ვერა ნახავთ, ვიდრე ჳელმწიფე ჩემს შვილს არ მამცემსო.

ახლა ილიკო დარღოშია, სადაც შამილის ცოლშვილია

და სიმაგრე და კარგადაც თურმე ინახავს. ასე გაშინჯე, გა-
ლაკინის ცოლმაც კი თქვა, რომ მე ყოველთვის იმედი მქონდა,
რომ ქართველი მაგისტანა პასუხს მისცემდაო, ვითომც ილიას
რომ უთქვამს, სიკვდილი მირჩევნია შენს ჴელში ყოფნასო.
მაზლას, ილიკო ყოჩაღად ყოფილა. Он теперь предметом
разных анекдотов.” ზოგჯერ ამისთანა შემთხვევაც კარგია
კაცის სიცოცხლეში. ეს არის, რომ იქნება, ჩვენ დაგვიგვიან-
დეს ილიას ნახვა, თუარემ იმას ამ ტყვეობით არა უშავს რა.

.....

Вотъ, что поэтъ думаетъ за Илико:***

„მირბის, მიმაფრენს უგზო-უკელოდ ჩემი მერანი!“

არ ვიცი, ეს ლექსები როგორ მოგეწონება. აქ კი ბევრი
ცრემლი, ტყუილი და მართალი, დაინთხა ამის ნაკითხვაზე,
რასაკურველია, იმიტომ, რომ ამას ამბობს ილია ტყვეობაში
და არა მე. ილიას დაჭერა რომ შევიტყე, ჰსწორე გითხრა, ძა-
ლიან შევწუხდი, ასე რომ, სამი დღე გაბრუებული ვიყავ ათა-
სის სხვა და სხვა უცნაურის ფიქრებით და სურვილით და,
რომ ეკითხათ კი ჩემთვის, მეც არ ვიცოდი, რა მინდოდა. ბო-
ლოს მესამეს დღეს ეს ლექსები დავწერე და თითქოს ამან
რალაც შეება მომცაო. ვცდილობ, რომ ილიკოს როგორმე მი-
ვანოდო. ვიცი, გულში ჩაიციინებს და არ იქნება, მით არა ენუ-
გემოს რა.

ზაქარია ახტას არის, სინაქსაროვის ადგილს. იასეც იქ
არის ელისოს მილიციით და იმედებს იწერებიან ილიას გამოყ-
ვანისას, მაგრამ მე ჯერ ასე ჩქარა ვერა მგონია, მეტადრე ახ-
ლა, როდესაც შამილ ჯერ არსად მოშობს და ილიაც თავის
სახლში ჰყავს.

ძმაო გრიგოლ, ყოველივე სოფელში ღვთის ნებაა და
მნუხარებით, თვითონ იცი, ვერას უშველით ილიკოს. ჩვენი სა-
ფიქრებელი ეს არის, რომ ვიღონოთ რამ იმის გამოხსნისათვის.

ძლივს საქართველოს მოუვიდა რუსი, რომელსაც ეყურება
აქაურობისა. იმედია, რომ პოზინი კეთილად წარმართავს ჩვენ
გარემოებას. მინისტრს შვიდს მაისს მოველით ერევანზედ.
სხვებრ, ჩვენნიანები ყველანი კარგათ არიან, მხოლოდ ფეფოს
მნუხარება გვანუხებს ყველას. ხომ იცი, ტყვეობა და სიკვდილი

ჩვენს დედაკაცებს ერთი ჰგონიათ, მეტადრე ლეკის ტყვეობა.
მაისის 2-სა დღესა,
1842 წელსა.

მარად შენი ერთგული ნ. ბარათოვი

ელიზბარს ვმადლობ მოკითხვისათვის, მაგრამ ვწუხვარ, რომ მაგის საქმეს ყოველთვის ნაესი ჰსდევს. ჯერ კიდევ არ უქნია მაგისკენ პირი ბედსა. ოცენკა დააბრუნეს *дѣя исправленія некоторыхъ недостатковъ противъ формы.*^{****} ვიცი, როგორც გაჯავრდები! მაგრამ მაგ გაჯავრებულს გულზე, გთხოვ, მიიღო მოკითხვა შენი მტერმოყვარე ქალებისაგან.

^{*}ფეხეს ოფიციალური მოხსენებიდან ცნობილია მხოლოდ ის, რომ მისი ადიუტანტი, თავადი ორბელიანი, 20 მარტს გაგზავნილი იყო დავალებით ანდალში და იქ ტყვედ ჩავარდა.

^{**}ის ახლა სხვადასხვა ანეგდოტის საგანია.

^{***}აი, რას ფიქრობს პოეტი ილიკოს მაგივრად.

^{****}ფორმალური ხასიათის ზოგიერთი ნაკლის გამოსასწორებლად.

ნელსა 1842-სა,
ოკტომბრის 31-სა,
ქ. ტფილისით.

საყვარელო დაო მაიკო, მადლობელი ვარ, რომ რახაელს ნიგნი დაჰსტყუე, გუშინ იასემ მამიტანა. ამიტომ უფრო მიამა, რომ წინაღუეს ამ წიგნზედ ლაპარაკი იყო და მეორეს დღეს უნდა მიმეტანა მანანასათჳს. ასე ეგონა, რომ მე მაქვს. მაშ, რადგანაც ეს პირობა აღასრულე, იმედი მაქვს ახლა, რომ მეორეც არ დაგავინყდება.

გალავინის ცოლი წავიდა და დარჩნენ ჩვენი ქალები მონყენილნი. ხანდისხან ოხვრით მოიგონებენ იმის სახლში განტარებულს დროებს, თუმცა ოხვრის მიზეზი ყველასი ერთი არ არის. მხოლოდ გუშინჰსწინ იყო ვეჩერი შინაური, მაგრამ ძალიან მხიარული. ტასოს დღეობა იყო და ელენეს სახლში გარდაიხადეს. მე, ჰსწორე გითხრა, მეტად გავმხიარულდი, სრულიად უმიზეზოდ, უანგარიშოდ, ისე, მეც არ მოველოდი. ბევრჯერ მოგიგონე, დიდად მინდოდი, რომ იმ დროს აქ ყოფილიყავ...

მაგრამ სულ ამაოა ჩემთჳს. ეს ლამეც წავიდა, ვითარცა სიზმარი. კიდევ მამნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მონყინებამ. ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმის სიამოვნება რა არის ამ საძაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენც იცი, დიდი ხანია, ობოლი ვარ. არ დაიჯერებ, მაიკო! სიცოცხლე მამძულებია ამდენის მარტოობით. შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში! ვინც მაღალის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო, ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია, ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არცა თუ განჰსჯა ჰქონია, ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანი მცბიერებისა, წვეთნი საშინელის სანამლავისა!

სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკო თავი? ვიცი, გაიცინებ, ასე გეგონება, დამწვარი ვლაპარაკობ. ჭეშმარიტად, მაიკო, ასე გულცივად ჯერ განსჯა არა მქონია. ასეთი თავისუფალი ფიქრი მაქვს და ასეთი მტკიცე გული, რომ სამოცის წლის მოხუციც ვერ იქნება ჩემისთანა უსყიდელი მსაჯული. მოიგონე ცოტას ხანს დრონი წარსრულნი და მაშინ შემობრალე. ყმანვილობითვე შეჩვეული რაზედმე სული ძნელადღა გარდაიცვლის ჩვეულებას და, ვიდრემდის სრულიად გარდაეჩვევა, მწარეა ტანჯვა და ბრძოლა მისი.

„ძნელი არის მარტოობა სულისა,
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,
მარად ახსოვს მას დაკარგვა ჰსწორისა,
ოხვრა არის შვება უბედურისა!“

შენი ავადმყოფობა შევიტყე, რა დაგემართა? თუ ფიქრობ, ასეთს რას იფიქრებ, რომ ბოლო არა ჰქონდეს, ასეთს რას მიიღებ, რომ არ დაკარგო? მიჩვენე კაცი, რომ მადრიელი იყოს ამ წუთის სოფლისა. დაიმარხე მშვენიერება სულისა, უმანკოება გულისა, აი, ჭეშმარიტი ბედნიერება, უმაღლესი სიამე, რომელსაც კი კაცი წაიღებს ამ სოფლისაგან.

სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად, ამაყად და გრწამდეს, რომ იგინი შეურჩენელნი არიან! თუმცა აქიმბაში არა ვარ, მაგრამ ეს წამალი სიზმარში მაქვს ნასწავლი და, თუ დამიჯერებ, იმედი მაქვს, რომ გარგოს.

გემდურები, რომ წიგნს არა მწერ, ხომ იცი, მიაშება, თუ მეტადრე ბევრ ამბებსაც მამწერ. თუ წინუცას, ანუ (რადგანაც ჯავრობენ ზოგიერთი ქალები) ანნა ივანოვნას წიგნი მისწერო, ან შენ თითონ ნახო, ჩემ მაგიერ მოიკითხე და უთხარ, დიდად ვწუხვარ, რომ აღარ გაციებს თქო. ილიას მალე ვნახავთ.

შენი მარად ერთგული ძმა ნიკოლოზ ბარათაშვილი

[პირველი გვერდის არშიაზე მიწერილია]:

შენ გაზდას, მაიკო, თუ გლუხარიჩი ნახო, ჩემ მაგიერ მოიკითხე და უთხარ, რა ღმერთი გაგინყრა, რომ აგრე ფეხი აიკვეთე ქალაქისაკენა თქო. როგორ აღარა აგონდება რა სასიამოვნო შენს პოეტურს სულსა თქო?

გრიგოლ ორბელიანისადმი №6

... აი, ჩემი უკანასკნელი ლექსი, რომელიც კნიაზ ბარათოვს ალბომში ჩაუნერე მისის თხოვნით. ისიც ამ ორ დღეს უკან მიდის პეტერბურღში сь ньшимъ запасомъ сведенийъ онь исторической Грузии.

„საფლავი ივერიისა“

გრიგოლ, რა იქნება, რომ ერთი კიდევ დაანკარუნო ამდენი ხნის დადუმებული შენი სანთური?

[1842]

გრიგოლ ორბელიანისადმი №7

საყვარელო ძმაო გრიგოლ, არა, უკაცრავად, მთავარო ავარისაო, ემირ-ავარო, ატილას ტახტზედ მჯდომარეო!

ჭეშმარიტად, არ ვიცი, მე ვარ დამნაშავე შენთან მოუნერლობისა თუ არა? ვისთანაც შენგან მოწერილი წიგნი წავიკითხე, ყველასთან ხუმრობისა და ლანძღვის მეტი არა იყო რა. ჩემთან რომ ფარატინი გამოგეგზავნა, ისიც დაპირების მეტი არა იყო რა. მე ბინიანად მინდა შენთან ლაპარაკი და, ხომ იცი, რომ სანყინოა ამისთანა ლაპარაკის გაცრუება.

საკურველია, რომ ქართველს კაცს, რაოდენიც დიდებული და ძლიერი უნდა შეიქნეს, არა აქვს ეს შორს მბედველობა, რომ, როდესაც დაატყოს თავისთავს, ვბერდებო, ჰპოვოს თავის მემკვიდრედ ვინმე, მოამზადოს, მიჰსცეს გზა სოფელში, გამოიყვანოს კაცად და, როდესაც თვითონ დაეცეს (საბოლოო არა არის რა ამ სანუთოში), მაშინ მაინც კიდევ ჰქონდეს შემძლებელობა და ჯმა ერსა შორის თავის მემკვიდრის შუამავლობით!

ახლა მე იმას ვამბობ, რომ მე შინაგანი ჯმა მიწვევს საუკეთესოს ხვედრისაკენ. გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარებისათვის დაბადებულიო, ნუ გძინავსო! მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრეკლდეს გამიყვანოს და დაედგე გაშლილს ადგილს. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გარდავხედავ ჩემს ასპარეზსა!

ჩემი ფიქრი მანდეთ მოჰქრის. ეცადე, რომ რე[ნ]ენკამფთან დამანიშვინო. ხომ ამ პირობით ნახველ, რომ ეს მოგებდინა ჩემთვის? ვიცი, დაგავინწყდა, მაგრამ არა, არ დაგვინწყებია. ეს იმ სწეულების ბრალია, რომლისა გამოც¹ ქართველი თავისიანს არ გამოადგება... მე ახლავ მიტყობს გული, რომ ამ ჩემს მხურვალეს განჰსჯას გამიტრიზავებ: ემირობა მასხარად აიგდე და მომავალის დიდების ფიქრს რას უზავ? სხვებრ, შენ იცი. ახლა ქალაქის ამბავს მოგწერ.

გუშინ შაჰის ელჩი შემოვიდა, თუ გახსოვს, მირზა-სალი,

ევროპიის ენებზედ მოლაპარაკე, განვითარებული კაცი. მაზეგ რომ სამშაფათია, დიდს ბალს უკეთებს მთავარმმართველი. მაგრამ, ვინც შენ გეგულება, არც ერთი ჩვენი ქართველი ქალი აქ არ არის და გაიხარე, რომ ბალში არ იქნებიან. Но и тутъ оне выигриваютъ; будь вместо Мирза-Сали графъ Чичероне, оне тотчасъ бы присхали на балъ.* ბალის ამბავს შეგატყობინებ.

ჩვენი ლევან ქუთაისში გააგდეს პორუჩენით. მე და შენში დარჩეს (ისე კი არა, ბაკლანას რომ ხომალდი დაელუპა), გრიგოლ წერეთელი ინაზებოდა, არ უნდოდა მილიციის მიღება და მთავარმმართველმა ლევან გაუგზავნა ასი ოქრო გზის ხარჯად და დაიბარა. იმასაც ეს უნდოდა. რა საკურველია, რომ უარი აღარა ჰსთქვა. დახე ქვეყნის ოხრობას! შენი უკანასკნელი წიგნი ლევანთან მე გავხსენ და წავიკითხე. ბევრი ვიცინე.

ილია კარგად არის, პარუჩიკობა გაიკრა, ას თუმნამდინ თავისი ჯამაგირი გამოუვიდა და წარდგენილია არმიაში. ამისი საქმე თავში ბოსტანია, გულში სიყვარული. დაიჯერე, ხუმრობა არ გეგონოს.

არ ვიცი, ბუმაჟნიკი და ქუდი მოგივიდა თუ არა. ეს კი ვიცი, რომ გიმზადებდენ.

კნიაზი ჭ[ავჭავაძე] თავისის კნეინათი მარტყოზს იყვნენ ჯვარობას. ამათ დასტაში იყვნენ ს[ავარსამიძის] ცოლი, ს[ივრი]ჩის ცოლი და ბ[ეზა]კის ცოლი. ეს კი მუხრავანიდგან გადმოვიდა, ამ ზაფხულს იქ იდგა უქმროდ. არ გინდა, რომ ერთს საათს მაგ მთებში გამომძვრალიყავ და მუხრავანში, იმის ოთახში, შუალამისას დაბადებულიყავ? იქიდგან კალასკაში კნიაზი და ს[ივრი]ჩის ცოლი ერთად ისხდნენ წინ და კნეინა და ს[ავარსამიძის] ცოლი ერთად – უკან. Довольно подробно!**

მამა ეგნატიმ თავი დაგიკრა იმიერ სოფლითგან, ერთი თვეა, რაც გარდაიცვალა. სანყალი! Вотъ человекъ, который, по своему положению въ свете, более всехъ страдалъ. Минувшее проходило передъ нимъ и волновалось, какъ море-океанъ.***

სხვა რალა მოგწერო, მეც სამსახურში მივეშურები, и вообще здесь „И грустно и скучно и некому руку подать в минуту душевной невзгоды!“^{****}

ჩემი ახალი ლექსი ეს არის:

„სულ ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად?“

ამით გავათათო ეს წიგნი, დრო აღარა მაქვს და შემდეგ ბევრს მოვიწერები. ერთს ცუდა დროს ჩავიგდებ და, რაც ვიცი და არ ვიცი, სულ გავაჭრელებ. ახლა ფაცაფუცით არა მაგონდება რა. ახლა ვნახოთ, რასაც შენ მოიწერები.

სირცხვილია, რომ მაგ საშინელებებში პოეზიამ არ გაიღვიძოს და, თუ ემირს ლექსის წერა აღარ ეკადრება, ავარიის ისტორია და სტატიისტიკა მაინც უბძანე, რომ დანერონ.

შენი მარადის ნ. ბარათოვი

21 ავგუსტა, 1843 გ.,

Тифлись.

[პირველი გვერდის არშიაზე წერია]:

მამამ, ფეფომ, კატომ, ბაბალემ, ნინუცამ და აპლიპუტილამ მოგიკითხეს.

არ გებრალება, რომ მაია ქვეშაგებად ჩავარდა? გიორგი ზაქათალას გაგზავნეს ბატალიონის კამანდერზედ გამოსაძიებლად და ბატალიონსაც პირველს ამას აძლევენ.

^{*} მაგრამ ისინი აქაც მოგებულნი რჩებიან. აბა, მირზა-სალის ნაცვლად გრაფი ჩიჩერონე იყოს, ისინი მაშინვე მობრძანდებოდნენ ბალზე.

^{**} საკმაოდ დანერილებით.

^{***} აი, ადამიანი, რომელიც თავისი მდგომარეობით საზოგადოებაში ყველაზე მეტად იტანჯებოდა. წარსული მიდიოდა მის წინაშე და ლელავდა, როგორც ზღვა-ოკეანე.

^{****} და საერთოდ აქ „И грустно и скучно“ (მოყვანილია ლერმონტოვის ლექსის დასაწყისი ორი ტაეპი).

ზაქარია ორბელიანისადმი №1

Любезный братъ Захарій! Отчего мы не переписываемся? Признаюсь, вопросъ этотъ заставилъ задуматься. Что я тебя люблю, это аксіома,¹ что я не лень писать, это доказываются занятія мои по службѣ. Какая же причина? А вотъ наконецъ напаль: безпечность, вражденная слабость вообще грузинь. სხვა, ძმაო, მიზეზი მე არ ვიცი და შენ განმმარტე. ესეც კი არის, რომ რა მოგხერო?

Письмо твое, исполненное грусти и томленія отъ бурнаго потока жизни, глубоко отозвалось въ душе моей, хотя причины у насъ къ тому разныя. Я былъ боленъ сильно, чуть не переселился въ Елисейскія поля. Не зная до того времени ни какой болѣзни, я почувствовалъ странное вліяніе ея, быть можетъ, на всю мою жизнь. Непостижимость цели нашего назначенія, безграничность желаній человеческихъ и суета всего подлуннаго наполнили мне душу ужасною пустотою. Дай мнѣ маленькое независимое состояніе, я бы сейчасъ оставилъ и свѣтъ и людей съ ихъ ненасытностью и мирно и покойно провелъ бы патріархальную жизнь въ лоне простой природы, столь величественной и прекрасной въ нашѣмъ отечествѣ. При этихъ грустныхъ думахъ застало твое письмо меня, только что выздоравливающегося. Вотъ почему я сочувствовалъ къ тебе.

Духъ человеческій, достигнувъ полнаго своего развитія, совершивъ дела, ему свыше определенныя, склоняется наконецъ, угонимный къ покою въ тихой семейной жизни. Я бы отнесъ причину твоей скуки къ этой гипотезѣ, если бы зналъ, что воприце твое совершилось. Но для тебя не наступало еще этого періода жизни. Управление Самурскимъ округомъ сделалось для тебя уже вещью обыкновенною,

однажды завведеннымъ механизмомъ. Душа твоя ищетъ пищи новой, духъ твой стремится къ большій деятельности; сценамъ более сильнымъ, более патетическимъ. И пока онъ достигнетъ своего назначенія, ему скучно, грустно! Согласись, Захарій, что еще одинъ случай, подобный Ричинскому, и ты снова въ волненіи пріятномъ, снова забудешь мирный покой ссмынина. Углубись въ себя и тогда, уверившись, что громъ славы и звукъ оружія не имсютъ уже для твоего слуха магические значенія, оставь службу, займись именіемъ. И это другая слава — сделать счастливыми своихъ крестьянъ, оставленныхъ до сихъ поръ безъ господина-попсчителя. Иначе, Захарій, помни, что и въ жизни счастливаго земледельца неть для тебя покою. Загрудь въ военную трубу и снова ты не земледелець. Можетъ быть, я ошибаюсь въ причине твоей грусти, но я все таки ожидаю отъ тебя деяній громкихъ!

კატო დავნიშნეთ ნარსულს კვირას რევაზ ერისთავზედ და ქორწილსაც საამაღლებოდ ვაპირებთ. დიდად მიხარიან. ბიჭიც კარგია და ოჯახიც კარგი აქვს. ათასი რომ ვიჩანჩალოთ, ისევ საქართველოში უნდა დავაბოლოოთ ჩვენი ცხოვრება და ამისთვის ჩემი ჰაზრი ეს არის, რომ, რაც უნდა ვიფრანცუცოთ, მაინც ძველი ოჯახი და კარგი დამოკიდებულება რაც უნდა ნახდეს, ახალთან კიდევ მოვა! დავით ერისთავმა სამაჭანკლოში ქორი გთხოვა და იმედი მაქვს, რომ ახალს მოყვრობას პატივსა ჰსცემ. Прошу передать это известіе Георгію. Я хотель писать къ нему, но побоялся, что можетъ быть письмо не дойдётъ до него по теперешнему движенію войск. А это очснь неприятно.

Жаль, что я не знаю статистики Самурскаго округа, а то бы я попросилъ тебя какой нибудь знакъ памяти. Предоставляю твоему выбору.

სხვა ამ ხელად არა ვიცი რა და საქმეებიც ბევრი მაქვს, სასამართლოში ვწერ ამ წიგნსა.

შენი მარად და მარად ნ. ბარათაშვილი

წელსა 1844-სა,
აპრილის 15-სა, ქ. ტფილისით.

პირველი გვერდის არშიაზე წერია:

Я получилъ отъ Григорія письмо вслѣдъ за твоимъ. რას მოინერებოდა? Дай ему престолъ Августа онъ бы всю римскую имперію обратилъ въ комическую шутку. ხუმრობა და ხუმრობა! უთუოდ ჯერ თავისი პოდპოლკოვნიკობა არ იცის.

საყვარელო ძმაო ზაქარია! რატომ არა ვწერთ ერთმანეთს წერილებს? გამოგიტყდები, ამ საკითხმა ჩამაფიქრა. მე რომ შენ მიყვარხარ, ეს აქსიომაა. წერა რომ არ მეზარება, ამას ადასტურებს ჩემი სამსახურებრივი საქმიანობა. მაშ, რა არის მიზეზი? ბოლოსდაბოლოს მივაგენი: დაუდევრობა, ქართველთა თანდაყოლილი სისუსტე. სხვა, ძმაო, მიზეზი მე არ ვიცი და შენ განმიმარტე. ესეც კი არის, რა მოგწერო?

შენმა წერილმა, რომელიც აღსავსეა სევდითა და დაღლილობით ცხოვრების ბოზოქარი დინების გამო, ღრმა გამოძახილი ჰყოვა ჩემს სულში, თუმცა ამისთვის ჩვენ სხვადასხვა მიზეზი გვაქვს. მე ძალიან ავად ვიყავი, კინალამ ელვისიოსის მინდვრებში არ გადავსახლდი. აქამდე არავითარი ავადმყოფობა რომ არ ვიცოდი, ახლა ვიგრძენი მისი უცნაური ზემოქმედება. ალბათ, ეს გრძნობა მთელი სიცოცხლის მანძილზე გამყვება. ჩვენი არსებობის მიზნის მიუწვდომელობამ, ადამიანის სურვილთა უსაზღვროებამ და ყოველივე ამქვეყნიურის ამოებამ საშინელი სიცარიელით აღავსეს ჩემი სული. მე რომ პატარა დამოუკიდებელი მდგომარეობა მქონდეს, ახლავე მივატოვებდი ქვეყანასაც და ადამიანებსაც მათი გაუმადლობით და დამშვიდებული და მოსვენებული გავატარებდი პატრიარქალურ ცხოვრებას მარტივი ბუნების წიაღში, რომელიც ასე დიდებული და მშვენიერია ჩვენს სამშობლოში. თითქმის გამოჯანსაღებულს, ამ

ნაღვლიანი ფიქრებით გარემოცულს მომისწრო შენმა წერილმა. აი, რატომ თანაგიგრძნობდი შენ!

ადამიანის სული, რომელმაც სრულ განვითარებას მიაღწია და აღასრულა საქმენი, ზეგარდმო მისთვის განკუთვნილი, ბოლოს დაქანცული ეძიებს წყნარ სადგურს მყუდრო ოჯახურ ცხოვრებაში. მე რომ ვიცოდე, რომ შენ უკვე განვლე ასპარეზი, შენი მონყენილობის მიზეზს ამ ჰიპოთეზით ავხსნიდი. მაგრამ შენთვის ჯერ არ დამდგარა ცხოვრების ეს პერიოდი. სამურის ოლქის განმგებლობა შენთვის ჩვეულებრივ საქმედ და ერთხელ მომართულ მექანიზმად იქცა. სული შენი ეძებს ახალ საზრდოს, შენი არსება უფრო დიდ სამოღვაწეო ასპარეზისკენ მიისწრაფის, უფრო ძლიერ, უფრო პათეტიკური სცენებისაკენ. და ვიდრე იგი თავის დანიშნულებამდე მიაღწევდეს, მონყენილი და ნაღვლიანია. დამეთანხმე, ზაქარია, რომ კიდევ ერთი რიჟასტური შემთხვევა და შენ ისევ სასიამოვნო მღელვარება დაგეუფლება, ისევ დაგავინყდება სიმშვიდე და მყუდროება ოჯახის კაცისა. ღრმად ჩაიხედე შენს გულში და მაშინ, როცა დარწმუნდები, რომ დიდების ქუხილსა და იარაღის ჟღარუნს შენი სმენისთვის აღარა აქვს მაგიური მნიშვნელობა, დაანებე სამსახურს თავი, ხელი მოჰკიდე მეორეობას. ეს იქნება მეორე სასახელო საქმე – გააბედნიერო შენი გლეხები, რომლებიც ამდენი ხანია, მიტოვებულნი არიან უპატრონოდ – უმზრუნველოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში იცოდე, ზაქარია, რომ ბედნიერი მინისმოქმედის ცხოვრებაშიც შენ ვერ იპოვნი მოსვენებას. დასცემენ სამხედრო ნალარას და შენ უკვე აღარ ხარ მინისმოქმედი. იქნებ, ვცდები და ვერ ჩაუნვდი შენი სევდის მიზეზს, მაგრამ მე შენგან მაინც მოველი დიდთა საქმეთა აღსრულებას!

.....

.....

გთხოვ, ეს ამბავი გიორგის გადასცე. მინდოდა, მისთვის მიმეწერა, მაგრამ შემეშინდა, ვაი თუ წერილი ვერ მიუვიდეს-მეთქი ჯარების ახლანდელი მოძრაობის გამო. ეს კი ფრიად არასასიამოვნო იქნებოდა.

ენუხვარ, რომ არ ვიცი სამურის ოლქის სტატისტიკა, თორემ გთხოვდი რაიმეს სამახსოვროდ. ვენდობი შენს არჩევანს.

.....

.....

შენი წერილის შემდეგ გრიგოლის წერილი მივიღე. რას მოიწერებოდა? მიეცი მას თუნდაც ავგუსტოსის ტახტი, იგი მთელ რომის იმპერიას კომიკურ ხუმრობად აქცევდა.

ზაქარია ორბელიანისადმი №2

Любесный братъ Захарій! Съ восторгомъ поздравляю тебя съ победою, совершеніемъ дела блистательнаго. Меня радуеть въ особенности то, что мои ожиданія пачинають уже оправдываться. Я часто сказываль тебе, что я вижу на челе твоёмъ печать величія и славы.

Благодарю за ружье. Оно стоитъ называться подаркомъ Начальника Самурскаго округа. Но для меня оно значить болес, какъ подарокъ отъ уважаемаго и любимого брата.

Письма твоего, отправленнаго по почте, я еще не получаль. Ожидаю с нетерпеніемъ.* ჩვენი ყმანვილი კაცები: ილია, ლევან, დავით, ბაკლანა (მითომ ესეც ყმანვილებშია), ზაქარია და ალექსანდრე ერისთავი – სულ წამოვიდნენ შამილის დასაჭერად. ესენი სულ სარდლები არიან ქართველთ ჯარისა. ყაფლან ხომ ასე ამბობს, რომ ესენი სულ ჩამამავლობით გიყები არიანო.

ეს შენი ლეკი სადილათ დავკატიყე კარგად და ერთი ოქროც ვაჩუქე დუშალიკში.

კატოს ქორნილი საპეტრეპავლობოდ გვექნება. არღუთინსკის ლენერალ-ადუტანტობას ამბობენ, თუმცა გამოცხადებით არ არის, მაგრამ ნიგნი მოსულა პეტერბურლიდგან. საკვირველიც არ არის. ვინც რამ უნდა ილაპარაკოს და აცა, თუ ეგ მართლა მონტეკუკული არ გახდეს ამ ცოტას ხანში.

გიორგი თუ მანდ იყოს, კარგის სიყვარულით მომიკითხე. სხვებრ, ღმერთსა ვთხოვ შენს მარად და მარად მშვიდობას და გამარჯვებას ყოველს საქმეში.

შენი ერთგული ნ. ბარათაშვილი

ნელსა 1844-სა,

მაისის 10-სა,
ქ. ტფილისით.

[დამატებულია ბოლოში]:

მამამ, ფეფომ პირს გაკოცეს. კატომ მოგიკითხა. ისევ შენ, თორემ სხვანი ჩუსუმები არიანო.

დავით ერისთავმა, სიძის ძმამ, სამაჭანკლოში ქორი გთხოვა. ზაქარიავ, ხომ იცი, ამათ მაგისტანები დიდად მიაჩნიათ.

შენი გამარჯვება ქეთევანს აქ გადავახდევინეთ. ხომ არ დაიჯერებ და შამპანსკებს თვლა აღარა ჰქონდა. ამისთანა წუნკმა ხანდისხან ასეც იცის.

საყვარელო ძმარ ზაქარია! აღტაცებული მოგილოცავ გამარჯვებას, ბრწყინვალე საქმეთა შესრულებას. განსაკუთრებით მახარებს ის, რომ ჩემი მოლოდინი უკვე მართლდება. აკი ხშირად გეუბნებოდი, რომ შენს შუბლზე დიდებისა და სახელის ბეჭედსა ვხედავ-მეთქი.

გმადლობ თოფისათვის. მას შეშვენის სახელი სამურის ოლქის მმართველის საჩუქრისა. მაგრამ იგი ჩემთვის უფრო მეტს ნიშნავს, როგორც პატივცემული და საყვარელი ძმის საჩუქარი.

ფოსტით გამოგზავნილი შენი წერილი ჯერ არ მიმიღია. ველოდები მოუთმენლად.

გრიგოლ ორბელიანისადმი №8

საყუარელო ძმარ გრიგოლ! სიზარმაცეში, ანუ უნდომობაში, ნუ ჩამომართმევ ამდენს ხანს წიგნის მოუნერლობას. დრო არა მქონდა. შენ გაიცინებ, რასაკვირველია, იტყვი: „შენ, ჭიანჭველავ, რა საქმე გაქვსო?“ კიდევ ამისთვის არა მცალიან, რომ ჭიანჭველა ვარ: ყოველთვის ჩემზედ მეტი და დიდი უნდა ავიკიდო. ესეც კი არის მიზეზი, რომ რა მოგწერო? დედაკაცები ისევ ისინი, ჩვენი ყმანვილები და ხახვების ფრანტები სულ შამილის დასაჭერად წამოვიდენ, ქალაქი მე დამრჩა. მოუსვი, ბიჭო! ამისთანა ფართო ოკეანე არც ერთს ხომალდს არ შეხვედრია.

ვიცი, გენყინება, ქ. ყ-ის ცოლი ჭკუაზე შეჰსცდა, სანყალი! ტირილი მოგივიდოდა ამის ნახვაზედ. მგონია, დიდხანს ვერ იცოცხლოს.

ვიცი, გაამება, კ[ატო] დავნიშნეთ რ[ევაზ] ე[რის-

თავზედ. რუსულად არის ნათქვამი (იქნება ქართულადაც იყოს და მე კი არ ვიცი): суженнаго копемъ не объидишь. ქორწილი საპეტრეპავლობოდ გვექნება. იქნება არც კი იცოდე, როდის არის ეს დღე? ექვს კვირას უკან, то-есть: 29 июня."

ზ[აქარ]იას და გ[იორგ]ის კარგი საქორწილო გამოეგზავნათ. ზ[აქარ]ია იწერება, რომ გ[რიგო]ლმა სულ ბლუჯეულად იცისო. კ[ატო]მ შემოგივალა: ახლა შენ იციო, ეგეც დიდ-კაცობა, ესეც შემთხვევა გამოდგომისაო, თუმცა კი სულ ერთია: თუნდ შენსა ჯიბეში და თუნდ ჩემს ჯიბეშიო. მე კი ეს ვიცი, რომ ე[რისთავი]ანთ რძალთან არა დაგვეკარგება რა: კარგს ქიზგას გვაჩუქებენ. მაინც საჭიროა. ორმოც წელიწადს იქით ცოლი აღარ ვარგა.

ეს წიგნები სულთანს გამოეგზავნა შენთან. რასაკვირველია, რიცხვზედ შეატყობ, რომ დიდი ხნისაა. ამაში კი ჩემი უზრუნველობაა მიზეზი, მაგრამ უფრო გულმავინყობა. ვერა დროს ვერ დავეჩვიე, რომ სამშაბათობით მოდიოდა შენთან ფოჩტა.

ეგ ბატონი ქართველთ სარდლები რომ წამობძანდენ, ყაფლან მაგათზედ იცინის, ასე ამბობს: სულ ჩამომავლობით ჭირვეულნი არიანო.

ახალი ამბავი, ანუ ჭორი, ხომ გიყუარს: ამ ხელად ეს არის, რომ ნ[ინა] ალ[ექსანდროვ]ნა ოდესაში მიდის 9-ს ივნისს. შენ მანდ გაჯავრდი!

სბებერ, ვეცდები, რომ საკულაოდ კარგი გატენილი წიგნი გამოგიგზავნო.

შენი მარად ნ. ბარათაშვილი

წელსა 1844, მაისის 23-სა,
ქ. ტფილისით.

ფ[ეფო]მ და მ[აშო]მ მოგიკითხეს. ამათ შენი ხანობა არად ეპიტნავენათ. გამდიდრდი, თუ არაო? ესენი ამას მკითხავენ. შენ მაგივრად მე ვეტყვი, ვაჲ, შენს მტერსა-მეთქი.

„საბედოს ცხენითაც ვერ აუვლი გვერდს.
ე. ი., 26 ივნისს.

ზაქარია ორბელიანისადმი №3

უსაყვარელესო ძმაო ზაქარიავ! მომილოცავს პოლკოვნიკობა! შენი წიგნი რომ მომივიდა, იმის მეორეს დღეს „ინვალიდებში“ ეწერა. მე ახლა ჩქარად ლენარლობის იმედიცა მაქვს. მაგრამ ამისთვის უთუოდ უნდა დალესტანში¹ იმსახურო, თუნდ მაგ ადგილშიაც არა. და მერმე იცი, რა ვიფიქრე შენთვის? – კასპიის ობლასტის ნაჩალნიკობა! ვინ იცის! მე კი კარგადა მაქვს დაცდილი წინასწარ თქმა! Это нечто гораздо существиисс.

კატოს, ერთი თთვეც არის, ჯვარი დავწერეთ. კარგი ქორწილი გარდვიხადეთ. მეორეს დღესვე წაიყვანეს კატო. ერთი ღამე და მეორე დღეს სადილათ ქაიბოსრო მუხრანსკისას ვიყავით. კარგათ დაგვიხვდა. იქიდგან ახალგორს წავედით. ოძის[ს] რომ მივახლოვდით, სადაც ბიძინა ერისთავი სდგას, ლევან ერისთავი თავადებით, აზნაურებით და იმერეთის [მ]გალობლებით მოგვეგება. ჩვენთან იყვნენ მანანა თავის ქალით, მაიკო, ყაფლან, მიხაკო, ალექსანდრე სუმბათოვი – მეჯვარე. რა დაბინდდა, შევედით ახალგორს. სასახლე ჭრაქებით იყო გაჩახჩახებული, მეიდანნი – მაშხალებით. ამ დროს ახალი არქიერი წულუკიძე, კატოს დედამთილის ძმა, აქ იყო და მგალობლები იმისნი იყვნენ. დეკანოზი შემოსილი და ჯვარით მოგვეგება გალავნი[ს] კარებში. დაჰკრეს ზურნას, სათარას² სიმღერა (თანა გ[ვ]ყვანდა), თოფის სროლა და ხალხის ჭდევა და ყვირილი საუცხოვო სანახავს წარმოადგენდა. ამასთან, მთვარიანი ღამე და მშვენიერი მდებარეობა! სასახლეში რომ შევედით და ყაფლან[მა] ქუდი მოიხადა და შეხედა ზალას, ერთი გულით წამოიძახა: фу... – это дворец!“ ბევრი გვიცინია.

რასაკურთველია, მეორეს დღეს, პატარძლის ჩვეულებისამებრ, კატო ქვეშაგებში ინვა, მესამე დღეს ადგა. მზითევი გაშინჯეს, მაგრამ, ზაქარიავ, მრთელს ქართლში გაითქვა, თუარემ მანანა გეტყვს, როცა ნახავ. მეოთხე დღეს ნიშნები მო-

ართვეს დედამთილმა, მაზლებმა, მულებმა და რძალმა. კარგი ნიშნებიც იყო. არქიერი ეზოში იდგა, კარავში, ჭანდრებს ქვეშ. იმ დღეს ამობანდა კატოს სანახავად, დალოცა და ერთი ოქროთ მოჭედილი ღვთისმშობლის ხატი აჩუქა. ხუთი დღე და ღამე სულ შექცევამ³ ვიყავით. მამუკაც აქ იყო და ძალიან გამხიარულდა. მერმე მე და მამუკა გორს გადავედით, იქ დაგვხვდნენ ელენე, მანანა, რომელიც ორის დღის წინათ ჩვენზედ წავიდა, მელანია და ბევრნი სხვანი. ნათლობა ჰქონდათ ელიზბარის სახლებში, ესტატიე ერისთავის შვილისა. იქიდგან ატენში გადავედით. კნიაზი ძალიან კარგად დაგვიხვდა, სულ შუშურები გვასვა. ერთის ლექსით, კარგად გავატარეთ დროება, მრთელი ორი კვირა.

მე და მამა ალევობას, რომ ამ თთუს თხუთმეტს იყო, ვენვივნით კატოს. მანანა და ელენეც გარდმოვიდნენ სალოცავად. საუცხოო ჯვარობა იყო. ახალგორიდგან თორმეტი ვერსტია მალალს მთაზედ. ქალები ცხენებით, სანვიმრებით, ქოლგებით, დიდის ამალით, ოსურის სიმღერით ავედით სალოცავად. ის ღამე და მეორე დღეც იყო მშვენიერი. ძალიან მხიარულობა იყო. ცოტა წამოსვლის დროს მანანა ავად გახდა და იმან ცოტად დაგვიშალა მხიარულება.

ზაქარიავ, სწორეს გულით გეტყვი, რომ კატო თავის მოსაწონს, ეხლანდელს დროში სანატრელს ოჯახშია. ძმების უმაგალითო⁴ თანხმობა, სიმდიდრე სახლისა და უვალობა! ამასთან, რევაზ ზედ აკედება, ლევანისა ხომ სულია კატო და დავით ხომ იმის ნებიერობაშია. მე ეს მამა, რომ მტერი ვერ გაიხარე[ბ]ს. თუ ღმერთი გვალირსებს ერთად შეყრას, შენ, გრიგოლ, ილია, გიორგი, მამუკა, უნდა ვენვივნეთ ამ შემოდგომაზედ, რომ ლაზათი გავნიოთ. მართალია, სანადირო არ არის ყოვლის გუარისა.

ბევრი ვიცინეთ გრიგოლის წიგნზედ. მანანას წაუკითხე. ილიას წიგნი მოვიდა. ჩერვლონში არიან სულ ყველანი და ამ თთვის გასვლამდინ, მგონია, მოვიდნენ. მთავარმმართველსაც ამ სამ დღეზედ მოელიან! ლუა[რ]საბის ცოლი ანნა ძალიან ავად არის, სანყალი! სხვა ამბავი აქ ახალი და საშენო არა არის რა.

მშვიდობით. ღმერთსა ვთხოვ შენს კვალად და კვალად

ბედნიერებას.

შენი მარადის ერთგული თ. ნ. ბარათაშვილი

ზაქარიავ! ამ შენ გამოგზავნილს თოფსა თავის შესაფერი ერთი წყვილი დამბაჩაც უნდა, თვარემ ობოლსავით დარჩენილია და ამისთვის კაბინეტში ვერ გამიმართავს.

დამავინწყდა: ივან კარლიჩი გარდაიცვალა. სალომე კარგი ქვრივი დარჩა. სულ ყოველი თავის საცხოვრებელი ამას უანდერძა **законным актом.**^{***} თუ გიორგი ნახო, ჩემ მაგიერად დიდი მოკითხვა.

[მესამე გვერდზე ჩამატებულია]:

იაკი[ნ]ტემ ამ წიგნის წერაში ასე მითხრა: ჩემ მაგიერ მოკითხვა მისწერეო და ასე შეუთვალე, რომ ცალკე წიგნისათვის არა მცალიან, ბევრი საქმეები მაქვსო. აქ არის სასამართლოში სოვეტნიკის თანამდებობაში დროებით დანიშნული.

[პირველ გვერდზე ჩამატებულია]:

მეც მომილოცავს პოლკოვნიკობა. შენი... [შემდეგ გაურკვეველია].

[1844 წლის 15 აგვისტოს შემდეგ]

* ეს გაცილებით არსებითი იქნება

** ფუ...ეს სასახლეა

*** კანონიერი აქტით

მაიკო ორბელიანისადმი №2

9-ს თებერვალს, 1845,
ქ. ნახეჩევანით.

საყვარელო დაო მაიკო! შენი წიგნი მამივიდა. დიდად მადლობელი ვარ. ვიცი, რომ გიყვარ-ვარ, მაგრამ, შენმა გაზ-დამ, არც შენ ჩემსავით უყვარხარ ვისმე (ერთის მეტს). ნეტა, ვის ნათესავეებს ემდური? თითქოს არავის იცნობდე. განა ქართველებში არის მეგობრული და ნათესავებრი გრძნობა? – არა! რომ მეპატიჟები მანდ, რას მეპატიჟები? ახლა ყველანი კარგად გიცანით. აი, სამი თთვეა, აქა ვარ და ძალლად არა-ვინ მახსენა. ეჰ! მაგის დარდსაც გაუძლებ! აღარც მე მცალი-ან ვისთვისმე. ახლა მე ჩემი თავი ჴელმწიფობას და საზოგა-დობას შევსძლვენ. სულ ხომ ყმანვილობა არ იქნება, დრო არის რიგიანის სამსახურისა. თქვენც გეყოფათ ბუზების ხოც-ვა. დიახ, ნურავის¹ მოვაგონდები! იმისი არ² იყოს, როგორც ერთს ქალს უბძანებია, რომ აქ მოგვწყინდნენ და გავყარეთო! ეგეც აგრე იყოს. მაგრამ მე ეს ვიცი, რომ ჩვენ წელს ოც და ექვსისა შევსრულდით და წინაც ჯერ ბევრი ნუგეში და სია-მოვნება გვიძევეს! ვაი, იმის ბრალი, ვინც ოცდა რვა წლისაა და აღარც არას ამ სოფლის კმაყოფილებას მოელის!..

კრიანოსნები გეთხოვნათ. მე, დიდი ხანია, თავრიზიდგან ხუთი კრიანოსანი დავიბარე. აქამდისინ კიდეც უნდა იყოს მოსული კარანტინში (ოც და ათი ვერსია აქედგან). მაგრამ ჯერ კი არ გამოგიგზავნით, სანამ ტასოს ნება არ გექნებათ. ამიტომ, რომ მაგისთანა კრიანოსანი ერთი უნდა იყოს და, რაკი გამრავლდება, ლაზათი წაერთმევა, ხომ გაგიგონიათ:

„რაკი ტურფა გაიაფდეს, აღარა ღირს აღარც ჩირად!“

და რადგანაც პირველად ტასოს გამოუგზავნე, ამი-სათუს, რომ არ ეწყინოს, მაგის თანხმობით უნდა იქონიოთ მაგისთანა კრიანოსანი, თუმცა გაჯავრდებით ამაზედ, მაგრამ მაინც მე კიდევე ასე მოგახსენებთ.

ილაჯი წაიღეს მაგ ჯაფარას ქებით. ვისიც წიგნი მოგვი-

ვიდა, მაგის ქება ეწერა. ნეტა ყველასათვის აგრე მალე როგორ გაგიჟდებით? მაგის ამბავი ჩვენა გვეკითხოთ: ეგ სულეიმან ხანმა გარდმოიყვანა სპარსეთიდან, ორი დღე და ღამე აქ ჩვენთან იდგნენ, რაც ჰუნარები ჰქონდა, სულ აქ დაასრულა.

ეგ რომელი ამბობს, რომ სათარასა სჯობსო? ეტყობა, კარგი სმენა ჰქონია! მე გეტყვით: ეგ უფრო ნაკითხია სათარაზედ, მაგრამ სათარასათვის ღმერთს ხმა მიუცია და თანაც დაუტანებია, რომ მაგისთანა ხმა აღარავის ექნებო! ერთი, ორივეს სახე ნახეთ, ერთი კაცია, მეორე – ჯოჯოხეთის მამხალა.

ახლა ნახეჩვენში ერთი ახალი ლექსია, თვრამეტის წლის ქალის ნათქვამი, რომელსაც სახელად გონჩა-ბეგუმ ჰქვიან. ხანის ქალია, ძალიან ღამაზი და მარილიანია. ბევრში წარმოგიდგენთ ორლოვის ცოლს. საცოდავი დამწვარია თავის ქმრისაგან და ახლა იმასთან აღარ არის და ცდილობს, რომ გაუშოს. სანყალი თორმეტის წლისა ყოფილა, რომ ძალად გაუთხოვებიათ. ამათი ამბავი რომ იცოდეთ, ერთი კარგი რამანია, – ამ ლექსში თავის თავს სტირის. ერთს ადგილას ამბობს: „ჩემო მშვენიერო ბაღჩაო, მინდა მოვიდე, ვიმუსაიბო შენს შადრევანთან, შენს ყვავილებთან, მაგრამ მეშინიან, რომ ჩემი ქმარი იქ არ იყოსო.“ – ამ ლექსს დავანერინებ და თავის თარგმანით გამოგიგზავნით. მგონია, სათარამ ეს ხმა უნდა იცოდეს, კარგი ხმა არის! ერთი ხმა არის კიდევ ძალიან სასიამოვნო, ჯაფარამაც იცის და სათარამაც, როცა შეგხვდეთ, ასე უთხარით, რომ „ეი, მუსელმან ნამარი ხანჯალზანი“ იმღეროს.

ერთი შემატყობინე, რატომ ეგ შენი ქაჩალი ძმა წიგნს არა მწერს? ივანეს კიდევ არ დავემდურები, ამიტომ, შენის ძმის წყალობით, რაც ტვინი ჰქონდა, ისიც ყაბახზედ დააბნია! მაგრამ ეს მაკვირვებს: არ ვიცი, რა მიზეზია, რომ მანანა მოკითხვითაც არა მკითხულობს? მაგრამ ერთის მხრით, არც კი უნდა დავემდურო: ახლა ჩვენ ვილას მოვაგონდებით, ვილაც ორი ტლუ ბიჭი გდია ნახეჩვენში, ახლა ცა ახალია, ქვეყანა ახალია და მოდაში ოთხმოცის წლის კაცები არიან!

ტასო მოიკითხე და მადლობა უთხარ მოგონებისთვის. კატო მომიკითხე, მეტად ბევრს თურმე ლაპარაკობს! ეგ ხომ

ნიგნს ვერ მამწერს და ქართული იცოდა, ისიც დავინწყებია, რუსულიც ვერ უსწავლია და არ ვიცი, რომელს ენაზედ დაჰსწერს?

მაიკო, ეს რისაგან არის, რაკი შენ მაგ ქალაქში ჩამოხვალ ქართლითგან, მაშინვე ჭორაობა უნდა გაჩნდეს?

სხვებზე, ღმერთსა ვთხოვ შენს ბედნიერებას. ნუ დამივინწყებ.

შენი მარადის ერთგული თ. ნ. ბარათაშვილი

[პირველი გვერდის არშიაზე მიწერილია ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელით]:

აი, ამ ქართულს ლექსს გიგზავნი, მდაბიურულად დაწერილს, როგორღაც ფიქრში მამივიდა, – „მე ვარ და ჩემი ნაბადი“, იმის ხმაზედ.

[მეოთხე გვერდის არშიაზე მიწერილია ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელით]:

არა, ის რა ფერი ლაქით დაგებეჭდა შენი ნიგნი. იქნება, ახლა მაგ ფერიც მოდა იყოს და მოსწონდეს ვისმე?

[წერილის მეორე გვერდის არშიაზე მიწერილია ლევან მელიქიშვილის ხელით]:

უფალმა ნაჩაღნიკმა მოკითხვა შემოგიტვალათ.

[წერილის მესამე გვერდის არშიაზე მიწერილია ლევან მელიქიშვილის ხელით]:

ტატო დღე და ღამე იხვეწება, – თუ ღმერთი გნამს, გააშვებინე ქმარიო, მე, როგორც დამჯდარი კაცი, არა ვშვრები.

მაიკო ორბელიანისადმი №3

საყვარელო დაო მაიკო! დიდად ვწუხვარ, რომ ვერ გამოიცან ჩვენი მოქმედება. მე კიდეც შევარიგე ცოლქმარნი და! კრიანოსნები ჯერ არ მამსვლია და, როცა მამივა, უთუოდ გამოგიგზავნი, თქმა აღარ მინდა. ჩვენი აქ ცხოვრება, სწორე გითხრა, ტანჯვისა და უსიამოვნობის მეტი არა არის რა! ლევანიც ავად გამიხდა და თავად ბლუ იყო, უფრო დაბლუედა სიცხისაგან. რასაც ეს ნეიდგარდს სწყევლის აქ გამოგზავნისათვის, არ ვიცი, თუ რა მოუვიდეს. ეს ერთი კაცი გვყვანდა, პოლკოვნიკი ფორსტენი, ეს წამოვიდა და შენი მტერი, რომ ჩვენ მარტო დავრჩით!

მაიკო, რაცა გაქვს სათქმელი, რატომ არა მწერ? სულ ერთია, თუ პირად გითქვამს და თუნდ წიგნში მოგიწერია: თუ შენი ამბავია, ხომ იცი, შევინახავ საიდუმლოდ და, თუ ჩემი კარგი ამბავია და რატომ არ მანუგეშებ ამ დაობლებულს გულზედ?

ვისაც ვახსოვდე, მომიკითხე და, ვისაც არა... რაც მოუვიდეთ, მოუვიდეთ!

შენი მარადის უცვალებელი ძმა ტატო

[1845 წლის 20 თებერვლიდან 20 მარტამდე]

მაიკო ორბელიანისადმი №4

10-სა აგვისტოს, 1845, მურუტს.

საყვარელო დაო მაიკო! მართლა, თუ შენ თვითონ ავიენა არა გაქვს, აბა, რა მოგაგონდება ჩემგან ასეთი წყენა, რომ დასანახავად აღარ გინდივარ? ზედ გეტყობა, რომ ჰსტყუი, თუარემ, თუ მართალი იყოს, შორიდგანაც არ გენდომები. აი, ახლაც მინდა, ერთი მართალი სიტყვა ვჰსთქვა

და შენ კი მაშინვე გაჯავრდები. ჩემი რა ბრალია? აი, ახლა ვჰსთქვათ: ჩვენს ყმანვილებს რომ ჯვრები მოუვიდათ, რამ დამავინცა იმათი სახელი? მაგრამ შენ მოიგონე, რად მოუვიდათ?... აი, აკი გითხარ, გაჯავრდები-მეთქი. არა, შენ რა გაჯავრებს? ეგ ჰსწორეთ იმასა ჰგავს, რომ კაცს ღვთისნყალობა უთხრან და გაჯავრდეს. შენ რა? აგრე განითლებაც იქნება? მანანას ეგონება, სიანჩხლით განითლდი, ივანე კი ჩაიცივნებს. აბა, ნახე, შენვე აძლევ მიზეზს და მე კი მაბრალე, მე რა ვჰსთქვი? ჯვრები ტყუილად მიიღეს-მეთქი იმათ... რამ დამავინცა?... ოჰ, მამაგონდა: ილიამ, ალექსანდრე ერისთავმა და ლევანმა. ყველას მსარჩველელი შენა ხარ! აბა, ჩემზედ თქვას ვინმემ რამ ცუდი, თუ ნამომესარჩლო?

კარგი, შევრიგდეთ! ხელთსაქმეს თურმე მიკეთებთ, მაგრამ ვაი შენს მტერს, რაც თქვენ ვერა შეასრულოთ რა! (პატივისცემა კი არ გეგონოს, მრავლობითად რომ გეუბნები). რადგანაც ორნი მოსაქმენი ბრძანდებით, იმისთვის მოგახსენებთ. მე კი არა გთხოვთ და, თუ გამომიგზავნით, ის მე ვიცი და ჰელმწიფე იმპერატორმა და, თუ არა და, ის თქვენ იცით და პაპუა ორჯონიკიძემ.

აბა, რა გამოგიგზავნო? – ბროწეული, ყურძენი, ატამი, ხობობი, ღურეჯი, ჯეირანი, აბრეშუმი, თუ სულ ყველა ერთად? აქაურ ფაბრიკებში და მალაზიებში ამის მეტი არა არის რა.

ახალ დანიშნულს, თუ პატარძალს სოფიოს მოახსენე, თუ შეგხვდეს: ჩემი ზონარი რა უყო? ქმარი არას დაუშლის. მეორე სოფიოსაც უთხარ, ჩქარა გამიკეთოს. ვინც მე ზონარს მამიქსოვს, აგრე ჩქარა გათხოვდება!

ნიკოლაი ალაპიჩი და კატო ქალაქშივე არიან, თუ ნავიდნენ? ამ თთვის გასულს მეც ვაპირებ ყაზახში წასვლას და თამართან შევალ დილიჯანში რამდენიმე დღე. კარგად არ ვიცი, რომ დასევედიანებული იქნება.¹

კარგი, დავიღალე ამდენი ლაპარაკით! არა მცალიან.²

შენი მარადის ერთგული თუნდ ტატო და თუნდ ნიკოლოზ³

23 აგვისტოს, მურუტი [1845]

საყვარელო დაო ბაბაღე! შენ თვითონ მწერ, რომ ახლა ჩამოხველ ბორჯომიდან და არ ვიცი, ვისთან მამენერა აქამდისინ წიგნი. ნუ ხარ ავყია, სულ მაგას გიშლი და არ იქნა, ვერ დაგაშლევინე. აბა, ვისთვის მომინერია წიგნი, რაც ნამოვსულვარ? თქვენმა მზემ, თქვენ რომ ნათესავეები მყევხართ, განა არა, მოგაგონდებით! მე მაგისტანა მოკლე წიგნებისა არა ვიცი რა: თუ მწერ, რაც იცი და არ იცი, სულ მამწერე. ხომ იცი, აქ ძნელად შევიტყობ მანდაურს ჭორებს. თუმცა შენ ჭორი არ გიყვარს, მაგრამ ჩემის გულისთვის, ვიცი, რომ გაიგონებ განგებ და მასიამოვნებ ამ უდაბურს ადგილს.

მე აქაური რა მოგწერო? აქაური პირველი ფრანტისა ჯორაკის ქალი ბარბარე ბძანდება. ამით წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობა: თუ ღმერთი არ შემენია, გავსულელდები ამდენს თარაქამებში.

ახლა შენ იცი, როგორც წიგნებს და ამბებს არ დამაკლებ. მემრე მე ვიცი და მისს იმპერატორების დიდებულებამ. ამ ოთხი დღის წინათ თამართან ვიყავ დილიჯანში, პრინცს მოველოდი გატეხილს ხიდზედ, აღარ მოვიდა და იქ შევბრუნდი. გასულელეებულა, სულ იცინის! მართლად ორი დღე ვიყავ, ძალიან მხიარულად გავატარეთ დრო. ძალუა ნინო მომიკითხე და უთხარ, სენკოვსკი უკეთ არის.

ბატონს ძალუას ელისაბედს მოკითხვას მოვახსენებ. შენმა მზემ, ბევრი რამ მაქვს მოსაწერი, მაგრამ ერთს სიტყვასაც არ მოვწერ, მინამ საკუთრად წიგნი არ მამივა ჭორაჭურაებით საესე.

შენს გაზდას, ბაბაღე! ნინა ალექსანდროვნა ჩემ მაგიერ მოიკითხე და ასე უთხარ, მატუროვის ცოლმა მოგიკითხათქო. ჩვენი დროს გამტარებელი ეს არის, მაგრამ ძნელი ეს არის, რომ ამისი ენა ჯერ არ მესმის.

მაგ სულელ მაიკოს უთხარ: რა ხანია, თავის წიგნის პასუხი გამოუგზავნე.

შენი მარადის თ. ნ. ბარათაშვილი

[23 აგვისტოს, მურუტი, 1845]

ძმაო ალექსანდრე! რომ მემდური, არ ვიცი კი, აქ რა არის, რა მოგნერო? შენ უნდა მამნერო ნიგნი, რომ ტფილისი გატენილია ამბებით. მამუკა აქ არ იყო და ჩქარა ნახავ შენ თითონ ქალაქში. რასაკვირველია, რომ შენ მაიორობა არ მოგივა: ყოველ ნელინადს ბორჯომში შეექცევი, ცივს ნიავს არ მიიდენ! მე რომ ბაბალესი ვიყო, ძალად გაგაგდებ დალესტანში! სანყალს მაიორშობა არ ელირსა, არ იქნა. ქალაქიდგან განჯა ორასი ვერსია, თუნდ გაჯავრდეთ, რას შეგეპუებით.

მაგრამ ტყუილად ვხუმრობ: скупно, грустно.

შენი მარადის თ ნ. ბარათაშვილი

ბასბოტკები, შენიშენები,
კომენტაზები

ტექსტისათვის

სამეცნიერო აპარატში, პირველად ამგვარი უანრის თხზულებათა გამოცემის ისტორიაში, ერთმანეთისგანაა გამოიჯნული კომენტარები და საძიებლები. კომენტარებს წინ უძღვის პასპორტები, სადაც მკითხველი მიიღებს სრულ ინფორმაციას წერილის შესახებ:

1. რა სახითაა იგი ჩვენამდე მოღწეული – ავტოგრაფით, მისი ასლით, თუ ნაბეჭდი ვერსიით, სად და რა ნომრით ინახება. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი აღნიშნული გვაქვს C, ლიტერატურის მუზეუმი L, ხოლო ცენტრალური არქივი A ლიტერით;
2. დათარიღებულია თუ არა. ავტორის მიერ წერილის დაუთარიღებლობის შემთხვევაში, აღდგენილი თარიღი კვადრატულ ფრჩხილებშია მოცემული;
3. ხელმოწერილია თუ არა. თუ წერილი ხელმოუწერელია, ამის შესახებაც იქვეა აღნიშნული;
4. როგორია ადრესატისადმი მიმართვის ფორმა. აქ მკითხველი გაეცნობა ავტორის ადრესატისადმი დამოკიდებულებას;
5. რა სახის, რა ზომისა და რა ფერის ქაღალდზეა დაწერილი, დაზიანებულია თუ არა ხელნაწერი, არის თუ არა გადახაზული ადგილები და ა. შ., ანუ, როგორია ტექსტის დღევანდელი მდგომარეობა.

ავტოგრაფის/ასლის აღწერილობას მოსდევს შენიშვნები, სადაც კალმისმიერი შეცდომები და ტექსტის ენობრივი ლაფსუსებია აღნუსხული. ტექსტში მოცემული ნუმერაცია სწორედ შენიშვნებზე მიგვითითებს.

რუბრიკა „პირველი პუბლიკაცია“ გვანვდის ცნობას, თუ პირველად რომელ გამომცემლობაში და როდის დაიბეჭდა წერილი, გამოცემის რომელ გვერდებზეა იგი განთავსებული და ა. შ.

სამეცნიერო აპარატის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს კომენტარები, სადაც ამა თუ იმ ფაქტისა თუ მოვლენის ასახსნელად ბევრი ახალი მასალაა მოხმობილი. აქვეა დასაბუთებული წერილთა დათარიღების საფუძველი. თითოეული ფრაზა დამოწმებულია გვერდისა და სტრიქონის მითითებით, რომლებიც ერთმანეთისაგან მძიმითაა გამოყოფილი.

კომენტარებში სტრიქონების ნომრები მითითებულია წლისა და სათაურის ჩაუთვლელად. შესაბამისად, მკითხველ-

მა მისთვის საჭირო ინფორმაცია ამის გათვალისწინებით უნდა მოძებნოს. მაგ., თუ რომელიმე გვერდი იწყება წლისა და სათაურის აღნიშვნით, ვთქვათ, 1829, ეჩმიადინის მღვდელმთავრისადმი (გვ. 10), პირველი სტრიქონი ამ გვერდზე იქნება „Ваше Святыѣшество“, რომლითაც იწყება უშუალოდ წერილი.

კომენტარების შემდეგ გამოცემას ერთვის პირთა, გეოგრაფიულ და წარმომავლობის სახელთა ანოტირებული საძიებლები, რომლებიც ანბანურ რიგზეა დალაგებული და მკითხველს საშუალებას აძლევს, მისთვის სასურველი პიროვნება თუ გეოგრაფიული სახელი მითითებულ გვერდებზე მოძებნოს. ანბანური რიგი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, გვარების მიხედვითაა შედგენილი; სოციალური ნოდების მქონე პიროვნებები წარმოდგენილნი არიან სოციალური კლასის ჩვენებით, მაგ., ბატონიშვილი ბაგრატი, დედოფალი მარიამ და ა. შ., ქალი პიროვნებები კი – ქალიშვილობის გვარით, რომლის გვერდითაც დეფისის შემდეგ მეუღლის გვარია დაფიქსირებული, მაგ, ჭავაჭავაძე-დადიანისა ეკატერინე. როცა ქალიშვილობის გვარი არ არის ცნობილი, პიროვნება მითითებულია მეუღლის გვარით.

გამონაკლისებს განეკუთვნება ისეთი შემთხვევები, როდესაც არ არის დაზუსტებული პიროვნების ვინაობა, ან გვარი, ასეთები მხოლოდ სახელით, ან ტექსტური ფორმით არიან ნაჩვენები, მაგ., გიორგი, მათა, ჯორაკის ქალი ბარბარე და სხვ. საკუთარი სახელი გვარის შემდეგ ფუძის სახითაა მოცემული. აქვე აღვნიშნავთ, რომ პირთა ანოტირებისას ვეყრდნობოდით კომენტარებს. რამდენადაც ამა თუ იმ პიროვნების ვინაობა აქ არის ახსნილი, საძიებელში პირთა სახელი მოცემულია არა ტექსტური, არამედ რეალური ფორმით. მაგ., სოლომონ დოდაშვილი „სპიაგინს“ „სპიალინის“ სახით მოიხსენიებს. კომენტარებში „სპიალინი“ ტექსტიდან მოხმობილ ციტატაშია დამონმებული, ხოლო საძიებელში „სპიაგინის“ სახითაა წარმოდგენილი.

საძიებლებში პირთა თუ გეოგრაფიულ სახელებს გვერდები იმ შემთხვევებშიც აქვს მითითებული, როცა ისინი მხოლოდ იგულისხმება და დასახელებული არ არის, მაგ., თუ ტექსტში წერია „შვილი“, „ძმა“, „და“, „სახლობა“, „ქალაქი“ და ა. შ. და ცნობილია, ვისზე ან რაზეა საუბარი, გვერდები მითითებული აქვს ამ სიტყვების ქვეშ ნაგულისხმევ პირთა და გეოგრაფიულ სახელებს. ამ უკანასკნელთა გვერდები აღ-

ნიშნულია იმ შემთხვევაშიც, თუ ის წერილის დაწერის ადგილია.

როცა საუბარია ერთ კონკრეტულ პიროვნებაზე, მაგრამ, ის მოხსენიებულია ნათესავის საშუალებით, გვერდები ეთითება ორივე პიროვნებას, მაგ.: „დავით ერისთავმა, სიძის ძმამ“ – საძიებელში ამ შემთხვევაში გვერდები მითითებული აქვს როგორც დავით ერისთავს, ისე სიძეს – რევაზ ერისთავს.

საძიებელში გვერდები არ გვაქვს დაფიქსირებული იმ შემთხვევებში, როცა პიროვნება საზოგადო სახელით არის მოხსენიებული და ტექსტში ზუსტად არ ჩანს, ვისზეა საუბარი. მაგ., 101-ე გვერდზე, სოლომონ დოდაშვილის წერილში, ვკითხულობთ: „ობლის ქალის გათხოებისათვის.“ ობლის ქალი, როგორც კომენტარებშია აღნიშნული, თანაბრად შეიძლება იყოს იონა ხელაშვილის გარდაცვლილი ძმის, იოსების, ქალიშვილთაგან ერთ-ერთი – მაია, ან მარიამი. ამიტომ 101-ე გვერდი საძიებელში არც ერთ ამ პიროვნებათაგანს არა აქვს მიწერილი.

რაც შეეხებათ ადრესატებს, გვერდები არ მივუთითეთ მათ, ვის მიმართაც წერილების უმრავლესობაა დაწერილი, მაგ., იონა ხელაშვილს, გრიგოლ ორბელიანს, მაია ორბელიანს. ეპისტოლეთა მცირე ნაწილის ადრესატებს კი გვერდები აღნიშნული აქვთ.

საძიებელში ანოტაციები არ ერთვის ცნობილ წარმომავლობის სახელებს, მაგ., ქართველს, ბერძენს და ა. შ. მათ მხოლოდ გვერდები აქვს მითითებული.

წარმომავლობის სახელები მოცემულია მხოლოდითი რიცხვის ფორმით, თუმცა ტექსტში ის შეიძლება მრავლობითის ფორმით იყოს გამოყენებული.

ენის საკითხებში განხილულია ეპისტოლეთა ძირითადი ენობრივი თავისებურებები. დადგენილ ტექსტებთან დაკავშირებულ საკითხებზეც მკითხველი სამეცნიერო აპარატის ამ ნაწილში მიიღებს სრულ ინფორმაციას.

ჟანრის სპეციფიკის გათვალისწინებით, ლექსიკონში, გარდა ლიტერატურულისა, სასაუბრო ფორმები და რუსული ლექსიკური ერთეულებიცაა ასახული. სიტყვა, საჭიროების შემთხვევაში, მოცემულია თავისი ვარიანტებით, რომლებიც ერთმანეთისაგან პარალელური ხაზებითაა გამოყოფილი. თითოეული ვარიანტის გვერდები და სტრიქონები ცალ-ცალკეა დამონმებული, რომლებიც ერთმანეთისაგან ასევე პარალე-

ლური ხაზებითაა გამიჯნული. სალექსიკონო მასალა წარმოდგენილია ტექსტური ფორმებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არ ემთხვევა სალიტერატურო ფორმებს, მაგ., ნიკოლოზ ბარათაშვილი იყენებს ფორმას „პანციონი“, შესაბამისად, ლექსიკონშიც გატანილია „პანციონი“ და არა „პანსიონი“.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ნერილების ლექსიკონზე მუშაობისას დიდი სამსახური გაგვინია ავტორის თხზულებათა 1996 წლის გამოცემამ (ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი სიმფონია-ლექსიკონითურთ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, სიმფონია-ლექსიკონი შეადგინეს და წინასიტყვაობა დაურთეს ავთანდილ არაბულმა, თეიმურაზ გვანცელაძემ და ამირან ლომთაძემ, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1996), რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებთ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნერ-კორესპონდენტს, პროფესორ ავთანდილ არაბულს.

თითოეულ საქმიან შენიშვნას სამეცნიერო ჯგუფი დიდი მადლიერებით მიიღებს და გაითვალისწინებს შემდგომი მუშაობისას.

ქეთევან გიგაშვილი

ეჩმიაძინის მღვდელმთავრისადმი (გვ. 10)

ავტოგრაფის ასლი: L: 824-დ; შემოსულობის წიგნი 011 241;

თარიღი და ადგილი: „Maia, 31 дня, 1829 года.“

ხელმოწერა: „[Князь] Александр Чавчавадзе“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Ваше Святышество, Милостивый Архипастыр!“

ავტოგრაფის ასლის აღწერილობა: აღნიშნული წერილის ფოტოპირი დაცულია ლიტერატურის მუზეუმში, რომელიც გატარებულია ხელნაწერთა საინვენტარიზაციო წიგნში ზემოთ მითითებული ნომრით. 1946 წლის 17 დეკემბერს ივანე ენიკოლოფოვმა საქართველოს ლიტერატურის მუზეუმს გადასცა ალექსანდრე ჭავჭავაძის ერევანში სამსახურის დროინდელი ბრძანებები და მოხსენებები. მათ შორის იყო ალექსანდრე ჭავჭავაძის წერილი სრულიად სომეხთა კათალიკოსისადმი.

პირველი პუბლიკაცია: აღ. ჭავჭავაძე, თხზულებები, შეადგინა, რედაქცია გაუკეთა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ირაკლი კენჭოშვილმა, თბ., 1986, გვ. 201.

გვ. 10, 2. „Милостивый Архипастыр“ – სავარაუდოდ, იგულისხმება ეფრემ ტერ ოვანესიანი, რომელიც 1809-1830 წლებში იყო ეჩმიაძინისა და სრულიად სომხეთის კათოლიკოსი. სწორედ მისი ინიციატივით გადაწყდა 1827 წელს სომხეთის სოფელ ოშაკანთან დალუპული 1131 რუსი მეომრის საძმო საფლავზე ობელისკის აღმართვა. ამდენად, სრულიად ბუნებრივია, რომ მას ალექსანდრე გრიბოედოვის მიმართ მადლიერების გრძნობა ჰქონოდა.

გვ. 10, 5-6. „о почестяхъ, отданныхъ въ первопрестольномъ Эчмеадзинскомъ монастырь“ – სომხეთის საკათალიკოსო ტაძარ ეჩმიაძინში გრიბოედოვი არაერთხელ იყო ნამყოფი და იქაური სასულიერო პირები კარგად იცნობდნენ. პირველად 1819 წელს ჩავიდა, როდესაც თეირანში რუსული მისიის მდივნად მუშაობდა და აღფრთოვანებული იყო მონასტრის უძველესი წიგნთსაცავი – მატენდარანით. 1828 წელს თეირანში გამგზავრებამდე მას და მის მეუღლეს ნინოს ეჩმია-

ძინის სამღვდელოება ნამდვილი ზარ-ზეიმით, ხატებით, ჯვრებითა და საეკლესიო დროშებით შეეგება. თურქეთის ქალაქ ბაიაზეთის ალების შემდეგ, 21 სექტემბერს, ალექსანდრე ჭავჭავაძე სწორედ ერმიადინში ჩავიდა იქ მყოფი თავისი სიძის გასაცნობად და თავადაც მომსწრე გახდა მისდამი საყოველთაო პატივისცემისა. რა თქმა უნდა, ამ საპატიო მიღების მოთავე იქნებოდა ერმიადინისა და სრულიად სომხეთის ეკლესიის იმჟამინდელი მეთაური – ეფრემი.

გვ. 10, 5-8. „увѣдомляете о почестяхъ, отданныхъ въ первопрестольномъ Эчмеадзинскомъ монастырь прошу незабвенного зятя моего бывшего полномочного министра въ Персїи Александра Сергеевича Грибоедова“ – 1829 წლის 30 იანვარს თეირანში მოკლული ალექსანდრე გრიბოედოვი თბილისში გადმოასვენეს სომხეთის გავლით. ცხედარს მოაცილებდა ქვეითი ბატალიონი და 50 ცხენოსანი. მკვლელობა ადამიანისა, რომელიც მონაწილეობდა ოსმანთა იმპერიისაგან სომხური ქალაქების გათავისუფლებაში და რომელიც, როგორც დიპლომატი, გულმოდგინედ იცავდა ამ ერის ინტერესებს (მაგალითად, ზრუნავდა გადასახლებულთა პრობლემების მოგვარებაზე), სომხებმა დიდად განიცადეს. თავრიზის გენერალური კონსული ამბურგერი გენერალ პასკევიჩს დაწვრილებით სწერს იმ პატივის შესახებ, რომელიც მიაგეს სომხებმა გრიბოედოვის ცხედარს ნახჭევანში: „სამგლოვიარო ცერემონიალს სიდიადეს ჰმატებდა ის, რომ მიცვალებულის ნეშტს მიეგება მთელი სომხური სამღვდელოება არქიმანდრიტ პარსეხის თაოსნობით. წარმოუდგენლად ბევრი ხალხი იყო; კაცები, ქალები და ბავშვები... არაერთგან ისმოდა ხმამალალი ქვითინი...“. 2 და 3 მაისს ნახჭევანის ტაძარში ორჯერ გადაიხადეს პანაშვიდი, შემდეგ კი ცხედარი ერმიადინისკენ წაასვენეს. ეს მსვლელობა ამბურგერის წერილში აღწერილი აღარ არის, რადგან ის მათ არ გაჰყოლია, მაგრამ ცხადია, რომ ერმიადინის სამღვდელოება, რომელმაც დიდებულად უმასპინძლა გრიბოედოვს თეირანში გამგზავრების წინ, არანაკლებ პატივის მიაგებდა ტრაგიკულად დაღუპული დიპლომატის ცხედარს.

აქვე – Эчмеадзинский монастырь – სომხური გრიგორიანული ეკლესიის ცენტრალური ტაძარი და სომხეთის კათოლიკოსის რეზიდენცია ქალაქ ერმიადინში. მდებარეობს ერევნიდან 20 კილომეტრის დაშორებით. ერმიადინის სამონას-

ტრო კომპლექსის მთავარი ნაგებობა – ჯვარგუმბათოვანი ტაძარი – აგებულია IV საუკუნეში.

გვ. 10, 13. „оставивъ службу свою въ Армянской области“ – გენერალ-მაიორი ალ. ჭავჭავაძე სომხეთის ოლქის (ოლქი აერთიანებდა ერევნისა და ნახჭევანის სახანოებს) მმართველი იყო 1828 წლის 17 თებერვლიდან 1829 წლის 15 მაისამდე და ამ წერილის წერისას სულ ორიოდ კვირა იყო გასული მის მიერ ამ თანამდებობის დატოვებიდან.

1830

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რაევსკისადმი (გვ. 12)

ნაბეჭდი: Архив Раевских, т. II, 1909, стр.1.

თარიღი და ადგილი: „11-го января, 1830 г.Тифлисъ.“

ხელმოწერა: „Князь Александръ Чавчавадзе“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Милостивый Государь Николай Николаевичъ!“

პირველი პუბლიკაცია: ორიგინალის ტექსტი პირველად დაიბეჭდა წიგნში: „Архив Раевских,“ т. II, 1909, стр.1, ქართული თარგმანი კი — წიგნში: ალექსანდრე ჭავჭავაძე, თხზულებები, შეადგინა, რედაქცია გაუკეთა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ირაკლი კენჭოშვილმა, თბ., 1986, გვ. 202.

გვ. 12, 2. „Милостивый Государь Николай Николаевичъ“ – წერილის ადრესატია ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის მეთაური ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რაევსკი. მას დიდი დამსახურება მიუძღოდა კახეთის საზღვართან მცხოვრებ ლეკებთან მშვიდობიან მოლაპარაკებასა და მათი თავდასხმების აღკვეთაში, რის გამოც წარმოუდგენელია, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძე მისადმი პატივისცემით არ ყოფილიყო გამსჭვალული.

გვ.12, 4-5. „по предложению Главнокомандующаго, я не могъ въ то-же время къ вамъ приехать, какъ посредникъ“ – მთავარსარდალი პასკევიჩი ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის მეთაურ რაევსკის მიმართ ცუდად იყო განწყობილი. როდესაც იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ყურამდე მიაღწია დეკაბრისტებთან მისი ურთიერთობის ამბავმა, პასკევიჩმა იფიქრა,

რომ იმპერატორი რაევსკის თანამდებობაზე აღარ დატოვებდა, ბრძანებას არ დაელოდა და თავად გადააყენა. 1829 წლის 25 ნოემბერს მთავარსარდალმა ალექსანდრე ჭავჭავაძეს დაავალა, რომ გამგზავრებულიყო ყარაბაღში და უზრუნველყო რაევსკის მიერ მის თანამდებობაზე ახალდანიშნული ანდრონიკაშვილისათვის მოვალეობების მშვიდობიანი გადაბარება. ალექსანდრე ჭავჭავაძისთვის ეს მისია არასასიამოვნო იყო და, როგორც ჩანს, ავადმყოფობის მიზეზით, დროებით აარიდა კიდევ თავი.

რაევსკი ოფიციალურად 1829 წლის 14 დეკემბერს გადაიყვანეს ულანის მე-5 დივიზიაში, მაგრამ თანამდებობის გადაბარება ორ წელს გაჭიანურდა და მხოლოდ 1831 წელს გადავიდა პეტერბურგის ჰუსართა დივიზიაში.

გვ. 12, 11-13. „Трудно мне надеяться, чтобы я могъ успеть согласить Ваше Превосходительство съ Княземъ Андрониковымъ“ – ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი 1829 წელს ჯერ დროებით ხელმძღვანელობდა ნიჟეგოროდის დრაგუნდთა პოლკს (27 სექტემბერს მან ბეიბურტთან თურქების ბატარეის ხელში ჩაგდებით გამოიჩინა თავი), შემდეგ კი ოფიციალურად დაინიშნა ამ თანამდებობაზე, მაგრამ სულ რამდენიმე თვის შემდეგ, 1830 წლის მარტში, პასკევიჩმა ისიც გაათავისუფლა, რომ ეს ადგილი სამხედრო მინისტრ ჩერნიშოვის პროტეჟე პოდპოლკოვნიკ დობროვისათვის გაეთავისუფლებინა. ანდრონიკაშვილი იმედგაცრუებული დარჩა და სავალდებულო სამხედრო სამსახურს ჩამოშორდა.

გვ. 12, 14-15. „по крайней мере одна сторона непременно останется мною недовольною“ – ალექსანდრე ჭავჭავაძეს უკვე მიღებული ჰქონდა სასაყვედურო წერილი პასკევიჩისგან: „თქვენ უხალისოდ ეკიდებით თქვენზე დაკისრებულ მოვალეობათა აღსრულებას... და თუ ამიერიდანაც შეეცდებით მოვალეობათა შესრულებაზე თავის არიდებას, რაც შეუთავსებელია სამსახურებრივ ნესებთან, თავს მოვალედ ჩავთვლი, მოვთხოვო ხელმწიფე იმპერატორს თქვენი, როგორც უღირსი მოხელის, გადაყენება“. პასკევიჩი ასეც მოიქცა, მაგრამ ნიკოლოზ I-მა არ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა ალექსანდრე ჭავჭავაძის დათხოვნის შესახებ.

ფილადელფოს კიკნაძისადმი (გვ. 14)

ავტოგრაფი: A: №11, გვ. 1248. 119.

თარიღი და ადგილი: „მარტის 22, წელს 1832, წინანდლით.“

ხელმოწერა: „დია ვალდებულ მყოფთ თქვენს უმორჩილესს მოსამსახურეს თ. ალექსანდრე ჭავჭავაძეს.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ღირს მამას ძილა-დელქოსს, მონყალეს ჯელმნიფეს შუამთის მონასტერში“

ავტოგრაფის აღწერილობა: ქალაქის ზომა: 23X18 სმ; ორ-ფურცლიანი, ბაცი, ყვითელი, მკვრივი ქალაქი. მუქი ყავის-ფერი მელნით ნაწერი გარკვევით; აბზაცები დაცულია, დაწერილია I-II გვერდზე. მეორე ფურცელი დაკეცილი ყოფილა წერილის ჩასადებად. შუაში მისამართია: „ღირს მამას ძილა-დელქოსს, მონყალეს ჯელმნიფეს შუამთის მონასტერში.“ დაბეჭდილია ნითელი ლუქით. გამოყენებულია ქარაგმები.

შენიშვნები: 1. ავტოგრაფში ჯერ „ს“ დაუწერია ავტორს, შემდეგ გადაუშლია და „თ“-თი შეუცვლია; 2-3 ქრგ.; 4. ავტორს ჯერ დაუწერია „თვისება“ და შემდეგ ზედვე გადაუწერია „არამედ“. ხელნაწერში ორივე სიტყვა იკითხება; 5. ჭავჭავაძეს.

პირველი პუბლიკაცია: ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებითა და ლექსიკონით, თბ., 1940, გვ. 308. წერილში მოხმობილი ოთხტაეპიანი ლექსი ი. გრიშაშვილმა ცალკე შეიტანა პოეტის თხზულებათა კრებულში (დასახ. წიგნი, გვ. 111).

გვ. 14, 2. „შუამთის მონასტერში“ – მონასტერი მდებარეობს კახეთში. დაარსდა XVI ს-ის 50-იან წლებში კახეთის მეფის, ლევანისა (1520-1574), და მისი მეუღლის, თინათინის, მიერ.

გვ. 14, 3. „მამაო ძილადელქოს“ – წერილის ადრესატია 1832 წლის შეთქმულების წესდების „აქტი გონიურის“ ავტორი, შუამთის მონასტრის ბერი ფილადელფოს კიკნაძე, რომელთანაც, როგორც შეთქმულების მონაწილესთან, ალექსანდრე ჭავჭავაძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა.

გვ. 14, 4. „მშვიდობისა თქვენისა სწავებითა“ — წერილი 1832 წლის მარტშია დაწერილი, მისი ავტორისა და ადრესატის დაპატიმრებამდე რამდენიმე თვით და კაზარმაში ფილა-

დელფოსის გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე. ირგვლივ ჯერ სიმშვიდეა და შეთქმულება გაცემული არ არის.

გვ. 14, 10-15. „ასტრონომიისა იარაღნი... არღა მქონან... ღვინო მოგართვი საუკეთესო“ – როგორც ჩანს, ალექსანდრე ჭავჭავაძის ეს წერილი ფილადელფოს კიკნაძის საბუთების ჩხრეკის დროს ხელში ჩაუვარდა გამოძიებას და მსჯავრდებულს ახსნა-განმარტება მოსთხოვა. ამის გამოძახილი უნდა იყოს საგამოძიებო კომისიისადმი მიცემული ჩვენება, სადაც ფილადელფოსი თავად განმარტავს, რა იარაღებსა და ღვინოზეა საუბარი: „1832 წლის გაზაფხულზე ვიახელ მას კვალადც სათხოვნელად სამონასტროდ ღვინისა... მაშინ იმის სახლიდამ წამოვიღე გასასინჯად ძველი ქართული გლობუსი და სხვა მათემათიკის იარაღები“ (გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, 1935, გვ. 277).

გვ. 14, 11-12. „და საათი მზისა გარდასალებელად თუთ მომირთმევი“ – ფილადელფოსმა სოფელ ქისტაურში კიაზო ერისთავის სახლში მარმარილოს ქვაზე ამოკვეთა მზის საათი ქართული რიცხვებით (იხ. ივანე კერესელიძის მოგონება, „ცისკარი“, 1861, №8, გვ. 353) და, სავარაუდოა, რომ ეს მზის საათი სწორედ ის ასლი იყო, რომელიც წერილშია ნახსენები.

გვ. 14, 13-14. „რვეულთა თქვენთა წარვიკითხავ... სასარგებლოსა“ – საგამოძიებო კომისიას, ცხადია, განსაკუთრებით დააინტერესებდა, რა რვეულები გაუგზავნა ფილადელფოსმა ალექსანდრეს, რომელთა წაკითხვას და შეფასებასაც ჰპირდებოდა იგი წერილში. მის სასამართლო ჩვენებაში ესეც განმარტებულია: „მეც მქონდა ერთი ძველი წიგნი ქართული, მათემათიკური მრიცხველობა, რომელიც მეც არ ვიცოდი, რა იყო. ის გადავწერე და მივართვი მეცა სანახავად, და მასთან ვსთხოვე მცირედი კარგი ღვინო. ღვინოც ებოძებინა და პასუხიც მიენერა მადლობა წიგნისა“ (გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, 1935 წ. გვ. 277). თუმცა, გამორიხული არ არის, რომ რვეულში რაიმე პოლიტიკური ხასიათის ინფორმაცია ყოფილიყო და ფილადელფოსს გამოძიებისათვის დაემალა.

გვ. 14, 17-20. „ღვინო თუხებას არ ჰსცვალებს... კეთილს უმრავლებს“ – ეს არის პირველი სტროფი ალ. ჭავჭავაძის პატარა ლექსისა, რომელიც სრული სახით დაცულია საქარ-

თველოს ცენტრალური არქივში (S 5081, გვ.15; Q 438-ა, გვ. 1) და დავით რექტორის ანთოლოგიაში (S 1512, გვ. 267).

1836

ნიკოლოზ იოსების ძე ფალავანდიშვილისადმი
(გვ. 15)

ავტოგრაფი: C: №1826, Sd, 139.

თარიღი და ადგილი: „22 ივნისს, 1836, ს. პ. [სანკტ-პეტერბურგი].“

ხელმოწერა: „გთხოვ, მიიღო ჩემი გულითადი აღმსარებლობა და ჭეშმარიტი პატივისცემა თქვენის ბრწყინვალეების უმორჩილესის მსახურის, თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძის.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მონყალევ ჰელმნიფევ, თავადო ნიკოლოზ იოსების ძევ!“

ავტოგრაფის აღწერილობა: ქალაქის ზომა: 24X20 სმ; შესრულებულია მოყვითალო ფერის, ორად მოკეცილ, მკვრივ ქალაქდზე, დაზიანებული არ არის, მხოლოდ ორ კუთხეში ჩანს გადაკეცვის კვალი და დალაქავებულია პირველი ფურცლის შუა ნაწილი. დოკუმენტი ოთხგვერდიანია. ნაწერი მოიცავს I-II გვერდებს. III-IV გვერდები თავისუფალია. არე დაცულია მარცხენა მხარეს (3,5სმ), მარჯვენა მხარეს ნაწერი კიდემდეა მისული. პირველ გვერდზე, ბოლოში, დატოვებულია 2,5 სმ თავისუფალი ადგილი, მეორე გვერდის ბოლოს, მარცხნივ, თარიღია მინერილი. არშიაზე კომენტარები არ არის. ნაწერია შავი მელნით, გაკრული, მაგრამ საკმაოდ გასაგები კალიგრაფიით. პუნქტუაცია ნაწილობრივია დაცული. გამოყენებულია ქარაგმები. პოეტის არქივში ინახება დამოუკიდებელი ნომრით.

შენიშვნები: 1. ამის შემდეგ სიტყვაა გადაშლილი, რომელიც არ იკითხება; 2-3. ქრგ.; 4. ამის შემდეგაც გაურკვეველი სიტყვაა გადახაზული; 5. ამ სიტყვის ქვეშ სხვა სიტყვა წერებულა და ავტორს ზედ გადაუნერია ახალი სიტყვა; 6. ამის შემდეგ „და“ კავშირია გადახაზული.

პირველი პუბლიკაცია: ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებითა და ლექსიკონით, თბ., 1940, გვ. 12.

გვ. 15, 1. „თავადო ნიკოლოზ იოსების ძევ“ – ნერილის ადრესატია საქართველოს იმჟამინდელი სამოქალაქო გუბერნატორი ნიკოლოზ იოსების ძე ფალავანდიშვილი, რომელსაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა ალექსანდრე ჭავჭავაძესთან და მის ოჯახთან. 1832-1833 წლებში მან ორჯერ უშუამდგომლა ნინო ჭავჭავაძეს საქართველოს ეგზარქოს მოსეს ნინაშე, რომ მიეცა მისთვის მამა დავითის ეკლესიასთან, თავისი ქმრის საფლავზე, ძეგლის დადგმის უფლება.

გვ. 15, 2-3. „პრასკოვია ნიკოლაევნასაგან ესცან გუშინ ჩემზედ მონეწილი უბედურება“ – 1836 წელს 78 წლის ასაკში გარდაიცვალა ალექსანდრე ჭავჭავაძის დედა მარიამ ავალიშვილი. პრასკოვია ნიკოლოზის ასული არსენიევა იყო გენერალ-მაიორ ახვერდოვის ქვრივი, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა ჭავჭავაძეების ოჯახთან, აქტიურად მონაწილეობდა ნინო ჭავჭავაძის აღზრდაში და მის გათხოვებაში. გრიბოედოვის მკვლელობის ამბავი ალექსანდრე ჭავჭავაძის დედას, შემდეგ კი ნინოსაც მან შეატყობინა. ამისთვის ზოგიერთები ჰკიცხავდნენ კიდევ, რადგან ნერვიულობაზე ნინოს ნაადრევი მშობიარობა დაეწყო და ბავშვი დაედუპა (იხ. «Русский Архив» 1894, № 1, стр. 39-50). როგორც ამ წერილიდან ჩანს, პრასკოვია ნიკოლოზის ასული წლების შემდეგაც ჭირში პირველი თანაუგრძნობდა ჭავჭავაძეებს.

გვ. 15, 8-9. „უკანასკნელ დღეებში დედის ჩემის მოვლა და სამსახური არ მელირსა“ – 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო ალ. ჭავჭავაძე ამ წერილის წერის დროს ჯერ კიდევ გადასახლებული იყო. ამიტომ დედა დიდი ხნის უნახავი ჰყავდა და ვერც მის დაკრძალვას დაესწრო.

გვ. 15, 19. „მანანას წინანდალში ყოფნა დიდად მიხარიან“ – სავარაუდოდ, იგულისხმება მანანა ორბელიანი, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახთან. ცენტრალურ არქივში დაცულია 1835 წელს მანანა ორბელიანისა და ნინო ჭავჭავაძის მიერ გრიგილ ორბელიანისადმი ერთობლივად მიწერილი წერილი, საიდანაც ჩანს, რომ იმ პერიოდში ნინო ბებიასთან ერთად სტუმრობდა მანანას.

გვ. 15, 20-21. „ნუგეშად ექმნებათ სალომესაც და ქალებსაც“ – რამდენადაც 1836 წელს ალექსანდრე ჭავჭავაძის სამი ქალიშვილიდან ნინო უკვე დაქვრივებული იყო, ეკატერინე და სოფიო კი ჯერ არ იყვნენ გათხოვილები (პირველი ცოლად გაჰყვა დავით დადიანს 1839 წელს, მეორე კი ბა-

რონ ნიკოლაის – 1850 წელს), სავარაუდოდ, ალ. ჭავჭავაძის მეუღლე სალომე ორბელიანთან ერთად (ჯვარი დაინერეს 1810 წელს), აქ შეიძლება, სამივენი იგულისხმებოდნენ.

სოლომონ დოდაშვილის წერილები

1825

იონა ხელაშვილისადმი №1 (გვ. 18-19)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი ნიგნი: C: S-1532, გვ.: 149-150.

თარიღი და ადგილი: „ივლისის 10-სა, 1825-სა წელსა.“

ხელმოწერა: „თქვენი ღირსების პატივისმცემელი, მონაფე თქუჴნი სოლომონ დოდაევი.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ღირსო მამაო, მლუდელ-მოძღუარო იონა და სულიერო სულისა წმიდისაო!“

ხელნაწერის აღწერილობა: ქაღალდის ზომა: 25X20 სმ; ყავის-ფერი ყდა, შესრულებულია შავი მელნით. წერილი დაწერილია პატარა ფორმატის ნიგნში განსხვავებული ხელით, ვიდრე № 388 ფონდის ხელნაწერები. დაწერილია ლამაზად, თანაბარი ასოებით.

შენიშვნები: 1. „ღირსო“-ს თავკიდური ასო ხელნაწერში ასომ-თავრულია. ასევე ასომთავრულით წერია „იონა“. „მამაო, მლუდელ-მოძღუარო“ ჩაწერილია სამი ასომთავრული „მ“-თი, რომლებიც ერთმანეთისაგან წერტილებითაა გამოყოფილი; 2. ქრგ.; 3. „ღ“ ასომთავრულია.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ. 59.

გვ. 18, 1. „ღირსო მამაო, მლუდელ-მოძღუარო იონა“ – წერილის ადრესატია ცნობილი სასულიერო პირი და ღვთისმეტყველი იონა ხელაშვილი, რომელიც დიდ დახმარებას უწევდა პეტერბურგში სასწავლებლად ჩასულ ქართველებს, განსაკუთრებით სოლომონ დოდაშვილს.

გვ. 18, 25. „ადამსა ზედაცა ვმეცადინებ განმხნობად“ – იგულისხმება კახელი მღვდლის შვილი ადამ ღირსიაშვილი, რომელიც სწავლობდა პეტერბურგის გიმნაზიაში, შემდეგ კი

საიმპერატორო უნივერსიტეტში თავისუფალი მსმენელის სტატუსით ესწრებოდა ლექციებს.

გვ. 18, 28-29. „უამსა წიგნისა მიღებისასა იმყოფებოდა იოანე ბატონისშვილი აქა“ – იგულისხმება გიორგი მეთორმეტის ძე, მწერალი და მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე იოანე ბატონისშვილი, რომელიც მამის გარდაცვალების შემდეგ (1800 წლიდან) რუსეთში გადასახლდა.

გვ. 18, 33. „იყუნენ ერთბამად ბაგრატ ბატონის შვილის“ – გიორგი მეთორმეტის ძე ბაგრატ ბატონისშვილი რუსეთში გადასახლდა თავის ძმებთან ერთად და იონა ხელაშვილმა მასთან გაამწესა სოლომონ დოდაშვილი შვილების აღმზრდელად პეტერბურგში. ეს კარგად ჩანს იონა ხელაშვილისადმი 1826 წლის 27 მარტს მიწერილი წერილიდან: „ვარ დადგენილ თქუჴნ მიერ მათისა უგანათლებულესობის მეფის ძის ბ[აგრატის] ძეთა-ზედა მასწავებლად...“

იონა ხელაშვილისადმი №2 (გვ. 19-21)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: 5-1532, გვ.: 175-178.

თარიღი და ადგილი: [1825 წლის 17 ივლისიდან 15 ნოემბრამდე]

ხელმოწერა: „დავმთები თქუჴნის ღირსებისა მორჩილი მოწაფე ს. დოდაევ.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „თქუჴნო ღირსებავ მამაო, მღუდელ-მოძღუარო იონა და მზრუნველო მამობრივ!“

ხელნაწერის აღწერილობა: ქალაქის ზომა: 25X20 სმ; ყავისფერი ყდა, შესრულებულია შავი მელნით.

შენიშვნები: 1. „მამაო, მღუდელ-მოძღუარო“ ხელნაწერში სამი, ერთმანეთისაგან წერტილით გამოყოფილი, ასომთავრული „მ“-თია ჩანერილი; 2. „იონა“-ს პირველი ასო ასომთავრულია; 3. „ძ“-ს ნაცვლად „მ“ წერია (კალმ. შეცდ.); 4. ქრგ.; 5. იქადგიან (კალმ. შეცდ.); 6. ქრგ.; 7. „ამ“ ორჯერ წერია (კალმ. შეცდ.); 8. ხელნაწერში ეს სიტყვა ძირითადად „ხუასტავის“ სახითაა მოცემული; 9. დავადიდებ; 10. ივლისის (კალმ. შეცდ.); 11. ქრგ.; 12. პირველი ასო ასომთავრულია, სიტყვა კი დაქარაგმებულია; 13. ქრგ.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები:

1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 66-68.

წერილი უთარილოა, მაგრამ მისი შინაარსი საშუალებას გვაძლევს, მიახლოებით დავათარილოთ. 1825 წლის 10 ივლისს მინერილ წერილში დოდაშვილი ახსენებს იონა ხელაშვილის მიერ მისდამი მიცემულ დავალებას – საღვთისმეტყველო წიგნის აღწერას შობის მარხვის დაწყებამდე. იმ წერილში იგი ამბობს, რომ აღწერა 117-ე პარაგრაფამდე. წინამდებარე უთარილო წერილში კი წერს, რომ უკვე 138-ე პარაგრაფამდე აქვს აღწერილი. ცხადია, რომ ეს წერილები ერთსა და იმავე წელს არის დაწერილი და მათ შორის დროის დიდი ინტერვალი არ უნდა იყოს.

რადგან ამ უთარილო წერილში აგრეთვე ნახსენებია 17 ივლისს მომხდარი ამბები, ცხადია, რომ წერილი 17 ივლისს შემდეგ არის დაწერილი და, ვინაიდან არ ჩანს მობოდიშება წიგნის აღწერის დაგვიანებისთვის, დაწერილი უნდა იყოს შობის მარხვის დაწყებამდე, ანუ 15 ნოემბრამდე. ამდენად, წერილს ვათარილებთ ასე: [1825 წლის 17 ივლისიდან 15 ნოემბრამდე]

გვ. 19, 10-11. „ველითა... ბაგრატის ძის ნიკოლოზისათა“ – სოლომონ დოდაშვილი დაახლოებული იყო გიორგი XII-ის ძის, ბაგრატ ბატონიშვილის, ოჯახთან და მონაწილეობას ღებულობდა მისი შვილების – ნიკოლოზის, დავითის, ალექსანდრეს, გიორგისა და ბარბარეს – აღზრდაში. რამდენადაც იგი ხშირად ხვდებოდა მათ, იონა ხელაშვილს ეს წერილი მეფის ძე ნიკოლოზისთვის გაუტანებია მასთან.

გვ. 20, 12-13. „მიბრძანებთ სოლომონის ძის მიხაილის აღზრდასა“ – როგორც ჩანს, იონა ხელაშვილს უთხოვია დოდაშვილისთვის თავისი ძმის — სოლომონის – ვაჟის აღზრდა.

გვ. 20, 18. „იწყო ადამმან ქადაგებისა წერაჲ“ – აქ კვლავ იგულისხმება პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი ადამ ღირსიაშვილი, რომლის მიმართაც სოლომონი დიდ მზრუნველობას იჩენდა.

გვ. 20, 28-30. „17 ივლისს უნივერსიტეტსა შინა იქმნა შემთხუშვა... პანსიონისა“ – იგულისხმება პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტი (სადაც 1827 წლამდე სწავლობდა დოდაშვილი) და მასთან არსებული პანსიონი.

გვ. 20, 31-32. „უამსა მინისტრის მოსულისასა“ – იგულისხმება სახალხო განათლების მინისტრი ალექსანდრე სიმონის ძე შიშკოვი.

გვ. 21, 3-4. „სთქუა შესხმა მლუდელმა მალისტრმან მალოვმა“ – აქ ლაპარაკი უნდა იყოს ცნობილ მქადაგებელ და საღვთისმეტყველო წიგნების ავტორ ალექსეი ივანეს ძე მალოვზე, რომელიც მსახურობდა პეტერბურგში ისაკის ტაძრის დეკანოზად და რომელსაც სტუდენტების დაჯილდოების წინ ლოცვა აღუვლენია.

იონა ხელაშვილისადმი №3 (გვ. 21-22)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: S-1532, გვ.: 154-155.

თარიღი და ადგილი: „1825-სა დეკემ. [25], სანკტ-პეტერბურლსა.“

ხელმოწერა: „თქუწნისა ღირსებისა, მონყალისა მოძღურისა უუგულითადესი მსმენელი, მონაფე სოლომონ იოანესი დოდაევი.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „თქუწნო ღირსებავ მამაო, მოძღუარო იონა, უუმონყალესო მამაო და მზრუნველო საღმრთოო!“

ხელნაწერის აღწერილობა: ქაღალდის ზომა: 25X20 სმ; ყავისფერი ყდა, შესრულებულია შავი მელნით.

შენიშვნები: 1. „მამაო, მოძღუარო“ ხელნაწერში ორი, ერთმანეთისაგან წერტილით გამოყოფილი, ასომთავრული „მ“-თია ჩანერილი; 2. „იონა“-ს პირველი ასო ასომთავრულია; 3. ხელნაწერში „თქუწნისა ღირსებისა“ ჩანერილია მხოლოდ თავკიდური ასომთავრული ასოებით.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 60-61.

გვ. 22, 12. „სოლომონ იოანესი დოდაევი“ – სოლომონის მამა იოანე დოდაშვილი ქიზიყელი მღვდელი იყო.

გვ. 22, 14-15. „სულიერ-ჭეშმარიტ-მზისა მხილება“ – მზე მაცხოვრის სიმბოლოა და აქ საუბარია ქრისტიანობის ქადაგებაზე.

გვ. 22, 16. „ორობა მის ბრძნისა“ – საუბარია ქრისტეს ორბუნებოვნებაზე (სრული ღმერთი და სრული კაცი).

გვ. 22, 14-19. „ინებე, რომელი... ერთ-ღუთაება“ – ამ ლექსის ტაეპთა დასაწყისი ასოები ქმნის აკროსტიქს და იკითხება მიძღვნა – „იონას“.

გვ. 22, 19. „სიტყუა პირუჭლი მამისა-თანა ერთ-ღუთაება“ – გამოძახილია წმინდა იოანეს სახარების დასაწყისისა: 1.1. „პირველითგან იყო სიტყუაჲ, და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი.“

1826

იონა ხელაშვილისადმი №4 (გვ. 23)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: S-1532, გვ. 178.

თარიღი და ადგილი: „9 ფებერუალს, 1826.“

ხელმოწერა: „თქუწნი სულიერი შვილი ს. დოდაევი[ი].“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ღირსო მამაო, მღუდელ-მოძღუარო იონა და ბრძენო ყოვლად ბრძნისაო!“

ხელნაწერის აღწერილობა: ქალაქის ზომა: 25X20 სმ; ყავისფერი ყდა, შესრულებულია შავი მელნით.

შენიშვნები: 1. „მღუდელ-მოძღუარო“ ხელნაწერში ორი, ერთმანეთისაგან წერტილით გამოყოფილი ასომთავრული „მ“-თია ჩანერილი; 2. ქრგ.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ. 61.

გვ. 23, 7-8. „შემდგომად იუწყებთ ჩემ შეწყალებულისა, ესრეთვე ვჰგვი“ – სოლომონ ხუციშვილის აზრით, წინა წერილი, რომელიც დაწერილი უნდა ყოფილიყო 1826 წლის 15 იანვრამდე და რომელშიც სოლომონის ავადმყოფობაზე უნდა ყოფილიყო საუბარი, დაკარგულია. ამ მოსაზრებას სოლომონ ხუციშვილი გამოთქვამს იონა ხელაშვილის მიერ 1826 წლის

16 იანვარს გამოგზავნილი საპასუხო წერილის საფუძველზე, სადაც ვკითხულობთ: „უსაყვარელესო ძეო ჩემო! აჰა, სვინდისი ჩემი მოგიტხრობს, რომელსა ჰსურს, რათა სენი ეგე წარიტრას თქვენგან და მოვიდეს ხრწნილთა ამათ ხორცთა ჩემთა, რათამცა სიბრძნისა დღესასწაული ეგე თქვენი შკოლასა შინა მალალთა დღეთა შინა ყოველთა აღასრულოთ რვანი ჟამნი...“

იონა ხელაშვილისადმი №5 (გვ. 23-24)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: S-1532, გვ. 179.

თარიღი და ადგილი: „მარტის 9, 1826 წელსა.“

ხელმოწერა: „მონყალე მამაო, მარადის მორჩილი მონაფე ს. დ.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ღირსო მამაო, მღუდელ-მოძღუარო, მონყალე იონა, უმონყალესო კელმნიფევ!“

ხელნაწერის აღწერილობა: ქალაღდის ზომა: 25X20 სმ; ყავის-ფერი ყდა, შესრულებულია შავი მელნით.

შენიშვნები: 1. „მღუდელ-მოძღუარო, მონყალე“ ხელნაწერში სამი, ერთმანეთისაგან წერტილით გამოყოფილი, ასომთავრული „მ“-თია ჩანერილი; 2. „იონა“-ს პირველი ასო ასომთავრულია; 3. ონცებასა (კალმ. შეცდ.); 4. დახილვასა; 5. ხელნაწერში „მონყალე“ მხოლოდ თავკიდური ასომთავრული „მ“-თია ჩანერილი; 6. ორივე ასო ასომთავრულია.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 61-62.

გვ. 23-24. „მკურნალმან დამაკრა შპანსკი მუხა... წყალი და სისხლი მედინა“ – „Шпанская мушка“ არის ხოჭოს ერთგვარი ჯიში და ასევე ეწოდებოდა მისგან დამზადებულ, კანტარიდინის შემცველ სამკურნალო პრეპარატებს: ფხვნილს, ნაყენს, მალამოს და პლასტირს. იგი ფართოდ გამოიყენებოდა სამკურნალოდ, მაგრამ, ამასთანავე, აღიზიანებდა კანის ქსოვილს და ავითარებდა წყლულებს. როგორც ჩანს, სოლომონს ასეთი პლასტირი „დააკრა“ ექიმმა, რამაც კანი გაუღიზიანა.

იონა ხელაშვილისადმი №6 (გვ. 24)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: S-1532, გვ.: 178-179.

თარიღი და ადგილი: „მარტის 22-სა, 1826 წელსა.“

ხელმოწერა: „თქუჴწნო ღირსებაჲ, თქუჴწნი მორჩილი და მსმენელი ს. დოდაევი[ი].“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ღირსო მამაო, მღუდელ-მოდღუარო, მონყალე იონა, უუმონყალესო ჴელმწიფეჲ!“

ხელნაწერის აღწერილობა: ქალაქის ზომა: 25X20 სმ; ყავის-ფერი ყდა, შესრულებულია შავი მელნით.

შენიშვნები: 1. „ღირსო“-ს თავკიდური ასო ხელნაწერში ასომ-თავრულია. 2. „მღუდელ-მოდღუარო, მონყალე“ სამი, ერთმანეთისაგან წერტილით გამოყოფილი, ასომთავრული „მ“-თია ჩანერილი; 3. „იონა“-ს პირველი ასო ასომთავრულია; 4. ქრგ.; 5. ეს სიტყვა მხოლოდ თავკიდური ასომთავრული „ღ“-თია ჩანერილი.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ. 62.

იონა ხელაშვილისადმი №7 (გვ. 25-27)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: H 2226, გვ.: 105-106.

თარიღი და ადგილი: „მარტის 27 დღესა, 1826 წელსა, სანკტ-პეტერბურღი.“

ხელმოწერა: „ვგეი სრულიადსა ჴეჴმარიტებითსა პატივისცემასა შინა ყოველთჴს მონაფე თქუჴწნი სოლომონ დოდაევი.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „თქუჴწნო ღირსებაჲ მამაო, მღუდელ-მონაზონო და მოძღუარო იონა, უუმონყალესო ჴელმწიფეჲ!“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 396 ფ., იონა ბატონიშვილის კოლექციიდან, ძველი № 206. ქალაქის ზომა: 25X21 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული.

შენიშვნები: 1. „მლუდელ-მონაზონო, მოძღუარო“ სამი, ერთმანეთისაგან წერტილით გამოყოფილი, ასომთავრული „მ“-თია ჩანერილი; 2. ქრგ., 3. პროფესსორთანი.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 63-65.

გვ. 26, 13-17. „არისტოტელი, ლონდინ, დიონეისოს ლიკარნასელი, ათინელი დემოსფენ; რომაელთა: ციცერონ, კვინტილიან: ახალსა ენასა ზედა; ფრანციისა: როლლენ, ბიტტი, ლალარნ; ანგლიისა: ბლერ; ნემეციისა: ეშენბურლ, მოას; რუსეთისა: ლომონოსოვი, რიჟსკი, კარამზინ და სხუანი“ — არისტოტელე — ბერძენი ფილოსოფოსი; დიონისე კასიუს ლონგინი — ნეოპლატონიკოსი, რიტორიკის შესახებ შრომების ავტორი; დიონისე ჰალიკარნასელი — ბერძენი ისტორიკოსი და რიტორიკოსი; დემოსთენე — ბერძენი ორატორი და პოლიტიკოსი; მარკუს ტულიუს ციცერონი — რომაელი პოლიტიკოსი და მოაზროვნე; მარკუს ფაბიუს კვინტილიანე — ორატორული ხელოვნების დიდოსტატი; შარლ როლენი — ფრანგი ისტორიკოსი და პედაგოგი; ჯეიმს ბეტი (ჟამეს ეატტიე) — შოტლანდიელი მწერალი და მოაზროვნე; ფრანსუა ლაგარპი (ლაგარნი) — ფრანგი ლიტერატორი, ფილოსოფოსი და პოლიტიკური მოღვაწე; შიუ ბლერი — განმანათლებელი, მქადაგებელი, მორალისტი, კრიტიკოსი და მჭევრმეტყველი; ეშენბურლ იოჰან იოახიმ ეშენბურგი — გერმანელი კრიტიკოსი; აბრაამ მუავრი (Abraham de Moivre) — ფრანგი მათემატიკოსი, ხარისხში აყვანისა და ფესვის ამოღების ფორმულის ავტორი; მიხეილ ვასილის ძე ლომონოსოვი — რუსი ფიზიკოსი, ქიმიკოსი და ენციკლოპედისტი; ივანე სტეფანეს ძე რიჟსკი — ნიგნების — „ძველ რომაელთა ღვთისმსახურების მოკლე კურსი“ (1784) და „ძველი რომის პოლიტიკური საკრებულო“ (1786) — ავტორი. მან შეადგინა და გამოსცა იმ დროისათვის აღიარებული სახელმძღვანელოები „ლოგიკა“ და „რიტორიკა“ სათაურით „Умственное, или умственная философия“ (1790), რითაც უთუოდ იქნებოდა დაინტერესებული დოდაშვილი; ნიკოლოზ მიხეილის ძე კარამზინი — რუსი ისტორიოგრაფი და პოეტი.

იონა ხელაშვილისადმი №8 (გვ. 27-28)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: S-1532, გვ.: 201-202.

თარიღი და ადგილი: „აპრილის 18-სა დღესა, 1826-სა წელსა, სანკტ-პეტერბურლით.“

ხელმოწერა: „თქუწნისა მაღალ-ღირსებისა მორჩილი მონაფე სოლომონ დოდაევი.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „თქუწნო მაღალღირსე-ბავ!“

ხელნაწერის აღწერილობა: ქალაღდის ზომა: 25X20 სმ; ყავის-ფერი ყდა; შესრულებულია შავი მელნით.

შენიშვნები: 1-2. ქრგ.

პირველი პუბლიკაცია: „მასაღები საქართველოსა და კავკასი-ის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერიღები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერიღითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 65-66.

გვ. 28, 22-23. „თქუწნისა განთავისუფლებისათა და ყო-ველთა ბუნებათა მოყუასთა ჩუწნთასა“ – ქრისტეს აღდგომამ ადამიანი გამოისყიდა პირველმამის ცოდვისაგან, გაათავი-სუფლა წყევისაგან, სიკედილისა და ხრწნიღებისაგან.

იონა ხელაშვილისადმი №9 (გვ. 29-30)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: H 2226, გვ.: 115-116.

თარიღი და ადგილი: „აგვისტოს 14, 1826 წელსა, ს.პ.ბ.“

ხელმოწერა: „თქუწნისა მაღალ-ღირსებისა მორჩილი მოსამსა-ხურე, ჭემმარიღითა პატივისცემითა დავშთები მონაფე თქუწნი, სტუდენტი სოლომონ დოდაევი.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მაღალ ღირსო მამაო, მღუდელ-მოძღუარო, უუმონყალესო ხელმწიფევი იონა!“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 396 ფ., იონანე ბა-ტონიშვილის კოლექციიდან, ძველი № 206. ქალაღდის ზომა: 25X21 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული.

შენიშვნები: 1. „მღუდელ-მოძღუარო“ ხელნაწერში ორი, ერ-თმანეთისაგან წერტიღით გამოყოფიღი, ასომთავრული „მ“-თია ჩანერიღი; 2-3. ქრგ.; 4. უქონეღობისა; 5-6-7-8-9. ქრგ.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 69-70.

იონა ხელაშვილისადმი №10 (გვ. 30)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი ნიგნი: C: H 2226, გვ.: 107. კიდურწერილის 1-11, 13-20.

თარიღი და ადგილი: „სექტემბრის 21-სა, 1826 წელსა, ქალაქსა პეტრეს დიდისასა.“

ხელმოწერა: „სოლომონ დოდაევი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მაღალ ღირსო მამაო, მღუდელ-მოძღუარო, მოწყალე იონა, უმოწყალესო კელმწიფევი!“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 396 ფ., იონე ბატონიშვილის კოლექციიდან, ძველი № 206. ქალაქის ზომა: 25X21 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული.

შენიშვნები: 1. „მღუდელ-მოძღუარო, მოწყალე“ სამი, ერთმანეთისაგან წერტილით გამოყოფილი, ასომთავრული „მ“-თია ჩანერილი.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ. 70.

ლექსის ტაეპთა სანყისი ასოებით აგებულია აკროსტიქი, რომელშიც იკითხება: „იონას უძღვნის სოლომონ ან.“

იონა ხელაშვილისადმი №11 (გვ. 31-32)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი ნიგნი: C: H 2226, გვ.: 141-142.

თარიღი და ადგილი: „ოქტომბრის 3-სა, 1826 წელსა.“

ხელმოწერა: „მორჩილი მსმენელი, მარადის მონაფე თქუმნი, სულიერი შვილი სოლომონ დოდაევი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მაღალ-ღირსო მამაო, მღუდელ-მოძღუარო იონა, უმოწყალესო ხელმწიფევი!“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 396 ფ., იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან, ძველი № 206. ქალაქის ზომა: 25X21 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული.

შენიშვნები: 1-2-3-4-5-7-8-9-10. ქრგ.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 71-72.

გვ. 31, 10-11. „ნარვგზავნე ბარაკიელი რეცეპტითა მოტანად სამკურნალოდას“ – მსახურს მოატანინა წამლები. ბარაკიელი – „მსახური წინაშე მდებგი“ (სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1993, გვ. 48).

გვ. 31, 12. „შპანსკი მუშკი“ – იხ. ხელაშვილისადმი №5 წერილის კომენტარები.

გვ. 31, 28. „უბრძანეთ ერისთოვს შანშეს ძეს“ – 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მთავარი მონაწილე ელიზბარ შანშეს ძე ერისთავი 1823-1830 წლებში რუსეთში ცხოვრობდა.

გვ. 31-32. „კარტეზიანნი იტყუან... რომელ არა არიან ცალიერობანიცა“ – კარტეზიანელებს უწოდებდნენ ფრანგი ფილოსოფოსის, რენე დეკარტის, მიმდევრებს, დეკარტის გვარის ლათინიზებული ფორმის „ჩარტესიუს“ მიხედვით. ტრადიციისაგან განსხვავებით, დეკარტი უარყოფდა ცარიელი სივრცის არსებობას და ამტკიცებდა, რომ მოძრაობას, რომელიც მას ესმოდა, როგორც სივრცეში ადგილების გადანაცვლება, არ სჭირდება ცარიელი სივრცე, რადგან სხეულები ადგილს უთმობენ ერთმანეთს. შესაბამისად, მისი აზრით, სამყაროში ერთი სხეულის ამოძრავება მთელი სამყაროს ამოძრავებას ნიშნავს, მან პირველი ბიძგი ღმრთისაგან მიიღო და მას შემდეგ მოძრაობის რაოდენობა მუდმივი რჩება.

გვ. 32, 4-5. „ხოლო ლასსენდი ესრეთ შეიცავს: უკეთუ არს ბუნებასა შინა მოძრაობა, ჯერარს, რათა იყოს ცალიერობა“ – ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით დეკარტის ერთ-ერთი ოპონენტი იყო ფრანგი თეოლოგი, ფიზიკოსი და ასტრონომი პიერ ჰასენდი, რომელიც ამტკიცებდა, რომ მოძრაობისთვის აუცილებელია სიცარიელის არსებობა და, რადგან წამდვილად არსებობს მოძრაობა, არსებობს სიცარიელეც.

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი ნიგნი: C: H 2226, გვ. 120.

თარიღი და ადგილი: [1826 წლის 8 ოქტომბრიდან 18 დეკემბრამდე]

ხელმოწერა: „თქუშნი მალალ-ღირსების ჭეშმარიტისა პატივისცემითა მორჩილი მონაფე სოლომონ დოდაევი.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მალალ-ღირსო მამაო, მოძღუარო იონა, უმონყალესო ჴელმწიფევი!“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 396 ფ., იონანე ბატონიშვილის კოლექციიდან, ძველი № 206. ქალაქის ზომა: 25X21 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული.

შენიშვნები: 1-2-3-4-5-6-7-8-9-10-11. ქრგ.; 12. კარგად არ იკითხება, უფრო „მასთა“-ს ჰგავს; 13-14-15-16-17-18-19-20-21. ქრგ.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 75-76.

წინამდებარე წერილში გრძელდება 1826 წლის 3 ოქტომბერს გაგზავნილ ბარათში წამოჭრილ საკითხზე მსჯელობა. ორივეგან არის საუბარი სოლომონის ავადმყოფობასა და ფიზიკურ უძლურებაზე. პირველ წერილში ვკითხულობთ: „...მოდის ყვითელი წყალი მოუნყვეტელ, მსგავსად მდინარისა და მე ვმწუხარებო უმეტეს შავისა დღისა, დიდ ფრიადსა სუსტობასა შინა კუჭისასა.“ მეორე წერილში კი იგი წერს: „მტკიცე მსასობელი წმიდისა წმიდათასა, მოხარულ-ვარ ერთკერძ თქვენსა და ჩემსა მხოლოდ ჴორცისა უძლურებასა და სისუსტესა“, „ესე ვითარისა ჴორცისა მოუძლურებითა... სულსა უმეტეს და უმეტეს განაძლიერებს.“

რაც შეეხება ქრონოლოგიურ თანამიმდევრობას, უთარო ბარათში წერია: „ჩვენ განვჴსაჯეთ ქვეყანისა ცალიერება მატერიათა შინა...“ 3 ოქტომბრის წერილში კი ამ თემაზე ვკითხულობთ შემდეგს: „...ალმახსენდა შეკითხუა ცალიერობისათვის. კარტეზიანნი იტყუან... უკეთუ არს ბუნებასა შინა ცალიერობა...“ „ხოლო ღასსენდი ესრეთ შეიცავს: ... ჯერარს, რათა იყოს ცალიერობა..“ „მოძრაობასა შინა არაეინ არა იტყუბის, ამის გამო შესდგების, რომელ არს ცალიერობაცა“.

ამდენად, ვფიქრობთ, რომ ეს ბარათი უნდა მოსდევდეს 3 ოქტომბრით დათარიღებულს. იმ პერიოდის წერილებსაც კი, სანამ სოლომონი პეტერბურგიდან გამოემგზავრებოდა, 5 დღე მაინც აშორებს ხოლმე ერთმანეთისგან. თუ ამას გავითვალისწინებთ, მეორე ბარათი 8 ოქტომბრის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი.

პირველი წერილიდან ჩანს, რომ სოლომონს რაღაც საქმე აქვს მოსასწრები და იმდენად ჩქარობს, რომ თავისი ავადმყოფობის გამო გადამწერს ითხოვს დასახმარებლად: „უბრძანეთ ერისთოს შანშეს ძეს, რათა მწერალნი წარმოგზავნოს ჩემთან. მე წერად არა ძალმიძს ამ შემთხუევასა შინა, ეგების საქმე ესე სრულ ვჰყოთ და მივმართო სხუათა და გრძლად არა დაშთეს“. რამდენადაც ვიცით, 18 დეკემბერს მას უკვე დასრულებული და საცენზურო კომიტეტისათვის გადაცემული ჰქონდა თავისი პირველი წიგნი „ლოგიკა“, ვფიქრობთ, რომ ეს საჩქარო საქმე სწორედ მის წერას უკავშირდება. შესაბამისად, წერილს ვათარიღებთ ასე: [1826 წლის 8 ოქტომბრიდან 18 დეკემბრამდე].

გვ. 33, 29. „ვასილის ქალაკი“ – იგულისხმება Васильевский остров – ნევის დელტის უდიდესი კუნძული, რომელიც შედიოდა სანკტ პეტერბურგის შემადგენლობაში და სადაც განლაგებული იყო უმნიშვნელოვანესი კულტურული დაწესებულებები: პეტერბურგის უნივერსიტეტი, მეცნიერებათა აკადემია, სამთო ინსტიტუტი, კადეტთა საზღვაო კორპუსი და სამხატვრო აკადემია.

იონა ხელაშვილისადმი №13 (გვ. 34-36)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: H 2226, გვ.: 154-155.

თარიღი და ადგილი: [1826 წლის 13 ოქტომბრიდან 18 დეკემბრამდე]

ხელმოწერა: ხელმოწერილი არ არის.

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „თქუწნო მაღალ ღირსებაე, უმონყალესო ჳელმწიფეე, მამაო იონა, მამაო სულისა ჩემისაო!“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 396 ფ., იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან, ძველი № 206. ქალაქის ზომა: 25X21 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული.

შენიშვნები: 1. და რუანმან; 2. ქრგ.; 3. „უ“ ასომთავრული „ო“-თი, ანუ ძველი ქართული „უ“-ს პირველი გრაფემული ელემენტიტაა ჩანერილი; 4. ქრგ.; 5. თუთუშ.

პირველი პუბლიკაცია: სოლომონ დოდაშვილი, თბზულებანი, პ/მ რედაქტორები: ანგია ბოჭორიშვილი, სოლომონ ხუციშვილი, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა, თბ., 1961, გვ.: 251-253.

ჩვენ მიერ 1826 წლის 8 ოქტომბრიდან 25 დეკემბრამდე ინტერვალით დათარიღებულ წერილში ვკითხულობთ: „ჩვენ განვჰსაჯეთ ქვეყანისა ცალიერება მატერიათა შინა, ვითარცა იხილვების შეკითხვასა მიგებასა ზედა თქუშნსა და ან უკუშ მივმართავ ყურადღებასა ჩემსა, მცნობელი ქუშყანასა ზედა ცალიერობისა სულთა შინა არსა, ანუ არა?“ წინამდებარე უთარილო წერილში კი სწორედ სულის საკითხებზეა საუბარი: „ავთრათი თქუშნი... განსხუაებისათუს სულისა სხუათაგან“, „ზრახუა ლოქისა სულისათუს დიდ ფრიად მცდარ არს“, „სულმან დაჰბადა ყოველნივე ხილულნიცა და უხილავიცა“, მატერიისა და სულის მიმართების შესახებ კი წერია: „ყოველი ფორმითი მოქმედება სულისა ჩვენისა მდგომარეობს მატერიალთა ზედა. უკეთუ არა იყუნენ მატერიალნი, არცა იქმნებოდნენ ფორმანი. მაშასადამე, ორნივე საჭიროდ არიან“. ამდენად, ეს წერილი გაგრძელება უნდა იყოს წინა ორ ბარათში განხილული თემისა. წერილებს შორის მცირე ინტერვალის არსებობის აუცილებლობას თუ გავითვალისწინებთ, შეგვიძლია იგი პირობითად ასე დავათარილოთ: [1826 წლის 13 ოქტომბრიდან 18 დეკემბრამდე]

გვ. 34, 8-9. „ზრახუა ლოქისა სულისათუს დიდ ფრიად მცდარ არს“ – საუბარია განმანათლებლობის ეპოქის ერთ-ერთ გამოჩენილ მოაზროვნეზე, ფილოსოფოს და ექიმ ჯონ ლოკზე, რომელიც ადამიანის სულს სუფთა დაფად აცხადებდა და მასში ყოველგვარ არაცნობიერს უარყოფდა.

გვ. 34, 21-22. „ვოლტერისა სიტყუა არარად შესარაცხ არს წინაშე სულისა მექონისა კაცისა“ – საუბარია ფრანგ მწერალზე, დრამატურგსა და ფილოსოფოსზე, განმანათლებლობის მიმდევარ ფრანსუა მარი არუეზე. მასზე დიდი გავლენა მოახდინა ზემოხსენებული ლოკის თეორიამ. ვოლტერი იყო დეისტი. იგი ღმერთს მიიჩნევდა არა სამყაროს შემოქმედად, არამედ მომწესრიგებლად. განმანათლებელთათვის სული და სხეული არ უპირისპირდება ერთმანეთს. ბედნიერება არის სხეულის, გონებისა და გულის სრული ჰარმონია.

გვ. 34, 30. „მის თანამზრახველთა რუსსო და მარკიზა დარჟანმან“ – უნდა იგულისხმებოდეს ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი და განმანათლებელი ჟან-ჟაკ რუსო და მისი მეგობარი და თანამზრახველი მარკიზ დე ჟირარდენი, რომლის სახლშიც გაატარა რუსომ თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები და რომლის ეზოშიც იყო დასაფლავებული. რუსოს ნაშრომებმა და პოლიტიკურმა იდეებმა დიდი როლი შეასრულა საფრანგეთის რევოლუციის მომზადებაში.

იონა ხელაშვილისადმი №14 (გვ. 36-37)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: H 2226, გვ. 153.

თარიღი და ადგილი: [1826 18 ოქტომბრიდან 18 დეკემბრამდე] ხელმოწერა: „სოლომონ დოდაევი მაღაროელი.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მაღალ ღირსო მამაო იონა, უმონყალესო ხელმწიფე!“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 396 ფ., იონანე ბატონიშვილის კოლექციიდან, ძველი № 206. ქალაქის ზომა: 25X21 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული.

შენიშვნები: 1. „უ“ ასომთავრული „ო“-თი, ანუ ძველი ქართული „უ“-ს პირველი გრაფიკული ელემენტითაა ჩანერილი; 2. იგიუჴ.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 132-133.

წინამდებარე წერილში ნათქვამია: „წარსულთა ჟამებთა შინა გუაქუნდა აზმნობა არსებისათვის სულისა“, სულის რაობაზე მსჯელობა კი, როგორც ჩვენ მიერ 13 ოქტომბრიდან 25 დეკემბრამდე დათარიღებული წერილის კომენტარებში აღვნიშნეთ, სწორედ იქ იყო გაშლილი. ბარათიდან ჩანს, რომ სოლომონს წიგნზე მუშაობა დამთავრებული არც ამ დროს აქვს. მასში ვკითხულობთ: „აჴა, მოკლე თეორია შემეცნებისათვის სულისა, უკეთუ ვინყო ამისთვის სჯა, შესდგების სრული ფილოსოფია და მე დრო არა მცემს ნებასა, გარნა თვისსა დროსა განიმარტებიან კურსსა შინა ფილოსოფიისა ჩემისასა“. კვლავ ვაშორებთ ამ წერილს წინასაგან ხუთდღიანი ინტერვალით და ვათარიღებთ ასე: [18 ოქტომბრიდან 18 დეკემბრამდე].

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი ნიგნი: C: H 2226, გვ. 70.

თარიღი და ადგილი: „ნოემბრის 14-ს, წელსა 1826-სა.“

ხელმოწერა: „ყოველთჳს მსასოებელი და მონა სოლომონ დოდაევი[ი].“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მალალ ღირსო მამაო, მღუდელ-მოძღუარო იონა, მონყალეო მამაო!“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 396 ფ., იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან, ძველი № 206. ქალაქის ზომა: 25X21 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული.

შენიშვნები: 1. „მამაო, მღუდელ-მოძღუარო“ სამი, ერთმანეთისაგან წერტილით გამოყოფილი, ასომთავრული „მ“-თია ჩაწერილი; 2-3-4-5-6-7. ქრგ.; 8. მმარებლობასა; 9-10-11-12-13-14-15-16-17-18. ქრგ.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 72-75.

ეს წერილი აშკარად არის გამოძახილი სოლომონის მიერ 1826 წლის 14 აგვისტოს გაგზავნილ წერილზე იონა ხელაშვილისაგან მიღებულ პასუხზე (№ 2226, გვ. 67). ამას მოწმობს ის, რომ 14 აგვისტოს მიწერილ სიტყვებზე: „თქუჲნ მიერ ანუ გამო მიყვანილ ვიყავ სასოებასა შინა“ – იონა ხელაშვილი ასეთ კომენტარს აკეთებს: „...აჰა, ვიყავ ზმნა ნიშნავს რაისამე და არლა მყოობადსა, არამედ ანმყოსაცა დროსა უსასოებისა, გინა სასონარკვეთილობასა... ვითარ ცხად მიყოფს ქარტა კაბადონი თქვენი, მხოლოდ ნამყოსა სასოებასა და არლა ანმყოსა და მყოობადსა“. წინამდებარე წერილში იონა ხელაშვილის კომენტარს სოლომონი პასუხობს, რომ ადრინდელ წერილში ფრაზით „ვიყავ სასოებასა შინა“ მას არ უგულისხმია საყვარელი მოძღვრის მიმართ სასოების დაკარგვა: „ნამყოფსა ავთრათისათჳს, რომელსა შინა იხილვების ზმნა „ვიყავ“... იგი დაიდების არა საზოგადოსა მნიშვნელობასა შინა, ვითარცა თქუენ აზმნობთ, არამედ კერძობითსა მხოლოდ საქმესა შინა, ე.ი. დროისა მნიშვნელი აგვისტოს პირუელისა რიცხუსა. იგი ნიშნავს ერთსა ნამყოსა და არა მრავალსა, რომელმან განვლო“. ამ წერილების პირდაპირ კავშირზე მიგვითითებს

ისიც, რომ იონა ხელაშვილის მიერ ოთხ მუხლად ჩამოყალიბებულ ბრალდებებს სოლომონი ასევე ოთხ მუხლად პასუხობს. მიუხედავად ამისა, ორივე წერილი ხელნაწერშივე დათარიღებულია ერთი – 14 აგვისტოთი და მეორე – 14 ნოემბრით. მათ შორის კიდევ რამდენიმე დათარიღებული წერილია და სამთვიანი ინტერვალი. ამდენად, გაუგებარი რჩება, რატომ გადადო სოლომონმა ამ საყვედურებზე პასუხის გაცემა, რატომ შეცვალა საუბრის თემა იმავე წლის სექტემბრისა და ოქტომბრის წერილებში და რატომ მიუბრუნდა ისევ ძველ საკითხს სამი თვის შემდეგ. შესაძლოა, იყო კიდევ სხვა, ჩვენამდე მოუღწეველი წერილი, რომელმაც განაახლა მიტოვებული თემა, ან, შესაძლოა, თარიღში დაშვებული იყოს შეცდომა, რამდენადაც ეს წერილები ჩვენამდე მოღწეულია იონა ხელაშვილის დავალებით სხვადასხვა პირთა მიერ გადაწერილი ასლების სახით.

გვ. 38, 10. იმპერატორის უნივერსიტეტი – პეტერბურგის უნივერსიტეტი. დაარსდა 1819 წელს. აქ ბევრმა ქართველმა მიიღო უმაღლესი განათლება. დოდაშვილი აქ ფილოსოფიურ-იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა.

გვ. 38,15. „ვასილის ქლაკსა შინა“ – იხ. ხელაშვილისადმი №12 წერილის კომენტარები.

ფილადელფოს კიკნაძისადმი №1 (გვ. 40-42)

ავტოგრაფი: A: დაცულია 1832 წლის შეთქმულების საქმეებში, რვ. VII, ფილადელფოს კიკნაძის პირადი ფონდი: 1811, №40. სოლომონ დოდაშვილის 3 წერილი პეტერბურგიდან ნიჟინ-ნოვგოროდში.

თარიღი და ადგილი: „დეკემბრის 20-ს, 1826 წელსა, ს. პეტერბურლი.“

ხელმოწერა: „დეისტვიტელნი სტუდენტი იმპერატორის უნივერსიტეტისა სოლომონ დოდაევი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „თქუშნო ღირსებავ, მონყალეო ჴელმნიფევე, მამაო ჟილადელფოს!“

ავტოგრაფის აღწერილობა: ქალაღდის ზომა: 20X13 სმ; ფურცლები გაყვითლებული და დალაქავებულია, დაწერილია შავი მელნით; წერილი შედგება 4 გვერდისაგან.

შენიშვნები: 1. ჩემდო; 2. გაიხსენება; 3. უფროსს; 4. ეს ბოლო აბზაცი წერია წერილის პირველი გვერდის მარცხენა არშიაზე.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 76-79.

გვ. 40, 26-28. „მოლოდებასა შინა მათ დროთასა, რომელთცა განვლეს საშუალ პირისპირ თქუწნათანა ხილვისა“ – 1826-1827 წლებში ფილადელფოსი რუსეთში იმყოფებოდა. აქ გაიცნო მან სოლომონ დოდაშვილი და ბატონიშვილთა გარემოცვა, სადაც მსჯელობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობაზე.

გვ. 42, 2-3. „წარმადგინა მინისტრთან“ – 1826 წელს სახალხო განათლების მინისტრი იყო ალექსანდრე სიმონის ძე შიშკოვი.

გვ. 42, 9-12. „მსურდა თქუწნი მყოფობა ამის მიზეზისათჳს საქართუშლოსა შინა არა შესახებელად მისსა, სადაცა მე მანესებენ, არამედ სხუა აზმნობა არს სარგებლად მამულისა“ – ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ სოლომონმა უკვე იცოდა, რომ სამშობლოში დაბრუნებული ფილადელფოსი მამულისათვის სასარგებლო საქმის – საქართველოს გასათავისუფლებლად აჯანყების – მზადებას დაიწყებდა.

გვ. 42, 32. „ხელმწიფემ უბოძა“ – 1826 წელს ბაგრატი ბატონიშვილს სენატორობა უბოძა 1825-1855 წლებში რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა.

იონა ხელაშვილისადმი №16 (გვ. 43)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: H 2226, გვ.: 153-154.

თარიღი და ადგილი: [1826 წლის 25 დეკემბერი]

ხელმოწერა: ხელმოწერილი არ არის.

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: წერილი მიმართვის გარეშე იწყება.

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 396 ფ., იონა ბატონიშვილის კოლექციიდან, ძველი № 206. ქალაქის ზომა: 25X21 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული.

შენიშვნები: 1. სიტყვისა; 2. ქრგ.; 3. ეკლესიისათა.

პირველი პუბლიკაცია: სოლომონ დოდაშვილი, თბზულებანი, პ/მ რედაქტორები: ანგია ბოჭორიშვილი, სოლომონ ხუციშვილი, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა, თბ., 1961, გვ.: 250-251.

გვ. 43, 1-2. ფრაზა „დღეს აღსრულდა მოლოდება სიტყვისა მის, რომელსა მოველოდით“ პირდაპირ მიგვანიშნებს, რომ წერილი შობის დღესასწაულზე, ანუ 25 დეკემბერს, არის დაწერილი. რაც შეეხება დაწერის წელს, ფრაზა: „ვაკადნიერებ თხოვასა, რათა... პირველი ნაყოფი ჩემი დაბეჭდილ ყოთ“ მიგვანიშნებს, რომ დოდაშვილის პირველი ნიგნი «Логика» წერილის წერის დროს დასრულებული იყო, მაგრამ დაბეჭდილი – არა, ნიგნი 1826 წელს დაიწერა და 1827 წლის პირველ ნახევარში დაიბეჭდა, ანუ ზუსტად შეგვიძლია ვთქვათ, რომ წერილი დაიწერა ამ შუალედში, 1826 წლის 25 დეკემბერს.

1826-1827

ანა დედოფლისადმი №1 (გვ. 44)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი ნიგნი: С: Н 2226, გვ. 152.

თარიღი და ადგილი: [1826 წ. 18 დეკემბრიდან 1827 წ. 8 თებერვლამდე]

ხელმოწერა: „თქუჴნის უმაღლესობისა მორჩილი მოსამსახურე სოლომონ დოდაევი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „უმაღლესო დედოფალო ანა! უმონყალესო ჴელმწიფევი!“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 396 ფ., იონანე ბატონიშვილის კოლექციიდან, ძველი № 206. ქალაქის ზომა: 25X21 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული.

შენიშვნები: 1. პირველი ასო „უ“ ასომთავრული „ო“-თი წერია; 2-3. პირველი ასო ასომთავრულია.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 83-84.

გვ. 44, 1. „უმალღესო დედოფალი ანნა!“ – წერილის ადრესატია მამუკა ყაფლანიშვილ-ორბელიანის ასული, იმერეთის მეფის – დავით გიორგის ძის – მეუღლე, დედოფალი ანნა, რომელიც რუსეთში ცხოვრობდა 1809 წლიდან გარდაცვალებამდე (1832 წლამდე).

გვ. 44, 8-9. ფრაზაში „ან იბეჭდების პირუჭლი ნაწილი ლოლიკა, ვითარცა ქართულად, ეგრეთუშ როსიულადცა“ – საუბარია წიგნის ორ ენაზე გამოცემის თაობაზე. აქედან ჩანს, რომ მის დაბეჭდვაზე ზრუნვა უკვე დაწყებულია, მაგრამ საგარეო საქმეთა სამინისტროს სააზიო საქმეთა დეპარტამენტის დასკვნა, რომლის საფუძველზეც ქართულ ენაზე წიგნის გამოქვეყნება შეფერხდა, ჯერ მიღებული არ არის. ამდენად, ბარათი დანერილი უნდა იყოს 1826 წლის 18 დეკემბერს საცენზურო კომიტეტისთვის წიგნის გადაცემიდან ქართული ტექსტის ამ სახით დაბეჭდვაზე უარის მიღებამდე, ანუ 1827 წლის 8 თებერვლამდე.

1827

დავით ბატონიშვილისადმი №1 (გვ. 45)

ავტობრაზი: A: 1457, რვეული X, ფურც. 1837 °, ახალი პაგინაციით 164v.

თარიღი და ადგილი: [1827 წლის 26 იანვარი]

ხელმოწერა: ხელმოწერილი არ არის.

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: წერილი მიმართვის გარეშე იწყება.

ავტოგრაფის აღწერილობა: დანერილია ლურჯ ქაღალდზე, შავი მელნით, ერთ გვერდზე, გაკრული ხელით, აბზაცების გარეშე. ბევრგან ჩამატებული და გადახაზულია. ბოლოში რუსულ ენაზე მუქი ყავისფერი მელნით მინაწერი აქვს: საგამომდ. კომისიის ცნობა ამ მილოცვის შესახებ.

შენიშვნები: 1. პირველი ასო ასომთავრულია; 2-3-4-5. ქრგ.; ამასთან, ხელნაწერში „მამისა თანა“ ერთადაა (მამისათანა). 6. ამ სიტყვის შემდეგ გადახაზულია „ანინდელთა ტირილი და გლოვა შესცუალო.“

პირველი პუბლიკაცია: სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, პ/მ რედაქტორები: ანგია ბოჭორიშვილი, სოლომონ ხუციშვილი, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა, თბ., 1961, გვ.: 229-230.

წერილს ვათარილებთ სოლომონ დოდაშვილის დაკითხვის ოქმის საფუძველზე, სადაც ნათქვამია, რომ ეს წერილი-დალოცვა მან უძღვნა ბაგრატ მეფის ძე დავითს 1827 წელს, როდესაც იგი 6 წლისა იყო, სავარაუდოდ, მისი სახელობის დღეს (სხვა მონაცემებით, დავით ბაგრატიონი 1818 წელს დაიბადა და იმ დროს 8 წლისა იქნებოდა, მაგრამ 6 წლის შემდეგ სოლომონს მისი ასაკი შეიძლება ზუსტად არ ხსომებოდა). შესაძლოა, ამის თქმა დოდაშვილს დასჭირდა იმისათვის, რომ ცოტათი მაინც გაემართლებინა წერილში გამოთქმული აშკარა სწრაფვა ქართული მონარქიის აღდგენისაკენ, მაგრამ, შესაძლოა, მართლაც ასე იყო. ამ მოსაზრებას განამტკიცებს წერილში მუდმივი აპელირება დავით აღმაშენებელზე და სიტყვები: „...იგივე დღესასწაულობა ჰყო ჟამსა შინა შენისა დღისასა.“ დავით აღმაშენებლის ხსენების დღე და, ამასთანავე, პატარა დავით ბატონიშვილის სახელობის დღე არის ძველი სტილით 26 იანვარი, რის გამოც წერილს ასე ვათარილებთ: [1827 წლის 26 იანვარი].

იონა ხელაშვილისადმი №17 (გვ. 45-46)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: H 2226, გვ.: 152-153.

თარიღი და ადგილი: [1827 წლის 8 თებერვლიდან 8 მარტამდე] ხელმოწერა: „თქუშნის მაღალღირსების მოწაფე სოლომონ დოდაევი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მაღალ ღირსო მამაო იონა!“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 396 ფ., იონანე ბატონიშვილის კოლექციიდან, ძველი № 206. ქაღალდის ზომა: 25X21 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული.

შენიშვნები: 1-2-3. პირველი ასოები ასომთავრულია.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ. 84.

ვიზიარებთ სოლომონ ხუციშვილის აზრს, რომ წერილი დაწერილი უნდა იყოს 1827 წლის 8 თებერვლის შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც სოლომონ დოდაშვილმა საცენზურო კომიტეტისაგან გაიგო, რომ „ლოგიკის“ რუსული ტექსტი დაუბ-

რკოლებლად დაიბეჭდებოდა, ქართულთან დაკავშირებით კი იყო გარკვეული პრობლემები.

გვ. 46, 1. „წარუდგენიათ მინისტრთან“ – იგულისხმება სახალხო განათლების მინისტრი ალექსანდრე სიმონის ძე შიშკოვი.

იონა ხელაშვილისადმი №18 (გვ. 46-47)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: H 2226, გვ. 333.

თარიღი და ადგილი: „მარტის 8-სა, 1827 წელსა, ს.პ.პ.“
ხელმოწერა: „თქვენისა მაღალ-ღირსების მორჩილი მოსამსახურე ს. დოდაევი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „თქუწნო მაღალ ღირსებავ, მამაო მოძღუარო, მღუდელ-მონაზონო იონა, უმონყალესო ხელმწიფევ!“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 396 ფ., იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან, ძველი № 206. ქალაქის ზომა: 25X21 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული.

შენიშვნები: 1-2-3-4-5. სიტყვების, აგრეთვე კომპოზიტებში შემავალ ლექსიკურ ერთეულთა პირველი ასოები ასომთავრულია; 6. „ღ“ ასომთავრულია; 7. ქრგ.; 8. პირველი ასო ასომთავრულია; 9-10. ქრგ.; 11. „მ“ და „ლ“ ასომთავრულია. 12-13. პირველი ასოები ასომთავრულია. 14. „ს“ ასომთავრულია.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 79-80.

იონა ხელაშვილისადმი №19 (გვ. 47-48)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: H 2226, გვ.: 330-331.

თარიღი და ადგილი: „მარტის 16 დღეს, 1827 წელსა.“

ხელმოწერა: „თქვენი სულიერი შვილი და მარადის სათნო სოლომონ დოდაევი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „თქუწნო მაღალ-ღირსებავ, მამაო, მღუდელ-მონაზონო იონა, უმონყალესო ხელმწიფევ!“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 396 ფ., იოანე ბა-

ტონიშვილის კოლექციიდან, ძველი № 206. ქალაქის ზომა: 25X21 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული.

შენიშვნები: 1. პირველი ასო ასომთავრულია; 2. „მამაო, მღუ-დელ-მონაზონო“ სამი, ერთმანეთისაგან წერტილით გამოყოფილი, ასომთავრული „მ“-თია ჩანერილი; 3. პირველი ასო ასომთავრულია; 4. პირველი ასო „უ“ ასომთავრული „ო“-თი წერია; 5. პირველი ასო ასომთავრულია; 6. ქრგ.; 7. პირველი ასო ასომთავრულია; 8-9. ქრგ.; 10. პირველი ასო ასომთავრულია; 11-12-13-14-15-16. ქრგ.; 17-18-19. პირველი ასო ასომთავრულია; 20. მარტო პირველი ასომთავრული „ლ“ წერია; 21. პირველი ასო ასომთავრულია; 22. ქრგ.; ამასთან, პირველი ასო ასომთავრულია; 23-24-25-26. პირველი ასო ასომთავრულია; 27. საეკლესიო; 28-29. ქრგ.; 30. პირველი ასო ასომთავრულია; 31-32. ქრგ.; 33. პირველი ასო ასომთავრულია; 34. ქრგ.; 35. პირველი ასო „უ“ ასომთავრული „ო“-თი წერია; 36. ქრგ.; 37. პირველი ასო ასომთავრულია; 38. ქრგ.; 39-40. პირველი ასო ასომთავრულია.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 80-81.

გვ. 47, 16-22. „სწავლისათვის ბაგრატი ბატონის შვილის ძეთასა მივიღე ... მრავლის მოტყუებითა მათგან“ – სოლომონ დოდაშვილმა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობეების მიზნით, მონაფედ აიყვანა ბაგრატი ბატონიშვილის შვილები. 1825 წლის 25 მაისს იონა ხელაშვილი „ცარსკოე სელოდან“ ამის შესახებ მეფის ძეს ილიას სწერდა: „აქარე უფალი სოლომონ დოდაევი თავისის მამულისა ენასა ასწავებს მეფის ძის თქუენის ძმის ბაგრატის შვილებსა ქართულს ღრამმატიკასა და ეგრეთუე კინილა და სხუათა ენებსაცა და რუსულსაცა უმეტეს, რომელი მამულისა ენისა თანა საჭირო არს.“

როგორც ირკვევა, სოლომონსა და ბაგრატი შორის უთანხმოება ჩამოვარდა. ბაგრატს არ მოეწონა, რომ სოლომონი მეფის შთამომავლებს ისე ექცეოდა, როგორც ჩვეულებრივ მონაფეებს და მათ მიმართ სათანადო მონივნებას არ იჩენდა. ამის გამო ბაგრატმა სოლომონს კუთვნილი გასამრჯელო აღარ მისცა.

იონა ხელაშვილისადმი №20 (გვ. 49)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: H 2226, გვ. 334.

თარიღი და ადგილი: „1827-სა, აპრილის 3-ს.“

ხელმოწერა: „თქვენი შვილი სოლომონ დოდაევი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ქრისტე აღსდგა!“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 396 ფ., იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან, ძველი № 206. ქალაქის ზომა: 25X21 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული.

შენიშვნები: 1-2. პირველი ასო ასომთავრულია; 3. შესაბამ.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ. 82.

იონა ხელაშვილისადმი №21 (გვ. 49-50)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: წერილი მოთავსებულია ორ ხელნაწერში: H 2226, გვ. 334; S 1532, გვ.: 120-121.

თარიღი და ადგილი: „აპრილის 3-სა, წელსა 1827-სა, ს.პ.ბ.“

ხელმოწერა: „თქუჲნის მაღალ-ღირსებისა მორჩილი სულიერი შვილი სოლომონ დოდაევი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ქრისტე აღსდგა! თქვენო მაღალ-ღირსებაჲ, მონყალე მამაო იონა!“

ხელნაწერის აღწერილობა: H 2226: კრებული, XIX ს., იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან, ძველი № 206. ქალაქის ზომა: 25X21 სმ; ყავისფერი მუყაოს ყდა; მხედრული; S 1532: ქალაქის ზომა: 25X21 სმ; შესრულებულია შავი მელნით.

შენიშვნები: 1. ეს ორი სიტყვა ასომთავრულით წერია; 2. პირველი ასო ასომთავრულია; 3. „მონყალე მამაო“ ორი, ერთმანეთისაგან წერტილით გამოყოფილი, ასომთავრული „მ“-თია ჩანერილი; 4-5. პირველი ასო ასომთავრულია; 6-7-8-9-10. ქრგ.; 11. კომპოზიტი შემავალი სიტყვების პირველი ასოები ასომთავრულია.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები:

1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 82-83.

გვ. 50, 7. არისტოტელე – ძველი ბერძენი ფილოსოფოსი.

იონა ხელაშვილისადმი №22 (გვ. 50-51)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: H 2226, გვ. 349.

თარიღი და ადგილი: „მაისის, 1827-სა.“

ხელმოწერა: „სოლომონ დოდაევი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მაღალ ღირსო მამაო, მონაზონო მღუდელ-მოძღუარო, უმონყალესო ჳელმნიფევი!“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული XIX ს., 396 ფ., იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან, ძველი № 206. ქალაქის ზომა: 25X21 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული.

შენიშვნები: 1-2. პირველი ასოები ასომთავრულია; 3. „მონაზონო მღუდელ-მოძღუარო“ სამი, ერთმანეთისაგან წერტილით გამოყოფილი, ასომთავრული „მ“-თია ჩანერილი; 4. პირველი ასო ასომთავრულია; 5. ამ სიტყვის შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია „შინა“; 6. მხოლოდ პირველი ასო წერია.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 84-85.

გვ. 51, 5-6. „დროცა დანიშნულ არს განსვლისა ოცამდი, ამ თთვის რიცხვისა“ – წერილს თარიღად მიწერილი აქვს მხოლოდ თვე და წელი, მაგრამ ეს ფრაზა საშუალებას გვაძლევს დავაზუსტოდ, რომ იგი დაწერილია 20 მაისამდე. როგორც ჩანს, სოლომონი მართლაც დროულად გამგზავრებულა პეტერბურგიდან, რადგან მომდევნო წერილს 2 ივნისს იგი უკვე მოსკოვიდან წერს.

იონა ხელაშვილისადმი №23 (გვ. 51-53)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: H 2226, გვ.: 362-363.

თარიღი და ადგილი: „1827, ივნისის 2, მოსკოვი.“

ხელმოწერა: „თქვენი მაღალ ღირსების მორჩილი შვილი, ყოველგვით ს. დოდაევი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მაღალ ღირსო მამაო იონა, მონყალეო ხელმწიფე!“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 396 ფ., იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან, ძველი № 206. ქაღალდის ზომა: 25X21 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული.

შენიშვნები: 1-2. ქრგ.; 3. პირველი ასო ასომთავრულია; 4-5-6-7-8. ქრგ.; 9. ასომთავრულია.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 85-87.

გვ. 52, 18. „ბაგრატ ბატონის შვილის სახლში მსუროდა დადგომა“ – ბაგრატ ბატონიშვილი 1803 წლიდან პეტერბურგში ცხოვრობდა ოჯახთან ერთად, მაგრამ, როგორც ჩანს, მოსკოვშიც ჰქონდათ საცხოვრებელი.

გვ. 52, 20. „მივახლოვდი დედოფლის სახლსა“ – იგულისხმება გიორგი ციციშვილის ასული, გიორგი XII-ის ქვრივი მარიამ დედოფალი, რომელიც გენერალ ლაზარევის მკვლელობის ფაქტის შემდეგ ბელგოროდში იყო გადასახლებული, 1811 წლიდან კი მოსკოვში გადასვლის ნება დართეს.

გვ. 52, 22-24. „მათმან უმაღლესობამან რაოდენსამე უამსა იმეტყველა ჩემთანა, ეგრეთვე ბატონის შვილმან ოქროპირმან და თამარმან“ – საუბარია დედოფალ მარიამსა და გიორგი XII-ის შვილებზე. როგორც 1832 წელს საგამოძიებო კომისიისათვის მიცემული ჩვენებიდან ჩანს, თამარს სოლომონისთვის უთხოვია, შენს მონაფეებს შთააგონე, რომ ქართველი ბატონიშვილები არ დაივინყონო (შეთქმ. საქმეები, 1832 წლის 23 დეკემბრის ჩვენება, რვ. II, ფურც. 173).

გვ. 52, 24-25. „ილია კი თვისი ცხოვრებით ბრძანდება ზაფხულის სახლსა შინა“ – იგულისხმება გიორგი XII-ის ვაჟი ილია ბატონიშვილი.

გვ. 52, 26. „დიმიტრი მლუდელმან თაყუანისცემა მოგახსენათ“ – იგულისხმება მღვდელი დიმიტრი ოქროაშვილი, ოქროაძე, რომელიც იმ პერიოდში მოსკოვში ცხოვრობდა.

გვ. 52, 28-29. „მამა ტარასის რუსულის ვრცელის კატეხიზმითგან ნათარგმნი იბეჭდება“ – იგულისხმება წიგნი „ვრცელი კატეხისმოი... რუსულიდან ქართულად გარდმოღებული და დაბეჭდილი ტარასის მიერ მღვდელ-მონაზონისა,

სოლომონის ძის ალექსიშვილისა, რომელიც ჰსძღვნის კეთილ-გონიერთა ყრმათა საქართველოსათა.“ ნიგნი დაიბეჭდა მოსკოვში 1827 წლის ივლისში.

კატეხიზმო – ნიგნი, რომელიც ქრისტიანული აღმსარებლობის მოკლე შინაარსს გადმოგვცემს კითხვა-პასუხის ფორმით.

გვ. 52, 29-30. „დოსითეოსს არხიეპისკოპოსს ხელი მოუწერია და პავსკისათვის დაურწმუნებია“ – იგულისხმება არქიეპისკოპოსი დოსითეოზ არჯევანის ძე ფიცხელაური, რომელიც 1817 წლიდან მოსკოვში ცხოვრობდა. ცნობილი მთარგმნელი და ლეთისმეტყველი გერასიმე პეტრეს ძე პავსკი კი 1818-1827 წლებში იყო სანკტ-პეტერბურგის სასულიერო საცენზურო კომიტეტის წევრი და მისი ნებართვა სასულიერო ლიტერატურის გამოცემისას აუცილებელი იქნებოდა.

გვ. 52, 31-33. „ფილადელფი შეპყრობილი ჰყოლიათ ერთი თთუე აქა და აქითგან ქვევითი ნიჟნი ნოვგოროდს ნარუყვანიათ“ – ფილადელფოს კიკნაძეს ნიჟნი ნოვგოროდში თავად ციციშვილთან მოსვლია უთანხმოება და ამის გამო დაუპატიმრებიათ, მაგრამ ანტონ კათალიკოსი დაეხმარა გათავისუფლებაში და იგი ისევ მოსკოვში დაბრუნდა.

იონა ხელაშვილისადმი №24 (გვ. 53-54)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი ნიგნი: C: H 2226, გვ.: 367-368.

თარიღი და ადგილი: „ივნისის 9-სა, 1827, მოსკოვი.“

ხელმოწერა: „თქუშნის მალაღლირსების მორჩილი მოსამსახურე ს. დოდაევი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მალაღ ღირსო მამაო იონა, უუმონყალესო ხელმწიფევ!“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 396 ფ., იონანე ბატონიშვილის კოლექციიდან, ძველი № 206. ქალაქის ზომა: 25X21 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული.

შენიშვნები: 1-2-3. პირველი ასოები ასომთავრულია; 4-5-6-7. ქრგ.; 8. ბიბლიოტიკა; 9-10-11. ქრგ.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 87-88.

გვ. 53, 9-10. „მოსრული ძველსა სამეფოსა ქალაქსა შინა“ – მოსკოვი რუსეთის იმპერიის დედაქალაქი იყო 1480 წლიდან 1703 წლამდე – პეტრე დიდის ბრძანებით სანკტ-პეტერბურგის აშენებამდე.

გვ. 54, 25-26. „გიორგი პაიჭაძეს, პეტრეს – მოკითხვას მოვახსენებ“ – უნდა იგულისხმებოდეს მესტამბე გიორგი დავითის ძე პაიჭაძე, რომელსაც, როგორც იონა ხელაშვილის მიერ მისდამი მიწერილი წერილიდან ჩანს, დიდ პატივს სცემდნენ იმერეთის მეფე სოლომონ მეორის მეუღლე მარიამ დედოფალი (პეტერბურგში გადაასახლეს იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ და იქ ცხოვრობდა გარდაცვალებამდე – 1841 წ.) და თავად ხელაშვილი. რაც შეეხება პეტრეს, იგი სოლომონ დოდაშვილის წერილებში მხოლოდ აქ იხსენიება და, სოლომონ ხუციშვილის აზრით, შეიძლება იყოს იმ პერიოდში პეტერბურგში მცხოვრები ქართველი მნიგნობარი, მწერალი და კალიგრაფი პეტრე ქებაძე.

იონა ხელაშვილისადმი №25 (გვ. 55-56)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი ნიგნი: C: H 2226, გვ.: 366-367.

თარიღი და ადგილი: „იენისის 15, 1827, მოსკოვი.“

ხელმოწერა: „მაღალ ღირსებისა თქვენისა უუმორჩილესი მოსამსახურე, სულიერი შვილი თქვენი ს. დოდაევი.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მაღალ ღირსო მამაო, უუმონყალესო ხელმწიფევე, მამაო, მღუდელ-მოძღუარო იონა.“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 396 ფ., იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან, ძველი № 206. ქალაქის ზომა: 25X21 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული.

შენიშვნები: 1. „მღუდელ-მოძღუარო“ ორი, ერთმანეთისაგან წერტილით გამოყოფილი, ასომთავრული „მ“-თია ჩანწერილი; 2-3-4-5-6. ქრგ.; 7. პირველი ასო ასომთავრულია; 8. ქრგ.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 88-90.

გვ. 55, 15-16. „ალექსანდრე წარმოვალს ლინიამდინ და მუნ დაშთების“ – საუბარია გიორგი XII-ის შვილიშვილზე ალექსანდრე დიმიტრის ძე ჩოლოყაშვილზე, რომელიც მისი

ბიძის, ბაგრატ ბატონიშვილის, ოჯახში გაიცნო დოდაშვილმა. როგორც საგამოძიებო კომისიისათვის სოლომონ დოდაშვილის მიერ მიცემული ჩვენებიდან ირკვევა, მას და ალექსანდრეს ერთად უმგზავრიათ პიატიგორსკის რაიონის კურორტ გარიაჩევოდსკამდე, სადაც ის სამკურნალოდ დარჩენილა.

გვ. 56, 3-4. „პარმენ მლუდელმან კეთილისა გულითა მოხარულითა მისტუმრა აქამომდე“ – საუბარია მარიამ დედოფლის მოძღვარზე პარმენ დომენტის ძე წინამძღვრიშვილზე, რომელმაც 1827 წელს მოსკოვში უმასპინძლა დოდაშვილს.

გვ. 56, 5-8. „თბილისის სამკედრო ლუბერნატორის მეულემან, სიპიალინისამან... წარსაგზავნი და ავთრათი წარმატანა მასთან“ – საუბარია თბილისის სამხედრო გუბერნატორზე, გენერალ-მაიორ ნიკოლოზ მარტინის ძე სიპიაგინსა და მის მეულეზე.

გვ. 56, 9-10. „ფარსადან თეიმურაზიჩთან, ჩემ მიერ პატივისცემა განაცხადოთ“ – საუბარია ილია და ოქროპირ ბატონიშვილებთან დაახლოებულ პირზე – ფარსადან, იგივე შიო თეიმურაზის ძე ციციშვილზე – რომელიც იმჟამად პეტერბურგში ცხოვრობდა.

ალექსი ალექსის ძე პეროვსკისადმი №1 (გვ. 56-57)

ნაბეჭდი: აღნიშნული წერილი წინ უძღვის ავტორის ფილოსოფიის კურსის პირველ ნაწილს (ლოგიკას), რომელიც 1827 წელს გამოიცა.

თარიღი და ადგილი: [1827 წლის ივნისის ბოლო]

ხელმოწერა: „თქვენი აღმატებულების უმორჩილესი მსახური სოლომონ დოდაევი.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მის აღმატებულებას, ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტისა და მისი სასწავლო ოლქის ბატონ მზრუნველს, ნამდვილ სამოქალაქო მრჩეველს და კავალერს ალექსი ალექსის-ს პეროვსკის; თქვენო აღმატებულებავ, მონყალეო ხელმწიფევ!“

პირველი პუბლიკაცია: იხ. რუბრიკა ნაბეჭდი.

დოდაშვილის ახალგამოსული წიგნის „ლოგიკის“ შესახებ ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესურამ, ალბათ, მის ჩასვლამდეც იცოდა, მაგრამ ნაშრომი ნანახი არ ჰქონდათ. როგორც ჩანს, დოდაშვილმა წიგნები სწორედ ამ ვიზიტისას ჩაუტანა და დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა მათზე. მონაფის

წარმატებით აღფრთოვანებული იონა ხელაშვილი სოლომონს სწერდა: „ლოლიკამან თქვენმან რეკტორი და ინსპექტორი აღტაცებულებისა მხიარულებით პირისა შენისა ამბორებად აღატრფო სიბრძნისა ალით... ზეგარდმო მადლითა და ნიჭებით უჩინო ივერიაცა ადიდე ჭეშმარიტო ძეო მამულისაო.“

ალექსი ალექსის ძე პეროვსკი 1827 წელს ასრულებდა ხარკოვის უნივერსიტეტისა და მისი სასწავლო ოლქის მზრუნველისა და სასკოლო სახელმძღვანელოთა განმხილველი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობას. ამასთანავე, იგი იყო ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი. ამდენად, ბუნებრივია, რომ ხარკოვში ჩასვლისას დოდაშვილი წიგნს მასაც ჩაუტანდა და, რადგან იგი საზღვარგარეთ წასული დახვდებოდა, დაუტოვებდა. წერილში ნახსენები „შრომა“ და „შესრულებული საქმე“ წიგნის წერას და მის დასრულებას უნდა გულისხმობდეს. დოდაშვილის სიტყვები: „სურვილი, სასარგებლო ვიყო ჩემ თანამემამულეთათვის... ამ, ჩემი ძალღონის შესაბამისი, შრომის სტიმულიც იყო“, „მწყალობლობა და მფარველობა, რასაც თქვენი აღმატებულება ყოველი სასარგებლო წამოწყებისადმი იჩენს, მამხნევებდა მე, შემესრულებინა ეს საქმე და ამანვე გამაბედვინა, დამემშვენებინა თქვენი სახელით ეს პირველი ცდა“ – მიგვანიშნებს, რომ ეს წერილი თან ერთვოდა პეროვსკისთვის მიერთმულ „ლოგიკის“ წიგნს, რომელსაც, ბუნებრივია, დაამშვენებდა ადრესატის სახელი (დამემშვენებინა თქვენი სახელით). მართალია, პეროვსკიმ ეს წერილი თითქმის ერთი წლის დაგვიანებით ნახა და პასუხიც მხოლოდ 1828 წლის 7 მარტს გაუგზავნა დოდაშვილს (იხ. გ. გოზალიშვილი: „1832 წლის შეთქმულება, გვ. 518), მაგრამ ეს განპირობებული იყო მისი საზღვარგარეთ ყოფნით და არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ დოდაშვილს წიგნი და თანდართული წერილი ხარკოვში ყოფნისას დაეტოვებინა მისთვის.

იონა ხელაშვილისადმი 1827 წლის 9 ივლისს მიწერილი წერილიდან ჩანს, რომ სოლომონ დოდაშვილს ბარათი მისთვის ხარკოვიდანაც გაუგზავნია, მაგრამ 9 ივლისის წერილის წერის დროს უკვე წამოსული ყოფილა და გამოვლილი ჰქონია ხარკოვის ოლქის ქალაქები: ჩუგუევი და იზიუმი, ეკატერინოსლავის გუბერნიის – ბახმუტი და ეკატერინოსლავი, როსტოვის მაზრისა – როსტოვი და ნახჭევანი. ამ მანძილის გავლას, მით უფრო, თუ შეფერხებები ჰქონდათ ტრანსპორტის გაუმართაობის გამო (ამავე წერილში აღნიშნავს: „მრავალს ადგილს გაგვიტყდა ბრიჩკა“), 9 დღე არ ეყოფოდა. ამდენად,

ვფიქრობთ, რომ ხარკოვში იგი მხოლოდ იენისის ბოლომდე დარჩა. რამდენადაც ვიცით, რომ მოსკოვიდან იგი 15 იენისს გამოვიდა (ამ თარიღით დაწერილ წერილში აღნიშნავს: „დღეს მე განვალ გზასა ზედა“), უნდა ვივარაუდოთ, რომ ხარკოვში იენისის ბოლო დეკადას დაჰყოფდა. ამდენად, წერილი შეგვიძლია დავათარილოთ იენისის ბოლოთი.

გვ. 56, 15. ხარკოვის უნივერსიტეტი – გორკის სახელობისა, დაარსდა 1805 წელს. ოქტომბრის რევოლუციამდე ჰქონდა ოთხი ფაკულტეტი (ფიზიკა-მათემატიკის, ისტორია-ფილოლოგიის, სამედიცინო და იურიდიული). ხარკოვის უნივერსიტეტში ბევრმა ქართველმა ახალგაზრდამ მიიღო უმაღლესი განათლება.

იონა ხელაშვილისადმი №26 (გვ. 57-60)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: H 2226, გვ.: 385-387.

თარიღი და ადგილი: „წელსა 1827 года, ივლისის 9 დღესა.“

ხელმოწერა: „დოდაევი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მაღალ ღირსო მამაო იონა, უუმონყალესო ხელმწიფევი!“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 396 ფ., იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან, ძველი № 206. ქალაქის ზომა: 25X21 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული.

შენიშვნები: 1-2-3-4. პირველი ასოები ასომთავრულია; 5-6-7-8-9-10. ქრგ.; 11-12-13. პირველი ასოები ასომთავრულია; 14. ქრგ.; 15. ატტესტატიოთა; 16. არტილლერიისა; 17. ქრგ.; 18. დღესასწაულობისანი; 19-20-21. პირველი ასოები ასომთავრულია; 22. ქრგ.; 23-24. პირველი ასოები ასომთავრულია; 25-26-27. ქრგ.; 28-29. „ჰ“ ასომთავრულია; 30-31. ქრგ.; 32. „ჰ“ ასომთავრულია; 33-34. ქრგ.; 35. „ჰ“ ასომთავრულია; 36-37-38-39-40-41. პირველი ასოები ასომთავრულია; 42. ქრგ.; 43. პეტრებურლსა.; 44. ქრგ.; 45. პირველი ასო ასომთავრულია; 46. ქრგ.; 47. პირველი ასო ასომთავრულია.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 90-92.

გვ. 57, 21-22. „პირველი მჭვრეტელი იყო ყოვლად სამლუდელო“ – სიტყვებით „ყოვლად სამლუდელო“ (пресвящен-ный) იხსენიებენ არქიეპისკოპოსებს და არქიმანდრიტებს. 1826 წლის 28 თებერვლიდან 1832 წლის 12 მარტამდე ხარკოვის არქიეპისკოპოსად ხელდასმული იყო ვიტალი ბორისოვი-ჟეგაჩოვი, რომელიც ამის შემდეგ ასტრახანისა და კავკასიის არქიეპისკოპოსად დაინიშნა. ამდენად, აქ სწორედ ის უნდა იგულისხმებოდეს.

გვ. 57, 22-23. „რეკტორი უნივერსიტეტისა – ივან იაკოლიჩი კრონბერლი“ – ივანე იაკობის ძე კრონბერგი იყო ხარკოვის უნივერსიტეტის რექტორი.

გვ. 58, 1-2. „თავადი ალექსანდრე რიფსიმასიცი მუნ მყოფობდა“ – რამდენადაც ალექსანდრე ჩოლოყაშვილი დედის მხრიდან სამეფო წარმომავლობისა იყო (მისი დედა რიფსიმა იყო გიორგი XII-ის ქალიშვილი), მას ასეც იხსენიებდნენ.

გვ. 59, 3-4. „ნევსკის მონასტერში, აკადემიაში სრულჰყო ჰსწავლა“ – 1809 წელს იონა ხელაშვილი ალექსანდრე ნეველის აკადემიაში მოეწყო ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების განყოფილების სტუდენტად, რომლის დამთავრების შემდეგაც პეტერბურგის კოლონიის ქართველმა მღვდელმთავარმა დოსითეოზმა მღვდლად აკურთხა.

გვ. 59, 5-6. „მრავალნი თხზულებანი არიან მისნი“ – იონა ხელაშვილს ორმოცზე მეტი დასახელების ნაშრომი ეკუთვნის თეოლოგიურ, ფილოსოფიურ, ესთეტიკის, ლიტერატურის თეორიისა და სხვა საკითხებზე.

გვ. 59, 24-26. „ნახჩევანი, სადაცა ახალნი, მდიდარნი სომეხნი კრიმიდამ გარდმოსახლებულან და ჰსცხოვრებენ უკეთილესად“ – საუბარია ქალაქ დონის ნახჭევანზე, რომელიც ამჟამად შედის დონის როსტოვის შემადგენლობაში. იგი 1779 წელს დაარსდა ეკატერინე II-ის ბრძანებით და მასში დასახლდა ყირიმიდან გადმოსახლებული 13 ათასამდე სომეხი.

გვ. 59, 25. „კრიმიდამ“ – იგულისხმება ყირიმი.

გვ. 59, 26-27. „კურთხეულ ალექსანდრე პირველს უსადგურია მუნ სამჯერ“ – ალექსანდრე პირველმა 1825 წელს სიკვდილამდე სულ ცოტა ხნით ადრე მოინახულა ნახჭევანი და სწორედ ამ მოგზაურობისას იქიდან 70 კილომეტრზე მდებარე ქალაქ ტაგანროგში გარდაიცვალა.

გვ. 59, 29-30. „მიზეზი ხარკოვსა შინა დაუდგომლობისა არს... ქიზიყს წარსულა“ – სოლომონი წარმოშობით ქიზიყის

სოფელ მალაროდან იყო და რუსეთიდან ჩამოსული იქ გაემგზავრა. იონა ხელაშვილისადმი 10 სექტემბერს გაგზავნილ წერილში იგი უკვე ყვება, როგორ მოიარა თავისი მშობლიური კუთხე: „ესრეთ გახლდი მქისიყს, მამულსა შინა ჩვენსა.“

გვ. 59, 31-33. „უმეტესად მოსკოვიდამ მეუღლემან ლუბერნატორისამან ტფილისს წარმატანა ავთრათი და წარსაგზავნი, ხოლო მე მოვიგვიანე“ – ამ გზავნილის შესახებ იხილეთ იონა ხელაშვილისადმი №25 წერილის კომენტარები.

იონა ხელაშვილისადმი №27 (გვ. 60-61)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: H 2226, გვ. 290.

თარიღი და ადგილი: „სექტემბრის 5-სა, 1827-სა.“

ხელმოწერა: „მორჩილი შვილი თქუშნი სოლომონ დოდაევი“
ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „თქუშნო მალალო ღირსებავ, მლუდელ-მოძღუარო, მამაო იონა, უმოწყალესო ხელმწიფევი!“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 396 ფ., იონანე ბატონიშვილის კოლექციიდან, ძველი № 206. ქაღალდის ზომა: 25X21 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული.

შენიშვნები: 1. პირველი ასო ასომთავრულია; 2. „მლუდელ-მოძღუარო, მამო“ სამი, ერთმანეთისაგან წერტილით გამოყოფილი, ასომთავრული „მ“-თია ჩანერილი; 3. პირველი ასო ასომთავრულია; 4. ამის შემდეგ გადახაზულია სიტყვა „ჩემსა“; 5. დასცხების; 6. ქრგ.; 7. განვეცხადე; 8. ამის შემდეგ გადახაზულია სიტყვა „განდიდნეს“.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 92-93.

გვ. 60, 21. „სიღნაღელთ სწავლის გახსნა განუუცხადე“ – სოლომონ დოდაშვილი სიღნაღში სასწავლებლის გახსნას ჯერ კიდევ 1828 წლის ზაფხულში აპირებდა, მაგრამ სხვადასხვა ხელისშემშლელი ფაქტორის გამო ეს საქმე 1831 წლამდე გაჭიანურდა. იხ. ამონარიდები მისი წერილებიდან: „ზაფხულში... მიუცილებელად შევასრულებ“ (წერს წინამდებარე წერილში). „სიღნაღსა შინა გამოუცხადე განხსნა სასწავლებლისა... რომელნიმე თანკმანი იქმნენ და უმრავლესი ნაწილი

არა... თანკმულნიცა სიტყვითა ჰო ჰო და საქმითა არა რაა“ (1828 წლის 6 ივლისს); „იანვარში სასწავლებელს გავხსნით სილნალს“ (1829 წლის 7 ნოემბერს); „იოანე წარმოვგზანო, თუ სილნალის სასწავლებელში მივაბარო, რომელიცა იხსნება სექტემბერში“ (1830 წლის 7 აგვისტოს) და „სილნალს სასწავლებელი გაიხსნა, გარნა იოანე, ძმის ნული თქვენი, განწესდა ტფილისის ღიმნაზიასა შინა...“ (1831 წლის 26 თებერვალს).

იონა ხელაშვილისადმი №28 (გვ. 61-65)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: H 2226, გვ.: 195-196.

თარიღი და ადგილი: „1827 წელსა, სექტემბერს 10 დღესა.“

ხელმოწერა: „თქვენი მაღალღირსებისა მარად მორჩილი შვილი და მსმენელი სოლომონ დოდაევი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „თქუენო მაღალ ღირსებაჲ, უმონყალესო ხელმწიფეჲ, მამაო, მღუდელ-მოძღუარო იონავ!“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 396 ფ., იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან, ძველი № 206. ქალაქის ზომა: 25X21 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული.

შენიშვნები: 1. მხოლოდ პირველი ასომთავრული ასოები წერია; 2-3-4-5-6-7-8-9-10-11-12-13-14-15-16-17-18-19-20-21-22-23-24. ქრგ.; 25. ეს სიტყვა ცუდად იკითხება: „მომი...“; პირველი ასო ასომთავრულია; 26-27-28-29-30-31-32-33-34-35-36. ქრგ.; 37. შემეგევედრად; 38-39-40-41-42-43-44-45-46-47-48. ქრგ.; 49. წინად; 50-51-52-53-54-55-56-57-58. ქრგ.; 59. ანა; 60-61-62-63-64-65-66-67. ქრგ.; 68. ასსიგნაცია; 69-70-71-72-73-74-75-76-77-78-79-80-81-82-83. ქრგ.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 93-97.

გვ. 61, 16-17. „მხედართმთავარმან, მმართველმან სამოქალაქოჲსა წარმოებისამან, სადილად მიმითანკმა“ – №32 წერილის ფრაზა: „მმართველის საქართუელოჲსა მჰედართ ლუბერნატორის ლენერალ სპიაღინის“ – ნათელს ხდის, რომ აქაც სიპიაგინი იგულისხმება.

გვ. 61, 20. „მოჰსწერა განათლებისა მინისტრს“ – 1824-1832 წლებში განათლების მინისტრი იყო ალექსანდრე სიმონის ძე შიშკოვი.

გვ. 61, 24-25. „სობორისა შინა ეკზარხმან შემდეგ შეწირვსა მიჰსცა სეპისკვერი“ – სობოროს უწოდებდნენ თბილისის ალექსანდრე ნეველის სახელობის სამხედრო ტაძარს, რომელიც ამჟამინდელი მთავრობის სახლის ადგილას ააშენეს 1870-90-იან წლებში და რომელსაც განაგებდა საქართველოს ეგზარქატი. საქართველოს ეგზარქოსი კი 1821-1832 წლებში იყო იონა სიმონის ძე ვასილევსკი.

გვ. 62, 13-16. „უფროსის ძმისა იობისა... გარდაცუალეზულისა იოსებისა“ – საუბარია იონას ძმებზე, იობ და იოსებ ხელაშვილებზე.

გვ. 62, 17-19. „გრიგოლ... მაია... მარიამ“ – იოსებ ხელაშვილის შვილები.

გვ. 62, 19-21. „დედა მათი... მართა“ – იოსებ ხელაშვილის მეუღლე.

გვ. 62, 21. „მესამის ძმისა, სოლომონის“ – იონას ძმა სოლომონ ხელაშვილი.

გვ. 62, 21-28. „ცოლის სახელი მაია; შვილნი... იოანე... მიხაილ... ნოდარ... კონია... სოფიო“ – საუბარია სოლომონ ხელაშვილის ცოლ-შვილებზე.

გვ. 62, 28. „გიორგი ვერ ვიხილე“ – საუბარია იონას ძმაზე – გიორგი ხელაშვილზე.

გვ. 62, 30. „ცოლსა მისსა ეწოდების ნატალია და შვილსა – დიმიტრი“ – იგულისხმება გიორგი ხელაშვილის ცოლ-შვილი.

გვ. 63, 7-9. „ხელის მონერისათუს ნიკოლოზ არხიმანდრიტს ხელაევს უთხოვნია ოცი თუმანი...“ – საუბარია მწერალ და საეკლესიო მოღვაწე ნიკოლოზ გიორგის ძე ხელაშვილზე, რომელიც იონა ხელაშვილის მსგავსად იყო თელავის სემინარიის რექტორის, დავით ალექსიშვილის, მოსწავლე.

გვ. 64, 12-14. „ხუთს სეკდემბერს ნათელნი გონებისანი... ავთრათი უუძკრფასესი ჳელითა თარხანოვისათა“ – 1826 წლის 25 ივლისს იონა ხელაშვილის გამოგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ თარხნიშვილს მან გამოატანა პასუხი სოლომონის მიერ მისთვის მიწერილ ხუთ წერილზე. იონა ხელაშვილის წერილების წინა გამომცემლის, სოლომონ ხუციშვილის, აზრით, აქ შეიძლება იგულისხმებოდეს ზაზა თარხნიშვილის რომელიმე შვილი: დიმიტრი, დავითი ან ლუარსაბი, რომლებიც იხსე-

ნიებთან 1832 წლის შეთქმულების საქმეში. სამეფო კართან დაახლოებულები და მისი ერთგულები იყვნენ და შეიძლება იონა ხელაშვილს სცნობოდა სოლომონ მეითარი (თარხნიშვილი) და დავით მიმბაში (თარხნიშვილი), მაგრამ კონკრეტულად რომელს გამოატანა იონა ხელაშვილმა წერილი, ძნელი სათქმელია.

იონა ხელაშვილისადმი №29 (გვ. 65-66)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: H 2226, გვ. 198.

თარიღი და ადგილი: „სექტემბრის 17 დღესა, 1827 წელსა, თბილისით.“

ხელმოწერა: „თქვენი შვილი სოლომონ დოდაევი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მალაღირსო მამაო, მღუდელ-მოძღუარო იონავ, უმონყალესო ხელმწიფევ!“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 396 ფ., იონა ბატონიშვილის კოლექციიდან, ძველი № 206. ქაღალდის ზომა: 25X21 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული.

შენიშვნები: 1-2-3-4-5-6-7. ქრგ.; 8. მომიტევოდ; 9-10-11-12-13. ქრგ.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 97-98.

გვ. 66, 12-13. „სოლომონ და სახლელნი თქვენნი“ – იგულისხმება იონას ძმა სოლომონ ხელაშვილი და სხვა ახლობლები.

გვ. 66, 15-17. „მამაჩემან, მგრძნობელმან თქვენისა ჩემდა სიყუარულისამან... მორჩილმან ჩემან ძმამან სტეფანემ“ – საუბარია სოლომონის მამაზე, მღუდელ იონა იოსების ძე დოდაშვილსა და ძმა – სტეფანე დოდაშვილზე. იონა ხელაშვილისათვის ორიოდე წერილი შემდეგში თავად სოლომონის მამასაც მიუწერია. მათში მადლობას უხდის იმ დიდი დახმარებისათვის, რომელიც სოლომონს აღმოუჩინა და აგრეთვე სთხოვს მეორე ვაჟის, სტეფანეს, დახმარებასაც, რომელიც 1828 წლის ბოლოს გაემგზავრა პეტერბურგში (ს № 1532).

იონა ხელაშვილისადმი №30 (გვ. 66-68)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: H 2226, გვ.: 233-234.

თარიღი და ადგილი: „ოქტომბრის 8, წელსა 1827.“

ხელმოწერა: „თქუშნის მაღალღირსების სულიერი და მსმენელი შვილი სოლომონ დოდაევი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მაღალღირსო მამაო, მღუდელ-მოძღუარო იონა, უმონყალესო ჳელმნიფევ!“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 396 ფ., იონანე ბატონიშვილის კოლექციიდან, ძველი № 206. ქალაღდის ზომა: 25X21 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული.

შენიშვნები: 1. მხოლოდ პირველი ასომთავრული ასოები წერია; 2. ქრგ.; 3. შევსთხოვღ-სა; 4. უძვირფასესა; 5. მაშინვ; 6. მამა ჩემა.

პირველი პუბლიკაცია: „მასაღები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერიღები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერიღითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 98-100.

გვ. 68, 1-2. „დაღ ჩემი მისცეს ხირსელაშვიღს ანაგაში“ – ხირსელაშვიღები სიღნაღის მაზრის სოფელ ანაღის აზნაურები იყვნენ.

იონა ხელაშვილისადმი №31 (გვ. 68-70)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: H 2226, გვ.: 205-206.

თარიღი და ადგილი: „ოქტომბრის 24-სა, 1827-სა.“

ხელმოწერა: „თქუშნის მაღალ ღირსებისა მორჩიღი მოსამსახურე სოლომონ დოდაევი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მაღალ ღირსო მამაო, უმონყალესო ჳელმნიფევ, იონა!“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 396 ფ., იონანე ბატონიშვილის კოლექციიდან, ძველი № 206. ქალაღდის ზომა: 25X21 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული.

პირველი პუბლიკაცია: „მასაღები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერიღები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერიღითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 100-102.

გვ. 69, 30-31. „ასან ხანი ერევნისა დღეს მოიყუანეს, ოკ-დომბრის 23-სა“ – ჰასან ხანი (ხასან ხანი) იყო ერევნის თანამ-მართველი და ერთ-ერთი მხედართმთავარი რუსეთ-ირანის ომის დროს. 1826 წელს მისმა ჯარებმა ააოხრეს სომხური სო-ფელი მცირე კარაკლისი. 1827 წლის ოქტომბერში დასრულდა საბოლოოდ ირანელთა განდევნა და ერევნისა და ნახჭევანის შემოერთება. 1828 წლის თებერვალში დადებულ თურქმანჩაის საზავო ხელშეკრულებაზე ირანის მხრიდან ისიც აწერდა ხელს.

იონა ხელაშვილისადმი №32 (გვ. 70-73)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: H 2226, გვ.: 291-294.

თარიღი და ადგილი: [1827 წლის 3 დეკემბრიდან 1828 წლის 1 იანვრამდე]

ხელმოწერა: ხელმოწერილი არ არის.

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „თქვენო მაღალო ღირსე-ბავ, მღუდელ-მოდღუარო, მონყალეო მამაო იონა! უმონყალე-სო ჳელმნიფევე!“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 396 ფ., იონანე ბა-ტონიშვილის კოლექციიდან, ძველი № 206. ქაღალდის ზომა: 25X21 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული.

შენიშვნები: 1-2. მხოლოდ პირველი ასომთავრული ასოები წე-რია; 3. ასსიგნაცია.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასი-ის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 129-132.

წერილში ნახსენებია, რომ იონა ხელაშვილის ძმა სოლო-მონი 26 ნოემბერს ესტუმრა სოლომონ დოდაშვილს და მას-თან ერთ კვირას, ანუ 3 დეკემბრამდე, დარჩა. ამდენად, წე-რილი დანერილი უნდა იყოს 3 დეკემბრის შემდეგ, მაგრამ, რადგან წერილში მოცემული ზოგიერთი ინფორმაცია უფრო ზუსტდება მომდევნო ბარათში, რომელსაც 5 იანვრით ვათა-რილებთ, იგი დანერილი უნდა იყოს [1827 წლის 3 დეკემბრი-დან 1828 წლის 1 იანვრამდე].

გვ. 72, 33. „ობოლი იგი არს ავათაო“ – იგულისხმება იო-ნას გარდაცვლილი ძმის, იოსების, ვაჟი გრიგოლი, რომლის სოლომონთან სასწავლებლად ჩაყვანასაც იონა ხელაშვილი

ერთ-ერთ წერილში სთხოვს თავის ძმას – სოლომონს: „ობო-
ლი გრიგოლი ჩაჰგვარე ქალაქში სოლომონ დოდაევს და იგი
იზრუნებს მაგისტვის“ (H № 2226, გვ. 200).

1828

იონა ხელაშვილისადმი №33 (გვ. 74-76)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: H 2226,
გვ.: 221-222.

თარიღი და ადგილი: [1828 წლის 1 იანვარი]

ხელმოწერა: „ს. დოდაშვილი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მაღალ ღირსო მამაო,
მოძღუარო იონა!“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 396 ფ., იოანე ბა-
ტონიშვილის კოლექციიდან, ძველი № 206. ქალაქის ზომა:
25X21 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული.

შენიშვნები: 1. მხოლოდ პირველი ასომთავრული ასო წერია;
2. მომვლოცველობ.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასი-
ის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები:
1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და
შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 102-104.

გვ. 74, 24-25. 1828 წლის 5 იანვრის წერილის სიტყვები:
„წარსულთა ავთრათთა შინა ცხად ვჰყავ გარემოება ცხოვრე-
ბისა ჩემისა, ე.ი. ცოლოსნობა“ მოწმობს, რომ აქ საუბარია ამ
წერილზე და ეს ბარათი 5 იანვრამდეა დანერგილი; ფრაზა:
„მოვმლოცველობ ახალსა წელიწადსა“ კი საშუალებას გვაძ-
ლევს, წერილი უფრო ზუსტად, ახალი წლით, ანუ 1 იანვრით,
დავათარილოთ.

გვ. 75, 16-17. „მამა გარდაცვლილა და დედა ჰყავს ქარ-
თუშლი რომლისამე ჯავახოვისა“ – სოლომონი საუბრობს თა-
ვისი მომავალი მეუღლის – ელენე კობიაშვილის – მამისა და
დედის – ანა ჯავახიშვილის – შესახებ.

გვ. 75, 18. „მოძღვარმან მისმან მარწმუნა პატიოსნება
მისი“ – როგორც 1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებუ-
ლი დაკითხვის მასალებიდან ჩანს, სოლომონის მეუღლის –
ელენეს – მოძღვარი ყოფილა ეფრემ ალექსი-მესხიშვილი.

გვ. 76, 17-18. „მარიამ დედოფალს, ანნა დედოფალს და ნინა დედოფალს გაუბედავ ხელზედ კოცნას“ – იგულისხმებიან სოლომონ II-ის, იმერეთის მეფე დავითისა და სამეგრელოს მთავრის – გრიგოლ კაციას ძე დადიანის – მეუღლეები.

გვ. 76, 19-20. „იოანე მეფის ძეს, თეიმურაზს, მიხეილს, ირაკლის, მირიანს, ფარნაოზს, ლუარსაბს, დიმიტრის“ – იგულისხმებიან მეფე ერეკლეს ძენი: იოანე, მირიან, ფარნაოზ; გიორგი XII-ის ძენი: თეიმურაზ, მიხეილ, ირაკლი და იულონ ერეკლეს ძის ვაჟები: ლუარსაბ და დიმიტრი.

გვ. 76, 23-24. „თავადს დავით ციციშვილს მდაბლად თავის დაკვრას“ – სავარაუდოდ, ეს უნდა იყოს მეფე ერეკლეს შვილიშვილი, მარიამ ბატონიშვილისა და ესტატე ციციშვილის ვაჟი.

გვ. 76, 26-27. „თავადმან ალექსანდრე ჩოლაყევმან თავჯანისცემა მოგახსენათ“ – ალექსანდრე დიმიტრის ძე ჩოლოყაშვილი.

გვ. 76, 28-29. „ზაქარია ორბელიანოვი და იოანე მომიამბორეთ, უკეთუ ინებოთ“ – ნინა გამომცემლის, სოლომონ ხუციშვილის, აზრით, აქ შეიძლება იგულისხმებოდნენ გრიგოლ ორბელიანის ძმა — ზაქარია დიმიტრის ძე ორბელიანი – და იოანე ბატონიშვილი. ზაქარიასთან დაკავშირებით მის აზრს ვიზიარებთ, მაგრამ იოანეს შესახებ — არა. მისი მოკითხვა წერილში უკვე არის რამდენიმე ნინადადებით ზემოთ სამეფო ოჯახის სხვა წევრების გვერდით, მეფის ძისთვის უფრო შესაფერისი ფორმით: „იოანე მეფის ძეს... ჳელს კოცნას მოვახსენებ“. რამდენადაც იოანეს მოკითხვა მოსდევს ალექსანდრე ჩოლოყაშვილის ხსენებას, ვფიქრობთ, ეს შეიძლება იყოს ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის სიძე იოანე ორბელიანი — ანასტასიას (ატატოს) ქმარი.

იონა ხელაშვილისადმი №34 (გვ. 77-79)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი ნიგნი: C: H 2226, გვ.: 302-304.

თარიღი და ადგილი: „იანვრის ე-სა, 1828-სა წელსა, თბილისით.“

ხელმოწერა: „თქუჴნის მაღალ ღირსებისა უმოწყალისა ჳელმნიფისა, მფარველისა და მზრუნველისა ჩემისა მორჩილი მოსამსახურე და მონაფე სოლომონ დოდაევი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მაღალ ღირსო მამაო, მღუდელ-მოძღუარო, მოწყალე იონა, უმოწყალესო ჳელმნი-ფევე!“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 396 ფ., იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან, ძველი № 206. ქალაღდის ზომა: 25X21 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული.

შენიშვნები: 1-2. მხოლოდ პირველი ასომთავრული ასოები ნე-რია.; 3. ქრგ.; 4. არამე.

პირველი პუბლიკაცია: „მასაღები საქართველოსა და კავკასი-ის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 105-107.

გვ. 78, 2-3. „ღენერალ ლუბერნატორმა რადსათჳს აღმირჩია“ – საუბარია ნიკოლოზ მარტინის ძე სიპიაგინზე.

გვ. 78, 10. „ბალტიისა სენნივე მამწუხარებენ“ – შესაძ-ლოა, ბალტიის სენში იგულისხმებოდეს ავადმყოფობა სურა-ვანდი, ანუ სკორბუტი, რუსულად *цухота*, რომელიც, სტატის-ტიკის მიხედვით, ყველაზე ხშირად ბალტიისპირა ქვეყნების მცხოვრებლებს ემართებოდათ. ამ ავადმყოფობას იწვევს C ვიტამინის ნაკლებობა. მას ახასიათებს მოთენთილობა, სწრა-ფი დაღლილობა, რევმატიული ტკივილები და სხვ. მისი ეპი-დემია რუსეთში სამ ათეულზე მეტჯერ იყო.

გვ. 79, 10-11. „თომა ენდროვიკოვმა მარჯუწნას ამბორე-ბა მოგიძღვნათ, ნიკოლოზ არხიმანდრიტმა და...“ – იგულის-ხმება გიორგი XII-ის შვილიშვილი თომა ანდრონიკაშვილი და არქიმანდრიტი ნიკოლოზ ხელაშვილი.

გვ. 79, 14-15. „სოლომონმა აღმითქუა ამ იანვარში მეო-რის ჩამოყვანა, ესე იგი, ობლისა“ – სავარაუდოდ, უნდა იგუ-ლისხმებოდეს იონას ძმის, იოსების, მეორე შვილი – მაია, ან მარიამი.

გვ. 79, 15. „შვილი მისი კარგათ სწავლობს“ – იგულის-ხმება სოლომონის შვილი იოანე.

იონა ხელაშვილისადმი №35 (გვ. 80-82)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: H 2226, გვ.: 295-296.

თარიღი და ადგილი: „მარტის 10-სა, 1828 წელსა.“

ხელმოწერა: „მსურველი ხილვისა თქუშნისა და სიმრთელისა სოლომონ დოდაევ-მალარელი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „თქუშნო მალალ ღირსე-ბავ, წმიდაო და განათლებულო მამაო, სამარადისოო მოძღუ-არო სულისა ჩემისაო, მღუდელ-მონაზონო იონა!“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 396 ფ., იონანე ბა-ტონიშვილის კოლექციიდან, ძველი № 206. ქალაქის ზომა: 25X21 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული.

შენიშვნები: 1. მხოლოდ პირველი ასომთავრული ასო წერია; 2. ავადმყოფობს; 3. კატეხიზმი.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასი-ის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 107-109.

გვ. 80, 7-8. „ცნობისათჳს იონანესა თჳსებისა“ – იგულის-ხმება იონა ხელაშვილის ძმის – სოლომონის – შვილი იონანე.

გვ. 80, 20-22. „გრიგოლ ავადმყოფობს და ... წარმოვიყუანე სოლომონიდან“ – იგულისხმება იონა ხელაშვილის ძმიშვილი გრიგოლი და ძმა სოლომონი.

გვ. 80, 21. „სტეფანე ასწავებს“ – იგულისხმება სოლო-მონ დოდაშვილის უმცროსი ძმა სტეფანე.

გვ. 81, 2-3. „ღრამმატიკა რუსული ნიკოლოზ ღრეჩი-სა“ – იგულისხმება 1827 წელს გამოსული წიგნი „Практичес-кая русская грамматика“, რომლის ავტორიც იყო ნიკოლოზ ივანეს ძე გრეჩი.

გვ. 81, 5. „ადამს უბრძანეთ“ – ადამ ღირსიაშვილი

გვ. 81, 26-27. „ალექსანდრე ჩემთან დგას, რიფსიმა მეფის ასულისა, თაყუანისცემა მოგახსენათ“ – საუბარია ალექსან-დრე ჩოლოყაშვილზე და გიორგი XII-ის ასულ რიფსიმაზე.

გვ. 81, 28. „ზაქარიასაგან წარმოგზავნილი წიგნი მომივი-და“ – იგულისხმება მეფის ასულ რიფსიმეს შვილი ზაქარია დიმიტრის ძე ჩოლოყაშვილი, რომელიც პეტერბურგში ცხოვ-რობდა.

გვ. 81, 30-31. „ღენერალ სპილინმან გახსნა კომიტეტი“ – „Тифлиские Ведомости“-ს საგამომცემლო კომიტეტი. სწო-რედ 1828 წელს დაიწყო გაზეთის გამოცემა. კომიტეტი საგა-მომცემლო საქმიანობას ეწეოდა ქართულ, რუსულ და სომ-ხურ ენებზე.

გვ. 81, 34. „ოსიბ იაკოლიჩის დუქნებისათვის“ – აქ უნდა იგულისხმებოდეს პრუსიული წარმოშობის ექიმი და მწერალი, მედიცინის დოქტორი იოსებ იაკობის ძე ლახმანი, რომელიც პეტერბურგში სამხედროთა დაობლებული შვილების ლაზარეთში მუშაობდა და იყო საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის წევრი. იგი გარდაიცვალა 1851 წელს. მას გამოცემული ჰქონდა წიგნი „Полезные наставления для образа жизни“, СПб., 1808 г. და არ არის გასაკვირი, რომ დაინტერესებულიყო დოდაშვილის ლოგიკითაც. ამასთან დაკავშირებით იონა ხელაშვილი სწერს სოლომონს: „იოსებ იაკოლიჩი სათვალევეითა თვისითა ეძიებს სიბერესა შინა სულისა თვისისა განმდიდრებასა.“

იონა ხელაშვილისადმი №36 (გვ. 82-83)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: С: Н 2226, გვ.: 294-295.

თარიღი და ადგილი: „1828-სა, მარტის კ-სა.“

ხელმოწერა: „თქუჴნი მალალ ღირსების მორჩილი შვილი და მსმენელი სოლომონ დოდაევი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მალალ ღირსო მამაო სულისა ჩემისაო იონა, უმონყალესო ჳელმწიფევ!“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 396 ფ., იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან, ძველი № 206. ქალაქის ზომა: 25X21 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული.

შენიშვნები: 1. პეტრებურლსა.

პირველი პუბლიკაცია: „მასალეები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 110-111.

გვ. 82, 15-17. „უკეთუ ინებოს ნათელმან ნათელთამან თთუჴსა მაისსა გამოცხადება, მოკლე თხზულებაჲ ჩემი როსსიულსა ენასა ზედა“ – 1828 წელს დასრულებული იყო და უნდა დაბეჭდილიყო რუსულად სოლომონ დოდაშვილის წიგნი «Риторика», სადაც ჩამოყალიბებულია მისი ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებები, მაგრამ ეს თხზულება მის სიცოცხლეში არ გამოსულა. დაიბეჭდა მხოლოდ მისი გარდაცვალებიდან საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, 1955 წელს.

გვ. 83, 12-13. „სიყვარულით ძმასა თქუწნსა, ადამსა და სხუათა მიულოცავ დღესასწაულსა“ – საუბარია იმ დროისათვის პეტერბურგში მყოფ გიორგი ხელაშვილსა და სტუდენტ ადამ ლირსიაშვილზე, რომელსაც მზრუნველობდა იონა ხელაშვილი.

გვ. 83, 24-27. „იოსებ იაკოვლევჩის მოანერინეთ წერილი... პლეშჩეიევი, არღა ემსახურების სუდსა შინა რომლისამე შემთხვეულებისათუს“ – ჩვენი აზრით, იოსებ იაკობის ძე ლახმანთან ერთად აქ საუბარი უნდა იყოს არა პოეტ ალექსეი ნიკოლოზის ძე პლეშჩეიევიზე, რომელიც ამ დროს სამი წლის იყო, არამედ, სავარაუდოდ, ვინმე ვაჭარზე, ან დამგირავებელზე (იხ. წერილი №52), რომლის ხელშიც იყო იმჟამად ის დუქნები. ამას მოწმობს პლეშჩეიევის მიერ ნათქვამი სიტყვები: „ექესის თთუსა აკლიაო ექესი თუმანი“ (№36 წერილი) და სოლომონის ნათქვამი: „რათა მე მივილო მისის დუქნების ფული, რომელიცა არს დარჩომილი ამათ ზედა, რომელნიცა ავაჭრებენ საქონელსა“.

იონა ხელაშვილისადმი №37 (გვ. 84-87)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: H 2226, გვ.: 261-263.

თარიღი და ადგილი: „1828-სა, ივლისის 6.“

ხელმოწერა: „თქვენის მაღალ ღირსებისა სულიერი შვილი სოლომონ დოდაევი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „თქუწნო მაღალ ღირსებაე მამაო, წმიდაო მოძღვარო მამაო იონა, უმოწყალესო ჳელმწიფევ!“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 396 ფ., იონანე ბატონიშვილის კოლექციიდან, ძველი № 206. ქალაქის ზომა: 25X21 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული.

შენიშვნები: 1-2-3. ქრგ.; 4. მიხუედა; 5-6. ქრგ.; 7-8. ხვასტაკისა; 9. ქრგ.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 111-115.

გვ. 85, 16. „შემდგომ ეგ ზემენიისა შესრულებისა, ივნისის 6-დგან“ – საუბარია სასწავლებლის გამოცდებზე და საზეიმო

გამოშვებაზე, სადაც დოდაშვილმა წარმოთქვა სიტყვა (იხ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი: S №388).

გვ. 85, 19. „მამისა ჩემისა და ძმისა თქუშნისა საქმენი“ – იგულისხმებიან სოლომონის მამა იოანე და იონას ძმა სოლომონ ხელაშვილი.

გვ. 85, 23-24. „სიღნაღის ნაჩალნიკთან მოუნოდე ვაქირის ქევხას“ — სიღნაღის მაზრის უფროსთან მიუყვანია ვაქირის მამასახლისი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ვაქირი სიღნაღის რაიონის ერთ-ერთი სოფელია, ვაქირელი მამასახლისისთვის პირობა ზემდგომი თანამდებობის პირთან ჩამოურთმევია.

გვ. 85, 26-28. „ქალი თვისი დაენიშნა ვაქირსა შინა მცხოვრებს დემეტრაშვილზედ, რომელიცა არის მღუდლისა შვილი“ – საუბარია ვაქირელი მღვდლის, ზაქარიას, შვილ იოანე დემეტრაშვილზე.

გვ. 86, 9-10. „სიღნაღს მობრძანდნენ ლუბერნატორნი: მკვედართი და ქალაქთი“ – სამხედრო გუბერნატორი იყო სიპი-აგინი, სამოქალაქო კი – რომან (რეინგოლდ) ივანეს ძე ხოვენი.

გვ. 86, 19-20. „ჩუშნ ვინყეთ გამოცემა ამ ივლისის თუშში, ომარხნის ომიდგან“ – საუბარია ხუნძახის ბატონ ომარ-ხანზე, რომელიც 1785 წელს 20 000-იანი ლაშქრით შემოესია საქართველოს.

იონა ხელაშვილისადმი №38 (გვ. 87-89)

იონა ხელაშვილისადმი კუთენილი ხელნაწერი წიგნი: C: H 2226, გვ.: 264-265.

თარიღი და ადგილი: „აგვისტოს 4, 1828-სა, ტფილისით.“

ხელმოწერა: „თქუშნი მალალ ღირსებისა უმორჩილესი მოსამსახურე, შვილი თქუშნი სოლომონ დოდაევი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „თქუშნო მალალ ღირსებავ, მამაო წმიდაო და ნათლით შემოსილო, მაკურთხეველო სულისა ჩემისაო იონა!“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 396 ფ., იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან, ძველი № 206. ქალაღლის ზომა: 25X21 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული.

შენიშვნები: 1-2-3-4. ქრგ.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები:

1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 115-116.

გვ. 87, 22-23. „ლუბერნატორმან ინება პირველად წინადადება“ – იგულისხმება სიპიაგინი.

გვ. 87, 24-26. „მან აღარჩია ჩემთვის ნათესავით ქართველთა კეთილშობილთაგანი კობიევისა და შვილობილი ლუბერნიის არხიდეკტორისა“ – საუბარია ელენე კობიაშვილსა და მის მამობილ, გუბერნიის მთავარ არქიტექტორ თევდორე ბარაშკინზე, რომელიც თბილისის დაგეგმარებაში მონაწილეობდა.

გვ. 88, 24. „აგარის დაკავებისათვის, ანუ დაგირავებისათვის“ – იგულისხმება აგარაკი.

გვ. 88, 31-32. „გიორგი პაიჭაძე აქ არ იმყოფებოდა“ – მესტამბე გიორგი დავითის ძე პაიჭაძე.

გვ. 88, 33. „ერთი სომეხი განანესეს“ – იგულისხმება თბილისელი სომეხი, სტამბის ზედამხედველი არარატიანი (იხ. მ. გოცაძე, „ქართული ყურნალისტიკის ისტორია“, გვ. 110).

გვ. 89, 8-9. „თაყვანისცემა მოგახსენეს ბარბარე ბატონისშვილმა“ – ბაგრატ ბატონიშვილის ასული, მაიორ დიმიტრი ორბელიანის ცოლი.

გვ. 89. 9-10. „დიაროქი კახაბრიძე მდაბლად გთხოვსთ, რათა უბრძანოთ მის ბატონისშვილს ჯორჯაძეს“ – დიაროქს (Дьярок) უწოდებდნენ ეკლესიის მსახურს, მაგალითად, მედავითნეს, რომელსაც არ ჰქონდა სამღვდელო ხარისხი. კახაბრიძის ბატონი დავით ივანეს ძე ჯორჯაძე 1825-1830 წლებში პეტერბურგში, კადეტთა კორპუსში, მსახურობდა, მაგრამ, როგორც იონა ხელაშვილის საპასუხო წერილიდან ჩანს, მან ვერ შეატყობინა ჯორჯაძეს მისი ყმის თხოვნა, რადგან იმ დროს კადეტებისთვის თავისუფალი მიმოსვლა აუკრძალავთ (H № 2226, გვ. 267).

იონა ხელაშვილისადმი №39 (გვ. 89-92)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: H 2226, გვ.: 279-280.

თარიღი და ადგილი: „1828-სა წელსა, აგვისტოს 10-ს.“

ხელმოწერა: „თქუწნი უმორჩილესი შვილი სოლომონ დოდაევი“
ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „თქუწნო მალალ ღირსებაე მამაო იონა, უმონყალესო ჳელმწიფეე!“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 396 ფ., იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან, ძველი № 206. ქალაქის ზომა: 25X21 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული.

შენიშვნები: 1. ავთრათა; 2. ხვასტაკითა; 3. ქრგ.; 4. ხუასტაკი. პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ. 117-119.

გვ. 89-90. „თავადის ფარსადან ციციანოვთან, ყოფილის კაცისაგან, რომლისაცა სახელი მიმეფარა“ – წერილი მისთვის გადაუცია მდივანბეგ თეიმურაზ ციციშვილისა და სახლთუხუცესის ასულის ანას უფროს შვილთან – ფარსადან ციციშვილთან – ნამსახურებ კაცს.

გვ. 91, 15-16. „ბაგრატ ბატონის შვილს დაუგვიანდა და არა მიერთო“ – როგორც ჩანს, გაზეთს პეტერბურგში უგზავნიდნენ ბაგრატ ბატონიშვილს.

გვ. 91, 19-20. „ადამისა სახლეულნი სიმრთელით მყოფობენ“ – საუბარია ადამ ღირსიაშვილის ოჯახზე.

იონა ხელაშვილისადმი №40 (გვ. 92-95)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: H 2226, გვ.: 277-279.

თარიღი და ადგილი: „სეკდემბრის 21-სა, 1828-ს წელსა.“

ხელმოწერა: „მორჩილი შვილი თქუჴნი სოლომონ დოდაევი“

აღრესატიისადმი მიმართვის ფორმა: „თქვენო მაღალ ღირსებავ, მღუდელ-მოძღუარო მამაო იონა, მონყალეო ჳელმნიფევ!“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 396 ფ., იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან, ძველი № 206. ქალაქის ზომა: 25X21 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული.

შენიშვნები: 1-2. მხოლოდ პირველი ასომთავრული ასოები წერია; 3. მოძნელებს; 4. ხვასტაკიცა; 5. ქრგ.; 6. ხვასტაკისა; 7. ხვასტაკი; 8. წარმოგზავნება; 9. პეტრებურღმი; 10. ხვასტაკსა.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 119-122.

გვ. 93, 15-16. „ქართული რიტორიკა სრულ ვჴყავ ქართულსა ენასა ზედა და ვჴსთარგმნი რუსულად“ – „რიტორიკის“

ნერა სოლომონ დოდაშვილმა 1828 წელს დაასრულა, მაგრამ სიცოცხლეში მისი გამოცემა ვერ მოახერხა.

გვ. 93, 25-26. „განვრცელებისათვის მათისა, პერიოდთა და ხრიათთათვის“ – საუბარია რიტორიკაში სიტყვათა ხმარებისა და რთული წინადადებების შედგენის წესზე.

გვ. 94, 4. „ძმისწული თქუშნი იოანე“ – იონა ხელაშვილის ძმის, სოლომონის, ვაჟი.

გვ. 94, 7. „გრიგოლ გაიპარა გზიღამ“ – იონა ხელაშვილის ძმის, იოსების, ვაჟი.

გვ. 95, 4-5. „ეგრეთვე ძმა ჩემი სტეფანე მონერისაებრ მეფის ძის ბაგრატიისა“ – სტეფანე ბაგრატი ბატონიშვილთან იყო მინვეული საცხოვრებლად.

გვ. 95, 7-8. „ღენერალს გიორგი ერისთავს ჰსურს, უკეთუ დაითხოვეს, ნარმოვა პეტერბურღში“ – იგულისხმება გიორგი XII-ის ასულ გაიანე ბატონიშვილის მეუღლე გიორგი იასეს ძე ერისთავი. იგი 1830 წელს მართლაც გადავიდა საცხოვრებლად რუსეთში, კერძოდ, მოსკოვში, და დაინიშნა სენატორად.

იონა ხელაშვილისადმი №41 (გვ. 95-97)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: H 2226, გვ.: 288-289.

თარიღი და ადგილი: „სექტემბრის 28-სა, 1828-სა წელსა.“

ხელმოწერა: „თქუშნი მაღალ ღირსების მორჩილი შვილი სოლომონ დოდაევი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „თქუშნო მაღალ ღირსებავ, მამაო სიბრძნის-მოყვარეო იონა, უმონყალესო მზრუნველო!“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 396 ფ., იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან, ძველი № 206. ქალაქის ზომა: 25X21 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული.

შენიშვნები: 1. ქრგ.; 2-3-4. ქრგ.; 5. მარტო პირველი ასომთავრული „მ“ წერია.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 123-125.

გვ. 95, 24-25. „განსვლისათვის ამიერ სოფლით მეფის ძის ასულის ნინასი“ – საუბარია ფარნაოზ ბატონიშვილის ასულის, ალექსანდრე დადიანის მეუღლის, გარდაცვალებაზე.

გვ. 96, 11-13. „საქართუშლოს მთავარმართველმან, ლრაფმან პასკევიჩმან ერევანსკიმან მომწერა“ – საუბარია ივანე თევდორეს ძე პასკევიჩზე, რომლის სარდლობითაც რუსეთ-სპარსეთის ომის დროს მოხდა ერევნის სახანოს დედაქალაქის აღება. ამისათვის მას მიენიჭა გრაფის წოდება და „ერივანსკის“ სახელი. მთავარმართველი იყო 1827-1831 წლებში.

გვ. 96, 13-19. „ნიგნი... ცხენის სრბოლისათვს... სამოქალაქო სჯულნი, სასამართლომსა და პოლიციისა კანონი და მოქალაქეთა ვალნი და თანამდებობანი“ – როგორც №46 წერილიდან ჩანს, სოლომონს უთარგმნია ეს წიგნები.

გვ. 96, 26-27. „ქილიკს უბრძანეთ, რომელ ძმისწული მისი ისწავებს სასწავლებელსა შინა“ – წინა გამომცემლის, სოლომონ ხუციშვილის, აზრით, აქ იგულისხმება გიორგი ელიოზიშვილი. ეს ჩანს იონა ხელაშვილის ერთ-ერთი საპასუხო წერილიდან: „ქილიკმან ელიოზოვმან დიდი მადლობა მოგიძღვნათ ძმისწულისა ზედა ყურის მოპყრობისათვის“ (H № 2226, გვ. 288).

გვ. 96, 29-30. „იოანესა ძალისაებრ ჩემისა ვასწავებ“ – იონა ხელაშვილის ძმის, სოლომონის, ვაჟი.

გვ. 96, 32-33. „ხოლო გრიგოლ გაიპარა გზიდგან“ – იონა ხელაშვილის ძმის, იოსების, ვაჟი.

გვ. 97, 1-2. „ძმად ჩემი მყოფობს სიღნაღს და მოველი ჩამოსვლას ტფილისად“ – საუბარია სტეფანე ხელაშვილზე.

გვ. 97, 3. „ოსიფ იაკოლიჩის საქმისათვის“ – საუბარია დუქნების შესყიდვის საქმეზე.

გვ. 97, 25-26. „ძმასა თქუწნსა სიყვარულით მოვიკითხავ“ – იგულისხმება პეტერბურგში მყოფი გიორგი ხელაშვილი.

იონა ხელაშვილისადმი №42 (გვ. 98-100)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: H 2226, გვ.: 292-294.

თარიღი და ადგილი: „ოკტომბრის 25 დღესა, ჩყკწ-სა.“

ხელმოწერა: „თქუწნი სულიერი შვილი სოლომონ დოდაევი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „თქუწნო მალალო ღირსე-
ბავ, მამაო იონა, უმონყალესო ჳელმნიფეო, მზრუნველო ჩე-
მო!“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 396 ფ., იოანე ბა-
ტონიშვილის კოლექციიდან, ძველი № 206. ქაღალდის ზომა:
25X21 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული.

შენიშვნები: 1-2-3. პირველი ასოები ასომთავრულია; 4. ოკ-
დომბრიდგან; 5. ეკუთნვის; 6. ქრგ.; 7. ხვასტაკის; 8. ქრგ.; 9.
პირველი ასო ასომთავრულია; 10. ქრგ.; 11. ჩუწნ; 12. ხელნა-
წერში წერია „ნოემბრის.“

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასი-
ის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები:
1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და
შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 125-127.

გვ. 99, 10-11. „უგუნურებითი მოქცევა ბიძისა მისისა
თქუწნთანა“ – როგორც ჩანს, იონა ხელაშვილს რაღაც უსია-
მოვნება მიაყენა პეტერბურგში მყოფმა მისმა ძმამ – გიორ-
გიმ.

გვ. 99, 12-13. „უმეტეს ჩემსა მეცადინეობს ამისთვის მო-
წაფა თქუწნი ელენა“ – საუბარია სოლომონ დოდაშვილის მე-
უღლე ელენე კობიაშვილზე.

გვ. 99, 29-30. „მთავარმართველი ბრძანდებოდა სასწავ-
ლებელსა შინა“ – ამ დროს მთავარმართველი იყო ივანე
თევდორეს ძე პასკევიჩი.

გვ. 99, 33-34. „ჩუწნი სამკედრო ლუბერნატორი გარდა-
იცვალა ოკტომბრის ათსა“ – საუბარია ნიკოლოზ მარტინის ძე
სიპიაგინზე.

გვ. 100, 4-5. „ამ წამს გიახლები სამოქალაქო ლუბერნა-
ტორთან“ – ეს თანამდებობა ეკავა რომან (რეინგოლდ) ივანეს
ძე ხოვენს.

გვ. 100, 9-10. „იაკობ კრუჰსკი... სადა არს“ – საუბარია
პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილ სტუდენტზე, რომელ-
მაც სოლომონზე ერთი წლით გვიან (1828 წ.) დაამთავრა იუ-
რიდიულ-ფილოსოფიური ფაკულტეტი, შემდეგ კი ასწავლიდა
კალუგის გიმნაზიაში.

იონა ხელაშვილისადმი №43 (გვ. 100-102)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: H 2226, გვ.: 306-307.

თარიღი და ადგილი: „ნოემბრის 22-სა დღესა, 1828 წელსა, ტფილისით.“

ხელმოწერა: „თქუშნის მაღალ ღირსების მორჩილი სულიერი შვილი სოლომონ დოდაევი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: წერილი მიმართვის გარეშე იწყება.

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 396 ფ., იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან, ძველი № 206. ქალაქის ზომა: 25X21. მუყაოს ყდა; მხედრული.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 128-129.

გვ. 101, 5-7. „თუმცა მათმან უგანათლებულესობამან, მეფის ძე ბაგრატიან, ინება რაოდენითამე წარმოწერილითა ავთრათითა წარმოგზავნა ძმისა ჩემისა“ – სოლომონის ძმა სტეფანეს თავისთან ეპატიუებოდა ბაგრატი ბატონიშვილი.

გვ. 101, 34-35. „ობლის ქალის გათხოებისათვის არლარა მიბრძანეთ რა, ერთსა სემინარიის ფილასოფიის მონაფესა ჰსურს ქორწინება“ – იგულისხმება იონა ხელაშვილის გარდაცვლილი ძმის, იოსების, ქალიშვილთაგან ერთ-ერთი – მაია, ან მარიაძი.

1829

სტეფანესადმი №1 (გვ. 103-105)

ნაბეჭდი: ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, №2, 1832, გვ.: 44-48.

თარიღი და ადგილი: [1829 წლის 22 თებერვლის შემდეგ]

ხელმოწერა: „შენი ძმა ს...“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: წერილი მიმართვის გარეშე იწყება.

პირველი პუბლიკაცია: იხ. რუბრიკა ნაბეჭდი.

წერილს წინ უძღვის სოლომონის ძმის – სტეფანეს – „წერილი პეტერბურგიდამ ტფილისს ძმასთან“.

წერილიდან ჩანს, რომ სოლომონ დოდაშვილის ძმა სტეფანე უკვე პეტერბურგშია ჩასული. ეს მოხდა 1829 წლის 12 თებერვალს, მაგრამ ბარათს წინ უსწრებს სოლომონის მიერ ძმისთვის 22 თებერვალს გაგზავნილი სხვა წერილი, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ რომლის შინაარსიც ვიცით მოსკოვის ცენტრალურ სახელმწიფო სამხედრო-ისტორიულ არქივში დაცული დოკუმენტიდან „Содержание писем из Тифлиса, писанных от Соломона Додасва к брату его Степану Додасву в С. – Петербург.“

22 თებერვალს გაგზავნილ წერილში სოლომონი სთხოვდა ძმას, რომ პეტერბურგში ჩასვლისთანავე ეცნობებინა მისთვის, თუ როგორ მოეწყობოდა. რამდენადაც წინამდებარე უთარილო წერილიდან ჩანს, რომ სტეფანე ჩასულა პეტერბურგში და ამ ინფორმაციის შემცველი მისი ბარათი სოლომონს უკვე მიუღია კიდეც, ბარათი 1829 წლის 22 თებერვლის შემდეგ მალევე უნდა იყოს დანერილი.

გვ. 103, 2. „მისვლა შენი ჩინებულსა მაგას ქალაქსა“ – საუბარია სანკტ-პეტერბურგზე.

გვ. 103, 23-24. „ორთა წარსულთა წელიწადთა შინა ჩინებულთა ბრძოლათა“ – საუბარია 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომზე.

გვ. 103, 26. „მარჯვენა მეფისა“ – იგულისხმება რუსეთის იმდროინდელი იმპერატორი ნიკოლოზ I.

გვ. 105, 2-5. „ბედნიერება ესე ჩვენი ჯერეთ არ ძალმიძს ... მაშასადამე, შენ იცი“ – ქარაგმული გამონათქვამი, რომელშიც შეფარვით გადმოცემულია ქართველ თავადაზნაურთა შეთქმულების მზადებით გამოწვეული აღტაცება.

იონა ხელაშვილისადმი №44 (გვ. 105-106)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: С: S 388, გვ.: 40-41.

თარიღი და ადგილი: „1829-სა წელსა, აგვისტოს 15-ს დღესა, ტფილისით.“

ხელმოწერა: „თქუწნი სულიერი შვილი სოლომონ დოდაევი მაღრისა“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მამაო, ძვირფასო იონა!“
ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 420 გვ., ქალაქ-
დის ზომა: 26,5X22 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული; იონას ავ-
ტოგრაფი.

შენიშვნები: 1. ეკკლესიური; 2. გარმარტება; 3. წარკითხულ-
მან; 4. განრცვენებული; 5. ქრგ.; 6. მემალურათანა; 7. კეთი-
ლალუავებისათვის; 8. სიტვიერებასა; 9. ქრგ.; 10. მოგახსენებ.
პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასი-
ის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები:
1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და
შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 133-134.

გვ. 106, 14-15. „ჰსწუხვან მოუს[ვ]ლელობასა გი-
ორგისასა“ – საუბარია იონას ძმაზე, გიორგი ხელაშვილზე,
რომელიც პეტერბურგში იყო.

გვ. 106, 17-18. „იოანე მუფის ძეს უკეთუ შეესრუ-
ლებინოს ქართული ღრამმატიკა, წარმოჰგზავნეთ“ – 1829
წელს იოანე ბატონიშვილმა დაამთავრა მუშაობა ქართული
გრამატიკის შედგენაზე („სხვათა და სხვათა სწავლათა შეკრე-
ბილებანი“) და იმავე წელს გაუგზავნა იონა ხელაშვილს.

გვ. 106, 18-19. „მე ქართულათ სრულ ვყავ და
ვთარგმნი რუსულათ“ – გულისხმობს თავის „გრამატიკას“,
რომელიც 1827 წელს დაწერა, მაგრამ არ უბეჭდავდნენ, სანამ
რუსულად არ თარგმნიდა. ეს წიგნი: „შემოკლებული ქართუ-
ლი ღრამმატიკა“ დაიბეჭდა 1830 წელს.

გვ. 106, 21. „ელენა მდაბლათ თაყვანის ცემას მო-
გახსენებთ“ – სოლომონის მეუღლე ელენე კობიაშვილი.

იონა ხელაშვილისადმი №45 (გვ. 106-109)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: S 388,
გვ.: 58-61.

თარიღი და ადგილი: „ნოემბრის 7-სა, 1829-სა წელსა, ტფილი-
სით.“

ხელმოწერა: „უმორჩილესი სულიერი შვილი სოლომონ დოდა-
ევი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მამაო, ღირსო მოძღუარო
იონა!“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 420 გვ., ქალაქ-დის ზომა: 26,5X22 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული; იონას ავტოგრაფი.

შენიშვნები: 1-2-3-4. პირველი ასოები ასომთავრულია; 5. ქრგ.; 6. მდგომარეობასა; 7. ქრგ.; 8. სწავლასა; 9-10. ქრგ.; 11. მემცხუდრე; 12-13. ქრგ.; 14. ხვასტავისა; 15. ხვასტავის; 16-17. ქრგ.; 18. ხვასტავი; 19-20-21-22. ქრგ.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 134-137.

გვ. 107, 15-16. „ვინაიდან ღმერთმან იწება შვილისა მოცემა“ – სოლომონ დოდაშვილის პირველი შვილი ივანე დაიბადა 1829 წლის 21 სექტემბერს.

გვ. 107, 17-18. „დირექტორი სასწავლებლებისა“ – უნდა იგულისხმებოდეს პ. ი. შიპულინი.

გვ. 107, 22. „მეფის ძე ოქროპირ ბრძანდებოდა“ – იგულისხმება გიორგი XII-ის შვილი.

გვ. 108, 3-4. „ერთი საყაძე გამოუგზავნია სვმონ მღვდლის კელით:“ სვიმონ მღვდელი – შეიძლება იყოს სვიმონ გურგენიძე, რომელსაც თავის ჩვენებაში ასახელებს ეფრემ ალექსიმესხიშვილი („1832 წლის შეთქმულება“, გვ. 297), საყაძეს კი საათს ეძახდნენ.

გვ. 109, 2. „სოლომანის შვილს მიხეილს“ – საუბარია იონა ხელაშვილის ძმისწულზე.

გვ. 109, 6-8. „სიმონ სოლომონიჩს ვაჩიძესთან მოწერილი ავთრათი წარუგზავნე არზრუმს“ – წინა გამომცემლის, სოლომონ ხუციშვილის, აზრით, ეს უნდა იყოს სოლომონ სოლომონის ძე ვაჩიძე.

იონა ხელაშვილისადმი №46 (გვ. 109-111)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: S 388, გვ.: 46-48.

თარიღი და ადგილი: „დეკემბრის 28-ს, 1829-სა წელსა, ტფილისით.“

ხელმოწერა: „სულიერი შვილი თქვენისა მაღალ ღირსებისა სოლომონ დოდაევი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „თქვენო მაღალ ღირსებავ, მოწყალე მამაო, მოძღუარო იონა!“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 420 გვ., ქალაქ-დის ზომა: 26,5X22 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული; იონას ავტოგრაფი.

შენიშვნები: 1-2-3. პირველი ასოები ასომთავრულია; 4. ყოველი სტრიქონის დასაწყისი ასო ასომთავრულია; 5-6-7-8-9. ქრგ; 10. რიცხვიდ; 11. უფრო „მამისა“ იკითხება; 12. „თქვენი-სანი“ დაუნერია და შემდეგ „ნი“ გადაუხაზია; 13. „იონა“ ჩანერილია მხოლოდ დასაწყისი ასომთავრული „ი“-თი; 14. გასურთს; 15. ქრგ.

პირველი პუბლიკაცია: წერილის ნაწილი გამოაქვეყნა თ. ყორ-დანამ გაზეთ „ივერიაში“ 1887 წლის 227-ე ნომერში, ხოლო სრულად გამოაქვეყნა ნიგნში: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 137-139.

გვ. 110, 11. „თქვენის შეთხზულის ლექსიკონისათვის მიბრძანეთ“ – იონა ხელაშვილს სოლომონისთვის დასაბეჭდად გაუგზავნია ლექსიკონის მასალა მინაწერით: „მიცვალებულს სურდა დაბეჭვდა ამისი მამულისათვის აღმზრდელს ჩემსა მეფის ძეს იოანეს. მე მსურს, რათა მის სახელზე დაიბეჭდოს. იოანა მღვდელ-მონაზონი“ (ს №22):

გვ. 110, 17. „სრულყავ რიტორიკა ქართულსავე ენასა ზედა“ – სოლომონის ეს წიგნი მის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა. გამოაქვეყნა 1955 წელს ჟურნალ „მნათობში“, №1.

გვ. 110, 32-34. „ძმამან თქვენმან დაიგვიანა მოსვლა, ვიშიშვი, რათა უკუნ არ მოიქცეს“ – იგულისხმება გიორგი ხელაშვილი, რომელიც 1827 წლიდან პეტერბურგში იყო და 1829 წლის ბოლომდე არ ჩამოსულა.

გვ. 110, 34-35. „სახლობანი ძმისა თქვენისა სოლომონისანი მშვიდობით ჰცხოვრებენ“ – იგულისხმებიან სოლომონის მეუღლე – მაია და შვილები... იოანე... მიხაილ... ნოდარ... კონია... სოფიო“.

გვ. 111, 1-2. „მეფის ძემ ოქროპირმან, მოგილოცათ დღე-სასწაული“ – საუბარია გიორგი XII-ის ძეზე.

გვ. 111, 17. „მიხეილისა და დიმიტრის ჩამოყუანასა მსთხოვთ“ – იგულისხმებიან იონა ხელაშვილის ძმისწულეები.

ფილადელფოს კიკნაძისადმი №2 (გვ. 112)

ავტოგრაფი: A: დაცულია 1832 წლის შეთქმულების საქმეებში, რვ. VII, ფილადელფოს კიკნაძის პირადი ფონდი: 1811, №40. გვ. 1246; 117. სოლომონ დოდაშვილის 3 წერილი პეტერბურგიდან ნიჟნი-ნოვგოროდში.

თარიღი და ადგილი: „30 მაისს, 1830-ს.“

ხელმოწერა: „თქვენი უერთგულესი და მყვარებელი მეგობარი სოლომონ დოდაევი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „უსაყვარელესო მეგობარო ქილადელქოს!“

ავტოგრაფის აღწერილობა: ქალაქის ზომა: 20X13 სმ; ფურცლები გაყვითლებული და დალაქავებულია, დანერილია შავი მელნით.

პირველი პუბლიკაცია: სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, პ/მ რედაქტორები: ანგია ბოჭორიშვილი, სოლომონ ხუციშვილი, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა, თბ., 1961, გვ. 302.

იონა ხელაშვილისადმი №47 (გვ. 112-113)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: S 388, გვ.: 54-55.

თარიღი და ადგილი: „აგვისტოს 7-სა, 1830-სა, მაღარო.“

ხელმოწერა: „დოდაევი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „თქვენო მაღალ ღირსებავ, მოძღუარო იონა!“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 420 გვ., ქალაქის ზომა: 26,5X22 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული; იონას ავტოგრაფი.

შენიშვნები: 1-2-3-4. პირველი ასოები ასომთავრულია; 5-6-7. ქრგ.; 8. გარნა ორჯერ წერია; 9. იხსენება (კალმ. შეცდ.); 10. სენკტემბერში.

პირველი პუბლიკაცია: სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, პ/მ რედაქტორები: ანგია ბოჭორიშვილი, სოლომონ ხუციშვილი, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა, თბ., 1961, გვ.: 302-303.

გვ. 112, 17. „სოლომან და შვილი მისი იოანე“ – იონა ხელაშვილის ძმა და ძმისწული.

გვ. 112, 20-21. „თეს სიმამრთან – ონისიმე მღვდელთან“ – იგულისხმება ნატალია იაშვილის მამა ონისიმე.

1831

იონა ხელაშვილისადმი №48 (გვ. 114-115)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: S 388, გვ.: 53-55.

თარიღი და ადგილი: „იანვრის 15-სა, 1831-სა, ტფილისით.“

ხელმოწერა: „თქვენი სულიერი შვილი ს. დოდაევი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „თქვენო მაღალ ღირსებავ, მოძღუარო იონა!“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 420 გვ., ქაღალდის ზომა: 26,5X22. მუყაოს ყდა; მხედრული; იონას ავტოგრაფი.

შენიშვნები: 1-2-3-4. პირველი ასოები ასომთავრულია; 5. მოვახსენეფ; 6. თხუზულეზა; 7-8. ქრგ; 9. შეთხიზული.

პირველი პუბლიკაცია: წერილის ნაწილი გამოაქვეყნა თ. ყორდანიამ გაზეთ „ივერიაში“ 1887 წლის 227-ე ნომერში, ხოლო სრულად – წიგნში: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 140-141.

გვ. 114, 8. „ღრამატიკა იბეჭდება“ – სოლომონ დოდაშვილის გრამატიკა დაიბეჭდა 1831 წელს.

გვ. 114, 8-9. „ინყების, უკეთუ ინებოს ღმერთმან და შეგვენოს იგი, ლექსიკონიცა თქუშნიცა“ – იგულისხმება სოლომონ დოდაშვილის ლექსიკონი.

გვ. 114, 10-11. „გამოიცემა ყოველსა თთუშს ყურნალი ქართული, წელიწადში ათორმეტი წიგნი“ – იგულისხმება ყურნალი „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, რომლის პირველი ნომერი 1832 წლის იანვარში გამოვიდა სოლომონ დოდაშვილის რედაქტორობით.

გვ. 114, 18-19. „მუხრანის ბატონმა კონსტანტინემ გამომიცხადა, რომელ ჩემის შვილის იოანესაგან აღებულს ვალს“ –

იგულისხმება მეფე ერეკლეს შვილიშვილი, ქეთევან ბატონიშვილისა და იოანე მუხრან-ბატონის ძე.

გვ. 115, 3-4. „ნათარგმნი აქენდეს ბატონის შვილს მირიანს“ – ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის ძე მირიანი 1801 წლიდან დასახლდა პეტერბურგში. იგი ენეოდა ლიტერატურულ და მთარგმნელობით საქმიანობას. თარგმნილი ჰქონდა რუსულიდან „სწავლა თქმული ილია მინიატისაგან“.

იონა ხელაშვილისადმი №49 (გვ. 115-116)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: S 388, გვ.: 51-52.

თარიღი და ადგილი: „თებერვლის 26-სა, 1831-სა წელსა, ტფილისით.“

ხელმოწერა: „მომლოდინე თქვენის ყოველთა გარემოებათა ცნობის, სულიერი შვილი თქვენი სოლომონ დოდაევი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „უმაღლესო მამაო, მოძღუარო იონა!“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 420 გვ., ქაღალდის ზომა: 26,5X22 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული; იონას ავტოგრაფი.

შენიშვნები: 1-2-3-4. მხოლოდ პირველი ასომთავრული ასოები წერია; 5-6. ქრგ.; 7. გაკრული ხელით წერია და ძნელად იკითხება; 8. ხვასტავთა; 9-10. ქრგ.; 11. ხვალსტავითა; 12. ხელნაწერში წერია „ადგილი“, რაც სინტაქსური თვალსაზრისით არასწორია; 13. წინგთან; 14. წარმოგზავნოდ.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 142-143.

გვ. 115, 25. „მცირეწლოვანი ძმა მისი ჯერეთ არ მოუყუანია“ – იონა ხელაშვილის ძმას, სოლომონს, იოანეს გარდაჰყავდა კიდევ ორი ვაჟი – მიხეილი და ნოდარი, მაგრამ, როგორც მომდევნო № 50 წერილიდან ჩანს, აქ საუბარია მიხეილზე: „ძმა ამისი მიხეილ ფრიად მცირეწლოვანი არის, ექვსი წლისა არის, შეუძლებელ არს ჯერეთ მისი სწავლისა დაწყება.“

გვ. 116, 21-22. „მუხრან ბატონის შვილის ვექსილი გთხოვ“ – იხ. №48 წერილის კომენტარები

გვ. 116, 25. „ოსიფ იაკოლიჩის დუქნებისასა რას ბრძანებთ“ – სავარაუდოდ, იოსებ იაკობის ძე ლახმანი. ამ თემაზე იხ. № 35 წერილის კომენტარები.

იონა ხელაშვილისადმი №50 (გვ. 117-118)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: S 388, გვ.: 62-64.

თარიღი და ადგილი: „1831 წელსა, მარტის 14 დღესა.“

ხელმოწერა: „თქვენი სულიერი შვილი სოლომონ დოდაევი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „თქუენო მაღალ ღირსებაე, მოძღუარო იონა!“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 420 გვ., ქაღალდის ზომა: 26,5X22 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული; იონას ავტოგრაფი.

შენიშვნები: 1-2-3-4. მხოლოდ პირველი ასომთავრული ასოები წერია; 5. ძმი წული; 6. ქრგ.; 7. მივიბარეფო; 8. წარმოიდგნესა; 9. ვრგძნობდე; 10-11-12. ქრგ.; 13. წინგთა; 14-15. ქრგ.; 16. ქართულთა; 17. ქრგ.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 143-144.

გვ. 117, 6-7. „ჩამოვიდა ძმა თქუჭნი სოლომონ ჩემთან ივანეს სანახავად“ – საუბარია იონა ხელაშვილის ძმასა და მის ვაჟზე.

გვ. 117, 18. „თუთ ფ[ე]ოდოროვნა“ – სოლომონ დოდაშვილის მეუღლე ელენე თეოდორეს ასული კობიაშვილი.

გვ. 117, 19. „ხოლო ძმა ამისი მიხეილ“ – იონას ძმის, სოლომონ ხელაშვილის, უმცროსი ვაჟი.

იონა ხელაშვილისადმი №51 (გვ. 118-120)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: S 388, გვ.: 42-44.

თარიღი და ადგილი: „აპრილის 28-სა დღესა, 1831 წელსა, თბილისი.“

ხელმოწერა: „თქუშნის მაღალღირსებისა უუმორჩილესი სულიერი შვილი თქუშნი სოლომონ დოდაევი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ქრისტე აღზდგა! თქუენო მაღალ ღირსებაჲ მღუდელ-მოძღუარო, მამაო იონა, უუმონყალესო ჳელმნიფეჲ!“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 420 გვ., ქაღალდის ზომა: 26,5X22 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული; იონას ავტოგრაფი.

შენიშვნები: 1-2. მხოლოდ პირველი ასომთავრული ასოები წერია; 3-4. ქრგ.; 5. წარმორგზავნის; 6. განსაზღვრეკათ.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 145-146.

გვ. 119, 11-12. „თქუშნის ძმის, სოლომონის, სიძე“ – იგულისხმება სოლომონ ხელაშვილის ქალიშვილ კონიას მეუღლე იოანე ზაქარიას ძე დემეტრაშვილი.

გვ. 119, 29-30. „მთავარმართებელი ჩუშნი ივან ფეოდოროვიჩი, ღრაფი პასკევიჩი“ – 1831 წელს პასკევიჩი პოლონეთში გადაიყვანეს მთავარმართებლად.

იონა ხელაშვილისადმი №52 (გვ. 120-122)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: S 388, გვ.: 48-50.

თარიღი და ადგილი: „იენისის 19-სა დღესა, 1831-სა წელსა.“

ხელმოწერა: „თქუენი სულიერი შვილი სოლომონ დოდაევი“
ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: წერილი მიმართვის გარეშე იწყება.

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 420 გვ., ქაღალდის ზომა: 26,5X22 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული; იონას ავტოგრაფი.

შენიშვნები: 1. ქრგ.; 2. ამ სიტყვის პირველი „ნ“ მელნითაა დაღვენთილი და არ იკითხება; 3. ზრახვას (კალმ. შეცდ.); 4. ჰარზი (კალმ. შეცდ.); 5. იკითხება „შეახშე“ (კალმ. შეცდ.); 6. ჯერ დაუნერია „რომელთაცა“ და შემდეგ გადაუკეთებია; 7-8. ქრგ.; 9. თქუეშნი; 10. განმიკვირდა; 11. ქრგ.; 12. გიახლდი;

13. ქრგ. 14. ანუ; 15. „რომელიც თქუშნთეს“ წინა გამოცემაში გამოჩენილია.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 146-148.

გვ. 120, 21. „შანშე ერისთავთან და სხუათა თავადთა“ — საუბარია შულავერის ყოფილ მოურავსა და გორის მაზრის მარშალზე.

გვ. 120, 22-23. „მუნ შემოვიდა დეკანოზი აარონ“ — უნდა იგულისხმებოდეს აარონ ალექსი-მესხიშვილი, რომელიც მოხსენიებული ჰყავთ იოანე ბაგრატიონს „კალმასობაში“ და პლატონ იოსელიანს „გიორგი მეცამეტის ცხოვრებაში“.

გვ. 122, 3-4. „ცენზურობის პრაექტი მთავარმართველმან წამოიღო“ — იგულისხმება ივანე თევდორეს ძე პასკევიჩი, რომელიც მთავარმართველი იყო 1827-31 წლებში.

გვ. 122, 5-6. „მე ლექსიკონის ბეჭდას ვინყებ“ — საუბარია იონა ხელაშვილის ლექსიკონზე.

იონა ხელაშვილისადმი №53 (გვ. 122-123)

იონა ხელაშვილისადმი კუთვნილი ხელნაწერი წიგნი: C: S 388, გვ.: 44-45.

თარიღი და ადგილი: „იელისის 30 დღესა, 1831 წელსა, თბილისი.“

ხელმოწერა: „თქუშნი სულიერი შვილი სოლომონ დოდაევი“ ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „თქუშნო მალალ ღირსებავ, მღუდელ-მოძღუარო, მამაო იონა! უუმონყალესო ჳელმნიფევ და მზრუნველო!“

ხელნაწერის აღწერილობა: კრებული, XIX ს., 420 გვ., ქალაღდის ზომა: 26,5X22 სმ; მუყაოს ყდა; მხედრული; იონას ავტოგრაფი.

შენიშვნები: 1. „მღუდელ-მოძღუარო“ ხელნაწერში ორი, ერთმანეთისაგან წერტილით გამოყოფილი ასომთავრული „მ“-თია ჩანერილი; 2-3-4-5-6. ქრგ.; 7. „ღ“ ასომთავრულით წერია; 8. გამოგისხნად; 9. ქრგ.; 10. დუგნების; 11. ქრგ.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები:

1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 148-149.

გვ. 123, 7. „ოსიპ იაკოლიჩის დუქნების ნამდვილი დოკუმენტები“ – ამ დუქნებთან დაკავშირებით იხ. №35 წერილის კომენტარი.

ოქროპირ ბატონიშვილისადმი №1 (გვ. 123-124)

ავტოგრაფი: A: დაცულია 1832 წლის შეთქმულების საქმეებში, ფონდი 1457, რვ. XXVI, საქმე 26, ფურც. 5272.

თარიღი და ადგილი: „სექტემბრის 18-სა, 1831-სა, ტფილისი.“

ხელმოწერა: „თქვენის უგანათლებულესობის მოწყალისა ხელმწიფის მარადის მსურველი სიმრთელისა უმორჩილესი მოსამსახურე და მონა სოლომონ დოდაევი.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „თქვენო უგანათლებულესობავ, საქართველოს მეფის ძე ოქროპირ, უმოწყალესო ხელმწიფევ!“

ავტოგრაფის აღწერილობა: ქალაღდის ზომა: 25X17,5 სმ; დაწერილია ბაცი ყვითელი, მკვერივი ქალაღდის ორ გვერდზე მუქი ყავისფერი მეღნით, გასაგები კალიგრაფიით. აბზაცები დაცულია. ფურცელი დაუზიანებელია. ამავე ქალაღდის მე-3 გვერდზე ალექსანდრე ორბელიანის წერილია იმავე ადრესატისადმი.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 149-150.

წერილი ხელით წაულია ტალიაშვილს. ეს წერილი საგამოძიებო კომისიამ ოქროპირ ბატონიშვილის ქალაღდებში იპოვა, თარგმნა და სოლომონ დოდაშვილის საბუთებს დაურთო. თარგმანი შენახულია საგანგებო საქმეთა ფონდში: საქმე №166, ფურც. 174.

გვ. 123, 12-13. „საქართველოს მეფის ძე ოქროპირ“ – წერილის ადრესატია საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის, ძე ოქროპირ ბატონიშვილი.

გვ. 123, 26-27. „გახლავსთ მღვდლის შვილი, ამის მამა ბატონიშვილს ალექსანდრეს ახლავს“ – სოლომონ დოდაშვილის თხზულებათა წინა გამომცემელი სოლომონ ხუციშვილი მიიჩნევს, რომ ეს კაცი გვარად არის ტალიაშვილი.

გვ. 123-124. „ეს გიახლებათ პეტერბურგს ფარნაოზ ბატონიშვილთან“ – საუბარია ერეკლე მეორის ძეზე.

1832

ფილადელფოს კიკნაძისადმი №3 (გვ. 125-126)

ავტოგრაფი: A: დაცულია სრულიად საგანგებო საქმეებში, № 170, გვ.: 40-41.

თარიღი და ადგილი: „თებერვლის 6-ს, 1832 წელსა, ტფილისი.“

ხელმოწერა: „თქუენი მეგობარი სოლომონ დოდაევი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მამაო წმიდაო ჭილა-დელქოს!“

ავტოგრაფის აღწერილობა: დაწერილია ყვითელ, დალაქულ, მკვრივ ქაღალდზე, ღია ყავისფერი მელნით 3 გვერდზე, ქაღალდის ზომა: 18X11 სმ.

დაკეცილი ბარათის უკანა მხარეს ავტორის ხელით მიწერილია ბუნდოვანი აზრის შემცველი პატარა ტექსტი (გამოცემაში იბეჭდება ავტოგრაფის სახით), რომლის ბოლო სტრიქონში გაურკვეველი, უცნაური ასოებით შედგენილი სიტყვა მხოლოდ ბარათის შემობრუნებით იკითხება (რუსულ ენაზე – „ფლ იერომონახს“). როგორც ცნობილია, შეთქმულნი (თუ ყველა არა, გარკვეული ჯგუფი მაინც) საიდუმლო ანბანის გარდა, მიმონერისათვის იყენებდნენ ერთგვარ ხერხს, რაც გულისხმობდა ერთმანეთთან აზრობრივად დაუკავშირებელი სიტყვებით სავსე ბარათიდან საგანგებოდ ამოჭრილი ფურცლის საშუალებით ნამდვილი ტექსტის ამოკითხვას. მსგავსი წერილი, დაცული იმავე საქმეებში, გაშიფრული და ამოკითხულია მკვლევარ გ. გოზალიშვილის მიერ (გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. 1, 1935, გვ. 35-36) და შეფასებულია, როგორც შეთქმულთა ერთი ჯგუფის საიდუმლო მიმონერის საინტერესო ნიმუში.

სოლომონ დოდაშვილის წერილის უკანა მხარეს მიწერილი ზემოაღნიშნული ტექსტი, სავარაუდოდ, არ შეიცავს რაიმე განსაკუთრებულ შინაარსს. იგი უფრო შეთქმულთა მოწოდებას ნააგავს.

პირველი პუბლიკაცია: ნერილის ნანილი გამოაქვეყნა სიმონ ხუნდაძემ ნიგნაკში „ქართველი ინტელიგენციის პროფილი მე-19 ს-ში“, სახელგამი, თბ., 1927, გვ.: 36-37, ხოლო სრულად: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ.: 150-151.

გვ. 125, 5-6. „არქიერთან რაოდენჯერმე გახლდათ დირექტორი“: არქიერი – იგულისხმება ეგზარხოსი იონა ვასილევსკი; დირექტორი – იგულისხმება გიმნაზიის დირექტორი ევარესტ გრუბერი, რომელთანაც, როგორც დაკითხვის ოქმებიდან ჩანს, სოლომონ დოდაშვილს საუბარი ჰქონია სამაზრო სკოლის მშენებლობის შესახებ და დახმარების პირობაც მიუღია.

გვ. 125, 26-27. „თქვენი და ელენა მდაბლად თავის დაკვრას და ხელზედ მოხვევას მოგახსენებს, ვანაცა ეგრეთვე“ – იგულისხმებიან სოლომონ დოდაშვილის მეუღლე ელენე კობიაშვილი და მათი ვაჟი.

უთარილოები

ფილადელფოს კიკნაძისადმი №4 (გვ. 127)

ავტოგრაფი: A: დაცულია 1832 წლის შეთქმულების საქმეებში, რვ. VII, ფილადელფოს კიკნაძის პირადი ფონდი: 1811, №40, სოლომონ დოდაშვილის 3 წერილი პეტერბურგიდან ნიჟნი-ნოვგოროდში.

თარიღი და ადგილი: დაუთარილებელი

ხელმოწერა: „თქუჴნი მყვარებელი სოლომონ დოდაევი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „საყვარელო ფილადელფ!“

ავტოგრაფის აღწერილობა: ქალაღდის ზომა: 20X13 სმ; ფურცლები გაყვითლებული და დალაქავებულია, დაწერილია შავი მელნით.

პირველი პუბლიკაცია: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, სოლომონ დოდაშვილის წერილები: 1825-1832, სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ. 79.

ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილები

1831

გრიგოლ ორბელიანისადმი №1 (გვ. 130)

ავტოგრაფი: A: ისტორიის განყოფილება, ფ. 2, აღწერა №1, გვ. 85.

თარიღი და ადგილი: [1831 წლის 3 სექტემბერი]

ხელმოწერა: „любящий васъ племянникъ Н. Баратов“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Его Сиятельству, Милостивому Государю Григорию Орбелъянову; Дражайший дядя!“

ავტოგრაფის აღწერილობა: დაწერილია რუსულად ბაცი ყვითელი ფერის მკვრივ ქალაღდზე; ქალაღდის ზომა: 21X17,5 სმ; ფურცელი ორადაა მოკეცილი (თავდაპირველად ოთხად ყოფილა მოკეცილი); პირველ გვერდზე წერილია, მეორე და მესამე გვერდები ცარიელია, მეოთხე გვერდზე მიწერილია მისამართი: „Его Сиятельству, Милостивому Государю Григорию Орбелъянову“

წერილი გაგზავნილია ნოვგოროდში, სადაც დაბანაკებული იყო გრიგოლ ორბელიანის „საგანგებო ქვეითი პოლკი“.

პირველი პუბლიკაცია: კრებული „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, წიგნი I, რუსთველის სახელობის ლიტერატურის სამეცნიერო საკვლევე ინსტიტუტი, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტფ., 1935, გვ. 633.

წერილი აღმოაჩინა აკაკი განერელიამ 1935 წელს 1832 წლის შეთქმულების მასალებს შორის, კერძოდ, გრიგოლ ორბელიანის ქალაქებში, რომელიც მისთვის დაპატიმრებისას ჩამოურთმევიათ 1832 წელს. მანვე გამოაქვეყნა ზემოთ მითითებულ კრებულში წინასიტყვაობით: გვ. 630-633.

წერილი აკაკი განერელიამ დაათარიღა იმის საფუძველზე, რომ იგი მოთავსებულია 1831 წლის 3 სექტემბერს პოეტის მამის, მელიტონ ბარათაშვილის, მიერ გრიგოლ ორბელიანისთვის ნოვგოროდში გაგზავნილ სხვა წერილთან ერთად, სადაც ნახსენებია თან დართული ტატოს წერილი: „ჩემმა ტატომ კი წიგნი მოგწერა. მერწმუნე, თვითონ დასწერა, არავის უსწავლებია“.

ამ დროს ნიკოლოზი 14 წლის იყო, რაც გასაგებს ხდის მამის გაკვირვებას, რომ შვილმა თავად გადაწყვიტა ბიძისთვის წერილის მიწერა, თან რუსულად. პოეტის ასაკზე მიგვანიშნებს ტექსტში დაშვებული ორთოგრაფიული და გრამატიკული შეცდომებიც, რომლებსაც უცვლელად ვტოვებთ.

გვ. 130, 3. „Дражайший дядя!“ – გრიგოლ ორბელიანი იყო ბარათაშვილის ღვიძლი დედის, ეფემია ორბელიანის, ძმა.

გვ. 130, 7. „[н]струменты ежели пришлете...“ – სავარაუდოდ, გიმნაზიის მოსწავლე ნიკოლოზი აქ სანერ ინსტრუმენტებს გულისხმობს, რადგან წინა წინადადებაში საუბარია იმაზე, თუ როგორ მიდის მისი წარმატებები წერაში: „Но, что о своих успехах писать...“

1837

გრიგოლ ორბელიანისადმი №2 (გვ.131-134)

ნაბეჭდი: გაზეთი „დროება“, 1885 წ., № 114, 1 ივნისი (შაბათი). გაზეთის რედაქტორი ივანე მაჩაბელი. გამოქვეყნდა ავ-

ტოგრაფის მიხედვით, რომლის ადგილმდებარეობა დღეისათვის უცნობია.

თარიღი და ადგილი: „ტფილისი, გარეთუბანი, 1837-სა წელსა, თებერვლის [...]“

ხელმოწერა: „თქუცნი უმორჩილესი ნ. ბარათაშვილი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „საყუარელო ძიავ!“

შენიშვნები: 1. სამსახურისაგამო; 2. უკედ; 3. უბედურებისაგამო; 4. ამ; 5. აქედ; 6. დაკარგული იყო.

პირველი პუბლიკაცია: იხ. რუბრიკა ნაბეჭდი.

წერილი აღმოაჩინა იონა მეუნარგიამ გრიგოლ ორბელიანის ქალღმერთებში და მანვე გადასცა „დროების“ რედაქტორს გამოსაქვეყნებლად. გაზეთის პირველივე გვერდზე მოთავსებულ რუბრიკაში „შინაური ქრონიკა“ ამის შესახებაა აღნიშნული. წერილი განთავსებულია გაზეთის 1-3 გვერდებზე.

ბარათი გაგზავნილია პოლონეთში, ვილნოს გუბერნიაში, „წევის საზღვაო პოლკის“ განლაგების ადგილას, სადაც იმყოფებოდა გრიგოლ ორბელიანი.

დანერვილია ქართულად და მხოლოდ რამდენიმე წინადადებაა რუსული. ტექსტში ჩართულია ბარათაშვილის ლექსი „ღამე ყაბახზედ“, რომელიც ბარათაშვილის თხზულებათა გამოცემებში ლექსების განყოფილებაში იბეჭდებოდა და ამ პირად წერილთან კეთდებოდა მხოლოდ მინიშნება. მაგრამ, რამდენადაც ჩვენ გამოვცემთ მხოლოდ წერილებს და ამავე ტომში მკითხველი ვერ იხილავს დასახელებულ ლექსს, რომელიც ორგანულ კავშირშია წერილთან, ვბეჭდავთ მას სრული სახით და შენიშვნებით.

გვ. 131, 4-5. „არ ვიცოდი ადგილი, თუ სად იმყოფებოდით...“ – ამ დროს გრიგოლი გადასახლებული იყო პოლონეთში. 1833-1837 წლებში მისი პოლკი იდგა ვილნოს გუბერნიაში.

გვ. 131, 6. „я чиновникъ экспедиціи суда и расправы...“ – 1835 წლის 6 ნოემბერს ბარათაშვილმა მუშაობა დაიწყო კანცელარისტად საქართველოს უმაღლეს მთავრობასთან არსებულ სამართლისა და სასჯელაღსრულების ექსპედიციაში – „Экспедиция Суда и расправы Верховного Грузинского Правительства.“

გვ. 131, 9-10. „აგერ, წელიწად ნახევარია, რაც მე გიმნაზიაში კურსი დავასრულე“ – ბარათაშვილმა გიმნაზია დაამთავრა 1835 წლის ზაფხულში.

გვ. 131, 12. „პანციონში ყოფნის დროს“ – 1829-1830 წლებში თბილისის „კეთილშობილთა სასწავლებელი“, სადაც ბარათაშვილი 1827 წლიდან სწავლობდა, გიმნაზიად გადაკეთდა და მასთან დაარსდა პანსიონი. ბარათაშვილმა 1830 წლიდან სწავლა ამ პანსიონში განაგრძო.

გვ. 132, 13. „ყაბახზედ დავიარებოდი“ – ყაბახი იყო საჯირითო, საბურთაო და სააზპარეზო მოედანი თბილისის ცენტრში, ქაშუეთის ეკლესიის მიდამოებში, ამჟამინდელი „9 აპრილის ბაღის“ ტერიტორიაზე.

გვ. 132, 17-18. „განცეცხლებულთა ღვინისგან...“ – ტაეპი ამოღებულია გრიგოლ ორბელიანის ლექსიდან „იარალის“, რომლის ჩვენამდე მოღწეულ ნყაროებში „განცეცხლებულთას“ ნაცვლად წერია „გაცხელებულთა“.

გვ. 132, 25. „ძიავ, ყაბახი, სამშობლო შენი“ – ნაკლებ საფიქრებელია, ბარათაშვილს ყაბახისთვის გრიგოლის სამშობლო ეწოდებინა, ყაბახის სახეში აქ, ზოგადად, სამშობლოს რომ არ გულისხმობდეს. ამას მონიშნავს სიტყვებიც „ნაგართო ავის ენისა გესლმან“. გრიგოლისთვის ყაბახი არავის ნაურთმევია, 1832 წლის შეთქმულების გამო მას დროებით „ნაართვეს“ სამშობლო – მისგან შორს გადაასახლეს.

გვ. 132, 28. „გარდახვენილსა დაგიხშო ეტლმან“ – გრიგოლი, როგორც აღვნიშნეთ, გადახვენილი, გადასახლებული იყო 1832 წლის შეთქმულების გამო. ეტლის მიერ დახშობაში გულისხმობდნენ ხოლმე ბედს, რომელსაც, ჰოროსკოპის მიხედვით, პლანეტების კონსტელაცია განაგებს.

გვ. 132, 32. „მრავალი კარგი ჰნახე ამბავი“ – შესაძლოა, აქ პოლონეთის ამბოხებას გულისხმობდეს.

გვ. 132, 33. „კრული ჩრდილოს“ – უნდა იგულისხმებოდეს ჩრდილოეთისგან, რუსეთისგან კრული, დაწყველილი, ანუ იმპერიის მიერ დასჯილი პოეტი.

გვ. 133, 17. „ჰსთქვ რამ“, – იტყვიან, – „ყაფლან, ყაფლან“ – უნდა იგულისხმებოდეს გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი – ყაფლან ასლანის ძე ორბელიანი.

გვ. 134, 13. „ბუდეშური მის ფეფები ლამაზად მოჩნდა“ – ფეხის თითები აქ ყურძნის ერთ-ერთი უძველესი ქართული ჯიშის – ბუდეშურის მოგრძო მარცვლებთან არის შედარებული.

გვ. 134, 20. „ფოჩტას ვერ ვანდე“ – აქ, ალბათ, ცენზურის საფრთხეც იგულისხმება და არა მხოლოდ წერილის დაკარგვა.

გვ. 134, 22. „არ ვინ იცის, რა გამოვა რისაგან“ – ცნობილი აშული პოეტის, საიათნოვას, სიტყვებია ლექსიდან „შე სანყალო ჩემო თავო, რა იქენ“. ეს ფრაზაც მიგვანიშნებს, რომ ბარათაშვილს მხოლოდ წერილის დაკარგვის არ ეშინოდა. ასე რომ ყოფილიყო, მისი დაკარგვისგან სხვა რა უნდა გამოსულიყო წერილის დაკარგვის მეტი, ცენზურისგან ლექსის ცალკეული ადგილების შინაარსის ამოცნობას კი შეიძლება მისთვის პრობლემები შეექმნა.

გვ. 134, 24-25. „ღმერთმა ინებოს, რომ კულად მამულში გიხილოთ“ – გრიგოლს მხოლოდ 1838 წელს მიეცა სამშობლოში დაბრუნების უფლება.

1838

მიხეილ თუმანიშვილისადმი №1 (გვ. 135-137)

ავტოგრაფი: C: S 2484, გვ.: 17-18.

თარიღი და ადგილი: „ნ-го августа, 1838 г. Тифлисъ“

ხელმოწერა: „Весь твой Н. Баратовъ“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Милый другъ!“

ავტოგრაფის აღწერილობა: ქალადის ზომა: 20,5X12 სმ; 2 ფურცელი. წერილები მაიკო ორბელიანთან (4 წერილი) და მიხეილ თუმანიშვილთან (1 წერილი) დაცულია ერთად. ჩასმულია მუქ ლურჯ მაგარ ყდაში. დაწერილია უხეშ, ყვითელი ფერის დაღაქავებულ ქალღმერთზე რუსულად, ჩართულია მხოლოდ რამდენიმე ქართული სიტყვა. ბარათს აქვს მიხეილ თუმანიშვილის მიწანიერი: „10 августа, Цар. Колодцы“, ხოლო ყდის ბოლოში მიწერილია: „აქვე ინახებოდა ლევან მელიქიშვილის წერილი გრ. ორბელიანთან, გადატანილია გრ. ორბელიანის პირად ფონდში №124“. ეს ავტოგრაფი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის შეუწირავს გიორგი თუმანიშვილს.

წერილი გაგზავნილია დედოფლისწყაროში, რომელსაც რუსები „Царские колодцы“-ს უწოდებდნენ.

შენიშვნები: 1. МЦКНТИ.

პირველი პუბლიკაცია: წერილის ქართული თარგმანი დაიბეჭდა გაზეთ „კვალის“ 1893 წლის მე-11 ნომერში, გვ. 5, ხოლო რუსული დედანი თარგმანის გარეშე – წიგნში: ნ. ბარათაშვილის ლექსები და წერილები, გამოცემა მეხუთე, ქ. შ.

წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამოცემა, №25, ტფ., 1895, გვ.: 89-90.

გვ. 135, 3. „Милый друг!“ – იგულისხმება ბარათაშვილის ახლო მეგობარი, პოეტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, თეატრის ისტორიკოსი და კრიტიკოსი – მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილი.

გვ. 135, 18-19. „Спасибо, братъ, за письма, за удовольствіе“ – მიხეილ თუმანიშვილს ბარათაშვილისათვის მიუწერია იუმორისტული გამოხმაურება-შეფასება ამ ლექსზე მსგავსი სათაურით — „ასტრას“, სადაც აქცენტი კეთდება ამ ქალბატონის უცნობ ვინაობაზე:

„ასტრავ, ასტრავ, უცნაურო კაცთათვის,
სადაური სად მოსულხარ, ან რისთვის?
უსულო ხარ, სულიერი, ვინ იცის,
ეს სახელი არ სმენია არავის...“ და სხვ.

გვ. 135, 20-21. „послание къ сочинителю „ასტრა.“

– იგულისხმება ბარათაშვილი და მისი ლექსი, რომელიც პოეტს 1838 წელს მიუძღვნია ფრანგი მეგობარი ქალის – დელფინა ლაბიელისათვის. ამ ლექსს ჩვენამდე არ მოუღწევია.

გვ. 135, 23. „неведомое „ასტრა“ – იგულისხმება დელფინა ლაბიელი.

გვ. 135, 29-30. „оно взято съ французскаго астре, которое по нашему, ძმად თავყანა“ – ბარათაშვილი წერილში საუბრობს მხოლოდ სიტყვა „ასტრას“ ეტიმოლოგიაზე, მაგრამ, რამდენადაც მან დელფინას სახელი „ასტრას“ დაუკავშირა, ჩანს, მისთვის ნაცნობია ისიც, რომ თვით სახელი „დელფინაც“, რომელიც სათავეს იღებს ბერძნული მითოლოგიიდან, ჩრდილოეთის ერთ-ერთ თანავარსკვლავედს ეწოდება.

გვ. 136, 2-3. „Мать ея просила“ – იგულისხმება დელფინა ლაბიელის დედა.

გვ. 136, 7. „Прощай, пустынный Алазанской долины“ – გიორგი თუმანიშვილი იმჟამად კახეთში იმყოფებოდა.

გვ. 136, 8. „о деве твоей долины“ – მართალია, გიორგი თუმანიშვილი ქართლელი იყო, მაგრამ ამ ფრაზის წინ ბარათაშვილის მიერ იმის აქცენტირება, რომ თუმანიშვილი იმჟამად ალაზნის ველზე იყო, გვაფიქრებინებს, რომ აქ კახეთის მკვიდრი ეკატერინე ჭავჭავაძე უნდა იგულისხმებოდეს, რო-

მელსაც პოეტმა უძღვნა ლექსები: „თავადის ჭავჭავაძის ასულს ეკატერინას“, „ხმით მშვენიერით“ და „საყურე“.

გვ. 136, 10. „**He успел написать особо къ Варламову**“ — უნდა იგულისხმებოდეს ნიკოლოზ ბარათაშვილის თანაგიმნაზიელი გარსევან ვარლამოვი, რომელსაც „თბილისის გიმნაზიის ყვავილში“ რამდენიმე ლექსი ჰქონდა დაბეჭდილი და მოგვიანებით ბარათაშვილთან ერთად მსახურობდა „საქართველო-იმერეთის სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატაში“.

1841

გრიგოლ ორბელიანისადმი №3 (გვ.138-139)

ავტოგრაფის ასლი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი №646, პეტრე უმიკაშვილის გადაწერილი, ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა კოლექცია: 16399.

თარიღი და ადგილი: „ნელსა 1841-სა, მაისის 28-სა დღესა, ქ. ტფილისი.“

ხელმოწერა: „შენი მარად და მარად და მარადის იქითაც ნიკოლაი“

ხელნაწერისადმი მიმართვის ფორმა: „საყუარელო ძმაო გრიგოლ“

ავტოგრაფის ასლის აღწერილობა: ქაღალდის ზომა: 21,5X17 სმ; 1 ფურცელი. ქაღალდი — მოყვითალო, დაზიანებული. აქვს მიწანერები, რომლებიც გადახაზულია.

ნაწერს უკავია ორად გაკეცილი ფურცლის პირველი ორი გვერდი. მეორე ფურცლის უკანა მხარეს მისამართი წერია, რაც იმას ნიშნავს, რომ ბარათი დაკეცილი იყო, დაბეჭდილი და გარეთა ცარიელ გვერდზე ეწერა მისამართი: „Его Снятельству Милостивому Государю, Григорию Дмитриевичу Князю Орбелиани, Капитану Грузинского Гренадерного полка и Кавалеру, в Гори“, ანუ, იგი გაგზავნილია გორში. გრენადერთა საგანგებოდ განვრთნილი ერთ-ერთი პოლკი ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისიდან გორში იყო განლაგებული და 1841 წელს იქ მსახურობდა გრიგოლ ორბელიანი.

პირველი პუბლიკაცია: სალიტერატურო ჟურნალი „კრებული“, მესამე ნიგნი, მელიქიშვილის და ამხ. სტამბა, თფილისი, 1873,

გვ.: 45-47. დაიბეჭდა რუბრიკით: „ქართული სალიტერატურო ისტორიის მასალა“.

გვ. 138, 2-3. „დიმიტრიევსკის ლექსები გეთხოვნა“ – იგულისხმება ლერმონტოვის ახლო მეგობარი, რომანს „ყვალის თვალების“ („Карые Глаза“) ავტორი, პოეტი მიხეილ ვასილის ძე დიმიტრიევსკი.

გვ. 138, 17. „საჩქაროთა ვნერ პალატაში“ – ამ დროს ბარათაშვილი მსახურობდა „საქართველო-იმერეთის სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატაში“.

გვ. 138, 18. „ჩვენც ახალს სახლებში გადავედით, ანჩისხატის უბანში“ – 1841 წელს ბარათაშვილები საცხოვრებლად გადავიდნენ დღევანდელ ჩახრუხაძის ქ. № 17-ში, სადაც ამჟამად პოეტის სახლ-მუზეუმია.

გვ. 138, 18-19. „უნინ რომ აბხაზი იდგა“ – არა გვეგონია, რომ აქ იგულისხმებოდეს რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი ივანე ნიკოლოზის ძე აფხაზი, რადგან იგი 15 წლიდან რუსეთის ჯარში მსახურობდა, მუდმივად ბრძოლებში იყო ჩართული და 1831 წელს გარდაიცვალა. უფრო სავარაუდოა, რომ ეს იყოს 1832 წლის შეთქმულების მონაწილე ანტონ აფხაზი.

გვ. 138, 20-21. „კიპიანმა გადმოთარგმნა „Ромео и Джулиетта“ – იგულისხმება ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი დიმიტრი ყიფიანი და მის მიერ თარგმნილი შექსპირის ტრაგედია „რომეო და ჯულიეტა“.

გვ. 138, 22-23. „Юлий Тарентский“, ტრალედია ლეიზევიციისა“ – იგულისხმება გერმანელი დრამატურგი იოჰან ანტონ ლაიზევიცი და მისი თხზულება „იულიუს ტარენტელი“.

გვ. 138, 23-24. „ბიბლიოტეკაში იყო დაბეჭდილი“ – იგულისხმება სანკტ პეტერბურგში 1834-1865 წლებში გამომავალი რუსული ჟურნალი „Библиотека для чтения“. ლეიზევიციის თარგმანი დაიბეჭდა 1840 წლის დეკემბერში, მის 43-ე ტომში.

გვ. 138, 26. „მაიკო ძალიან გწყევლის“ – სავარაუდოდ, იგულისხმება ქაიხოსრო ორბელიანის ქალიშვილი, რომელიც

მათი ნათესავი და, ამასთანავე, ბარათაშვილის უახლოესი მეგობარი იყო.

გვ. 138, 26-27. „ბალაშოვის სიკვდილს აქ ასე გლოვობენ“ – უნდა იგულისხმებოდეს სამხედრო მინისტრის ადიუტანტი, გენერლისა და სახელმწიფო მოღვაწის – ალექსანდრე დიმიტრის ძე ბალაშოვის – შვილი, ივანე ალექსანდრეს ძე ბალაშოვი, რომელიც სწორედ 1841 წელს გარდაიცვალა.

გრიგოლ ორბელიანისადმი №4 (გვ.139-140)

ავტოგრაფის ასლი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი №646, პეტრე უმიკაშვილის გადაწერილი. სად ინახება ავტოგრაფი, უცნობია.

თარიღი და ადგილი: „წელსა 1841, ოკტონბრის 18-ს, ქ. ტფილისით.“

ხელმოწერა: „შენი ნ. ბარათაშვილი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „საყვარელო ძმაო გრიგოლ“

ავტოგრაფის ასლის აღწერილობა: ქალადის ზომა: 21,5X17 სმ; 2 ფურცელი, მოყვითალო ქალაქი, დაწერილია ქართულად და დართული აქვს ლექსი „ვპოვე ტაძარი“.

შენიშვნები: 1. ჟურნალ „კრებულის“ რედაქტორი შენიშნავს, რომ ამის შემდეგ დაწერილი ყოფილა უსათაურო ლექსი, რომელიც დაბეჭდილია „ჩონგურში“, 78-ე გვერდზე, სათაურით „ფანტაზია“.

პირველი პუბლიკაცია: სალიტერატურო ჟურნალი „კრებული“, მესამე ნიგნი, მელიქიშვილის და ამხ. სტამბა, თფილისი, 1873, გვ.: 47-50. დაიბეჭდა რუბრიკით: „ქართული სალიტერატურო ისტორიის მასალა“.

გვ. 139, 4-5. „ნიგნი მომიტანა დ[იმიტრი] [ჯორჯაძე]“ – უნდა იგულისხმებოდეს დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძე, ორბელიანის ახლო მეგობარი, რომელიც მსახურობდა დაღესტანში, ქ. თემირხანშურაში, საოლქო კანცელარიის გამგედ.

გვ. 139, 6. „მაინთ... ანდრონიკოვი“ – იგულისხმება გენერალი ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი, რომელმაც გურიის აჯანყების ჩახშობის შემდეგ გენერალ-მაიორის ჩინი მიიღო.

გვ. 139, 6-7. „მილიციამ, როგორც იტყვიან, ასახელა თავისი სახელი“ – იგულისხმება რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ გურიაში მომხდარი აჯანყების ჩახშობა.

გვ. 139, 11. „მჯერა სარდლობა არლუთინსკისა“ – იგულისხმება მოსე არლუთინსკი-დოლგორუკოვი, რომელიც გურიის აჯანყების ჩამხშობ ექსპედიციას მეთაურობდა.

გვ. 139, 11. „მჯერა სარდლობა ... ს[აგინოვ]ისა“ – შესაძლოა, იგულისხმებოდეს ან პოეტის მამიდაშვილი ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილი, რომელიც 1841 წელს კავკასიის საოლქო შტაბის ტოპოგრაფიული როტის მეთაური იყო, ან ქართველ გრენადერთა პოლკის ოფიცერი გიორგი საგინაშვილი.

გვ. 139, 11-12. „მჯერა სარდლობა ... გურამოვისა“ – სავარაუდოდ, იგულისხმება პოდპოლკოვნიკი ივანე ზაქარიას ძე გურამიშვილი, რომელიც 1841 წელს დააჯილდოვეს წმინდა გიორგის ორდენით.

გვ. 139, 12-16. „ერთი ჩაგიხველოთ ... განკარგულებათა თქვენთა!“ – ბარათაშვილი იუმორით შეახსენებს ბიძას იმ ფაქტს, რომ ათიოდე წლის წინ ის თავად იდგა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ აჯანყებულთა რიგებში.

გვ. 139, 18. „ცოტას ხანს დაჰყვეს აქ ადღერბერლის შვილებმა“ – საუბარი უნდა იყოს საიმპერატორო კარის მინისტრ, გენერალ-ადიუტანტ, გრაფ ვლადიმერ თეოდორეს ძე ადელბერგის შვილებზე ალექსანდრესა და ნიკოლოზზე, რომლებიც ასევე გენერალ-ადიუტანტები იყვნენ. 1841-1842 წლებში ორივე ძმა მონაწილეობდა კავკასიის ომში.

გვ. 139, 20-22. „პოლკის კამანდერი გამოგიცვალეს, მაგრამ ეს განკარგულება მოხდა უწინარეს, ვიდრე გამოიძიებდენ ჩილაევის სიმართლეს, რომელიც, ეპკონებ, არ დადუმდეს“ – გრენადერთა ქართული პოლკის (სადაც წლების განმავლობაში მსახურობდა გრიგოლ ორბელიანი) დოკუმენტების მიხედვით, 1840 წლამდე მისი მეთაური იყო ალექსანდრე კარლოს ძე ოპერმანი, 1840-1841 წლებში კი – ბორის გაბრიელის ძე ჩილაევი (ჭილაშვილი). საინტერესოა ის ფაქტი, რომ მის შემდგომ ამ პოსტზე დანიშნული პირის საკითხი ბუნდოვანებით არის მოსილი. ზოგიერთი ცნობის მიხედვით, ეს არის გენერალ-მაიორი კურასოვსკი, მაგრამ სხვა წყაროებში კურასოვ-

სკი მოხსენიებული არ არის და პოლკის მეთაურთა სიაში 1841-1846 წლები გამოტოვებულია, 1846 წლიდან კი ამ თანამდებობზე ნახსენებია ალექსანდრე დებუ. შესაძლოა, რომ 1841 წელს, რაღაც ბრალდების გამო, აპირებდნენ ქილაშვილის გადაყენებას, მაგრამ, მან ან თავისი სიმართლე დაამტკიცა და თანამდებობა შეინარჩუნა, ან ეს საკითხი გაჭიანურდა, რამაც ინფორმაციის ბუნდოვანება გამოიწვია.

გვ. 139, 23. „ყაფლანს ვაჟი ჰყავს...“ – უნდა იგულისხმებოდეს ნიკოლოზ ბარათაშვილის დედის, ეფემიას, და გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი ყაფლან ასლანის ძე ორბელიანი. იგი 1839 წელს დაქვრივდა, მაგრამ 1840 წელს ცოლად შეირთო თავად ივანე ბარათაშვილის ასული ელისაბედი და 1841 წელს ეყოლა ვაჟი.

გვ. 139, 24-25. „პლატონის ძილში... ბაკენბარდზედ“ – იგულისხმება პლატონ იოსელიანი, რომელსაც იმ დროს, მართლაც, უზარმაზარი ბაკენბარდები ჰქონდა. ეს კარგად ჩანს მის ფოტოებზე.

გვ. 139, 28-29. „ამის ფილოსოფოსურს სახეს“ – ამ პერიოდში იოსელიანი თბილისის სემინარიაში ფილოსოფიას ასწავლიდა და ბარათაშვილი, როგორც ჩანს, ხშირად ეხუმრებოდა მას ამ თემაზე. იონა მეუნარგიას მოგონებით, ერთხელ ბარათაშვილს პლატონ იოსელიანზე ზმური ორაზროვნებით უთქვამს: „ის არის ბოლ ასლოვიო“ (БОЛОТОВО რუსულად ნიშნავს „ღვთისმეტყველს“, მაგრამ თუ გავყოფთ ორ სიტყვად – „ვირების ღმერთს“).

გვ. 140, 2-3. „ლიტერატურა ჩვენი... მოყვარეთა“ – იმ პერიოდში, მართლაც, გამოცოცხლდა ლიტერატურული ცხოვრება. შეიქმნა წრე, რომელშიც შედიოდნენ: გ. ერისთავი, დიმ. ყიფიანი, ვ. ორბელიანი, მიხ. თუმანიშვილი, მ. მაღალაშვილი, ა. ხერხეულიძე, დ. მაჩაბელი და სხვ.

გვ. 140, 11. „გიორგი მომიკითხე“ – შესაძლოა, იგულისხმებოდეს გიორგი საგინაშვილი, პოეტის მამიდაშვილი.

გვ. 140, 11. „ვასილ და სხუანი“ – შესაძლოა, იგულისხმებოდეს ვასილ ყორღანაშვილი, ოფიცერი დალესტანში.

გვ. 140, 12. „მამა ეგნატიმ შემოგითვალა“ – იგულისხმება პლატონ იოსელიანის მამა, ერეკლე მეორის კარის მწერალი ეგნატე იოსელიანი.

1842

გრიგოლ ორბელიანისადმი №5 (გვ.141-143)

ავტოგრაფის ასლი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი №646, პეტრე უმიკაშვილის გადანერილი. სად ინახება ავტოგრაფი, უცნობია.

თარიღი და ადგილი: „მაისის 2-სა დღესა, 1842 წელსა.“

ხელმოწერა: „მარად შენი ერთგული ნ. ბარათაშვილი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „საყვარელო ძმაო გრიგოლ“

ავტოგრაფის ასლის აღწერილობა: ქაღალდის ზომა: 21,5X17 სმ; 3 ფურცელი, მოყვითალო ქაღალდი.

წერილი ნაწერია ქართულად. საკმაოდ ვრცელი მონაკვეთი, 21 სიტყვა, გადაშლილია. აქ ლაპარაკი იყო ილიას ტყვეობასთან დაკავშირებულ საფრთხეებსა და ვარაუდებზე, მაგრამ, როგორც ჩანს, ბარათაშვილს გადაუფიქრებია მისი მიწერა, რომ ბიძისთვის გული არ გაეტება.

ხელნაწერში მხოლოდ ერთი სტრიქონია მოყვანილი ლექსიდან „მერანი“. წინა გამომცემელს აღნიშნული აქვს, რომ წერილში მთელი ლექსია მოყვანილი.

პირველი პუბლიკაცია: სალიტერატურო ჟურნალი „კრებული“, მესამე ნიგნი, მელიქიშვილის და ამხ. სტამბა, თფილისი, 1873, გვ.: 50-55. დაიბეჭდა რუბრიკით: „ქართული სალიტერატურო ისტორიის მასალა“.

გვ. 141, 1-2. „ილია მართლა ტყვედ არის შამილთან“ – იგულისხმება გრიგოლის ძმა, რომელიც ორ სხვა ოფიცერთან – პოლკოვნიკ სნაკსარევთან და პრაპორშჩიკ ანანოვთან – ერთად 1842 წლის 20 მარტს ყაზიყუმუხში დაატყვევეს ჩეჩნეთ-დაღესტნის ცნობილი იმამის – შამილის – მეომრებმა და 1842 წლის 22 ნოემბრამდე ჰყავდათ, ვიდრე არ გადაცვალეს რუსების მიერ დატყვევებულ ნაიბ შაჰმანდარ-შაჯზე და სხვა მთიელ ტყვეებზე.

გვ. 141, 4. „ყაზიყუმუხელები შეინახავდენ“ – დაღესტნელი მთიელები, რომლებიც ცხოვრობენ კასპიის ზღვის ახლოს – დარღოს, ქურის, ყაითალისა და სიურგის მიწებს შორის.

გვ. 141, 5. „По официальному донесению фезе“ – კარპე კარპეს ძე ფეზე, გენერალ-მაიორი, 1836–1844 წწ. დაღესტნის ომების მონაწილე.

გვ. 141, 7. „посланъ въ Андалалъ“ – იგულისხმება ცენტრალური დაღესტნის ტერიტორია, მდ. ყარა-ყოისუსა და ავარიის ყოისუს შორის, სადაც მდებარეობდა შამილის უკანასკნელი სიმაგრე – გუნები.

გვ. 141, 8. „ლეკმა, რომელმანც ეს ამბავი მოიტანა“ – როგორც ჩანს, ლაპარაკია ილია ორბელიანის თანამებრძოლ ლეკზე.

გვ. 141, 10. სინაქსაროვი – იგულისხმება სამურის ოლქის უფროსი ივანე ათანასეს ძე სნაქსარევი.

გვ. 141, 10. ყაზიყუმუხის ხანი – იგულისხმება გარუნბეგი, რომელიც ამ დროს (1842 წელს) ქურის სახანოს მმართველი („ხანი“) იყო.

გვ. 141, 11-12. „შემოსულა ანდალალში თვითონ შამილ“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის ცნობილ იმამზე, მაგრამ ფეზეს ეს ინფორმაცია სწორი არ არის, ილია დაატყვევეს ყაზიყუმუხში და არა ანდალალში.

გვ. 141, 13. „სულ დანკეპილი ყმანვილი ბიჭები, ავარელები“ – ჩრდილო დაღესტანში ყოისუბუს, ანდალალის, გუმბეთის, ანდისა და მეხთულის სახანოს მიწებს შორის მდებარე ტერიტორიის მცხოვრებნი. დაღესტნის უძლიერესი ტომი.

გვ. 141, 15-16. „ახტელელები კი, რომელნიც სინაქსაროვს მოჰყოლიან“ – სამხრეთ დაღესტნის, ყოფილი სამურის ოლქის, გამაგრებული სოფლის – ახტას მკვიდრნი.

გვ. 141, 18. „ახმეტ ხანზედ ძალიან გაბრაზებული თურმეა“ – ავარიის მმართველი (ხანი), რუსეთის სამსახურში მყოფი (გენერალ-მაიორი), რომელიც თავისი მილიციით ეხმარებოდა რუსის ჯარს.

გვ. 141, 27. „ჩემს შვილში გამიცვალონო“ – შამილის შვილი ჯემალ-ედ-დინი 1839 წლიდან მძევლად ჰყავდათ რუსებს.

გვ. 141, 30. „ვიდრე ველმნიფე ჩემს შვილს არ მამცემსო“ – ამ დროს რუსეთის იმპერატორი იყო ნიკოლოზ I.

გვ. 141, 31. „ახლა ილიკო დარლოშია“ – ილია ორბელიანი 1840-1845 წლებში ჰყავდათ შამილის რეზიდენციაში, ჩერნეთის გამაგრებულ აულ დარლოში.

გვ. 142, 1-2. „გალავინის ცოლმაც კი თქვა“ – ელისაბედ პავლეს ასული გოლოვინისა, 1838-1842 წწ. კავკასიის მთავარმართებლის, ევგენი გოლოვინის, მეუღლე, მწერალ ფონზინის ასული.

გვ. 142, 23. „ზაქარია ახტას არის, სინაქსაროვის ადგილს“ – იგულისხმება ზაქარია ორბელიანი, პოეტის ბიძა, რომელსაც სნაქსარევის ნაცვლად დაუკავებია სამურის ოლქის უფროსის თანამდებობა.

გვ. 142, 23-24. „იასეც იქ არის ელისოს მილიციით“ – სავარაუდოდ, ლაპარაკია იასე ანდრონიკაშვილზე, რომელიც ჭარ-ბელაქანში მსახურობდა და მას ახლდა ზაქათალის ოლქში შემავალი სახანო რეზიდენციის – ელისოს (ელისუს) – მილიცია.

გვ. 142, 32-33. „იმედია, რომ პოზინი ... გარემოებას“ – იგულისხმება მიხეილ ივანეს ძე პოზინი, სახელმწიფო მდივანი, რომელიც მთავრობამ 1842 წელს გამოგზავნა ამიერკავკასიაში, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ პოზინმა და ჩერნიშოვმა პოეტის იმედები ვერ გაამართლეს.

გვ. 142, 33. „მინისტრს შვიდს მაისს მოველით“ – იგულისხმება სამხედრო მინისტრი ა. ი. ჩერნიშოვი.

გვ. 142, 34-35. „მხოლოდ ფეფოს მწუხარება გვანუხებს ყველას“ – იგულისხმება ნიკოლოზის დედა ეფემია – დატყვევებული ილია ორბელიანის და.

გვ. 143, 5. „ელიზბარს ვმადლობ მოკითხვისათვის“ – სავარაუდოდ, უნდა იგულისხმებოდეს ელიზბარ შანშეს ძე ერისთავი.

ავტოგრაფი: C 2484, გვ.: 10-11.

თარიღი და ადგილი: „ნელსა 1842-სა, ოკტომბრის 31-სა, ქ. ტფილისით.“

ხელმოწერა: „შენი მარად ერთგული ძმა ნიკოლოზ ბარათაშვილი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „საყვარელო დაო მაიკო“

ავტოგრაფის აღწერილობა: ქალაღდის ზომა: 21,5X17 სმ; 2 ფურცელი; თხელი, მოყვითალო ქალაღდი. დაწერილია ღია ყავისფერი მელნით, წვრილი ასოებით. ტექსტი ადვილად იკითხება, გადახაზული ადგილები არ არის. მოიცავს 4 გვერდს. პუნქტუაცია და აბზაცები დაცულია. წერილში გვხვდება ნ. ბარათაშვილის ლექსის – „სული ობოლი“ – ერთი სტროფი („ძნელი არის მარტობა სულისა...“). I გვ-ის არშიაზე მიწერილია: „შენს გაზდას, მაიკო, თუ გლუხარიჩი ნახო...“ პირველი პუბლიკაცია: სალიტერატურო ჟურნალი „კრებული“, მესამე წიგნი, მელიქიშვილის და ამხ. სტამბა, თფილისი, 1873, გვ.: 100-104 (იღია ჭავჭავაძის შენიშვნებით). დაიბეჭდა რუბრიკით: „ქართული სალიტერატურო ისტორიის მასალა“.

გვ. 144, 4. „საყვარელო დაო მაიკო“ – მაიკო ქაიხოსროს ასული ორბელიანი იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის უახლოესი მეგობარი და მესაიდუმლე.

გვ. 144, 4-5. „რახაელს წიგნი დაჰსტყუე“ – იგულისხმება რახაელ (ხახე) ესტატეს ასული ციციშვილი, მეფე ერეკლე II-ის შვილთაშვილი, პოეტური ნიჭით დაჯილდოებული ქალი, ბარათაშვილის პოეზიაზე შეყვარებული. აქ ლაპარაკია ბარათაშვილის ლექსთა ხელნაწერ კრებულზე, რომელიც მას ჰქონია.

გვ. 144, 5. „გუშინ იასემ მამიტანა“ – იგულისხმება იასე ანდრონიკაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილის სკოლის მეგობარი, ხელნაწერ ჟურნალ „თბილისის გიმნაზიის ყვავილის“ დამაარსებელი და ჯგუფის წევრი.

გვ. 144, 7. „უნდა მიმეტანა მანანასათვის“ – იგულისხმება მირმანოზ ერისთავის ასული, დავით ორბელიანის მეუღლე მანანა.

გვ. 144, 10. „გალავინის ცოლი ნავიდა“ – საუბარია კავკასიის მთავარმართებელ ევგენი გოლოვინის მეუღლეზე – ელისაბედ პავლეს ასულ ფონ-ვიზინ-გოლოვინისაზე.

გვ. 144, 14. „ტასოს დღეობა იყო“ – იგულისხმება მანანა ორბელიანის ქალიშვილი ანასტასია ორბელიანი.

გვ. 144, 14-15. „ელენეს სახლში გარდაიხადეს“ – ლუარსაბ ორბელიანის ასული ელენე („ცაკალო“), პოლკოვნიკ ზაქარია გიორგის ძე ქსნის ერისთავის მეუღლე.

გვ. 144, 27-28. „ვინც მაღალი გრძნობის მეგონა...“ – შესაძლოა, იგულისხმებოდეს ეკატერინე ჭავჭავაძე დადიანისა, რომლის არჩევანმაც გული დასწყვიტა ბარათაშვილს.

გვ. 145, 10-13. „ძნელი არის მარტოობა სულისა... უბედურისა“ – ნაწყვეტი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსიდან „სული ობოლი“.

გვ. 145, 25-26. „ნინუცას ანუ ... ანა ივანოვნას“ – ანა ივანეს ასული ბაგრატიონ-მუხრანელი.

გვ. 145, 28. „ილიას მალე ვნახავთ“ – ილია ორბელიანი, მართლაც, ამ წერილის დანერვიდან რამდენიმე კვირაში გაათავისუფლეს.

გვ. 145, 31. „თუ გლუხარიჩი ნახო“ – გიორგი ერისთავი, პოეტი, დრამატურგი, ბარათაშვილის ახლო მეგობარი.

გრიგოლ ორბელიანისადმი №6 (გვ. 146)

ავტოგრაფის ასლი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი №646, პეტრე უმიკაშვილის გადაწერილი. სად ინახება ავტოგრაფი, უცნობია.

წინამდებარე გამოცემაში ტექსტი იხეჭდება ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებების 1968 წლის გამოცემის მიხედვით, სადაც პავლე ინგოროყვამ პეტრე უმიკაშვილის გადმონაწერის მიხედვით შეიტანა.

თარიღი და ადგილი: [1842]

ხელმოწერა: წერილი ფრაგმენტული სახისაა და თან ახლავს ბარათაშვილის ლექსი „საფლავი ივერიისა“.

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: არ ახლავს.

ავტოგრაფის ასლის აღწერილობა: მოღწეულა წერილის ბოლო, მეორე ფურცელი. ეს ფურცელი (ავტოგრაფი) გრიგოლ ორბელიანს 1873 წელს გადაუცია პეტრე უმიკაშვილისათვის, რომელსაც გადმოუწერია მისი პირი.

პირველი პუბლიკაცია: ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, პავლე ინგოროყვას დადგენილი ტექსტითა და კომენტარებით, თბ., 1968, გვ. 181.

წერილს თარიღი არ აწერია. ვათარილებთ მასში შეტანილი ლექსის - „საფლავი ივერიისა“ - დაწერის დროის მიხედვით, 1842 წლით. ლექსის დათარიღების შესახებ იხ. „ნ. ბარათაშვილი, ლექსები, პოემა, წერილები“, რედ. ი. თავაძე, აკ. განერელია, გამომც. ფედერაცია, 1939, გვ. 109.

გვ. 146, 1-2. „კნიაზ ბარათოვს ალბომში ჩაუნერე“ - აქ უნდა იგულისხმებოდეს არა ნუმისმატი მიხეილ პეტრეს ძე ბარათაშვილი, არამედ ისტორიკოსი სულხან გერმანოზის ძე ბარათაშვილი (ბარათოვი), რომელმაც 1841 წელს, პეტერბურგიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ, გაზეთ „კავკაზში“ გამოაქვეყნა წერილების სერია საქართველოს ისტორიაზე.

გვ. 146, 3-4. „მიდის პეტერბურლში с большим запасом сведений... Грузии“ - აქ იგულისხმება ის, რომ სულხან ბარათაშვილი ისევე აგრძელებდა მუშაობას საქართველოს ისტორიაზე. მართლაც, მოგვიანებით, პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ, მისი „საქართველოს ისტორია“ ხუთ წიგნად გამოვიდა (1865-71).

1843

გრიგოლ ორბელიანისადმი №7 (გვ. 147-149)

ავტოგრაფის ასლი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი №646, პეტრე უმიკაშვილის გადაწერილი. სად ინახება ავტოგრაფი, უცნობია.

თარიღი და ადგილი: „21 августа, 1843 г., Тифлисъ.“

ხელმოწერა: „შენი მარადის ნ. ბარათოვი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „საყვარელო ძმაო გრიგოლ, არა, უკაცრავად, მთავარო ავარისაო, ემირ-ავარო, ატილას ტახტზედ მჯდომარეო!“

ავტოგრაფის ასლის აღწერილობა: ქალაქის ზომა: 21,5X17 სმ; 4 ფურცელი, თხელი, მოყვითალო ქალაქი, დაზიანებული.

შენიშვნები: 1. რომლისაგამოც.

პირველი პუბლიკაცია: სალიტერატურო ყურნალი „კრებული“, მესამე წიგნი, მელიქიშვილის და ამხ. სტამბა, თფილისი, 1873, გვ.: 55-60. დაიბეჭდა რუბრიკით: „ქართული სალიტერატურო ისტორიის მასალა“.

გვ. 147, 1-2. „მთავარო ავარისაო, ემირ-ავარო“ – სიტყვები გამოძახილია გრიგოლ ორბელიანის მიერ ილია ორბელიანისადმი 1843 წელს მიწერილი წერილისა, სადაც იგი ხუმრობით ითხოვდა, რომ მისდამი მიმართვაში ყველას მოეხსენიებინა იგი ავარიის მმართველად და სადაც წერდა, რომ თავად წერილებს სხვაგვარად ველარ იწყებდა, თუ არა სიტყვებით: „მე ჰაქიმხან ემირ ავარ...“

გვ. 147, 2. „ატტილას ტახტზედ მჯდომარეო!“ – იგულისხმება ჰუნების მეფე (V ს.), რომელმაც დაიმორჩილა ევროპის არაერთი ერი.

გვ. 147, 24-25. „ეცადე, რომ რე[ნ]ენკამფთან დამანიშვნიწო“ – იგულისხმება გენერალ-ლეიტენანტი პავლე იაკობის ძე რენენკამფი, რომელიც 1842 წელს იყო დალესტანში მოქმედი დივიზიის უფროსი.

გვ. 147, 32. „შაჰის ელჩი შემოვიდა... მირზა-სალი“ – ირანის მეფე ფეტი-ალი-შაჰის, იგივე ბაბახანის მემკვიდრის, აბას-მირზას მდივანი.

გვ. 148, 2. „ბალს უკეთებს მთავარმმართველი“ – იგულისხმება გენერალ-ადიუტანტი ალექსანდრე ივანეს ძე ნეიდგარდტი, კავკასიის მთავარმართველი 1842-1844 წლებში.

გვ. 148, 5-6. „будь вместо Мирза-Сали графъ ЧиЧероне“ – 1837 წელს ყირიმს ეწვია იმპერატორი ნიკოლოზ I. მისი იქ ყოფნის ყოველი დღე დანერვილებით აღწერა უფლისწულ ალექსანდრე ნიკოლოზის ძის მდივანმა ს. ა. იურევიჩმა. იგი წერდა, რომ გრაფი ვორონცოვი, ამ მხარის უფროსი, როგორც მასპინძელი, ყველგან დაჰყვებოდა სამეფო ოჯახს და, როგორც ჩიჩერონე, მიუძღოდა წინ. „ჩიჩერონე“ იტალიური სიტყვაა და გიდს, მეგზურს ნიშნავს. ასეთი ტიპის მოგზაურის ჩანანერები იბეჭდებოდა ხოლმე სხვადასხვა უურნალ-გაზეთში და სავსებით შესაძლებელია, რომ იგი ბარათაშვილსაც წაეკითხა, ან „ჩიჩერონე“ გრაფ ვორონცოვის მეტსახელად ქვეუღიყო გარკვეულ წრეებში. ვორონცოვი მართლა მოსწონდა თბილისის საზოგადოებას, განსაკუთრებით ქალებს.

გვ. 148, 8. „ჩვენი ლევან ქუთაისში გააგდეს“ – ლევან ივანეს ძე მელიქიშვილი.

გვ. 148, 9-10. „ბაკლანას რომ ხომალდი დაელუპა“ – საუბარია ოფიცერ ალექსანდრე ორბელიანზე, რომელსაც ბაკლანას ეძახდნენ.

გვ. 148, 10. „გრიგოლ წერეთელი ინაზებოდა“ – გრიგოლ ზურაბის ძე წერეთელი, პოლკოვნიკი, რომელიც 40-50-იან

ნლებში მონანილეობას იღებდა დალესტნის ომში.

გვ. 148, 11. „მთავარმმართველმა ლევან გაუგზავნა“ – საუბარია მთავარმართველ ნეიდგარდტზე.

გვ. 148, 16. „ილია... პარუჩიკობა გაიკრა“ – ტყვეობიდან დახსნის შემდეგ ილია ორბელიანის სამხედრო კარიერა ძალიან სწრაფად მიდიოდა წინ. 1843 წელს იგი გახდა პარუჩიკი, 1845-ში – კაპიტანი, 1849-ში – პოლკოვნიკი. 1851 წელს დაინიშნა გრენადერთა პოლკის უფროსად და 1852 წელს მიიღო გენერალ-მაიორის ხარისხი.

გვ. 148, 17-18. „ამისი საქმე თავში ბოსტანია“ – ილია ორბელიანს 40-იან წლებში ბორჩალოში ჰქონდა ბოსტანი. ამასთან დაკავშირებით ახლობლები ხშირად ხუმრობდნენ. 1843 წლის 3 ივნისს გრიგოლ ორბელიანი სწერდა თავის ძმას – ზაქარიას: „ჩვენი ბატონი ძმა არ მოინერება, ბოსტნებში კიტრები და ხახვი აჰყვავებია, არა სცალიან“, თავად ილიას კი ამავე წლის 18 ივნისს სწერს: „სადა ხარ? ქალაქში თუ შენს ბოსტანში... შენი ბოსტნების ამბავი მომწერე“ და ა. შ.

გვ. 148, 22. „კნიაზი ჭ[ავჭავაძე] თავისის კნეინათი“ – იგულისხმება პოეტი ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე და მისი მეუღლე სალომე ორბელიანი-ჭავჭავაძისა.

გვ. 148, 23. ს[ავარსამიძის] ცოლი – იგულისხმება ჭარ-ბელაქნის მმართველის, გენერალ-მაიორ ლეონტი იაკობის ძე სავარსამიძის, ცოლი – სიდონია ზაქარიას ასული სავარსამიძისა.

გვ. 148, 23-24. ს[ივრიჩის] ცოლი – შესაძლოა, აქ იგულისხმებოდეს მაიორი აპოლონ სტეფანეს ძე სივრიჩი.

გვ. 148, 24. ბ[ეზაკის] ცოლი – ამიერკავკასიის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრის – ნიკოლოზ ბეზაკის – ცოლი, ყაფლან ნიკოლოზის ძე ორბელიანის ასული სოფიო, რომელიც აკვნიდან ყოფილა დანიშნული გრიგოლ ორბელიანზე, მაგრამ მიათხოვეს ბეზაკს.

გვ. 148, 31. „მამა ეგნატომ თავი დაგიკრა იმიერ სოფლითგან“ – პლატონ იოსელიანის მამა ეგნატე გარდაიცვალა 1843 წელს.

გვ. 148, 32-35. „Вотъ человекъ... море-оксань“ – ალექსანდრე პუშკინის „ბორის გოდუნოვიდან“ პიმენის მონოლოგის პერიფრაზა.

გვ. 149, 2. „И грустно, И скучно“ – მიხეილ ლერმონტოვის ლექსის სათაური და ციტატა.

გვ. 149, 17-18. „მამამ, ფეფომ, კატომ, ბაბალებ, ნინუცამ და აპლიპუტილამ მოგიკითხეს“ – იგულისხმებიან: პოეტის მამა,

მელიტონ ნიკოლოზის ძე ბარათაშვილი, დედა – ეფემია ორბელიანი, დები – ეკატერინე, ბაბაღე (ბარბარე), ნინო და 2 წლის სოფიო, რომელსაც საალერსოდ აპლიპუტილას ეძახდნენ.

გვ. 149, 19. მაია – სავარაუდოდ, პოეტის გამზრდელი.

გვ. 149, 19. გიორგი – ეს შეიძლება იყოს გიორგი რომანის ძე ერისთავი, ან პოეტის მამიდაშვილი გიორგი საგინაშვილი.

1844

ზაქარია ორბელიანისადმი №1 (გვ. 150-153)

ავტოგრაფი: L: 16400 -ბ.

თარიღი და ადგილი: „წელსა 1844-სა, აპრილსა 15-სა, ქ. ტფილისით.“

ხელმოწერა: „შენი მარად და მარად ნ. ბარათაშვილი“

აღრესატიხადმი მიმართვის ფორმა: „Любезный братъ Захарій!“

ავტოგრაფის აღწერილობა: დაწერილია ყვითელ ფურცელზე გასაგები კალიგრაფიით.

შენიშვნები: 1. аксіама.

პირველი პუბლიკაცია: წერილის ქართული თარგმანი დაიბეჭდა გაზეთ „კვალის“ 1893 წლის მე-7 ნომერში, გვ. 9, ხოლო რუსული დედანი თარგმანის გარეშე – წიგნში: ნ. ბარათაშვილის ლექსები და წერილები, გამოცემა მეხუთე, ქ. შ. წერაკოთხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამოცემა, №25, ტფ., 1895, გვ.: 105-107.

1945 წელს კ. მეძველიამ და შ. ჩხეტიამ აღმოაჩინეს ავტოგრაფები იმ წერილებისა, რომლებიც დღემდე პ. უმიკაშვილის ასლების მიხედვით ქვეყნდება (ნ. ბარათაშვილი, I, 1945, გვ.: 65-66; 1-424).

გვ. 150, 11. „чуть не переселился въ Елисейскія поля“ – იგულისხმება „ილვისიოსის ველი“, „უნეტარესთა კუნძული“, რომელიც ძველი ბერძნების წარმოდგენით, მოთავსებული იყო სამყაროს დასასრულს.

გვ. 150, 28-29. „Управленіе Самурскимъ округомъ сделалось для тебя уже вещью обыкновенною“ – 1842 წლიდან ზაქარია ორბელიანს ეკავა სამხრეთ დაღესტნის სამურის ოლქის უფროსის თანამდებობა.

გვ. 151, 5. „случай, подобный Ричинскому“ – იგულისხმება ჩრდილოეთ კავკასიაში, აულ რიჭასთან, 1842 წლის 1 მაისს მომხდარი შეტაკება, რომლის დროსაც ზაქარია ორბელიანმა, ყორღანაშვილმა და მალალაშვილმა სასტიკად დაამარცხეს მთიელები. ამ შეტაკებისას გამოჩენილი გმირობისათვის ზაქარია ორბელიანს მიანიჭეს პოდპოლკოვნიკის ხარისხი და წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენი.

გვ. 151, 17. „კატო დავნიშნეთ წარსულს კვირას“ – იგულისხმება პოეტის და ეკატერინე, რომელიც ცოლად გაჰყვა რევაზ ერისთავს.

გვ. 151, 23-24. „დავით ერისთავმა სამაჭანკლოში ქორი გთხოვა“ – იგულისხმება რევაზ ერისთავის ძმა დავითი.

გვ. 151, 25-26. „Прошу передать это известие Георгию“ – შესაძლოა, იგულისხმებოდეს ქართველ გრენადერთა პოლკის ოფიცერი გიორგი საგინაშვილი.

გვ. 152, 7. „Я получил от Григорія письмо вследъ за твоимъ“ – იგულისხმება გრიგოლ ორბელიანი.

გვ. 152, 6. „Дай ему престоль Августа“ – იგულისხმება რომის პირველი იმპერატორი ოქტავიანე ავგუსტუსი. მინიშნებაა იმაზე, რომ გრიგოლი ამ დროს დანიშნეს დალესტინის მეხთულის სახანოს მმართველად.

გვ. 152, 8-9. „უთუოდ ჯერ თავისი პოდპოლკოვნიკობა არ იცის“ – გრიგოლ ორბელიანმა პოდპოლკოვნიკის წოდება მიიღო 1844 წელს.

ზაქარია ორბელიანისადმი №2 (გვ. 154-155)

ავტოგრაფი: L: №16401.

თარიღი და ადგილი: „წელსა 1844-სა, მაისის 10-სა, ქ. ტფილისით.“

ხელმოწერა: „შენი ერთგული ნ. ბარათაშვილი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Любезный брат Захарий!“
ავტოგრაფის აღწერილობა: ყვითელი ფურცელი, ორად გადაკეცილი. დაწერილია 3 გვერდზე გასაგები კალიგრაფიით.

პირველი პუბლიკაცია: ნერილის ქართული თარგმანი დაიბეჭდა გაზეთ „კვალის“ 1893 წლის მე-7 ნომერში, გვ.: 9-10, ხოლო რუსული დედანი თარგმანის გარეშე – ნიგნში: ნ. ბართაშვილის ლექსები და ნერილები, გამოცემა მეხუთე, ქ. შ. ნერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების გამოცემა, №25, ტფ., 1895, გვ.: 108-109.

გვ. 154, 7. „Начальника Самурскаго округа“ – ამ დროს ზაქარია ორბელიანს ეკავა ყოფილი სამურის ოლქის უფროსის თანამდებობა.

გვ. 154, 10-13. „ჩვენი ყმანვილი კაცები: ილია, ლევან, დავით, ბაკლანა ... სულ წამოვიდნენ შამილის დასაჭერად“: იგულისხმებიან: ნიკოლოზის ბიძა ილია ორბელიანი, მეგობარი ლევან მელიქიშვილი, დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძე, რომელიც სამხედრო სამსახურში იყო 1834 წლიდან და ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანი, მეტსახელად ბაკლანა.

გვ. 154, 12. ზაქარია და ალექსანდრე ერისთავი – სამხედრო ოფიცრები, სენატორ გიორგი იესეს ძე ერისთავის შვილები.

გვ. 154, 14. „ყაფლან ხომ ასე ამბობს“ – იგულისხმება გრიგოლ ორბელიანის ნათესავი და მეგობარი ყაფლან ორბელიანი, დიმიტრი ორბელიანის ძმა.

გვ. 154, 18-19. „არლუთინსკის ლენერალ-ადუტანტობას ამბობენ“ – როგორც ჩანს, ეს ხმები არ გამართლდა. 1845 წელს მოსე არლუთინსკი-დოლგოროუკოვმა, რომელიც აქ იგულისხმება, მიიღო გენერალ ლეიტენანტის ხარისხი და მხოლოდ სამი წლის შემდეგ, 1848 წელს, აულ გერგებლის ადვოკატის მიანიჭეს გენერალ-ადიუტანტის წოდება.

გვ. 154, 21-22. „აცა, თუ ეგ მართლა მონტეკუკული არ გახდეს“ – იგულისხმება XVII საუკუნის ცნობილი ავსტრიელი მხედართმთავარი რაიმუნდ მონტეკუკული, რომელიც, გრიგოლის მსგავსად, პოეტიც იყო.

გვ. 154, 24. „გიორგი თუ მანდ იყოს, კარგის სიყვარულით მომიკითხე“ – სავარაუდოდ, იგულისხმება გიორგი რომანის ძე ერისთავი.

გვ. 155, 6. „შენი გამარჯვება ქეთევანს აქ გადავახდევინეთ“ – ზაქარია ორბელიანის მეუღლე, ანჩისხატის მღვდლის – დიმიტრი მესხიშვილის – ასული.

ნაბეჭდი: ნაბეჭდი: გაზეთი „დროება“, 1885 წ., № 114, 1 ივნისი (შაბათი). გაზეთის რედაქტორი ივანე მაჩაბელი. გამოქვეყნდა ავტოგრაფის მიხედვით, რომლის ადგილმდებარეობა დღეისათვის უცნობია.

თარიღი და ადგილი: „ნელსა 1844, მაისის23-სა, ქ. ტფილისით.“
ხელმოწერა: „შენი მარად ნ. ბარათაშვილი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „საყვარელო ძმაო გრიგოლ!“

შენიშვნები: 1. დელესტანში; 2. სარათას; 3. შეგცევაში; 4. უმაგალითობა.

პირველი პუბლიკაცია: იხ. რუბრიკა ნაბეჭდი.

ნერილი აღმოაჩინა იონა მეუნარგიამ გრიგოლ ორბელიანის ქალაქებში და მანვე გადასცა „დროების“ რედაქტორს გამოსაქვეყნებლად. გაზეთის პირველივე გვერდზე მოთავსებულ რუბრიკაში „შინაური ქრონიკა“ ამის შესახებაა აღნიშნული. ნერილი განთავსებულია გაზეთის მე-3 გვერდზე.

გვ. 155, 28. „ქ. ყ-ის ცოლი ჭკუაზე შეჰსცდა“ – ბარათაშვილის ნერილებში ცოლები ქმრის გვარებით არიან ხოლმე ნახსენები: „სავარსამიძის ცოლი“, „სივრიჩის ცოლი“, „ბეზაკის ცოლი“, „გალავინის ცოლი“. გვხვდება შემთხვევა, როდესაც ქალის სახელიც არის ნახსენები, მაგრამ – სიტყვა „ცოლის“ შემდეგ: „ლუა[რ]საბის ცოლი ანა“. ამიტომ მივიჩნევთ, რომ აქაც „ქ. ყ.“ ქმრის ინიციალებია და იგულისხმება არა ყაზბეგის ცოლი ქეთევანი, არამედ „კოლეჟსკი სოვეტნიკ“ დიმიტრი ყიფიანის ძმის – პრაპორშჩიკ ქაიხოსრო ივანეს ძე ყიფიანის – მეუღლე ეფემია.

გვ. 155-156. „კ[ატო] დავნიშნეთ რ[ევაზ] ე[რისთავ]ზედ“ – ლაპარაკია პოეტის დის – კატოს – რევაზ ერისთავზე დანიშვნის შესახებ.

გვ. 156, 2. „суженнаго конемъ не обьидишь“ – რუსული ანდაზა, სიტყვასიტყვით: „ვინც ბედით გინერია, იმას ცხენითაც ვერ შემოუვლი“, ანუ, რაც გინერია, იმას ვერ ასცდები.

გვ. 156, 3-5. „საპეტრეპავლობოდ გვექნება... то-есть: 29 июня“ – მოციქულების – პეტრესა და პავლეს – ხსენების დღე არის ძველი სტილით 29 ივნისს და ახალი სტილით 12 აგვისტოს.

გვ. 156, 6-7. „ზაქარიას და გიორგის კარგი საქორწილო გამოეგზავნათ“ – იგულისხმება ზაქარია ორბელიანი და გიორგი საგინაშვილი.

გვ. 156, 7-8. „გრიგოლმა სულ ბლუჯეულად იცისო“ – იგულისხმება გრიგოლ ორბელიანი.

გვ. 156, 14. „სულთანს გამოეგზავნა შენთან“ – პოდპოლკოვნიკი სულეიმან ხანი.

გვ. 156, 20. „ყაფლან მაგათზედ იცინის“ – ყაფლან ასლანის ძე ორბელიანი.

გვ. 156, 23-24. „ნინა ალექსანდროვნა ოდესაში მიდის 9 ივნისს“ – იგულისხმება ნინო ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე.

გვ. 156, 31. „ფეფოშ და მამოშ მოგიკითხეს“ – იგულისხმება ბარათაშვილის დედა ეფემია და მამიდა მარიამი.

გვ. 156, 31. „შენი ხანობა“ – 1844 წელს გრიგოლი დაიბნა დალესტნის ყოფილი მეხთულის სახანოს მმართველად.

ზაქარია ორბელიანისადმი №3 (გვ. 157-159)

ავტოგრაფი: L: №16402.

თარიღი და ადგილი: [1844 წლის 15 აგვისტოს შემდეგ]

ხელმოწერა: „შენი მარადის ერთგული თ. ნ. ბარათაშვილი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „უსაყვარელესო ძმაო ზაქარიაჲ!“

ავტოგრაფის აღწერილობა: ყვითელი ფურცელი, ორად გადაკეცილი. დანერილია ოთხივე გვერდზე გასაგები კალიგრაფიით.

პირველი პუბლიკაცია: ნ. ბარათაშვილის ლექსები და წერილები, გამოცემა მეხუთე, ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამოცემა, №25, ტფ., 1895, გვ.: 112-115.

წერილს ვათარილებთ მასში მოხსენიებული მოვლენების მიხედვით. ბარათაშვილი წერს, რომ მისი დის – კატოს – ქორწილიდან გასულია ერთი თვე: „კატოს, ერთი თვეც არის, ჯვარი დავწერეთ“; გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილ წერილში კი აკონკრეტებს ქორწილის თარიღს: „ქორწილი საპეტრეპავლობოდ გვექნება... то-есть: 29 июня.“

აქედან გამომდინარე, უნდა გვევარაუდა, რომ წინამდებარე ბარათი დანერილია ივლისის ბოლოს, მაგრამ ამავე წერილში გვაქვს მეორე რეალიაც, რაც გვაძლევს თარიღის უფრო დაზუსტების საშუალებას: ეს არის ალევობის დღესასწაულის ხსენება, რომელსაც დასწრებია ნიკოლოზი მამასთან

ერთად: „მე და მამა ალევობას, რომ ამ თთვის თხუთმეტს იყო, ვენვივენით კატოს“. აქ იგულისხმება ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაული, რომელიც განსაკუთრებული დიდებულებით აღინიშნებოდა ხოლმე ალევის ტაძარში ძველი სტილით 15 აგვისტოს (იხ. „Алевский успенский праздник в Карталинии“, „Закавказ. Вест.“ 1854, № 37). ამდენად, ნერილი და ნერილი უნდა იყოს 1844 წლის 15 აგვისტოს შემდეგ.

გვ. 157, 3-4. „მომილოცავს პოლკოვნიკობა!“ – 1844 წელს ზაქარია ორბელიანს მიანიჭეს პოლკოვნიკის ხარისხი.

გვ. 157, 4-5. „ინვალიდებში“ ეწერა – იგულისხმება გაზეთი „Русский инвалид“, რომელიც გამოდიოდა 1813 წლიდან. ჩრდილოეთ კავკასიაში ომის დროს მასში პირველად ქვეყნდებოდა ფრონტის სიახლეები, რის გამოც ძალიან პოპულარული იყო და მთელი შემოსავალი ხმარდებოდა ინვალიდების მკურნალობას და ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარებას.

გვ. 157, 17-18. „ჩვენთან იყვნენ მანანა თავის ქალით, მაიკო, ყაფლან, მიხაკო, ალექსანდრე სუმბათოვი“ – მანანა ორბელიანი და მისი ქალიშვილი ტასო; მაიკო ორბელიანი; ყაფლან ასლანის ძე ორბელიანი; მიხეილ ქაიხოსროს ძე ორბელიანი და ალექსანდრე სუმბათოვი (სუმბათაშვილი).

გვ. 157, 20-21. „არქიერი წულუკიძე, კატოს დედამთილის ძმა“ – უნდა იგულისხმებოდეს ექვთიმე წულუკიძე, რომელიც სწორედ 1844 წლის 29 ივნისს დანიშნეს გურიის ეპისკოპოსად.

გვ. 157, 23. სათარა – ირანელი პოეტი „აღა-სათარა“, ბარათაშვილის საყვარელი მომღერალი, რომელიც 1844 წელს იყო ნახჭევანში. იგი ხშირად მღეროდა სიმღერებს ცნობილი აღმოსავლელი პოეტების – საადის, ხაფიზის და ფიზულის – ლექსებზე.

გვ. 158, 5. „მამუკაც აქ იყო“ – მამუკა (მაკარ) ორბელიანი, მანდატურთუხუცეს თამაზ (თომა) მამუკას ძე ორბელიანისა და თავად დავით ქობულაშვილის ასულის – ქეთევანის – შვილი, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი.

გვ. 158, 6-8. „იქ დაგვხვდნენ ელენე, მანანა... მელანია და ბევრნი სხვანი“ – უნდა იგულისხმებოდეს ელენე ლუარსაბის ასული ორბელიანი, რომელიც 1836 წელს ცოლად გაჰყვა ზაქარია გიორგის ძე ქსნის ერისთავს, მანანა მირმანოვის ასული ერისთავი-ორბელიანისა და ელიზბარ ერისთავის და, მელნიკოვის მეუღლე მელანია.

გვ. 158, 13. „აღევობას, რომ ამ თთვის თხუთმეტს იყო“ – იგულისხმება ქსნის საერისთავოს სოფელ ალევში მდებარე VIII-IX საუკუნეების სამების ტაძრის დღესასწაული, რომელიც 15-16 ივლისს იმართებოდა.

გვ. 158, 24. „ამასთან, რევაზ ზედ აკვდება“ – კატოს ქმარი რევაზ ერისთავი.

გვ. 158, 24. „ლევანისა ხომ სულია კატო“ – კატოს მამული ლევან ერისთავი.

გვ. 158, 25. „დავით ხომ იმის ნებიერობაშია!“ – კატოს მამული დავით ერისთავი.

გვ. 158, 31. „ჩერვლონში არიან“ – კაზაკების დასახლება ჩერვლენაია მდებარეობს ჩეჩნეთში, თერგის მარცხენა სანაპიროზე, გროზნოდან 40 კილომეტრის დაშორებით.

გვ. 158, 32-33. „მთავარმმართველსაც ამ სამ დღეზედ მოეღიან!“ – 1842-1844 წლებში კავკასიის მთავარმართველი იყო ალექსანდრე ნეიდგარდტი.

გვ. 158, 33-34. „ლუარსაბის ცოლი ანნა ძალიან ავად არის“ – საუბარია გარდაცვლილი მაიორის – ლუარსაბ (იოველ) იოანეს ძე ორბელიანის – მეუღლეზე, თავად თამაზ (თომა) ორბელიანის ასულ ანაზე, რომელიც, მართლაც, 1844 წელს გარდაიცვალა.

გვ. 159, 11. „იაკიწტემ ამ ნიგნის წერაში“ – იგულისხმება იაკინთე დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილი, პოლკოვნიკ ზაქარია ზურაბის (დიმიტრის) ძე ორბელიანის მეუღლის – ქეთევანის – ძმა.

1845

მაიკო ორბელიანისადმი №2 (გვ. 160-162)

ავტოგრაფი: C: ფონდი: S 2484, გვ.: 12-13.

თარიღი და ადგილი: „9-ს თებერვალს, 1845, ქ. ნახეჩევანით.“

ხელმოწერა: „შენი მარადის ერთგული თ. ნ. ბარათაშვილი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „საყვარელო დაო მაიკო!“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის ქალაღდი, მცირედ დალაქავებული; ზომა: 20X13 სმ; დაწერილია შავი მელნით, გაკრული ხელით. წერილი ოთხგვერდიანია, ზოგან მელანი გაფერმკრთალებულია და ამოკითხვა ძნელია. სხვა მხრივ, ტექსტი ადვილად იკითხება. ზოგიერთი სიტყვა ავ-

ტორს ზედვე გადაუსწორებია. მაგ: „ბევრში წარმოგიდგენთ ორლოვის ცოლს“ – სიტყვა „ბევრში“ ჩასწორებულია. სტრიქონებს შუა თითქოს შემდეგ ჩაუმატებია: „ერთი ორივე სახე ნახეთ...“. წერილის ოთხივე გვერდის არშიებზე მინაწერებია. ორი მათგანი – I და IV გვერდებზე – ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელით, ხოლო II და III გვერდზე – ლევან მელიქიშვილის ხელით. აქვს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბეჭედი. ამ საზოგადოებას შემოსწირა ელისაბედ გრიგოლის ასულმა საგინაშვილისამ.

შენიშვნები: 1. ნუ რა ვის; 2. არის.

პირველი პუბლიკაცია: სალიტერატურო ჟურნალი „კრებული“, მესამე ნიგნი, მელიქიშვილის და ამხ. სტამბა, თფილისი, 1873, გვ.: 104-109 (ილია ჭავჭავაძის შენიშვნებით). დაიბეჭდა რუბრიკით: „ქართული სალიტერატურო ისტორიის მასალა“.

გვ. 160, 23. „სანამ ტასოს ნება არ გექნებათ“ – მანანა ორბელიანის ქალიშვილი ანასტასია ორბელიანი.

გვ. 160, 26. „რაკი ტურფა გაიფუდეს, აღარა ღირს აღარც ჩირად“ („ვეფხისტყაოსანი“).

გვ. 160, 31. „ილაჯი წაიღეს მაგ ჯაფარას ქებით“ – იგულისხმება მომღერალი ირანიდან.

გვ. 161, 2-3. „ეგ სულეიმან ხანმა გარდმოიყვანა სპარსეთიდან...“ – ჯაფარა თავრიზიდან მომავალ სულეიმან-ხანს – შაჰის უკანასკნელი ხანის ვაჟს – ახლდა ამალაში.

გვ. 161, 5. სათარა – იხ. წინა წერილის კომენტარები.

გვ. 161, 12-13. „გონჩა-ბეგუმ ჰქვია“ – იგულისხმება ნახჭევანის ხანის ასული, პოეტი გონჩა ბეგუმი.

გვ. 161, 13-14. „ბევრში წარმოგიდგენთ ორლოვის ცოლს“ – სავარაუდოდ, აქ საუბარი უნდა იყოს სამეგრელოს მთავრის, დავით დადიანის, ადიუტანტის – ორლოვის ცოლზე, რომელიც, როგორც ჩანს, მიმზიდველი ქალბატონი ყოფილა. არსებობს გადმოცემა, რომლის მიხედვითაც, დადიანის კანცელარიაში გადამწერლად მომუშავე ანდრი გეგეჭკორი გაარსიყებია მას, რის გამოც დადიანს გეგეჭკორი სასტიკად უცემია როზგით. ალბათ, ეს ამბავი გავრცელდა საზოგადოებაში და ივანე ალექსის ძე ორლოვის ცოლი სალაპარაკო თემად იქცა. შესაძლოა, სწორედ დავით დადიანის საპატივცემულოდ ერქვა ორლოვების 1840 წელს დაბადებულ შვილს დავითი.

გვ. 161, 26. „ეი, მუსელმან ნამარი ხანჯალზანი!“ – სიმღერის ტაეპი. ქართულად: ეი, მუსლიმან, გულზე დამეცი ხანჯალი.

გვ. 161, 28. ქაჩალი ძმა – იგულისხმება მიხაკო ორბელიანი, მაიკო ორბელიანის ძმა, პოეტის ნათესავი დედის მხრიდან.

გვ. 161, 29. „ივანეს კიდევ არ დავემდურები“ – იგულისხმება მანანა ორბელიანის ვაჟი, ივანე დავითის ძე („Мананыч“).

გვ. 161, 34. „ორი ტლუ ბიჭი გდია ნახეჩევანში“ – ერთში თავის თავს გულისხმობს, მეორეში კი მაიკოს ყოფილ საქმროს და თავის გიმნაზიელ მეგობარ ლევან ივანეს ძე მელიქიშვილს, ნახჭევანის მაზრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს.

გვ. 161, 34-35. „ახლა ცა ახალია, ქვეყანა ახალია და მოდაში ოთხმოცის წლის კაცები არიან“ – გადმოცემით, მანანა ორბელიანი მოსწონდა კავკასიის მთავარმართებელ მიხეილ ვორონცოვს, რომელიც ამ დროს 63 წლის იყო. ნიკოლოზ ბარათაშვილი წერილში, სავარაოდოდ, ამ ფაქტზე მიანიშნებს.

გვ. 161, 36. „ტასო მოიკითხე“ – სავარაუდოდ, საუბარია მანანა ორბელიანის ქალიშვილზე.

გვ. 161, 36-37. „კატო მომიკითხე... ქართული იცოდა, ისიც დავინწყებია“ – იგულისხმება ბარათაშვილის ნათესავი, იაკობ ორბელიანის ქალიშვილი ეკატერინე, რომელიც ცოლად გაჰყვა გენერალ-ლეიტენანტ ნიკოლოზ ალაპის ძე ივანოვს (მოგვიანებით ქუთაისის გუბერნატორი გახდა) და ამიტომ არის მინიშნება რუსულის სწავლაზე და ქართულის დავინწყებაზე.

გვ. 162, 4-5. „რაკი შენ მაგ ქალაქში ჩამოხვალ ქართლითგან, მაშინვე ჭორაობა უნდა გაჩნდეს“ – ლევან მელიქიშვილს და მაიკო ორბელიანს დიდი ხნის მანძილზე უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ 1837 წელს მომხდარმა ტრაგიკულმა ფაქტმა ძალიან მძიმე კვალი დატოვა მაიკოს ცხოვრებაზე. თბილისში სტუმრად ჩამოსული იმპერატორის ნიკოლოზ I-ისთვის რომ ესიამოვნებინათ, ქართველმა წარჩინებულებმა (ქართველი თავადაზნაურობის რჩეული ნაწილი ამ დროს გადასახლებული იყო 1832 წლის შეთქმულების გამო) მას ლამით მაიკო ორბელიანი მიჰგვარეს (ლევან მელიქიშვილი იმ დროს სამხედრო სამსახურში იყო – ნებელდისა და ადლერის ექსპედიციებში).

ალბათ, ამ ფაქტის გამო დადიოდა მაიკოს შესახებ ჭორები. იგი დარდისგან ჭლექით დაავადდა. ლევან მელიქიშვილს მაიკო სიკვდილამდე უყვარდა, ზრუნავდა მასზე და ცოლობაც სთხოვა, მაგრამ მაიკოს უპასუხია – „გვირგვინს არ

გაგიშავებო“ – და უარი უთქვამს. 1840 წელს მან ლევანისგან გააჩინა შვილი ივანე, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ (1849 წ.) ლევან მელიქიშვილმა და მისმა მეუღლემ იშვილეს.

გვ. 162, 12-13. „მე ვარ და ჩემი ნაბადი“ – ქართული ხალხური სიმღერა.

გვ. 162, 20. „უფალმა ნაჩალნიკმა მოკითხვა შემოგითვა-
ლათ“ – ლევან მელიქიშვილი ნახჭევანის მაზრის უფროსი (нахичеванский уездной начальник) ოფიციალურად არ ყოფი-
ლა. როგორც წყაროებში წერია, იგი ასრულებდა მაზრის უფ-
როსის საქმეებს: „исполнял дела Нахичеванского уездного
начальника.“ 1843 წლის ნოემბრიდან 1849 წლის ნოემბრამდე
ეს თანამდებობა ოფიციალურად ეკავა ალექსანდრე პავლეს
ძე პანკრატოვს, რომელიც მანამდე, 1832 წელს, თბილისის
ქვეით, შემდეგ კი ეგერთა და გრენადერთა პოლკში მსახუ-
რობდა. სავარაუდოდ, „ნაჩალნიკში“ ის იგულისხმება. თბილი-
სელ წარჩინებულებს ახლო კონტაქტები ჰქონდათ რუს სამ-
ხედროებთან. შესაძლოა, იგი ორბელიანებთან სტუმრადაც
ყოფილიყო ნამყოფი და მაიკოს პირადად სცნობოდა.

გვ. 162, 23-24. „თუ ღმერთი გნამს, გააშვებინე ქმარიო“ –
შესაძლოა, აქ მაზრის უფროსის ცოლი – ეკატერინე ტიხონის
ასული მოსკალევა – იგულისხმებოდეს, რომელიც ქმარზე 20
წლით უმცროსი იყო.

მაიკო ორბელიანისადმი №3 (გვ. 163)

ავტოგრაფი: C: ფონდი: S 2484, გვ. 15.

თარიღი და ადგილი: [1845 წლის 20 თებერვლიდან 20 მარტამ-
დე]

ხელმოწერა: „შენი მარადის უცვალებელი ძმა ტატო“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „საყვარელო დაო მაიკო!“

ავტოგრაფის აღწერილობა: ქალაქის ზომა: 13X10 სმ; მცირე
ზომის, ღია ცისფერი, თხელი ქალაქი, ორად მოკეცილი. და-
წერილია შავი მელნით, სწრაფი, გაკრული ხელით. მე-4 გვერ-
დზე მითითებულია ადრესატის ვინაობა: „მაიკო ორბელიანს“;
არშეიბზე არაფერია მინერილი. დაზიანებული არ არის.

პირველი პუბლიკაცია: სალიტერატურო ყურნალი „კრებული“,
მესამე ნიგნი, მელიქიშვილის და ამხ. სტამბა, თფილისი, 1873,

გვ.: 112-113 (ილია ჭავჭავაძის შენიშვნებით). დაიბეჭდა რუბრიკით: „ქართული სალიტერატურო ისტორიის მასალა“.

მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილი №2 და დაუთარილებელი №3 წერილების შედარებამ ცხადყო, რომ №3 უფრო გვიანაა დაწერილი. „კრილოსნების თემა“ ამკარად №2 წერილში იწყება: „კრიანოსნები გეთხოვნათ. მე, დიდი ხანია, თავრიზიდან ხუთი კრიანოსანი დავიბარე. აქამდისინ კიდეც უნდა იყოს მოსული“ და №3- ში კი ხდება უკვე წამოჭრილი თემის გაგრძელება: „კრიანოსნები ჯერ არ მამსვლია და, როცა მამივა, უთუოდ გამოგიგზავნი.“ იგივე შეიძლება ითქვას უფროსისა და მისი ცოლის შესახებ ხუმრობაზეც. №2 წერილში, ლევან მელიქიშვილის მინაწერში, ვკითხულობთ: „ტატო დღე და ღამე იხვენება: თუ ღმერთი გნამს, გააშვებინე ქმარიო, მე, როგორც დამჯდარი კაცი, არა ვშვრები“, №3-ში კი წერია: „ვერ გამოიცან ჩვენი მოქმედება. მე კიდეც შევარიგე ცოლქმარნი და!“ ამდენად, ამ უკანასკნელ წერილთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ იგი 1845 წლის 9 თებერვლის შემდეგ არის დაწერილი, უფრო სწორად კი – 20 თებერვლის შემდეგ, რადგან №2 წერილის დაწერიდან №3 წერილის დაწერამდე შუალედში ბარათაშვილს მაიკოს პასუხის მიღებაც უნდა მოესწრო. რაც შეეხება წერილის ბოლო ზღვარს, დადგენილია, რომ 1845 წლის მარტის დამლევს ნიკოლოზ ბარათაშვილი თბილისში დაბრუნდა (იხ. პავლე ინგოროყვა, ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელნი, გამომც. საბჭოთა საქართველო, თბ., 1975, გვ.: 137-138). ამიტომ წერილს ვათარილებთ ასე: [1845 წლის 20 თებერვლიდან 20 მარტამდე].

გვ. 163, 1-2. „დიდად ვწუხვარ, რომ ვერ გამოიცან ჩვენი მოქმედება. მე კიდეც შევარიგე ცოლქმარნი – ალბათ, იგულისხმება ალექსანდრე პანკრატოვი და მისი მეუღლე. იხ. წინა წერილის კომენტარები. როგორც ჩანს, მაიკოც გაეხუმრა „ნაჩაღნიკზე“.

გვ. 163, 5-6. „ლევანიც ავად გამიხდა“ – ლევან მელიქიშვილი.

გვ. 163, 7-8. „რასაც ეს ნეიდგარდს სწყევლის აქ გამოგზავნისათვის“ – 1844 წელს, როდესაც ლევან მელიქიშვილი ნახჭევანში გაგზავნეს, კავკასიის მთავარმართებელი იყო ალექსანდრე ივანეს ძე ნეიდგარდტი.

გვ. 163, 8-9. „ეს ერთი კაცი გვყვანდა პოლკოვნიკი ფორსტენი“ – რუსული არმიის ოფიცერი, წარმოშობით ინგლისე-

ლი, მსახურობდა ნახჭევანში და, როგორც წერილიდან ჩანს, კარგ დამოკიდებულებას იჩენდა ქართველთა მიმართ.

მაიკო ორბელიანისადმი №4 (გვ. 163-164)

ავტოგრაფი: C: S 2484, გვ. 14.

თარიღი და ადგილი: „10-სა აგვისტოს, 1845, მურუტს.“

ხელმოწერა: „შენი მარადის ერთგული თუნდ ტატო და თუნდ ნიკოლოზ“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „საყვარელო დაო მაიკო!“

ავტოგრაფის აღწერილობა: თეთრი ქალაღდი თავისი გაფორმებით; ზომა: 19X13 სმ; ზედა მხარეს ყვავილების ჩუქურთმაში მხედარია ჩახატული. ფურცლის მეორე მხარეს აქვს ქ.შ.წ.კ. გამაფრცველებელი საზოგადოების ბეჭედი.

შენიშვნები: 1-2. ეს სიტყვები უკვე აღარ იკითხება. 3. „თუნდ ტატო და თუნდ ნიკოლოზ“ სიტყვები დაკარგულია, ჩაკერებულია სარესტავრაციო თეთრი ფურცელი.

პირველი პუბლიკაცია: სალიტერატურო ჟურნალი „კრებული“, მესამე ნიგნი, მელიქიშვილის და ამხ. სტამბა, თფილისი, 1873, გვ.: 109-111 (ილია ჭავჭავაძის შენიშვნებით). დაიბეჭდა რუბრიკით: „ქართული სალიტერატურო ისტორიის მასალა“.

გვ. 164, 15-16. „ორნი მოსაქმენი ბრძანდებით, იმისთვის მოგახსენებთ“ – როგორც ჩანს, აქ მაიკოსთან ერთად მანანა ორბელიანს გულისხმობს, რადგან ცოტა ზემოთ ახსენებს: „მანანას ეგონება, სიანჩხლით განითლდი.“

გვ. 164, 17-18. „თქვენ იცით და პაპუა ორჯონიკიძემ“ – პაპუა ორჯონიკიძე არის იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ ერთ-ერთი მოქმედი პირი, აბაშიძეების ვასალი, რომელიც მათ მიერ ქართველი გლეხების ტყვეებად გაყიდვის გასამართლებლად აბსურდულ აზრებს გამოთქვამს. შესაძლოა, ბარათაშვილი მისი ხსენებით ხუმრობით მიანიშნებდეს მეგობრებს, თქვენც მასავით სამართლიანები და ობიექტურები ხართო. წერილი იწყება სწორედ ამ განწყობის გამომხატველი საყვედურებით: „ზედ გეტყობა, რომ ჰსტყუი“, „თუ მართალი იყოს, შორიდგანაც არ გენდომები“ და სხვ.

გვ. 164, 23. „ახალ დანიშნულს, თუ პატარძალს სოფიოს მოახსენე“ – შეიძლება იგულისხმებოდეს ყაფლან ნიკოლოზის ძე ორბელიანის ასული სოფიო, ამიერკავკასიის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრის – ნიკოლოზ ბეზაკის – მეუღლე.

გვ. 164, 25. „შეორე სოფიოსაც უთხარ, ჩქარა გამიკეთოს“ – სოფიო შალვას ასული ერისთავი, შემდგომში ივანე დავითის ძე ორბელიანის მეუღლე (1855 წლიდან).

გვ. 164, 27-28. „ნიკოლაი ალაპიჩი და კატო ქალაქ-შივე არიან, თუ წავიდნენ?“ – იგულისხმება სამხედრო-საინჟინრო უწყების ოფიცერი ნიკოლოზ ივანოვი და მისი ცოლი – იაკობ ორბელიანის ასული ეკატერინე.

გვ. 164, 29. „თამართან შევალ დილიჯანში“ – იაკობ ორბელიანის ასული, ანდრია სენკოვსკის მეუღლე, რომელიც დილიჯანში ცხოვრობდა.

გვ. 164, 29-30. „კარგად არ ვიცი, რომ დასევდიანებული იქნება“ – როგორც ჩანს, თამარი ძალიან მხიარული ადამიანი იყო და მის „სევდაზე“ აქ ხუმრობით არის ნათქვამი. ბაბაღლე საგინაშვილისადმი წერილში თამართან სტუმრობის შესახებ ბარათაშვილი წერს: „გასულელებულა, სულ იცინის! მართლად ორი დღე ვიყავ, ძალიან მხიარულად გავატარეთ დრო.“

ბაბაღლე საგინაშვილისადმი №1 (გვ. 165)

ავტოგრაფი: C: Q 419. Q ფონდში მოხვდა ილია ჭავჭავაძის არქივიდან: A-1718.

თარიღი და ადგილი: „23 აგვისტოს, მურუტი [1845]“

ხელმოწერა: „შენი მარადის თ ნ. ბარა[თაშვილი]“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „საყვარელო დაო ბაბაღლე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: საფოსტო ცისფერი ქალაღდი, ზომა: 19,5X12,5 სმ; 2 ფურცელი.

პირველი პუბლიკაცია: გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, №3/25, 1937 (ავტოგრაფის მიხედვით გამოაქვეყნა გრიგოლ აბაშიძემ).

წერილთან აღნიშნულია თარიღი – „23 აგვისტოს“; მას წელი არ აწერია, მაგრამ, რამდენადაც აქ ნახსენებია პრინცი ალექსანდრე ჰესენელის ყოფნა კავკასიაში, შეგვიძლია დავათარილოთ ამ ფაქტის მიხედვით. ცნობილია, რომ პრინცი კავკასიაში საბრძოლველად გაგზავნეს 1845 წლის 20 აპრილის ბრძანებით. ამდენად, ეს 23 აგვისტო 1845 წელს ეკუთვნის.

გვ. 165, 2. „საყვარელო დაო ბაბაღლე!“ – სამარაგდონ ორბელიანის ასული ბაბაღლე საგინაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილის მამიდაშვილის, ალექსანდრე საგინაშვილის, მეუღლე.

გვ. 165, 13. „ჯორაკის ქალი ბარბარე“ – მათი ვინაობა გაურკვეველია.

გვ. 165, 14-15. „გავსულელდები ამდენს თარაქამებში“ – თარაქამები, თერექემელები – აზერბაიჯანელთა განსხვავებული ეთნიკური ჯგუფი, რომელიც სახლობს დაღესტნის ზღვისპირა მიდამოებში, დერბენდის რაიონის ჩრდილო ნაწილში. სახელი „თერექემე“ ეტიმოლოგიურად უკავშირდება „თურქმენს“. XIX საუკუნეში ისინი მომთაბარე ცხოვრებასა და მესაქონლეობას მისდევდნენ.

გვ. 165, 18. „ამ ოთხი დღის წინათ თამართან ვიყავ დილიჯანში“ – თამარი – იაკობ ორბელიანის ასული, ანდრია სენკოვსკის მეუღლე.

გვ. 165, 18-19. „პრინცს მოველოდი გატეხილს ხიდზედ“ – საუბარია ალექსანდრე ჰესენელზე, დედოფლის ძმაზე. დარლოს ექსპედიციაში მონაწილეობის შემდეგ პრინცი კავკასიის მინერალურ წყლებზე ისვენებდა. აქედან გამოემგზავრა საქართველოში, საიდანაც ირანში აპირებდა წასვლას. თბილისიდან მას გზად უნდა გამოეველო „გატეხილ ხიდზე“, აქედან გაეველო დილიჯანზე და სომხეთის გზით ჩასულიყო ირანში. დილიჯანი ადმინისტრაციულად განჯის მხარეში შედიოდა, აქედან გამომდინარე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, სამსახურის მოვალეობისამებრ, უნდა დახვედროდა პრინცს და გაეცილებინა განჯის მხარეზე გავლისას. პოეტი განჯიდან წასულა ქვემო ქართლში პრინცთან დასახვედრად, მაგრამ მას იქ აღარ გაუვლია.

გვ. 165, 19. გატეხილი ხიდი – წითელი ხიდი მდინარე ხრამზე (ქციაზე). მდებარეობს საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარზე. აგებულია XVII საუკუნეში, ქართლის მეფე როსტომის დროს 1633-1658 წლებში.

გვ. 165, 21. ძალუა წინო – იაკობ ორბელიანის მეუღლე, თამარისა და ეკატერინეს დედა.

გვ. 165, 22. „სენკოვსკი უკეთ არის“ – პოლკოვნიკი ანდრია სტეფანეს ძე სენკოვსკი, სამხარეო საინჟინრო უწყების გზათა და საჯარო შენობათა კორპუსის ერთ-ერთი განყოფილების უფროსი. იმ პერიოდში ცხოვრობდა დილიჯანში.

გვ. 165, 23. ძალუა ელისაბედი – სამარაგდონ ორბელიანის მეუღლე, ბაბალეს დედა. მის მიერ გამართულ ერთ-ერთ ვახშამზე ნიკოლოზ ბარათაშვილი მოუხიბლავს იქვე მყოფი ეკატერინე ჭავჭავაძის საყურის თამაშს. ამ საღამოს სახსოვრად დაუნერია ლექსი „საყურე“.

გვ. 165, 27. ნინა ალექსანდროვნა – ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილი ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვისა.

გვ. 165, 28-29. „მატუროვის ცოლმა მოგიკითხა-თქო“ – როგორც ჩანს, დილიჯანის მცხოვრებია.

გვ. 165, 31. „მაიკოს უთხარ“ – მაიკო ქაიხოსროს ასული ორბელიანი.

ალექსანდრე საგინაშვილისადმი №1 (გვ. 166)

ავტოგრაფი: C: Q 419. Q ფონდში მოხვდა ილია ჭავჭავაძის არქივიდან: A-1718.

თარიღი და ადგილი: [23 აგვისტოს, მურუტი, 1845]

წერილი დანერილია იმავე ფურცელზე, რომელზედაც ალექსანდრეს მეუღლე ბაბალესადმი მიწერილი ბარათი. ამდენად, ისინი ერთ დღეს უნდა იყოს დანერილი და ასევე ვათარღლებთ: [23 აგვისტოს, მურუტი, 1845].

ხელმოწერა: „შენი მარადის თ ნ. ბარათაშვილი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ძმאו ალექსანდრე“

ავტოგრაფის აღწერილობა: საფოსტო ცისფერი ქაღალდი, ზომა: 19,5X12,5 სმ; 2 ფურცელი.

პირველი პუბლიკაცია: გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, №3/25, 1937 (ავტოგრაფის მიხედვით გამოაქვეყნა გრიგოლ აბაშიძემ).

გვ. 166, 2. „ძმאו ალექსანდრე“ – ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილი – კაპიტანი, შემდგომში რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, ნიკოლოზ ბარათაშვილის მამის, მელიტონის, დისწული. მას ცოლად ჰყავდა სამარაგდონ ორბელიანის ასული ბარბარე (ბაბალე). ბაბალეს გარდაცვალების შემდეგ ცოლად შეირთო ილია ჭავჭავაძის და – ელისაბედი. ილიამ ბარათაშვილის წერილები მათ საოჯახო არქივში იპოვა და სიძის ნებართვით გამოაქვეყნა.

გვ. 166, 4. „მამუკა აქ არ იყო“ – მამუკა (მაკარ) თომას ძე ორბელიანი – რუსეთის გენერალ-მაიორი.

გვ. 166, 10. „скупно, грустно“ – ამონარიდი მიხეილ ლერმონტოვის 1840 წელს დანერილი ლექსიდან „И скудно, и грустно...“, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ ჭრელი საზოგადოებით გარშემორტყმული ადამიანი ზოგჯერ თითქოს მათი ნიღბების მიღმა ხედავს სულიერ სიცარიელეს.

საძიებლები

პირთა ანოტირებული

ადელბერგი ალექსანდრე ვლადიმერის ძე (1818-1888) – გენერალ-ადიუტანტი 1855 წლიდან. სწავლობდა პაჟთა კორპუსში ალექსანდრე ჭავჭავაძესთან ერთად. მოღვაწეობდა კავკასიის მოქმედ არმიასში, მონაწილეობდა დაღესტნის ომში. იყო სამხედრო და სახელმწიფო საბჭოების წევრი, ყველა უმაღლესი რუსული ორდენის კავალერი. სარგებლობდა იმპერატორ ალექსანდრე II-ის დიდი ნდობით. 139

ადელბერგი ვლადიმერ თეოდორეს ძე – გენერალ-ადიუტანტი, გრაფი, საიმპერატორო კარის მინისტრი. 139

ადელბერგი ნიკოლოზ ვლადიმერის ძე – გენერალ-ადიუტანტი, კავკასიის ომის მონაწილე 1841-1842 წლებში. 139

ავალიშვილი-ჭავჭავაძისა მარიამ (მაია) ივანეს ასული (1758-1836) – ალექსანდრე ჭავჭავაძის დედა, თავად ივანე (სულხან) ავალიშვილის ასული, ცნობილი ქართველი დრამატურგისა და მოგზაურის, გიორგი ავალიშვილის, და. თანამედროვენი ახასიათებენ, როგორც განათლებულ და ბრძენ ქალს, „ვეფხისტყაოსანსა“ და ძველებურ ქართულ წესზე აღზრდილს. დასაფლავებულია შუამთის ხახულის ღვთისმშობლის დედათა მონასტრის მთავარ ტაძარში – ჭავჭავაძეთა განსასვენებელში. 15

ალექსანდრე I (1777-1825) – რომანოვების დინასტიის წარმომადგენელი, იმპერატორ პავლე I-ის უფროსი შვილი, რუსეთის იმპერატორი 1801-1825 წლებში; იმავდროულად, 1815-1825 წლებში, იყო პოლონეთის მეფე, ხოლო 1809-1825 წლებში – ფინეთის პირველი რუსი მთავარი. 59

ალექსი-მესხიშვილი აარონ//პარონ – დეკანოზი, მოხსენიებულია იოანე ბაგრატიონის „კალმასობასა“ და პლატონ იოსელიანის „გიორგი მეთორმეტის ცხოვრებაში“. მაქსიმე ბერძნიშვილის აზრით, მისი გადაწერილი უნდა იყოს დ. კარიჭაშვილის კატალოგში შესული რამდენიმე ხელნაწერი. მასვე ლისკოვოში გადაუწერია ხელნაწერი „ანტიქრისტეს მოსულისა და ამ სოფლის აღსრულებისა“, რომელ-

საც ახლავს მისი შვილთაშვილ ა. მაჩაბლის მინაწერი. დასახელებული წყაროების მიხედვით, აარონი 1827 წელს გარდაიცვალა. სოლომონ დოდაშვილის წერილების მიხედვით კი, აარონი 1831 წლის ივნისშიც ცოცხალია. 120
121

ალექსი-მესხიშვილი ევრემ (1793-1861) – სასულიერო პირი, მნიგნობარი. ნიკოლოზ ბარათაშვილის მასწავლებელი. სწავლობდა ანჩისხატის სასწავლებელსა და თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, შემდეგ აქვე ასწავლიდა ქართულ ენასა და საღვთო სჯულს. ასრულებდა ურუნალ „ცისკრის“ ცენზორის მოვალეობასაც. მსახურობდა იოანე ნათლისმცემლისა და იერუსალიმის ეკლესიებში. მონაწილეობდა 1832 წლის შეთქმულებაში. დაპატიმრებული იყო ფილადელფოს კიკნაძესთან ერთად. გაანთავისუფლეს 1833 წელს როზენის განკარგულებით. 75

ალექსი-მესხიშვილი იაკინთე დიმიტრის ძე (1805-1878) – პედაგოგი. ასწავლიდა თბილისის სემინარიაში. მუშაობდა საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში მთარგმნელად, ასევე მსახურობდა თბილისის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიაში. სხვადასხვა დროს იყო ახალციხის, ქუთაისისა და თელავის მაზრის უფროსი, თბილისის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის მმართველი. დაკრძალულია სამთავისის ტაძარში. 159

ალექსი-მესხიშვილი ტარას სოლომონის ძე (1793-1874) – მნიგნობარი, სასულიერო პირი. 1817-1830 წლებში ცხოვრობდა პეტერბურგში. 1830 წელს იგი საქართველოში დაბრუნდა და დარიის მონასტერში განწესდა. 1832 წლის შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ პოლიციის სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ დატოვეს. არქიმანდრიტის ხარისხით 1855-1874 წლებში ქვათახევის მონასტერში მოღვაწეობდა. დაკრძალულია აქვე. დაწერილი აქვს „მოკლე აღწუხვა ქართლ-კახეთის მინასტერთა“ და თარგმნილი – რამდენიმე სასულიერო ხასიათის ძეგლი. მრავალი ძვირფასი წიგნი კალიგრაფიული ხელოვნებით აქვს შესრულებული. 52

ანდრონიკაშვილი თომა (1786-1847) – გიორგი XII-ის შვილის, ბარბარეს, ვაჟი. 79

ანდრონიკაშვილი იასე ადამის ძე (1814-1892) – იურისტი. მსახურობდა თბილისის საადმინისტრაციო სამმართველოში, აგრეთვე განჯაში, გორსა და თბილისში მოსამართლედ, შემდგომში – თბილისის კომერციულ სასამართლოში – ჯერ უფროს წევრად, შემდეგ თავმჯდომარედ. იყო თბილისის სასამართლოს პალატის წევრი, პალატის მეორე დეპარტამენტის თავმჯდომარე. დასაფლავებულია ვერაზე, იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიაში. 142 144

ანდრონიკაშვილი ივანე მალხაზის ძე (1793-1868) – სოლომონ II-ის დისწული, რუსეთის არმიის გენერალი, კავკასიისა და ყირიმის ომების მონაწილე, რუსეთის ტახტის ერთგული მოხელე. 1849 წელს გრაფ ვორონცოვის მიერ დაინიშნა თბილისის სამხედრო გუბერნატორად. 1853 წელს ახალციხის ხუთიათასიანი რაზმით მონაწილეობდა ყირიმის ომში, რისთვისაც წმინდა გიორგის ორდენით დაჯილდოვდა. 12 139

არარატიანი – თბილისელი სომეხი, სტამბის ზედამხედველი. 88

არისტოტელე (ძვ. წ. აღ. 384-322) – ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, მეცნიერი, ენციკლოპედისტი. დაიბადა საბერძნეთის ქალაქ სტაგირაში, სახელოვანი ექიმების შთამომავლის, ნიკომაქეს, ოჯახში. ერთხანს იზრდებოდა მაკედონიაში, მეფე ამინტა III-ის სასახლეში. 20 წელი გაატარა ათენის უდიდეს საგანმანათლებლო ცენტრში – პლატონის აკადემიაში. მეფის ძე ფილიპეს – ალექსანდრე მაკედონელის მამის – დახმარებით ათენში დააარსა სკოლა-ლიცეუმი. ალექსანდრე მაკედონელის მთავრობის გადაგდების შემდეგ მას მოკვლას უპირებდნენ, რის გამოც იგი გაეცალა მაკედონიას და გადასახლდა ვებეაზე, ქალაქ ქალკიდაში, სადაც მალე გარდაიცვალა. მაკედონელმა სიცოცხლეშივე დაუდგა ქანდაკება წარწერით: „ნიკომაქეს ვაჟს, ბრძენსა და ღვთაებრივ არისტოტელეს“. 26 50

არსენიევა-ახვერდოვისა პრასკოვია (პარასკოვა) ნიკოლოზის ასული (1783-1851) – კავკასიის საარტილერიო კორპუსის უფროსის, გენერალ-მაიორ თევდორე ისაიას ძე ახვერდოვის (1774-1820), მეორე ცოლი, გენერალ-მაიორ ნიკოლოზ დიმიტრის ძე არსენიევის შვილი. განათლება პეტერბურგში ჰქონდა მიღებული, უყვარდა მუსიკა, ლიტერატურა და ხატვა. ახასიათებენ, როგორც გონიერსა და ძლიერი ნებისყოფის ადამიანს. სანკტ-პეტერბურგში, მის პანსიონში, დიდგვაროვანი ოჯახის შვილები სწავლობდნენ. 15

არლუთინსკი-დოლგორუკოვი მოსე ზაქარაიას ძე (1797-1855) – იგივე არლუთაშვილი-მხარგრძელი, გენერალი, დაღესტნის ომების მონაწილე. მეფის რუსეთის ერთგულების დასამტკიცებლად აქტიურად იყო ჩართული გურიის აჯანყების შახშობაში. 1827 წლიდან მოღვაწეობდა გრენადერთა ქართულ პოლკში მაიორის ჩინით. 1847 წლიდან დაინიშნა დარუბანდის სამხედრო გუბერნატორად და სამოქალაქო ნაწილის მმართველად. ამავე დროს იყო სამხრეთ დაღესტნის ჯარის სარდალი. მთელი სისასტიკით უსწორდებოდა მთიელებს. 1877 წელს მეფის მთავრობამ ძეგლი აუგო დაღესტანში. 139 154

ატილა – აზიური ტომების – ჰუნების მეფე. ეს ტომი ადრე ჩინეთის მოსაზღვრე სტეპებში ცხოვრობდა, შემდეგ დღევანდელი ევროპის ტერიტორიაზე გადმოსახლდა. ჰუნების ტომთა გაერთიანება განსაკუთრებით ატილას მმართველობის პერიოდში (434-453) გაძლიერდა. ატილას წინამძღოლობით ჰუნებმა დაამარცხეს გერმანელი ტომის ბურგუნდების სამეფო, ასევე დალაშქრეს და ხარკი დაადეს ბიზანტიას. ატილა უსაზღვრო შიშს ბადებდა ყველა ადამიანში. გარდაიცვალა პანონიაში 453 წელს. 147

აფხაზი ანტონ ნიკოლოზის ძე (1806-1837) – პოდპორუჩიკი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე. მან იასე ფალავანდიშვილის დასმენა დაადასტურა როზენტან, რასაც შეთქმულთა და აგრეთვე მისი დაპატიმრება მოჰყვა. პატიმრობიდან გაათავისუფლეს 1833 წელს. ამის შემდეგ კავკასიაში

ქვეითთა პოლკის პოდპორუჩიკად მსახურობდა. იმყოფებოდა ფარული მეთვალყურეობის ქვეშ. 138

ახმეტ-ხანი – ავარიის მმართველი, გენერალ-მაიორი, თავისი მილიციით ეხმარებოდა რუსის ჯარს. 141

ბაგრატიონ-მუხრანელი ანნა ივანეს ასული – ვერ გავარკვეით მისი ვინაობა. 145

ბალაშოვი ივანე ალექსანდრეს ძე – რუსი გენერლის, პეტერბურგის სამხედრო გუბერნატორის, ორლოვის, ტულის, რიაზანის, ტამბოვისა და ვორონეჟის გენერალ-გუბერნატორის, სენატორისა და საიდუმლო მრჩეველის ვაჟის – ალექსანდრე დიმიტრის ძე ბალაშოვის – შვილი. 138

ბარათაშვილი-ერისთავისა ეკატერინე – ნიკოლოზ ბარათაშვილის და, რევაზ ერისთავის მეუღლე. 149 151 154 155 156 157 158

ბარათაშვილი-ვეზირიშვილისა ბაბაღე (1825-1919) – ნიკოლოზ ბარათაშვილის და, დიმიტრი ვეზირიშვილის მეუღლე. 149

ბარათაშვილი მარიამ – ნიკოლოზ ბარათაშვილის მამიდა. 156

ბარათაშვილი მელიტონ ნიკოლოზის ძე (1794-1860) – ქართველი თავადი, ნიკოლოზ ბარათაშვილის მამა, ერმოლოვისა და პასკევიჩის დროს კავკასიის მთავარი სამმართველოს თარჯიმანი, შემდგომში – თბილისის მაზრის მარშალი. კონსტანტინე მამაცაშვილის გადმოცემით, მელიტონი იყო ქართულ ენაზე განათლებული კაცი, კარგი მოლაპარაკე, ზედმინევნით მცოდნე ქართული ლიტერატურისა. 131 149 155 158

ბარათაშვილი ნინო (1829-1906) – ნიკოლოზ ბარათაშვილის და, „ცისკრის“ თანამშრომლის, ლიტერატორ ლეონიდ ბარათაშვილის, მეუღლე. გარკვეული დროის განმავლობაში იმყოფებოდა შამილის ტყვეობაში. 149

ბარათაშვილი (ბარათოვი) სულხან გერმანოვის ძე – ისტორიკოსი, გაზეთ „კავკასში“ აქვეყნებდა წერილების ციკლს საქარ-

თველოს ისტორიაზე. 1865-1871 წლებში მისი ნაშრომი „საქართველოს ისტორია“ ხუთ წიგნად გამოიცა. 146

ბარათაშვილი-სუმბათაშვილისა სოფიო (1841-1916) – ნიკოლოზ ბარათაშვილის უმცროსი და. დიმიტრი ყიფიანის შვილის, კოტეს, მოგონებით, სოფიო ძალიან ჰგავდა თავის ძმას ნიკოს. 149

ბარაშკინი თევდორე – კაპიტანი, სოლომონ დოდაშვილის მეუღლის, ელენე კობიაშვილის, მამობილი, სამსახურიდან გადამდგარი სახაზინო ექსპედიციის არქიტექტორი, მონაწილეობა მიუღია თბილისის დაგეგმარებაში. როგორც არქიტექტორი, ძალიან მომთხოვნი და მკაცრი ყოფილა. თავის მიერ შედგენილი გეგმის ზედმინევენით დაცვას მოითხოვდა. 87

ბატონიშვილი ალექსანდრე (1770-1844) – ერეკლე II-ის ძე, პოლიტიკური მოღვაწე. 18 წლის ასაკიდან მონაწილეობას იღებდა ქვეყნის მართვაში. მამის გარდაცვალების შემდეგ დაუპირისპირდა გიორგი XII-ს. ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ იბრძოდა სამეფოს აღსადგენად. ხელმძღვანელობდა ალა მაჰმად-ხანის შემოსევის დროს დანგრეული თბილისის აღდგენას. 1812 წელს ალექსანდრე ბატონიშვილი საქართველოში ჩამოვიდა და კახეთის აჯანყებას ჩაუდგა სათავეში. აჯანყების დამარცხების შემდეგ დალესტანში გაიქცა და 1818 წლამდე იქ დაჰყო. სიცოცხლის ბოლო წლები სილატაკეში გაატარა. გარდაიცვალა თეირანში. დაკრძალულია იქვე, სომხური ეკლესიის ეზოში. 123

ბატონიშვილი ბაგრატ (ბაგრატიონი) (1776-1841) – ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ისა, და ქეთევან ანდრონიკაშვილის ვაჟი, სენატორი. ანექსიის შემდეგ, 1801 წელს, ბატონიშვილები – დავითი, იოანე და ბაგრატი – პეტერბურგში გაიწვიეს. 1802 წელს უკან დაბრუნდა, მაგრამ ერთ წელში ისევ რუსეთში გადაასახლეს, საიდანაც აღარ დაბრუნებულა. პეტერბურგში მან შექმნა პირველი ქართული წიგნი ვეტერინარიაში. 18 26 42 47 48 52 91 95 101 107 114

ბატონიშვილი ბარბარე – მაიორ დიმიტრი ორბელიანის მეუღლე, ბაგრატი ბატონიშვილის ასული. 89 107 114

ბატონიშვილი გიორგი – ბაგრატი ბატონიშვილის ძე. 26 47 48

ბატონიშვილი დავით (1819-1888) – გიორგი XII-ის ძის, ბაგრატი-სა, და დურმიშხან ჩოლოყაშვილის ასულის, ეკატერინეს, შვილი. გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ მან რეგენტის, ანუ სამეფო განმგებლის, წოდება მიიღო. იმპერატორ პავლე I-ის 1801 წლის 14 თებერვლის რესკრიპტით, იგი იწოდებოდა გენერალ-ლეიტენანტად. 26 45 47 48

ბატონიშვილი დიმიტრი (1803-1845) – იულონ ბატონიშვილის ვაჟი. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ მშობლებთან ერთად გადაასახლეს რუსეთში, კერძოდ, სმოლენსკში. მის სალონში დაიბადა 1832 წლის შეთქმულების იდეა. ოქროპირ და თამარ ბატონიშვილებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა შეთქმულების ორგანიზებაში, რომლის დამარცხების შემდეგაც ბატონიშვილის ტიტული ჩამოერთვა. 76

ბატონიშვილი თამარ – გიორგი XII-ის შვილი. გადასახლებული იყო რუსეთში ოჯახის წევრებთან ერთად. გადმოცემით, მუდამ ქართულ ტანსაცმელს ატარებდა. გამოირჩეოდა აღმოსავლური სილამაზით. ითვლებოდა 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთ ლიდერად. ოჯახი არ შეუქმნია. „ისე ეჭირა თავი, რომ ახლოს არავის იკარებდაო“, – იგონებენ თანამედროვენი. გადაასახლეს ვორონეჟში, შემდეგ ჩამოასვენეს საქართველოში და მცხეთაში დაკრძალეს. 52

ბატონიშვილი თეიმურაზ (1782-1846) – გიორგი XII-ის შვილი, საიმპერატორო აკადემიის საპატიო წევრი, პოეტი, დრამატურგი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე; ფლობდა სპარსულ, თურქულ, ფრანგულ და იტალიურ ენებს. სიცოცხლის უმეტესი ნაწილი რუსეთში გაატარა. კრწანისის ბრძოლის უშუალო მომსწრემ ომის ამბები აღწერა ნაშრომში „მოოხრება ქალაქის თბილისისა სპარსეთის ყაენის ყაჯარის ალა მაჰმად-ხანისაგან“. უმოგზაურია ევრო-

პაში („მოგზაურობა ჩემი ევროპისა სხვათა და სხვათა ადგილთა“). გარდაიცვალა პეტერბურგში, დასაფლავებულია ალექსანდრე ნეველის ლავრაში, უფროსი ძმის, დავითის, გვერდით. 76

ბატონიშვილი ილია (1790-1854) – გიორგი XII-ის შვილი. დედასთან ერთად გადასახლეს რუსეთში. ცხოვრობდა მოსკოვში. დაქორწინდა სამოქალაქო მრჩევლის, ობოლენსკის, ქალიშვილ ანასტასიაზე. მსახურობდა იზმაილოვის პოლკში პოლკოვნიკის თანამდებობაზე. ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. 1844 წელს ფრანგულიდან უთარგმნია ფილოსოფოს კლარკის მიმონერა გერმანულ ფილოსოფოს ლაიბნიცთან. ჰყავდა ცამეტი შვილი. 52

ბატონიშვილი იოანე (1768-1830) – გიორგი XII-ის შვილი, თავისი დროის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, ლექსიკოგრაფი, მწერალი და განმანათლებელი. მონაწილეობდა ერეკლე II-ის მიერ გადახდილ ომებში. განსაკუთრებით ისახელა თავი 1795 წლის კრწანისის ომში, სადაც ის მონიწივე დროშის ჯარს სარდლობდა. იოანე ბატონიშვილს 1794-1799 წლებში აღუწერია საქართველოს სახელმწიფოს ცალკეული ტერიტორიები, შეუდგენია სახელმწიფოებრივი წყობილების ფართო რეფორმის პროგრამა (სჯულდება). 1801 წლის დასაწყისში რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა იოანე სხვა ბატონიშვილებთან ერთად პეტერბურგში გაიწვია, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა. დაკრძალულია პეტრე-პავლეს ლავრაში. 18 76 106

ბატონიშვილი იოანე (1755-1801/1799) – კონსტანტინე მუხრანბატონის ძე, ერეკლე II-ის ქალიშვილის, ქეთევანის, მეუღლე, გიორგიევსკის ტრაქტატის დადების ერთ-ერთი მთავარი მომხრე. გარსევან ჭავჭავაძესთან ერთად ხელი მოაწერა ამ ხელშეკრულებას. იყო ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის სახლთუხუცესი, ერევნის სახანოს მოურავი. მონაწილეობდა კრწანისის ომში. 114 116

ბატონიშვილი ირაკლი (1799-1859) – გიორგი XII-ის ძე. გადასახლებული იყო რუსეთში ოჯახთან ერთად. არ დაქორწინებულა. გარდაიცვალა მოსკოვში. 76

ბატონიშვილი ლუარსაბ (1788-1850) – იულონ ბატონიშვილის ვაჟი, 1805 წლიდან ცხოვრობდა რუსეთში. 76

ბატონიშვილი მირიან (1766-1834) – მეფე ერეკლე II-ის ვაჟი, გენერალ-ლეიტენანტი, სენატორი. ადრეულ ასაკში ჩაება სახელმწიფოებრივ საქმიანობაში. მამის გარდაცვალების შემდეგ ერთხანს იბრძოდა იულონის გამეფებისათვის. სიცოცხლის ბოლო წლები ხელმოკლეობასა და ავადმყოფობაში გაატარა. დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის ლავრაში. მირიანი პოეტური ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება ყოფილა. მის სახელს მიენერება მიძღვნილი ხასიათის პოეტური ქმნილებები, რომელთა შორისაცაა იონა ხელაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი. დავით გურამიშვილმა მას გადასცა თავისი შემოქმედებითი კრებული „დავითიანი“. 76 115

ბატონიშვილი მიხეილ – გიორგი XII-ის ძე, პეტერბურგში ჩასული ქართველი ახალგაზრდების განათლებაზე მზრუნველი. ცხოვრების ბოლომდე მოსკოვში ცხოვრობდა და, გადმოცემის მიხედვით, მუდამ მოწყალებას არიგებდა. გარდაიცვალა 1862 წელს. 76

ბატონიშვილი ნიკოლოზ – ბაგრატი ბატონიშვილის ძე. ბაგრატის შვილები იყვნენ აგრეთვე დავითი, ალექსანდრე, გიორგი, ბარბარე. ალექსანდრე და ბარბარე განისვენებენ მცხეთაში. 19 26 47 48

ბატონიშვილი ნინა (1802-1828) – ფარნაოზ ბატონიშვილის ასული, ალექსანდრე დადიანის მეუღლე, იმერეთის დედოფლის, მარიამის, ძმისშვილი. 95

ბატონიშვილი ოქროპირ (1795-1857) – გიორგი XII-ის ვაჟი, ქართველ თავადაზნაურთა შეთქმულების აქტიური ორგანიზატორი პეტერბურგიდან. 1829-1830 წლებში იგი საქართველოში იმყოფებოდა. მის აქ ყოფნასთან არის დაკავშირებული შეთქმულების დაწყება 1830 წელს. გადასახლებული იყო კოსტრომაში. დაქორწინდა გრაფ კუტაისოვის ქალიშვილზე. დაკრძალულია მოსკოვში, პიკოვსკის მონასტერში. 52 107 111 123

ბატონიშვილი რიფსიმე – გიორგი XII-ის ასული პირველი ქორწინებიდან, დიმიტრი ჩოლოყაშვილის მეუღლე. შეთქმულების აქტიური მონაწილე. მისი შვილი, კაპიტანი ზაქარია, შეთქმულების ემისრად ითვლებოდა. რიფსიმე თავის დებთან – სოფიოსთან და გაიანესთან – ერთად უპირისპირდებოდა მამამისის მეორე ცოლს – მარიამს – და მის შვილებს. ითხოვდა სასახლის მათ სარგებლობაში გადაცემას. 81

ბატონიშვილი ფარნაოზ – მეფე ერეკლე II-ის ძე (1775 (ეპიტაფიის მიხედვით 1777) 1852), 1804 წლის მთიულეთის აჯანყების მოთავე. გადასახლეს ვორონეჟში. პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ ცხოვრობდა მოსკოვში, პეტერბურგსა და პეტერგოფში. თავისი ძმების მსგავსად, კალამი უცდია პოეზიასა და რუსულიდან თარგმანში. მიიჩნევა ადრეული რომანტიზმის წარმომადგენლად. 76 124

ბეზაკი ალექსანდრე პავლეს ძე (1800-1868) – გენერალ-ადიუტანტი, ამიერკავკასიის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრი. აღზრდა-განათლება მიიღო ცარსკოე-სელოს ლიცეუმში. მონაწილეობდა თურქეთისა და პოლონეთის ომებში. 1832 წელს დაინიშნა მოქმედი არმიის არტილერიის შტაბის უფროსად. 148 164

ბეტტი ჯეიმს//ვატიე ჟამეს (1735-1803) – შოტლანდიელი პოეტი და ესეისტი, მორალის ფილოსოფიის პროფესორი. მისი პოემა „მენესტრელი“ რომანტიზმის ერთ-ერთ ადრინდელ ნაწარმოებად ითვლებოდა. 25 წლის ასაკში უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა პოემები და თარგმანები, რომლებშიც გამოხატავდა რომანტიკულ დამოკიდებულებას ბუნების მიმართ. 26

ბლერი ჰიუ (1718-1800) – შოტლანდიელი მოაზროვნე, ლიტერატურის კრიტიკოსი, ბელეტრისტი, რიტორიკოსი, მქადაგებელი, მორალისტი, ფიზიკოსი. ცნობილია წიგნით „ლექციები რიტორიკასა და ბელეტრისტიკაში“ (1783), რომელსაც ის ედინბურგის უნივერსიტეტში კითხულობდა მეოთხედი საუკუნის განმავლობაში. 47 ლექციისგან შედგენილი სახელმძღვანელო სხვადასხვა თემას მოიცავდა. მასზე სტუდენტთა თაობები აღიზარდა. წიგნი უამ-

რავ ენაზე ითარგმნა. პიუ ითვლებოდა ერთ-ერთ პოპულარულ მქადაგებლად მე-18 ს-ის შოტლანდიაში. 26

ბორისოვ-ჟეგაჩოვი ვიტალი – ხარკოვის არქიეპისკოპოსი 1826-1832 წლებში, შემდგომში ასტრახანისა და კავკასიის არქიეპისკოპოსი. 57 58

გარუნბეგი – ქურის სახანოს მმართველი, ყაზიყუმუხელი ხანების ოჯახის წარმომადგენელი. 141

გიორგი – არსებობს ორი მოსაზრება მისი ვინაობის შესახებ: ერთის მიხედვით, ის შეიძლება იყოს პოლკოვნიკი გიორგი რომანის ძე ერისთავი, ხოლო მეორის მიხედვით – ნიკოლოზ ბარათაშვილის მამიდაშვილი, ოფიცერი, დაღესტნის ომების მონაწილე გიორგი საგინაშვილი. 140 149 151 154 156 158 159

გოლოვინი ევგენი ალექსანდრეს ძე (1782-1858) – კავკასიის მთავარმართველი 1837-1842 წლებში 142 144

გონჩა-ბეგუმი – ნახჭევანის ხანის – ექსანიის – ასული, პოეტური ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება. 161

გრეჩი ნიკოლოზ ივანეს ძე (1787-1867) – რუსული პრაქტიკული გრამატიკის ავტორი, ცნობილი პედაგოგი, გამომცემელი, ჟურნალისტი. დაპირისპირებული იყო რუს კლასიკოსებთან. 81

გრიბოედოვი ალექსანდრე (1795-1829) – ცნობილი რუსი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, კომედია „ვაი ჭკუისაგან“ ავტორი, რუსეთის ელჩი თეირანში. 1822 წლიდან მსახურობდა თბილისში კავკასიის მთავარმართველ ერმოლოვთან, შემდეგ – პასკევიჩთან. 1827 წლიდან წარმართავდა რუსეთის იმპერიის დიპლომატიურ ურთიერთობებს ოსმალეთთან და ირანთან. 1828 წელს დანიშნეს რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენლად ირანში. ამავე წელს ცოლად შეირთო ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილი ნინო. მოკლულ იქნა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას თეირანში, რუსეთის საელჩოს შენობაში შეჭრილი ბრბოს მიერ. ეწმიაძინის ტაძარში მას სომხეთის სამ-

ღვდელოებამ პანაშვიდი გადაუხადა. დაკრძალულია თბილისში, მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. 10

გრუბერი ევარესტ – თბილისის გიმნაზიის დირექტორი. 125

გურამიშვილი ივანე ზაქარიას ძე – პოდპოლკოვნიკი, წმინდა გიორგის ორდენის კავალერი, საგურამოსა და ავჭალის მფლობელი. 139

გურგენიძე სვიმონ – მღვდელი. დასახელებულია ეფრემ ალექსიმესხიშვილის ჩვენებაში („1832 წლის შეთქმულება“). 108

დედოფალი ანა – იმერეთის მეფე დავით გიორგის ძის მეუღლე. მამამისი მამუკა დიმიტრი ორბელიანისა და ერეკლე მეორის დის, ანა ბატონიშვილის, ვაჟი იყო, ხოლო დედა – ელიზბარ ქსნის ერისთავის ასული. ანა 1784 წელს იმერეთის დედოფალი გახდა. შემდგომში, იმერეთის მეფის – სოლომონ მეორის – მიერ დევნილი, რუსეთის მთავრობის ნებართვით, XIX ს-ის დასაწყისში რუსეთში დასახლდა. იყო უაღრესად განათლებული, მწიგნობარი, ქართული კულტურის გულშემმატიკივარი, მეცენატი. მისი დაკვეთით მრავალი ხელნაწერი იქნა გადაწერებული, მათ შორის, „ვეფხისტყაოსანი“. 44 76

დედოფალი მარიამ – გიორგი XII-ის მეუღლე, გიორგი ციციშვილის ასული. 1803 წელს მეფის მოხელე პავლე ციციანოვის ბრძანებით, გენერალ ლაზარევს მისი ოჯახის დატყვევება და რუსეთში გადასახლება დაევალა. სასახლის აოხრების შემდეგ მას დაბრალდა არეულობის დროს გარდაცვლილი ლაზარევის მკვლელობა. პლატონ იოსელიანის აზრით, ლაზარევი თავადმა ნიკოლოზ ხიმშიაშვილმა მოკლა. დედოფალი რუსეთში გადასახლეს და ბელგოროდში, დედათა მონასტერში, მოათავსეს. გარდაიცვალა 82 წლის ასაკში. სიკვდილის წინ სამშობლოში დაბრუნება ითხოვა, მაგრამ ჯანმრთელობის გაუარესების გამო ვეღარ შეძლო. რუსეთის იმპერატორის ბრძანებით, დიდი პატივით გადმოასვენეს საქართველოში, დაკრძალეს მცხეთაში. 52 59

დედოფალი მარია – სოლომონ II-ის მეუღლე. აქტიურად იყო ჩართული სახელმწიფოებრივ საქმიანობაში. იყო ერთ-ერთი ხელმძღვანელი სოლომონ ლიონიძის ხელმძღვანელობით 1790 წლის ივნისში ქართლ-კახეთის სამეფოსთან გაფორმებული სამხედრო ხელშეკრულებისა, რომლის თანახმადაც, მათ მფარველად აღიარებული იყო ერეკლე II და მასვე ჰქონდა მინდობილი რუსეთთან ურთიერთობის ხელშეწყობა. ხელშეკრულების ერთ-ერთ მუხლში ეწერა: „შევრაცხო ყოველი მტერი მტერისა თქუენისა და მოყვარე მოყვრისა“. რუსებმა იმერეთის სამეფო გააუქმეს და რუსული მმართველობა შემოიღეს. თორმასოვის ბრძანებით, მარია დედოფალი და მეფის და მარიამი ვორონეჟში გადაასახლეს. მარიამი გარდაიცვალა პეტერბურგში 1841 წელს. 76

დედოფალი ნინა – გიორგი XII-ის ასული, გრიგოლ კაციაძე დადიანის მეუღლე, ალექსანდრე ჭავჭავაძის სიძის, დავით დადიანის, ბებია, რომელსაც შვილის, ლევან დადიანის, მცირეწლოვანების გამო დედოფლის ტიტული ჰქონდა. გარდაიცვალა პეტერბურგში 1847 წლის 31 მაისს. 76

დემეტრაშვილი იოანე – ვაქირელი მღვდლის, ზაქარიას, შვილი, იონა ხელაშვილის ძმის, სოლომონის, ასულის – კონიას – საქმრო. 85 86 119

დემოსთენე (ძვ. წ. 384, ატიკა – ძვ. წ. 322, კალაბრია) – ძველი ათენის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, ორატორი, მწერალი, პოლიტიკოსი. იყო პლატონისა და სოკრატეს ერთგული მოწაფე. თავისი საქმიანობით პატრიოტულ იდეებს ახორციელებდა. ეხმარებოდა ანტიპატრეს ნინა-ალმდეგ ამხედრებულ ბერძნებს. შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ თავი მოიწამლა. 26

დუპნერი ივანე კარლის ძე – გიორგი ლეონიძის აზრით, საექიმო სამმართველოს შტაბ-მკურნალი. 159

დუპნერი სალომე – ივანე დუპნერის მეუღლე 159

დიმიტრიევსკი მიხეილ ვასილის ძე – კავკასიის მხარის ვიცე-გუბერნატორი. წერდა ლექსებსაც. 138

დოდაშვილი ივანე, ვანა – სოლომონ დოდაშვილის უფროსი ვაჟი
(დაიბადა 1829 წელს). 107 125

დოდაშვილი იოანე – სოლომონ დოდაშვილის მამა, მღვდელი, სა-
ხაზინო გლეხი. 66 68 80 85 86 91

დოდაშვილი სტეფანე (1807-1845) — სოლომონ დოდაშვილის
მომდევნო ძმა, თბილისის სასულიერო სემინარიის კურ-
სდამთავრებული, შემდეგში პეტერბურგში მოღვაწე კან-
ცელარისტი. სიცოცხლის ბოლო წლებში ყვარელში მსა-
ხურობდა ბოქაულის თანამდებობაზე. მოკლეს ლეკებმა.
66 76 79 80 86 95 97 100 101 102 103 109 122

დოდაშვილი-ხირსელაშვილისა – სოლომონ დოდაშვილის და, აზ-
ნაურ ხირსელაშვილის მეუღლე. 68 72 76

ელიოზიშვილი გიორგი – იონა ხელაშვილი სოლომონ დოდაშვილს
1828 წელს სწერს: „ქილიკმან ელიოზოვმან დიდი მადლო-
ბა მოგიძღვნათ ძმისწულსა ზედა ყურის მოპყრობისათ-
ვის“ (H № 2226, გვ. 288). 96

ელიოზიშვილი – გიორგი ელიოზიშვილის ძმისწული 96

ერისთავი ალექსანდრე გიორგის ძე – სამხედრო ოფიცერი, სენა-
ტორ გიორგი იესეს ძე ერისთავის შვილი, მართა ივანეს
ასულ სოლოლაშვილის მეუღლე. 154 164

ერისთავი ბიძინა — დუშეთის რაიონის სოფელ ოძისის მებატონე,
სავარაუდოდ, ნიკოლოზ ბარათაშვილის სიძის – რევაზ
ერისთავის – ნათესავი. 157

ერისთავი გიორგი დავითის ძე (გლუხარიჩი) (1813-1864) – ცნობი-
ლი მწერალი, დრამატურგი, საზოგადო მოღვაწე, პირვე-
ლი ქართული სალიტერატურო ჟურნალ „ცისკრის“ დამა-
არსებელი და რედაქტორი. ქართული თეატრის სულის-
ჩამდგმელი, პირველი ქართველი კომედიოგრაფი, სოლო-
მონ დოდაშვილის ლიტერატურული წრის ერთ-ერთი აქ-

ტიური ნეერი, შემდგომში ქართველ თავადაზნაურთა შეთქმულების ნეერი. სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელსა და მოსკოვის კერძო პანსიონში, მაგრამ არც ერთი არ დაუმთავრებია. 145

ერისთავი გიორგი იასეს ძე (1760-1863) – სენატორი, გენერალ-ლეიტენანტი, გიორგი XII-ის ასულის, გაიანე ბატონიშვილის, მეუღლე, მამუკა ორბელიანის სიმამრი, 1832 წლის შეთქმულების მთავარი ორგანიზატორის, ელიზბარ ერისთავის, ბიძა. წერდა ლექსებსა და მოთხრობებს. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა რუსეთში. მონაწილეობა მიიღო მის ყველა ომში. თავრიზის ალებისათვის წმინდა ანდრია პირველწოდებულის ორდენით დაჯილდოვდა. 1846 წელს უმაღლესი სამხედრო ჩინი – ინფანტერიის გენერლობა – მიიღო. 100 წლის მოხუცი ქუთაისში შეხვდა სტუმრად ჩამოსულ რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ს. დასაფლავებულია იკორთაში. 95

ერისთავი გიორგი რომანის ძე (1812-1891) – რუსეთის არმიის კავალერიის გენერალი. დაამთავრა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი. 1842 წლიდან მსახურობდა კავკასიაში. 1849 წელს დაინიშნა კავკასიის ხაზის ცენტრის უფროსად, 1850 წელს გახდა გენერალ-მაიორი. 1852 წელს დაანინაურეს კავკასიის კაზაკთა სახაზო კორპუსის ატამანის, ხოლო 1858 წელს – ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზე. ამავე დროს მიიღო გენერალ-ადიუტანტის წოდება. 1861-1862 წლებში მსახურობდა კავკასიის მეფისნაცვალთან, შემდეგ კი იყო კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი. 154

ერისთავი დავით – ნიკოლოზ ბარათაშვილის სიძის, რევაზ ერისთავის, ძმა (კატოს მაზლი). 151 155 158

ერისთავი ელიზბარ შანშეს ძე (1808-1871) – ქსნის ერისთავის ვაჟი. გაიზარდა პეტერბურგში. თბილისში ჩამოვიდა 1830 წელს. მონაწილეობა მიიღო 1832 წლის შეთქმულებაში. 1830-1832 წლებში ალექსანდრე ორბელიანთან და სოლომონ დოდაშვილთან ერთად წარმართავდა ფარული

საზოგადოების საქმიანობას. მისი უშუალო მონაწილეობით შედგა აჯანყების გეგმა („პირველი ღამის განკარგულება“). შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ სიკვდილი მიუსაჯეს, რომელიც შემდეგ ჰელსინკფორსში (ფინეთი) გადასახლებით შეუცვალეს. 31 143 158

ერისთავი ესტატე – რევაზ ერისთავის ახლო ნათესავი. 158

ერისთავი ზაქარია – სამხედრო ოფიცერი, სენატორ გიორგი იასეს ძე ერისთავის შვილი. 154 156

ერისთავი ლევან – ნიკოლოზ ბარათაშვილის სიძის, რევაზ ერისთავის, ძმა (კატოს მამული). 157 158

ერისთავი-მელნიკოვისა მელანია – ელიზბარ ერისთავის და, მელნიკოვის მეუღლე. 158

ერისთავი-ორბელიანისა მანანა (1808-1870) – ქსნის ხეობის თავადის, მირმანოზ დავითის ძე ერისთავის, ასული, საელჩოს მრჩეველის, დავით ორბელიანის, მეუღლე, XIX საუკუნის საქართველოში კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი წარმმართველი. დაქვრივდა 22 წლის ასაკში. დარჩა სამი შვილი. მან აღთქმა დადო, რომ აღარ გათხოვდებოდა და არც დაურღვევია პირობა. მის ლიტერატურულ სალონში გადანყდა ქართული თეატრის აღდგენისა და ჟურნალ „ცისკრის“ დაარსების რეალური საკითხები. იყო 1832 წლის შეთქმულების მონაწილე. შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ დამნაშავეთა მე-4 კატეგორიაში შეიყვანეს სალომე ბატონიშვილის გვერდით. სწორედ მის სახლში იგეგმებოდა სისხლიანი წვეულება: რუსი გენერალიტეტი და ჩინოვნიკები უნდა მიეწვიათ და გაეუღიტათ. 15 138 143 144 157 158 161 164

ერისთავი-ორბელიანისა სოფიო შალვას ასული – ივანე დავითის ძე ორბელიანის მეუღლე, მანანას რძალი. 138 164

ერისთავი რევაზ – კატო ბარათაშვილის მეუღლე. 151 155 158

ერისთავი შანშე იესეს ძე (1765-1831) – შულავერის ყოფილი მოურავი და გორის მაზრის მარშალი, პოდპოლკოვნიკი. ალექსანდრე ჭავჭავაძის ქვისლი. პყავდა ექვსი შვილი. 120

ეშენბურგი იოჰან (იოახიმ) (1743-1820) – გერმანელი კრიტიკოსი, ლიტერატურის ისტორიკოსი, პროფესორი, შუა საუკუნეების გერმანული პოეზიის შემსწავლელი. ეწეოდა ინგლისური ლიტერატურის პოპულარიზაციას გერმანიაში. მას ეკუთვნის შექსპირის პირველი სრული თარგმანი გერმანულ ენაზე. 26

ვარლამაშვილი გარსევან სტეფანეს ძე – პოეზიის მოტრფიალე, მსახურობდა „საქართველო-იმერეთის სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატაში“. წერდა ლექსებსაც. 136

ვასილევსკი იონა სიმონის ძე – 1821-1832 წლებში მუშაობდა ეგზარქოსის თანამდებობაზე. 1811 წელს რუსეთის მიერ საქართველოში ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ ეკლესიას განაგებდნენ რუსეთის ეგზარქოსები. იონა ვასილევსკი ერთ-ერთი მათგანი იყო. 61 125

ვაჩნაძე სოლომონ სოლომონის ძე – მოიხსენიება იონა ხელაშვილის ანდერძში (H № 1197 ხელნაწერი), სადაც აღნიშნულია, რომ 1823 წელს მას უთარგმნია სახოტბო წიგნი იონანე ბატონიშვილის ხელმძღვანელობით. 109

ვოლტერი ფრანსუა მარი (1694-1778) – ფრანგი პოეტი, რომანისტი, დრამატურგი, კრიტიკოსი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, სატირიკოსი, სოციალური რეფორმატორი. დაიბადა პარიჟში ნოტარიუსის ოჯახში. სწავლობდა იმ დროის ცნობილ პედაგოგებთან – იეზუიტებთან. მას მიაწერეს რამდენიმე ანონიმური პოემა, რომლის ავტორიც არ ყოფილა და 11 თვის განმავლობაში ბასტილიაში დაატუსაღეს. მისმა იდეებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საფრანგეთის რევოლუციის მომზადებას. სარგებლობდა საერთაშორისო აღიარებით. 34 35

ვორონცოვი მიხეილ სიმონის ძე (1782-1856) – რუსი თავადი, გენერალ-ფელდმარშალი, კავკასიის მეფისნაცვალი 1844-1854 წლებში. მანამდე იგი ნოვოროსიისკის გენერალ-გუბერნატორი და ბესარაბიის მეფისნაცვალი იყო. 3 წლიდან 19 წლამდე ლონდონში იზრდებოდა, სადაც მამამისი რუსეთის იმპერიის ელჩად მუშაობდა. უდიდესი როლი ითამაშა ოდესის განვითარებაში. შამილის წინააღმდეგ ბრძოლისა და ჩეჩნეთში გამოჩენილი თავგანწირვისათვის პრინცის ნოდება მიანიჭეს. 1848 წლისთვის დალესტნის უდიდესი ნაწილი უკვე დაპყრობილი ჰქონდა. ის სარდლობდა დარღოს ოპერაციას, რომელიც რუსეთის მხედრობისთვის სამარცხვინო კრახით დასრულდა. თბილისში დააარსა საჯარო ბიბლიოთეკა, ბოტანიკური ბაღი, ქართული ჟურნალი, ოპერა, ქართული და რუსული თეატრი და სხვ. 148

თარხანოვი (თარხნიშვილი) – სავარაუდოდ, ზაზა თარხნიშვილის ერთ-ერთი შვილი – დიმიტრი, დავითი, ან ლუარსაბი, რომლებიც 1832 წლის შეთქმულების საქმეში იხსენიებიან. დაახლოებულნი ყოფილან სამეფო კართან. 64

თუმანიშვილი მიხეილ ბირთველის ძე (1818-1875) – პოეტი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, თეატრის ისტორიკოსი. მისი ინიციატივით გამოიცემოდა გიმნაზიელების ხელნაწერი ჟურნალი „თბილისის გიმნაზიის ყვავილი“ რუსულ ენაზე. მონაწილეობდა აგრეთვე პირველი ლიტერატურული აღმანახის – „ანთოლოგიის“ – შედგენაში. ორივე გამოცემაში იბეჭდებოდა ქართველ მწერალთა, განსაკუთრებით 1832 წლის შეთქმულთა, ნაწარმოებები. ხელმძღვანელობდა კავკასიისა და ამიერკავკასიის მხარის სამოქალაქო მოწყობის საქმეთა განყოფილებას. აქტიურად იყო ჩართული საგლეხო რეფორმის შემუშავებაში. იყო გლეხთა მოწყობის საქმეთა კანცელარიის უფროსი და მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრი. მისი წინაპრები დანიინაურებულები იყვნენ საქართველოს სამეფო კარზე, კერძოდ, მდივნის თანამდებობა ეკავათ. 135

იაშვილი ონისიმე – მღვდელი, იონა ხელაშვილის ძმის, გიორგის, სიმამრი, ნატალია იაშვილის მამა. 112

ივანოვი ნიკოლოზ ალაპის ძე – სამხედრო-საინჟინრო უწყების ოფიცერი. ცოლად ჰყავდა იაკობ ორბელიანის ასული ეკატერინე. 164

იოსელიანი ეგნატე – სასულიერო მოღვაწე, პლატონ იოსელიანის მამა. აღიზარდა სამეფო კარზე. შესანიშნავად სცოდნია ქართული და სომხური ლიტერატურა, ფარულად მონაწილეობდა 1832 წლის შეთქმულებაში. გარდაიცვალა 1843 წელს. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ოჯახთან. 140 148

იოსელიანი პლატონ (1809-1875) – ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი, გრამატიკოსი, ლეთისმეტყველების კანდიდატი, დაამთავრა პეტერბურგის სასულიერო აკადემია. რედაქტორობდა „ზაკავკაზსკი ვედომოსტს“. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ლიტერატურული ძეგლების გამოცემის საქმეში. 139

კარამზინი ნიკოლოზ მიხეილის ძე (1766-1826) – რუსი ისტორიკოსი, მწერალი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი. 1782 წლიდან მსახურობდა გვარდიის გადახალისებულ პოლკში. 1783 წელს გამოვიდა მისი პირველი ბეჭდური ნაწარმოები „ხის ფეხი“. მოსკოვში დაუახლოვდა მასონებს, მაგრამ მათი იდეების გაცნობის შემდეგ მალევე ჩამოშორდა მათ. თვალსაჩინო წვლილი შეიტანა რუსული სალიტერატურო ენის განვითარებაში. 1802-1803 წლებში გამოსცემდა ლიტერატურულ-პოლიტიკურ ჟურნალს „ევროპის მაცნე“, სადაც მიმოიხილავდა საერთაშორისო ვითარებას და აგრეთვე აქვეყნებდა მხატვრულ-ისტორიულ ნაწარმოებებს. ჟურნალ „ცისკარში“ იბეჭდებოდა კარამზინის ნაწარმოებების ქართული თარგმანები. 26

კახაბრიძე – დიაკვანი. 89

კვინტილიანე მარკუს ფაბიუს (35-96) – რომაელი პედაგოგი, ორატორული ხელოვნების თეორეტიკოსი, ლათინური ენის მკვლევარი. პირველი რიტორიკოსი, რომელიც სახელმწიფო სამსახურში იყო – ხელმძღვანელობდა რიტორიკის პირველ სახელმწიფო სკოლას. ავტორია ტრაქტატისა „ორატორის აღზრდა“, რომელიც ანტიკურ შრომებს შორის ერთ-ერთ ყველაზე დიდ წიგნად მიიჩნევა რიტორიკაში. 26

კიკნაძე-კიკნაველიძე ფილადელფოს (ნიკიფორე, ნიკოლოზ) იოანეს ძე (1793-1833) – პოეტი, საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე, შუამთის მონასტრის მღვდელმონაზონი. სრულიად ახალგაზრდა სოლომონ II-სთან ერთად მონაწილეობდა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლებში. 1826 წელს ანტონ კათალიკოსს გაჰყვა რუსეთში. ნიჟნი-ნოვგოროდში თავად ციციშვილთან უთანხმოების გამო დააპატიმრეს და ნაწერები გაუნადგურეს. შემდგომში ანტონის თხოვნით გაათავისუფლეს. საქართველოში დაბრუნების შემდეგ აქტიურად ჩაება შეთქმულების მზადებაში. ფარული საზოგადოების წევრებისათვის შექმნა საიდუმლო ანბანი და წესდება „აქტი გონიური“. ავრცელებდა პროკლამაციებს მთიან სოფლებში. ჩართული იყო „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანის“ საგამომცემლო საქმიანობაში. 1833 წელს დააპატიმრეს. გარდაიცვალა დარიის მონასტერში. 14 40 52 112 125 127

კობიაშვილი-დოდაშვილისა ელენე თეოდორეს ასული – სოლომონ დოდაშვილის მეუღლე, მამით ობოლი, ინჟინერ-არქიტექტორ ბარიშკინის ნაშვილები (დედით ჯავახიშვილი). სოლომონმა და ელენემ 1828 წელს იქორწინეს, ეყოლათ სამი შვილი, ორი ვაჟი და ერთი ქალი. 75 87 88 90 97 99 102 106 107 117 120 125

კობიაშვილი თეოდორე – ელენე კობიაშვილის მამა, პოლკოვნიკი
75

კრონბერგი ივანე იაკობის ძე (1788-1838), პროფესორი, ხარკოვის უნივერსიტეტის რექტორი 1826-1829 და 1833-1836

კრუპსკი იაკობ – სოლომონ დოდაშვილის მეგობარი და თანამო-
აზრე უნივერსიტეტიდან, დაუმთავრებია პეტერბურგის
უნივერსიტეტის იურიდიულ-ფილოსოფიური ფაკულტე-
ტი. იგი დეკაბრისტებთან დაახლოებულ პირად მოიაზრე-
ბა, რაკი მის სახელთან არის დაკავშირებული რილეევის
ცოლთან მინერილი ბარათი, რომელიც შემდეგ არაღლეგა-
ლურად ვრცელდებოდა და რომელიც სოლომონ დოდაშ-
ვილს უპოვეს გაჩხრეკისას. 100

ლაბიელი დელფინა – ფრანგი ქალი, რომელიც დედასთან და
დასთან ერთად მე-19 საუკუნის 30-იან წლებში თბილის-
ში გადმოსახლდა. ორივე ქალიშვილი აქ დაოჯახებულა.
135 136

ლაბიელი – დელფინა ლაბიელის დედა. მუშაობდა თბილისის აბ-
რეშუმის სახევე ფაბრიკაში, რომელიც 20-იან წლებში
საფრანგეთიდან სპეციალურად მოწვეული კასტელას
ხელმძღვანელობით დაარსდა. ლაბიელებს ქალაქში კა-
ფეც ჰქონიათ. გამდიდრებულან და თბილისის ელიტა-
რულ საზოგადოებაში ტრიალებდნენ. 136

ლაგარპი (ლაგარნი) ჟან ფრანსუა (1739/1740-1803) – ფრანგი
დრამატურგი, პოეტი, კრიტიკოსი, კლასიციზმის თეორე-
ტიკოსი, ფილოსოფოსი, საფრანგეთის აკადემიის წევრი,
რესპუბლიკელი, ვოლტერის მიმდევარი განმანათლებლუ-
რი კლასიციზტური დრამატურგიის სფეროში. უდიდესი
წარმატება მოიპოვა მისმა ტრაგედიამ „გრანფი უორიკი“.
საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ ლაგარპი გახდა რე-
აქციონერი და თავგამოდებული კათოლიკე. გამოდიოდა
განმანათლებელთა წინააღმდეგ. 26

ლახმანი იოსებ იაკობის ძე – პრუსიული წარმოშობის ექიმი და
მწერალი, მედიცინის დოქტორი, საიმპერატორო მეცნიე-
რებათა აკადემიის წევრი. პეტერბურგში სამხედროთა
დაობლებული შვილების ლაზარეთში მუშაობდა. მას
ეკუთვნის თხზულება „სასარგებლო რჩევები ცხოვრების

ლეიზევიცი იოჰან ანტონ (1752-1806) – გერმანელი დრამატურგი. დაიბადა ჰანოვერში. დაამთავრა გოტინგენის უნივერსიტეტი სამართლის სპეციალობით (1770). მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია „იულიუს ტარენტელი“ (1776), რომელიც ერთგვარი შთაგონება იყო ფრიდრიხ შილერისთვის. სწორედ ის ითვლება მისი შედევრის – „მძარცველების“ – წინამორბედად. თავის მხრივ, აღნიშნავენ „იულიუს ტარენტელზე“ ლესინგის გავლენას. 138

ლოკი ჯონ (1632-1704) – ინგლისელი ფილოსოფოსი და ექიმი, ლიბერალიზმის ფუძემდებელი. შრომაში „ადამიანური შეგნების გამოცდილება“ (1689) შეიმუშავა შემეცნების ემპირიული თეორია. უარყოფდა თანდაყოლილი იდეების არსებობას, ამტკიცებდა ადამიანური ცოდნის გამოცდილებიდან მომდინარეობას. დასავლეთევროპულ ფილოსოფიაში ერთ-ერთმა პირველმა დასვა პირადი იგივეობის პრობლემა. ერთმანეთისაგან განასხვავებდა ადამიანის იგივეობასა და პიროვნების, როგორც გონიერი არსების, იგივეობას. 34

ლომონოსოვი მიხეილ ვასილის ძე (1711-1765) – რუსი ფიზიკოსი, მათემატიკოსი, ქიმიკოსი, ასტრონომი, მინერალოგი, გეოლოგი, გეოგრაფი, ნიადაგმცოდნე, კარტოგრაფი, ახალი სამეცნიერო დარგის – ფიზიკური ქიმიის – ფუძემდებელი, ენციკლოპედისტი, პოეტი, მხატვარი (მოზაიკური პანოს – „პოლტავის ბრძოლა“ – ავტორი), ისტორიკოსი, ლიტერატორი, თანამედროვე რუსული სალიტერატურო ენის რეფორმატორი, რუსული ენის გრამატიკის ავტორი. რუსეთში შექმნა პირველი ქიმიური ლაბორატორია. გამოიგონა ახალი ხელსაწყოები გეოდეზიისთვის, მეტეოროლოგიისთვის. შეადგინა მოსკოვის უნივერსიტეტის შენობის პროექტი. ლომონოსოვმა მთელი ეპოქა შექმნა მსოფლიო მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. 26

ლონგინი კასიოს დიონისე (213-273) – ბერძენი გრამატიკოსი, ნეოპლატონიკოსი. დაიბადა სირიაში. ალექსანდრიაში შეისწავლა ფილოსოფია და რიტორიკა. 30 წლის განმავლობაში ასწავლიდა ათენში. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ფილოსოფოს-ნეოპლატონიკოს პლოტინთან. დანერა უამრავი წიგნი ლიტერატურაში, რიტორიკასა და ფილოსოფიაში. მათმა უმრავლესობამ ჩვენამდე ვერ მოაღწია. შეცდომით მიაწერდნენ ესთეტიკურ ტრაქტატს „ამაღლებულის შესახებ“. თავის სწავლებაში უარყოფდა პლატონისეულ განსხვავებას საღვთო გონებასა და აბსოლუტურ პირველსაწყისს შორის. 26

მაია – ნიკოლოზ ბარათაშვილის გამზრდელი. 149

მალოვი ალექსეი ივანეს ძე (1787-1885) – მღვდელი, ცნობილი მქადაგებელი, სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული, საღვთისმეტყველო წიგნების ავტორი. მსახურობდა ისააკის ტაძრის დეკანოზად. გამოსცა წიგნები: „ქადაგებანი“ (1822-24, 1831), „ქრისტიანის რწმენისა და ზნეობის შესახებ“ (1826, 1828, 1831), „წერილები რუს ჯარისკაცებს“ (1831), „მოკლე რელიგიური ლექსიკონი“ (1835). 21

მატუროვის ცოლი – გიორგი ლეონიძის ვარაუდით, სომეხი ქალი. სავარაუდოდ, დილიჯანის მცხოვრები. 165

მელიქიშვილი ლევან ივანეს ძე (1817-1892) – თბილისელი, ხელმოკლე თავადი, რომელიც შემდგომში საკმაოდ დანიშნულად სამხედრო სამსახურში: მთიულეთთან ბრძოლაში გამოჩენილი თავდადებისათვის აყვანილ იქნა ჯერ შტაბსკაპიტნის, შემდეგ კი კაპიტნის ხარისხში. ბოლოს კავალერიის გენერლის ხარისხიც მიენიჭა. იყო მთავარმართებლის მოადგილე და სახელმწიფო საბჭოს წევრი. 4 თავის განმავლობაში ლევან მელიქიშვილი ნიკოლოზ ბარათაშვილთან ერთად მსახურობდა ქალაქ ნახჭევანში: ასრულებდა მაზრის უფროსის მოვალეობას. 148 154 160 161 162 163 164

მესხიშვილი-ორბელიანისა ქეთევან – ზაქარია ორბელიანის მეუღლე, ანჩისხატის მღვდლის, დიმიტრი მესხიშვილის, ქალიშვილი. 155

მირზა-სალი – აბას მირზას – ირანის მეფის, ფეტ-ალი-შაჰის, მემკვიდრის – მდივანი. 147-148 148

მონტეკუკული (მონტეკუკოლი) რაიმუნდ (1609-1680/1681) – ცნობილი ავსტრიელი სარდალი. მიღებული ჰქონდა იმ დროისათვის კარგი ჰუმანიტარული განათლება. 1625 წელს რიგითად მიიღეს ავსტრიის ჯარში. მალე დაწინაურდა ოფიცრის თანამდებობებზე რომის იმპერიის არმი-აში. საბრძოლო დამსახურებისათვის 1646 წელს მიიღო ფელდმარშალ-ლეიტენანტის წოდება და ავსტრიის სამხედრო საბჭოს წევრად დაინიშნა. მონაწილეობდა ევროპაში მიმდინარე 30-წლიან ომში. სარდლობდა ბავარიის, საქსონიისა და ფრანკონიის ჯარებს. 154

მოსკალევა-პანკრატოვისა ეკატერინე ტიხონის ასული – კაპიტნის შვილი, ნახჭევანის მაზრის უფროსის, ალექსანდრე პავლეს ძე პანკრატოვის (1798-1863), მეუღლე. 162 163

მუავრი (მოას) აბრაამ (1667-1754) – ფრანგი მათემატიკოსი, ხარისხში აყვანისა და ფესვის ამოღების ფორმულის ავტორი. დაიბადა პროტესტანტების ოჯახში. მათი რელიგიური დევნა გაძლიერდა ლუის XIV-ის შემდეგ. 1685 წელს აბრაამი წმინდა მარტინის მონასტერში დააპატიმრეს რელიგიური მრწამსის გამო. განთავისუფლების შემდეგ ჩავიდა ინგლისში, სადაც მათემატიკას ასწავლიდა ლონდონის ყავის სახლში. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ანალიტიკური გეომეტრიისა და ალბათობის თეორიის განვითარებაში. 26

მუხრან-ბატონი კონსტანტინე იოანეს ძე (1778-1843) – მეფე ერეკლეს შვილიშვილი, ქეთევან ბატონიშვილისა და იოანე მუხრან-ბატონის ძე, რუსეთის არმიის გენერალი. ქართველი მეცენატი. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთისა და ყირიმის ომებში. იბრძოდა მთიელების წინააღმდეგაც. იყო თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღო-

ლი. სტიპენდიებს უნიშნავდა გიმნაზიისა და უნივერსიტეტის სტუდენტებს. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დღევანდელი უნივერსიტეტის შენობის აგების საქმეში. 114 116

მუხრან-ბატონი იოანე კონსტანტინეს ძე – მეფე ერეკლეს შვილთაშვილი, კონსტანტინე მუხრან-ბატონის ძე. 114 116

მუხრან-ბატონი ქაიხოსრო — როგორც ჩანს, მუხრანელ ბაგრატიონთა ერთ-ერთი შთამომავალი. 157

ნეველი ალექსანდრე (1220-1263) – ნოვგოროდის მთავარი 1236-1251 წლებში, ვლადიმირის დიდი მთავარი 1252 წლიდან. 1240 წელს, მდინარე ნევის ნაპირზე შეედებთან გამარჯვების შემდეგ, ხალხმა მას „ნეველი“ უწოდა. ალექსანდრემ ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა ეკლესიისა და ხალხისათვის. 1724 წელს პეტრე I-მა პეტერბურგში მის საპატივსაცემოდ დააარსა მონასტერი და ბრძანა მთავრის ნეშტის იქ გადაბრძანება. მანვე დაანესა მისი ხსენების დღე. 1725 წელს ეკატერინე I-მა შემოიღო ალექსანდრე ნეველის ორდენი, რომელიც რუსეთის ერთ-ერთ უმაღლეს ჯილდოდ ითვლებოდა 1917 წლამდე. ალექსანდრე ნეველი წმინდანად არის შერაცხული რუსეთის ეკლესიის მიერ. 14

ნეიდგარდტი ალექსანდრე – გენერალ-ადიუტანტი, კავკასიის მთავარმართებელი 1842-1844 წლებში. ამ თანამდებობაზე მან გოლოვინი შეცვალა. მანამდე მის მოადგილედ მუშაობდა. ხანმოკლე მოღვაწეობის შემდეგ, იმპერატორის ბრძანებით, განთავისუფლდა თანამდებობიდან. მისი მოღვაწეობის დროს იმპერიის გენერლებმა ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწიეს. პირიქით: 1841-1843 წლები შამილის გამარჯვებით აღინიშნა. 1843 წლის ბოლო ოთხი თვის განმავლობაში რუსეთის მხრიდან შამილთან ბრძოლებს შეენირა 3000 ჯარისკაცი და ოფიცერი. ახასიათებენ, როგორც უაღრესად სამართლიანს, პუნქტუალურს, ზედმეტად მომთხოვნსა და მკაცრს, რომელიც მცირედენ შეცდომასაც კი არავის პატიობდა. 148 158 163

ნიკოლოზ I (1796-1855) – რუსეთის იმპერატორი (1825-1855), პავლე I-ის მესამე ვაჟი. შესაფერისი განათლება არ ჰქონდა მიღებული, რადგანაც ტახტისთვის მის ძმას ალექსანდრეს ამზადებდნენ. გატაცებული იყო სამხედრო საქმიანობით. იყო პოლკოვნიკი, ლეიბ-გვარდიის ცხენოსანთა და იზმაილოვის პოლკების მეთაური. მისი მმართველობა ხელისუფლების ცენტრალიზაციისკენ სწრაფვით ხასიათდებოდა. 42 103 141 148 164

ოვანესიანი – ეფრემ I, ერზიადინისა და სრულიად სომხეთის კათალიკოსი (1809-1830). დაიბადა 1748 წელს სოფელ დორაგუხცში, ამიტომაც იწოდებოდა ეფრემ დორაგუხცტერ-ოვანესიანად. 1828 წელს სომხეთმა რუსეთის დახმარებით მიიღო სახელმწიფოებრიობა. ამ პროცესში ეფრემმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. მან დიდი წვლილი შეიტანა აგრეთვე ირანსა და რუსეთს შორის გიულისტალის მოლაპარაკებაში. 1830 წელს თავისი სურვილით გადადგა კათალიკოსობიდან. იგი არ ივინყებდა მადლიერებას არა მხოლოდ გრიბოედოვის, არამედ სომხეთის გათავისუფლებისათვის მებრძოლი რიგითი რუსი მეომრების მიმართაც. სწორედ მისი ინიციატივით გადაწყდა 1827 წელს სომხეთის სოფელ ოშაკანთან დაღუპული 1131 რუსი მეომრის საძმო საფლავზე ობელისკის აღმართვა. 1830 წელს იგი თავისი სურვილით გადადგა კათალიკოსობიდან. 10

ომარხანი – ავარიის სახანოს მეთაური. თავისი ლაშქრით ხშირად შემოიჭრებოდა ხოლმე საქართველოს ასაოხრებლად, როგორც ერეკლე II-ის სიცოცხლეში, ისე მისი გარდაცვალების შემდეგ. 1785 წელს 20000-იანი ლაშქრით შემოესია საქართველოს. 1800 წელს საქართველოში მორიგი ლაშქრობის დროს მასთან ერთად აღმოჩნდა ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელსაც არ სურდა რუსეთის საქართველოში გაბატონება. ისინი სასტიკად დაამარცხა გიორგი XII-მ, რომელმაც მანამდე უშედეგოდ აწარმოვა მათთან მოლაპარაკება ზავის დადების თაობაზე. 86

ორბელიანი ალექსანდრე გიორგის ძე (1800-1870) – ოფიცერი, გადამდგარი პორუჩიკი (1852). ზედმეტსახელად ბაკლანას ეძახდნენ. 148 154

ორბელიანი ანა – თომა ორბელიანის ასული, ლუარსაბ ორბელიანის მეუღლე. 158

ორბელიანი-ბარათაშვილისა ეფემია (ფეფო) დიმიტრის (ზურაბის) ასული – ნიკოლოზ ბარათაშვილის დედა, გრიგოლ ორბელიანის და, ერეკლე II-ის შთამომავალი. ივანე მუხრან-ბატონის გადმოცემით, იგი იყო მშვიდი, წყნარი, მშვენიერი ქალი, ქართულად კარგად აღზრდილი. შესახედავად საშუალო ტანისა და პირხმელი. 131 142 149 155 156

ორბელიანი-ბეზაკისა სოფიო ყაფლანის ასული – გრიგოლ ორბელიანის დანიშნული აკენიდანვე. 1836 წელს იგი ცოლად გაჰყვა ნიკოლოზ ბეზაკს, ამიერკავკასიის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრს, კანცელარიის გამგეს. გრიგოლ ორბელიანს მისთვის ლექსებიც აქვს მიძღვნილი. 148 164

ორბელიანი-გაგარინისა ანასტასია დავითის ასული – ნიკოლოზ ბარათაშვილის ნათესავი დედის მხრიდან, მანანა ორბელიანის ასული, გენერალ-გუბერნატორ გაგარინის მეუღლე, რომელიც 1857 წელს სვანეთის უკანასკნელმა მთავარმა კონსტანტინე დადეშქელიანმა მოკლა ქუთაისში. 144 145 157 160 161

ორბელიანი გრიგოლ დიმიტრის (ზურაბის) ძე (1800-1883) – რომანტიკოსი პოეტი, გენერალი, ერეკლე II-ის შვილთაშვილი. ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე მუშაობდა სხვადასხვა სახელმწიფო თუ სამხედრო თანამდებობაზე: 1838 წელს შტაბს კაპიტნის ჩინით საქართველოს გრენადერთა პოლკში ჩაირიცხა. მონაწილეობდა შამილის წინააღმდეგ ბრძოლებში დაღესტნის დასაცავად. 1843 წელს ავარიის მმართველად დაინიშნა. 1858 წელს თბილისში გადმოიყვანეს კავკასიის მთავარმართველ ბარიატინსკისთან. 152 156 158

ორბელიანი ელისაბედ – სამარაგდონ ორბელიანის მეუღლე, ბაბალეს დედა. 165

ორბელიანი-ერისთავისა ელენე ლუარსაბის ასული – მანანა ორბელიანის მული, ფრანგულ პანსიონში აღზრდილი, გამორჩეული ზრდილობითა და დარბაისლობით. 1836 წელს ცოლად გაჰყვა პოლკოვნიკ ზაქარია გიორგის ძე ქსნის ერისთავს. მოხსენიებულია ალექსანდრე გრიბოედოვის წერილებში. მას უძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილმა ეპიგრამა „ელენეს და მაროს“. 144 158

ორბელიანი ზაქარია დიმიტრის (ზურაბის) ძე (1806-1847) – გრიგოლ ორბელიანის ძმა (ზაქარია მასზე ორი წლით იყო უმცროსი). სამხედრო პირი, დაღესტნის ომების მონაწილე. 1844 წელს პოლკოვნიკობა მიიღო, 3 წლის შემდეგ კი ქოლერით გარდაიცვალა დაღესტანში. 76 135 142 150 154 156 157 158

ორბელიანი ივანე დავითის ძე (1825-1893) – მანანა ორბელიანის ვაჟი, შემდგომში გენერალ-მაიორი, რომელიც 50-იან წლებში დაღესტანში მსახურობდა გრიგოლ ორბელიანთან. 161 164

ორბელიანი-ივანოვისა ეკატერინე (კატო) – ნიკოლოზ ბარათაშვილის ნათესავი, იაკობ ორბელიანის ასული, გენერალ-ლეიტენანტ ნიკოლოზ ალაპის ძე ივანოვის მეუღლე. 161 164

ორბელიანი ილია დიმიტრის (ზურაბის) ძე (1817-1853) – გრიგოლ ორბელიანის უმცროსი ძმა, გენერალ-მაიორი. მონაწილეობდა დაღესტნის ბრძოლებში, რის შედეგადაც ტყვედ ჩაუვარდათ შამილის მურიდებს (1840). სხვა ტყვეებთან ერთად იგი შამილს მიჰგვარეს დარლოში (შამილის ყოფილი რეზიდენცია 1840-1845 წლებში). რამდენიმე თვის შემდეგ ილიას გაქცევა უცდია, მაგრამ გზაზე, სოფ. მუხელტას ახლოს, დაუჭერიათ და უკანვე მიუგვრიათ იმამისთვის. 1846 წელს დანიშნეს მაზრის უფროსის თანამდებობაზე განჯაში, სადაც საშუალება მიეცა, მიეხედა თავისი დისშვილის – ნიკოლოზ ბარათაშვილის – საფლავისთვის. გარდაიცვალა თურქეთის ომში მიღებული ჭრილობის შედეგად 36 წლის ასაკში. დაკრძალულია ქაშუეთის ეკლესიაში. 141 142 145 148 154 158 164

ორბელიანი იოანე – დავით ორბელიანის უფროსი შვილი, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის ქალიშვილის, ანასტასიას (ატატოს), მეუღლე. 76

ორბელიანი ლუარსაბ – 1832 წლის შეთქმულების მონაწილე. მანანა ორბელიანის მაზლი. იგი ალექსანდრე ჭავჭავაძის რწმუნებულად და შუაქაცად ითვლებოდა შეთქმულთა შტაბში. მან ქვრივი რძლის (მანანას) გადარჩენის მიზნით, დაიბრალა, თითქოს რუსი ჩინოვნიკების ამოხოცვას მის სახლში აპირებდნენ. 158

ორბელიანი მაიკო ქაიხოსროს ასული (1818-1849) — XIX საუკუნის I ნახევრის ქართველ მანდილოსნებში სილამაზითა და ინტელექტით გამოირჩეული პიროვნება, ნიკოლოზ ბარათაშვილის უახლოესი მეგობარი და მესაიდუმლე, მისი პოეზიის თაყვანისმცემელი, ლევან მელიქიშვილის ოფიციალური საცოლე. მამამისი, ქაიხოსრო ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილის დედის, ეფემია ორბელიანის, ბიძაშვილი იყო. მაიკო ჭლექით გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა. ლევან მელიქიშვილისაგან შეეძინა ვაჟიშვილი ივანე, რომელიც 1877 წელს ყარსის ალებისას მოუკლავთ. ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილების ადრესატი, აგრეთვე გვ.: 138 142 157 165

ორბელიანი მამუკა (მაკარ) თომას ძე (1800-1871) – რუსეთის გენერალ-მაიორი, კავკასიის, რუსეთ-სპარსეთის, რუსეთ-თურქეთის, ყირიმის ომების მონაწილე. გენერალ-მაიორ თამაზ მამუკას ძე ორბელიანისა და ქეთევან დავითის ასულ ქობულაშვილის ვაჟი. ცოლად ჰყავდა ქეთევან გიორგის ასული ერისთავი. ეყოლათ 15 შვილი, მათ შორის, გენერალი ივანე ორბელიანი. 158 166

ორბელიანი მიხეილ (მიხაკო, ქაჩალი ძმა) ქაიხოსროს ძე (1814-1846) – მაიკო ორბელიანის ძმა, ეფემია ორბელიანის ნათესავი. 157 161

ორბელიანი ნინო – იაკობ ორბელიანის მეუღლე, თამარისა და ეკატერინეს დედა. 165

ორბელიანი-საგინაშვილისა ბაბაღე – სამარაგდონ ორბელიანის ასული, ნიკოლოზ ბარათაშვილის მამიდაშვილის, ალექსანდრე საგინაშვილის, მეუღლე, იმ დროისათვის საკმაოდ განათლებული ქალბატონი. პოეტის გარდაცვალების შემდეგ მასთან ინახებოდა მისი სურათი, ლექსები და ლეიზევიცის ტრაგედიის – „იულიუს ტარენტელი“ – თარგმანი. 165 166

ორბელიანი-სენკოვსკისა თამარ – იაკობ ორბელიანის ასული, ანდრია სენკოვსკის მეუღლე. 164 165

ორბელიანი-სივრიჩისა – სივრიჩის მეუღლე, ორბელიანების ქალიშვილი. 148

ორბელიანი ყაფლან ასლანის ძე (1813-1878) – ნიკოლოზ ბარათაშვილის დედის, ეფემიას, ბიძაშვილი. გადმოცემით, კარგი მომღერალი და მშვენიერი გარეგნობის მამაკაცი ყოფილა. მღეროდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებზე „მე შენ არ გეტრფი“, „თავსა უფლად“, აგრეთვე ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებზე. 133 139 154 156 157

ორბელიანი-ჭავჭავაძისა სალომე – ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლე, სარდალ ივანე ჯამბაკურ-ორბელიანის ასული. გარდაიცვალა ქოლერით 1847 წელს. 15 148

ორლოვი ივანე ალექსის ძე (1795-1874) – რუსეთის არმიის გენერალ-ადიუტანტი, დონის ყაზახთა ატამანი კავკასიის ჯარების კორპუსში. 161

ორლოვის (ივანე ალექსის ძის) ცოლი – სახელი უცნობია. 161

ორჯონიკიძე პაპუა – ეპისტოლეთა ავტორების თანამედროვე. მასზე ხშირად ხუმრობდნენ საზოგადოებაში. 164

ოქროაშვილი (ოქროაძე) დიმიტრი – მღვდელი. ქართულ ხელნაწერთა ანდერძების მიხედვით, იგი 1810-1820 წლებში გორსა და მეჯვრისხევშია, 1824 წელს – პეტერბურგში, შემდეგ მოსკოვში უცხოვრია. არქივში შენახულია მისი ფილადელფოს კიკნაძის მიმართ 1824 წლის 3 დეკემბერს გაგზავნილი წერილი. 52

ოქტავიანე ავგუსტუს (ჩვ.წ.ალ-მდე 63-16) – რომის I იმპერატორი. მამამისი გაი ოქტავი ცნობილია, როგორც მაკედონიის წარმატებული მმართველი. დედამისი ატია იულიუს ცეზარის დისშვილი იყო. ცეზარს კანონიერი შვილი არ ჰყავდა და თავისი ქონების მოზრდილი ნაწილის მემკვიდრედ ოქტავიანე გამოაცხადა. 152

პავსკი გერასიმე პეტრეს ძე (1787-1863) – ცნობილი მთარგმნელი, ღვთისმეტყველი, ებრაისტი. მოღვაწეობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში მისი დაარსების დღიდან (1819). ასწავლიდა სოლომონ დოდაშვილსაც. 52

პაიჭაძე გიორგი დავითის ძე – მესტამბე. 1800 წელს ქუთაისში დაბეჭდა „დავითნი“. ქართული წიგნი აქვს გამოცემული მოსკოვშიც. დიდი პატივისცემით სარგებლობდა რუსეთში. 54 88

პანკრატოვი ალექსანდრე პავლეს ძე – რუსი სამხედრო მოხელე, 1832 წელს ის თბილისის ქვეით, შემდეგ კი ეგერთა და გრენადერთა პოლკში მსახურობდა. 1843 წლის ნოემბრიდან 1849 წლის ნოემბრამდე მას ნახჭევანის მაზრის უფროსის თანამდებობა ეკავა. 162 163

პასკევიჩი ივანე თეოდორეს ძე (1782-1856) – რუსეთის იმპერიის სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ფელდმარშალი (1829), გენერალ-ადიუტანტი (1825). ერევნის გრაფის ნოდება მიენიჭა 1828 წელს და ვარშავის პრინცის – 1831 წელს. 1826 წელს ამიერკავკასიის ჯარების სარდალი გახდა, ხოლო 1827 წელს – კავკასიის მეფისნაცვალის. ერევნის ციხის აღების შემდეგ პასკევიჩს „ერევანსკის“ სახელით მოიხსენიებდნენ. პოლონეთის აჯანყების სისხლში ჩახშობის შემდეგ კი „ვარშავსკი“ უწოდეს. ახლანდელი თავისუფლების მოედანს თბილისში პასკევიჩის პატივსაცემად „ერევანსკის მოედანი“ ერქვა. 12 96 99 101 119 122

პეროვსკი (პოგორელსკი) ალექსი ალექსის ძე – ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტისა და მისი სასწავლო ოლქის მზრუნველი, სასკოლო სახელმძღვანელოთა განმხილველი კომიტეტის თავმჯდომარე, მწერალი, დიდი რუსი პოეტის, პუშკინის, თანამოაზრე და მეგობარი. მას უძღვნა სოლომონ დოდაშვილმა „ლოგიკა“. 56

პლემჩევი ალექსი ნიკოლოზის ძე (1825-1893) – წინა გამომცემლის აზრით, აქ საუბარია პოეტ პლემჩეიევი, პეტრაშეველთა ჰიმნის ავტორზე, თბილისის პოლიციის თანამშრომელზე. „ცისკარში“ იბეჭდებოდა მისი ნაწარმოებების ქართული თარგმანები. მარიამ წინიძის აზრით კი, ეს უნდა იყოს ვინმე ვაჭარი, ან დამგირავებელი. 83

პოზენი მიხეილ ივანეს ძე – სტატს-სეკრეტარი. გურიის აჯანყების დროს, 1842 წელს, იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა საქართველოში საგანგებოდ მოავლინა სამხედრო მინისტრ ჩერნიშოვთან ერთად. მათ დაევალათ კავკასიაში 1840 წელს განხორციელებული სამოქალაქო-ადმინისტრაციული რეფორმების გადასინჯვა. პოზენი სამოქალაქო დაწესებულებებს ამოწმებდა. იგი გასცნობია კავკასიის უზენაესი სასამართლოს მუშაობასაც, სადაც იმ პერიოდში ნიკოლოზ ბარათაშვილი მსახურობდა. სენატისადმი წარდგენილი პოზენის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, პროექტი, რომლითაც საქართველოში რუსული კანონები მექანიკურად ინერგებოდა, უკუგდებულ იქნა. 142

ყირარდენი მარკიზ დე (არჟან ჟან-ბატისტ დე-ვოიე) – ფრანგი მწერალი, ჟან-ჟაკ რუსოს მეგობარი და თანამზრახველი, რომლის ეზოშიც იყო დაკრძალული. 34

რაევსკი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (1801-1843) – გენერალ-მაიორი. ჯერ კიდევ ბავშვი მონაწილეობდა ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლებში. 1814 წელს ადიუტანტად იყო განწესებული ჰუსართა პოლკში. 1826 წლიდან მეთაურობდა ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკს. იყო წმინდა გიორგისა და წმინდა ანას ორდენების კავალერი. მოლაპარაკების გზით კახეთის მოსაზღვრე ლეკთა თარეშის აღკვეთისათვის 1829 წელს დაჯილდოებულ იქნა იმპერატორის საგანგებო რესკრიპტით. 1839 წელს დაინიშნა შავი ზღვის სანაპირო ზოლის უფროსად. ალექსანდრე ჭავჭავაძეს ებრძანა რაევსკის დაპატიმრება და სალდათად ჩამოქვეითება, მაგრამ მან თავი მოივადმყოფა და განკარგულება არ შეასრულა. ამის გამო პასკევიჩი გადაყენებით დაემუქრა ალექსანდრე ჭავჭავაძეს. 12

რენენკამფი პავლე იაკობის ძე – გენერალ-ლეიტენანტი. 1842 წელს დალესტანში დაინიშნა მოქმედი დივიზიის უფრო-

სად. 1844 წელს გადააყენეს და პასუხისგებაში მისცეს. ბრალად ედებოდა დასაჯილდოებული ოფიცრების შესახებ მთავრობისათვის ცრუ ინფორმაციების მიწოდება. 147

რიჟსკი ივანე სტეფანეს ძე – ნიგნების – „ძველ რომაელთა ღვთისმსახურების მოკლე კურსი“ (1784) და „ძველი რომის პოლიტიკური საკრებულო“ (1786) – ავტორი. მან შეადგინა და გამოსცა იმ დროისათვის აღიარებული სახელმძღვანელოები „ლოგიკა“ და „რიტორიკა“ სათაურით „Умственное, или умственная философия“ (1790). ხარკოვის უნივერსიტეტის რექტორი. 26

როლენი შარლ (1661-1741) – ფრანგული ისტორიოგრაფიის კლასიკოსი, რიტორიკოსი, პედაგოგი. მონტესკიესთან ერთად ითვლებოდა ანტიკური ეპოქის ყველაზე ავტორიტეტულ ისტორიკოსად ევროპაში. თავისი სახელმძღვანელოებითა და პრაქტიკული მოღვაწეობით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ფრანგული პედაგოგიკის განვითარებაში. იღვწოდა, რათა სწავლების უდიდესი დრო დასთმობოდა მშობლიურ ისტორიას. 26

რომანოვი ალექსანდრე – ალექსანდრე I (1777-1825) – რუსეთის იმპერატორი 1801 წლიდან, პავლე I-ის უფროსი ვაჟი. რომანოვების ტახტზე ავიდა მამამისის მოკვლისთანავე. მას „კურთხეულს“ უწოდებდნენ, თუმცა, როგორც ისტორიკოსები აღნიშნავენ, მნიშვნელოვანი არაფერი გაუკეთებია თავისი ხალხისათვის. 59

რუსო ჟან-ჟაკ (1712-1778) – სახელოვანი ფრანგი განმანათლებელი, მწერალი, მოაზროვნე, ფილოსოფოსი, პედაგოგი, დემოკრატი. მისმა იდეებმა უდიდესი გავლენა მოახდინა ფილოსოფიის, პედაგოგიკის, მწერლობის განვითარებაზე. მიუხედავად იმისა, რომ მისი სამშობლო შვეიცარია იყო (დაიბადა ჟენევაში, მესაათის ოჯახში), მოაზროვნე მსოფლიო მას ფრანგი ერის გენიად მოიხსენიებს. გარდაიცვალა სოფელ ერმონვილში, პარიზთან ახლოს. არსებობს ვარაუდი, რომ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მისი ცხედარი 1794 წელს ზარ-ზეიმით გადაას-

ვენეს პარიზის პანთეონში. რევოლუციის შემდგომმა მთავრობამ მას განსაკუთრებული პატივი მიაგო. 34

საგინაშვილი ალექსანდრე დიმიტრის ძე (1808-1887) – კაპიტანი, შემდგომში რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი. განათლება მიიღო თბილისის თავადაზნაურთა სასწავლებელში. სამხედრო სამსახურში შევიდა 1826 წელს. მონაწილეობდა რუსეთ-სპარსეთის (1826-1828), რუსეთ-თურქეთისა (1828-1829; 1877-1878) და კავკასიის ომებში. დაჯილდოებული იყო წმინდა ანას 1-ლი, მე-2 და მე-3 ხარისხის, წმინდა გიორგისა და წმინდა ვლადიმერის მე-4 ხარისხისა და სხვა ორდენებით, აგრეთვე ოქროს იარაღით „მამაცობისათვის“. 1869 წელს მიიღო გენერალ-მაიორის ჩინი. მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი ოთხი ბარათის დედნები ილია ჭავჭავაძეს თავისი დის – ლიზას (ელისაბედის) – ალექსანდრე საგინაშვილის მეუღლის – საოჯახო არქივში უპოვნია და სიძისაგან მათი გამოქვეყნების ნებართვაც მიუღია. 139 166

სავარსამიძე ლეონტი იაკობის ძე – ჭარ-ბელაქნის მმართველი, გენერალ-მაიორი 148

სავარსამიძე სიდონია ზაქარიას ასული – ჭარ-ბელაქნის მმართველის, გენერალ-მაიორ ლეონტი იაკობის ძე სავარსამიძის, მეუღლე 148

სათარა – ცნობილი ირანელი მომღერალი. რუსი სამხედრო პირის, ნიკოლაევის, მოგონებებში გადმოცემულია, თუ რა დიდი პატივისცემით სარგებლობდა სათარა თბილისში. აქვე აღნიშნულია, რომ მის სიმღერას, რომელიც ცოტა უცნაურად ჟღერდა, შეეძლო ადამიანისთვის სევდა და ამავე დროს სიამოვნება მოეგვარა. მას სთავაზობდნენ უამრავ ფულს და საჩუქრებს, ეპატიყდებოდნენ სტუმრად. 157 161

სენკოვსკი ანდრია სტეფანეს ძე – პოლკოვნიკი. მუშაობდა სამხედრო-საინჟინრო სფეროს ერთ-ერთ წამყვან თანამდებობაზე. 165

სივრიჩი აპოლონ სტეფანეს ძე – მაიორი. 148

სიპიაგინი ნიკოლოზ მარტეშის ძე(1785-1828) – რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალ-მაიორი, თბილისის სამხედრო გუბერნატორი 1817-1819 წლებში. იბრძოდა ნაპოლეონის წინააღმდეგ. რედაქტორობდა რუსულენოვან სამხედრო ჟურნალს. მის დროს დაარსდა გაზეთი „Труды и успехи в военном искусстве“. 56 57 59 61 63 72 75 78 79 81 86 87 88 90 96 99

სიპიაგინისა – სიპიაგინის მეუღლე 56 59

სიპიაგინის შვილები – 72 78

სნაქსარევი ივანე ათანასეს ძე – სამურის ოლქის უფროსი, პოლკოვნიკი. 1840 წლის 20 მარტს ილია ორბელიანთან და ოფიცერ ანანოვთან ერთად დატყვევებულ იქნა შამილის მურიდების მიერ ყაზიყუმუხში. 141 142

სულეიმან ხანი (სულეიმან ფაშა) – დაღესტნის ერთერთი პროვინციის, ტარკოვის, მმართველის – მეხტი შამხალის – ვაჟი, რომელსაც 1830 წელს იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა პოლკოვნიკობა უბოძა. 156 161

სულთანი დანიელ – 1831 წლიდან ელისუს მმართველი, რუსეთის იმპერიის გენერალ-მაიორი (1830-1844), შამილის ნაიბი. სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით. 156

სუმბათაშვილი ალექსანდრე – სამხედრო პირი, სოფიო ბარათაშვილის მამამთილი. 157

ტალიაშვილი გრიგოლ – ალექსანდრე ბატონიშვილის მოძღვრის, რომან ტალიაშვილის, ვაჟი, უსწავლია სიღნაღის სასწავლებელში, შემდეგ დიაკვნად განწესებულა ბოდბის წმინდა ნინოს მონასტერში. სარგებლობდა შეთქმულთა დიდი ნდობით. 123

ტალიაშვილი რომან – მღვდელი, ალექსანდრე ბატონიშვილის მოძღვარი. 123

ფალავანდიშვილი ნიკოლოზ იოსების ძე – საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი 1832-1838 წლებში. მანამდე, 1831 წელს,სამოქალაქო მრჩევლის თანამდებობაზე მუშაობდა; 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებს, გამარჯვების

შემთხვევაში, მისი ფინანსთა მინისტრად დანიშვნა უნდოდოდათ, მაგრამ ნიკოლოზ ფალავანდიშვილმა არ დაუჭირა მხარი აჯანყებას და აიძულა თავისი ძმა იასე, რომ გამოეპყარა ვებინა შეთქმულთა ჩანაფიქრი. მიუხედავად ამისა, თვით შეთქმულებიც კი მისდამი პატივისცემით იყვნენ გამსჭვალულნი. 1853 წელს ნიკოლოზ ფალავანდიშვილი კავკასიის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრი გახდა, ხოლო 1862 წელს – საგანგებო დავალებათა მოხელე. 15

ფეზე კარპე კარპეს ძე (1797-1848) – რუსი გენერალი, იმპერატორ ალექსანდრე I-ის წარმომადგენელი, უმაღლესი სასამართლოს მდივნისა და სამხატვრო სკოლის პროფესორის ვაჟი. დაიბადა ბერნში. მსახურობდა შვეიცარიის ჯარში. 1841 წელს ნაპოლეონის წინააღმდეგ განხორციელებული კოალიციური ომის დროს მას უკვე მაიორის ჩინი ჰქონდა. იყო შტაბს-კაპიტანი ფინლანდიის პოლკის ლეიბ-გვარდიაში. მონაწილეობდა პოლონეთისა და დაღესტნის ომებში (1836–1844). დაჯილდოებული იყო სხვადასხვა სამხედრო ორდენით. 141

ფიცხელაური დოსითეოს არჯევანის ძე (1774-1830) – არქიეპისკოპოსი. მსახურობდა ქართლში ხოფის მონასტრის არქიმანდრიტად, აგრეთვე ქვათახევის მონასტრის წინამძღვრად. 1810 წელს ანტონ II-ს გაჰყვა პეტერბურგში. საქართველოში დაბრუნდა 1815 წელს და დაინიშნა ოსეთის სასულიერო კომისიის გამგედ. 1817 წელს მოსკოვში გაინვიეს „ვისოკოპეტრეს“ მონასტერში. გარდაიცვალა თბილისში 1830 წელს. 52

ფონ-ვიზინი-გოლოვინისა ელისაბედ პავლეს ასული – მწერალ ფონ-ვიზინის ასული, კავკასიის მთავარმართებლის, ევგენი გოლოვინის, მეუღლე. ელისაბედს თბილისში საქველმოქმედო საზოგადოების დაარსება მოუწადინებია, რომლის მდივნის თანამდებობაზეც დიმიტრი ყიფიანის კანდიდატურა შეურჩევიათ. ეს იდეა გოლოვინის დროს ვერ განხორციელდა. საქმე ბოლომდე მიიყვანა ნეიდგარდტმა კავკასიის მთავარმართებლის თანამდებობაზე დანიშვნისთანავე, 1842 წელს. 142 144

ფორსტენი – რუსული არმიის ოფიცერი, წარმოშობით ინგლისელი, მსახურობდა ნახჭევანში. 163

ქებაძე პეტრე – XVIII ს-ის მიწურულისა და XIX ს-ის I ნახევრის მოღვაწე, მწერალი, კალიგრაფი; მნივნებულ საქმიანობას ეწეოდა პეტერბურგში. თარგმნა სუმაროკოვის „სინავი და ტრუვორი“, გადანერა „ვეფხისტყაოსანი“. 54

ღირსიაშვილი (ღირსიევი) ადამ – კახელი მღვდლის შვილი. თბილისის სასულიერო სემინარიის დასრულების შემდეგ იონა ხელაშვილის მზრუნველობით ცხოვრობდა და სწავლობდა პეტერბურგში, ჯერ გიმნაზიაში, ხოლო შემდეგ საიმპერატორო უნივერსიტეტში თავისუფალი მსმენელის სტატუსით. 18 20 45 53 54 81 83 86 91 95 97 100

ყიფიანი დიმიტრი ივანეს ძე (1814-1887) – ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ლიტერატორი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის, „ქართული დრამატული საზოგადოებისა“ და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთი დამაარსებელი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური წევრი, 1832 წლის შეთქმულების გამომჟღავნების შემდეგ გადასახლებული იყო ვოლოგდაში. 1837 წელს საქართველოში დაბრუნდა და სხვადასხვა თანამდებობაზე იმუშავა. 1887 წლის 25 ოქტომბერს ვერაგულად მოკლეს მეფის აგენტებმა. დაკრძალულია მთანმინდაზე. 138

ყიფიანი ეფემია – დიმიტრი ყიფიანის ძმის, ქაიხოსრო ივანეს ძე ყიფიანის, მეუღლე. 155

ყიფიანი ქაიხოსრო ივანეს ძე – დიმიტრი ყიფიანის ძმა, პრაპორ-შჩიკი. მან იკისრა ადრე დაობლებული ძმის აღზრდა. მუშაობდა მიხაილოვის (ხაშურის) უბანში, რკინიგზაზე. 155

ყორღანაშვილი ვასილ – სამხედრო პირი, მუშაობდა დაღესტანში ოფიცრის თანამდებობაზე. 140

შამილი (1798–1871) – კავკასიელი მუსულმანების პოლიტიკური, სამხედრო და რელიგიური ლიდერი (1834–1859). განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა დაღესტნელ და ჩეჩენ ხალხებს შორის. იგი თავისი რაზმებით ხშირად ესხმოდა თავს საქართველოს, განსაკუთრებით კახეთს. მისმა რაზმებმა აიკლეს ჭავჭავაძეების მამული წინანდალში, ტყვედ ჩაიგდეს დიდგვაროვნები, მოსამსახურეები და სტუმრები და დაღესტანში გადაიყვანეს. შემდგომში შამილმა მძევლები თავის ვაჟ ჯემალ-ედ-დინზე გადაცვალა. 141 142 154 155

შექსპირი (1564-1616) – მსოფლიო მნიშვნელობის დრამატურგი, ტრაგედიების, კომედიების, პიესების, პოემებისა და სონეტების ავტორი. დაიბადა ინგლისში, ქალაქ სტრედფორდ-ონ-ეივონში. სწავლობდა გრამატიკის სკოლაში. მოღვაწეობდა ლონდონის თეატრალურ დასში. მისი ცნობილი ტრაგედიებია: „მეფე ლირი“, „ჰამლეტი“, „ოტელო“, „ანტონიუსი და კლეოპატრა“, „მაკბეტი“, „რომეო და ჯულიეტა“. დაკრძალულია მშობლიური ქალაქის ეკლესიაში. 138

შიპულინი პ.ი. – სასწავლო დაწესებულებების დირექტორი თბილისში. 107

შიშკოვი ალექსანდრე სიმონის ძე (1754-1841) – პროზაიკოსი, პოეტი, კრიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე, კაპიტანი, ესკადრ-მაიორი, გენერალ-ადიუტანტი. დაამთავრა საზღვაო კადეტთა კორპუსი. იყო სახელმწიფო საბჭოს წევრი და რუსეთის აკადემიის პრეზიდენტი. 1824-1828 წლებში მუშაობდა სახალხო განათლების მინისტრის თანამდებობაზე. დაჯილდოებული იყო ოქროს იარაღით წარწერით „სიმამაცისათვის“. 20 42 46 61

ჩერნიშოვი ალექსანდრე ივანეს ძე (1786-1857) – რუსი გენერალ-ადიუტანტი, კავალერიის გენერალი, რუსეთის სამხედრო მინისტრი (1827-1852). დაიბადა სენატორის, გენერალ-პორუჩიკის ოჯახში, ასრულებდა მნიშვნელოვან დიპლო-

მატიურ მოვალეობას სტოკჰოლმში. საქართველოში მივლინების დროს ჩერნიშოვმა გურიის აჯანყების მონაწილეები ციხიდან გამოუშვა, რითაც ადგილობრივი მოსახლეობის ნდობა დაიმსახურა. იგი ამ დროს სამხედრო ბრძანებებს იძლეოდა. მიუხედავად ამისა, მას ახასიათებენ, როგორ სასტიკ და დაუნდობელ ადამიანს. 142

ჩილაევი (ჭილაშვილი) ბორის გაბრიელის ძე – გრენადერთა ქართული პოლკის მეთაური 1841-1842 წლებში. 139

ჩოლოყაშვილი ალექსანდრე დიმიტრის ძე (1801-1833) – გიორგი XII-ის ასულის, რიფსიმეს, შვილი, ბაგრატ ბატონიშვილის დისშვილი. ბიძის ცნობით, იგი საკმაოდ განსწავლული ყოფილა საღვთო წერილსა და ევროპულ ენებში. 55 58 76 81

ჩოლოყაშვილი ზაქარია – კაპიტანი, გიორგი XII-ის ასულის, რიფსიმეს ვაჟი, ალექსანდრე ჩოლოყაშვილის ძმა, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, ცხოვრობდა პეტერბურგსა და მოსკოვში. 81

ციცერონი მარკუს ტულიუს (ძვ. წ. 106-43) – უდიდესი რომაელი მოაზროვნე, ორატორი და კულტურული მოღვაწე, უმნიშვნელოვანესი ფიგურა რომის სახელმწიფოს ისტორიაში. დაიბადა იტალიის ქალაქ არპინუმში. წარმოშობით ტულიუსების პლებეურ გვარს ეკუთვნოდა. აღიზარდა გამოჩენილი ბერძენი ორატორებისა და ფილოსოფოსების სწავლებებზე. განავითარა საორატორო ხელოვნების საკუთარი თეორია. ვერაგულად მოკლეს ძვ. წ. 43 წელს, მოჰყვეთეს თავი და მარჯვენა ხელი და მისი სხეულის ნამებული ნაწილები სენატში, საორატორო ტრიბუნაზე, გამოფინეს. 26

ციციშვილი დავით – ერეკლე II-ის ასულის, მარიამის, შვილი, რახაელ (ხახე) ციციშვილის ძმა. ქართველ გრენადერთა პოლკის პრაპორშჩიკი, ვოლტერიანელი. მისი მამა ესტატიე ციციშვილი ანტონ II კათალოკოსის სახლთუხუცესი ყოფილა, თან გაჰყოლია რუსეთში და 1828 წელს იქ გარ-

დაცვლილა. დავითი ხანდაზმულობის ასაკში საგვარეულო მამულში, ქარელში, ცხოვრობდა და ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას, უმეტესად თარგმნას. მან თარგმნა რუსოს ტრაქტატი, ბაუმეისტერის „მეტაფიზიკა“. ლევან ასათიანის აზრით, დავით ციციშვილი უნდა იყოს იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ ერთ-ერთი პერსონაჟი. 76

ციციშვილი რახაელ (ხახე) ესტატეს ასული – ერეკლე II-ის შვილიშვილი, პოეტური ნიჭით დაჯილდოებული ქალი. ქარელში, ციციშვილთა სახლში, ერთგვარი ლიტერატურული სალონიც ყოფილა. 144

ციციშვილი ფარსადან თეიმურაზის ძე (1786-1845) – მდივანბეგ თეიმურაზ ციციშვილისა და სახლთუხუცესის ასულის, ანას, უფროსი შვილი. 1837 წელს აირჩიეს საქართველო-იმერეთის სათავადაზნაურო საკრებულოს დეპუტატად. 1843 წელს სამხედრო მინისტრის წარდგინებით, ვლადიმირის მე-4 ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. იყო თბილისის სხვადასხვა სათავადაზნაურო უბნის მშენებელი. მან გააჭრევეინა გზა რიფიდან ავლაბრისკენ, კლდოვან ფერდობზე. მშენებლობა დამთავრდა 1845 წელს და ამ გზას „ციციშვილის აღმართი“ ეწოდა. 56 90

წერეთელი გრიგოლ ზურაბის ძე – პოლკოვნიკი, მონაწილეობდა დაღესტნის ომში. 148

წინამძღვრიშვილი პარმენ დომენტის ძე – მღვდელი, მარიამ დედოფლის მოძღვარი, ცხოვრობდა მის სახლში. გარდაიცვალა მოსკოვში 1846 წელს. 56

წულუკიძე-ერისთავისა – კატო ბარათაშვილის დედამთილი. 157 158

წულუკიძე ექვთიმე – კატო ბარათაშვილის დედამთილის ძმა, სხვადასხვა დროს იყო გურიის, ხონისა და ქუთაისის ეპისკოპოსი. 157 158

ჭავჭავაძე ალექსანდრე გარსევანის ძე (1786-1846) – რომანტიკოსი პოეტი, გენერალ-მაიორი. მონაწილეობდა 1804 წლის მთიულეთის აჯანყებაში, რის გამოც სამი წლით ტამბოვ-

ში გადაასახლეს. შემდეგ პაუთა კორპუსში ჩაირიცხა. მეფის რუსეთის არმიის ერთგულების გამო სხვადასხვა ორდენით იყო დაჯილდოებული. ერთხანს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საფრანგეთში. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის ომში, იყო ბარკლაი დე ტოლის თანამებრძოლი. სხვადასხვა დროს ეკავა მაღალი სამხედრო თუ სამოქალაქო თანამდებობები. 1832 წლის შეთქმულების გაცემის შემდეგ კვლავ გადაასახლეს ტამბოვში, მაგრამ მალე გაათავისუფლეს. დასაფლავებულია კახეთში, შუამთის მონასტერში. 148

ჭავჭავაძე-გრიბოედოვისა ნინო (1812-1857) – ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული, შესანიშნავი მუსიკოსი, მომღერალი, მოცეკვავე. წინანდალსა და თბილისში აწყობდა ოჯახურ სპექტაკლებს, სადაც თავადაც მონაწილეობდა. სწავლობდა სანკტ-პეტერბურგში, პრასკოვია არსენიევა-ახვერდოვას პანსიონში, სადაც გაიცნო მომავალი მეუღლე ალექსანდრე გრიბოედოვი. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ აღარ გათხოვილა. ჩართული იყო სახელმწიფო საქმეებში. დასთან ერთად იბრძოდა სამეგრელოს კეთილდღეობისათვის. გარდაიცვალა მაღარით. ანდერძის თანახმად, დაიკრძალა მთანმინდაზე, მეუღლის გვერდით. 15 138 143 156 165

ჭავჭავაძე-დადიანისა ეკატერინე (კატო) (1816-1882) – ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული, ცოლად გაჰყვა სამეგრელოს მთავარ დავით დადიანს. იყო სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი დედოფალი. მემკვიდრის სრულწლოვანებაამდე, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, 1853 წელს, რუსეთის იმპერატორმა რეგენტად დაამტკიცა. ეკატერინე პირადად მონაწილეობდა ოსმალთა სარდალ ომარ ფაშას წინააღმდეგ. პეტერბურგში „სტატს დამის“ წოდება მიანიჭეს და წმ. გიორგის მედლით დააჯილდოვეს. მოგზაურობების დროსაც (1860 წელს პეტერბურგში, 1862 წელს პარიზში) არ იშორებდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების კრებულს. გარდაიცვალა გულის ავადმყოფობით. დაკრძალულია მარტვილის მონასტერში, მეუღლის გვერდით. 15 136 138

ჭავჭავაძე დავით (1818-1884) – ალექსანდრე ჭავჭავაძის ვაჟი, რუსეთის არმიის გენერალ-ლეინტენანტი, შტაბს-კაპიტანი, მიხეილ ვორონცოვის ადიუტანტი. მსახურობდა ლე-

იბგვარდიის გრენადერთა პოლკში. ყირიმის ომის დროს (1853-1856 წწ) ხელმძღვანელობდა კახეთის დაცვას შამილის რაზმებისაგან. 1854 წელს განსაკუთრებული დამსახურებისათვის მეფის ფლიგელ-ადიუტანტი გახდა. 1856 წელს თბილისის ეგერთა პოლკში გადაიყვანეს. 1861 წელს გენარალ-მაიორის ჩინი მიენიჭა და მეფის ამაღლაში ჩაირიცხა. ამავდროულად კავკასიის არმიაშიც მსახურობდა. 154

ჭავჭავაძე სოფიო (1833-1862) – ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული, ბარონ ნიკოლაის მეუღლე. გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა. დაკრძალულია რუსეთში, კერძოდ, ვიბორგში. 15

ხელაშვილი გიორგი – იონა ხელაშვილის მამა. 89

ხელაშვილი გიორგი – იონა ხელაშვილის უმცროსი ძმა. 62 83 85 95 97 99 106 107 110 112 115 121 122

ხელაშვილი გრიგოლ – იონა ხელაშვილის გარდაცვლილი ძმის, იოსების, შვილი. 62 72 80 94 96 107 108

ხელაშვილი დიმიტრი – იონა ხელაშვილის ძმის, გიორგის, შვილი. 62 111

ხელაშვილი იოანე – იონა ხელაშვილის ძმის, სოლომონის, უფროსი შვილი. 62 68 69 72 79 80 91 94 95 96 99 106 107 108 110 112 113 115 116 117 119

ხელაშვილი იოზ – იონა ხელაშვილის ძმა. 62

ხელაშვილი იონა (1772-1837) – ცნობილი სასულიერო პირი და ღვთისმეტყველი, მწიგნობარი, ფილოსოფოსი, მკვლევარი, ერეკლე II-ის შვილებისა და შვილიშვილების კარის მღვდელი პეტერბურგში. 1800 წელს იონამ მიატოვა ბატონიშვილების სასახლე და ბერად აღიკვეცა ქვათახევის მონასტერში, შემდეგ ფარნაოზ ბატონიშვილთან ერთად გაემგზავრა მოსკოვში. ავტორის მიმართვის გარდა: გვ. 107 119 120 121

ხელაშვილი იოსებ – იონა ხელაშვილის უფროსი ძმა. 62

- ხელაშვილი კონია** – იონა ხელაშვილის ძმის, სოლომონის, უფროსი ქალიშვილი. 62 110 112 116 117 122
- ხელაშვილი მაია** – იონა ხელაშვილის გარდაცვლილი ძმის, იოსების, შვილი. 62
- ხელაშვილი მაია** – იონა ხელაშვილის ძმის, სოლომონის, მეუღლე. 62 110 117
- ხელაშვილი მართა** – იოსებ ხელაშვილის ქვრივი. 62
- ხელაშვილი მარიამ** – იონა ხელაშვილის გარდაცვლილი ძმის, იოსების, შვილი. 62
- ხელაშვილი მიხეილ** – იონა ხელაშვილის ძმის, სოლომონის, შვილი. 20 62 106 107 109 110 111 112 115 116 117 118
- ხელაშვილი ნატალია** – იონა ხელაშვილის რძალი, გიორგი ხელაშვილის მეუღლე. 62
- ხელაშვილი (ხელაევი) ნიკოლოზ გიორგის ძე** – არქიმანდრიტი, მწერალი. დავით ალექსიშვილის მონაფე. განსწავლული იყო ფილოსოფიაში, ყოფილა კარგი მგალობელიც. 63 79
- ხელაშვილი ნოდარ** – იონა ხელაშვილის ძმის, სოლომონის, უმცროსი შვილი. 62 110 112 115 116 117
- ხელაშვილი სოლომონ** – იონა ხელაშვილის მესამე ძმა. 62 63 66 68 72 79 80 85 90 91 94 97 106 107 108 109 110 112 115 117 119 122
- ხელაშვილი სოფიო** – იონა ხელაშვილის ძმის, სოლომონის, უმცროსი ქალიშვილი. 62 110 112 116 117 122
- ხირსელაშვილი** – სოლომონ დოდაშვილის დის ქმარი. ხირსელაშვილები სიღნაღის მაზრის აზნაურები იყვნენ. 68

ხოვენი რომან (რეინგოლდ) ივანეს ძე – სამოქალაქო გუბერნატორი. 86 100

ჯავახიშვილი ანა – სოლომონ დოდაშვილის მეუღლის, ელენე კობიაშვილის, დედა. 75

ჯაფარა – ირანელი მომღერალი. 160 161

ჯემალ-ედ-დინი – შამილის შვილი. 1839 წელს, როდესაც იგი წლის იყო, მამამისმა რუს გენერალს, ალექსანდრე გრაბეს, მძევლად გადასცა ოჯახის სხვა წევრებისა და მებრძოლების გადარჩენის მიზნით. 1855 წელს შამილმა იგი ჭაჭავაძეების ოჯახის წევრებზე გადაცვლის შედეგად დაიბრუნა. ჯემალ-ედ-დინი ალიზარდა რუსეთში ქართველი არისტოკრატის მიერ. მიიღო კარგი განათლება და ტრიალებდა რუსეთის მაღალ საზოგადოებაში. შემდგომში ქრისტიანად მოინათლა და ვარშავაში დაბანაკებული რუსის ჯარის ოფიცერი გახდა. 141

ჯორაკის ქალი ბარბარე – ვერ გავარკვეით მისი ვინაობა. 165

ჯორჯაძე დავით ივანეს ძე – წარმოშობით კახელი თავადიშვილი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, პოდპორუჩიკი, თბილისის ფეხოსანთა პოლკის პრაპორშჩიკი. 1825 წელს დაუმთავრებია თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი, შემდეგ კი კადეტთა კორპუსში შესულა. 1825-1830 წლებში პეტერბურგში უცხოვრია და ახლო ურთიერთობა ჰქონია ბატონიშვილებთან. 89

ჯორჯაძე დიმიტრი დავითის ძე (1822-1883) – საოლქო კანცელარიის გამგე დალესტანში, ქალაქ თემირხანშურაში. 139

პალიკარნასელი დიონისე – ბერძენი ისტორიკოსი და რიტორიკოსი. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა რომში. ასწავლიდა რიტორიკას. მისი ძირითადი ნაწარმოებებია „რომის სიძველეები“, „რომის ისტორია ქალაქის დაარსებიდან | პუნიკურ ომამდე“ (264 წ. ჩვ. წ. აღ-მდე). ამ ისტორიის 20 ნიგნიდან სრულადაა შემორჩენილი მხოლოდ 10. დიონისეს განსაკუთრებით აინტერესებდა რომის რელიგია და პოლიტიკური დანებებულებები. ცდილობდა, დაერწმუნებინა ბერძნები რომის მმართველობის უპირატესობაში. 26

ჰასან (ხასან)-ხანი – სპარსეთის ლაშქრის მეთაური, რომელიც 1827 წელს დაამარცხა და დაატყვევა პასკევიჩმა. ბრძოლა ერზიმიძინის ტაძრის ახლოს მომხდარა. ამ გამარჯვებამ შთააგონა გრიგოლ ორბელიანს პოემა „სადღეგრძელოს“ შექმნა. 69

ჰასენდი ჰიერ – ფრანგი თეოლოგი, ასტრონომი და ფიზიკოსი. 32

ჰესენელი ალექსანდრე – (1823-1888) ჰესენის პრინცი, ჰესენის დიდი ჰერცოგინია ვილგელმინა ბადენისა და მისი კამერგერის – ბარონ ფონ სენარკლენ დე გრანსის – უკანონო შვილი, რომელიც დიდმა ჰერცოგმა ლუდვიგ მეორე ჰესენელმა, სკანდალის თავიდან აცილების მიზნით, კანონიერ შვილად ცნო. ავსტრიის კავალერიის გენერალი, რომელიც 1840 წლიდან რუსეთის არმიის სამსახურში იყო. 165

გეოგრაფიულ და წარმომავლობის სახელთა ანოტირებული

ავარელი – იგივე ხუნძი. ხუნძები წარმოადგენენ ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს დაღესტნის ხალხებს შორის. ავარელების სახელით, ძირითადად, რუსულ ლიტერატურაში არიან ცნობილნი, ქართულ ისტორიულ წყაროებში ამ ტომებით დასახლებული ქვეყანა ხუნძეთად მოიხსენიება, თუმცა ეთნონიმი „ავარელი“ ქართულ საისტორიო ლიტერატურაშიც დასტურდება. 141

ავარია – ხუნძებით დასახლებული სოფელი დაღესტანში. 147
149

ათენი – საბერძნეთის დედაქალაქი. ძველი ათენი მსოფლიოს ერთ-ერთი ძლიერი ქალაქი და განათლების ცენტრი იყო. ქალაქის სახელწოდება დაკავშირებულია ძველ ბერძნულ მითოლოგიურ ქალღმერთ ათინასთან. 26

ალაზნის ველი – მდებარეობს კახეთში, კავკასიონისა და გომბორის ქედის ძირას. მას მთელ სიგრძეზე კვეთს მდინარე ალაზანი. 136

ამიერკავკასია – კავკასიის შემადგენელი ნაწილი, ჩრდილოეთ კავკასიისაგან გამოყოფილია კავკასიონის ქედით. 104

ანაგა – სოფელი აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, ქიზიყში, სიღნაღის რაიონში. 68

ანდალალი – ახლანდელი დაღესტნის ცენტრალური მთიანი სოფლების ერთობლიობა, რომელიც ქმნის ანდალალის დამოუკიდებელ საზოგადოებას. ანდალალი ყოველთვის იყო ერთ-ერთი ძლიერი დაღესტნის დამოუკიდებელ საზოგადოებათა შორის. 141

ანჩისხატის უბანი – ძველი თბილისის ერთ-ერთი უბანი, მოიცავს ანჩისხატის ეკლესიის მიდამოებს. 138

არზრუმი – თურქეთის ქალაქი, საიდანაც დღევანდელი ახალქალაქისა და ახალციხის სომხური მოსახლეობაა ჩამოსახლებული. 109

ატენი – სოფელი ატენის ხეობაში, მდინარე ტანის ნაპირებზე. როგორც ქალაქი, დაარსდა XI ს-ში ბაგრატ IV-ის მიერ. შუა საუკუნეების საქართველოში მნიშვნელოვან ქალაქს წარმოადგენდა. XVIII საუკუნისთვის მტრის ხშირი შემოსევების შედეგად დასუსტდა და სოფლად იქცა. 158

ახალგორი – დაბა მდინარე ქსნის მარცხენა სანაპიროზე, ალევის ქედის დასავლეთ კალთაზე. დაარსებულია ჩვ. წ. აღმდე II ს-ში, მეფე საურმაგის დროს. 1935-1991 წლებში ერქვა ლენინგორი. ფეოდალიზმის ეპოქაში ახალგორი ქსნის ერისთავთა რეზიდენციას წარმოადგენდა. 1960 წელს დაბის სტატუსი მიენიჭა. შედის ახალგორის რაიონში. 157 158

ახტა – დალესტნის ყველაზე მსხვილი აული, მდებარეობს ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, ახტისა და სამურის მდინარეების შენაკადთან. ცნობილია ჩვ. წ. აღ-მდე V ს-იდან. სოფელი ადრე კავკასიის ალბანეთის შემადგენლობაში შედიოდა ტლურის სახელწოდებით, შემდეგ – ლაკსის ადრე-ფეოდალურ სახელმწიფოში, შუა საუკუნეებში კი – რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. 142

ახტელელი – ახტის მაცხოვრებელი. 141

ბალტია – ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპის მხარე. აერთიანებს ლიტვის, ლატვიის, ესტონეთისა და აღმოსავლეთ პრუსიის რესპუბლიკებს. 55

ბახმუტი – ქალაქ არტიომოვსკის სახელი 1924 წლამდე. შედის უკრაინაში, დონეცკის ოლქში. 59

ბერძენი – 26

ბორჯომი – ქალაქი საქართველოში 1918 წლიდან. მისი დაარსება განაპირობა იქ აღმოჩენილმა მინერალურმა წყალმა. 165 166

განჯა – აზერბაიჯანის სიდიდით მეორე ქალაქი. რუსეთის იმპერიის პერიოდში ერქვა ელიზავეტპოლი, ხოლო 1935-

1991 წლებში – კიროვაბადი. 1991 წლის შემდეგ დაერქვა განჯა. ისტორიულად სპარსეთის მნიშვნელოვან ქალაქს წარმოადგენდა. 113 166

გერმანია – ქვეყანა ცენტრალურ ევროპაში. მოსახლეობის რაოდენობით მეორეა ევროპაში და პირველი – ევროკავშირში. 26

გორი – საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი. მდებარეობს მტკვრისა და ლიახვის შესართავთან. ისტორიულ წყაროებში VII ს-იდან ჩნდება, თუმცა ზოგიერთი დოკუმენტის მიხედვით, მისი დაარსება დავით აღმაშენებელს უკავშირდება. ოფიციალურად ქალაქად 1801 წლიდან იხსენიება. 121 158

გურული 139

დარღო – მაღალმთიანი ჩეჩნური სოფელი. მდებარეობს მდინარე აკსაის მარჯვენა სანაპიროზე. ჩეჩნურ ენაზე „დარღო“ „იარაღის პირებს“ ნიშნავს. ეს სოფელი ჩეჩნეთის იარაღის წარმოების ცენტრს წარმოადგენდა. 1840-1845 წლებში აქ იყო განთავსებული შამილის რეზიდენცია. 141

დაღესტანი – დაღესტნის რესპუბლიკა შედის რუსეთის სამხრეთ ფედერალური ოლქის შემადგენლობაში. დედაქალაქი – მახაჩკალა. ტერიტორია დასახლებული ყოფილა პალეოლითის ეპოქიდან. 1813 წელს დაღესტანი რუსეთ-ირანის გიულისტანის ხელშეკრულებით რუსეთის იმპერიას მიუერთეს. 1860 წელს კი დაარსდა რუსეთის იმპერიის დაღესტნის ოლქი. 1920 წელს გამოცხადდა დაღესტნის ავტონომია, 1921 წელს დაარსდა დაღესტნის ასსრ. 1991 წელს დადგინდა მისი სტატუსი – დაღესტნის რესპუბლიკა – რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. 157 166

დილიჯანი – ქალაქი სომხეთში, დასასვენებელი ადგილი. მდებარეობს მდინარე ალსტევის (მტკვრის შენაკადი) ნაპირზე.
164 165

დუშეთი – ქალაქი საქართველოში, არაგვის ერისთავთა ყოფილი რეზიდენცია. მდებარეობს მდინარე დუშეთისხევის ნაპირებზე. წყაროებში 1215 წლიდან იხსენიება. 1756 წელს ფეოდალური ქალაქის სტატუსი მიიღო. ოფიციალურად ქალაქად 1801 წელს გამოცხადდა. 1802 წელს კი ახლადშექმნილი დუშეთის მაზრის ცენტრი გახდა.
121

ევროპა – ევრაზიის კონტინენტის ნაწილი. მსოფლიო ცივილიზაციის უმნიშვნელოვანესი კერა. გარშემორტყმულია ატლანტისა და ჩრდილო ყინულოვანი ოკეანეებითა და მათი ზღვებით. 40 44 55 148

ეკატერინოსლავი – ქალაქი უკრაინაში, მდინარე დნეპრზე. დაარსებულია XVIII საუკუნის 80-იან წლებში. სახელი დაერქვა ეკატერინე II-ის საპატივსაცემოდ. 1926 წლიდან ოფიციალურად იწოდება დნეპროპეტროვსკად. 59

ელადა – ძველი საბერძნეთი. 103

ელისეის მინდვრები – პარიზის ერთ-ერთი მთავარი ღირსშესანიშნაობა, მისი ყველაზე დიდი გამზირი. მდებარეობს ქალაქის ჩრდილო-დასავლეთით. სახელწოდება მომდინარეობს ბერძნული მითოლოგიიდან, რომლის მიხედვითაც, სამოთხეში მდებარეობს ელისეის მინდვრები – ღვთისთვის სათნო სულების ადგილი. 1640 წელს ვერსალის სასახლის პეიზაჟისტმა ლე ნოტრმა ამ მიდამოებში ლუვრიდან ტუილერამდე ხეები დარგო. 1838 წელს შანზ-ელიზე არქიტექტორმა ჟაკ იტორფმა მოაწყო, ხოლო ნაპოლეონ III-ის დროს ბაღების დიზაინზე ჟან-შარლ ალფანმა იმუშავა. 150

ელისუ – ძველი კახეთის ნაწილი. შედიოდა ზაქათალის ოლქში.
142 156

ერევანი – მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი. 2010 წელს მას დაარსებიდან 2792 წელი შეუსრულდა. მდებარეობს მდინარე რაზდანზე. ძველი სახელწოდებებია „ერებუნი“ და „ერივანი“. სახელები „არმინია“ და „არმინა“ გვხვდება სპარსეთის მეფის, დარია I-ის (მეფობდა 522-486 წლებში), მმართველობის დროს შესრულებულ ლურსმული დამწერლობის ნიმუშში. სომხეთის ისტორიაში პირველად VI საუკუნეში იხსენიება. ფიქრობენ, რომ სომხები ამ ტერიტორიაზე შევიდნენ ევროპიდან მცირე აზიის გავლით. 69 142 143

ვაქირი – სოფელი აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, ქიზიყში, სიღნაღის რაიონში. 85

ზაქათალა – ქალაქი აზერბაიჯანში. მდებარეობს ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით. 149

თავრიზი – ირანის აზერბაიჯანული პროვინციის მთავარი ქალაქი; სიდიდით მეოთხეა ქვეყანაში; მდებარეობს ურმიის ტბასთან. ისტორიკოსთა ნაწილი თვლის, რომ იგი დაარსდა სომხეთის მეფე ხოსრო I-ის მიერ 253 წელს, ხოლო მუსულმანური გადმოცემის მიხედვით – ხალიფ ჰარუნ-ალ-რაშიდის მეუღლის მიერ 791 წელს. მონღოლების ბატონობის დროს XIII ს-ის შუა წლებიდან XVI ს-ის დასაწყისამდე იგი სპარსეთის დედაქალაქი იყო. 160

თარაქმა – აზერბაიჯანელთა განსხვავებული ეთნიკური ჯგუფი, თურქული მოდგმის ტომი. 165

თბილისი – საქართველოს დედაქალაქი. 42 53 54 55 56 59 60 61 63 65 66 69 76 79 82 84 85 86 87 89 91 95 97 98 101 102 103 104 105 106 109 111 113 115 116 117 119 120 121 123 124 125 131 135 136 138 139 140 144 145 147 149 152 154 155 156 162 166

თელავი – ძველი სატახტო ქალაქი აღმოსავლეთ საქართველოში. პირველი დასახლება აქ გვიანდელი ბრინჯაოს ხანიდან დასტურდება. პირველად მოხსენიებულია ძველი ბერძენი გეოგრაფის – კლავდიოს პტოლომეს – ნაშრომში „თელედას“ სახელწოდებით. ქართულ წყაროებში XI ს-იდან გვხვდება. 63 119

- ივერია** – უძველესი სახელმწიფო აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე. 39 40 45 65 85
- იზიუმი** – უკრაინის ქალაქი. მდებარეობს მის აღმოსავლეთ ნაწილში. შედის ხარკოვის ოლქში. წყაროებში პირველად 1571 წელს იხსენიება. ამ დროისთვის წარმოადგენდა სლობოდა უკრაინის მნიშვნელოვან ცენტრს. 1688-1765 წლებში აქ განთავსებული იყო კაზაკთა ლეგიონი. 59
- იმერეთი** – დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი კუთხე. 157
- ინგლისი** – გაერთიანებული სამეფოს ადმინისტრაციული ერთეული, მოიცავს დიდი ბრიტანეთის კუნძულის ორ მესამედს. დედაქალაქი – ლონდონი. 26 97
- იტალია** – ევროპის ცენტრალიზებული სახელმწიფო, დემოკრატიული რესპუბლიკა 1946 წლიდან; საკმაოდ ჰომოგენური ქვეყანა ლინგვისტური და რელიგიური თვალსაზრისით, მაგრამ განსხვავებული კულტურულად, ეკონომიკურად და პოლიტიკურად. XIII-XVI საუკუნეებში იტალია დასავლეთ სამყაროს კულტურულ ცენტრად ჩამოყალიბდა. 63
- კავკასია** – სამ – შავ, კასპიისა და აზოვის – ზღვას შორის მოქცეული რეგიონი, უმდიდრესი მხარე ეთნიკურად და ლინგვისტურად. კავკასიონის ქედით ორ ნაწილადაა გაყოფილი – ამიერკავკასიად და ჩრდილოკავკასიად. 56 115
- კასპიის ოლქი** – რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი. შეიქმნა იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ბრძანებით 1840 წელს. მას შემდეგ, რაც 1846 წელს ამიერკავკასიის მხარე დაიყო 4 გუბერნიად – თბილისის, ქუთაისის, შემახისა და დერბენტის, კასპიის ოლქი გაუქმდა. 157
- კახეთი** – აღმოსავლეთ საქართველოს კუთხე. მოიცავს თელავის, ახმეტის, გურჯაანის, ყვარლის, დედოფლისწყაროს, სიღნაღის, ლაგოდეხის, საგარეჯოს რაიონებს, აგრეთვე თუშეთს. 61 76 86 119
- კოლხეთი** – კოლხეთის სამეფო წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოს დიდ სახელმწიფოებრივ ერთეულს. მოიცავდა

დღევანდელ სამეგრელოს, იმერეთს, გურიას, სვანეთს, აჭარას, რაჭას, აფხაზეთს, თურქეთის რიზეს პროვინციას, ტრაპიზონისა და ართვინის პროვინციების ნაწილს. 56

კოჯორი – სამთო-კლიმატური კურორტი თრიალეთის ქედის განშტოებაზე. მისი სახელწოდება სვანურია: „კოჯორი“ ქვიანს ნიშნავს. 1968 წელს დაბის სტატუსი მიენიჭა. მის სამხრეთით მდებარე ციხე-სიმაგრის (აგარანი, აზეულის ციხე) უძველესი ფენა არა უგვიანეს XI საუკუნის II ნახევრით თარიღდება. 132

ლეკი – ირანული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი. 141 143 154

მარტყოფი – საქართველოს ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი სოფელი. მდებარეობს თბილისის მახლობლად, გარდაბნის რაიონში (გარე-კახეთი, ალიხევისა და ტევალის მდინარეების ხეობები). ფიქრობენ, რომ სახელწოდება მარტყოფი დაკავშირებულია ერთ-ერთი ასურელი მამის, ანტონ მარტყოფელის, სახელთან. VI საუკუნემდე სოფელს აკრიანი ერქვა. მარტყოფის ტერიტორია I-II საუკუნეებიდანაა დასახლებული. 148

მალარო – სოფელი აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, ქიზიყში, სიღნაღის რაიონში. 106 113

მალაროელი 37 82

მთიელი 121

მთიულეთი – მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, კერძოდ, კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე. მთიულეთად დღეს დაბა ფასანაურის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია მიიჩნევა. ადრე მთიულეთად გუდამაყარიც მოიაზრებოდა. 121

მოსკოვი – რუსეთის ფედერაციის დედაქალაქი. სხვადასხვა დროს იყო მოსკოვის დიდი სამთავროს, რუსეთის სამეფოს, რუსეთის იმპერიის, საბჭოთა რუსეთის, საბჭოთა კავშირის დედაქალაქი. მდებარეობს რუსეთის ევროპული ნაწილის ცენტრში, ოკისა და ვოლგის შუამდინა-

რეთში, მდინარე მოსკოვის ორივე ნაპირზე. წყაროებში პირველად 1147 წლიდან მოიხსენიება. XIII ს-ის დასაწყისში იგი სამთავროს ცენტრი იყო. 52 53 54 55 56 59

მტკვარი – ამიერკავკასიის უდიდესი მდინარე. სათავეს თურქეთში, ყიზილ-გიადუკის მთის კალთაზე, იღებს. ჩაედინება კასპიის ზღვაში, აზერბაიჯანში. მისი აუზი მოიცავს სომხეთის მთელ ტერიტორიას, აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიების დიდ ნაწილს, თურქეთისა და ირანის ტერიტორიების ნაწილს. საქართველოში ვარძიის მახლობლად შემოდის. 133 135 136

მურუტი – სოფელი კიროვაბადის რაიონში, მდინარე განჯაზე, სოფელ ზურნაბადის მახლობლად. 163 165 166

მუხრანი – ისტორიული რეგიონი აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, ქართლში. წარმოადგენდა ქართლის ბაგრატიონთა ერთ-ერთ რეზიდენციას და სანადირო ადგილს. 114

მუხროვანი – სოფელი ქვემო ქართლში, გარდაბნის რაიონში. 148

ნახჭევანი – აზერბაიჯანის შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქი, მაზრის ქალაქი ყოფილი ერევნის გუბერნიაში. მდებარეობს მდ. არაქსზე. დაარსდა დაახლოებით ძვ. წ. VI საუკუნეში. 1828 წელს შეუერთდა რუსეთს თურქმანჩაის ხელშეკრულებით, 1924 წელს ზერბაიჯანის ნაწილი გახდა. 59 160 161

ნიჟნი-ნოვგოროდი – რუსეთის ერთ-ერთი ძველი ქალაქი. მდებარეობს მდინარეების – ოკისა და ვოლგის – შესართავთან. 1932 წლიდან 1990 წლამდე ეწოდებოდა გორკი რუსი მწერლის, მაქსიმ გორკის, საპატივსაცემოდ. 41 52

ნოვგოროდი – რუსეთის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი. მდებარეობს ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით. 2009 წელს მისი დაარსებიდან 1150 წლის იუბილე აღინიშნა. 51

ოდესა – უკრაინის შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქი. მოსახლეობის რაოდენობით მესამე ადგილზეა უკრაინაში. 156

ოძისი – სოფელი ხაშურის რაიონში. მდებარეობს ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე. ისტორიულ წყაროებში მოიხსენიება 1693 წლიდან. წარმოადგენდა აბაზაძეთა საგვარეულოს საკუთრებას. 157

პეტერბურგი – სანკტ-პეტერბურგი, ქალაქი ჩრდილოეთ ევროპაში, რუსეთის ფედერაციის ჩრდილო-დასავლეთით, მნიშვნელოვანი ტურიზმის ცენტრი, რუსეთის იმპერიის დედაქალაქი XVIII-XX საუკუნეებში. 1914-1924 წლებში ერქვა პეტროგრადი, 1703-1914 და 1924-1991 წლებში – ლენინგრადი. 22 27 28 30 42 50 53 55 59 83 85 87 95 103 111 119 123-124 146 154

რიჭა – ნერილობითი წყაროების, ადგილობრივი გადმოცემებისა და არქეოლოგიური გათხრების მიხედვით, რიჭა X სიდან არსებობს, როგორც მსხვილი დასახლებული პუნქტი. სოფელი მნიშვნელოვანი სტრატეგიული და მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო სწრაფად გაიზარდა მოკლე დროში და ერთ-ერთ მოწინავე დასახლებად იქცა XI-XII სს-ების სამხრეთ დაღესტანში. 151

რომაელი 26

რომი – ევროპისა და მსოფლიოს ერთ-ერთი წარჩინებული ქალაქი, იტალიის დედაქალაქი 1870 წლიდან. VIII ს-იდან ამ დრომდე ის პაპის სამფლობელოს დედაქალაქი იყო, 1871 წელს გახდა იტალიის სამეფოს, ხოლო 1946 წელს – იტალიის რესპუბლიკის დედაქალაქი. მდებარეობს ტიბროსის ნაპირებზე, ხმელთაშუა ზღვასთან. ლეგენდის თანახმად, ქალაქის დაარსება ტყუპ ძმას – რომულუსსა და რემუსს – უკავშირდება ჩვ.წ. აღ-მდე VIII ს-ში. 20 26

რომის იმპერია – პრინციპატის ეპოქაში (27-284), ოქტავიანე ავგუსტუსის დროიდან, რომი წარმოადგენდა იმპერატორის რეზიდენციას. დომინატის ეპოქაში (284-476) რომს ჰქონდა ხანმოკლე აყვავების პერიოდი, რის შემდეგაც დაკარგა პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, 330 წელს იმპერატორის რეზიდენციის კონსტანტინოპოლში გადატანის გამო. რომმა

არაერთგზის განიცადა დაცემა და აოხრება მანამ, სანამ დასავლეთ რომის იმპერიის უკანასკნელი იმპერატორი – რომულ ავგუსტული — 476 წელს ჩამოგდებულ არ იქნა მეფე რუგი ოდოაკრის მიერ. 152

როსტოვი – რუსეთის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი. მდებარეობს ნეროს ტბის ჩრდილო-დასავლეთ ნაპირზე, მოსკოვ-იაროსლავლის ავტომაგისტრალზე. ისტორიულ წყაროებში პირველად 862 წელს იხსენიება. ლეგენდის მიხედვით, სახელი თავისი დამაარსებლის საპატივსაცემოდ დაერქვა. 988-1010 წლებში მას მართავდა იაროსლავ ბრძენი, კიევის მთავარ ვლადიმერ სვიატოსლავის ძის შვილი. 1207 წელს როსტოვი დამოუკიდებელი სამთავროს დედაქალაქი გახდა. 1589-1788 წლებში მიტროპოლიტის რეზიდენციას წარმოადგენდა. 59

რუსეთი – მსოფლიოს უდიდესი ქვეყანა, ფლობს აღმოსავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ აზიის უდიდეს ნაწილს. პირველი რუსული სახელმწიფო იყო კიევის რუსეთი. შემდეგ შეიქმნა რუსეთის სამეფო, რომელიც პეტრე დიდის დროს იმპერიად გამოცხადდა. იმპერია შეცვალა საბჭოთა კავშირმა. ეს უკანასკნელი 1992 წელს დაიშალა. დღეს რუსეთში სულ მცირე 60 ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობს. 20 26 86

რუსი – სლავური ტომის ხალხი. 52 56 75 78 116 141 142 იხ. სლავი.

საბერძნეთი – ქვეყანა ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. პირველი ევროპული სივრცე, სადაც ადრინდელი ცივილიზაციები წარმოიშვა. თანამედროვე ბერძნულ სახელმწიფოდ 1830 წლისთვის ჩამოყალიბდა. 26

სამურის ოლქი – უკავია დაღესტნის უკიდურესი სამხრეთი ნაწილი, ცენტრი – სოფელი ახტა. მდებარეობს კავკასიის მთავარი ქედის ჩრდილო ფერდობის გასწვრივ. მოიცავს მდინარე სამურის სათავეებს. შეიქმნა 1839 წელს. 1840

ნლიდან შედიოდა კასპიის ოლქის, 1846 წლიდან – დერ-ბენტის გუბერნიის, 1860 წლიდან დაღესტნის ოლქის, ხოლო 1921 წლიდან დაღესტნის რესპუბლიკის შემადგენლობაში. 1928 წელს გაუქმდა. 150 151 154

საფრანგეთი – დასავლეთ ევროპის ქვეყანა. რუსეთისა და უკრაინის შემდეგ ერთ-ერთი უდიდესია ევროპულ ქვეყნებს შორის. ძველ დროში საფრანგეთი კელტური ტერიტორიის ნაწილს წარმოადგენდა. 26; 100

საქართველო 39 41 42 47 54 63 72 75 78 82 96 115 119 121 122
123 142 146 150 151

სიღნაღელი 60 108

სიღნაღი – ქალაქი აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, კახეთში. მდებარეობს მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირზე. ქალაქად გამოცხადდა 1801 წელს, თუმცა ერეკლეს ბრძანებით, 1770 წელს შედგენილ ქალაქთა სიაში ისიც არის მოხსენიებული. 1938 წელს მაზრად გადაკეთდა. 1991 წლიდან სიღნაღის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრია. 85 86 87 97 108 112 113 115 117 119

სლავი – სლავი ხალხი აერთიანებს სამ დიდ შტოს: აღმოსავლეთის, დასავლეთისა და სამხრეთის. პირველ ჯგუფში შედიან: რუსები, უკრაინელები და ბელორუსები, მეორეში – ჩეხები, სლოვაკები, პოლონელები, მაზურები, ობოტრიტები, ხოლო მესამეში – ბულგარელები, სლოვენები, სერბები, მაკედონელები, ხორვატები. 46

სლობოდო-უკრაინა – რუსეთის სამხრეთ-დასავლეთ საზღვარზე მდებარე ქვეყანა, ისტორიული რეგიონი, რომელიც საკმაოდ წარმატებული იყო XVII-XVIII საუკუნეებში. 57

სომეხი 59 75 116

სომხეთის ოლქი – შეიქმნა 1952 წელს კიროვაკანისა და ლენინაკანის ოლქებთან ერთად (ცენტრით ერევანი). აერთიანებდა ერევნისა და ნახჭევანის სახანოებს. 10

სპარსეთი – ქვეყანა ჩრდილო-დასავლეთ აზიაში. წარსულში ერთ-ერთი უძლიერესი იმპერია. 1935 წლიდან ოფიციალურად ინოდება ირანად. 10 161

სპარსი 69

ქართველი 75 78 90 104 114 115 116 118 120-121 125 139 140
142 147 148 150 154 156 160

ქართლი – საქართველოს ცენტრალური რეგიონი. მდებარეობს ქვეყნის აღმოსავლეთით. ტერიტორია ძვ. წ. აღ-ის IV ს-ში იბერიის სამეფოში შედიოდა. იბერიის, იგივე ქართლის სამეფო, შეიქმნა ძვ. წ. IV- ახ. წ. V ს-ში. X ს-ში ქართლი გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს ცენტრი გახდა, XV-XVIII სს-ებში ჩამოყალიბდა ქართლის სამეფო, რომელიც 1801 წელს გაუქმდა. 157 158 162

ქიზიყი – რაიონი აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, კახეთში. მისი ძველი სახელწოდებაა კამბეჩოვანი. წყაროებში XV საუკუნიდან დასტურდება. მოიცავს დღევანდელი სიღნაღისა და დედოფლისწყაროს ტერიტორიას. 59 62 63 72 76 79 84 85 90 113 121 122

ქუთაისი – სიდიდით მეორე ქალაქი საქართველოში. გაშენებულია მდინარე რიონზე. ოფიციალურად ქალაქად 1811 წელს გამოცხადდა, თუმცა მანამდეც ქალაქთა რიცხვში მოიხსენიებოდა. ქუთაისი წყაროებში ძვ. წ. III ს-იდან ჩნდება, ანტიკური ეპოქის ავტორები მას ძველი კოლხეთის სამეფოს (ძვ. წ. VIII ს.) დედაქალაქად მიიჩნევდნენ. 148

ყაზახი – საჯირითო, საბურთაო და სააზპარეზო მოედანი თბილისის ცენტრში, ქაშუეთის ეკლესიის მიდამოებში, ამჟამინდელი „9 აპრილის ბაღის“ ტერიტორიაზე. 132 133 161

ყაზახი – აზერბაიჯანის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი 1930 წლიდან. მდებარეობს ქვეყნის დასავლეთ ნაწილში, მდინარე ალსტაფზე. XVIII ს-ში იგი ყაზახის სასულთნოს დედაქალაქი, ხოლო რუსეთის იმპერიაში – ელიზავეტპოლის გუბერნიის ყაზახის მაზრის ადმინისტრაციული ცენტრი იყო. 164

ყაზიყუმუხელი – იგივე ლეკი, დაღესტნური ტომის წარმომადგენელი. ყაზიყუმუხი მთიელთა ამ მოდგმის ტრადიციული ქართული სახელწოდებაა. 141

ყირიმი – ავტონომიური რესპუბლიკა 1991 წლიდან. განთავსებულია ყირიმის ნახევარკუნძულზე, შავი ზღვის ჩრდილოეთით. შედის უკრაინის შემადგენლობაში. 59

ჩერვლენაია – კაზაკების დასახლება ჩეჩნეთში, თერგის მარცხენა სანაპიროზე, გროზნოდან 40 კილომეტრის დაშორებით. 158

ჩუგუევი – კიევის ქალაქი. მდებარეობს მდინარე ჩრდილო დონეცის მარჯვენა სანაპიროზე. შედის ხარკოვის ოლქში. დაარსებულია კაზაკების მიერ. მისი წარმოშობის დროის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. XIX ს-ის დასაწყისში 8 სამხედრო დასახლების ცენტრს წარმოადგენდა. 1780 წელს მიენიჭა ქალაქის სტატუსი. 59

წინანდალი – სოფელი აღმოსავლეთ საქართველოში, შედის თელავის რაიონის შემადგენლობაში. ისტორიულ წყაროებში იგი პირველად XV საუკუნიდან დასტურდება. ამ დრომდე იგი სახარისის სახელითაა ცნობილი. წინანდლის დასახლება მეფე ვახტანგ VI-ის ვაჟის, ვახუშტი ბაგრატიონის, „საქართველოს გეოგრაფიაში“ ნახსენები. ჭავჭავაძეების ოჯახის ისტორია აქ XVII ს-იდან იწყება. 14 15

წყნეთი – მდებარეობს თბილისთან ახლოს, მდინარე ვერის ხეობაში. ძველთაგანვე ცნობილია, როგორც სააგარაკო ადგილი. 136

ჭარ-ბელაქანი – იგივე საინგილო. სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ნაწილი. 1813 წელს გიულისტანის ხელშეკრულების საფუძველზე რუსეთის შემადგენლობაში შევიდა, მაგრამ მაშინ რუსეთს არ შეეძლო, აქ თავისი მუდმივი ჯარი ჰყოლოდა, რის გამოც ვერ შეძლო თავისი მმართველობის დამყარება. 1826-1828 წლის რუსეთ-ირანის ომის შემდეგ, 1830 წელს, რუსეთის ჯარმა დაიპყრო ჭარ-ბელაქანი და სწრაფადვე დაამყარა რუსული მმართველობა. ამავე წელს აქ რუსების წინააღმდეგ ინგილოთა აჯანყებამ იფეთქა, რომელიც სასტიკად იქნა ჩახშობილი. ჭარ-ბელაქნის ტერიტორია ცალკე მხარედ გამოყვეს, მოგვიანებით ზაქათალის ოლქს შეუერთეს და თბილისის გუბერნიას დაუქვემდებარეს. 1921 წელს აზერბაიჯანს გადაეცა.113

ხარკოვი – სიდიდით მეორე ქალაქი უკრაინაში. მდებარეობს მის ჩრდილო-აღმოსავლეთით. 56 57 59 84

ეპისტოლეთა ენის საკითხები

| ტომში წარმოდგენილი სამივე ავტორი – ალექსანდრე ჭავჭავაძე, სოლომონ დოდაშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი – ერთ პერიოდში – XIX საუკუნის I ნახევარში მოღვაწეობდნენ და მათი ნაწერებიც, ცხადია, ამ ეპოქის ენობრივი თავისებურებებითაა აღბეჭდილი. ეს პერიოდი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში, ძირითადად, ფორმათა სიჭრელით გამოირჩევა, რაც მას მემკვიდრეობით საშუალო საუკუნეების ქართულიდან ერგო და რაც ძველი და ახალი ქართულის ენობრივი მოვლენების თანაარსებობით იყო განპირობებული. გამონაკლისს არც ჩვენი ავტორების ნაწერები წარმოადგენს.

წერილები გამოცემაში იბეჭდება როგორც ავტოგრაფების, ასევე სხვადასხვა პირის მიერ შესრულებული ხელნაწერების, ან ნაბეჭდი ტექსტების მიხედვით. ხელნაწერებითა თუ ნაბეჭდი ტექსტებით ვისარგებლეთ მხოლოდ ავტოგრაფების არარსებობის შემთხვევებში. აღსანიშნავია, რომ ყველა წერილი მხოლოდ ერთი პირის სახითაა მოღწეული, რის გამოც არ დამდგარა ძირითადი ტექსტის დადგენისა და, შესაბამისად, ვარიანტული მონაცემების სქოლიოში აღნიშვნის საკითხი.

ავტორთა მოღვაწეობის დროის გათვალისწინებით, ბოლომდე შევინარჩუნეთ პარალელიზმები, არ შეგვისწორებია დიალექტური თუ სასაუბრო ფორმები. გავასწორეთ მხოლოდ კალმისმიერი შეცდომები და ფსევდოგრამატიზებული დანერილობები, ხოლო ტექსტური მონაცემები შენიშვნებში ავსახეთ.

ფსევდოგრამატიზებული დანერილობაა, მაგ., ზმნაში პირის მრავლობითობის აღმნიშვნელი -თ სუფიქსის -დ-თი გადმოცემა, მაგ., შემეგევედრად (დოდ., 62); მომიტევოდ (იქვე, 66), აგრეთვე ზმნიზედის -თ თანხმოვნის ვითარებითი ბრუნვის ნიშნისეულ -დ-ში აღრევა: „ამას წინად“ (დოდ., 63); „ფერხი უკედ მქონდა“ (ბარ., 131). ტექსტში ფორმები ჩასწორებულია – წინათ, უკეთ – და წინად და უკედ შენიშვნებშია გატანილი. თუმცა ტექსტებში საპირისპირო მოვლენაც შეინიშნება – ვითარების ზმნიზედაში -თ გვაქვს -დ-ს ნაცვლად:

„კარგათ იცი“ (დოდ., 103); „ჩვენიანები ყველანი კარგათ არიან“ (ბარ., 143); „ამ წიგნსაც საჩქაროთა ვწერ“ (იქვე, 138); შდრ.: „მით უფრო ჩქარად“ (იქვე, 132); ამ მაგალითებში სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში თანხმოვნის დაყრუებასთან გვაქვს საქმე და, ბუნებრივია, ფონეტიკური პროცესების ამსახველი ფაქტები უცვლელად დავტოვებთ.

მაქსიმალურად დავიცავით ეპისტოლეთა ორთოგრაფია, თუ არ ჩავთვლით იმ გამონაკლისებს, როდესაც აშკარად კალმისმიერ შეცდომებთან გვქონდა საქმე. ნათქვამი თანაბრად ეხება როგორც ქართულ, ასევე რუსულ წერილებს. კომპოზიტთა, რთულ ზმნათა და შედგენილ შემასმენელთა ორთოგრაფია სამივე ავტორთან არასისტემურია. მათი ხმარება არანაირ ნორმებს არ ექვემდებარება. მწერალთა სამოღვაწეო ეპოქაში ორთოგრაფიის წესები დადგენილი არ იყო და ისინიც სწორად წერას ყურადღებას არ აქცევდნენ. ამის შედეგია ის, რომ ერთი და იგივე მორფოლოგიური ოდენობა ხშირად სხვადასხვა დაწერილობითაა მოცემული. ეს განსაკუთრებით სოლომონ დოდაშვილთან შეიგრძნობა: ბატონისშვილი (18); ბატონის შვილის (იქვე); ჩემ-ზედა (20); ქუშყანასა ზედა (27); პატივისცემასა შინა (23); ღეთის-მეტყუშლებასა-შინა (25-26) და სხვა მრავალი. ასე რომ, წერილებში მკითხველი სხვა ენობრივი მოვლენების გვერდით ორთოგრაფიულ პარალელიზმებსაც იხილავს.

ცხადია, შესამჩნევია რუსულად შესრულებული წერილების თანამედროვე რუსული ენის ნორმებთან შეუსაბამობა, როგორც ორთოგრაფიული, ასევე მორფოლოგიური თუ სინტაქსური თვალსაზრისით, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს XIX საუკუნის რუსული სალიტერატურო ენის ნორმებთან. მაგ., წერილებში მაგარი თანხმოვნის შემდეგ სისტემურადაა წარმოდგენილი ზ ასო (ფერი). გამონაკლისია ბარათაშვილის ერთი – ყრმობისდროინდელი – წერილი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილებში მამრობითი და საშუალო სქესის ზედსართავი სახელების ნათესაობით ბრუნვაში გამოყენებულია **аго** ფორმანტი, ნაცვლად **ого**-სი: „отъ бурнаго потока“ (150). III პირის მდედრობითი სქესის კუთვნი-

ლებითი ნაცვალსახელი eმ მოცემულია eя-ს სახით: *Мать ея* (136). ხშირად სიტყვა დაწერილია ისე, როგორც წარმოითქმის, მაგ, *аксіома, вражденная* (150).

ტექსტში ჩავასწორეთ პუნქტუაცია და აბზაცები, რათა თანამედროვე მკითხველისთვის წერილები ადვილად წასაკითხი და გასაგები ყოფილიყო.

წინამდებარე გამოცემაში წარმოდგენილია ალექსანდრე ჭავჭავაძის 4 პირადი წერილი, რომელთაგან ორი – ეჩმიადინის მღვდელმთავრისადმი და ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რაევსკისადმი – შესრულებულია რუსულად, ხოლო 2 – ფილადელფოს კიკნაძისადმი და ნიკოლოზ იოსების ძე ფალავანდიშვილისადმი – ქართულად. ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობა 18 წერილს მოიცავს. მათი ადრესატები უმთავრესად ბიძა – გრიგოლ ორბელიანი – და მეგობარი და ახლო ნათესავი – მაიკო ორბელიანი – არიან. ერთი წერილი, კერძოდ, მიხეილ თუმანიშვილისადმი გაგზავნილი, რუსულადაა დაწერილი, ზაქარია ორბელიანისადმი კუთვნილი ეპისტოლეები – რუსულ-ქართულად.

რუსული ფრაზები ხშირადაა ჩართული ბიძისადმი გაგზავნილ წერილებში, რასაც ვერ ვიტყვით მაიკო ორბელიანისა და ბაბაღე საგინაშვილისადმი მიმართულ წერილებზე, სადაც არც ერთი რუსული ფრაზა არ ურევია. წერილები ყურადღებას იქცევს როგორც ლიტერატურული, ისე საზოგადოებრივი, კულტურული, ფილოსოფიური თუ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ამ მხრივ ისინი მკვეთრად განსხვავდება ალექსანდრე ჭავჭავაძის ეპისტოლური მემკვიდრეობისაგან.

სოლომონ დოდაშვილის წერილების აბსოლუტური უმრავლესობა – 53 – იონა ხელაშვილისადმი, ავტორის სულიერი მოძღვრისადმი, მიმართული. მცირე ნაწილი ეკუთვნის ფილადელფოს კიკნაძეს (4 წერილი), ანა დედოფალს (1), დავით ბატონიშვილს (1), სტეფანეს (1), ოქროპირ ბატონიშვილსა (1) და პეროვსკის (1). წერილები ქართულია, თუმცა რუსული ლექსიკური ერთეულები აქაცაა ჩართული, რაც ამ პერიოდის სასაუბრო მეტყველებისთვის იყო დამახასიათებელი.

ეპისტოლეთა ენა, ცხადია, განსხვავდება მხატვრული-საგან. პირადი წერილები მწერალს მეტ ენობრივ თავისუფლე-

ბას ანიჭებს. ჩვენი ავტორების ეპისტოლური მემკვიდრეობაც მნიშვნელოვნად სხვაობს მათივე მხატვრული შემოქმედების ენისგან. ეს თვალის ერთი გადავლებითაც შეიგრძნობა: წერილები შედარებით მარტივია, სადა და მეტ აზრობრივ სიცხადეს შეიცავს, აქ ხშირია სასაუბრო ფორმები.

ალექსანდრე ჭავჭავაძე პირველ წერილში სიხარულსა და მადლიერებას გამოხატავს ადრესატის მისდამი გამოჩენილი ყურადღებისა და მისთვის ალექსანდრე ნეველის ქვის ხატის ჩუქების გამო, ასევე მადლიერებაა გამოთქმული მეორე წერილში ნიკოლოზ ფალავანდიშვილისადმი, გარდაცვლილი დედის „დამარხვაზედ მიღებულის შრომისა და მზრუნველობისათვის“. პირველი წერილის ენა მეორისაგან მაღალფარდოვნებით, პათეტიკურობით, პოეტურობითა და რიტმულ-მელოდიურობით განსხვავდება.

ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ ბიძისადმი გაგზავნილ ეპისტოლეებში მეტია მაღალფარდოვნება და შეხედულებები ლიტერატურაზე. ლექსებსაც ხშირად უგზავნის ნასაკითხად. ასე გაუგზავნა „ღამე ყაბახზედ“, „ძია გ...სთან“, „ვპოვე ტაძარი“, „მერანი“, „საფლავი ივერიისა“, „სულო ბოროტო“.

მაიკო ორბელიანისადმი მიმართულ წერილებში ჭარბობს სენტიმენტალიზმი და გარკვეულწილად მელანქოლიაც. დასახელებულ ადრესატებთან პოეტი, რა თქმა უნდა, მსუბუქ, ყოველდღიურ-საყოფაცხოვრებო თემებზეც საუბრობს. საინტერესოა, რომ თითქმის ყველა ადრესატისგან იგი ჭორების მოსმენას ითხოვს, ეხვეწება მათ, სპეციალურად მისთვის გაიგონ ახალი ჭორები და მისწერონ. ამას პოეტი ითხოვს დაჟინებით, მუდარით. ვფიქრობთ, მსუბუქი თემები და ჭორები მისი გენიის თავშესაფარი იყო. ალბათ, ეს იყო მისი ცხოვრების ერთ-ერთი ის სეგმენტი, რითაც გენიოსი პოეტი უდიდეს შემოქმედებით ცეცხლს უძლებდა.

საგულისხმოა, რომ 1831 (როდესაც პოეტს ჯერ 14 წელი არ შესრულებოდა) და 1837 წლებით (19 წლის ასაკში) დათარიღებულ წერილებში (ასეთი ორია) ნიკოლოზ ბარათაშვილი ბიძას თქვენობით ესაუბრება და მისდამი ხაზგასმულ პატივისცემასა და მოკრძალებას გამოხატავს, თუმცა 1837 წელს დაწერილ წერილში, სადაც გრიგოლ ორბელიანს თავის

ლექსებს, მათ შორის „ყაბახსაც“, უგზავნის, შენობითი ფორმებიცაა ჩართული: „ასე, ძიავ, ვიცი, მომიტყევე“ (131); ან: „შენი არს ყაბახი, ძიავ, შენ გიყვარს იგი და ამისათვის მასზედ წარმოებული შემთხვევაც შენ მოგეძღვნის“ (132). ეს, ალბათ, იმითაც აიხსნება, რომ აღნიშნულ ლექსში, რომელიც გრიგოლ ორბელიანს ეძღვნება, შენობითი ფორმებია გამოყენებული. მოყვანილი ლექსების შემდეგ პოეტი ისევ თქვენობით ფორმებს ირჩევს.

ამავე წერილში პოეტი ბიძას პატიებას სთხოვს წერილის დაგვიანების გამო: „გთხოვთ, მომიტყევთ ესდენს ხანს ჩემგან მოუნერელობა“ (131).

1841 წლიდან მოყოლებული, პოეტი ბიძას უკვე შენობით ესაუბრება და შეთამამებულიცაა მასთან, არ ერიდება მისდამი საყვედურების გამოთქმასა და მისი პიროვნების შეფასებას. ასეთი შეფასებები ხშირად განზოგადებულია მთელ ქართველ ხალხზე. მაგ., 1943 წელს გაგზავნილ წერილში სწერს: „ვიცი, დაგავინცდა, მაგრამ არა, არ დაგვინცებია. ეს იმ სნეულების ბრალია, რომლისა გამოც ქართველი თავისიანს არ გამოადგება... მე ახლავ მიტყობს გული, რომ ამ ჩემს მხურვალეს განსჯას გამიტრიზავებ: ემირობა მასხარად აიგდე და მომავალის დიდების ფიქრს რას უზავ?“ (147).

წერილებში შეინიშნება ხუმრობის ელემენტებიც, რომელიც ზოგჯერ დაცივნის ელფერს ატარებს, მაგ., 1841 წელს სწერს: „შევიტყეო, რომ თურმე ფრანციცულს ჰსწავლობ. ერთმა ქალმა შემოგითვალა: „სპარსულად ნათქვამიაო: ოცდაათ წელიწადს უკან რომ კაცი ჩონგურს ისწავლის, საიქიოს დაუკრავსო“ (138). ზაქარია ორბელიანს უმხელს: „შენი წერილის შემდეგ გრიგოლის წერილი მივიღე. რას მოინერებოდა? მიეცი მას თუნდაც ავგუსტუსის ტახტი, იგი მთელ რომის იმპერიას კომიკურ ხუმრობად აქცევდა“ (152).

დაცივნის ობიექტი ზოგჯერ სხვაცაა: „ჩვენს დიდს პ[ლატონ]ს ძილში კატა დაჰსწოლოდა ბაკენბარდზედ და ასე გაეთელა, რომ ველარას გზით ვერ გაუსწორებია. ეს ერთი ბაკენბარდი ასე გათელილი დარჩა. ვურჩევთ, რომ მოიპარსოს, მაგრამ არ გვიჯერებს. ეს აკლდა ამის ფილოსოფოსურს სახეს“ (139).

I ტომში წარმოდგენილ ტექსტებში გამოყენებულია ძველი ქართული ენის თითქმის ყველა გრაფემა – **ჭ მ ა ჯ უ ჭ ჳ** – მაგრამ, ცხადია, რომ ავტორები კარგად ვერ ერკვევიან მათ ფუნქციებსა და ხმარების წესებში და მათ უმრავლეს შემთხვევაში არასწორად ხმარობენ. მაგ., **ჭ** გამოყენებულია ე-ს ნაცვლად და პირიქით, **მ** გრაფემა – ი-ს ადგილას და პირიქით (ან სულაც უადგილოდ). იგივე ითქმის სხვა გრაფემების შესახებაც. ასეთი ფაქტები სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია შებრუნებული დანერილობის სახელით და ის ძირითადად სწორედ საშუალო საუკუნეებისა და განსახილველი პერიოდის ძეგლთა ენისთვისაა დამახასიათებელი: „რამსაცა ვპოვებ“ (ჭავ., 14); თვსებას (იქვე); ძილადელძოს (იქვე); მცუჭლისათა (დოდ., 18); თქუჭნო (იქვე, 21); უხუჭბანი (იქვე); „ლუთის-მეტყუჭლო და ქართუჭლთა სიტყუერებისა მამაო“ (იქვე, 22).

განსაკუთრებით უსისტემოდაა გამოყენებული უმარცვლო უ, მას ხან აქვს დიაკრიტიკული ნიშანი, ხან არა, მეორე მხრივ, ნახმარია იქ, სადაც მარცვლიანი უ უნდა იყოს და პირიქით. მაგ., არის შემთხვევები, როდესაც თანხმოვანსა და ხმოვანს შორის პოზიციაში არა აქვს ნიშანი და თანხმოვანთა შორის პოზიციაში აქვს. ამიტომ გამოცემაში დიაკრიტიკული ნიშანი ყველგან მოვშალეთ.

ფონეტიკური მოვლენებიდან აღსანიშნავია:

ასიმილაცია: მიუნთომელი (დოდ., 21); მიუნთომელისა სიხარულითა (იქვე, 22); შეცტომასა (იქვე, 58). ცტომილება (იქვე, 77).

დისიმილაცია: „მაგთენი არაფერია“ (ბარ., 139);

-ვა ბგერათკომპლექსის -ო-სთან მონაცვლეობა: „ჩემი აქ დარჩომა სიზარმაცეში არ ჩამომართოთ“ (ბარ., 132); „ერთმა საგანმა პირველ დამასო გულს კაემანი“ (იქვე); „ამაობაში ორშაბათი გამომეპარებოდა ხვალმე“ (იქვე, 131); „თუარემ შენ თვითონ შეიტყობ“ (იქვე, 139); „თუარემ იმას ამ ტყვეობით არა უშავს რა“ (იქვე, 142); დაიდუა საფუძველი (დოდ., 20); „იდუა უამსა ცამეტსა“ (იქვე, 24).

ბგერის დაკარგვა: მაგ., იკარგება თემის ნიშნისეული, ან ფუძისეული ვ თანხმოვანი -ო და -ე ხმოვნების წინ: „შვილებს

მივოცაო" (დოდ., 48). „უკეთეს სხუა ღონისძიება არა ვპოე“ (იქვე, 90). „დავეთხოვები ერთს ნელს“ (იქვე, 91). შდრ.: „მამავო სასურველო“ (იქვე, 84). ცნობილია, რომ ვ ჩნდება იმავე პოზიციებში, რა პოზიციებშიც იკარგება. ბოლო მაგალითი სწორედ ამისი დასტურია.

წერილებში გვაქვს ს და რ თანხმომენების დაკარგვის შემთხვევები, ეს უკანასკნელი – თანხმომვანთკომპლექსში ბგერათმომდევრობის გამარტივების მიზნით: „ამაობაში ორშაბათი გამომეპარებოდა ხვალმე“ (ბარ., 131); „მაინც უბძანე, რომ დანერონ“ (იქვე, 149); „იმ დღეს ამობძანდა კატოს სანახავად“ (იქვე, 158); „შენს გაზდას, ბაბალე“ (იქვე, 165) და სხვ.

სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მჟღერი თანხმომენის დაყრუება: ყრუედება ვითარებითი ბრუნვის ნიშნის თანხმომენითი ელემენტი -დ: „ეს შენი ლეკი სადილათ დავპატიჟე“ (ბარ., 154); „კოდი ფქვილი ოთხ მანეთათ თე[თ]რ ფულად კახეთში“ (დოდ., 86). როგორც ვხედავთ, იქვე სწორი ფორმაცაა გამოყენებული.

დაცულია „თბილისის“ ძველი ფორმა: „ტფილისის ამბავი“ (ბარ., 139); „ტფილისის ლომბარდსა შინა“ (დოდ., 87); „ტფილისის საკეთილშობილო სასწავლებელსა შინა“ (იქვე, 101) და სხვ.

რიცხვით სახელებთან იშვიათად შენარჩუნებულია ფუძისეული ა ხმოვანი: „მეთათხმეტესა აღიღეს“ (დოდ., 24).

აღიარება ზმნა არამეტათეზირებული ფორმითაა წარმოდგენილი: „მაგრამ უნდა აღვიარო“ (ბარ., 131).

რაც შეეხება მორფოლოგიურ საკითხებს, ამ მიმართულებითაც ხშირად ვხვდებით ძველსა და საშუალ ქართულში გავრცელებულ ენობრივ ფაქტებს. აღექსანდრე ჭავჭავაძე და სოლომონ დოდაშვილი უპირატესობას პოსტპოზიციურ წყობას ანიჭებენ, ნიკოლოზ ბარათაშვილი კი – პრეპოზიციულს. ზოგადად, ეპისტოლეებში ხშირია მსაზღვრელ-საზღვრულის სრული შეთანხმების მაგალითები, განურჩევლად რიგისა, მსაზღვრელის ტიპისა და ფუძის როგორობისა.

ინვერსიული წყობის ნიმუშები: „საათი მზისა“ (ჭავ., 14); „ვალი საამო მადლობისა“ (იქვე); „ხსოვნისა ჩემისა დამტკიცებითა“ (იქვე); „ჟამსა წიგნისა მიღებისასა“ (დოდ., 18); „სიტყუ-

ანი თქვენნი" (იქვე, 18); „სიტყვისა მის ჩემისა გება“ (იქვე, 18); „აღმამკობელი და განმადღიებელი სულისა, მარგებელი გონებისა და განმანათლებელი გულისა ჩემისა, ავთრათი თქუშნი მივიღე ჳელითა მათის უგანათლებულესობის...“ (იქვე, 19); „ვიხილე ღვთის-მეტყუშლებასა-შინა თქუშნსა სული ამალღებული, გონება განდიდებული და გული განცხადებულ-ლი და ხარაკტერი მარცვლისა მშუშნიერ-მსიტყუშლი ჳემშა-რიტებისა (იქვე, 25-26); „მჯერა სარდლობა არღუთინსკისა“ (ბარ., 139). პირდაპირი და ინვერსიული წყობის მაგალითები მონაცვლეობენ ერთი წინადადების ფარგლებშიც: „ესოდენ დიდნი უხუზბანი სოფლის შემოქმედისანი და მისი მიუნთომე-ლი განგებულება“ (იქვე, 21).

მსაზღვრელ-საზღვრულის ინვერსიული წყობის მაგალი-თები ალექსანდრე ჳაეჳავაძესთან ენას რიტმულ-მელოდიურ ელფერს აძლევს (ამ მხრივ აღსანიშნავია -ა სავრცობის ხშირი გამოყენებაც). აქ იშვიათია პრეპოზიციული წყობის ნიმუშები: „ასტრონომიისა იარაღნი“ (14); „ღვინის თვსებისათვს“ (იქვე).

როდესაც საზღვრულთან რამდენიმე მართული მსაზ-ღვრელია და წყობა ინვერსიულია, რიცხვში, ძირითადად, ბო-ლო მსაზღვრელი ეთანხმება: „ძლიერნი ჳმანი სიხარულისა და განცხრომისანი“ (დოდ., 21).

სრული შეთანხმების მაგალითები: „ნაღვანმან თქვენგან ხატმან“ (ჳავ., 14); „წერილმან თქვენმან“ (იქვე); „ხატმან ჳვისა ალექსანდრე ნეველისამან“ (იქვე); „თქვენის ბრწყინვალეების უმორჩილესის მსახურის თავადის ალექსანდრე ჳაეჳავაძის“ (იქვე, 15); „თქვენგან მიღებულის პრომისა და მზრუნველობი-სათვს“ (იქვე); „სამარადოდ ნიშნად“ (იქვე, 14); „მონყალევ ჳელმნიფევ“ (იქვე, 15); „ყოველს შაბათს“ (დოდ., 18); „ორის კვირისა“ (იქვე, 18); „სამჳედრონი სწავლანი“ (იქვე, 21); „ნი-შანნი მწუხარებისანი“ (იქვე, 24); „ჳემშარიტნი ცნობანი“ (იქ-ვე); „ზღაპრული გმირობის ჳმა დაიგდო მრთელს მხედრობა-ში“ (ბარ., 139); „დიდს ნათლობას“ (იქვე); „ჩვენს დიდს ჳლა-ტონს“ (იქვე); „ფილოსოფოსურს სახეს“ (იქვე); „შვიდს მაისს“ (იქვე, 143); „საძაგელს ჳვეყანაში“ (იქვე, 144); „მოიგონე ცო-ტას ხანს დრონი წარსრულნი“ (იქვე, 145); „ამ მცირეს ხანში“ (იქვე, 140) და სხვ.

-მა და -მან არცთუ იშვიათად ერთ წინადადებაში მო-
ნაცვლებობენ: „მლუდელმა მალისტრმან მალოვმა“ (დოდ., 21).

ალექსანდრე ჭავჭავაძე ზოგჯერ მომართ თანდებულ-
საც სრულად უთანხმებს სახელს: „ჩემდა მომართისა თქვენ-
გან სიყვარულისა“ (14).

მესამე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი პრეპოზი-
ციული ნყოფის დროს ზოგჯერ ფუძის სახითაა წარმოდგენი-
ლი: „ჯერ იმის სიამოვნება რა არის“ (ბარ., 144); „თავის ნიგ-
ნის პასუხი“ (იქვე, 165); „სულ ყოველი თავის საცხოვრებელი“
(იქვე, 159).

სოლომონ დოდაშვილის წერილებში ვითარებით ბრუნ-
ვაში -მდე თანდებულის წინ ძირითადად შენარჩუნებულია
ბრუნვის ნიშნის თანხმონითი ნაწილი -დ: „შესრულებადმდე
სწავლისა“ (18); „აღინერების იგი მას ჟამადმდე“ (იქვე).

ასევე სრულად არის დაცული მოქმედებითი ბრუნვის
ნიშანი -გან თანდებულის წინ: „წინასწარისა სადგომითგან
ცხოვრებასა შინა“ (იქვე, 47); თუმცა გვაქვს ასიმბლირებული
ფორმებიც: „განთიადიდგან ვიდრე მიმწუხრადმდე“ (იქვე, 78);
ვინაიდან (იქვე, 49). პარალელური ფორმები ერთ წინადადე-
ბაშიც გვხვდება: „შევმოსე სახლითგან ჩამოსული შიშველი,
ხოლო გრიგოლ გაიპარა გზიდგან“ (იქვე, 96).

ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილებში -გან თანდებულის
წინ -ით უცვლელად იშვიათადაა დაცული: „მოცლილნი სამსა-
ხურითგან“ (140); „თავი დაგიკრა იმიერ სოფლითგან“ (148).
უფრო ხშირად ასიმბლირებული ფორმები იხმარება: „ეს კი
მუხრავანიდგან გადმოვიდა“ (იქვე). გვაქვს ახალი ფორმებიც:
„ახლა ჩამოხველ ბორჯომიდან“ (იქვე, 165)

ვითარებით ბრუნვაში მდგარ საზღვრულს ატრიბუტუ-
ლი მსაზღვრელი ზოგჯერ მიცემითი ბრუნვის ფორმით შეენ-
ყობა: „დიდს ნუგეშად ექმნებათ სალომესაც და ქალებსაც“
(ჭავ., 15); მოქმედებით ბრუნვაში მდგარს კი - ნათესაობითი
ბრუნვის ფორმით: „თავისის კნენათი“ (ბარ., 148); „მისის
თხოვნით“ (იქვე, 146); „უცნაურის ფიქრებით“ (იქვე, 142).

ალექსანდრე ჭავჭავაძე და სოლომონ დოდაშვილი ძირი-
თადად გარცობილ ფორმებს ხმარობენ: „მშვიდობისა თქვენ-
ისა სწავებითა“ (ჭავ., 14); „ასტრონომიისა იარაღნი... რომელ-

ნიცა მოგართვი, არლა მქონან და საათი მზისა გარდასაღებულად" (იქვე); „ვჰსთხოვ თქუჩნს კეთილდღეობასა" (დოდ., 49). „გახლავარ გაციებისა გამო დიდსა შეუძლებლობასა შინა" (იქვე). „ვლალადებ და აღვამაღლებ დიდებასა და სულ-გრძელეზასა ღვთისასა" (იქვე, 49).

საინტერესოა, რომ -ა სავრცობი ალექსანდრე ჭავჭავაძის წერილებში დაერთვის არა მხოლოდ სახელებსა და დამხმარე მეტყველების ნაწილებს, არამედ ზმნასაც, რაც ძალიან საინტერესოა: „წერილმან თქვენმან მშვიდობისა თქვენისა სწავებითა მახარა და ხსოვნისა ჩემისა დამტკიცებითა დამსდვა ვალი საამო მადლობისა, ესრეთვე ნაღვანმან თქვენგან ხატმან ქვისა ალექსანდრე ნეველისამან, რომელიცა დამშთეზისა სამარადოდ ნიშნად მტკიცედ ჩემდა მომართისა თქვენგან სიყვარულისა" (14).

ემფატიკური ხმოვნის გამოყენება ამ შემთხვევაში ორი მიზეზით აიხსნება: 1. წინადადების ამ მონაკვეთში ლოგიკური მახვილი სწორედ ზმნაზე მოდის. მწერალი ამით ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ფილადელფოსისაგან ბოძებული ხატი მას მარადიული სიყვარულის ნიშნად დარჩება; 2. ამავე დროს, სავრცობი -ა წინადადების რიტმულ-მელოდიურობას ემსახურება, რომელიც, თავის მხრივ, მარცვალთა რაოდენობით იქმნება.

სახელთა გავრცობა არ არის ხშირი ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილებში. გაუვრცობელი ფორმები ზოგჯერ ისეთ შემთხვევებშიც დასტურდება, სადაც დღეს, ჩვეულებრივ, გავრცობილი ფორმები იხმარება: „ზაქარია ახტას არის, სინაქსაროვის ადგილს" (142); „ვიცი, რომ გაიგონებ განგებ და მასიამოვნებ ამ უდაბურს ადგილს" (165). შდრ.: „დაუმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა" (131); „ჯერ კიდევ არ უქნია მაგისკენ პირი ბედსა" (143).

ტიქსტებში გვაქვს -ც(ა) ნაწილაკდართული ნართანიანი მრავლობითი: „რომელნიცა მოგართვი" (ჭავ., 14); „რომელნიცა იქაღიან" (დოდ., 19); „რომელნიცა ამალღდებიან" (იქვე, 25); საინტერესოა -ც(ა) ნაწილაკის წინ მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის სრული სახით დაცვა: „რომელმანცა ფრიად მრავალნი მოქმედებანი აღმოაჩინა" (დოდ., 59); „რომელმანცა ვისმინე"

(იქვე, 84); „რომელმანც ეს ამბავი მოიტანა“ (ბარ., 141).

გავრცობილია მიმართებითი ნაცვალსახელი რაოდენიც: „რაოდენიცა შესაძლებელ არს“ (დოდ., 41); „რაოდენიცა ძალა მიც“ (იქვე, 43); „რაოდენიცა ძალუძთ“ (ბარ., 140).

ნიკოლოზ ბარათაშვილი საკუთარ სახელებს ხშირად სახელობით ბრუნვაში ფუძის სახით წარმოადგენს: „გიორგი მომიკითხე, ვასილ და სხვანი ჩვენნი ნაცნობნი“ (140); „მეორე დღეს შემოსულა ანდალაში თვითონ შამილ“ (141); „შამილ ახმეტ ხანზედ ძალიან გაბრაზებული თურმეა“ (იქვე); „შამილ ჯერ არსად ომობს“ (142); „მთავარმმართველმა ლევან გაუგზავნა“ (148); „ილია, ლევან, დავით, ბაკლანა (მითომ ესეც ყმანვილებშია), ზაქარია და ალექსანდრე ერისთავი სულ წამოვიდნენ შამილის დასაჭერად“ (154). საკუთარი სახელი ეგნატე პოეტს ეგნატი-ს სახითა აქვს მოცემული: „მამა ეგნატიმ შემოგითვალა“ (140). „მამა ეგნატიმ თავი დაგიკრა იმიერ სოფლითგან“ (148).

-ელ მარცვლიანი სახელები ხშირად შეუკუმშავია, ისევე როგორც ძველ ქართულში: განმალვიძებულად (დოდ., 28); შესანუხებულად (იქვე, 53); მისაბრუნებულად (იქვე, 84); მიუცილებულად (იქვე, 92); „გთხოვთ, მომიტევოთ ესდენს ხანს ჩემგან მოუნერელობა“ (ბარ., 131); „მაშინ მაინც კიდევ ჰქონდეს შემძლებელობა“ (იქვე, 147).

ზოგჯერ ასეთივე ფორმითაა მოცემული მიმართებითი ნაცვალსახელი რომელი: „რომლისაც გაგონებას ყოველდღე მოველოდდი“ (ჭავ., 15); უცნაურია, რომ ლოგიკური მახვილი მასზე მოდის. ასეთ შემთხვევებში დღეს ნანილაკი მომდევნო სიტყვას დაერთვის: რომლის გაგონებასაც. აქვე აღვნიშნავთ, რომ ნერილებში ხშირია -ც ნანილაკის სწორედ ასეთ პოზიციებში გამოყენება: „რასაცხანში დედა ჩემი იყო“ (იქვე, 15). დღეს გვექნებოდა: რა ასაკშიც. „რომლისაც წინაშე“ (იქვე); „რომლისაცა სახელი“ (დოდ., 90); „რომლისაც მოქმედება მაცნობებს საზოგადოსა მამასა“ (იქვე, 77).

ნიკოლოზ ბარათაშვილი ზოგჯერ მოქმედების სახელებს არ კვეცავს -ებ-იან მრავლობითში: „დიდი დაძგერებაებია ქალებისა... დიდი ღამის თევაები, დიდი წვეულებაები“ (138). ასევეა აბსტრაქტული სახელის შემთხვევაში: „სირცხვილია,

რომ მაგ საშინელებებში პოეზიამ არ გაიღვიძოს" (149).

-ებ-იანი მრავლობითის გვერდით ჯერ ისევ მრავლად გვხვდება ნართანიანი მრავლობითი: „რვეულთა თქვენთა“ (ჭავ., 14); „მივხედე რა ჩინებულთა ამათ საქმეთა, რომელნიცა ამაღლდებიან“ (დოდ., 250); „დღე და დღე შოულობს ახალთა მოყვარეთა“ (ბარ., 140); „ყრმანვილნი კაცნი“ (იქვე, 133); „ყმანვილთ კაცთ შორის“ (იქვე, 140); „ილიას თვალთ წინ“ (იქვე, 141); შდრ.: „ჩვენი ყმანვილი კაცები“ (იქვე, 154); „გიჟები არიანო“ (იქვე).

სოლომონ დოდაშვილი იშვიათად სახელთა ორმაგ მრავლობითის მიმართავს: „არამედ ყოველთა კერძოთა შინა სოფლისათა, ბუნებათათა“ (78); „თუთოეულსა კლასსა აღმნიშვნელსა საგანთათასა“ (71). ცხადია, რომ პირველი -თა-ს მრავლობითობის აღმნიშვნელი ფუნქცია არ ესმის ავტორს და მეორე -თა-ს იმიტომ ურთავს.

აღსანიშნავია, რომ პირის ნაცვალსახელის ფუნქციით იგი იყენებს გუამს, რაც საინტერესო ფაქტად მიგვაჩნია: „ვითხოვ მოტეებასა სულ-გრძელებითა თქუშნითა, უკეთუ ბრალეულ ვიყო წინაშე გუამის თქუშნისა“ (74); „წარმოვადგინო წინაშე განათლებულისა გუამისა თქუშნისა“ (66). აქვე გვხვდება არქაული ნაცვალსახელი ვიეთნიმე: „წინააღმდეგ ჩვენსა ვიეთნიმე იტყვიან სულეებად“ (36).

ჩვენებითი ნაცვალსახელი -ეს საანალიზო ტექტებში ხშირად პირვანდელი სახითაა მოცემული: „უკანასკნელი ესე ვედრი ჩემი“ (დოდ., 97); „უძვირფასესი თხუზულება ესე“ (იქვე, 106); „ესე საზოგადო სული“ (ბარ., 140).

განუსაზღვრელი ნაცვალსახელი რამე ნიკოლოზ ბარათაშვილთან რამ ვარიანტითაა მოცემული: „ვიღონოთ რამ იმის გამოსხნისათუს“ (ბარ., 142); „აბა, ჩემზედ თქვას ვინმემ რამ ცუდი“ (იქვე, 164); „ბევრი რამ მაქვს მოსანერი“ (იქვე, 165).

თავისებურია წარმომავლობის სახელთა წარმოება სოლომონ დოდაშვილთან და ნიკოლოზ ბარათაშვილთან: მაგ., პირველი -ებრ ფორმანტს იყენებს ისეთ შემთხვევებში, სადაც დღეს ჩვეულებრივ -ურ ფორმანტი გვაქვს: პოლიტიკებრი (26; 56); პრაკტიკებრი (40); სისტემატიკებრი (65; 67); ქრისტიანებ-

რი (25) და სხვ. ნიკოლოზ ბარათაშვილი -ურ მანარმოებელს ურთავს „ფილოსოფოსს“ და არა „ფილოსოფიას“, როგორც დღეს გვაქვს: „ეს აკლდა ამის ფილოსოფოსურს სახეს“ (ბარ., 139). მშობლიურის სინონიმად გვხვდება მამეული: „მყუდროობაში და მარტოობაში შეენევიან მამეულს ენას“ (აქვე, 140). მანარმოებელია -ეულ.

სოლომონ დოდაშვილი ელენეზე საუბრის დროს ერთგან -ა სუფიქსს ხმარობს მისი მდებარეობითი სქესის აღსანიშნავად: „უმეტეს ჩემსა მეცადინეობს ამისთვის მონაფა თქუწნი ელენა“ (99).

ზმნის წარმოებასთან დაკავშირებული საკითხებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

ორთოგრაფიისა და ძველი ქართული გრაფემების მსგავსად, უსისტემოდაა წარმოდგენილი ზმნის პირის ნიშნებიც. აშკარაა, რომ ავტორები ვერ ერკვევიან მათ ფუნქციებში და ხმარობენ სრულიად გაუაზრებლად, რაც ფორმათა პარალელიზმს განაპირობებს: ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი ანალოგიურ კონტექსტებში. შეიძლება ითქვას, რომ პირის ნიშნები ამ დროის ნაწერებში ერთგვარი სტილური საშუალებაა, გარკვეული მოსართავია, რომელიც თითქოსდა სჭირდება სიტყვას. ამიტომაც არის, რომ ერთპირიან ზმნებში ხშირად ორი, ან სამი პირის ნიშანი გამოიხატება, ოპირიანში – სამი: ხშირია -ვჰ, -ვს, -მს, -გს, -ჰს პირის ნიშანთა კომბინაციები: „დამსდვა ვალი“ (ჭავ., 14); „ვჰმადლობ ყოვლის შემოქმედს“ (იქვე, 15); „პარასკოვა ნიკოლაენასაგან ვსცან“ (იქვე); „ვჰვიე, ვითარცა უწყით“ (დოდ., 23); „დიდად შევსწუხდი“ (იქვე, 53); „საგრძნობელად ჰსჩანს განცისკროვნება სხივთა“ (იქვე, 103). „ჩვენ ვჰსცნობთ ნივთებად“ (იქვე, 36). „ანუ დავჰსთეს კეთილსა მემამულეთა თანა ჩუწნთა“ (იქვე, 94); „განათლებულსა მარჯუწნასა თქუწნსა თაყუანსა ვჰსცემ“ (იქვე, 36); „შევსჰწირე მადლობა ნათელსა ნათელთასა“ (იქვე, 64); „მითამ როდის და რაში არა ვჰყოფილვართ კარგნი“ (ბარ., 139); „ვჰგონებ“ (იქვე); „რახაელს წიგნი დაჰსტყუე“ (ბარ., 144); „არა ჰსძინავთ გონებით“ (იქვე, 140); „ვითომც შამილს ჰსდომნებია ილიას გამოშვება“ (იქვე, 141) და სხვა მრავალი. როგორც მაგალითებიდან ჩანს, ერთი

ფუნქციით ორი პირის ნიშნის დართვაც არ არის იშვიათობა.

სოლომონ დოდაშვილი უფუნქციო -ჰ პრეფიქსს ზოგჯერ ზმნისწინის, ან სხვა პირის ნიშნის წინ ხმარობს: „უეზდებში ჰგახსნის სასწავლებლებს და მისცემს თვისსა წესს“ (იქვე, 101); „მე თუმცა არა ფრიად ჰმსურდა“ (დოდ., 90).

ზმნების ანალოგიით -ჰს ბგერათმომდევრობა სხვა მეტყველების ნაწილებშიც იჩენს თავს, რაც ზოგადადაა დამაბასიათებელი ამ პერიოდის ენისთვის: „არს ჰსწავლა გონებისა“ (დოდ., 36); „ჰსჯული“ (იქვე, 58); „ჰსწავლულთაგან“ (იქვე, 59); „ასწავლო ჰსწავლანიო“ (იქვე, 61); „მკუდართან შეჰსწორებულ ვიქმენ“ (იქვე, 62); „მე, ჰსწორე გითხრა, მეტად გავმხიარულდი“ (ბარ., 144); „არცა თუ განჰსჯა ჰქონია“ (იქვე); „გუშინჰსწინ“ (იქვე).

წერილებში იშვიათია უპირისნიშნო ფორმები: „შენ მიხვდები, რაც ადღერებერლის შვილები აქ იქნებოდენ“ (ბარ., 139).

შესაძლებელია, მესამე სუბიექტური პირის -ს ნიშანთან მრავლობითის -თ სუფიქსიც ჩანდეს: „რათა ყოველთა საგანთა აქუნდესთ იგივეობა“ (დოდ., 35); „გახლავსთ ერთი ნინველი“ (იქვე, 62); „ამათ არარაი ბრალი აქუსთ“ (იქვე, 68).

ისევე, როგორც ძველ ქართულში, I სუბიექტური პირის ნიშანი -ვ ხშირად იკარგება -უ ხმოვნის წინ: „მიუთხარ“ (დოდ., 18); „უამბორებ“ (იქვე, 25); „შეუდგები“ (იქვე); „აი, ჩემი უკანასკნელი ლექსი, რომელიც კნიაზ ბარათოვს ალბომში ჩაუწერე მისის თხოვნით“ (ბარ., 146); „მწუხარებით, თვითონ იცი, ვერას უშველით ილიკოს“ (იქვე, 142); „დაუმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა“ (იქვე, 131). შდრ.: „ჩუშნ ვუნყით“ (36).

დინამიკური ვნებითი გვარის ზმნები არცთუ იშვიათად ანწყობი ძველ დაბოლოებას გამოავლენენ, რაც უცხო არ არის XIX საუკუნის I ნახევრის ძეგლთა ენისთვის. ბუნებრივია, ის საკმაოდ ხშირია XII-XVIII საუკუნეების სალიტერატურო ენაშიც. „კეთილი არა სადა დაიკარგვის“ (ჭავ., 15); „რომელიცა დამშთებისა სამარადოდ ნიშნად“ (იქვე, 14); „ლოლიკა არაოდეს განიყოფების“ (დოდ., 58); „მოქმედება ჩემი სიბრძნისადმი დასცხრების“ (იქვე, 60); „განითვისების ჳმა“ (იქვე,

26); „იგი იზრდების, მოხუცდების და ივნებისო, ვითარცა კორცი“ (იქვე, 34); „რომელიც შეუდგების აღშფოთებას“ (ბარ., 139); „მასზედ წარმოებული შემთხვევაც შენ მოგეძლენის“ (იქვე, 132).

ნასახელარ დინამიკური ვნებითი გვარის ზმნებთან იშვიათად გვაქვს ვნებითობის -(ე)ნ სუფიქსი: „განდიდნებიან“ (დოდ., 25).

იშვიათად -ავ თემის ნიშანი გამოყენებულია -ამ თემის ნიშნის ნაცვლად: „მომავალის დიდების ფიქრს რას უზავ?“ (ბარ., 147);

სტატიკური შინაარსის ზმნებთან ანმყოში შეიძლება გამოვლინდეს სუბიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელი -ან სუფიქსი, მაგრამ სუბიექტი მხოლოდით რიცხვში იყოს. ასეთმა ზმნებმა დიდხანს შეინარჩუნეს ძველი ფორმა, ისინი არამცთუ XIX საუკუნეში, არამედ დღესაც აქტიურად იხმარება. მაგალითები ტექსტიდან: „მანანას წინანდალში ყოფნა დიდად მიხარიან“ (ჭავ., 15); „დიდად მიხარიან. ბიჭიც კარგია და ოჯახიც კარგი აქვს“ (ბარ., 151); „მეშინიან, რომ ჩემი ქმარი იქ არ იყოსო“ (იქვე, 161). მხოლოდობით ამ ტიპის ზმნებთან III სუბიექტური პირის ნიშნად იშვიათად -ს სუფიქსი იხმარება, ნაცვლად -ა-სი. „მაკლის სასმენელი“ (დოდ., 23); „რომელსაცა დიდად სურის და სწყურის სწავლა“ (იქვე, 68). შეგვხვდა -იეს დაბოლოებიანი ფორმაც: „მიპყრიეს“ (დოდ., 25); პირველ პირში - -იე: ვვიე (იქვე, 27).

მერწმუნეთ ფორმის ნაცვლად ერთგან გვაქვს ი- პრეფიქსიანი ფორმა: „მირწმუნეთ, არ ვიცი, რა მადლობა მოგახსენოთ“ (ჭავ., 15). აქ მირწმუნე ზმნა ნიშნავს: „ირწმუნე ჩემი“.

დადასტურდა ანმყოს ხოლმეობითი, მაგრამ მრავლობითში მდგარ სახელთან მხოლოდობითის ფორმით არის შეწყობილი: „რომელნი გამოვალნ მქისენი“ (დოდ., 32).

მინდა ზმნა ნიკოლოზ ბარათაშვილთან უწყვეტლის ფუნქციითაა გამოყენებული, ანუ მისი ისტორიული მნიშვნელობა დაცულია: „ეს ამბავი მინდა მომენერა შენთვის“ (141).

იშვიათად სოლომონ დოდაშვილთან გამოყენებულია საშუალო გვარის ზმნათა ძველი წარმოება: „ვსცრემლეოდი ორ

დღესა" (დოდ., 51); „ვსცრემლეოდი მე დიდ ფრიად" (იქვე, 97); „ნუგეში სიბრძნისა მალლობინ" (იქვე, 77).

უნყვეტიელში -ოდ საერცობის წინ შეიძლება დაიკარგოს თემის ნიშანი: „ხან საქმეებში გავერთოდი სამსახურისა გამო" (ბარ., 131). ამ შემთხვევაში დაკარგულია -ობ თემის ნიშანი.

-ავ თემისნიშნისა ზმნა ანმყოს კავშირებითი ზოგჯერ ძველ წარმოებას გვიჩვენებს: „ანუ არა ვზრახვდე თქუშნსა კეთილ მოქმედებასა" (დოდ., 92).

მსურს ზმნა საშუალი საუკუნეების ძეგლებში საერცობიან მწკრივებში თანაბრად გამოივლენდა -ოდ//დ საერცობებს: მსუროდა//მსურდა. ასე გვაქვს სოლომონ დოდაშვილ-თანაც: „მე მსუროდა შეერთება" (41). შდრ.: „რომელსაცა გსურდათ ნათელი" (იქვე).

უნყვეტიელსა და ნყვეტილში თანაბრად იხმარება -ენ//ნენ პირის ნიშნები: „დარჩნენ ორ კვირას გამოუცემელად" (დოდ., 91); „ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ ცრემლად სიბრალულისა" (ბარ., 144); „ყაზიყუმისხელები შეინახავდენ დამშვიდებამდე" (იქვე, 141); „დარჩნენ ჩვენი ქალები მოწყენილნი" (იქვე, 144).

ანმყოს კავშირებითი გამოყენებულია თხრობითი კილოს ახლანდელი დროის ფუნქციით: „რომლისაც წინაშე, რა გზა აქვს, მრავალი ბრალი არა მქონდეს" (ჭავ., 15).

საინტერესოა მყოფათის კავშირებითის ბრძანებითი კილოს ფუნქციით გამოყენების შემთხვევა: „ფრიად მსთხოვა, მე საკუთრად მომწერდო შენს წერილსა" (58).

ნყვეტილსა და II თურმეობითში ზმნები ზოგჯერ მწკრივის ნიშნის გარეშეა წარმოდგენილი. ნათქვამი თანაბრად ეხება როგორც მოქმედებითი, ისე ვნებითი და საშუალი გვარის ზმნებს: „პარასკოვა ნიკოლაევნასაგან ვსცან" (ჭავ., 15); „მივეც გეგმი" (დოდ., 20). „მიყვანილ ვიყავ სასოებასა შინა (იმედსა), რომელმანცა ვიპყარ საქმეცა ეგრეთ" (იქვე, 29); „განკურუებასა შინა ვიყავ დადუმებული" (იქვე, 41); „მოველ ნოვლოროდში" (იქვე, 51). „მე მსწრაფლ უსწარ გარდახდომასა" (იქვე); „ხომ ამ პირობით ნახველ" (ბარ., 147); „შენი უკანასკნელი წიგნი ლევანთან მე გაეხსენ" (იქვე, 148); „არ გინდა, რომ ერთს საათს მაგ მთებში გამომძვრალიყავ და მუხრა-

ვანში, იმის ოთახში, შუალამისას დაბადებულიყავ?" (იქვე, 148).

იშვიათად გამოყენებულია II ბრძანებითის ფორმები: „იყავნ ესრეთ“ (დოდ., 18); „იყავნ მოტეება ჩემდა და იყავნ ნებისაებრ თქუწნისა“ (იქვე, 79); „იყავნ და იქმნის მაკურთხეველისა ჩემისა დღენი და ჟამნი საუკუნოდ“ (იქვე, 74). ამ წინადადებაში II ბრძანებითის ფორმის გვერდით გამოყენებულია II ხოლმეობითის ფორმაც – იქმნის – რომელსაც მოცემულ კონტექსტში იგივე დატვირთვა აქვს – გამოხატავს ბრძანებით კილოს. II ხოლმეობითის მომავალი დროის მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევები იშვიათი არ არის ძველ ქართულში, საშული საუკუნეების ძეგლებში ცალკეულ შემთხვევებში ის ბრძანებითი კილოს ფუნქციითაც ჩნდება.

ხშირია ასევე II კავშირებითის ფორმები მომავალი დროის თხრობითი კილოს ფუნქციით, რაც ძველი ქართულის გავლენის შედეგია: „როცა მოიცალო, დაგვხედე“ (ჭავ., 14); „რომელიც, ვჰგონებ, არ დადუმდეს“ (ბარ., 139); „თუ დამიჯერებ, იმედი მაქვს, რომ გარგოს“ (იქვე, 145); „როდესაც დაატყოს თავის თავს, ვბერდებო, ჰოვოს თავის მემკვიდრედ ვინმე“ (იქვე, 147); „როდესაც თვითონ დაეცეს... მაშინ მაინც კიდევ ჰქონდეს შემძლებლობა“ (იქვე).

II კავშირებითი დამოკიდებულ წინადადებაში, როცა მთავარ წინადადებაში უწყვეტლის მსკრივი იყო გამოყენებული, ძველ ქართულში II თურმეობითის ფუნქციით იხმარებოდა. ეს ენობრივი ფაქტი საშული საუკუნეების ძეგლებშიც ხშირია და იშვიათად ჩვენს ტექსტებშიც გამოვლინდება: „დიდად მსურდა, რათა მგზავრობა ჩემი სრულვჰყო“ (დოდ., 59).

I თურმეობითში აქტივებთან ჩანს ძველი ქართულისთვის დამახასიათებელი -იეს დაბოლოება: „მიმილიეს ჰსნავლანი“ (დოდ., 64); „რომელიცა მიმილიეს მე თქუწნ მიერ“ (იქვე, 84); „თუ სადამე დამითესიეს“ (იქვე, 94).

ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილებისთვის ნიშანდობლივია ზმნისწინის ხმოვნითი ელემენტის შეცვლა: „გუშინ იასემ მამიტანა“ (144). „კიდევ მამნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყინებამ“ (იქვე); „შენი წიგნი მამივიდა“ (160). აღსა-

ნიშნავია, რომ ასეთი ფორმებით განსაკუთრებით გამოირჩევა მაიკო ორბელიანისა და ბაბალე საგინაშვილისადმი გაგზავნილი წერილები. გრიგოლ და ზაქარია ორბელიანებისადმი მიწერილ ეპისტოლეებში კი ასეთი ფორმები იშვიათადაა ნახმარი. ეს მეტყველებს იმაზე, რომ პოეტი გაცილებით ლალად და თავისუფლად გრძნობდა თავს მაიკოსთან და ბაბალესთან. ზაქარიასთან და, მით უფრო ბიძასთან კი, როგორც ჩანს, ცდილობდა, ლიტერატურული ფორმები გამოეყენებინა.

სოლომონ დოდაშვილის წერილებში იშვიათად მესამე პირთან მიმართებით გამოყენებულია მი- ზმნისწინი: „მან მითხოვა ქალადი“ (31); „სიღნაღის ნაჩაღნიკთან მიუწოდე ვაქირის ქეეხას“ (85).

წერილებისთვის უცხო არ არის ზმნისწინთა არქაული ვარიანტები: ალბორგებულ (დოდ., 31); „აღმახსენდა შეკითხუად“ (იქვე, 31); „ელენეს სახლში გარდაიხადეს“ (ბარ., 144); „ვიდრემდის სრულიად გარდაეჩვევა“ (იქვე, 145); „შთამომეპარება ხვალმე“ (იქვე, 131); „იმის სახლში განტარებულს დროებს“ (იქვე., 144); „დრონი წარსრულნი“ (იქვე, 145) და სხვ. იშვიათია უზმნისწინო ფორმები: „მას ნება ურთავს“ (დოდ., 52); „ჩემისთანა უსყიდელი მსაჯული“ (ბარ., 145).

აღწერილი ზმნები, რომელიც საკმაოდ ხშირი იყო ძველ ქართულში, წარმოდგენილ ტექსტებში დიდი რაოდენობითაა გამოყენებული, განსაკუთრებით სოლომონ დოდაშვილის წერილებში: „რომლითაც დია ვალდებულ მყოფთ თქვენს უმორჩილეს მოსამსახურეს“ (ჭაფჭ., 14); „მე ვჰყავ დებულ მათთვის ნიშნად დრონი“ (დოდ., 29); „ვინადთან ვედრი ვჰყავ“ (იქვე, 38); „რომელსაცა მომდინარებულ ყოფთ ჩემდა“ (იქვე, 43); „რათა ურიცხვსა მოწყალებასა თქუწნსა აღსრულება სიტყვისა და პირველი ნაყოფი ჩემი დაბეჭდილ ყოთ“ (იქვე, 43); „რამეთუ მიგებებულ გყოთ წმიდასა დღესასწაულსა სიმრთელითა“ (იქვე, 49); „ფრიად სუსტებულყო სხეული ჩემი“ (იქვე, 50); „უმორჩილესად ვითხოვ, საქმენი ჩემნი სრულ ჰყოთ“ (იქვე, 51); „რათა ხარებულ-მყოთ მე“ (იქვე, 55); „ესევეთარმან შემთხუშვამან დიდ ფრიად მწუხარე მყო“ (იქვე, 72); „უკეთუ სხუათა სწავლათა რვაულებსა გარდასწერს და წარმოჰგზავნის, დიდად მადლობელ მყოფს“ (იქვე, 81). მოცემული რთული

ზმნების დიდი უმრავლეობა გარდამავალია, მათი სახელური კომპონენტი – ძირითადად, წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღეობა – წრფელობითი ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი, რაც შემთხვევითი არ არის: „ყო“, „ქმნა“ და მსგავსი სემანტიკის მქონე ზმნებთან ძველ ქართულში სახელური ელემენტი, ძირითადად, წრფელობით ბრუნვაში იდგა.

შეგვხვდა ანუგეშოს ზმნის კონვერსიული ფორმა ენუგეშოს: „არ იქნება, მით არა ენუგეშოს რა“ (ბარ., 142). სტატიკური ზმნა მგონია შესაბამის დინამიკურ ფორმას გამოაფლენს: „ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ ცრემლად სიბრალულისა“ (იქვე, 144). დადასტურდა დეპონენსიც: „შემდეგ ბევრს მოვინერები“ (იქვე, 149).

დინამიკური ვნებითის საწყისად ნახმარია დარჩომა: „ჩემი აქ დარჩომა სიზარმაცეში არ ჩამომართოთ“ (ბარ., 132).

საშუალი გვარის მიმღეობა „მქონე“ „მექონის“ სახით იხმარება: „ვოლტერისა სიტყუა არარად შესარაცხ არს წინაშე სულისა მექონისა კაცისა“ (დოდ., 34); „ვინც მალალის გრძნობის მექონი მეგონა“ (ბარ., 144).

უსულო საგნისთვის განკუთვნილი ფუძე ნახმარია სულიერი საგნის აღმნიშვნელ სახელთან: „ავარელები, ახმეტ ხანისგან გამოტანებულები“ (ბარ., 141).

ვითარების ზმნიზება სოლომონ დოდაშვილის წერილებში ხშირად წრფელობით ბრუნვაშია წარმოდგენილი, ნაცვლად ვითარებითისა: „მიდის ყვითელი წყალი მოუნყვეტელ“ (31); „მე ვმნუხარეობ უმეტეს შავისა დღისა“ (იქვე).

ტექსტებში ხშირია სხვადასხვა შინაარსის ზმნიზების არქაული ფორმები: „ესრეთვე ნაღვანმან თქვენგან ხატმან“ (ჭავ., 14); „შემდგომად მოგახსენებ“ (იქვე); „დია ვალდებულ მყოფთ“ (იქვე); „ეს არის ჩემთვის სანამეტნაოდ სამნუხარო“ (იქვე, 15); „უნამეტნავეს გზის უნებლიეთად“ (იქვე); „ესრეთვე ვჰგიე“ (დოდ., 23); „მაინთ თქვენ და იქით ანდრონიკოვი“ (ბარ., 139) და სხვ.

ძალიან ზმნიზებას ერთგან ცვლის დიდი: „დამნაშავე ვარ შენთან დიდი“ (ბარ., 138). ამ მნიშვნელობით დიდად ზმნიზებაც გამოიყენება: „დიდად მაამა ამ ნიგნმა“ (იქვე, 139).

დროის ზმნიზება უკან ნიკოლოზ ბარათაშვილთან მი-

ცემით ბრუნვას მართავს და არა ნათესაობითს, როგორც ეს დღეს გვაქვს: „ისიც ამ ორ დღეს უკან მიდის პეტერბურღში“ (ბარ., 146); „ოც და ათ წელიწადს უკან“ (იქვე, 138); „ექვს კვირას უკან“ (იქვე, 156).

I-II პირებთან მიმართებით -მი თანდებულის პარალელურად სოლომონ დოდაშვილი იყენებს -მო თანდებულსაც: „თქვენდამო მთხოვა თვისისა პატივისცემისა განცხადება“ (55); „გარნა ტურთთა, ჩემდამო მოღებულთა“ (78); „აზრიცა ყოველი შეაერთოთ ჩემდამო“ (79). არ არის გამოორიცხული, აქ ზმნისწინთა ანალოგიასთან გვექონდეს საქმე.

თანდებულები ხშირად ძველი მნიშვნელობებით დასტურდება. მაგალითები:

-და თანდებული -თვის თანდებულის ფუნქციით: „არ ღირს არს პასუხგებად მათდა“ (დოდ., 35).

-თვის თანდებული შესახებ თანდებულის ფუნქციით: „ღვინის თვისებისათვის ასე იტყვიან“ (ჭავ., 14); „ხოლო მე რაა ვჰსთქუა ამისთვის“ (დოდ., 49); „წარსრულსა ავთრათსა შინა მოგწერე, მამაო, ოსიბ იაკოლიჩის დუქნებისათვის“ (იქვე, 81).

-თვის თანდებული გამო თანდებულის ფუნქციით: „სიმცირისათვის ნუ დამგმობ“ (ჭავჭ., 14); „ნუ გამინყრები დიდმარხვაში მოწერისათვის“ (იქვე).

შორის თანდებული -ში თანდებულის ფუნქციით: „უკანასკნელ შეინანა ვოლტერმან თვის შორის“ (დოდ., 35); „ყოვლად ბრძნისა სათნოებასა ვიხილავ თქუწნ შორის, მამაო“ (იქვე, 43); „შეცთომა იხილვების ჩემ შორის“ (იქვე, 49).

ზედა თანდებული გამარტივებული ზედ და ზე ვარიანტებით იხმარება: „ჩემზედ მონვენილი უბედურება“ (ჭავ., 15); „გარდაცვალებულის დამარხვაზედ“ (იქვე); „კატა დაჰსწოლოდა ბაკენბარდზედ“ (ბარ., 139); „მოველით ერევანზედ“ (იქვე, 143); „აქ კი ბევრი ცრემლი, ტყუილი და მართალი დაინთხა ამის წაკითხვაზე“ (იქვე, 142); „ჩემს თხოვნაზე“ (იქვე, 131);

მდე თანდებულის პალალელურად გვაქვს მისი სასაუბრო ვარიანტები: მდენ, მდინ, მდის და მდისინ, ხოლო -დან თანდებულის პარალელურად - დამ ვარიანტი: „შაბათამდინ, ანუ კვირამდინ“ (დოდ., 53); „თბილისამდინ წარიღეს“ (იქვე); „იგი მზრდიდა მე აქამომდენ“ (ბარ., 131); „ამ თთვის გას-

ვლამდინ, მგონია, მოვიდნენ" (იქვე, 158); „ას თუმნამდინ თავისი ჯამაგირი გამოუვიდა" (იქვე, 148); „ვიდრემდის სრულიად გარდაეჩვევა" (იქვე, 145); „აქამდისინ კიდევ უნდა იყოს მოსული კარანტინში" (იქვე, 160); „ვისთან მამენერა აქამდისინ წიგნი" (იქვე, 165); „ნივთიერება ყურიდამ მოდის" (დოდ., 24); „ერთის სახლიდამ" (იქვე); „საიდამაცა იწყებთან ყოველნი ზრახუანი" (37); „საქართველოდამ მოველ მზრუნველობასა" (47); „გუშინდელისა დლიდამ" (23).

გარნა კავშირი მაგრამ, ოლონდ კავშირის ფუნქციითაა გამოყენებული: „ასტრონომიისა იარაღნი, გარნა მათ, რომელნიცა მოგართვი, არლა მქონიან" (ჭავ., 14).

ბარათაშვილთან და კავშირით ერთგვარ ნევრთა შეერთებისას -ში თანდებული დაერთვის ორივე ნევრს: „მყუდროობაში და მარტოობაში შეენევიან" (140). ვითომ კავშირის დიალექტური ვარიანტია მითამ: „მითამ როდის და რაში არა ვყოფილვართ კარგნი" (იქვე, 139).

რომ კავშირის ფუნქციით, მსგავსად ძველი ქართულია, გვაქვს რომელ: „ესოდენ ვალს მატერიაალრეული, რომელ მეოთხედ სამოსი სავეს ვჰცუალე" (დოდ., 31). „ჩუჴნ ვუნყით, რომელ თეორიასა აქუს ნანილნი" (იქვე, 36).

სოლომონ დოდაშვილთან ჩანს კითხვითი ნანილაკი -ა: არა მასაა? (21); „მცნობელი ქუჴყანასა ზედა ცალიერობისა სულთა შინა არსა, ანუ არა?" (33); „ნებავსაა, რათა ლექსსა ამას ზედა სტატივები უსამართლობისა წარუდგინო სენატსა?" (48).

უარყოფითი ნანილაკი არა ხშირად სრულად არის წარმოდგენილი, -ა-ს მოკვეცის გარეშე: „არა ძალ-მიძს" (დოდ., 18).

აღტაცების გამოსახატავად ნიკოლოზ ბარათაშვილი იყენებს შაბაშ და მახლას შორისდებულებს: „შაბაშ მკლავთა და განკარგულებათა თქვენთა" (139); „მახლას, ილიკო ყოჩაღად ყოფილა" (იქვე, 142); მახლას საპირისპირო მნიშვნელობითაც დასტურდება; „რა გაენყობა სოფლის ბრუნვას... მახლას!" (იქვე, 132).

სინტაქსური საკითხებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

ხშირია ვითარებითი ბრუნვა ადგილის გარემოების

ფუნქციით: „წარვგზავნე თვსად სახლად“ (დოდ., 20). „ამისთვისვე მოვიქცევი სახლად, გინა სადგურად“ (იქვე, 49). ამ ფუნქციით ვითარებითი ბრუნვის გვერდით მიცემითიც გამოიყენება: „გუშინდელ რიცხვს წარვიდა კახეთს და ისევ მალე მოიქცევა თბილისად“ (იქვე, 76). „იქიდგან ახალგორს წავედით“ (ბარ., 157). „შევედით ახალგორს“ (იქვე).

უთანდებულო მიცემითი დროის გარემოების ფუნქციითაც გამოიყენება: „მე ვინყე სწავლა ამ თოვს ექუსსა“ (იქვე, 18).

შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი ხშირად წრფელობითშია: „იქმნა მრთელ და არა რაისა მტკივნეულ“ (დოდ., 51); „ყოველთა კაცთაგან ვიქმენ კეთილად მიღებულ“ (იქვე, 55). „რანიცა დათესილან და იქმნებიან დათესილ“ (იქვე, 18). „დღე ესე დღესასწაულთ დღესასწაული არს დიდებულ და ამაღლებულ“ (იქვე, 28).

ზმნური ელემენტი ზოგჯერ საერთოდ არც ჩანს: „სხუშბრ, აქა ყოველი კეთილ და ეგე თქუშნცა მშვიდობით“ (იქვე, 18).

შედგენილ შემასმენელთან, რომლის სახელური ნაწილიც ორპირიანის სემანტიკის შემცველია, მაგრამ ზმნური ნაწილი ერთპირიანია, ხშირად ორი პირია წარმოდგენილი, როგორც ეს ძველი ქართულისთვის იყო დამახასიათებელი: „დღესაც ვერ შემძლებელ-ვიქმენ რომლისამე წარმოგზავნასა“ (დოდ., 24) (და არა წარმოგზავნისა).

უცნაურია შედგენილი შემასმენლის ზმნური -ა ნაწილის თურმე ნაწილაკზე დართვა: „შამილ ახმეტ ხანზედ ძალიან გაბრაზებული თურმეა“ (ბარ., 141). ამ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო ან: ძალიანაა გაბრაზებული, ან: ძალიან გაბრაზებულია.

თურმე ნაწილაკიან წინადადებაში ლოგიკური მახვილი მოდის ვითარების გარემოებაზე, რის გამოც წინადადებაში სიტყვათა რიგი შეცვლილია: „კარგადაც თურმე ინახავს“ (იქვე).

ხშირია ძველი ქართულისებური სიტყვათმომდევრობა წინადადებაში: საზღვრული წევრი პირდაპირი დამატების ფუნქციით - შემასმენელი - სუბსტანტიური მსაზღვრელ-

საზღვრული: „იმედებს იწერებიან ილიას გამოყვანისას“ (იქვე, 142).

გვაქვს სხვა არქაული სინტაქსური კონსტრუქციებიც: „დიდ ფრიად კარგა მიმილო, რასაცა განჰკურდებიან ყოველნივე აქაურნი თავადნი“ (დოდ., 61); „პავსკისათვის დაურწმუნებია“ (იქვე, 52); (და არა პავსკი). „არვის უმეცადინებია მათთვის“ (იქვე, 68); „აჰა, თუ ვითარ თანამდებ ვართ დღესასწაულობითა კაცობრივნი ნათესავნი მადლობად, დიდებად და ლაღადებად“ (იქვე, 43); „ესე ჯერ იყო ყოფად და იგი არა დატეებად“ (იქვე, 60; 88).

ტექსტებში არცთუ იშვიათია სინტაქსურად გაუმართავი წინადადებები: „ასტრონომიისა იარაღნი, გარნა მათ, რომელნიცა მოგართვი, არლა მქონან“ (ჭავ., 14). მათ ფორმის ნაცვლად აქ უნდა ყოფილიყო ისინი. „შემდგომად მოგახსენებ, რა მსაცა ვპოვებ მას შინა სასარგებლოსა“ (იქვე). კონტექსტი აქ ითხოვს ფორმას რასაცა; „რასაცხანში დედა ჩემი იყო, იმ წელიწადებში მყოფმა ერთხელ სნეულებისაგან დასუსტება, მობრუნება ძნელიდაა“ (იქვე, 15). აქ კი მყოფისთვის უნდა ყოფილიყო, თუმცა „ერთხელ სნეულებისაგან დასუსტება, მობრუნება“ ფრაზაც გაუმართავია; „რომლისაც წინაშე, რა გზა აქვს, მრავალი ბრალი არა მქონდეს“ (იქვე). აქ სრულიად არასწორად არის მოხმობილი განკერძოებული გამოთქმა „რა გზა აქვს“. „ჯერ იმის სიამოვნება რა არის ამ საძაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენც იცი, დიდი ხანია, ობოლი ვარ“ (ბარ., 144).

სახელისა და ზმნის რიცხვში შეთანხმების წესები, ცხადია, არ შეესაბამება ახალი ქართული ენის ნორმებს: „ერნი მიიქცნენ“ (დოდ., 21); „ჯავრობენ ზოგიერთი ქალები“ (ბარ., 145); „ილიკოს თანა ჰყოლია ოცი, სულ დანკეპილი ყმანვილი ბიჭები“ (იქვე, 141); „კნიაზი ჭავჭავაძე თავისის კნენათი მარტყობს იყვნენ ჯვარობას“ (იქვე, 148); „ჩვენთანებმა ყველამ მოგიკითხეს“ (იქვე, 140).

არის შემთხვევები, როდესაც მიმღეობა შემასმენლის ფუნქციას კისრულობს: „ხუტმეტი დღე არ რა მსა საწოვაგისა მიმღებელი, სიმწარემან ესრეთმან მიმიყუანა დიდსა სისუსტესა შინა“ (დოდ., 63); „აქაცა უმრავლესი რიცხვ მათგანნი მი-

მოდაეგებიან იქიაქა, არა მცნობნი არცა თავისა თუსისა და არცა სოფლისა" (იქვე, 84). „მიმხედი ესრეთთა ჩემთა შემთხუჭულებათადმი, ვიცი, ყოველსა წამსა შემობრალეობთ" (იქვე, 91). მიმღეობური კონსტრუქციები ქართულში ბერძნიზმებად ითვლება.

ნიკოლოზ ბარათაშვილისა და სოლომონ დოდაშვილის წერილებში ხშირადაა განზოგადებული მსჯელობა სხვადასხვა საკითხის ირგვლივ, რაც განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების გამოყენებას განაპირობებს: „ვჭგონებ, თუთვე უნყოდენ ორისავე არსებობა" (დოდ., 35); „ვჭგონებ, აქამომდე სცნობდით ყოველსა თვისებასა" (იქვე, 86); „მილიციამ, როგორც იტყვიან, ასახელა თავისი სახელი" (ბარ., 139); „რომელიც, ვჭგონებ, არ დადუმდეს" (იქვე). „ლიტერატურა ჩენი, ღვთით, დღე და დღე შოულობს ახალთა მოყვარეთა" (იქვე, 140).

ჩართული ერთის ლექსით ნიშნავს: ერთი სიტყვით: „იგი არს წყნარი, მშუდი, ერთის ლექსით, კეთილისა თუსებისა არს" (დოდ., 80); „ერთის ლექსით, კარგად გავატარეთ დროება" (ბარ., 158).

ყურადღებას იქცევს რთული ქვენყობილი წინადადებების სიმრავლე. შეიძლება ითქვას, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძე და სოლომონ დოდაშვილი ძირითადად ასეთი ტიპის ფრაზებით მეტყველებენ. მაგ., სოლომონ დოდაშვილი წერს: „ბევრის ბევრი უხვება თქუწნი, ჩემზედა მოღებული, დიდ ფრიად საგრძნობელ არს ყოველსა ჟამსა შინა, არა მხოლოდ ჩემ შორის ან, არამედ ყოველთათვის იქმნების მარადის და თუსსა დროსა გამ[ო]ჩნდების ყოველნი მოქმედებანი, წარმოებულნი თქუწნისა მაღალღირსებისანი, სიბრძნისათვის ჩუწნთა შემდეგთა ბრძნისადმი" (46).

ძველი ქართულის მსგავსად, ვითარებით ბრუნვაში მდგარი სანყისი ზოგჯერ ქვემდებარის ფუნქციას ასრულებს: „არა ძალ-მიძს ვისგანმე ვასხებად" (დოდ., 18); „არა ძალ-უძს ყოფად ბუნებასა შინა" (იქვე, 32); „არა ესოდენ ძალ-მიძს აღწერად" (იქვე, 49); „მნებავეს გრძნობისა ჩემისა მილოცვად და მადლობად" (იქვე, 49); „ამისთვის არა ჯერ არს ტირილად და მწუხარებად, არამედ ლოცვად და მოთმინებად" (იქვე, 96).

ასევე ვითარებით ბრუნვაში გვხვდება პირდაპირი დამატება: „ინებეთ, მამაო, დაბეჭულად წიგნისა მის“ (იქვე, 46); „ესრეთ ინებეთ წინაშე ღვთისა მადლობად და წინაშე უმაღლესობისა ნუგეშად“ (იქვე, 96).

გვაქვს შემთხვევები, როდესაც მიზნის გარემოების ფუნქციით იხმარება ვითარებით ბრუნვაში მდგარი სანყისი და არა ვნებითი გვარის მომავალი დროის მიმღეობა: „აღამსა ზედაცა ვმეცადინებ განმხნობად, გინა განღვიძებად“ (18).

ნიკოლოზ ბარათაშვილთან გვხვდება პარალელური ფორმები: ყმანვილი//ყრმანვილი; საკურველი//საკვირველი; მოუნერლობა//მოუნერელობა; თვარემ//თუარემ; მხიარულობა//მხიარულება. იგი საუბარში ხშირად ურთავს რუსულ ლექსიკურ ერთეულებს: ვეჩერი, პორუჩენიე, კალასკა, ბუმაჟნიკი, დეისტვიტელნი, ბრუკი, კომანდა, ტანცაობა, შტატსკი, რაზლოვორი, კამანდერი, შამპანსკები, ობლასტი, ნაჩალნიკობა, სოვეტნიკი, სუდაირასპრავა, დოვერენიე, ეგზემენია, ვედომოსტი, კანიკული, მინუტი, ნაჩალნიკი, ოტრივიკი, პრავლენიე, ხარაკტერი, რაც, ზოგადად, მე-19 საუკუნის პოლიტიკურ-კულტურული ვითარებით აიხსნება.

ყურადღებას იქცევს გამოთქმა ჩაგისხველოთ, რაც იმდროინდელ უარგონად უნდა მივიჩნიოთ: „მაგრამ მინდა ერთი ჩაგისხველოთ“ (139). ამ კონტექსტში ეს ზმნა აღნიშნავს: მინდა გაგრძნობინოთ (გაგაფრთხილოთ), რომ ასე არ არის საქმე.

ლექსიკიდან აღსანიშნავია ზოგიერთი სიტყვის თანამედროვე ქართულისაგან განსხვავებული მნიშვნელობით ხმარება. მკითხველს საშუალება აქვს, ამის შესახებ ინფორმაცია თანდართული ლექსიკონიდან მიიღოს.

1 ტომში წარმოდგენილი ეპისტოლური მემკვიდრეობის ენობრივი თავისებურებების შესწავლამ ცხადყო, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძის წერილების ენა გაცილებით მარტივი და თანამედროვე მკითხველისთვის გასაგებია, ვიდრე მისი პოეზიის ენა. აქ შედარებით ნაკლებად გვხვდება ძველი ქართულის ლექსიკური ერთეულები და გრამატიკული კონსტრუქციები, თუმცა პოეტი ბოლომდე ვერ აღწევს თავს ძველი ქართულის გავლენას, რაც ძირითადად ვლინდება ქვეყნობილი

წინადადებების სიმრავლეში, მსაზღვრელ-საზღვრულის ინ-ვერსიული წყობის უპირატესობაში, ასევე პირდაპირი წყობის მსაზღვრელ-საზღვრულის ძველი პარადიგმის შენარჩუნებასა და ზმნიზედების არქაულ ვარიანტებში. ზოგ შემთხვევაში იჩენს თავს სინტაქსურად გაუმართავი ფრაზები (არ გამოვ-რიცხავთ რუსული ენის გავლენას). წერილები შინაარსობრივი თვალსაზრისით სადაა, არ გამოირჩევა მჭევრმეტყველებით, შეგონებებითა თუ განზოგადებული ფრაზებით. მათში ჩანს პოეტის ადრესატებისადმი მოკრძალება და პატივისცემა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილები ხატოვანი სტილით გამოირჩევა და, აქედან გამომდინარე, ლამაზად იკითხება. მათში ჩანს პოეტის წერის მაღალი კულტურა და დახვეწილი ლიტერატურული გემოვნება. ისინი გადატვირთული არ არის რთული სინტაქსური კონსტრუქციებით, თხრობის სტილი მარტივია და სადა. ეპისტოლეების შინაარსს ძირითადად ადრესატი განსაზღვრავს, რაც იმას ნიშნავს, რომ პოეტმა მშვენივრად იცის, ვის რა თემებზე ესაუბროს და როგორ. მაგ., გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილი წერილები უფრო ლიტერატურაზე მსჯელობით გამოირჩევა, ზაქარია ორბელიანი-სა და მიხეილ თუმანიშვილისადმი მიმართული – ფილოსოფიური შეხედულებებით, მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი – სულიერი მდგომარეობის აღწერით და ა. შ. წერილების ენა ძირითადად ახალი ქართულია. ძველი ქართულის ელემენტები არსებითად ბრუნების, ხოლო იშვიათად უღლების პარადიგ-მებში დაჩნდება. სალიტერატურო ფორმების გვერდით ნიკო-ლოზ ბარათაშვილი აქტიურად იყენებს სასაუბრო ფორმებსაც, რითაც მეტად ვლინდება მისი ენობრივი სილაღე.

სოლომონ დოდაშვილის წერილები მაღალფარდოვნე-ბით, მჭევრმეტყველებით, შედარებით მძიმე სტილით ხასიათდება. ამას განაპირობებს როგორც ავტორის ინტერეს-თა სფერო – იგი ფილოსოფოსი გახლდათ – ასევე ადრესატე-ბიც, რომლებიც ან სასულიერო (უმრავლეს შემთხვევაში), ან წარჩინებული პიროვნებები არიან. გასათვალისწინებელია ან-ტონ კათალიკოსის ენობრივი გავლენაც.

ლექსიკონი

აბაზი – რუსული ფულის ერთეული, ოცი კაპიკი 52,11.

აგარა – ადგილი საზაფხულო (საბა) 88,24; 91,27.

ადლი – სიგრძის საზომი ერთეული; უდრიდა დაახლოებით მეტრს (ქეგლი). 63,15.

ავთრათი – ნერილი 18,30; 19,10; 19,19; 19,27; 19,30; 31,32; 32,17; 34,3; 37,18; 37,27-28; 40,25; 42,13-14; 46,25; 52,35; 55,28; 55,31; 56,7; 59,32; 64,13; 65,9; 66,3; 66,6; 70, 3-4; 70,10; 72,11; 72,32; 72,34; 77,16; 78,31; 80,6; 81,9; 81,33; 83,24-25; 84,10; 88,25; 89,2; 89,26; 89,30; 90,3; 90, 6; 91,35; 92,2; 93,33; 94,16; 95,22; 97,5; 98,4; 99,6; 99,14; 101,12; 107,33; 108,11; 108,17; 108,18-19; 108,21; 109,5; 109,7; 109,9; 110,1; 110,2; 110,26; 115,11; 115,12-13; 115,28; 117,24; 118,11; 118,13; 121,14-15; 121,30; 122,22. იხ. ნერილი 14,4; 25,21; 38,7; 40,12; 42,23; 46,15; 51,21; 53,14; 55,26; 58,33; 72,32; 83,24; 97,7; 103,1; 110,10; 125,2; 130,13; 137,5; 152,12-13; 152,19; 153,1; 153,30; 153,37; 155,16.

ამაობაში – ამასობაში 131,6.

ამოვნება – სიამოვნება 35,7; 40,5.

ამ ხელად//ამ ჳელად – ამჯერად 152,1; 156,22//138, 12.

ანლია – ინგლისი 97,12

არაოდეს//არა ოდეს – არასოდეს 58,17; 59,11//52,8; 65,29.

არარად – არაფრად 26,35; 34,22.

არა რაი//არარაი//არა რაი – არაფერი 43,24; 51,29; 76,4//68,22//29,22; 34,25; 39,10; 51,31; 52,16; 52,31; 53,23; 56,2; 60,11; 62,14; 77,14; 77,31; 77,33; 80,29; 84,31; 85,3; 85,24; 85,35; 87,12; 107,31; 112,19; 119,18-19.

არა რაიობა – არაფერი 31,23.

არისმეტიკა – არითმეტიკა 47,27.

არქიერი – მღვდელმთავარი 125,5; 157,20-21; 158,2.

არხიდეკტორი – არქიტექტორი 87,26.

ასიგანცია – ქალაქის ფული 44,10; 64,7; 68,5-6; 72,28; 73,4; 97,31; 114,14; 117,15.

ასოებისა დასხმა – დანერა 48,2.

აქამდისინ – აქამდე, ამ დრომდე 138,9-10; 160,21; 165,3-4.

აქამომდე – იხ. აქამდისინ 23,20; 40,28; 47,17; 47,21; 52,4; 53,10; 55,4; 55,20; 55,22; 56,4; 60,10; 82,19; 86,35; 98,7; 107,8; 116,23; 121,9; 122,21; 123,20.

აქამომდენ – იხ. აქამდისინ 131,16.

აქარე – აქ: 23,20; 51,2; 67,12.

აქიმბაში – სამედიცინო განათლების არმქონე პირი, რომელიც ავადმყოფებს შელოცვებითა და თვითდამზადებული ნამლებით მკურნალობს. 145,22.

აღრაცხვა – ჩათვლა 26,35.

აღტყვევლა – აჩქეფება 133,8.
აღტყინებული – აქ: აღძრული 31,3-4.
აცა – აი, ნახე 154,21.
ანერა – აღნერა 138,17.
ანინდელი – 1. ახლანდელი 26,33; 40,17; 47,9-10; 50,17; 73,4; 75,35;
82,19; 83,17; 92,29; 103,9-10; 104,9; 104,23; 104,36; 115,30; 2. დღე-
ვანდელი 19,27; 22,6; 28,6; 43,13; 50,28.
ბარაკიელი – მსახური ნინაშე მდგეი (ს.ს. ორბელიანი) 31,10.
ბარძიმი – თასი 97,32-33; 106,10.
ბასრებითი – მეტად საკიცხავი, საგმობი 34,4.
ბევრული – ბევრი 19,28; 74,5-6.
ბევრის ბევრი – მრავალი 46,7.
ბევრის ბევრობა – მრავლობა („ბევრის ბევრობს სიბრძნე“) 46,15-16.
ბინიანად – აქ: საფუძელიანად 147,7.
ბიჯი – ნაბიჯი 77,18.
ბოროტად – ცუდად 18,18-19.
ბრალეული – დამნაშავე 74,23.
ბრალი – დანაშაული 15,11; 38,8; 41,25; 67,9; 68,22.
ბრიკა – ეტლი 53,26; 54,1; 55,9; 55,18; 59,17.
ბრუკი – შარვალი 111,15.
ბრძენი ბრძენთა – ღმერთი 40,1.
ბუღდური – 1. ადრეული ვაზის ჯიში. ისხამს მკრთალი მწვანე ფერის მოგ-
რძომარცვლიან, ტკბილ ყურძენს; 2. ამ ვაზის ყურძენი (ქეგლ) 134,13.
ბუმაჟნიკი – საფულე 148,20.
ბუნებითი – მშობლიური 25,24; 140,4-5.
ბლუჯეულად – მუჭა-მუჭა, ბლუჯა 156,7-8.
გამოლტოლვილი – აქ: თავდაღნეული 55,3.
გამომღები – მომცემი 30,11.
გამოჩინება – გამოჩენა 35,25.
განვლტოლვა – უკუქცევა, გაქცევა 69,29.
განთესვა – აქ: გავრცელება 26,12.
განმხილველი – გამნაალიზებელი 77,17-18.
განმხნობა – გამხნეება 18,25.
განრინება – თავის დაღწევა 99,22.
განწესება – აქ: სამსახურში მონყოფა, დანიშვნა 131,30.
განხვნა – გახსნა, გაღება 34,5; 41,22.
განხმული – ღია 103,16-17.
გარდაბეჭვდა – ჩაბეჭვდა 38,30; 39,31.
გარდამოცემა – აქ: ახსნა 29,17-18; ლექცია 27,17.
გარდასრული – გადაცილებული 107,9; 108,29.
გარემოება – აქ: მდგომარეობა 27,13; 29,16; 32,22; 38,20; 38,27; 47,10;
53,14-15; 54,13-14; 55,4; 61,15; 66,11; 67,2-3; 69,22; 71,25; 74,21-22;
77,16; 81,17-18; 85,11; 89,1; 98,6; 103,20; 107,7; 109,12; 116,27;
119,25-26; 122,18; 122,26; 131,4; 131,27; 142,33.

გადატვიფერა – ჩაბეჭდვა 90,12.

გარდატვიფრული – ჩაბეჭდილი 92,21.

გარდახრული – გადაცილებული 107,9.

გარნა – მაგრამ 14,10; 18,4; 20,21; 24,3-4; 24,21; 26,32; 29,14; 32,2; 32,6;
33,4; 37,3; 37,8; 37,12; 37,20; 37,29; 39,6; 39,28; 40,1; 41,7; 42,13;
42,31; 43,29; 49,24; 50,30-31; 51,19; 51,26; 52,1; 52,14; 52,16; 53,21;
53,22; 56,2; 57,29; 59,10; 59,14; 59,19; 59,28; 60,24; 63,29; 64,35;
65,12; 66,6; 66,13; 66,29-30; 67,6; 67,18; 68,1; 68,12; 69,2; 69,12;
69,27; 72,23; 73,10; 74,9; 75,4; 75,29; 75,34; 77,17; 77,22; 78,6;
79,7; 80,11; 80,18; 80,24; 81,13; 81,21; 81,28; 82,14; 84,13; 85,31;
86,20; 87,10; 87,12; 88,5; 90,27; 90,35; 91,4; 91,12; 91,22; 91,33;
92,22; 94,13; 96,26; 98,6; 98,24; 101,14; 102,6; 103,3; 103,5;
103,16; 105,13; 107,20; 110,7-8; 113,4; 115,21; 115,25; 116,3;
116,10; 117,25; 119,18; 121,3; 121,14; 121,31; 123,22; 125,6.

განევა – აქ: თავის დაღწევა, ავადმყოფობის დაჯახბნა 131,27.

გება – ყოფნა (ეჭვი – ეარ) 23,8; 78,19.

გეგმი – გეგმა 20,19.

გვამი/გუამი – 50,7; სხეული პიროვნება, ადამიანი, პირი (პირის ნაცვ.)
66,27; 72,14; 74,13; 74,23; 75,11; 75,22; 77,14; 79,1; 90,7; 96,10.

გლარდი/გლარზი – თამბაქო 91,33//61,7.

გოლი – ფიჭიანი თაფლი 39,19//118,13.

გონება გონებათაი – ღმერთის ეპითეტი 105,27-28;

გორგოლები – ურმის, ეტლის თვლები 52,1-2; 52,9-10.

გრძნობილება – გრძნობა 35,8; 35,18.

გულითადიერ – გულითადად 122,13-14.

გულითადურ – იხ. გულითადიერ 84,5.

გულ-ძვირებულად – ცუდად 47,9.

დადგრომა სარწმუნოებასა ზედა – სარწმუნოების მტკიცედ დაცვა 19,13-14.

დაღმობა – ტკივილი 96,3.

დამძნილი – სერიოზული, დაბრძენებული 133,14.

დარდიმანდობა – უდარდებლობა 132,14-15.

დარჩომა – დარჩენა 132,8.

დარჩომილი – დარჩენილი 97,9.

დატევება – დატოვება 23,21; 41,24; 42,17; 63,18; 67,22; 69,10-11; 77,8;
80,22; 81,10; 84,27; 86,12; 121,18.

დატევებული – დატოვებული 38,18; 79,17-18.

დალათუმცა – და თუმცა 39,5.

დაშომა – დარჩენა 13,24; 14,7; 21,5; 21,11; 27,6; 29,19; 30,4; 31,31; 35,2;
50,13; 51,7; 55,16; 75,34; 85,3; 88,3; 88,20; 94,24; 97,12; 130,21.

დაშომილი – დარჩენილი 62,14; 88,19; 91,12-13; 93,5; 93,14; 116,10;
122,23.

დაცხრომა – აქ: შენელება 60,14.

დაძგერებაები – შეხლა-შემოხლა 138,13.

დანინდვა – დანიშნა 75,29.

დახანება – დაყოვნება 53,25.

დეისტვიტელნი – ნამდვილი, მართალი 42,25.

დია – ძალიან 14,24.

დიაჩოქი – მედავითნე 89,9.

დიდად – ძალიან 11,11; 15,19; 24,4; 31,14; 51,13; 54,2; 54,7; 56,4; 59,19; 61,7; 63,12; 68,1; 68,20; 73,9; 76,13; 78,29; 79,3; 79,12; 81,2; 81,7-8; 88,21; 88,31; 95,12; 103,2-3; 127,3-4; 130,16; 144,27; 145,27; 151,18; 155,4; 163,1.

დიდი – აქ: ძალიან 138,1;

დიდროვანი – საკმაოდ დიდი 106,11.

დიდ სულობა – დიდსულოვნება 18,36.

დიდ-ფრიად – ძალიან 20,3; 31,3; 31,17; 32,26; 34,8; 34,10; 38,24-25; 39,3; 41,2; 43,21; 46,7-8; 51,18; 52,34; 53,13; 54,11; 57,30; 59,13; 61,21; 70,14; 72,12; 72,29; 76,1; 76,10; 77,6-7; 78,28; 83,17; 85,21; 86,5; 88,25; 94,15; 96,19; 97,24; 101,34; 107,27; 109,8; 114,7;

დიდ ფრიადი – დიდი, ძლიერი 24,2; 94,8; 95,26; 98,16; 100,3; 120,19.

დიდ-ძურფასი – ძალიან ძვირფასი 20,5.

დებულ ყოფა – დანიშვნა 29,25.

დოვერენიე – ნდობა 97,7.

დროშკა – მსუბუქი ეტლი 76,15; 79,4; 89,5.

დუბე – დაბალი ადგილი 43,3; 49,3.

დუშალიკი – ფეხის ქირა, საჩუქარი ძღვნის მიმტანისთვის 154,17.

ეგზემენა – გამოცდა 27,10-11; 38,21; 45,21; 59,9-10; 81,24; 85,16.

ეეროპიის ენა – ეეროპული ენა 25,25.

ერთბამად – ერთად 18,33.

ერთის ლექსით – ერთი სიტყვით 80,10; 158,11.

ერთკერძ//ერთ კერძო – ერთი მხრივ 33,5//72,12.

ერთ კერძოდ იხ. ერთკერძ//ერთ კერძო 35,27.

ერთმოსახელე – სეხნია 45,6.

ერთხმობით – ერთხმად 45,14-15.

ესდენი – ამდენი 131,3.

ესე ვითარისათჳს – ამის გამო 18,26.

ესრეთი – ასეთი 20,4; 77,18; 85,31; 101,35; 107,14; 115,10-11; 116,20; 125,23.

ესტეტიკებრ – ესთეტიკურად 72,5.

ესტეტიკებრი – ესთეტიკური 41,15.

ვ – ყოლა (მივის – მყავს) 94,19.

ვალად ყოფა – დავალება 97,33.

ვალდებულ ყოფა – დავალდებულება 14,24.

ვასხება – სესხება 18,8.

ვასხი – სესხი 29,23; 83,26.

ვედომოსტი – უწყებანი 86,16.

ვედრი – ვედრება, თხოვნა 29,31; 38,21; 60,19; 85,13; 97,30; 118,18.

ვერსადამე – აქ: ვერასდროს 39,19.

ვერსტი - ვერსი, ძველებური რუსული სიგარძის საზომი ერთეული, უდრის
1.06 კმ-ს (ქეგლ) 158,16; 160,22; 166,9.

ვექსილი - 97,11; 97,13; 114,20; 114,21; 114,23; 116,22. იხ. თამასუქი

ვეჩერი - საღამო 144,13.

ვიეთნიმე - ვინმე, რომელიმე 36,2.

ვიეთსამე - ვინმეს, რომელიმეს 35,17.

ვითარ - როგორ 35,24; 43,5; 49,16; 50,31; 53,29; 54,9; 58,23; 68,23; 78,26;
95,5; 100,16; 105,13; 118,18-19; 121,6-7; 126,4.

ვითარება - მდგომარეობა 13,20; 32,2; 41,17; 61,15; 62,2-3; 66,19; 66,29;
70,1; 71,24; 79,24; 83,23; 86,27; 89,3; 89,4; 91,36; 100,18; 101,25;
105,17; 106,23; 111,10; 117,4; 119,35; 121,16; 122,26; 132,7.

ვითარი - როგორი 28,1; 67,25; 83,4; 98-99; 108,28; 119,19; 121,6.

ვითართა ხატითა - როგორ 69,22; 70,22.

ზიზლება - ზიზლი 39,10.

ზმნობა - ფიქრი (აზმნობს - ფიქრობს, ჰგონებს) 29,27; 35,26-27; 36,15;
36,16; 37,19; 38,1; 38,6; 41,11; 42,7; 42,11; 78,26.

ზნეუობითი - ზნეობრივი 26,3; 28,11; 36,25; 56,1; 103,23.

ზომითი - ზომიერი 101,10.

ზონარი - რბილი ნართისაგან დამზადებული წერილი გრეხილი (ქეგლ)
164,25.

ზრახვა - თქმა 42,16; 81,11; 88,5; 92,11; 97,22; 121,32; ფიქრი 120,15.

ზრდა - აქ: შენახვა, რჩენა 69,14; 86,6.

თავადი - მთავარი 43,3.

თალხი - შავი ფერი 133,2.

თამასუქი - სესხის ალების დროს გაცემული საბუთი 108,5.

თანა-დება - მართება, მოვალეობა (თანა-მადს - მევალება) 27,11.

თანამდები - მოვალე, ვალდებული 98,15-16.

თანამდებობა - მოვალეობა, ვალდებულება 26,30; 27,8; 43,5; 63,29; 67,8;
70,26; 78,34; 82,22; 91,2; 96,22; 99,14; 119,4.

თანჯმა - თანხმობა 37,5; 87,10; 91,3.

თარაქამა - თურქული მოდგმის ტომი 165,15.

თევაები - ღამის თენებები 138,14.

თეორეტიკებრ - თეორიულად 72,3-4.

თერმონია - თბილი შაქარ-წყალი (საბა) 58,25.

თვარემ//თუარემ - თორემ 159,4//138,9; 139,8; 142,8; 157,31-32; 163,24.

თნევა - მონონება 87,29; 88,2.

თენიერ - გარდა 32,1; 67,22; 73,7; 75,31; 77,9; 79,20; 80,30; 89,21; 94,19;
97,15; 108,5.

თვს - შესახებ 31,5; 45,26; 81,2 და სხვ.; გამო 40,10.

თვს-თვსად - ცალ-ცალკე 21,10.

თვს-თვსი - ჩვენ-ჩვენი 20,22.

თვსის ცხოვრებით - თავისი ოჯახით 52,24.

თვს კერძო - თავის მხრივ 34,18.

თვს შორის - თავის თავში 35,15.

თუმანი – რუსული ფულის ერთეული, ათი მანეთი 55,11; 63,9; 68,5; 72,27; 76,12; 83,28; 88,34; 90,17; 94,6; 97,31, 107,12; 107,17; 117,15; 148,17.

თქვენ შორის – თქვენში 43,10; 50,3.

იდია – აზრი, იდეა 30,19; 40,8; 41,6.

ილაჯი – ღონე, ენერგია, ძალა, არაქათი 160,31.

იმიერ – იმ 148,31.

იოანესი – იოანეს ძე 22,12.

იქმნება – იქნებ 42,5.

ინრო – მძიმე 101,25.

კაეშანი – დარდი, ნალეელი 132,21.

კალასკა – ეტლი 148,27.

კამანდერი – მეთაური, უფროსი 139,20; 149,20.

კანიკული – არდადეგები 86,13.

კანონითი – კანონიერი 36,26.

კარტეზიანი – კარტეზიანელი 31,33.

კატეხიზმო – სჯული ღვთისა 47,28; 52,28; 81,19.

კაცად შემოსლვა – ეკონომიურად ფეხზე დადგომა 18,11.

კაცაკი – პატარა კაცი 34,21; 35,2.

კაცობრივი – ადამიანური 25,9-10.

კეთილად – კარგად 18,13; 18,27; 52,4; 52,22; 53,13; 55,34; 97,1-2; 99,28; 106,14; 117,11; 142,32.

კეთილ-გუარობა – სიკეთე, სიკარგე 53,21.

კეთილ გუარობითი – კარგი 80,33.

კეთილი – კარგი 70,21; 88,25; 123,2; 126,6.

კეთილობა – სიკეთე 35,18; 50,5; 62,3; 65,12; 69 ,1; 101,4; 104,32; 118,4; 120,19.

კერძო – აქ: კონკრეტული 29,4. მხარე, ნაწილი 50,27; 51,24; 78,20; 85,34.

კერძობითად – კერძოდ 71,10; 72,11.

კერძობითი – კერძო 38,7.

კვალად //კუალად – კვლავ 52,31; 61,24; 158,36//134,4.

კვეთება – აქ: წინააღმდეგობა, შეხლა 29,5; 103,22.

კვირიაკე – კვირა 88,6.

კვლავ – აქ: შემდგომში 138, 16.

კმა – საკმარისი 39,8; 41,7; 71,24; 75,34; 76,2.

კმად – საკმარისად 70,19; 73,8.

კმასაყოფელი – დამაკმაყოფილებელი 97,13.

კმაყოფა – დაკმაყოფილება 73,10.

კმაყოფილყოფად – დასაკმაყოფილებლად, საამებლად 51,15-16.

კნინა – თითქმის 70,15; 107,9.

კომანდა – რაზმი 131,19-20.

კონდაკი – იკოსის ნახევარი (საბა), საეკლესიო საგალობლების შემცველი ნიგნი 121,1.

კრული – დანყეელილი 132,33.

- ლაზათის განევა – კარგად მოლხენა 158,28.
- ლექსი – აქ: სიტყვა 37,28; 38,5; 42,13; 48,15; 48,28; 61,26; 61,27; 62,11; 63,19; 63,21; 64,27; 67,29; 71,5; 71,6; 71,8; 71,7; 75,6; 80,10; 80,26; 85,2; 118,26.
- ლიზლი – ლაზლანდარა, უსაქმური, ცბიერი 75,6.
- ლიტონად – უბრალოდ 37,27.
- ლოლიკებრ – ლოგიკურად 31,33-34.
- მაგივრად – სანაცვლოდ 18,26; ნაცვლად 156,33.
- მაინდამ – მაგედან 105,4.
- მაინთ – მაგეთ, მაგ მხარეს 139,6.
- მაიორშობა – მაიორობა, ოფიცრის ნოდება, კაპიტანზე მეტი და პოდპოლ-კოვნიკზე ნაკლები (ქეგლ) 166,8.
- მალიად – მალე 102,2.
- მამეული – მშობლიური 140,3-4.
- მამრისა სქესი – მამრობითი სქესი 62,22.
- მანდეთ – მაგეთ 147,24.
- მანდიდგან – მაქედან 51,12; 97,14.
- მანეთი – რუსული ფულის ერთეული 86,1; 107,15; 108,5; 125,8; 125,14; 125,25.
- მანუმენტი – ძეგლი 98,12.
- მართებულობა – ქეჰმარიტება 15,14.
- მასნავლეელი – მასნავლებელი 25,15; 27,7.
- მასნრაფლად – სნრაფად 113,6.
- მატერია – ნიეთიერება 31,19; 32-33; 33,17; 36,8; 36,9.
- მაშა – ესე იგი 31,34; 39,16. მაშ 35,15-16.
- მახვილობა – ყოჩალობა (მახვილობს) 46,18-19.
- მახლას – შორისდებული, კონტექსტის მიხედვით გამოხატავს: 1. დანანებას 132,11; 2. ალტაცებას, აღფრთოვანებას 142,5.
- მდგომარეობა – აქ: ქცევა (მდგომარეობს) 69,17-18.
- მდედრისა სქესი – მდედრობითი სქესი 62,26.
- მემამულე – აქ: თანამემამულე 21,30; 23,13; 30,21; 39,14; 46,20; 50,20; 54,20; 61,19; 64,21; 69,4-5; 69,13; 74,10; 74,26; 86,4-5; 89,23; 94,20; 98,12; 101,9; 103,8; 104,15; 105,5; 105,15 105,18; 106,1; 111,5; 115,20.
- მემცხედრე – მეულე 97,25; 102,9; 107,26-27; 120,5.
- მეურნე – აქ: მომელელი 52,19.
- მეუფე დიდებისა – ღმერთის ეპითეტი 118,6-7.
- მეუფე ყოველთა – ღმერთის ეპითეტი 122,16-17.
- მეუფროსე – უფროსი 38,16-17.
- მეჟეყენე – ცოცხალი ადამიანი, ამ ქვეყნად მყოფი 22,9; 23,13-14.
- მეჟონი – მჟონე 34,22; 144,28.
- მეცადინეობა – ცდა, მცდელობა (მეცადინებ – ვცდილობ; ვიმეცადინებ – ვეცდები) 18,20; 26,32; 35,21; 39,14; 45,23; 47,18; 58,34; 60,10; 65,27; 69,12; 69,27; 75,1; 75,28-29; 77,29; 79,17; 79,19; 80,13; 80,24; 99,17; 110,4; 118,7-8.

მეცნავ – ნაცნობი 106,24.
 მეხსიერ – მახსოვრობის უნარის მქონე 69,33.
 მიგებებულ ყოფა – მიგებება 49,25.
 მიღენა – მიკარება 166,7.
 მითამ – ვითომ 139,9.
 მითანხმება – მიპატიყება, სტუმრად მიწვევა 61,17.
 მითხრობა – თქმა 18,24; 28,13; 34,18; 62,11-12; 62,33; 63,22; 65,18; 112,18;
 117,7.
 მიმოდგება – უშინაარსო სიარული აქეთ-იქით, ხეტიალი 84,22-23.
 მიმღებელობა – მიღება 20,6.
 მიმწუხრადმდე – სალამომდე 78,34.
 მიმხდელი – ნამრთმევი 82,22.
 მიმხედი – დამნახველი 26,20-21; 91,7.
 მინამ – სანამ 165,25.
 მიწუტი – წუთი 51,28-29.
 მიუცილებელად – აუცილებლად 44,14; 60,23; 72,34; 92,22; 105,27; 117,27;
 118,5.
 მიუცილებელი – აუცილებელი 107,20.
 მიქცევა – მიბრუნება 21,9; 35,1; 66,9; 105,7; 111,8.
 მიცვლა – შეცვლა 66,7.
 მიხდა – ნართმევა (მიმხადეს – ნამართვეს) 134,14.
 მკერვალი – მკერავი 29,28-29.
 მკურნალი – ექიმი 31,7.
 მნათებარეობა – ნათება, გამოჩენა 75,4.
 მობრუნება – აქ: გამოჯანმრთელება 15,6.
 მოგვიანება – დაგვიანება 55,17; 59,32-33.
 მოვასხება – სესხება 76,2.
 მოვაჭრება – ყიდვა 55,14; 76,15; 79,4; 79,8; 86,3; 89,5; 94,13.
 მოკაეება – მონახვა (მოიკავოს – მოინახოს) 63,3.
 მოლოდება – მოლოდინი, 40,26; 43,1.
 მომლოდე – მომლოდინე 23,20.
 მოსწრაფებით – სწრაფად 45,23-24.
 მოტყინება – აღგზნება, ანთება, ავარვარება (ი. აბულაძე) 50,11.
 მოუნერელობა – ნერილზე პასუხის გაუცემლობა 131,3-4.
 მოქცევა – მობრუნება 49,7; 67,13; 76,6; 76,28; 78,30; 110,33-34; 119,28.
 მოშურნეობა – შური 78,1.
 მოცალეება – მოცლა 27,2.
 მოცდენა – აქ: ჩამორჩენა 27,5. (მოცედი – ჩამოვრჩი)
 მოძნელება – გაძნელება 60,13-14; 90,22; 90,35; 96,26.
 მოძლუარება – მოძღვრება 19,7.
 მონოდება – დაძახება 51,30.
 მონყინება – მონყენა 95,26; 144,20.
 მპყრობელი – აქ: შემცველი 70,11.
 მსარჩლეელი – დამცველი 164,11.

მსლველი – იხ. ჩიგრიკი 69,6.
მსწრაფლიად – სწრაფად 31,20-21.
მტკივნეულ – ნატკენი 51,29.
მტკივნეულება//ტკივნეულება – ავადმყოფობა 23,23; 31,8; 31,9//23,9; 31,7;
მუნ – იქ 20,30; 27,9; 31,6; 31,9; 38,16; 38,23; 51,31; 55,16; 57,20; 57,26;
58,1; 59,19; 59,27; 67,30; 76,5; 77,31; 80,22; 81,23; 84,30; 86,8; 86,12; 97,17;
120,22; 121,35.
მუნვე – იქვე 21,5; 38,16; 47,13; 58,25; 66,9.
მუნითგან//მუნითგან – ამ დროიდან 27,1; იქიდან 31,9; 55,27//76,6.
მუსკულა – კუნთი 33,3.
მუშაკობა – შრომა, მუშაობა 38,18; 40,10-11.
მქისე – უხეში, მოუხეშავი, ტლანქი 32,29; 80,12; 108,26.
მქისეიყი – ქიზიყი 63,27; 72,35; 76,4-5; 79,12-13; 84,11; 85,18; 90,19;
121,34.
მყვარებელი – მოყვარული 112,8; 127,5.
მყოობადი – მომავალი 43,3; 75,34-35; 81,11; 82,19-20.
მყოფობა – ყოფნა 42,10; 43,15; 48,12; 58,2; 63,10; 63,12; 66,13; 71,9; 77,21;
87,8; 91,19; 97,1; 97,2; 111,8.
მცირაკი – მცირე 31,32; 38,25; 42,15; 67,10; 97,32.
მცირე – ცოტა 38,13; 38,36; 69,26; 72,13; 94,15; 107,35; 140,8; პატარა
82,10; 109,3; 117,26.
მცირედ – ცოტა 24,24; 51,26; 68,18; 75,10; 80,17; 104,7; 124,2; 127,2.
მცნობი – 1. მცოდნე 84,23; 63,25; 2. ნაცნობი 96,2; 87,2.
მწუხარე ყოფა – დამწუხრება 72,29; 86,5.
მწყაზრად – მოხდენილად 133,33.
მჭეველი – ჭაველი 133,7.
მჭევრმეტეობა – მჭევრმეტყველება 36,27.
მხედარი//მჭედარი – სამხედრო პირი 61,25//75,23.
მხედრობა//მჭედრობა – სამხედრო პირი 58,12; 69,30; 139,8//68,13; 78,23.
მხილება – გამხელა (მამხილეთ – გამომხილეთ) 19,24
მჭედართი – სამხედრო 86,9.
მჭედართ ლუბერნატორი – სამხედრო გუბერნატორი 72,17; 75,23.
ნავსი – ხიფათი 143,6.
ნათელი ნათელთაი – ღმერთის ეპითეტი 43,4; 64,15; 78,7-8; 82,10.
ნათესაებერი – ნათესაური 160,7.
ნათიად – ნათლად 39,23.
ნანდეილ – ნამდეილად 78,24.
ნაჩალნიკი – უფროსი 85,23; 125,15; 162,20.
ნაჩალნიკობა – უფროსობა 157,8.
ნანილი – ნილი 20,22.
ნებაი ნებათაი – ღმერთის ეპითეტი 43,27.
ნემეცური//ნემენცური – გერმანული 21,2//58,7.
ნინველი – 10-15 ნლის ყმანელი 62,17; 63,3-4; 72,24; 99,8-9.
ნიშნულ ყოფა – დანიშვნა 75,30.

ნიშოვანი – ნარჩინებული, გამოჩენილი 61,23.
ნიჭებულად – ბოძებულად 43,10-11.
ნიჭებულად – 1. ბოძებული 32,19; 64,34; 67,23-24; 106,4; 2. დაჯილდოებული 116,7.
ნიჭებულ ყოფა – დაჯილდოება 65,15.
ობლასტი – მხარე, ოლქი 157,8.
ოდა – ხოტბა, ქება 115,2.
ოდენ – მხოლოდ 85,3.
ოდეს – როდის 67,17.
ოვბაბ – ბუნებითი (საბა), ბუნებრივი 30,4.
ორკერძ – ორმხრივ 41,20;
ორკერძო – ორმხრივი 105,28; 119,8.
ორლანოებრი – აქ: ორგანოს მსგავსი 34,15-16; 36,4.
ოტრივიკი – ნაწყვეტები 110,26.
პანციონი – რეგულაციამდელ რუსეთში – სასნაელებელი, სადაც მოსნაე-
ლებს უზრუნველყოფდნენ ბინითა და კვებით (ქეგლ) 131,12.
პიიტკია – პოეტიკა 93,23-24.
პირადად – ცალ-ცალკე 133,13.
პირმოთნე – აქ: პატიოსანი, ნესიერი 27,14.
პლანი – გეგმა 81,35.
პოლიტიკებრი – პოლიტიკური 26,5-6; 56,1-2.
პორუჩენიე – დავალება 148,8.
პრაექტი – პროექტი 94,26; 122,3.
პრაელენიე – მმართველობა 83,25; 97,6.
პრაექტიკებრ – პრაქტიკულად 72,4.
პრაქტიკებრი – აქ: პრაქტიკა 40,2.
პუდი – ფუთი 53,28.
პყრობა – აქ: 1. წარმართვა 27,19; 53,11; (იპყართ – წარმართეთ; იპყრობე-
ბის – წარმართება); 2. მტკიცედ დაცვა 64,16; 93,30; 96,20; 3. მოცვა
(მოიცავს, შეიცავს) 110,24; 4. დანყება (ვიპყარ საქმეცა – დაიწყე
საქმე) 29,11; 5. შესვლა (იპყრობა – შედის) 36,27.
ჟამი – საათი 18,8; 19,25; 24,1; 51,22; 52,22; 52,23; 64,1; 66,8; 66,9; 70,13;
72,16; 74,12; 78,29; 82,12; 89,2; 93,1; 93,7; 93,8; 93,9; 93,10; 93,12;
97,21; 97,23; 99,23; 107,23; 115,12; დრო 20,31; 27,28; 37,29; 39,6;
45,11; 46,8; 48,21; 80,25; 86,26.
ჟამითი ჟამად – აქ: ყოველ ნუთს 19,25.
რაბამ – როგორც კი 107,34.
რაზლოვორი – საუბარი 138,8.
რაიობა – რაიმე 31,23.
რაოდენისამე – რამდენიმე 51,28; 70,13; 86,8; 120,2. ცოტაოდენი 77, 8.
რასაცხანში – რა ასაკშიც 15,4,5.
რაცხვა – იხ. აღრაცხვა 26,29; 40,28; 43,12; 50,2; 57,11; 83,19.
რომელ – რომ 18,14. 24,6; 25,17; 26,20; 29,12; 31,12; 31,19; 32,3; 32,7;
32,10; 34,24; 34,25; 36,24; 37,6; 39,25; 41,7; 43,31; 44,6; 46,18; 47,23;

48,20; 50,11; 53,11; 54,1; 59,9; 62,9; 64,1; 64,2; 64,22; 64,33; 67,28;
69,3; 70,25; 72,13; 75,14; 77,19; 78,28; 80,32; 81,10; 88,1; 88,18; 92,18;
93,20; 93,35; 94,1; 96,29; 97,11; 97,19; 98,7; 101,30; 101,31; 103,12;
103,25; 104,1; 104,6; 104,10; 104,15; 104,18; 104,26; 104,35; 105,4;
105,6; 105,10; 107,8; 107,11; 107,14; 108,18; 108,28; 110,4; 114,18;
114,28; 114,30; 115,30; 117,30; 118,1; 118,4; 120,18; 121,18; 121,30;
123,22; 125,10; 125,18; რომელიც 18,18.

როსი - რუსი 52,13.

როსია - რუსეთი 20,35.

როსიული//როსსიული - რუსული 72,18-19; 96,16//58,6; 82,16.

როჭიკი - ხელფასი, გასამრჯელო 72,22.

რუბლი - რუსული ფულის ერთეული 18,6; 64,6; 64,7; 72,28; 73,3; 76,3;
76,4; 76,15; 114,14.

საგრძნობელი - საგრძნობი 46,8.

სადამე - სადმე 34,9; 36,10; 91,30; 99,32.

სადგომი - ოთახი, სახლი 47,13; 79,2; 80,30; 91,6; 95,11.

სადგურობა - ცოტა ხნით საცხოვრებლად გაჩერება 52,21; 59,27.

საზრდო - საჭმელი 64,6; 68,7; 76,5; 76,8; 90,15; 90,21.

სათანადო - შესაბამისი 32,1; საჭირო 41,20; 71,7; 79,7-8.

სათნო - აქ: მსურველი 26,25.

საკულაოდ - სამომავლოდ, შემდგომში 156,25.

საკურვლად - საკვირველად, საოცრად 105,12.

სამარადისო - მარადიული 37,25; 40,14; 53,3; 61,14; 67,21; 80,2; 98,28;
100,2.

სამარადოდ - სამარადისოდ 14,7-8.

სამკურნალოდ - ნამალი 31,11; 107,28.

სამოსი - ტანსაცმელი 31,19.

სამსაჯულო - სამსჯავრო, სასამართლო 48,30.

სამჭევრო - მჭევრმეტყველური 25,7.

სანამეტნაოდ - მეტისმეტად, ძალიან 15,8.

სანთური - სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი: ქნარი, ჩანგი, ებანი
146,7.

საყამე - საათი 48,7; 48,8; 108,10.

საყენი - ძველებული რუსული სიგრძის საზომი ერთეული, უდრის სამ არ-
შინს: 2, 13 მეტრს (ქეგლ) 116,13-14.

სარგებლად - სასარგებლოდ 21,29; 39,29; 42,12; 44,6; 50,20; 58,30; 60,28;
61,19-20; 70,18.

სარეცელი - სანოლი 23,22.

სარწმუნოებითი - სარწმუნოებრივი 36,26; 45,2.

სასეფურო - მარტივი, ადვილი, მსუბუქი 26,28.

სასობრძნო - სიბრძნის 38,11; 19,21.

სასმენლად - მოსასმენად 31,5; 31,6.

სასმენელი - ყური 23,8.

სასოება – იმედოვნება (სასოებს), იმედი 29,10-11; 32,10; 64,33; 94,13; 96,7; 98,7; 110,36.

სატრფოთ მარაქა – ერთად თავმოყრილი ქალები ლხინში (ქეგლ) 132,14.

საშუალობა/საშეალობა – საშუალება 24,23; 26,3; 33,1; 40,12; 83,2-3; 92,27; 105,7-8; 110,8; 115,23; 116,5//77,32; 77,33; 92,24.

საშუალი დღე – შუადღე 24,16-17.

საშუალობით – მეშეეობით 26,3; 33,1; 40,12.

საცმელი – ჩანაცმელი, ტანსაცმელი 48,9.

საწყინო – საწყენი 147,8.

სახედუჭლი – თვალი 132,15.

სახელდებით – დასახელებით 41,29; 59,6.

სახელის დადება – ამავის განევა, მადლის ქმნა, მზრუნველობა 18,14-15.

სახლეული – ოჯახი 19,13; 62,13; 66,11-12; 66,13; 68,1; 85,30; 86,29; 88,30; 89,5; 91,17; 91,19; 94,12; 97,1; 101,23; 112,14; 114,6; 114,16; 119,27.

სახლი – 1. ოთახი 24,7; 60,27; 95,11; 99,32; 2. ოჯახი 20,14; 68,7-8; 68,18; 75,35; 78,33; 85,18; 85,24; 131,27; 131,28; 158,9; 158,23.

სახლობა – იხ. სახლეული 79,13; 95,14; 106,13; 110,34; 110,35; 115,26; 118,20-21; 122,2.

საჯდომი – ცხენი 51,25.

სენატორი – სენატის წევრი 48,28.

სეფურობით – ხალისით, სიხარულით 42,18.

სიმრთელი – ჯანმრთელობა 41,2; 42,22; 48,17; 50,18; 53,10; 55,33; 59,15; 59,27; 60,8; 69,1,2; 77,5; 78,29; 78,31; 79,4; 82,3; 89,27; 96,12; 97,28; 99,21; 99,29; 100,10; 100,21; 100,22; 102,11; 106,3; 106,23; 106,30; 109,28; 112,13; 113,4; 114,3; 114,5; 117,2; 117,3; 120,6; 120,7; 120,12; 120,13; 122,13; 123,15; 124,6; 125,3.

სიმრთელით – ჯანმრთელად 28,2; 49,26; 54,17; 54,18; 61,13; 62,8; 66,21; 81,27; 84,4; 88,22; 91,18; 91,20; 95,14; 96,11; 97,1; 97,16; 100,9; 101,26; 106,13; 114,17; 115,27; 117,9; 119,6; 122,2; 122,24; 125,28.

სისტემატიკებრი – სისტემატური 65,20; 67,32.

სიტყვისა გება – პასუხის გაცემა 18,3.

სიცოცხლით – ცოცხალი 52,4,5; 54,17; 95,15; 119,7; 122,29; 123,16.

სიხარულ – გახარებული 110,3.

სლავიანი – სლავი 46,16.

სნულება/სნეულობა – ავადმყოფობა 15,5-6; 24,20; 29,6; 50,26; 63,29-30; 64,4; 64,14; 78,9; 78,27; 81,20; 107,10; 107,29; 123,3; 131,28; 147,27//27,4-5; 27,5; 79,12.

სოვეტნიკი – მრჩეველი 159,14.

სოფელი – სამყარო, ქვეყანა 21,21; 26,4; 34,34; 35,6; 35,24; 35,34. 39,27; 43,23; 49,19; 71,19; 77,14-15; 94,11; 96,5; 99,11; 108,33; 108,35; 119,8; 142,28; 144,27; 145,20; 147,13-14; 160,19.

სრულიადი – სრული 23,5; 27,23; 82,20.

სრულ ყოფა – დასრულება 31,30; 51,3.

სტატიეები – სტატია, მუხლი 48,28.

სტიხი – ლექსი 104,12; 114,31; 125,9.

სტუმრება – მასპინძლობა 56,4. (მისტუმრა – მიმასპინძლა)

სუდირასპრავა – სამართლისა და განჩინების სამსახური 131,10.

სურეელი – მსურველი 39,25-26.

სუსტებულ ყოფა – დასუსტება 50,30.

სძალი – საპატარძლო 87,24.

სხეულევეანი – ხორციელი 34,9.

სხვებრ//სხუზბრ – სხვა მხრივ, მეორე მხრივ 15,14; 113,7; 142,34; 147,31;
156,25; 162,6//18,30; 21,11; 51,7; 58,20; 68,13; 68,18; 73,7; 100,27;
119,21; 134,23.

სხოვლა – სკოლა 43,26.

სხუა და სხუა სახეებრ – სხვადასხვაგვარად 32,21.

ტალანტი – ნიჭი 25,16; 32,8; 32,18-19; 64,34; 67,23; 90,11.

ტანცაობა – ცეკვა 75,21; 75,22; 131,22.

ტარტარი – ამაო ლაპარაკი 35,1.

ტოკვა – ცეკვა 75,21.

უადრეს //უადრეოს – უფრო ადრე 98,30//42,19.

უამოვნობა – უსიამოვნება 131,23.

უეზდი – მაზრა 87,13; 90,21; 101,33.

უკანასკნელ – ბოლოს 15,8; 21,8; 23,11; 24,5; 32,9-10; 35,15; 42,21; 48,17;
55,33; 58,11; 60,26; 71,28; 79,21; 97,16; 101,22.

უკეთილესად – ძალიან კარგად 41,30-31; 59,26; 74,15; 87,27.

უკეთილესი – აქ: უმჯობესი 61,8; 70,16.

უმალლესი გუამი – ნარჩინებული ადამიანი, ხელმწიფე 44,45.

უნამეტნავეს გზის – უმრავლესად 15,12.

უნდომობა – სურვილის უქონლობა 155,18.

უნებლიეთად – უნებლიეთ 15,12.

ურგ – უსარგებლო 31,24.

ურგები – უსარგებლო, გამოუსადეგარი 32,29.

უსმენლობა – 1. ყურის დაუგდებლობა 77,7; 2. სიყრუე 78,8-9.

უსყიდელი – მოუსყიდველი 145,5.

უუმნუჭრვალესი – უდიდესი, უმძაფრესი, უძლიერესი 22,4-5.

უნინდელებრ – უნინდებურად 132,14.

უნყალოება – შეუბრალებლობა 141,21.

უნყება – აქ: 1. შეცნობა (იუნყა – შეიცნო) 22,18; 26,3; 2. ნერილი 29,9.

უხვეება – სიუხვე 39,30; 46,7; 67,5-6; 69,2-3.

ფასისა დება – დაფასება 39,20.

ფერჯი – ფეხი 131,20.

ფიზიკებრი – ფიზიკური 32,23; 78,21; 103,13.

ფიზომნომია – ფიზიონომია 80,18.

ფრანტი – ჩაცმა-დახურვას გადაყოლილი კაცი (ქეგლ) 155,25; 165,12.

ფრანციცული – ფრანგული 21,2; 58,7; 75,20.

ფრიად – ძალიან 24,17; 29,24; 33,7; 34,19; 38,11; 39,19; 50,30; 51,27; 56,7;
58,32; 59,6-7; 63,10; 68,12; 69,17; 76,14; 79,2; 85,29; 85,32; 86,27;

88,27; 90,19; 90,21; 90,27; 91,10; 91,26; 94,2; 97,30-31; 99,33; 100,19;
102,12; 103,11; 104,5; 112,24; 112,26; 113,6; 116,15; 117,19; 125,3;
125,18; 153,31.

ფრიადი – დიდი 91,6; 96,31.

ფრისტავი – ბოქაული 98,29.

ქადილი – კეცხნა 19,20.

ქალაქთი – სამოქალაქო 86,9-10.

ქარტა – ქალაღი 64,28; 67,10; 97,19.

ქიზგა – (ოს.) ქალი 156,12.

ქილიკი – ხუმარა 96,29.

ქონებული – ქონება 52,5;

ქრისტიანებრი – ქრისტიანული 25,30.

ყოვლად ბრძენი – ღმერთი 23,1-2; 43,9-10.

ყოვლადი – 1. სრული, მთელი 19,12; 32,21; 96,15; 2. საზოგადო 71,21.

ყოვლადობა – აქ: ზოგადი ხასიათი 80,19.

ყოვლით კერძო – ყოველმხრივ 32,22; 50,27; 53,19; 73,1-2; 81,12; 83,18;

შაბაშ – ყოჩალ, ბარაქალა, ვაშა 139,15.

შამპანსკი – შამპანური 155,7.

შაური – რუსული ხუთი კაპიკი 52,9; 113,1.

შედგომა – აქ: 1. გამოწვევა (შეუდგების – გამოიწვევს) 139,15; 2. გამოსვლა (შედგების – გამოდის) 32,3.

შეთვისება – აქ: შეფერება, რგება (მეთვისების – შემეფერება) 77,20.

შემძლებლობა – შესაძლებლობა 147,15.

შემჭვალული – აქ: მოცული, შეპყრობილი 35,19.

შეპყრობილი – აქ: დაავადებული, დაავადმყოფებული 27,5; 55,3.

შერაცხვა – იხ. აღრაცხვა 29,16.

შერევილად – არეულად, ქაოსურად 69,17.

შესაბამი – შესაბამისი; შესაფერი 18,24; 49,6; 65,23; 67,31; 107,6.

შესარაცხი – ჩასათვლელი 34,22; 34,29; 42,15; 47,25.

შესაწუხარ – სამწუხარო 52,34; 93,35.

შესხმა – ხოტბა, ქება 20,33; 21,3-4; 58,4; 93,33.

შეყვანება – შესავალი 93,18.

შეცდა – დაცდა 55,15 (შეუცადე – დაუშეცადე).

შეცუა – აქ: 1. შინაარსით შეესება (იცუმზის – შინაარსით იესება) 53,11;

2. შეცვა, მოცვა (შეიცუამს – შეიცავს) 19,15.

შექმნილი – შექმნილი 51,27.

შეჯერება – შეწუხება 138,3,4.

შთამოება – შთამომავლობა 94,24; 105,26.

შიშვა – შიში (მეშიშვის – მეშინია) 27,12.

შპანსკი მუხა, შპანსკი მუშკი – „ესპანური ბუზი“, ხოჭოს ერთ-ერთი სახეობა, რომლისგანაც მედიცინაში ამზადებენ ფხვნილსა და მალამოს (მ. ბერძნისეილი, ივ. ქავთარაძე) 23,25; 31,12.

შტატკი – სამოქალაქო პირი 131,24.

შურება – არქარება (მეშურება – მეჩქარება) 97,18.

შურება – ცდა 87,19.

შუშურა – შუშის სასმისი 158,11.

ჩახველება – აქ: თქმა, გაფრთხილება 139,12-13.

ჩემ კერძო//ჩემს კერძო – ჩემი მხრივ 61,19; 63,6; 73,5-6//42,6.

ჩემ-შორის – ჩემში 20,2; 20,4; 39,19; 46,5; 49,6-7; 54,17; 67,11-12; 85,6; 101,4.

ჩიკრიკი//ჩიგრიკი – 1. ფოსტა 87,19; 2. შიკრიკი, ფოსტის მოსამსახურე 69,6.

ჩიმი ქუნიმ – (სპარს.) რას ვიზამთ 139,10.

ჩინებულებანი – თვალსაჩინო ადგილები, ღირსშესანიშნაობები 53,18; 55,18-19.

ჩინებული – გამოჩენილი, სახელოვანი, ცნობილი 26,18; 53,19-20.

ჩინი – 1. მეფის რუსეთში სამხედრო პირთა და სამოქალაქო მოხელეთა სამსახურებრივი ხარისხი (ქეგლ) 131,11; 2. სასწავლებლის დამთავრების მონაგობა 21,7; 21,8.

ჩუმნ კერძო – ჩვენი მხრიდან, ჩვენი მხრივ 43,27.

ჩუსუმი – არაფრის მაქნისი, მოუხერხებელი, უფიცი 155,2.

ცაღიერობა – სიცარიელე 31,33; 31,34; 32,3-4; 32,5; 33,23.

ცნება – შეცნობა, გაგება (ვიმეცან – შევიმეცნე, გავიგე) 20,27.

ცნობა – გაგება (ვსცან) 15,2; 19,16; 20,1; 20,6; 20,9; 26,3; 78,32; 85,29; 98,5; 103,2; 107,11; 110,2; 121,26.

ცოლოსნობა – დაქორწინება 77,17.

ცხად ყოფა – განცხადება, დადასტურება 74,16.

ცხოველი – ცოცხალი 39,26; 89,18; 100,23.

ძარღვაკი – პატარა ძარღვი, კაპილარი 33,2-3.

ძვირი – ბოროტი 79,19.

ძნიად – ძნელად 75,14.

ძრიალად – ძლიერ 53,26.

ნაბლაღვა – შებლაღვა, შელახვა 54,2.

ნარგება – 1. დახარჯვა 61,1; 76,7; 107,28; 120,29; 2. დაკარგვა 85,2; 3. ხარჯი 94,9.

ნარმართება – ნარმართვა, ხელმძღვანელობა 85,14-15.

ნარმართვა – ნასვლა 51,3-4.

ნარმგებელ – დამკარგავი 55,21.

ნარმოება – აქ: საქმე 29,30; 42,22; 65,21; 69,20; 81,18; 83,9; 107,2.

ნარსაგებელი – დასახარჯავი (საბა), ხარჯი 18,12; 38,23; 43,18-19; 45,24; 55,11; 55,13; 64,4; 83,14-15; 107,21; ამაგი 18,2; გასამრჯელო 46,23; 63,4-5; 76,2; 79,8; 102,7; 110,12; 111,15-16.

ნარტყვენა – მიტაცება, ნართმევა 108,21.

ნარხდომა – აქ: დაკარგვა 18,14.

ნელინადები — აქ: ასაკი 15,5.

ნიგნი – ნერილი 15,4; 18,23; 41,6; 57,18; 81,28; 100,17; 123,26; 134,23; 139,4; 145,26; 147,4; 148,14; 149,6; 152,2; 154,20; 155,19; 156,26; 157,4; 158,31; 159,11; 159,12; 160,3; 160,31; 162,16; 163,12; 165,4;

165,5; 166,3; ნიგნი 18,17; 21,5; 42,13; 46,22; 91,29; 96,15; 110,21; 114,11; 117,12; 144,5.

ნითელი – აქ: ფულის ერთეული 29,29-30.

წმიდაი წმიდათაი – ღმერთი 84,8.

ჭალაკი – პატარა ჭალა 33,29; 38,15.

ჭდევა – ჭედევა 157,24.

ჭორაჭურაები – ჭორები 165,25-26.

ჭრაქი – მარტივი გასანათებელი მოწყობილობა, შედგება ნავთის ჩასასხმელი ჭურჭლისა და პატრუქისაგან (ქეგლ) 157,19.

ხამუთი – ცხენის ცალულელი 55,14.

ხანდისხან – ხანდახან 131,16; 131,31-32; 144,11; 155,8.

ხანი – დროის მონაკვეთი, დრო, უამი 131,3; 134,19; 144,22-23; 153,20; 160,20; 165,31.

ხარაკტერი – ხასიათი 26,1; 26,6; 50,9-10.

ხარებულ-ყოფა – გახარება 55,30.

ხატი – 1. ხატი 20,5; 158,4; 2. სახე 20,4; 34,6-7; 36,17; 58,2-3; 69,22; 70,22; 107,6; 116,20; 119,20.

ხედეა – მხედველობა 54,8.

ხილეა – დანახვა, ხედეა 24,4,5.

ხეასტაგი//ხუასტაგი – 1. საქონელი და საყოლელი (საბა) 116,16-17; 48,8; 90,14; 90,23; 94,15; 95,10; 107,31; 108,10-11//64,5; 75,33-34; 76,7; 91,29; 2. ნიეთები //48,20; 87,3; 87,6; 94,17; 99,7; 108,19; 115,29//20,20.

ხულამე – ხოლმე 131,7; 131,17; 131,32.

ხუვილით – ხმაურით 133,8.

ხრია – სიტყვათა ხმარების ნესი რიტორიკაში. სწავლობს მდიდარი შინაარსის მქონე გამონათქვამების შედგენას, ზერთული წინადადების ფორმულისებური სახით ჩამოყალიბებას (მ. ბერძნიშვილი, ივ. ქავთარაძე) 93,26.

წმევა – აქ: სარგებლობა (იწმევიან – სარგებლობენ) 26,19.

ჯავრით – აქ: ჯიბრით 131,32; 138,15.

ჯერეთი//ჯერედ – ჯერ, ჯერაც, ჯერ კიდევ 29,22; 39,34; 42,5; 59,28; 69,19; 69,24; 73,10; 75,27; 77,19; 78,11; 81,10; 81,19; 88,19; 91,1; 91,23; 105,3; 115,25; 117,20//59,17; 63,9.

ჯერეთცა იხ. ჯერეთი//ჯერედ 107,29.

ჰუნარები – ნიჭი, შესაძლებლობა 161,4.

სარჩევი

შესავალი	3
ალექსანდრე ჭავჭავაძის წერილები.....	8
ერმიადინის მღვდელმთავრისადმი (რუსული ტექსტი)	10
ერმიადინის მღვდელმთავრისადმი (ქართული ტექსტი).....	11
ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რაევსკისადმი (რუსული ტექსტი).....	12
ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რაევსკისადმი (ქართული ტექსტი).....	13
ფილადელფოს კიკნაძისადმი.....	14
ნიკოლოზ იოსების ძე ფალავანდიშვილისადმი	15
სოლომონ დოდაშვილის წერილები.....	17
იონა ხელაშვილისადმი №1	18
იონა ხელაშვილისადმი №2	19
იონა ხელაშვილისადმი №3	21
იონა ხელაშვილისადმი №4	23
იონა ხელაშვილისადმი №5	23
იონა ხელაშვილისადმი №6	24
იონა ხელაშვილისადმი №7	25
იონა ხელაშვილისადმი №8	27
იონა ხელაშვილისადმი №9	29
იონა ხელაშვილისადმი №10.....	30
იონა ხელაშვილისადმი №11.....	31
იონა ხელაშვილისადმი №12.....	32
იონა ხელაშვილისადმი №13.....	34
იონა ხელაშვილისადმი №14.....	36
იონა ხელაშვილისადმი №15.....	37
ფილადელფოს კიკნაძისადმი №1	40
იონა ხელაშვილისადმი №16.....	43
ანა დედოფლისადმი №1	44

დავით ბატონიშვილისადმი №1	45
იონა ხელაშვილისადმი №17.....	45
იონა ხელაშვილისადმი №18.....	46
იონა ხელაშვილისადმი №19.....	47
იონა ხელაშვილისადმი №20.....	49
იონა ხელაშვილისადმი №21.....	49
იონა ხელაშვილისადმი №22.....	50
იონა ხელაშვილისადმი №23.....	51
იონა ხელაშვილისადმი №24.....	53
იონა ხელაშვილისადმი №25.....	55
ალექსი ალექსის ძე პეროვსკისადმი №1	56
იონა ხელაშვილისადმი №26.....	57
იონა ხელაშვილისადმი №27.....	60
იონა ხელაშვილისადმი №28.....	61
იონა ხელაშვილისადმი №29.....	65
იონა ხელაშვილისადმი №30.....	66
იონა ხელაშვილისადმი №31.....	68
იონა ხელაშვილისადმი №32.....	70
იონა ხელაშვილისადმი №33.....	74
იონა ხელაშვილისადმი №34.....	77
იონა ხელაშვილისადმი №35.....	80
იონა ხელაშვილისადმი №36.....	82
იონა ხელაშვილისადმი №37.....	84
იონა ხელაშვილისადმი №38.....	87
იონა ხელაშვილისადმი №39.....	89
იონა ხელაშვილისადმი №40.....	92
იონა ხელაშვილისადმი №41.....	95
იონა ხელაშვილისადმი №42.....	98
იონა ხელაშვილისადმი №43.....	100

სტეფანესადმი №1	103
იონა ხელაშვილისადმი №44.....	105
იონა ხელაშვილისადმი №45.....	106
იონა ხელაშვილისადმი №46.....	109
ფილადელფოს კიკნაძისადმი №2	112
იონა ხელაშვილისადმი №47.....	112
იონა ხელაშვილისადმი №48.....	114
იონა ხელაშვილისადმი №49.....	115
იონა ხელაშვილისადმი №50.....	117
იონა ხელაშვილისადმი №51.....	118
იონა ხელაშვილისადმი №52.....	120
იონა ხელაშვილისადმი №53.....	122
ოქროპირ ბატონიშვილისადმი №1.....	123
ფილადელფოს კიკნაძისადმი №3	125
ფილადელფოს კიკნაძისადმი №4	127
ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილები	128
გრიგოლ ორბელიანისადმი №1	130
გრიგოლ ორბელიანისადმი №2	131
მიხეილ თუმანიშვილისადმი №1	135
გრიგოლ ორბელიანისადმი №3	138
გრიგოლ ორბელიანისადმი №4	139
გრიგოლ ორბელიანისადმი №5	141
მაიკო ორბელიანისადმი №1.....	144
გრიგოლ ორბელიანისადმი №6	146
გრიგოლ ორბელიანისადმი №7	147
ზაქარია ორბელიანისადმი №1.....	150
ზაქარია ორბელიანისადმი №2.....	154
გრიგოლ ორბელიანისადმი №8	155
ზაქარია ორბელიანისადმი №3.....	157

მაიკო ორბელიანისადმი №2.....	160
მაიკო ორბელიანისადმი №3.....	163
მაიკო ორბელიანისადმი №4.....	163
ბაბალე საგინაშვილისადმი №1	165
ალექსანდრე საგინაშვილისადმი №1	166
პასპორტები, შენიშვნები, კომენტარები	167
ტექსტისათვის	168
საძიებლები	277
პირთა ანოტირებული	278
გეოგრაფიულ და წარმომავლობის სახელთა ანოტირებული	323
ეპისტოლეთა ენის საკითხები	337
ლექსიკონი.....	364
სარჩევი.....	380